გაიოზ იმედაშვილი

იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზებზე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1984

ᲐᲒ
84.3Გრ
Ე99.962.1.052 [იმედაშვილი]
ი 471

გაიოზ იმედაშვილის მონოგრაფიაში მდიდარი საარქივო მასალის, ძველი პრესისა და თანამედროვეთა მოგონებების შესწავლის საფუძველზე, წარმოჩენილია XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის — მწერლის, ჟურნალისტის, თეატრალის, სახალხო წიგნის გამომცემლის, ლექსიკოგრაფის, რევოლუციონერისა და მემუარისტის — იოსებ იმედაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის მთავარი მომენტები. წიგნი შეიცავს დღემდე უცნობ ბევრ საყურადღებო მასალას იოსებ იმედაშვილის თანამედროვეთა შესახებ, გაანალიზებულია ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების იმდროინდელი მნიშვნელოვანი მოვლენები და ფაქტები.

რედაქტორი კობა იმედაშვილი
რეცენზენტი ოთარ ეგაძე

70202 — 273
И————————317—84
М 601 (08)84

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984

მწყემსობით დაწყებული ცხოვრება რას უმზადებს ადამიანს, რომელსაც ქართული წერა-კითხვა ბავშვობიდანვე არ უსწავლია, „დედაენა“ არ უნახავს და მხოლოდ ათი წლისა პირველად იღებს ხელში მშობლიურ ენაზე დაბეჭდილ წიგნს, — ამის განსაზღვრა დანამდვილებით ალბათ არც შეიძლება... ცხადია, თუშების მწყემსობას სხვა საფუძველი და შინაარსი აქვს, მათთვის მწყემსობა საამაყო, მემკვიდრეობით ტომობრივ საპატიო საქმიანობას წარმოადგენს. საკუთარ ცხვარში მიდიან, უნივერსიტეტებსაც ათავებენ, განსწავლულობითაც გამოირჩევიან და მაინც ისევ ცხვარს უბრუნდებიან.

იოსებ იმედაშვილი ობლობით გახდა მწყემსი-მოჯამაგირე და მისმა შემდგომმა ცხოვრებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ადამიანის ინტელექტუალური წარმატებისათვის ხელისშემწყობი გარემო უთუოდ უზრუნველყოფილი ცხოვრება არ არის, არამედ მისი პიროვნული უნარი, საკუთარ მოწოდებაში გარკვევა, თავისი თავის პოვნა, დასახული მიზნისკენ დაბრკოლებათა გადამლახავი შეუპოვარი სვლა, რაც სასწაულებს ჰქმნის. ასეთი სასწაული იყო, რომ მწყემსობაში გამოზრდილი იოსებ იმედაშვილი, თუმცა გვიან მოეკიდა სისტემატურ სწავლას, მაგრამ წიგნის მადლს რომ ეზიარა, მწყურვალივით დაეწაფა ცოდნის წყაროს, ათეული წლის ჩამორჩენა სწრაფად აღიდგინა და ჩქარა ჩადგა კულტურის, ნწიგნობრობის, პრესის მოღვაწეთა პირველ რიგებში.

დიდი ცნობისმოყვარეობით, გულისხმიერებითა და ნებისყოფით დაჯილდოებული ადამიანისათვის, როგორიც იყო იოსებ იმედაშვილი, მოულოდნელი აღარ ჩანს, რომ ხალხის წიაღიდან გამოსულს, თავიდანვე შრომის დუხჭირში გამოტარებულს სამშობლო ქვეყნისათვის თავჩაღუნული და თავდადებული სამსახური აერჩია. ათასგვარი მოულოდნელობით შებორკილი, საკუთარი ოფლითა და სისხლით ნაპკურევი სწორედ ისეთი ნარ-ეკლიანი გზა უნდა გაევლო, როგორც წილად ხვდა მას — მწყემსს, სოფლის მეურნეს, მუშას, მსახიობს, რეჟისორს, პროპაგანდისტს, მამასახლისს, რევოლუციონერს, კატორღა-მისჯილს, მწიგნობარს, ლექსიკოგრაფს, ჟურნალისტს, რედაქტორს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს.

იოსებ იმედაშვილის პიროვნება და ცხოვრება თავისთავადაც საინტერესოა როგორც XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები კაცისა, ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან ახლო ურთიერთობებითა და საზოგადოებრივად სამახსოვრო თავგადასავლებით. იგი არა ყოფილა კულტურის კარჩაკეტილი მსახური, რომ ხალხის საქმე, როგორც

მწერალს და ჟურნალისტს, კაბინეტში მჯდომარეს მხოლოდ კალმითა და ქადაგებით ეკეთებინოს. არა შიშველი მოწოდება და ცარიელი ლოზუნგების გადმოსროლა, არამედ ერის სამსახურისათვის მთელი სულიერი და ფიზიკური ძალების უხმაურო გაწირვა იყო მისი საქმე. იგი თავდაუზოგავი ენერგიით ებმებოდა ყოველგვარ სასარგებლო საქმიანობაში, როდესაც კულტურულ-ეკონომიკური წინსვლის რაიმე ღონისძიება ტარდებოდა და მაშინაც, თუ საჭირო ხდებოდა ცარიზმის მონობაში ეროვნულ ღირსებაშელახული, პოლიტიკურ უფლებააყრილი ჩვენი ხალხის მძიმე მდგომარეობაზე გაბედული ხმის ამოღება და იერიშზე გადასვლაც.

როგორც ქალაქში ჩამოსული გლეხი, იოსებ იმედაშვილი, მოქალაქეობრივად მუშათა წრეებთან ურთიერთობაში ჩამოყალიბდა და პრესაში თუ წიგნზე მუშაობამ ინტელიგენტად რომ აქცია, შინაგანი სწრაფვებით მაინც გლეხთა წარმომადგენლად გრძნობდა თავს. ალბათ ამიტომაც მისთვის მთავარი იყო გლეხობისა და მუშების ეროვნული გათვითცნობიერება, მათში ცოდნა-განათლების შეტანა. მისი გულისყური მარად უბრალო ხალხის ჭირ-ვარამს დასტრიალებდა და არასოდეს არა წყვეტდა პრაქტიკულ ურთიერთობას ხალხთან, თავისი მოღვაწეობის დასასრულამდე ყოველდღიური ცხოვრების ინტერესებით გლეხებთან და მუშებთან იყო დაკავშირებული.

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ იყო არცერთი რაიმე კულტურული ღონისძიება თუ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა, რომ იოსებ იმედაშვილს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და კეთილი კვალი არ დაეტოვებინოს. თუკი საქმე საზოგადო ინტერესს ეხებოდა, მისთვის სიძნელე არ არსებობდა, არაფერს უშინდებოდა და დასახულ მიზანს მაინც აღწევდა. ყოველთვის გამარჯვების იმედით იყო სავსე, სხვებსაც აიმედებდა და რაც არ უნდა ეკეთებინა, არასოდეს არა ცდილობდა პირად სარგებლობასა და გამოჩენა-გამორჩენას. ეს იყო მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ურყევი პირობა, რასაც სხვებისგანაც მოითხოვდა.

თანამედროვენი გაოცებულნი იყვნენ მისი დაუცხრომელი ენერგიით, შრომის უნარითა და უანგარო მოღვაწეობით მშობელი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. მის თავდადებულ ღვაწლს ქართველი ხალხის სამსახურში განსაკუთრებული მადლიერებით იგონებდნენ იმ დროის საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ერთი პიროვნებისათვის მეტისმეტი იყო ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც შეძლო ადამიანმა, რომელსაც არავითარი თანამდებობა და ქონება არა ჰქონდა ჯიუტი მოწოდებისა და შრომის უნარის მეტი. ხალხისა და ეროვნული კულტურის უსაზღვრო სიყვარული აძლევდა მას ძალას, რომ მთელი თავისი პირადი ცხოვ-

რება, აწმყო და მომავალი მხოლოდ ხალხის კეთილდღეობის ზრუნვასთან დაეკავშირებინა. ეს იყო მიტინგებისა და მანიფესტაციების მეთაურობა, პოლიტიკური აგიტაცია, რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რიგებში დგომა, არალეგალური ლიტერატურის გავრცელება, ხალხის დარაზმვა მომავალი ბრძოლებისათვის, საკუთარი ჟურნალისა და გაზეთის გამოცემა, რევოლუციური პოეზია, ლიტერატურული კრიტიკა, დრამატურგია, თეატრის, ოპერისა და კინოს აღორძინებისათვის ხელის შეწყობა, პროვინციის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაზე წერა, საქართველოს დაბა-სოფლებში სახალხო ლექციებით გამოსვლა, აჭარლების, ინგილოების, ფერეიდნელი ქართველების ბედ-იღბალზე ზრუნვა.

საკმაოზე მეტად არის მდიდარი იოსებ იმედაშვილის ბიოგრაფია ქართველი ხალხისათვის თავდადებული მოღვაწეობის ფაქტებით, იმ დროისა, როდესაც საქართველოს სვე-ბედი ილიას, აკაკის, ვაჟას სიტყვითა თუ საქმით იჭედებოდა. ილიას იდეოლოგიური მეთაურობით ჩვენი ხალხის რჩეული წარმომადგენელნი ნათელი მომავლის რწმენით მიჰყვებოდნენ ეროვნული აღორძინების გზას და მათში იოსებ იმედაშვილიც ერთ-ერთი იყო, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არასოდეს არ აცდენილა ერთხელვე აღთქმულ იმ პირობას, რომ, როდესაც და სადაც უჭირს ერს, ჰეშმარიტი მამულიშვილი სწორედ იქ უნდა იდგეს. ასეთი იყო მისი გზა — სოფლად გარეკახეთის ერთობის მოძრაობას რომ ედგა სათავეში, თუ ქალაქად — თბილისის ფაბრიკა-ქარხნებსა და სახელოსნოებში, როგორც ორგანიზატორ-პროპაგანდისტი, სახალხო წიგნის, მუშათა თეატრისა და პრესის დაუცხრომელი მოღვაწე.

იოსებ იმედაშვილი არასოდეს არა ყოფილა მდიდარი და ის ღირსებაც ჰქონდა, რომ სიღარიბით არა სწუხდა, თავი ღარიბი არ ეგონა და ხშირად გაჭირვებულისათვის უკანასკნელი ფული არ დანანებია. ასეთი იყო მით უმეტეს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემის პერიოდში, როდესაც რუსეთისა თუ საზღვარგარეთის ქალაქებში მყოფი უფულოდ დარჩენილი ქართველობა ხშირად მიმართავდა თხოვნით, როგორც რედაქტორს ფულადი დახმარების აღმოსაჩენად, ეგონა რა, რომ პოპულარული ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელს ერთი კაცის დახმარების შესაძლებლობა ყოველთვის ექნებოდა. განსაკუთრებით გულითადი დამოკიდებულება ახასიათებდა მწერლობისა და ხელოვნებისათვის მოწოდებულთადმი, რომელთა პირველი ნაბიჯების გადადგმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის კეთილ სიტყვასა და დახმარებას. იგი არ იშურებდა გულისხმიერებას, იცოდა სხვისი ნიჭის შემჩნევა, ნდობისა და სიყვარულის ატმოსფეროს შექმნა საზოგადო საქმეზე მუშაობის დროს.

მაგრამ სხვათა ნიჭისა და ბედისადმი დიდსულოვანმა მოპყრობამ, სხვათა ნაწერების რედაქტირებამ, საზოგადოებრივი საქმიანობით უანგარო გატაცებამ, სამწუხაროდ ჩამოარჩინა საკუთარი მწერლური ნიჭისა და პირადი კარიერის კუთვნილ ხვედრს. სხვების ხელის შემწყობი, გამოცდილი რედაქტორ-გამომცემელი თვითონ დარჩა გამოუცემელი, სათანადოდ შეუსწავლელი და როგორც მწერალი თითქმის ნაკლებად ცნობილიც. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე რომ აღარაფერი ითქვას, სიკვდილის შემდეგ ერთი სტრიქონიც არ დაბეჭდილა შემცირებულ მოგონებათა გარდა. ჯერ კიდევ გამოქვეყნებას ელის მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია ცნობილია ცალკეული მცირე პუბლიკაციებით, ბიბლიოგრაფიული ცნობებითა თუ მითითებებით და მრავალმხრივად საყურადღებო მასალას შეიცავს ქართული კულტურის ისტორიის, მწერლობის, მეცნიერებისა და მეურნეობის სხვადასხვა დარგის მოღვაწეთა შესახებ.

ალბათ მოვიდა დრო, რომ ამ მრავალმხრივად საინტერესო პიროვნების სასარგებლო ცხოვრება-მოღვაწეობა ეროვნული კულტურის სხვადასხვა სფეროში თუ მისი წელილი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლაში ღირსებისამებრ დაფასდეს, რაც დიდხანს უსამართლოდ იყო უგულებელყოფილი. ყოველივე მის ღვაწლს ობიექტურად სჭირდება გახსენება, სათანადო კვალიფიცირება, მაგრამ არა გამოგონება და რაიმე ტენდენციით გაყალბება, რომ სიკვდილის შემდეგ მაინც კუთვნილებისამებრ მიეზღოს მისაზღველი, — ლადო გუდიაშვილის სიტყვით — „ამ ნათელ ადამიანს, ქართული კულტურის დიდ გულშემატკივარს, იოსებ იმედაშვილს, რომლის ნიჭი და ენერგია ხელოვნების სხვადასხვა დარგმა შეისრუტა“.

იოსებ იმედაშვილის მრავალმხრივად შინაარსიანი ცხოვრება-მოღვაწეობის ფაქტები ბოლომდე სასურველი სიცხადით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობითა და ამბავთა თანაბარი ზომიერებით რომ წარმომედგინა, ზოგჯერ იძულებული ვიყავი თხრობის დროისათვის ხან წინ გამესწრო, ხანაც უკან დავბრუნებულიყავი, რომ მისი მოღვაწეობის მთავარი ძაფი არ გაწყვეტილიყო. რა თქმა უნდა, მისი პიროვნებისა და ეპოქის ასახვაში ნებსით თუ უნებლიეთ ზოგიერთი საინტერესო ფაქტი უნდა მქონდეს გამორჩენილი, მაგრამ იოსებ იმედაშვილი, როგორც საზოგადო მოღვაწე, მთლიანობაში დახასიათებული უნდა იყოს. ჩემი მიზანი იყო აქ ისიც წარმოჩენილიყო, რომ ძალმომრეობის წინაშე ქედმოუხრელი ერთხელვე აღთქმული ეროვნული იდეის უარყოფის საფასურად არასოდეს არა ცდილა პირადი ბედნიერების მიღწევას, რომ უმტკივნეულოდ აეცდინა უკეთურებანი, რაც გადაიტანა.

იოსებ იმედაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის, მისი აღზრდა-განათლებისა და მისწრაფებათა ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფელ ხაშმს (აგრეთვე სოფელ წერაქვს) თავისი ადამიანებით, ხალხის წეს-ჩვეულებით, მეურნეობით, სიძველეებით, მეზობელი სოფლებითა და მათთან ურთიერთობით. ყველაფერ ამასთან დიდი სიყვარულით იყო დაკავშირებული მამაჩემი და მწამს, რომ ხაშმი თავისთავადაც ღამაზი და მრავალმხრივად მომხიბლავიც რომ არა ყოფილიყო, ჩვენი სოფელი მაინც ისეთივე შეუდარებელი იქნებოდა მისთვის, სადაც ყოფნა ყველაზე მეტად ახარებდა და დიდ ბედნიერებად მიაჩნდა იქ გატარებული ყოველი დღე.

საგარეჯოს რაიონში მდებარე სოფელი ხაშმი თბილისიდან ორმოც კილომეტრამდეა გაშენებული — უჯარმის გაღმა, ივრის მარცხენა ნაპირას, ქვემო ფერდობის აყოლებაზე. ეს სახელი „ხაშმი“, ვისაც ამ ღამაზი სოფლისათვის ეხამუშება, იმან უნდა იცოდეს, რომ ძველად ამ ადგილს შეეფერებოდა კიდეც, როდესაც აქ „ქართლის ცხოვრებით“ ცნობილი ხაშმის ციხისა და იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მეტი არაფერი იყო და ეხლანდელი ბაღ-ვენახების ნაცვლად მაშინ ივრის მოდიდების შედეგად დაჭაობებულ-დატბორილი, მართლაც დახაშმული, საცხოვრებლად გაუძლისი ციებიანი ჰავა იქმნებოდა.

ხაშმელები ხაშმს მოერივნენ, ირგვლივ ბაღ-ვენახები გაშენდა, ხაშმი მოისპო და ამჟამად თუ აჯობებს ამ წალკოტად ქცეულ ათასორას კომლიან სოფელს „ივრისპირი“ ერქვას, როგორც ზოგიერთ ხაშმელს მოუნდომებია, მაინც პატივი ვცეთ ტრადიციას, ჩვენს წინაპრებს, რომელთაც გაუძლეს ამ ოდიოზურ სახელს და დავტოვოთ „ხაშმი“, რომელიც ჩვენ მომავალ თაობებს კიდევ უფრო ჩააფიქრებს და გააკვირვებს ტოპონიმების მსგავსი უსამართლო კაზუსები, რომ ხშირად გეოგრაფიული სახელი ადგილის ხასიათს არ გამოხატავს და არ შეეფერება. ამიტომ ხაშმის სახელის საბოლოო გადაწყვეტა მომავალთა გემოვნება-მოსაზრებულობას მივანდოთ, იმათაც გაიჯირვონ ხალხური ტოპონიმიკის ახირებულობით.

ძველი ხაშმელები მეფე ერეკლეს დროს უფრო ზევით, სამების მონასტრის მიდამოებში, ტყესთან ახლოს ცხოვრობდნენ, რაკი ლეკიანობის შიშით მოსვენება არ იყო (მათ შემოსევას ვახუშტიც აღნიშნავს: „მოვიდნენ ლეკნი ხაშმს, ვიდრე უჯარმამდე უჯარო ჰყვეს“), ხაშმელებს მაღლობი ტყიანი ადგილები მიუტოვებიათ და თანდათან ივრის პირზე ხაშმის ციხესთან ჩამოსახლებულან. მაგრამ რატომ თან

არ ჩამოიტანეს სახელი „კაწარეთი“? — ამაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება.

იალნოს და ციეგომბორის კალთებიდან დაწყებული, ივრის გაღმა-გამოღმა მთები და ჭალები, რასაც ხაშმიდან თვალი გადასწვდება ირგვლივ ახავალ-დახავალ გზებს, სოფლებს, ეკლესიებს, ციხე-ნანგრევებს, — ბოჭორმის შესახედს, ჯვარპატიოსანს, უჯარმას, ყველაწმიდას, იორს გადაღმა — მუხროვანს, სართიჭალას, აზანბურის მხარეს, საგარეჯოსკენ — პატარძეულს, ნინოწმინდას, გიორგიწმინდაც შორის ის ადგილებია, რომელთა სილამაზე და ისტორიული მნიშვნელობა ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან ცხოვრებაში მამაჩემის მუდმივი შთაგონება და სიყვარული იყო, ბავშვობიდან მოკიდებული, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ეს მნიშვნელოვანი სიძველეებია, უწინარეს ყოვლისა, ივრის მარჯვენა მხარეს უჯარმის ციხე-ნაქალაქარი, ალბათ მეხუთე საუკუნის უადრესი ნაგებობა, რომელიც შემდგომ განსაკუთრებით ვახტანგ გორგასალის გმირულ მეფობას დაუკავშირდა. მის ზემოთ, გომბორის გზაზე, ჯვარპატიოსანია, ხაშმის ზევით, სამების მონასტრისაკენ, კორძიანის ავლით ივრისა და სამებლიანთ ხევის შესართავზედ, ყველაწმიდის ეკლესიაა მეცხრე საუკუნისა. ხაშმის ტერიტორიაზე ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაკვირველია, შუა საუკუნეებში დაფუძნებული სამების მონასტერია, რომელიც დღემდე შენახულია ბაზილიკის ტიპის მთავარი ტაძრითა და გალავნით. ციხე და სხვა შენობები კი ნანგრევებად ქცეულან. სამება ოდესმე შემკული იყო შესანიშნავი ფრესკებით და ბავშვობაში მეც მინახავს, სამწუხაროდ საეკლესიო სიძველეებთან უგუნური ბრძოლის დროს განგებ იყო ამოჩიჩქნილი და რაც ამ ბარბაროსობას გადაურჩა, ისიც წვიმით ისე ჩამოირეცხა, რომ მხატვრობის ოდნავი კვალიც აღარ ჩანს.

თვით ხაშმზე, ციხის ეზოში, მოიპოვება იოანე ნათლისმცემლის ნამონასტრალი, რომელშიაც შემორჩენილია ეკლესია გალავნით, ბურჯებით და კოშკებით. აქ რევოლუციამდე ბერები ცხოვრობდნენ და მახსოვს, რომ იქვე ახლოს წისქვილსა და დიდ ზვარსაც უვლიდნენ, რომლის შემოსავალი გარეჯის მონასტერში იგზავნებოდა. ბორჩალოში გადახვეწამდე პაპაჩემი ზაქარია ამ მონასტრის ხაბაზი ყოფილა.

ხაშმის ბაღ-ვენახები უხვად ირწყვება. სოფლის შუაზე ახლო ვენახებისათვის არხით გამოყვანილი სამებლიანთ წყალი ჩამოუდის, ძირითადი კი მაინც ივრის წყალია. ყორიანები, გუდამკიდე. ყარაბულახი კარგი სავენახე ადგილებია, შილიანი, თოკები — სახნავები იყო და ახლა ვენახებით დაიფარა, სერს გადაღმა, თელავის მიმარ-

თულებით, ლაჯებაურა-სოფლის სატყეო ზონაა, ბალბიანი, სასიანო ხაშმის საძოვარ-სათიბია.

ხაშმიდან ორი კილომეტრის დაშორებით, სართიჭალის გზაზე, თავად კიკო ჩოლოყაშვილისა და მის მემკვიდრეთა გალავნით შემოზღუდული საცხოვრებელი სახლკარი და საოჯახო ეკლესია იყო, რომელსაც ირგვლივ მათი ვრცელი ზვრები ერტყა. ახლა მათი სასახლე საკოლმეურნეო სარგებლობაშია და მარანია მოწყობილი. გარეკახელ ჩოლოყაშვილთა ეს შტო, როგორც ისტორიული საბუთებით ჩანს, ხაშმზე იმ დროიდან დაემკვიდრა, როდესაც „1665 წელს შაჰნავაზმა უბოძა როშაქ ჩოლოყაშვილს და შვილთა ქაიხოსროს და გიორგის ხაშმზე სასახლე, კოშკი და ზვარი“. კიკო ჩოლოყაშვილის ოჯახი არა მხოლოდ კულტუროსნობით გამოირჩეოდა, არამედ იმითაც, რომ ქართულის გარდა რუსულ-ფრანგულ ენებზე მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ, ამასთან ერთად, ძველი ქართული ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები. კიკოს ქალიშვილს, ეკატერინეს პარიზში კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული. ხაშმელი ჩოლოყაშვილები გამოირჩეოდნენ ლიბერალობით, გლეხობასთან გულისხმიერი დამოკიდებულებითა და „ერთობის მოძრაობისათვის“ ხელის შეწყობით. ისიც საგულისხმოა, რომ ამ ოჯახთან ილია ჭავჭავაძე ახლო მეგობრობდა და იყო კიკოს ქალიშვილის მელიტას ნათლია, მასთან მიწერ-მოწერა ჰქონდა, ყარაბულახის მამულში სტუმრობდა და მათ ეზოში წყაროსთან სამახსოვრო სურათიც ჰქონდა გადაღებული, რაც მე პირადად მინახავს სხვა საბუთებთან ერთად.

სოფელ ხაშმის გლეხობასთან ჩოლოყაშვილების კეთილმყოფელი დამოკიდებულების თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომელზეც XIX საუკუნის დასასრულს გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი იუწყებოდა: ხაშმს მთავრობის დიდი ვალი დასდებოდა და სოფელს ეგზეკუციის ჩაყენებას უპირებდნენ, მაგრამ „ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა შეიტყო ყარაბულახის მებატონემ ჩოლოყაშვილმა (იგულისხმება კიკომ), ამოვიდა მეოთხე დღეს და თავისი ფულით შეუსრულა სოფელს, რაც გადასახადი აკლდათ. გლეხებმა ფული ჩააბარეს ერთ ამორჩეულ კაცს და გაგზავნეს საცა რიგი იყო“ (სოფელი ხაშმი, დეკემბრის 20-ს 1885, № 1 გვ. 1).

აქვე აღსანიშნავია, რომ ეს სიკეთე კიკო ჩოლოყაშვილმა სოფლისადმი უანგაროდ ჩაიდინა, მიუხედავად იმისა, რომ მას ხაშმელებთან ხშირად ჰქონია დავა მიწის, ტყისა და ღალის თაობაზე. სხვათა შორის, ჩოლოყაშვილთა სასახლე და კარმიდამო ეზოებით, კოშკებით, დიდი მარნითა და წისქვილით. როგორც ქართული თავადური ტიპიური დასახლება-საცხოვრებელი, გამოყენებული იყო ივანე პერესტიანის რეჟისორობით გადაღებულ კინოსურათის „სურამის ციხის“

პირველი გამოშვების ფილმში, რომლის მასიურ სცენებში უმთავრესად ხაშელი გლეხები მონაწილეობდნენ.

ხაშმისა და საგარეჯოს კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებისა და წინსვლის საკითხებზე მამაჩემი XIX საუკუნის მიწურულიდან ბევრსა წერდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში („ივერია", „ცნობის ფურცელი", „კვალი", „მოგზაური", „ნიშადური"). მაგ. 1900 წელს გაზეთ „ივერიაში" (№ 221) „თვალყურას" ფსევდონიმით „მოწერილ ამბავში" იგი წერდა: სოფელი ხაშმი წინ მიდის იმ მხრივ მაინც, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა დღითი-დღე გვემატება. ვისაც კი შეძლება მოეპოვება, ცდილობს როგორმე სწავლა მიაღებინოს შვილს. დღეს თითქმის ყველა დაბეჯითებით გრძნობს სწავლის მოთხოვნილებას... ეს რვა წელიწადი იქნება, რაც სოფელ ხაშმში ყოველ ზაფხულობით ორი-სამი წარმოდგენა იმართება ხოლმე.

ხაშმის თეატრის საქმეს თავიდანვე არ აკლდნენ ენთუზიასტები და აღსანიშნავია, რომ საგარეჯოს შემდეგ ხაშმი პირველი სოფელი იყო, რომელშიაც 1892 წლიდან სცენის მოყვარეთა წრე ჩამოყალიბდა და სისტემატურად იმართებოდა წარმოდგენები. შემდეგ კი თეატრისათვის სპეციალური შენობაც აშენდა, რამაც შესაძლებელი გახადა ყოველი თაობის წარმომადგენლები ფართოდ ჩაბმულიყვნენ სასცენო-საკლუბო მუშაობაში. მანამდე პირველი წარმოდგენების ინიციატორები იყვნენ — ალექსანდრე (საშა) ნათიშვილი და იოსებ იმედაშვილი. მათი თანამოღვაწენი — დავით, ლუკა, გიორგი, ნუცა, შაიკო ნახუცრიშვილები, ვანო ხაბაზიშვილი, იაგორ და აბრამ გოგნიაშვილები, ვანო მაისურაძე, დ. ქარუმიძე, ესტატე ლოლაძე, ნუშო ლაღიძე, ელიკო მამულაშვილი, ნინო და კატო ნახუცრიშვილები, ტასო და ქეთევან ბაქრაძეები, რომელთაც ჩქარა შემოიკრიბეს ნიჭიერი ძალები და იოსებ იმედაშვილის რეჟისორობით დაიდგა გიორგი ერისთავის „გაყრა", „ძუნწი", „დავა", აკსენტი ცაგარელის „ხანუმა", „რაც გვანახავს, ვეღარ ნახავ", „ცომბირელი", დავით ერისთავის „სამშობლო", ვალერიან გუნიას „და-ძმა", „არც აქეთ, არც იქით".

მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში დიდის იმედით შეჰყურებდა მამაჩემი ხაშმზე სასმელი წყლისა და სარწყავი არხის გამოყვანას, ელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრებას, რომ მისი სიკეთით გლეხის შრომა გაადვილებულიყო, მიწა უფრო ნაყოფიერი გამხდარიყო, ცხოვრება გახალისებულიყო, ყოველი გლეხის სახლი განათებულიყო. ყველაფერ ამაზე ბევრს ზრუნავდა თავის დროზე. რასაც ნატრობდა მამაჩემი ახლა თითქმის ყველაფერი განხორციელდა — წყალი და სინათლე ყველას აქვს, გარეკახეთის გზები ირგვლივ ბაღ-ვენახებითა და ტყეებით დაიბურა, ივრის წყლის სიკეთე სამგორის ველსა და ქალაქსაც მისწვდა... თბილისის ზღვის გაჩენით ხრი-

ოკი ფერდობები და ველები ჯაგნარების ნაცვლად სიმწვანით დაიფარა, თვალს სიამოვნებს ირგვლივ ამწვანებული მიდამო, მხოლოდ მამაჩემი ვერ მოესწრო ამდენი ხნის ნაოცნებარსა და ნაჯაფარ სიკეთეს, იქნებ იმიტომაც, რომ ადამიანს ზოგი რამ მიუღწეველი უნდა დარჩეს.

ახლა ბევრი რამ შეიცვალა, ჩვენი სოფელი ერთი-ორად მეტად გაიზარდა, ახალი გზები გავიდა. წინათ ქალაქიდან სოფელში ოთხცხენიანი დილიჟანებით მივემგზავრებოდით, მთელ დღეს ვუნდებოდით. კახეთის რკინიგზა მხოლოდ 1915 წელს გაიყვანეს. ახლა კი ხაშმამდე თბილისიდან ავტომანქანით მგზავრობას 40 წუთი სჭირდება, წარსულს ჩაბარდა იორზე გასასვლელი ფონის ძებნა და უხიდობის გასაჭირი.

სოფელში ყველაზე მეტად ის შეიცვალა, რომ ეროვნული ტანისამოსი მთლიანად გაქრა, ამჟამად მთელს სოფელში ერთ კაცსაც არ აცვია ძველებური გლეხური ჩოხა, ყველა ევროპულ კოსტუმშია გაწყობილი, რამაც სოფელს თავისებური იერი დაუკარგა. ხარ-კამეჩს, ცხენსა თუ ურემს იშვიათად ნახავთ, თითქმის ყველა ეზოში მანქანა დგას.

საგარეჯოსაკენ ხაშმს შვიდ კილომეტრზე პატარძეული ესაზღვრება, შარჯვნივ, ქვემო გზისაკენ სამიოდე კილომეტრზე, სოფელი სართიჭალაა (მარიენფელდი), სადაც 1827 წლიდან პასკევიჩის მთავარმართველობის დროს ჩამოსახლებული გერმანელები ცხოვრობდნენ და გამოირჩეოდნენ მუყაითი შრომით, სანიმუშო წესრიგითა და სისუფთავით. სართიჭალის ახლოს ივრის პირის მინდორზე, ხაშმის ვენახების გასწვრივ, სოფელი მუღანლოა, რომელიც წინათ დასახლებული იყო ყოვლად ზარმაცი, უსაქმური, მავნე და გამოუსწორებელი ქურდბაცაცა ხალხით, რომელთაგან ჩვენ სოფელს დიდი ზარალი მოსდიოდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ სოფელში არსებობდა ქართული სიმღერა-გალობის თავისებური კილოს მდიდარი ტრადიციები და გლეხური გუნდი ძველი ქართული საგალობლების შესანიშნავი მცოდნის გიორგი ეპიტაშვილის (ჩორნას) ლოტბარობით, რომელიც უკანასკნელი ბერთაგანი იყო დავით-გარეჯის მონასტრისა და თეთრწყაროს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მგალობელი. ამ გუნდმა თავი ისახელა აკაკის დაკრძალვაზე ქაშუეთიდან მთაწმინდის სამარემდე გაცილებაში სხვა გუნდებისაგან გამორჩეული მომხიბლავი გალობით, რასაც დამსწრენი ყოველთვის აღტაცებით იგონებდნენ. „ჩორნამ“ მომღერალ-მგალობელთა რამდენიმე თაობა აღზარდა, მის შესახებ 1918 წელს „თეატრი და ცხოვრებაში“ (№ 1 გვ. 8) დაბეჭდილი იყო ცნობა

პორტრეტით, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერა-გალობის დიდი მცოდნესი. 1928 წლის 9 აპრილს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში მოეწყო ხაშმის გლეხთა გუნდის საერო-სასულიერო კილოების კონცერტი მდიდარი რეპერტუარით, რომელზედაც შესავალი სიტყვით გლეხური შემოქმედების საკითხებზედ გამოვიდა იოსებ იმედაშვილი, რომელმაც სიტყვის დასასრულს მოუწოდა ამ ღონისძიებისათვის მიებაძათ სხვა სოფლებსაც, რაც ხელს შეუწყობდა მუსიკალური ფოლკლორის დავიწყებული რეპერტუარის გამოვლინებას და საგუნდო ხელოვნების განვითარებას. ეს კონცერტი მთლიანად ჩაიწერა კომპოზიტორმა დიმიტრი არაყიშვილმა, რისთვისაც გუნდმა თავისი რეპერტუარი სპეციალურად ამ მიზნით კონსერვატორიაში გაიმეორა.

მამაჩემს ეამაყებოდა, რომ ჩვენი სოფლიდან და საერთოდ საგარეჯოს რაიონიდან კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი გამოდიოდნენ. მათ შორის ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი დიმიტრი ბაქრაძე, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომისა „ისტორია საქართველოსი“ (1889). დიმიტრის შთამომავალია მწერალი და მთარგმნელი ქეთევან ბაქრაძე, მეუღლე პავლე ინგოროყვასი, მსახიობი თამარ ბაქრაძე. ხაშმელები არიან პოლიტიკური მოღვაწენი ანდრო და დავით ჭიაბრიშვილი, აკად. ალ. ნათიშვილი, დრამატურგი დავით ნახუცრიშვილი, მისი შვილი გიორგი ნახუცრიშვილი, ავტორი საქვეყნოდ გახმაურებული პიესისა „ჭინჭრაქა“. ხაშმელია მომღერალი შიხ. ყვარელაშვილი, მსახიობები — ვანო ლაღიძე, სიმონ და ირაკლი ქოქრაშვილები, გ. მამუჩიშვილი, ენრიკო ყირმელაშვილი, მხატვარი ვანო ლაღიძე, ირაკლი ხუროშვილი, პროზაიკოსი რეზო ინანიშვილი, პოეტი მიხეილ ქვლივიძე. ხაშმელებია მეცნ. დოქტორები შ. ნახუცრიშვილი, გია ნახუცრიშვილი, მეცნიერებათა კანდიდატებია ვახტანგ ქარუმიძე, გ. ყირმელაშვილი, ელენე კოშორიძე, თ. ჯაგოდნიშვილი.

მისთვის სასიქადულო იყო ისიც, რომ პატარძეულიდანაა სახელოვანი პოეტი გიორგი ლეონიძე, რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი, ჩვენი რაიონის ნაამაგდარი არქიტექტორი სოლომონ რევიშვილი, პროფ. შოთა რევიშვილი. პატარძეულის მოწინავე გვარებს წარმოადგენენ — ბილანიშვილები, ჯიღაურები, უსტიაშვილები, მათიკაშვილები, ბურთიკაშვილები. საგარეჯოელია დონ-კიხოტის მთარგმნელი მწერალი ნიკო ვალიშვილი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ივანე ჯაბადარი, აკად. დ. გულისაშვილი, მწერალი ს. მთვარაძე, პოეტი თ. ჯანგულაშვილი, ცნობილია არქიტექტორთა გვარეულობა ქურდიანებისა, ხელოვნების, მეცნიერებისა და განათლების მუშაკები გარსიაშვილები, მეზვრიშვილები და სხვ. ყანდაურელი იყო მსოფლიოში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი.

ზაქარია იმედაშვილის ოჯახის გადახვეწა საბარათიანოში

ივრის პირას ჩამოსახლებულმა ძველმა ხაშმელებმა, ახალი ხაშმი რომ გააშენეს, იმ დროიდან, ჩვენ წინაპრებს — ზაქარიას მამას, თუ პაპას, ალბათ იმიტომ, რომ სამების გლეხებად ითვლებოდნენ, ხაშმის ციხე-მონასტრის გალავანზე მიშენებულ სადარაჯო კოშკში უცხოვრიათ. მამაჩემს კიდევ ახსოვდა და ჩემთვის არაერთხელ უჩვენებია ხაშმის ამ ციხე-მონასტრის კოშკის ის სენაკი, სადაც მისი ოჯახი სახლობდა და შერე და-ძმასთან ერთად ბავშვობა გაუტარებია. სწორედ ამავე სენაკში დაბადებულა მამაჩემი 1876 წლის 20 მარტს, საეკლესიო გლეხის ზაქარია იოსების ძე იმედაშვილის ოჯახში. მისი დედა იყო უჯარმელი კატო (ეკატერინე) ჭინჭარაძე, მამაჩემის სიტყვით, ნატიფი შესახედაობის, ტანწერწეტა ქალი.

პაპაჩემი ზაქარია სიმართლის მიმდევარი, პირში მთქმელი, უსამართლობას გაძალიანებული, ამაყი ბუნების გლეხი ყოფილა, მამაჩემის დახასიათებით მას არავისი და არაფრის არ ეშინოდა. ერთხელაც სოფლის მდივანბეგთან შეკამათებულ პაპაჩემისთვის ჩაფარს სახალხოდ მათრახი გადაუკრავს. ფიცხი გულის პატრონს, ზაქარიას ეს შეურაცხყოფა არ დაუთმია, წამსვე ხანჯალი დაუტრიალებია და იქვე, ხალხის წინ მოძალადისთვის სამაგიერო გადაუხდია. ასე მოულოდნელად და უბოროტოდ პაპაჩემს შემოაკვდა კაცი. ამ შემთხვევამ მამაჩემის მოშავალი აღზრდა-ცხოვრება მთლიანად შეცვალა. იმ წუთიდანვე პაპაჩემი, ფეხდაფეხ იორს გაღმისაკენ გაქცეული, ქვემო ქართლისაკენ საბარათიანოს გზას დასდგომია. ჯერ სოფელ შარაშლოში თათრის შეზარედ დამდგარა, შემდეგ ვინმე ყაჩმაზოვის დიდ ზვარში დაფუძნებულა, ცოლ-შვილიც თავისთან გადაუყვანია, გაშინაურებულა, მიმსველელ-მომსველელი ირგვლივი სოფლების ქართველობა გაუცვნია და მამიდაჩემი ოლა სოფელ წერაქვში საბა ბურნაძისთვის მიუთხოვებია. ასე იქცა, სომხებსა, თათრებსა და ბერძნებს შორის ჩარჩენილ-ჩაკარგული ქართული სოფელი წერაქვი ჩვენ მეორე სამშობლოდ, რომლის მთებშიც შემდგომად ჩვენც ვიზრდებოდით.

ბორჩალოში გადახვეწილ იმედაშვილებს წერაქველ საბა ბურნაძესთან დანათესავებით თითქოს მშვიდობიანი ცხოვრების დრო დაუდგათ, თუმცა გარეკახეთის ქართული მოსახლეობის გარემო ქვემო ქართლის გათათრებულ-გასომხებული სოფლების აჭრელებული ხალხის ნარევით შეეცვალათ. წერაქვი ირგვლივ ტყეებით დაბურულ მთებსა და ხევებში იყო ჩაბუდებული — შულავრის, შარაშლოს, სიონის, ოფრეთს შორის, სადაც ოდესმე ამაყი ორბელიანებისა და ბარათაშვილების სამკვიდროს უკვე თათრის ბეგის ჯელალ-ოღლისა და მდიდარი

სომხის მანთაშოვის მსგავსნი ქართველებს ბატონებად მოევლინებოდნენ.

საბარათიანოში ქართულის ნაცვლად ირგვლივ თათრულ-სომხური ისმოდა, გლეხობა უწიგნოდ მოაზროვნე, დაუწერავი ადათებით ცხოვრობდა, ისე რომ მთელ წერაქვშიც კი ერთი კაციც არა ყოფილა ქართული წერა-კითხვის მცოდნე, არც ქართული სიმღერა ისმოდა ბაიათების მეტი. ჩემს მეხსიერებაში, მხოლოდ 1919 წელს, მამაჩემის ინიციატივით სოფელ წერაქვში პირველი ქართული ორკლასიანი სკოლა გაიხსნა. მისივე ინიციატივით ამ მხარის სიძველეთა შესასწავლად იმავე წელს მოევლინა ცნობილი არქეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც აღწერა წერაქვის, გორულის, ოფრეთის სიძველენი. სამწუხაროდ ის ქართული წარწერები, რომელნიც 1919 წელს ექვთიმე თაყაიშვილს ჰქონდა აღწერილი და მეც არაერთხელ მქონდა ნანახი, კერძოდ წერაქვსა და ოფრეთს შორის გზაზე მდებარე გორულის კოშკისა და ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წარწერები, ამჟამად ჩამომტვრეულია.

თუ გაძნელებული უნდა ყოფილიყო ბორჩალოში უცხოდ ჩასახლებული ქართული ოჯახისათვის თათრებსა და სომხებს შორის ცხოვრება, პაპაჩემი ზაქარია მაინც არავის არ ეჩაგვრინებოდა... მისი ფიცხი ხასიათით მეზობლები დაშინებულნი იყვნენ. საწყენს ვერაფერს უბედავდნენ, ავ სიტყვასაც არავის შეარჩენდა. ზაქარია გამრჯე, კარგი მებაღე-მევენახე იყო, ნამდვილი კახელი გლეხი, რომელსაც ჩვეულებისამებრ ჩოხაზე ყოველთვის ქამარ-ხანჯალი ერტყა და ღირსეულადაც ატარებდა. ამიტომაც მალე ცნობილი გახდა თავის სიმართლით, უანგარობით, შეუპოვრობით, არ ურიგდებოდა უსამართლობას როგორც თავის, აგრეთვე სხვების დაჩაგვრაში.

ზაქარიამ ქალიშვილი წერაქვში რომ გაათხოვა და ბიჭები იოსები და ვანო სიძესთან ეზრდებოდა, თვითონ ხრამის ახლოს ზვარში აშენებულ ქოხში ცხოვრობდა და სტუმართმოყვარეობით ყოფილა ცნობილი. როგორც მამაჩემი იგონებდა ხოლმე, ზაქარია თავის ქოხში მისულ სტუმარს ღვინოდაულეველს არავის გაუშვებდა და საკუთრად დაჭერილი მურწათიც გაუმასპინძლდებოდა.

ეს იყო მაშაჩემის ჭაბუკობის დრო, დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით — წერაქვის ტყეებში საქონელთან ერთად თუ ხრამის პირად ვრცელ ზვარში ყოფნამ თავიდანვე ჩაუნერგა სილაღის გრძნობა, და ეს იყო ყველაზე დიდი, რაც მას ზაქარიასაგან გამოჰყვა მთელი სიცოცხლის მანათობელ შუქად.

მაგრამ იმედაშვილებს არც აქ დასცალდათ მყუდროდ აწყობილი ცხოვრება... ზაქარიამ ერთხელაც აღსარებაში მღვდელს ჩაფრის შემოკვდომის საიდუმლო გაანდო, სულიერმა მამამ კი არ დაახანა აღსარე-

ბის გაცემა, ჩემი გულუბრყვილო მორწმუნე წინაპარი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს. ჩანს ბრალდების სიძველისა და დაუმტკიცებლობის გამო რამდენიმე თვის შემდეგ განთავისუფლებული ისევ თავის ქოხს დაუბრუნდა. ამით მამაჩემმა დიდი გაკვეთილი მიიღო, — მან საბოლოოდ დაკარგა რწმენა ეკლესიოსანთა სათნოებაში და ღმერთის არსებობაშიც ეჭვი შეეპარა.

ზაქარია იმედაშვილის ოჯახის ფათერაკებიანი ცხოვრების დასასრული ბებიაჩემის ეკატერინეს სიკვდილმა დააჩქარა. მამაჩემი სიბერეშიც ყოველთვის ნაზი. გამოუნელებელი სევდით იგონებდა თავისი დედის სიკვდილს: „მოვეხვიე, გულში ჩამიკრა, ყელზე მომეხვია და კარგა ხანს აღარ გამიშვა — „კარგია შვილო რომ ცოცხალს მომისწარიო“, — ოჰ რა ტკბილი იყო დედასთან ჩახუტებით ძილი, მის გვერდით სუნთქვა. ასეთი ნეტარება მე შემდეგში აღარასოდეს არ მიგრძვნია. დედამ მკერდზე მიმიკრა, რაღაცას მეჩურჩულებოდა, თითქოს მლოცავდა. შამლის ყივილისას გამეღვიძა, ყელზე ყინული ვიგრძენ, დედას სახეზე ხელი მოვუსვი, მეცივა, ხმა ვერ ამოიღო... ერთი შევყვირე, მამა წამოიჭრა. დედის სიკვდილმა დაანგრია ჩვენი ოჯახი...“. და-ძმები დაიფანტნენ, მამაჩემი თავისი ბედის საძიებლად თბილისს გაეშურა და დიდხანს წერაქვიცა და ხაშმიც აღარ უნახავს, ვიდრე კაცი გახდებოდა, რომ წიგნის ცოდნაში მეორედ დაბადებულიყო და ათი წლის შემდეგ სამშობლო სოფელს ახალი მოძრაობის მეთაურად მოევლინებოდა

ფარული ღელვით ივსებოდა ხოლმე მამაჩემი, როდესაც კი თავის მამას მოიგონებდა, თვალებზე ცრემლი ადგებოდა, უფრო კი მაშინ, როდესაც შემომხედავდა და მეტყოდა — შუბლით, თვალებით, გულმკერდით მამაჩემსა გევხარო. ყოველთვის გაოცებული ვრჩებოდი მამაჩემში მშობლების გახსენების ამ ნაზი განცდით, რომელიც მას არა სტოვებდა მოხუცებულობაშიც... ამ გრძნობის გამოხატულება იყო მამაჩემის სურვილიც ზაქარიას საფლავი მოგვენახა, მაგრამ მისი დამარხვის ადგილი ბუნდოვნად ახსოვდა, იცოდა რომ ხრამის პირას თავის მიერ გაშენებული ვენახის ახლოს, სამი ხის ძირას ყოფილიყო დამარხული. ორმოცი წლის შემდეგ მისი საფლავის ძებნას რომ შევუდექით, ოფრეთში ის ბერძენი მღვდელი მოვინახულეთ, რომელსაც პაპაჩემისათვის ანდერძი აეგო... ლოგინში მწოლიარე დაგვხვდა და თუმცა მოიგონა ზაქარიას საფლავის ადგილი, შეგვპირდა კიდეც, ავდგები გიჩვენებთო, მაგრამ მალე გარდაიცვალა და ეს ერთადერთი მოწმეც დაიკარგა და ხრამის პირად სადღაც ჩაიკარგა პაპაჩემი ზაქარიას საფლავიც.

ჩანს სოფლურ ცხოვრებაში უწიგნოდაც გატარებული დრო მამაჩემისათვის თურმე მთლად უნაყოფო არა ყოფილა... რა ეთქმის ძლი-

ერი შთაბეჭდილების იმ სწავლას, რასაც ადამიანი წიგნის გარეშეც უხვად იძენს სოფლური ცხოვრებიდანაც, მითუმეტეს თუ ისეთ დუბ-ჰირ, მძიმე შრომაში ატარებს ბავშვობას, როგორიც მამაჩემს ჰაბუ-კობიდანვე წილად ხვდა. ამიტომ პირველი და ყველაზე დიდი ცოდნა, რაც კი ხაშმსა და წერაქვში მიიღო და ცხოვრებაში გამოადგა, შრო-მის დიდი უნარი იყო. სწორედ მევენახეობის ხაშმმა, მეჯოგეობის წერაქვმა და მისი ადამიანების ამტანიანობამ მრავალმხრივ განსაზღ-ვრა მამაჩემის პიროვნებაში ქართველი გლეხისათვის დამახასიათებელ მიწის სიყვარულთან ერთად ჯიუტ შრომაში შემუშავებული უტეხი ნებისყოფა, გამძლეობა და ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის მოქმედი სული, რაც მას ცხოვრების გზას უნათებდა.

ამიტომ ბავშვობიდანვე ხასიათში ჩაკირულმა საკუთარი ძალის რწმენამ შეაძლებინა თავზე დატეხილი უკეთურებანი და ყოველგვარი დაბრკოლებანი შეუპოვრად გადაელახა. სწორედ სოფელ ხაშმისა და წერაქვის ეს გლეხური ყოფის გარემო, ბუნებით ნაკარნახევი თავისი დაუწერელი ხალხური სიბრძნის კანონები იყო მისი პიროვნული შე-უვალობის საფუძველი, რითაც მასში ბოლომდე ჩამოყალიბდა ადა-მიანურ ღირსებათა პატივის დიდი გრძნობაც, როგორც საკუთარი პი-როვნების, აგრეთვე სხვათადმი, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი: ეს იყო მისი ჭეშმარიტი დემოკრატიზმის სათავეც, საიდანაც მან შე-ისისხლხორცა ცხოვრების უბრალოება, რაც მას ზოგჯერ მკაცრსაც ხდიდა საკუთარი თავისადმიც, მაგრამ არა მედიდურს, ამპარტავანსა და თავკერძს. ამიტომაც მას უყვარდა ადამიანები და იცოდა მხოლოდ სიკეთის დამახსოვრება და არა ბოროტებისა, რის მაგალითი მან თა-ვის პირად ცხოვრებასა თუ საზოგადო მოღვაწეობაში ბევრჯერ გვიჩ-ვენა.

თბილისში — სწავლა-განათლების გზაზე. ზაქარია ჭიჭინაძესთან დამეგობრება

ვიდრე ქალაქში ჩავიდოდა, მამაჩემს ქართული ანბანი ბეჭის ძვალ-ზე დედისაგან ჰქონდა ნასწავლი და ისე გამოვიდა, რომ სწავლას მო-წყურებულმა ჰაბუკმა მაშინდელი უწიგნური სოფლის ტყვეობას მხოლოდ მაშინ დააღწია თავი, როცა თბილისს ჩამოვიდა სასკოლო განათლების მისაღებად, მშობლები გარდაეცვალა. ერთი სიტყვით, ობლად დარჩენილმა სოფელი მიატოვა და მხოლოდ საკუთარი თავის მოიმედემ ბედის საძებნელად თბილისს მიაშურა.

ყოველთვის მადლიერების გრძნობით იგონებდა მამაჩემი ქაშვე-თის ეკლესიის ეზოში მცხოვრები პავლიაშვილების კეთილ ოჯახში

რამდენიმე ხნით ყოფნას, აგრეთვე მთაწმინდის სკოლის მასწავლებლის გრ. პაპიტაშვილის მზრუნველობას, — რომელმაც შინამოსამსახურედ მამყოფა და რა შემატყო სწავლის სიყვარული, მონდომება და ნიჭი, ხელს მიწყობდა სკოლურ განათლებაში ჩემი ხანგრძლივი ჩამორჩენა მალე გამომესწორებინაო.

ამრიგად, ნამწყემსარმა ჭაბუკმა მათი დახმარებით ჩქარა აუღო ალღო წიგნებს, განათლების სიკეთეს, ქალაქური ყოფა-ცხოვრების სტილს და დღე-ღამეს ასწორებდა, რომ წლოვანების მიხედვით შესაფერისი ცოდნის დონეს დაწეოდა. მისმა მონდომებულმა მეცადინეობამ მალე ნაყოფი გამოიღო, მით უმეტეს, რომ თუ მანამდე ერთი რუსული სიტყვაც არ იცოდა, მალე თავის ქალაქელ ამხანაგებსაც გაასწრო, ისე, რომ 1891 წელს სახელოსნო-საზეინკლო სასწავლებელში მცირე სტიპენდიაზედაც მოეწყო, სადაც შეძლო სკოლასა და ბიბლიოთეკაში ყოველდღიური ინტენსიური მეცადინეობით, სამაგალითო ყოფაქცევით, ბეჯითობითა და მოსწრებულობით საერთო ყურადღების დამსახურებაც.

სახელოსნო სასწავლებელს მამაჩემი თავის „ალმა მატერს“ უწოდებდა და იქ ყოფნა მისთვის მით უფრო სასარგებლო გამოდგა, რომ მოწაფეთა წრეში ჩვენი კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და რევოლუციური მოძრაობის შემდგომად ცნობილი მოღვაწენი იმყოფებოდნენ — ვასო ცაბაძე, ზაქრო ჩოდრიშვილი, ნიკო გოცირიძე, მოსე თოიძე, ვანო ვარაზაშვილი და სხვები. მათ შორის ყოფნით ისე დაწინაურდა, რომ მან სხვებთან ერთად შეადგინა და გამოსცა სკოლის მოწაფეთა ჟურნალის „თარის“ რამდენიმე ნომერი საკუთარი ლექსებით, მოთხრობებითა და წერილებით.

სამწუხაროდ, სახელოსნო სასწავლებელში სწავლების ეს ნეტარი დრო, მხოლოდ ორ კლასამდე გამიგრძელდაო, რადგან გამათავისუფლებელი იდეებით გატაცებული არალეგალური ლიტერატურის კითხვისა და მოწაფეთა აკრძალულ წრეებში მონაწილეობისათვის, როგორც არასაიმედო პიროვნება, გამომრიცხესო...

მაგრამ ამ დარტყმით არ დაიბნა, — სწავლა-განათლების გემოსა და სარგებლობას უკვე კარგად ჩახვდომილმა, პროგრესული, რევოლუციური იდეებით გათვითცნობიერებულმა გული არ გაიტეხა და ქვეყნის ჭირ-ვარამზე ფიქრით ანთებულმა, იმ გადაწყვეტილებით, რომ სამშობლოს, ხალხის განთავისუფლების დიადი საქმისათვის შეეწირა თავი, მეცადინეობაზე ხელი არ აიღო. მთელ დროს კითხვას ანდომებდა, ბეჯითი შრომით, თვითგანვითარებით გაიკვლია გზა, იმ დროის კვალობაზე განათლებულ მწიგნობართა რიგში ჩადგა, სახალხო ტრიბუნის სახელი დაიმსახურა და საკუთარი წიგნების ავტორი შეიქმნა.

მისთვის ბიბლიოთეკებში მეცადინეობასთან ერთად, სასარგებლო გამოდგა ქართულ თეატრში სიარული და თბილისის სახელოსნოებსა და ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან დაახლოება, რომელთა რიგებში დღეს-ხვალ თვითონაც უნდა ჩამდგარიყო. საკუთარი გზის ასეთ ძიებაში რომ იყო, იგი შეხვდა წიგნით უცნაურ მოვაჭრეს, სახალხო მწიგნობარს, რომელიც თუ მუშტარს ფული არა ჰქონდა, წიგნს უფასოდ აძლევდა. ეს იყო მაშინდელ საზოგადოებაში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სახალხო წიგნების გამომცემელი ზაქარია ჭიჭინაძე. მასთან შეხვედრა-დაახლოება მამაჩემის მთელი შემდგომი ცხოვრება-მოღვაწეობისათვის, მისი პიროვნების ფორმირებისათვის თავიდანვე განსაკუთრებით კეთილმყოფელი გამოდგა და აკი ამ პირველი შეხვედრიდანვე განუყრელად დამეგობრდნენ კიდეც.

მათი მეგობრობა დაიწყო ჯერ კიდევ ზაქარიას დედის ხორეშანის სიცოცხლეში, როდესაც თვითონ ზაქარიას ჯორჯაძის ქუჩის ბოლოში წიგნის სავაჭრო ჰქონდა. ზაქარიას ბინაზე სიარულმა მამაჩემს მთაწმინდა შეაყვარა და ჩაის სმას შეაჩვია. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ თითქოს უმნიშვნელო მოვლენებმა ერთგვარად განსაზღვრეს მამაჩემის მომავალი ცხოვრების წესი და საკუთარი ოჯახის მოწყობაც. პირველი ის იყო, რომ ზაქარიასთან ახლოს ყოფნის მიზნით მამაჩემი ვანქის უბნიდან მთაწმინდაზე, პრიუტის (კოტე მესხის) ქუჩაზე გადმოვიდა საცხოვრებლად ვინმე ჯალალოვის სახლში, რომლის პირდაპირ ნიკოლოზ ჟურულის სახლი იდგა, იმ ჟურულისა, რომელიც მერე ჩემი პაპა უნდა გამხდარიყო, რადგან მისი ქალიშვილი ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის დედაჩემი, ანა, მამაჩემს პირველად აქ დაენახა და იმთავითვე გადაწყდა ორიევს ბედიც. აქვე აღსანიშნავია ზაქარიას ის კეთილმყოფელი გავლენა, რომ მამაჩემმა მის შემდეგ ღვინო ყოველდღიურობაში ჩაით შეცვალა, რამაც დიდი სარგებლობა მოუტანა, — თავიდანვე აერიდა ღვინის ზედმეტ სმას, რითაც სამუშაოდ მეტი დრო ეზოგებოდა. ზაქარიას ბინაზე ჩაის კულტის არსებობას, მის სიმბოლურ გააზრებაში, მამაჩემმა საინტერესო ნარკვევი უძღვნა: „ზაქარია ჭიჭინაძის სამოვარი“.

თვითგანვითარებას დაწაფებული გუშინდელი სოფლელისათვის, როგორიც იყო მაშინ მამაჩემი, მართლაც დიდი მაგალითი იყო ხალხის განათლებისათვის თავდადებული მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე, რომლის წაქეზებითა და ხელისშეწყობითაც მთლიანად ჩაება მწერლობის, ჟურნალისტიკისა და ახალი მოძრაობის საქმიანობაში. ხალხურ ტრადიციებზე აღზრდილ ამ ორ პიროვნებას შორის ურთიერთ განუსაზღვრელმა სიყვარულმა, ნდობამ და თანაგრძნობამ სიკვდილამდე გასტანა და მათი მეცადინეობით არაერთი საზოგადოებრივი

საქმე იყო წამოწყებული და დაგვირგვინებული ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

ზაქარია ჭიჭინაძე, როგორც ცნობილია, უცოლშვილოდ დაბერდა და თავის ბინაზე იფარებდა უბინაო, ხელმოკლე ინტელიგენტებს, ცოდნით დაინტერესებულ ახალგაზრდობას, უმთავრესად ახალი მოძრაობის მიმდევრებს, რომელთაც რაიმე მიზეზით სხვა თავშესაფარი და სახსარი არა ჰქონდათ, ან იმალებოდნენ, პურის საჭმელად, ანდა ღამის სათევად მიაკითხავდნენ ხოლმე. ამრიგად, მის ბინაზე დროდადრო ყოველთვის ვინმე იყო ხოლმე შეხიზნული. აქ ხშირად სტუმრობდნენ ღამის სათევად მეცნიერები — პროფ. ალ. ცაგარელი, ნიკო მარი, მწერლები — ეგნატე ნინოშვილი, პოლიტიკური მოღვაწენი, მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც — ს. ჯიბლაძე, ის. რამიშვილი, ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია და სხვები. ამიტომ ზაქარია ახლოს იცნობდა ჩვენი კულტურის, მეცნიერებისა და რევოლუციური მოძრაობის ბევრ მოღვაწეს, ყველასთან იყო გაშინაურებული, ერთმანეთის დამაახლოვებელი და ნაჩხუბრების შემარიგებელი, თუნდაც ისინი მოწინააღმდეგე ბანაკებს ჰკუთვნებოდნენ.

მამაჩემმა კი რაკი ერთხელ ფეხი შედგა ზაქარიას წიგნებით გამოტენილ ბინაში, მისი მემუდმივე გახდა, ისე, რომ ვიდრე ცოლს შეირთავდა, ზაქარიას დედას ხორეშანს მეორე შვილად ჰყავდა მიღებული.

ზაქარიას და იოსების მეგობრობა მართლაც სამაგალითო და სასარგებლო იყო ორივესათვის, მათ მთელი ცხოვრება ერთმანეთის შემწეობასა, პატივისცემასა და სიყვარულში გაატარეს და ყოველი გაჭირვების დროს ერთმანეთის გვერდით იდგნენ ხოლმე. ეს ეხება როგორც საზოგადოებრივ საქმიანობაში ერთმანეთის დახმარებას, ისევე პირად ყოფა-ცხოვრებაში ხელის შეწყობას. მათ მეგობრობას თავიდანვე მჭიდროსა ხდიდა იდეოლოგიური ერთიანობა, ქართველი ერის აღორძინების მიზნის გაგება, ხალხის დიდი სიყვარული და მისთვის უანგარო სამსახური.

ზაქარიას დიდი მემკვიდრეობა დარჩა, რომელშიაც ბევრი სასარგებლო ცნობაა ქართული ისტორიის, კულტურისა და მწერლობის შესახებ, თუმცა მის ნაწერების მეცნიერულ ღირსებას ერთგვარად ეჭვით უყურებდნენ იმიტომაც, რომ თავის წყაროებს ეს ორიგინალური, თვითნასწავლი მკვლევარი ჩვეულებრივ არ ასახელებდა. ამის შესახებ მამაჩემისა თუ ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ასახელებს წყაროებს, მოკლედ იძლეოდა პასუხს, — მე რომ ჩემი წყაროები დავასახელო, ვიცი, მე თვითონ აღარავინ დამასახელებსო...

ამ დაუღალავ და უპრეტენზიო მწიგნობარს მაინც ეღირსა დაფასება და აღიარება. მას ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის გადაუხადეს

იუბილე, მნიშვნელოვანი იმითაც, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართველ მოღვაწეს საბჭოთა მთავრობამ გადაუხადა. იგი შედგა 1923 წელს ოპერის თეატრში და მის მოწყობაში „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციამ დიდი მონაწილეობა მიიღო. ჭიჭინაძის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საიუბილეო-ბიოგრაფიული ნარკვევი, რომელიც პატარა წიგნაკის სახით გამოვიდა ჩვენი რედაქციის დახმარებით, გალაკტიონ ტაბიძემ დაწერა, რომელსაც კორექტურის სწორებაში პირადად მე ვუშველე. იუბილეს დღეს ასეთი კურიოზიც მოხდა: კულისებში არა ჩანდა იუბილარი, ფარდის აწევას აგვიანდებოდა. მამამ გარეთ გამგზავნა მის მოსაძებნად. თურმე თეატრის შესავალში იდგა და უბილეთობის გამო კონტროლიორი შიგნით არ უშვებდა, რომელსაც ვერ წარმოედგინა, რომ სწორედ ეს მოხუცი იყო იუბილარი.

ზაქარია ჭიჭინაძეს საბჭოთა ხელისუფლების სახელით მისასალმებელი სიტყვით ბუდუ მდივანმა მიმართა. მშვენიერი ქართულით, ოდნავ მკახე ხმით მეტყველებდა, ისე რომ მთელ დარბაზში მკაფიოდ ისმოდა და იგრძნობოდა, რომ ოდესღაც არტისტი იყო... სიტყვას რომ ამთავრებდა და თქვა — ძვირფასო ზაქარია! კიდევ 50 წელი იცოცხლე და საბჭოთა ხელისუფლება კიდევ გადაგიხდის 50 წლის იუბილესაო, ამაზე დარბაზში აქა-იქ თავშეკავებული სიცილი გაისმა, რაც მაშინდელ პოლიტიკურ სიტუაციასა და განწყობილებაში საზოგადოების ნაწილის ეჭვის გამოხატულებას, კითხვის დასმას ნიშნავდა... ორატორი ერთ წამს თითქოს შეკრთა კიდეც, მაგრამ არ დაიბნა და მაშინვე უფრო მეტი ხმითა და ხალისით განაგრძო — აი, ხედავთ, ზოგიერთებს ეცინებათ, ალბათ იმედი არა აქვთ, არა სჯერათ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება 50 წელს გასძლებს, მაგრამ ეს ამხანაგები ცდებიან, ჩვენ ვეცდებით, რომ გავძლოთ და ასეთი იუბილეები შემდგომშიაც გადავიხადოთო!

ზაქარია ჭიჭინაძე ჩვენს ოჯახში ბავშვობიდან მახსოვს, მითუმეტეს მას შემდეგ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს, რაც მე და ჩემი ძმა შალვა ყოველდღიურად რედაქციაში ვიყავით ხოლმე სამუშაოდ. ზაქარია ჩვენი ჟურნალის მუდმივი თანამშრომელი იყო და ყოველ საქმეზე უთუოდ მამაჩემს ეთათბირებოდა. ბოლო ხანებში რაკი კარგად ვეღარ ხედავდა, მეხსიერებაც შეუსუსტდა და სწორი ქართული წერაც უჭირდა, თავისი ნაწერების სტილისტურ რედაქციას მანდობდა ხოლმე.

ბოლო ხანებში ზაქარია ჭიჭინაძე უსაშველოდ დაბერდა, დაუძლურდა, უცოლშვილობაში გაუჭირდა, ყოველდღიური მზრუნველი არა ჰყავდა და სიბერე-მარტოობაში ჩავარდნილს თავის ძველ მეგობარს, როგორც კი, შეეძლო, მამაჩემი უვლიდა და სიკვდილამდე არ მოსცილებია.

გამათავისუფლებელ მოძრაობაში

გასული საუკუნის ბოლოსთვის იოსებ იმედაშვილმა არათუ საკმაოდ, საფუძვლიანად დასძლია სკოლური განათლების ჩამორჩენა და მშობლიური მწერლობის, საქართველოს, მსოფლიო ისტორიისა და არალეგალური პოლიტიკური ლიტერატურაც გაიცნო. იგი დიდი გულისყურით ეტანებოდა აგრეთვე ფილოსოფიურ ლიტერატურას, სამართლის მეცნიერებას, კულტურის ისტორიას. მისი სწრაფი გათვითცნობიერების შედეგი ისიც იყო, რომ მალე დაიწყო მაშინდელ გაზეთებში კორესპონდენციებისა და ნარკვევების ბეჭდვა ჩვენი პროვინციის ცხოვრებისა თუ ქალაქის მუშათა ღარიბი ფენების მდგომარეობის საკითხზე. ამ ხანის მისი მიზნებისა და ეროვნულ-დემოკრატიულ შეხედულებათა ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამოციანელთა ეროვნულ იდეოლოგიას. ამასთან ერთად ზაქარია ჭიჭინაძის წრეში პირადად გაიცნო ეგნატე ნინოშვილი, მაქსიმ გორკი, რკინიგზის სახელოსნოებში კი მ. კალინინი და სხვა მოწინავე მუშები და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებთანაც ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა.

სწორედ ამ ხანებში ყალიბდებოდა საქართველოში მებრძოლი ორგანიზაციები და მამაჩემიც დაუახლოვდა მუშებისა და გლეხობის რევოლუციურად განწყობილ წრეებს მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ თავისი მომავალი ცხოვრება ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლასთან დაეკავშირებინა. ამ მიზნით იგი 1892-93 წლებიდან ჩაება არალეგალურ მუშაობაში და აქედანვე იწყება მისი დაძაბული საზოგადოებრივი მოღვაწეობაც კულტურის, პრესის, პროგრესული ლიტერატურის გამოცემის თუ მუშათა თეატრების საქმიანობაში. ამავე ხანებიდან რკინიგზის სახელოსნოებსა, ადელხანოვის ფაბრიკისა თუ სხვა სარეწაოთა მუშებს შორის აერცელებდა ფარულ ლიტერატურას, ეწეოდა აგიტაციას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ჩქარა გახდა პოპულარული როგორც აქტიური პროპაგანდისტი.

ეს იყო საზოგადოების პროგრესულად განწყობილი ფენების გამოცოცხლების, პირველი რევოლუციის მოახლოვების დრო, როდესაც ნათელი მომავლის იდეალებით აღფრთოვანებული ხალხი თვითმპყრობელობასთან შებრძოლებისათვის ემზადებოდა. იოსებ იმედაშვილი მიტინგებზე გამოსვლებით მით უფრო ახდენდა შთაბეჭდილებას, რომ ქართულ-რუსულის გარდა, სომხურ-თათრულ ენებზედაც თავისუფლად ლაპარაკობდა, რომელთაც ბავშვობიდანვე კარგად ფლობდა. ამიტომაც მთელ მის შემდგომ მოღვაწეობაში მან სამართლიანად დაიმსახურა სახალხო ტრიბუნის სახელი. გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით, უშუალო, ყოველთვის გაბედული, ხალხური მეტყველების თავი-

სებურებებით, როგორც საჯარო იმპროვიზირებულ გამოსვლებში, აგრეთვე ფართო აუდიტორიებში სპეციალური ლექციების კითხვით.

თქმა არ უნდა, მსმენელზე მისი ძლიერი ზემოქმედების ასეთი უნარი იმაში მდგომარეობდა, რომ მის პიროვნებაში თანაზომიერად იყო შეერთებული ქართველი გლეხის, მუშისა და ინტელიგენტის საუკეთესო თვისებები და ყველა მათგანისათვის თანაბრად გასაგები ხდებოდა, სოციალური და ეროვნული საკითხების სადა ინტერპრეტაციით. იგი ყოველგვარი ტრაფარეტული პროგრამულობისა და ზედმეტი ფრაზეოლოგიური ორნამენტულობის გარეშე ქადაგებდა სამშობლო ქვეყნის სიყვარულს, მისთვის უანგარო სამსახურს, ქართველი ერის უკეთეს მომავალს და სწამდა ეროვნული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ცხოველმყოფელობა.

ყოველივე ამის საფუძველი ის იყო, რომ მან თავისი ცხოვრების გზა, მწყემსობიდან დაწყებული, მწიგნობარ საზოგადო მოღვაწემდე, თავდადებულ უანგარო შრომაში განვლო, რასაც იგი უპირველეს ყოვლისა ქართველი ხალხის სამსახურს უფარდებდა. გლეხისა და მუშის უკეთ გაცნობისათვის იგი ყოველთვის ცდილობდა მათ შორის ყოფნას, რომ უშუალოდ შეესწავლა მათი ყოველდღიური ცხოვრების ავ-კარგი. მისთვის მთავარი იყო უტყუარი წარმოდგენა ჰქონოდა მშრომელი ხალხის ეკონომიკურ-კულტურულ მდგომარეობაზე, რომ ყოველი ღონე ეხმარა მათ დასახმარებლად. მისმა დაუცხრომელმა ცნობისმოყვარეობამა და გულისყურმა ქართველი ხალხის კულტურული ტრადიციებისაგან თავის სახელმძღვანელოდ შეითვისა ყოველივე ამაღლებული და ჰეშმარიტი, რაც კი შეუქმნია საუკეთესო ჩვენი ხალხის სიბრძნეს, ჩვენი ისტორიის, მწერლობის, ხელოვნების მიღწევებს, ქართველი ადამიანის სულისა და ხასიათის გამოხატულებაში.

ხანგრძლივ პოლიტიკურ-პუბლიცისტურ მოღვაწეობაში, თვითმპყრობელური რეაქციის სულისმხუთავი პირობების — ცენზურული დევნის, ციხისა და კატორღის მუქარის მიუხედავად, იგი უშიშრად მიიწევდა ეროვნული იდეოლოგიით ერთხელვე აღთქმული მიზნისაკენ და ისტორიულ საკითხებზე გაუთავებელ კამათს არ ანაცვალებდა ხალხის ჰეშმარიტ მოთხოვნილებებს, დამოუკიდებლობის, ეროვნული კეთილდღეობის იდეებს, გეზს არ შეიცვლიდა და საზოგადოებრივ ასპარეზზე ყოველგვარ საქმეს, რაც უნდა ძნელი ყოფილიყო, მთელ ძალღონეს შესწირავდა და ბოლომდე მიიყვანდა. ჩვეულებრივ პირად დამოკიდებულებაში ყველასადმი კეთილმოსურნემ სამშობლო ქვეყნისა და ქართველი კაცის უსაზღვრო სიყვარულში მან არ იცოდა დათმობა და ჩვენ მტრებთან არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა, არ ახდენდა არჩევანს. მისთვის ყველაფერზე მაღლა იდგა ერი და იგი არასოდეს არ დაღლილა ქართული საქმის სამსახურში, რადგან მისთვის ეროვ-

ნული, საზოგადოებრივი ინტერესი მისი სიცოცხლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა და იგივე წარმართავდა მთელი მისი მოღვაწეობის ყოველ ნაბიჯს.

ამის მაგალითი არა ერთია მის ბიოგრაფიაში. როდესაც კი ქართველი ხალხის ინტერესი რაიმეთი იღახებოდა და საჭირო ხდებოდა დაუყოვნებელი მოქმედება, იგი გაბედულად ეგებებოდა ყოველგვარ საშიშროებას, თუნდაც სიკვდილს. ამ თვალსაზრისით უპრეცედენტოა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში მის მიერ ამხედრებული გარეკახეთის გლეხთა წარმომადგენლების თბილისში ჩამოყვანა, როდესაც იგი მეფის ნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს მოთხოვნილებით წარუდგა, რომ გურიიდან გამოეყვანათ მთავრობის მიერ ხალხის დასარბევად გაგზავნილი ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარები.

მაშინ რევოლუციური მოძრაობით შეშფოთებული მთავრობა დათმობაზე წავიდა, გურიაში შეწყდა ხალხის აწიოკება, მაგრამ შავი რეაქციოს ჟამს იოსებ იმედაშვილს რევოლუციური მოღვაწეობისათვის პასუხი აგებინეს. 1910 წელს გაასამართლეს და ოთხი წლის კატორღა მიუსაჯეს, რასაც ქვემოთ ცალკე შევეხებით.

მუშათა თეატრების დაარსება

XIX საუკუნის ბოლო ათეულ წელს ქართველობას ეროვნული კულტურის — პრესის, წიგნის, თეატრის შესამჩნევი გამოღვიძება დაეტყო, რამაც გამოხატულება ჰპოვა საზოგადოების დაბალ ფენებშიც. 1893 წელს მოწინავე მუშების ინიციატივით თბილისში ე. წ. ავჭალის აუდიტორიაში საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ სახალხო მუშათა თეატრს, რომლის წესდების შემდგენი და პირველი რეჟისორი იოსებ იმედაშვილი იყო. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ თეატრის საფუძველზე შემდგომად ცნობილი სახალხო სახლი შეიქმნა.

მაგრამ მანამდე, როგორც იმედაშვილი აღნიშნავდა, ქართული თეატრი ჩვენი სულიერი საზრდოს მომნიჭებელი და აღმზრდელი, რომელიც ილია ჭავჭავაძის შთაგონებითა და მონაწილეობით იყო დაარსებული, საადგილმამულო ბანკის თავადაზნაურთა ქარვასლის შენობაში მდებარეობდა და მდაბიო ხალხისათვის მიუწვდომელი იყო. მუშა ხალხს ესაჭიროებოდა მისი უშუალო ინტერესების გამომხატველი, იდეურად უფრო ახლობელი, ნამდვილი მუშურ-გლეხური თეატრი მარტივი წარმოდგენებით, რომლის შექმნა წილად ხვდა თბილისის სახელოსნო სკოლაში აღზრდილ, იდეურად და ეროვნულ-დემოკრატიული მისწრაფებებით გამსჭვალულ ახალგაზრდა მოწინავე მუშების თაობას, რო-

მელმაც ჩამოაყალიბა „სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა“ და უფასო წარმოდგენების მართვას შეუდგა.

1893 წელს დაარსებულ ავჭალის მუშათა თეატრის საწყისად მაინც უნდა ჩაითვალოს 90-იან წლებში იოსებ იმედაშვილის ხელმძღვანელობა-რეჟისორობითა და დავით ახალკაცისა და ვასო რაქვიაშვილის მონაწილეობით, გიორგი ერისთავის „ძუნწის“ დადგმის განხორციელება. შემდგომად მათთან ერთად, ვასო თევდორაშვილის, ისაკ ძნელაშვილის, გიორგი ჯაბაურის, დავით მშველიძის, ვანო სუხიშვილის მეცადინეობით, წარმოდგენების სისტემატური გამართვისათვის ხორველობის დროს მალაკნების ქუჩის მოედანზე საჩაიედ აგებული გრძელი შენობა იყო გამოყენებული, რომელიც ნიკო ლომოურის ცოლის ძმის, სახალხო მოღვაწეობით ცნობილი ექიმის ი. ხუდადოვის საკუთრება იყო. მისი დახმარებით, ამ შენობაში მოეწყო სცენა და პირველი წარმოდგენა 1893 წელს ალ. ცაგარელის პიესით, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ გაიმართა. „თეატრს ქალები აკლდნენ, რადგან ქალის სცენაზე გამოსვლა მაშინ სამარცხვინოდ ითვლებოდა, ისე რომ პირველად ქალის როლი ძლივს-ძლივობით სამ მანეთად დაქირავებულ, წერა-კითხვის უცოდინარ მოსარეცხე დედაკაცს შევასრულებინეთ, რომელსაც ზეპირად შევასწავლეთ მთელი როლიო“. მუშათა თეატრი ჩქარა პოპულარული გახდა და ინტელიგენცია და თეატრის პროფესიონალური მსახიობნი მათ წარმოდგენებს ალმაცერად აღარ უყურებდნენ და ესწრებოდნენ კიდეც, მით უმეტეს, რომ რეპერტუარიც თანდათან გაიზარდა მხატვრული შემსრულებლობის ზრდასთან ერთად. მათ უკვე შესძლებიათ დაედგათ ყაზბეგის „არსენა“, გუნიას „და-ძმა“, რაფიელ ერისთავის „ადვოკატები“, ავქ. ცაგარლის „ციმბირელი“, სუნდუკიანის „პეპო“, „ხათაბალა“.

ამ მუშათა თეატრს ყურადღებითა და თანაგრძნობით ეკიდებოდნენ გიორგი წერეთელი, მარიამ დემურია, გიორგი ლასხიშვილი, ივანე მაჩაბარიანი და სხვები. თვით სუნდუკიანს მოსწონებია „პეპოს“ წარმოდგენა, რომელშიაც ეფემიას როლი ნინო ნაკაშიძეს შეუსრულებია, მსახურისა კი ნინოს მეუღლეს ილია ნაკაშიძეს, თეატრის სცენისმოყვარეთა წრე ივსებოდა ნამდვილად ნიჭიერი ახალგაზრდებითაც. შემდგომ წარმოდგენებში მონაწილეობდა ნ. გოცირიძე, რომელიც მერე ცნობილი მსახიობი გახდა. თეატრის რეპერტუარი გაიზარდა ახალი ორიგინალური პიესებით, როგორიც იყო პოლიო ირეთელის „დამარცხებულნი“, „ქრისტინე“, ტრ. რამიშვილის „მეზობლები“, „შეშლილები“, „ექიმი ამირბაჯიანი“. მუშათა თეატრის წარმოდგენებს წერილები უძღვნეს „კვალმა“, „ივერიამ“, გაზ. „ნოვოე ობოზრენიემ“. ამ დროისათვის ისე გაიზარდა სისტემატურად მოსიარულე მაყურებელი, რომ თეატრის ახალი სპეციალური შენობის აგებაზე დაიწყეს

ოცნება, რადგან „ავჭალის აუდიტორია“ ვეღარ იტევდა წარმოდგენებზე მოზღვავებულ მაყურებელს და ამ მიზნით შემოწირულების შეგროვებაც კი დაუწყიათ.

ავჭალის მუშათა თეატრის წარმატებასთან დაკავშირებით მეტი არ იქნება აღინიშნოს ის საგულისხმო ფაქტიც, რომ იმ ხანებში, 1893—1897 წლებში პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძეს იოსებ იმედაშვილისათვის მიუმართავს თხოვნით, რომ „საერთო საქმის“ სასარგებლოდ თბილისის რომელიმე თეატრში ერთი მაღალფასიანი წარმოდგენა გაემართა. იმედაშვილს არ დაუხანებია და თვითონ ალიოშა ჯაფარიძესთან შეთანხმებით დასადგმელად გუნიას პატრიოტული მოტივებით ცნობილი „და-ძმა“ აურჩევიათ — ხალხი უფრო დაინტერესდება და ბლომათ დაესწრებიანო. წარმოდგენა პლეხანოვის გამზირზე „ნემენცების კლუბში“ გამართულა, რომელშიაც ოტია ჯოლიას როლს იმედაშვილი ასრულებდა, გაიოზისას გ. ჯაბაური. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დასწრებია და მეორე დღეს ალიოშა ჯაფარიძისათვის 448 მანეთი ჩაუბარებიათ. მსგავსი საქველმოქმედო მიზნით არაერთხელ გაუმართავთ წარმოდგენები და მათ შორის არა მხოლოდ თბილისში, არამედ პროვინციის დაბა-სოფლებშიაც—მცხეთას, მეტეხსა, საგარეჯოსა და განჯაშიაც კი.

მუშათა თეატრი გაიზარდა, როგორც მსახიობებით, რეჟისორებით, ისევე რეპერტუარით, რეკვიზიტითა თუ დეკორაციებით და მიუხედავად იმისა, რომ იოსებ იმედაშვილი უფრო მეტად დაიტვირთა საგამომცემლო საქმით, არალეგალურ მოძრაობაში მონაწილეობითა თუ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობით, თეატრისათვის მაინც თავი მთლიანად არ გაუნებებია.

ამრიგად, მან 1901—1902 წლებში ისნის სახალხო თეატრი ჩამოაყალიბა, შეადგინა სცენისმოყვარეთა წრე, დასწერა „ხელშეკრულება და წესები ავლაბრის სცენისმოყვარეთა სახალხო თეატრის ამხანაგობისა“ და პირველი წარმოდგენა განახორციელა კიდეც 1902 წლის ნოემბერს უკვე ცნობილი რეპერტუარით. ბევრი ქება და მოწონებაც დაიმსახურა ამ თეატრმაც, მაგრამ თუ რა გაჭირვებას იტანდა სცენისმოყვარეთა თავდადებული დასი და ეს სცენაზე არ ჩანდა, ეს მათი უანგარო შრომის ნაყოფი იყო. გაჭირვება კი უაღრესი სიღარიბე იყო, როგორც პიროვნული, აგრეთვე სცენის ელემენტარული მოუწყობლობა. სიძნელეს ისიც ამძაფრებდა, რომ წარმოდგენები იმართებოდა ქალაქის ცენტრიდან განაპირა ისნის უბანში, ე. წ. „მურაშკოს სახლში“. ცუდი გზების გამო, უტრანსპორტოდ ზამთრის სიცივესა და ტალახში ფეხით სიარული აუტანელი ყოფილა, მით უმეტეს წარმოდგენის შემდეგ ისედაც დაღლილი მსახიობების დაბრუნება სახლში. ამ სიძნელეთა შესახებ ბევრი რამ გამიგია პირადად დედაჩემის, ანა ჟუ-

რულისაგან, რომელიც წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდა როგორც სცენისმოყვარე და ყველა ეს განსაცდელი, მით უმეტეს ჩვილი ბავშვის პატრონს, თვითონაც გაუნაწილებია.

ამ სახალხო თეატრებმა რევოლუციურ-ეროვნული შინაარსის წარმოდგენებით დიდი სამსახური გაუწიეს ხელოვნებასა და მწერლობას მოწყურებულ მუშების, ხელოსნებისა და გლეხობის გათვითცნობიერება-შემეცნების საქმიანობას.

ქართული თეატრის, განსაკუთრებით მუშათა და სასოფლო კლუბების რეპერტუარის გაფართოება-შექმნისათვის ი. იმედაშვილმა დაარსა ორიგინალური და ნათარგმნი პიესების კრებულების სერია: „ცხოვრების სარკე", რომლის პირველი წიგნი 1899, მეორე 1901 წელს გამოიცა, მესამე კრებულის ნახევარიც აწყობილი იყო, რომ 1904 წელს მისი შემდგენელის პირველი დაპატიმრების გამო კონფისკაციით შეჩერდა და შემდეგ აღარც გამოცემულა. ამ კრებულებში დაბეჭდილია მაშინ ჩვენი თეატრების სცენებისათვის პოპულარული ქართული თუ თარგმნილი პიესები — გუცკოვის „ურიელ აკოსტა", დოდეს, სუნდუკიანის, ა. ცაგარლის, ვ. აბაშიძის, ი. მაჩაბლის, დ. აწყურელის, დ. მესხის, კ. ყიფიანის, დ. ნახუცრიშვილის, ა. აზიანის პიესები. ამასთან ერთად, კრებულებს ერთვის ი. იმედაშვილის ნარკვევი: „ქართული თეატრი და მისი მსახიობ-მოღვაწენი" სურათებით, ბიოგრაფიებით, მათივე შემოქმედების დახასიათებით (I, გვ. 209—232; II, გვ. 387—418) და სია ქართული სცენისათვის ნებადართული პიესებისა (პირველში 238, მეორეში 46 პიესა). პიესების ამ კრებულებმა ჩვენი დრამატურგიული ლიტერატურის სიღარიბეში დიდი სამსახური გაუწიეს როგორც თბილისის, აგრეთვე პროვინციის თეატრებს.

იმავე ხანებში ი. იმედაშვილმა პირველმა ამოიღო ხმა თეატრალური მუზეუმის დაარსების საჭიროებაზე, რასაც შემდგომ „თეატრი და ცხოვრებაში"[1] სპეციალური მეთაური უძღვნა (1914, 30, III, № 4). აქ აღნიშნულია თეატრალური მუზეუმის მიზანი, დანიშნულება და საქმიანობა. მისი აზრით, უნდა შეკრებილიყო ყოველგვარი მასალა, რაც თეატრსა და მის მოღვაწეთ ეხებოდა, რომ დაღუპვას გადარჩენოდა თეატრალური ხელოვნებისა და მის მსახურთა ცხოვრება-მოღვაწეობის ნივთიერი თუ ბეჭდვითი საბუთები (მსახიობების, რეჟისორების, დრამატურგების. დადგმების ძველი სურათები, ალბომები, აფიშები, პროგრამები, მიწერ-მოწერა, ბენეფისები, იუბილეები, მიძღვნილი ადრესები, სიტყვები, მოგონებანი და სხვ.).

---

1 ციტატები, რომლებსაც მხოლოდ თარიღი და ნომერი აქვთ მითითებული, მოტანილია ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებიდან".

როგორც შემდგომ იგონებდა მსმაჩემი, სათეატრო მუზეუმის დაარსების აზრი მისთვის უფრო იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ ქართული კულტურის ყოველგვარი სამახსოვრო ნივთი, რომელიც კი რაიმე ნიშნით ჩვენ ეროვნულ სახეს აჩენდა და უნდა შენახულიყო, ჩვენივე საერთო უყურადღებობით ისპობოდა. სწრაფად, ადვილად, დანაშაულებრივი დაუდევრობით ნადგურდებოდა საუკუნეობრივად შექმნილი, ეროვნული სტილით აღბეჭდილი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, სამკაულები, ტანისამოსი, ნაქარგობა, ფარდაგები, ჭურჭლეულობა, ავეჯეულობა, სარტყლები, და ყველას დასანახად ინგრეოდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. ე. ი. ისპობოდა ყოველივე ის, რასაც ეროვნული შემოქმედების კვალი ჰქონდა და ჩვენი ისტორიისათვის ღირებულებას შეიცავდა.

რაც შეეხება ქართული თეატრის სამახსოვრო სიძველეთა დაცვას, მისი საიმედო შენახვის ორგანიზაცია უფრო მას შემდეგაც გახდა აუცილებელი, როდესაც მოულოდნელად 1914 წელს ქართული თეატრის შენობა დაიწვა და მასთან ერთად განადგურდა მრავალი ძვირფასი ექსპონატი ჩვენი თეატრისა, მწერლობისა და დრამატურგიისა, რადგან იმავე შენობაში იმყოფებოდა რამდენიმე ქართული სარედაქციო-საგამომცემლო დაწესებულება და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც თავისი საწყობებით და უნიკალური ნივთებით.

სათეატრო მუზეუმი საჭირო იყო თუნდაც იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ქართული თეატრის ჯეროვანი ისტორიის დაწერა. ამ უბედურების შემდეგ, როდესაც მაინც დაარსდა ქართული სათეატრო მუზეუმი, მამაჩემმა საჭიროდ ჩათვალა, და რაც კი ჰქონდა მოგროვილი თეატრის საისტორიო მასალა, ხანძარს გადარჩენილი ან შემდეგ მოპოვებული, 1922 წელს თეატრალური მუზეუმის დირექტორს დავით არსენიშვილს გადასცა.

რაც შეეხება თვითონ ქართული თეატრის ისტორიას, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრების“ დაარსებიდან მოყოლებული, იოსებ იმედაშვილი მის შესახებ სხვადასხვა ასპექტით სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს, მიმოხილვებს, ნარკვევებს თუ მოგონებებს, როგორც პროფესიონალი თეატრების, აგრეთვე სასოფლო კლუბების სცენისმოყვარეთა მუშაობის საკითხებზე. იგი ამავე მიზნით „ქართული თეატრის ისტორიის“ შედგენა-გამოცემისათვის ადრევე აღნიშნავდა, რომ „ქართული თეატრის ღვაწლი ჩვენი სამშობლოს გათვითცნობიერებაში იმდენად დიდია, ჩვენი ერის შედუღება-გაერთიანებაში ეგოდენი ამაგი მიუძღვის, რომ მიუტევებელი ცოდვა იქნება, თუ ღირსეულად არ აღვწერთ და არ დავასურათხატებთ ამ ჩვენი უწმიდესი ტაძრის თავგადასავალს, მის თანდათან ზრდა-განვითარებას“ (1915, № 1, გვ. 13—14).

ამ მოსაზრებით „ქართული თეატრის ისტორია“ შემდეგი შინაარსით უნდა შედგენილიყო: ა) საზოგადო მიმოხილვა; ბ) თეატრი უძველესი დროიდან მე-XVIII საუკუნის დასასრულამდე; გ) მეცხრამეტე საუკუნე: პირველი ნახევარი, მეორე ნახევარი; დ) თანამედროვე თეატრი; ე) ქართული დრამის ისტორია; ვ) მუდმივი სცენის აღორძინება; ზ) დრამატული საზოგადოებანი (თბილისსა თუ სხვაგან); თ) წარმოდგენები დაბა-სოფლებში; ი) სახალხო თეატრი; კ) დრამატიულ ნაწარმოებთა ნუსხა; ლ) ბიბლიოგრაფია; მ) კრიტიკული განხილვანი, ბიოგრაფიები, დახასიათებანი, მოგონებანი. წიგნი უნდა დასურათებულიყო მსახიობთა, რეჟისორთა, სათეატრო მოღვაწეთა, სცენებისა, ჯგუფებისა, ტანისამოსის, ტიპებისა და სხვა სურათებით.

დასასრულს ჩვენს ყველა მწერალსა და ქართული თეატრის გულშემატკივარს თხოვდა ხელი შეეწყოთ მისთვის ამ წიგნის შედგენა-გამოცემის საქმეში სხვადასხვა საჭირო მასალის მოწოდებით.

სახალხო წიგნის გამოცემანი

იოსებ იმედაშვილს თავის იდეოლოგიურ მრწამსთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან თუ ეროვნული გათვითცნობიერების და ეროვნული აღდგენის მიზნებთან მკაცრად ჰქონდა შეთანხმებული საკუთარი პრაქტიკული მოღვაწეობის ხასიათი ყოველგვარ სფეროსა და ყოველ ნაბიჯში. ამდენად იყო მისი მოღვაწეობა დასაწყისიდანვე გარკვეულად გამიზნული: საზოგადო სარბიელზე სახალხო წიგნის გამოცემაც, სახალხო თეატრის სცენაზე სამსახიობო, სარეჟისორო და დრამატურგიული სამუშაოც და ბუკინისტური წიგნის მაღაზიის საქმიანობაც. მისი მთავარი მიზანი ყოველთვის იყო ხალხთან დაახლოება, ახლოს ყოფნა ქალაქისა თუ სოფლის ინტელიგენციასა თუ მშრომელ მოსახლეობასთან, რომ საშუალება ჰქონოდა მეტი წარმატებით გაევრცელებინა რევოლუციური შინაარსის ლიტერატურა, რომელშიაც დასაბუთებული იყო თვითმპყრობელობის დამხობის აუცილებლობა, ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ იდეოლოგიური და ორგანიზაციული ბრძოლის მთავარი მიზნებისა და საშუალებების დასახვით.

იცოდა რა სოფლად თუ ქალაქად მცირე განათლების მქონე მუშახელოსანთა თუ გლეხობის უწიგნური ფენების სავალალო მდგომარეობა, და ისიც თუ, პირველ რიგში, რა ხასიათის წიგნი სჭირდებოდათ მათ, იგი გამოსაცემად ირჩევდა გასაგები ენით დაწერილ, ცხადი შინაარსის თხზულებებს, რომელნიც უმთავრესად ხალხის ეროვნულად გათვითცნობიერების მიზნებს ემსახურებოდნენ და აუცილებლად საჭირო პოლიტიკურ ცოდნას შეიცავდნენ. ამისათვის მან, პირ-

ველ ყოვლისა, მიზნად დაისახა პროგრესული, უმთავრესად რევოლუციური შინაარსის, იაფი საკითხავი სახალხო წიგნის ბიბლიოთეკის შექმნა. წიგნის, განათლების, ეროვნული და რევოლუციური იდეების ხალხში ფართოდ გავრცელებას იმედაშვილი ჯერ აგიტაცია-პროპაგანდის სახით, შემდეგ კი სახალხო წიგნების საკუთარი გამოცემებით ადრევე შეუდგა. მან პირველმა დაბეჭდა ცალკე წიგნებად ი. ევდოშვილის რევოლუციური შინაარსის „ლექსები და პოემები“ (1896), შიო მღვიმელის ლექსების წიგნი „ნატვრა“ (1896), თომაანთ კობას (ია ეკალაძის) „რას იცინი“, (1896), ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“ (1897, დასურათებული გამოცემა), ვ. ბარნოვის მოთხრობა „ვაი, შენს დამკარგავს“ (1901), ბაჩანას პოემა „დიაკვნიანი“ (1902).

1897 წელს პოემა „ბახტრიონის“ გამოცემას და ვაჟა-ფშაველას გაცნობას იოსებ იმედაშვილი შემდეგ ასე იგონებდა: „ვაჟა-ფშაველა 1895 წელს გავიცანი, როდესაც აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების 100 წლის თავის პარაკლისზე აბჯარ-ჩაჩქანოსანი თუშ-ფშავ-ხევსურნი ჩამოიყვანა. შემდეგ უფრო ახლოს შიო მღვიმელმა გამაცნო. გაცნობისთანავე ვაჟას ჩემი დიდი ხნის ნატვრა გავუზიარე— ნება მომეცით პოემა „ბახტრიონი“ ცალკე წიგნად გამოვცე-მეთქი. ჩემი საქმიანობა და გვარი რომ შეიტყო, სიამოვნებით შემომღიმა და მითხრა: „ჩემი წინაპარი იმედა იყო, იქნებ ჩვენ ნათესავები ვართო...“

ასეთ უეცარ შეკითხვაში ცხადია ვაჟა-ფშაველამ მაშინ იოსებ იმედაშვილისადმი ერთგვარი სიმპათია გამოხატა მისი გაცნობა-დამეგობრებისადმი მზადყოფნა, მაგრამ მოულოდნელობით ერთგვარად დაბნეული მამაჩემი სერიოზულად ჩაჰკითხვია „იმედას“ ასეთ საერთო ძირის შესაძლებლობაზე, რაზედაც შენიშნავს:

„იხუმრა თუ მართალი სთქვა, არ ვიცი, მაგრამ იმ დღეს მეგობრულად ერთად ვისადილეთ... ვაჟას ჰონორარის ანგარიშში ფულის ნაწილი მივეცი, თან ასი ცალი წიგნი შევეპირდი. ამიერიდან მეგობრები შევიქენით და როცა კი ჩამოვიდოდა, ჩემთან იყო ხოლმე მთაწმინდაზე“.

იოსებ იმედაშვილმა „ბახტრიონი“ ანტონ გოგიაშვილს დაასურათებინა. პოემის გმირთა ჩაცმულობა, იარაღი და სხვა ვაჟასთან შეათანხმებინა. წიწოლას ხეზე ჩამოხრჩობის სცენა რომ წაუკითხავს: „მუხაზე ჩამოკიდული, კაცი სჩანს სამკლავიანი“, — გოგიაშვილს წამოუძახნია: „დახე, ფშაველებში სამ მკლავიანი ხალხიც ყოფილაო“. ვაჟას გაუღიმია და დინჯად უთქვამს: „სამ მკლავიანი კი არა, სამკლავიანი, მკლავზე წამოცმული საომარი სამკლავით, რკინის საფარითაო“. „ბახტრიონისათვის“ სპეციალური წერილი დაუწერინა გ. ყიფშიძეს. იმავე წელს ამ გამოცემაზე თბილისის რუსულმა გაზეთმა „ნოვოე ობოზრენიემ“ გულთბილი ცნობა მოათავსა.

„ერთხელაც ვაჟა შემეკითხა: — ჩემმა „ბახტრიონმა“ ხომ არ გაზარალაო?

— ვაჟას სახელი მაზარალებს-მეთქი?

— ჰოდა, — მომიგო ნასიამოვნებმა, — უნდა გადავეშვათ ბახტრიონ-გალავანზედა... ახლა მომისმინე, — მითხრა და გადაშალა „ჰაოს და ქართლოს“.

„ვაჟამ თავისებური, სადა, მაგრამ მეტად მეტყველი კილოთი დაიწყო კითხვა, თითქოს ბაგეთაგან სიტყვები კი არ მოისმოდა, ცხოველი სურათები გამოკრთოდა, ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა.. ეს პოემა შევიძინე და ოცი მანეთი მივეცი...“ მაგრამ ამ პოემის გამოცემა ცენზორმა აკრძალა და ვაჟას ხელნაწერი ამჟამად ინახება საქართველოს ცენტრალური არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდში (Ф, 480, I, № 1573, გვ. 631—642). ხელნაწერი ავტოგრაფულია და თავდება ვაჟა-ფშაველას ხელმოწერით. შეიცავს 23 გვერდს. სათაური: „ჰაოს და ქართლოს“ და სხვა ლექსები (ძველის-ძველი ამბავი). (ავტორის სურათით). ტიტულზე: გამოცემა იოსებ იმედაშვილისა № 14. ზედვეა ცენზორის წარწერა მისი გამოცემის აკრძალვაზე.

პოემის ტექსტი 1964 წლის გამოცემასთან შედარებით უკეთეს წაკითხვებს უნდა შეიცავდეს, რომელთაც შესაძლოა ანგარიში გაეწიოს. ტექსტი ხელნაწერში იწყება ექვსი სტრიქონით, რომელიც გამოცემებში არ არის:

წავიდა ცივი ზამთარი:
მზე მაღლა შედგა ცაზედა,
მწვანედ ნაქარგი არშია
ტყე-ველს ედება გარზედა
და მადლი გაზაფხულისა
სეირნობს მთა და ბარზედა.

პოემის დასასრულს ლექსში „ხორცო, დანელდი“ იკითხება:

„ამ ტანჯვას მიტომ ვერა ვგრძნობთ,
დიდ ტანჯვასა ვართ ჩვეული“.

ვისაც ვაჟა-ფშაველას ეს პოემა ყურადღებით წაუკითხავს, მიხვდებოდა, თუ 1899 წელს, „ბახტრიონის“ გამოცემის ორი წლის შემდეგ ვაჟამ რა აზრითა და მნიშვნელობით უთხრა იოსებ იმედაშვილს პოემის „ჰაოს და ქართლოსის“ წაკითხვის წინ: „უნდა გადავეშვათ ბახტრიონ-გალავანზედაო“. აქ არაფერია დაფარული და გასიმბოლოებული. პოემის ფაბულის ნასკვი ისტორიულ ანალოგიას შეიცავს. ბახტრიონიდან თათრები რომ გავდევნეთ, ასე უნდა მოვექცეთ ქართლოსის მოღალატე სტუმარსაო, რომელიც ომიდან ჭრილობებით დაბრუნებულ ქართლოსს თავისივე სახლში აღარ უშვებდა...

ქართველ ავტორთა გამოცემებში ვაჟას ხსენებასთან დაკავშირებით, ურიგო არ იქნება, ზოგი სამახსოვრო ეპიზოდი გავიხსენო მამაჩემთან მის დამოკიდებულებაში. მათი ახლო ნაცნობობა, დაწყებული „ბახტრიონის“ გამოცემის სამზადისში, ჩქარა ახლობელ მეგობრობაში გადაიზარდა. თუ ზაქარია ჭიჭინაძეს არ მივიღებთ მხედველობაში, განსაკუთრებით სანდო, უშუალო და გულითადი მეგობრობა მამაჩემს ვაჟა-ფშაველასთან ჰქონდა, რომელიც როდესაც კი თბილისში ჩამოვიდოდა, მამაჩემს უზიარებდა ხოლმე თავის ახალ პოეტურ სიტყვას, თუ რაიმე პირადულ საოჯახო საჭიროებას, მით უმეტეს, რომ არა იშვიათად ღამის გასათევად ჩვენს ბინაზეც რჩებოდა ხოლმე.

ვაჟას და მამაჩემის პირადი მეგობრობა ეროვნული პრობლემის ერთნაირი გაგებაც იყო, რაც მათ პრაქტიკულად ცხოვრებაშიც გამოამჟღავნეს. ეს თვით ვაჟას შემოქმედებაშიც საკმაოდ შთამბეჭდავადაა გამოხატული, — ეროვნული იდეალების მხატვრულ ინტერპრეტაციაში, და საერთოდაც მის თემატიკას ახასიათებს როგორც ჭეშმარიტ ჰუმანისტს.

რასაკვირველია, ვაჟა-ფშაველა თავისი დიდი ნიჭისა და ფშაური უბრალოების გარდა არანაკლებად დიდბუნებოვანობით იპყრობდა ყურადღებას, რაც მით უფრო იყო შესამჩნევი, რომ როგორც მამაჩემი შენიშნავდა, იგი კერძო ცხოვრებაში სხვებს არა ჰგავდა გარეგნობით, ჩაცმა-დახურვით, მიხრა-მოხრით, ლექსთა კითხვით, — საიდუმლოებით შთაგონებული, ქურუმის იდუმალი ლოცვა იყო... მის მიხრა-მოხრასა და ლაპარაკს რომ ვუკვირდებოდი, უნებლიეთ ზეზვა, ლუხუმი და სხვა მსგავსნი გმირნი წარმომიდგებოდნენ ხოლმეო... ცომბირის წყლულით ცალთვალატირებული, დინჯი, დარბაისელი, თავაზიანი... თავმდაბალი და, ამავე დროს, ზვიადიც.

იმ ხანებში ვაჟას უფროსი ვაჟიშვილი ლევანი თბილისში სასწავლებლად უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ რადგან ქალაქში საკუთარი ბინა არა ჰქონდა, ერთ გასაჭირად გადაექცა მისი სადმე საიმედო ოჯახში სრულ ხარჯზე ქირით მოწყობა. ეს საქმე მალე მამაჩემს მოუწყვია, ლევანი თავისივე სახლის პატრონის ივანე გოგიაშვილისათვის სრულ კმაყოფაზე მიუბარებია. ამის შემდეგ ვაჟას უფრო გაუხშირებია თბილისში ჩამოსვლა და მუდმივმა შეხვედრებმა მამაჩემთან, კიდევ უფრო დააახლოვა ისინი, ერთმანეთის ავ-კარგი გააგებინა და ძმადნაფიცებივით შეაყვარა.

ერთხელ ვაჟა მეტად აღელვებული სწვევია მამაჩემს და შეუჩივლია — ამა და ამას ვესტუმრე და ნეტა არ წავსულიყავიო... თურმე ვახშამი რომ გაუთავებიათ, მასპინძელს ვაჟასთვის უთქვამს, ახლა ამაღამ ჩვენთან მოისვენეთ და ხვალ როგორც გენებოთ ისე გაუდექით თქვენს გზასაო... ამ დროს მასპინძლისათვის გვერდით მდგარ ცოლს

რაღაც ჩაუჩურჩულებია აშკარად უსიამოვნო გამომეტყველებით. ეს გაუგია, თუ უგვრძნია ვაჟას, და უღირსი დიასახლისისაგან გულნაწყენს, მაშინვე დაუტოვებია მათი ბინა...

იმ ღამეს მამაჩემთან ტკბილი საუბრის შემდეგ დამშვიდებულ ვაჟას კარგად ჩასძინებია და მეორე დღეს დიდად ნასიამოვნები წასულა.

ვაჟასთან შეხვედრებიდან მეტად საინტერესოა მისი ერთი გამოსვლა, რომელსაც მამაჩემის ბინაზე გამართულ, რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენტების შეკრებაზე ჰქონია ადგილი. ეროვნული საკითხის გარჩევას ცხარე კამათი მოჰყოლია. რ. დოლიძე, ალ. ჯაფარიძე, არ. ორმოცაძე და სხვები ეროვნულ საკითხს ხელაღებით უარყოფდნენ, სამშობლოს ხსენებასა და, კერძოდ, საქართველოს გამოსარჩლებას სამარცხვინოდ სთვლიდნენ — ხალხთა ურთიერთობა ეროვნული კი არა, კლასობრივი თვალსაზრისით უნდა განვიხილოთო... ამ კამათში ვაჟა-ფშაველაც ჩარეულა და, მამაჩემის მოგონებით, შემდეგი უთქვამს:

— ყმაწვილებო, ძალიან კარგს უბნობთ, — ხალხთა ძმობა და ერთობა რომ ჩვენი მცნება არ იყოს მამაპაპით გადმოცემული, არც ასე გავიქელებოდით და ყველა გამვლელის ჩასაყლაპი არ შევიქნებოდით... არ დაივიწყოთ, რომ ვინც თავის თავს არ ცნობს და პატივს არა სცემს, ვერც სხვას სცნობს. ვისაც სამშობლო არა აქვს, შემოდგომის მოწყვეტილი ფოთოლივით ქარს გაჰყვება და გაისრისება, ესეც იცოდეთ, რომ სამშობლო სწორედ გლეხისაა, მუშისა, რომელიც თავის მიწაზეა მიკრული, თავის მამულში, და არა მდიდრისა, რომელიც თავისი ქონებით მსოფლიოში იქ ჰპოვებს სამშობლოს, სადაც კარგად ეცხოვრება... თქვენი მცნება კარგია, მაგრამ თავისუფალი საქართველო არ უნდა დაივიწყოთო...

ვაჟას ეს შენიშვნა ყველამ ყურადღებით მოვისმინეთ, ზოგს არ ესიამოვნა, მაგრამ ვეღარც პასუხი შეჰკადრა, მხოლოდ, ეგონებ, არ. დოლიძემ დაიწყო იმაზე მსჯელობა, რომ მცირე მდინარენი დიდს უერთდებიან, დიდი თევზნი პატარებს ჰყლაპავენ, საქართველო რას გააწყობს იმპერიალიზმის ამ გაფთრებულ ხანაშიო... ამაზე ვაჟამ ისევ შეუბრუნა: ყმაწვილო, ძალიან ჩამიფილოსოფოსეთ, მაგრამ ერის უნარიანობა მხოლოდ სიმრავლეზე არ არის დამოკიდებული...

იმავე 1899 წელს ცენზორმა აკრძალა იოსებ იმედაშვილის მიერ დაბეჭდვის ნებართვისათვის წარდგენილი კიდევ ერთი წიგნი, რომლის ტიტულს აწერია: „იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 15. კ. კაუცკი — „მატერიალისტური ახსნა ისტორიისა და ფსიქოლოგიური ფაქტორი", ნათარგმნი ს. ბ. მამალაძისა. 1899. ქ. ყაზანი". ხელნაწერი შეიცავს 24 გვერდს. ტექსტის დასაწყისი: „ჩვენ, ისტორიაზე მატერიალისტური შეხედულების მიმდევართ, სწორედ რომ შველა

არა გვაქვს. ჩვენ გვემტერებიან არამცთუ სასტიკი მოწინააღმდეგენი მარქსისა და ენგელსისა, — ეს კიდევ არაფერი, არა, არიან ისეთი ვაჟბატონები, რომელნიც აღმერთებენ კიდეც მარქსს და ენგელსს, ზედმეტის ერთგულებით ადიდებენ მათ სახელს, მაგრამ, იმავე დროს, ამბობენ, რომ თავისუფალი მოაზრე პირის ღირსებას შეჰლახავს ისტორიაზე მატერიალისტური შეხედულების მიმდევრობაო...“

ვაჟა-ფშაველას პოემის აკრძალვიდან ასე დაიწყო იოსებ იმედაშვილის, როგორც გამომცემლის ბრძოლა ცარიზმის ცენზურის ჩინოვნიკებთან, რამაც უფრო მეტად გაამახვილა მისი ყურადღება პროგრესული ლიტერატურისადმი. ფაქტი ის არის, რომ პირველი მისი პატიმრობა 1903 წელს მის ბინაზე სწორედ არალეგალური წიგნების კონფისკაციას დაუკავშირდა. ბრძოლა ცენზურასთან 1917 წლამდე გაგრძელდა, მაგრამ შავი რეაქციის პირობებშიც სათქმელის თქმას ზოგჯერაც ახერხებდნენ, როდესაც ცენზორებად მოწინავე აზროვნების პირები იმყოფებოდნენ, რომელნიც შეძლებისამებრ ხელს უწყობდნენ ქართულ პრესას მეტი თავისუფლებით ესარგებლა. მაგ., ისეთი ლიბერალი ცენზორის, როგორიც იყო ძველიდანვე გაჩართველებული ივანე პოლუმორდვინოვი, ცნობილი ჩეხოვის თარგმანებით.

ქართული ისტორიული წარსულისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით იოსებ იმედაშვილმა გამოსცა გიორგი სააკაძის ცხოვრების თემაზე ძველი ქართველი პოეტის იოსებ თბილელის პოემა „დიდმოურავიანი“ (1897), რომელშიაც გადაშლილია ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებით ბრძოლის სურათები. მის მიერ საგანმანათლებლო მიზნით გამოცემულთაგან აღსანიშნავია რამდენიმე ნარკვევი — ფ. მახარაძის „ხალხური პოეზია და ბატონი მელიტონ კელენჯერიძე“ (1897), ლევ ტოლსტოის „რისთვის ითერება ხალხი“, თარგმანი განდეგილისა (1898), „რა არის ხარკი და ან რისთვის ჰკრეფენ“, ნათარგმნი რუსულიდან (1898), შ. ლეტურნოს „ველურობა და განათლება“, გადმოკეთებული სევ. ჯუღელის მიერ (1900).

პუშკინის დაბადებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებით იოსებ იმედაშვილმა გამოსცა წიგნი „ა. პუშკინი, მისი ცხოვრება და ლექსები“ (1899), რასაც ი. წინამძღვარის ფსევდონიმს ამოფარებულმა დაურთო შესავალი წერილი „ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი“, რომელშიაც აღნიშნავდა: „პუშკინი ეროვნული მგოსანია, მისი ნაწარმოებნი გაჟღენთილია რუსეთის ხალხის ყოველ გვარის წეს-ჩვეულებით, ხასიათებით. პუშკინში იდგა რუსული ეროვნული სული, მისი გული სცემდა ეროვნული გრძნობით... პუშკინმა სამუდამოდ გაათავისუფლა რუსეთის მწიგნობრობა პირდაპირის მიმბაძველობისაგან... პუშკინის ენა თავისუფალია, მარტივი და ნამდვილი ხალხური. პუშკინი ხალხუ-

რი მგოსანია და ხალხს ესაუბრება მისთვის გასაგებ საგნებსა და ენაზე". გამომცემელი იმასაც აღნიშნავდა, რომ როგორც პოეტმა თავის თავზე თქვა — პუშკინი თავის მკაცრ დროებაში ადიდებდა თავისუფლებასაო.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობისა და ენისათვის საგულისხმო იყო ის ლიტერატურული მოვლენა, რომ პირველად იოსებ იმედაშვილმა 1902 წელს განახორციელა მაშინ შედარებით ნაკლებად ცნობილი მწერლის მაქსიმ გორკის მოთხრობების ქართული თარგმანის გამოცემა მეტად გაბედული წინასიტყვაობით, რომელშიაც, სხვათა შორის, მწერლის მნიშვნელობის გამო წერდა: „ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ მწერალთა გამოცემას, რომელნიც ხალხის წყლულებს შეეხებიან და მკითხველ საზოგადოებას გაათვითცნობიერებენ. ჩვენ ასეთ მწერლად მიგვაჩნია მ. გორკი". მისი მოთხრობების ქართული თარგმანის ამ პირველი გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით, დედაჩემი იგონებდა ახალგაზრდა პეშკოვის რამდენჯერმე მოსვლას ჩვენ ბინაზე სადილად და საერთოდაც შეხვედრების იმ თბილ ატმოსფეროს, რომლითაც მოცული იყო თბილისში ყოფნისას მაქსიმ გორკი.

პეშკოვი მამაჩემს ადრევე 1892 წელს გაუცნია, როდესაც თბილისის გაზეთ „კავკაზში" მისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა" დაიბეჭდა და რითაც დაიწყო მაქსიმ გორკის მწერლობის კარიერა. იმავე ხანებში საქართველოთი, ქართველი ხალხითა და მისი კულტურით დაინტერესებული რუსი დამწყები მწერალი, 24 წლის მაქსიმ გორკი, რომლის სახელიც მაშინ ჯერ კიდევ რუსეთშიაც არ იყო ცნობილი, მამაჩემს ზაქარია ჭიჭინაძის ბინაზე ეგნატე ნინოშვილისათვის წარუდგენია, რის შემდეგაც მათ არაერთხელ უსაუბრიათ ლიტერატურისა და კულტურის საკითხებზე, მწერლის დანიშნულებასა თუ ხალხის ჰერ-ვარამზე.

ამრიგად, საქართველოში მაქსიმ გორკი დასაწყისიდანვე ყოველთვის იყო ყურადღებისა და პატივისცემის ობიექტი, რასაც თავისთავად ის ფაქტიც გვიჩვენებს, რომ მისი მოთხრობები მალე ითარგმნა ქართულ ენაზე. სწორედ ამ კეთილი ურთიერთობის ვითარებაში მამაჩემისათვის აუხსნელი რჩებოდა ის, რომ მაქსიმ გორკის დოკუმენტურ მოთხრობაში „Мой спутник", რომელიც 1894 წელს დაიწერა და იმავე წელს დაიბეჭდა (გაზ. „Сатарская газета", დეკემბრის №№ 254, 257, 258, 264, 265, 267), მეტად ოდიოზურ ფიგურად მაინცდამაინც ქართველი თავადი შაქრო ფთაძეა გამოყვანილი, რომლის პროტოტიპი ყოფილა ვინმე წულუკიძე, ვისთანაც ერთად ავტორმა ფეხით იმოგზაურა ოდესიდან თბილისამდე. მოთხრობის მიხედვით „ქართველი თავადი" ქუთაისელი მდიდარი მემამულის შვილი იყო,

რომელიც ოდესაში სხვისი პასპორტით ჩამოსულა თავისი გამქურდველის საძებნელად, ფული შემოხარჯვია — დამშეულა და რაღაც ჩხუბის გამო პოლიციასაც ემალებოდა. გორკის, მაშინ მტვირთავ მუშას, შემთხვევით გაუცვნია გაუბედურებული ქართველი, შესცოდებია, შიმშილისაგან უხსნია და თბილისამდე ფეხით გაუცილებია. მოთხრობის საფუძველი მათი თბილისამდე ხეტიალით მგზავრობის ეპიზოდებია, რაც ისეა გადმოცემული, რომ ფთაძე თბილისში ჩამოსვლამდე თვალსაჩინოდაა დახასიათებული როგორც გამოუსწორებელი ეგოისტი, ველური, გაუნათლებელი, ცხოველი, მსუნაგი, გაუმაძღარი, ხარბი, უმადური, მატყუარა, უსინდისო, უთავმოყვარეო, უსირცხვილო, უპასუხისმგებლო, ვერაგი, მშიშარა, ფლიდი, ბოროტი, ზარმაცი და საცოდავი, რომელსაც არავითარი საქმე არ ეხერხება, მუშაობას არც კადრულობს, არა აქვს წარმოდგენა მორალზე და სირცხვილის გრძნობა. ამრიგად, მგზავრობის მთელ მანძილზე გორკი მუშაობდა, საჭმელს შოულობდა, ფთაძე მხოლოდ ჭამდა და ეძინა...

ასე მიდიოდნენ გორკის პერსონაჟები თბილისისაკენ, იმის შეპირებით, რომ ამ სიკეთეს ქართველი თავადი ათმაგად გადაიხდიდა... მაგრამ თუ შესაძლებელია ერთ კაცში ამდენი უკეთურება იყოს თავმოყრილი, მით უფრო ამოუხსნელი რჩება, ასეთი ვერაგი, მატყუარა, ზნედაცემული თანამგზავრისაგან რაღას გამოელოდა მწერალი, რომლის დახასიათებისათვის მან უკვე გამოიყენა ყოველგვარი უარყოფითი ეპითეტები? ასეთი უარყოფითი პერსონაჟი გორკის თავის არცერთ თხზულებაში სხვა ხომ არავინ დაუხატავს, რომლისაგანაც მხოლოდ ის იყო მოსალოდნელი, რაც მოხდა ავტორის აღწერით: ქართველმა თავადმა ამაგი იმით გადაუხადა თავის უანგარო მწყალობელს გორკის, რომ გზაში მძინარეს უკანასკნელი ფული ამოაცალა და მოკლაც კი მოუნდომა, შემდეგ თბილისში რომ ჩავიდნენ, ვერის ხიდთან, ქუჩაში მიატოვა — აქ დამიცადეო და აღარ მიაკითხა.

გორკის ამ მოთხრობამ საქართველოში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მის შესახებ საკმაო ლიტერატურაც შეიქმნა, იმის გასარკვევად, თუ ვინ იყო პროტოტიპი მისი ნაძირალა პერსონაჟისა. ეს კითხვა მამაჩემსაც ყოველთვის აფიქრებდა და აწუხებდა, მით უმეტეს, რომ „ჩემი თანამგზავრი“ ჩქარა იმავე ვანო გიუნაშვილის მიერ ქართულადაც ითარგმნა („ერთი მოგზაურობის ისტორია“, „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება, 1903, 24, VI, № 137; 31, VII, № 139; 14, VIII, № 142; 144; 146; 148). გაუგებრობას ისიც ამწვავებდა, რომ რატომღაც არც თვითონ გორკიმ გასცა გარკვეული პასუხი იმას, თუ მართლაც ქართველი კონკრეტული პიროვნება იყო ის, ვინც დიდ რუს მწერალს ასეთი ოდიოზური სახე შეაქმნევინა, თუ ეს რაღაც გაუგებრობა იყო, რის გამოც მწერალმა თავისი თანამგზავრი ქართველად წარმოგვიდგინა.

ამ ბოლო ხანების პუბლიკაციებში ყურადღებას იქცევს მკვლევარის გიგი გვენეტაძის მოსაზრებანი, რომელთაც იგი 1947 წლიდან მოყოლებული სპეციალურ ნარკვევებში ავითარებდა. არსებული წყაროებისა და თვით მოთხრობის ტექსტის ანალიზით იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ შაქრო ფხაძის პიროვნებაში გორკიმ განასახიერა სოციალური თანამგზავრის კრებითი სახე, რომლის პროტოტიპი არ უნდა გავიგოთ როგორც ერთი კონკრეტული ქართველი კაცის პიროვნება, რომელიც მართლაც უთუოდ ოდესაში შეხვედროდეს და მასთან ერთად ზუსტად იმ მარშრუტით და თავგადასავალით ემგზავროს, როგორადაც მოთხრობაშია აღწერილი.

შესაძლოა, ამ ვარაუდს იმიტომაც უშვებს მკვლევარი, რომ გორკიმ თავის მოთხრობაში „შურისძიება“ ქართველი კაცის ამაღლებული დახასიათებაც მოგვცა. ცხადია, გორკის ამ მხრივ ობიექტურად უფრო მეტი მასალა ეძლეოდა საქართველოში, იმ ქვეყანაში, სადაც იგი მწერლად დაიბადა, რასაც იგი მხოლოდ და მხოლოდ მადლიერების გრძნობით უნდა განეწყო. ამას მამაჩემი ხშირად აღნიშნავდა, როდესაც კი საქართველოში გორკის ყოფნას და მასთან ურთიერთობას მოიგონებდა ხოლმე. გორკის საქართველოსადმი კეთილი განწყობის ამ შუქზე უფრო აუხსნელი რჩება მისი შინაგანი სიმართლე და აზრი, რამაც უაღრესად ზნედაცემული ნაძირალას დასახატად, ფაქტია, რომ მაინცდამაინც ქართველი კაცი გაამეტებინა. აქედანვე ძალდატანებად უნდა მოგვეჩვენოს გვენეტაძის ვარაუდი „ჩემი თანამგზავრის“ ტექსტსა და მისი ავტორის სწორედ შინაგან ჩანაფიქრზე, თითქოს ქართველი კაცის სახელწოდებას სწერდა, მაგრამ არ კი მიაჩნდა ის ქართველად. თუ მწერალი მთელი კავკასიის ფეხით გავლისას — ოდესიდან თბილისამდე ათეულობით ეროვნებას გაეცნო და კრებითი ტიპის შესაქმნელად ქართველი ხალხის წარმომადგენელზე შეჩერდა, ამაში ისეთი დაკვირვებული მწერლისათვის, როგორიც გორკი იყო, შემთხვევითობით ვერაფერს ავხსნით და თანამგზავრის პროტოტიპის განსაზღვრა, უპირველესად, სწორედ ამას უნდა დაეყრდნოს და არა რაიმე შესაძლებელ ვარაუდს.

პირველი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ ქართულ ენაზე

იმავე ხანებში, როდესაც იოსებ იმედაშვილი გატაცებით იღვწოდა ქართული სახალხო წიგნის გამოცემა-გავრცელებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც მის მიერვე შედგენილი, ქართულ ენაზე პირველად 1904 წელს გამოცემული „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ იყო, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ 1901 წელს გამოცემული პიესე-

ბის კრებულის „ცხოვრების სარკის“ ბოლო გვერდი იუწყებოდა. ეს მეტად სასარგებლო, ყოველდღიურად სახმარი ლექსიკონი, რომელიც სამაგიდო წიგნად იქცა თვითგანვითარებას დაწაფებული ყოველი ქართველი მკითხველისათვის, გადამუშავებული და შევსებული სახით მეორედ გამოიცა 1918 წელს, მესამედ 1928 წელს და დიდი როლი შეასრულა მოსწავლე ახალგაზრდობისა და ფართო მკითხველი საზოგადოების განვითარება-გათვითცნობიერების საქმეში, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მსგავსი არაფერი მოიპოვებოდა ქართულ ენაზე. სხვათა შორის, ამ ლექსიკონში დაბეჭდილი იყო „კომუნისტური მანიფესტის“ ვრცელი განმარტება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ, რამდენადაც ქართულ ენაზე იგი თუმცა იყო თარგმნილი, მაგრამ მხოლოდ არალეგალურ წრეებში ცნობილი, ხალხს კი სწყუროდა გარკვეული წარმოდგენა ჰქონოდა ამ დიდ დოკუმენტზე, რომელიც მებრძოლ დროშად მიუძღოდა მსოფლიოს მუშათა კლასს და პროლეტარიატს შრომის განთავისუფლების, მისი ნათელი მომავლისათვის შეუპოვარ სვლაში.

ლექსიკონის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავდა, რომ ეს წიგნი იმ ქართველ მკითხველთა სასარგებლოდ გამოვეცი, რომელნიც ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს ეწაფებიან და მისთვის შესაფერი უცხო სიტყვათა ამხსნელი სახელმძღვანელო კი არა აქვთო. ამასთანავე მეტად საგრძნობი თავმდაბლობით აღნიშნავდა: „დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი მხოლოდ ნედლი მასალაა, რომელსაც როგორც პირველ ცდას, კარგი შემუშავება-შევსება ეჭირვება, შესაძლოა, არც შეცდომებისაგან იყოს დაზღვეული, მაგრამ ვნუგეშობ იმით, რომ ქართულად პირველად დაბეჭდილი ეს წიგნი ჩვენს მდაბიო მკითხველს რამდენათმე მაინც მოუკლავს წყურვილს, აუხსნის უცხო სიტყვებს და წანაკითხის შეგნებას გაუადვილებს. ნათქვამია: „საცა ბევრი არ იყოს, იქ ცოტაც კმარიყოსო“. რაც შემეძლო, მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბე, რომ წიგნი ყოველმხრივ უნაკლო გამოსულიყო, როგორც სიტყვების ახსნა-განმარტებით, აგრეთვე ბეჭდვით და ხალხისათვის ხელმისაწვდენ ფასით. შევასრულე თუ არა ეს ჩემი განზრახვა და მივაღწიე თუ არა მიზანს — ამას მომავალი და საზოგადოების პირუთვნელი განსჯა-განხილვა გვიჩვენებს...“.

კარგადაა ცნობილი, თუ ამ ლექსიკონმა როგორი მაღალი შეფასება დაიმსახურა ქართველ მკითხველ საზოგადოებაში, მაგრამ ამ ნაშრომს იმავე 1904 წელს მოულოდნელად მტრული, აშკარად ტენდენციური, უსაზღვროდ ღვარძლიანი და უხამსი რეცენზიით შეხვდა „ზანგის“ ფსევდონიმით ცნობილი მწერალი გრ. რცხილაძე, რომელიც ყურადღებას იქცევდა ერთი მეორეზე ყოველგვარ ზომიერებას გადაჭარბებული ლანძღვით, ყოლად უსაფუძვლო ცილისწამებებითა

და უაზრო შენიშვნებით. ამ რეცენზიით „ზანგმა“ მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ მისი წინასწარი მიზანი იყო რამენაირად დაემცირებინა იმედაშვილის ლექსიკონი, რისთვისაც არ დაერიდა ფაქტების უპასუხისმგებლო დამახინჯებას, მოგონილი შეცდომების იმედაშვილისათვის მიწერას და ამრიგად ლექსიკონში არ არსებულ შეცდომების კრიტიკას.

„ზანგის“ შენიშვნით, იმედაშვილი ძალიან მწყრალად არის სალიტერატურო თავაზიანობასთან და მეტად გაზვიადებული წარმოდგენა აქვს თავის თავზე. მის ლექსიკონში სიტყვის ახსნა საერთოდ ძალიან მძიმეა. იმედაშვილს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი ასახსნელი სიტყვების სრული მნიშვნელობა, ხშირად არ ესმის რასა სწერს, კარგად არ იცის ენა და მარტივად წერა არ ეხერხება. უკანასკნელ ხანებში ასეთი უვარგისი და დამახინჯებული ქართული არსად არ შეგხვედრიაო.

ამ სამარცხვინო, გაბედულ ბრალდებათა დასამტკიცებლად ზანგმა საკმაოდ მიიჩნია, როგორც თვითონ აღნიშნავს, იმედაშვილის ლექსიკონის ზოგიერთი ადგილების „გადათვალიერება“, კერძოდ, განმარტება სიტყვებისა — მეტაფორა, აბდერიტები, აბსტრაქცია, ადვოკატურა, ადმინისტრაციული წესით, ავანსი, აკომპანიმენტი, არისტოტელიზმი, ასკეტიზმი, ატომი, ნატურალური სისტემა, ბანკი, დიალექტიკური მეთოდით დიფერენციაცია, იდეალიზმი, იერარქია, ინდუქცია, ინტერვალი, კლერიკალიზმი, მეტაფიზიკა. მას, მაგალითად, იმედაშვილის შეცდომად და გაუგებრობად მიაჩნია განმარტება სიტყვისა — ინტერვალი, როგორც შორისი, მაშინ როდესაც ეს სიტყვა ასე იყო გაგებული და განმარტებული ძველადაც და ასევეა ჩვენი დროის ქართულ-რუსული ლექსიკონის აკადემიურ გამოცემაში. ლექსიკონის სიტყვა: „უსასამართლო“ ზანგს შეუცვლია სიტყვით „უსამართლო“ ასეთი და მსგავსი უსაფუძვლო შენიშვნები საკმარისად მიიჩნია ზანგმა აღენიშნა, რომ „ბ-ნ იმედაშვილს დომხალივით აურევია ერთმანეთში სხვადასხვა სიტყვები და ჰფიქრობს, რომ თითონაც შეუძლიან სხვებისთვის ახსნას და სწეროს რაც ენაზე მოადგება. იმედაშვილს ლექსიკონი უნდოდა შეედგინა, შეადგინა კიდეც, მაგრამ რა ღირებულების იქნება ეს ლექსიკონი, გამოსადეგია რისთვისმე თუ არა—ეს თითქოს სრულებით არ აინტერესებს იმასაო“. ამასთან ერთად, რეცენზენტი იმედაშვილს ენასაც უწუნებს: „საზარელი ქართული ენა, დახეთ, რანაირად სტანჯავს ჩვენს საყვარელს სამშობლო ენას ბ-ნი იმედაშვილი“. ეს ახირებული რეცენზია მთავრდება არანაკლებად ახირებული მოწოდებით ქართველი ინტელიგენციისადმი, რომ ყოველნაირად უნდა შეებრძოლოთ იმედაშვილის ლექსიკონის ხალხში გავრცელება-

საო (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904, 24, IX, № 2620; 25, IX, № 2621).

„ზანგის“ ამ ყოველად გაბოროტებულ, უპასუხისმგებლო რეცენზიას იმედაშვილმა საქმიანი, მხოლოდ დოკუმენტურად დასაბუთებული, დარბაისლური ტონით გასცა პასუხი: „ბ-ნი ზანგი და მისი ბიბლიოგრაფია „უცხო სიტყვათა ლექსიკონის შესახებ“ („გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904, 11, 12, 13 ოქტომბერი, № 2636, 2637, 2638). მან ნათელი გახადა, რომ რეცენზენტს ლექსიკონის საილუსტრაციო მასალა დამახინჯებით აქვს ამოწერილი, მთელი რიგი სიტყვათა განმარტებანი შეცვლილი, ნაწილები მოკვეცილი, შუა ადგილები ამოგლეჯილი, ისე, რომ ზანგი მის მიერვე განგებ დამახინჯებულ სიტყვებს თუ გაუკუღმართებულ განმარტებებს აკრიტიკებს. ზანგის იმ მოწოდების საპასუხოდ, რომ ყოველნაირად შევებრძოლოთ იმედაშვილის ლექსიკონის ხალხში გავრცელებასაო, იმედაშვილმა აღნიშნა: „ხედავთ, ბ-ნის ზანგის საგულდაგულო სურვილი რა ყოფილა? ხედავთ, რისთვის ამახინჯებდა ჩემს განმარტებას, რომ ხალხში მისი გავრცელებისათვის ხელი შეეშალნა. მერე რისთვის, ბატონო ზანგო, რისთვის?

თუ ჩვენი ხალხისათვის მაგრე გული გეწვებათ და იმდენი ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე შეგწევთ, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ ჩემი წიგნის ხალხში გავრცელებას, თქვე დალოცვილო, რატომ არ ეწინააღმდეგებით „სიზმრის ახსნასა“ და სხვა მისთანათა გავრცელებას, რომლებიც ჩვენს ხალხს ზნეობრივად და გონებრივად ათახსირებენ? ხოლო ჩემს წიგნს ხსენებულ წიგნის ჰამქართან რა კავშირი აქვს?

თქვენ განათლებულ ქართველთ მოუწოდებთ ლექსიკონის შესადგენად და მათი შემწეობითა ცდილობთ ვითომდა იმედაშვილისაგან „გაფუჭებული“ საქმის გასწორებას. მაგრამ იმედაშვილმა რითი გაგიფუჭათ საქმე? ნუთუ იმითი, რომ სხვა არა იყოს რა, უცხო სიტყვათა ლექსიკონის მასალა მოგიგროვათ (თქვენ ხომ მაინც არა გჯერათ, რომ ვითომც მას, იმედაშვილს შეეძლოს ლექსიკონის შედგენა), ანბანთა რიგზე დაგილაგათ და დღეის შემდეგ გაადვილდება ამგვარი ლექსიკონის შედგენა. ერთი კითხვაც. ჩემი ლექსიკონი შეიცავს 1126 სვეტს, თითქმის ათიათასს სიტყვას და ნუთუ ამოდენა წიგნსა და ამდენ სიტყვაში ათასიოდე სიტყვა მაინც ვერ აღმოაჩინეთ ყურადღების ღირსი, ბატონო ზანგო?

ვიმეორებ, მე შეუმცდარი არა ვარ და ვინ არის შეუმცდარი? ალბათ ბატონ ზანგს ეცოდინება პირველად გამოცემული ისეთი ლექსიკონი (რუსულად, ფრანგულად, ინგლისურად, რა ენაზედაც უნდა სულ ერთია), რომ უშეცდომოდ დაებეჭდნოთ!“

იმედაშვილის ამ პასუხის გამოქვეყნებას რამდენიმე დღით დაასწრო ამავე საგანზე გაზეთ „ივერიაში“ (1904, 8, X, № 230) სამსონ პაიჭაძის წერილმა: „უცხო სიტყვათა ლექსიკონის გამო“ (გაზ. „ცნობის ფურცლისა“ და ზანგის საყურადღებოდ“), რომელშიაც საფუძვლიანად, სავსებით დამარწმუნებლად და მძაფრად არის გაკრიტიკებული ზანგის ტენდენციური რეცენზია. პაიჭაძის შენიშვნით, „ბ-ნ ზანგს არ მოსწონს ლექსიკონი, უკიჟინებს იმედაშვილს და გაიძახის: შემდგენელს არავითარი მომზადება არა აქვსო, მწყრალად არის სალიტერატურო თავაზიანობასთან და გაზვიადებული წარმოდგენა აქვს თავის თავზეო, ლექსიკონი უვარგისი და დამახინჯებული ქართულით არის შედგენილიო. მე შევადარე ამოწერილი ადგილები ლექსიკონს და დავრწმუნდი, რომ ბ-ნ ზანგს სდომებია შემდგენელის პიროვნების დამცირება. ამისათვის ბიბლიოგრაფიაში სრულად არ ამოუწერია სიტყვების განმარტება, ან ბ-ნ იმედაშვილის განმარტება დაუმახინჯებია“.

ს. პაიჭაძე სათანადო საილუსტრაციო მასალის შედარებით ნათელს ხდის, რომ ზანგს სიტყვები იმედაშვილის ლექსიკონიდან სწორედ არ ამოუწერია, განგებ დაუმახინჯებია მისი განმარტებანი, ნამდვილად კი იმედაშვილს სიტყვები სწორედ აქვს ახსნილი და ისინი რუსულ ლექსიკონებთან შედარებით უფრო ვრცლად და რიგიანად აქვს განმარტებული.

ზანგი ამბობსო: „ჩვენი გულითადი სურვილია ასეთი წიგნი ხალხში არ გავრცელდეს... წ. კ. გ. საზოგადოებამ შეადგინოს ასეთი ლექსიკონი, რომ იმედაშვილის გაფუჭებული საქმე გასწორდესო“. ამის გამო პაიჭაძე ასე მიმართავს ზანგს „ხალხის ინტერესები, როგორც მე დავრწმუნდი თქვენი ახირებული ბიბლიოგრაფიიდან, სრულიადაც არ გაწუხებთ. მდაბიო ხალხი იმით გაირჩევა თქვენისთანა ინტელიგენტისაგან, რომ ცარიელ სიტყვების რახუნს ყურადღებას არ აქცევს და უფრო კრიტიკულის თვალით უყურებს და იკვლევს ყოველისავე ხალხის მოღვაწის მოქმედებას.

ჩვენ არ გვინდა ცარიელი სიტყვები... საქმეა საჭირო, მერე დაგვიმტკიცეთ ეს რითივე?.. მე არ ვამტკიცებ იმას, რომ ბ. იმედაშვილს შეცდომები არ ჰქონდეს, მაგრამ ადამიანი ბრმა უნდა იყოს, რომ ამ ნაკლთან ღირსებაც ვერ დაინახოს. ის არ აცდება შეცდომას, ვინც რამეს აკეთებს. რამდენსამე განმარტებაში რომ უნებლიეთი შეცდომა იყოს, ამითი მთელის ამოდენა სასარგებლო ნაშრომის განადგურება შეიძლება? მოგვცეს ბ-მა ზანგმა მაგალითი, და სხვა ინტელიგენტებიც მიჰბაძავენ მის მაგალითს“.

სამსონ პაიჭაძის დასკვნით, ბ. ზანგს თავისი ბიბლიოგრაფია აუშენებია მხოლოდ ლანძღვა-გინებაზე და საზოგადოება შეცდომაში შეჰ-

ყავს, ამიტომ საჭიროა ლექსიკონის გასინჯვა-დაფასება მიენდოს რამდენსამე მცოდნე და მიუდგომელ კაცს...

დასასრულს პაიჭაძე შენიშნავს, რომ მან ეს წერილი „ცნობის ფურცელში“ წაიღო დასაბეჭდად, მაგრამ მეორე დღესვე რედაქციამ წერილი უკან დამიბრუნაო, იმ მოტივით, რომ „მოუხერხებელია ჩვენის კრიტიკოსის წინააღმდეგ დაიბეჭდოს ჩვენსავე გაზეთშიო... ხმა გავრცელდა, ვითომ რედაქციაში ამავე საკითხის შესახებ რამდენიმე წერილი მისულიყოს პროტესტის გამოსაცხადებლად. დარწმუნებული ვარ, რედაქცია პროტესტის წერილებსაც ისე მოეპყრობა, როგორც ჩემს წერილსაო“.

ზანგის სურვილის საწინააღმდეგოდ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონმა“ დიდი გავრცელება ჰპოვა მთელ საქართველოში და მაღალი შეფასება დაიმსახურა ჩვენ საზოგადოებრიობაში. მაგრამ ვერც ფართო საზოგადოებრივმა აზრმა, ვერც იოსებ იმედაშვილის საქმიანად დასაბუთებულმა პასუხმა, ვერც სამსონ პაიჭაძის სამართლიანმა შენიშვნებმა მოახდინეს ახირებულ რეცენზენტზე შთამაგონებელი გავლენა, რომ იგი ობიექტურად ჩაფიქრებოდა იმედაშვილის პიროვნებისა და მისი ლექსიკონისადმი თავის უსამართლო რეცენზიის უნიადაგობას და ეღიარებინა თავისი აშკარად ტენდენციური საქციელი. ამის მაგივრად, მან მეორედაც ისეთივე უსაფუძვლო და გაყალბებული ციტატებით მოინდომა იმედაშვილის გაბიაბრუება. იმედაშვილი იძულებული გახდა კიდევ გაეცა პასუხი ზანგის მიერ მსგავსად შეთითხნილ, ლექსიკონში ვითომ აღმოჩენილ შეცდომათა გასაბათილებლად (კიდევ ბ-ნი „ზანგი“ და მისი წერილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ შესახებ (პასუხის პასუხი), გაზ. „ივერია“, 1904, 16 დეკემბერი, № 287, გვ. 2—3).

წერილი იწყება შემდეგი შენიშვნით: „ეს წერილი „ცნობის ფურცელში“ დასაბეჭდად ბ-ნ ზანგის საპასუხოდ, ბ-ნ ალ. ჯაბადარს („ცნობის ფურცლის“ რედაქტორს) გავუგზავნე და ესთხოვე დაებეჭდნა, მაგრამ ხუთი დღის შემდეგ უკან დამიბრუნა და შემომითვალა: „პრინციპიალურად წინააღმდეგი ვარ მაგგვარი პოლემიკისა (ე. ი. სიმართლის აღდგენისა, რასაკვირველია), და ამიტომ წერილიც არ წაგვიკითხავსო“. ამ წერილს შეუცვლელად ებეჭდავ გაზ. „ივერიაში“.

ბ-მა ზანგმა ჩემს ნაშრომს გვერდი აუქცია და თავისი გულისწყრომა ჩემს პიროვნებაზე გადმოანთხია. მას რომ „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ შემდგენლისათვის არავითარი ყურადღება არ მიექცევნა და მხოლოდ ნაშრომში განეხილა, მაშინ ასე სახიფათოდ არ შეცდებოდა... რადგან ყოველი ჩემი სიტყვა, ჩემის ლექსიკონის თვითეული პწკარი ხანგრძლივი შრომის ნაყოფია, შედარებულია მრავალს წყაროებთან,

შემოწმებულია სხვადასხვა ლექსიკონებთანა და წიგნებთან და მხოლოდ ისეა შეტანილი. მიუდგომელი კაცი ჩემ მიერ ნაჩვენებ წყაროებსაც გამოსძებნიდა, შეადარებდა და მხოლოდ ისე დამდებდა მსჯავრსა. ბატონი ზანგი ასე არ გაიპარჯა. იგი ცდილობს ჩემის პიროვნების დამცირებას"... „ბ-ნმა ზანგმა ის არ იკმარა, რომ თავის პირველს წერილში გადამახინჯებით ამოსწერა ჩემის ლექსიკონიდან მოყვანილი სიტყვები, ახლა თავის შეცდომას ესარჩლება და ჰლამის გადააფუჩეჩოს... იგი ბრძანებს: „მართალია აგრეთვე რომ ორიოდე (მხოლოდ ორიოდე, ბ-ნო ზანგი?) სიტყვა მცირედის (sic) შეცდომებით არის დასტამბული (ბ-ნი ზანგი წინასწარ განზრახულებით განგებ გადამახინჯებით ამოწერილისთვის შეცდომებს სტამბას აწერს)... „ზანგი" ხალხს უშინაარსო მრავალსიტყვაობით უმასპინძლდება".

აღნიშნულ საპასუხო შენიშვნებს იმედაშვილი ურთავს სათანადო ციტატებს იმის საჩვენებლად, თუ ზანგი როგორ დამახინჯებულად იწერს ლექსიკონიდან საილუსტრაციო მასალას, რომ მათი უაზრობის გამო დასცინოს ავტორს. მაგ.: „ამის წინააღმდეგი ცნებას" მაგიერ ზანგს ამოუწერია: „ამის წინააღმდეგი ოცნება".

ამ პოლემიკის თითქმის ორმოცი წლის შემდეგ, 1942 წ. 20 თებერვალს ი. გრიშაშვილს ბუკინისტებთან შეუძენია იმედაშვილის ლექსიკონის პირველი 1904 წლის გამოცემა და მისი ყდის მეორე გვერდზე ასეთი საყურადღებო მინაწერი გაუკეთებია: იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი" გაარჩია ზანგმა (გრ. რცხილაძემ) და ძალიან ავად მოიხსენია. ზანგის წერილს კარგად უპასუხა ი. იმედაშვილმა" (პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი, ტ. I, ნაწ. III, გამომცემლობა „მეცნიერება", 1980, გვ. 383).

აქვე საჭიროდ მიმაჩნია დაეურთო განცხადება „უცხო სიტყვათა ლექსიკონის" გამოცემის შესახებ, რომელიც ამ წიგნზე რეცენზიების ბეჭდვის დროს 1904 წლის გაზ. „ივერიაში" რამდენჯერმე გამოქვეყნდა: „პირველად ქართულს ენაზე ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი", რომელშიც შეკრებული და განმარტებულია ათიათასამდე უცხო სიტყვა, ყველასათვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხვ. „უცხო ანდაზები და წინადადებანი", რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ 1 მან., ჩვეულებრივის 1 მან და 15 კაპ., საუცხოო (ოქროს ეარაყიან ასოებით დაბეჭდილი)

კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც შეიძლება გაიწეროთ. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში".

ასეთი დაძაბული შრომა — თეატრი, გამომცემლობა, პრესა, თავისთავზე მუშაობა, პრაქტიკული მოღვაწეობით მუდმივი კონტაქტი მუშებთან და გლეხებთან, თვალყურის დევნება რუსეთის მუშათა მოძრაობის მთავარი მოვლენებისათვის, — ეს ყველაფერი იყო სამზადისი, რომ იოსებ იმედაშვილი თავდადებით ჩაბმულიყო არალეგალურ მუშაობაში და პროფესიონალურ რევოლუციონერად ქცეულიყო.

იოსებ იმედაშვილის პირველი პატიმრობა

ამ ხანებში, 1903 წლიდან მამას ჯორჯაძის ქუჩაზე, ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ არალეგალური მუშაობის შენიღბვის მიზნით ბუკინისტური მაღაზია ჰქონდა გახსნილი, რომელიც ფაქტიურად შეკრებებისა და აკრძალული წიგნების დასაიდუმლოებულ ბიბლიოთეკას წარმოადგენდა. ამავე მიზნით, მეტი უსაფრთხოებისათვის, არალეგალური წიგნები ლეგალურ გამოცემათა ყდებში ჰქონდა ჩასმული, რისთვისაც ხშირად სახარებისა თუ სხვა საეკლესიო წიგნების ყდებს იყენებდა.

აქ თავს იყრიდნენ რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმული მოწინავე მუშები, მწერლები, საერთოდაც პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენელნი — ზაქარია ჭიჭინაძე, ლადო კეცხოველი, მიშა დავითაშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, სეით დეედარიანი, ვასო ცაბაძე, სევერიან ჯუღელი, მიხა ცხაკაია, იოსებ ჯუღაშვილი, ფილიპე მახარაძე, ვლასა მგელაძე, რკინიგზელი მუშები ძმანი ჩოდრიშვილები, არავიაშვილები, ეს გვარები თურმე იმედაშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დადასტურებული ყოფილა თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს საიდუმლო მიმოწერაში.

არა იშვიათად აქვე მოდიოდნენ — თვით ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლომოური, ნიკო ცხვედაძე, ანტონ ფურცელაძე, დიმიტრი მაჩხანელი, დავით რომტომაშვილი, ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები, ეკ. გაბაშვილი, განდეგილი, ნინო ყიფიანი, არჩილ ჯორჯაძე, გ. თუმანიშვილი, ალ. ხახანაშვილი, ივ. გომართელი, მიხ. ჯავახიშვილი, ივ. ბერიტაშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი და სხვ.

ამ საწიგნეში გატარებული დროების შესახებ იმედაშვილი იმ საინტერესო ამბავსაც იხსენებდა, რომ თბილისის სასულიერო სემინა-

რიის მოწაფეებს ნებადაურთველ გამოცემებს ვაკითხებდი და სხვათა შორის მაშინ სოსო ჯუღაშვილმა ჩემგან წაიღო და წაიკითხა ერნესტ რენანის „იესო ქრისტეს ცხოვრებაო“.

„სავაჭრო მაღაზიად“ შენიღბულ ამ არალეგალურ საწიგნეს მიხელ ჯავახიშვილი ასე ახასიათებდა: „წიგნებში ჩამძვრალი იოსებ იმედაშვილი რიჟრაჟიდან დაღამებამდის თავჩაქინდრული ზის დახლის უკან და გამალებით მუშაობს, ვითომ წიგნებით ვაჭრობს, მაგრამ მუშტრების მაგივრად ნაცნობ-მეგობრები ეხვევიან...“

როგორც მალე გამოირკვა, ჟანდარმერიას შეუნიშნავი არ დარჩენია ამ ბუკინისტური მაღაზიის ნამდვილი დანიშნულება, მისი დასაიდუმლოებული საქმიანობა თავისი მიმსვლელ-მომსვლელებით და ისიც, რომ ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის დამდეგამდე იოსებ იმედაშვილი არა მხოლოდ თანაუგრძნობდა მესამე დასელებს, არამედ აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციის მუშაობაში, იყო არალეგალური სამხედრო ორგანიზაციის წევრი და პრესაში ბეჭდავდა წერილებს მუშათა და გლეხთა ყოფა-ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე ცოცხალ ინფორმაციებს, ხშირად გამოდიოდა მუშათა მიტინგებზე რევოლუციური სიტყვებით, აწყობდა საიდუმლო კრებებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, რის გამოც 1904 წელს ბინა გაუჩხრიკეს და დააპატიმრეს. ჩანს ისიც, რომ ადრიდანვე, 1903 წლიდან მაინც, თუ უფრო ადრე არა, იმედაშვილი როგორც არალეგალურ მუშაობაში შემჩნეული, ჟანდარმერიის მეთვალყურეობაში იმყოფებოდა. ამ ხანის მისი რევოლუციური მუშაობის შესახებ თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს საქმეებში საინტერესო ცნობებია შემონახული: «Имедашвили Иос. Зах. крестьянин Тиф. Губ., книготорговец, в 1903 г. принимал участие в деятельности местной социал-демократической организации, хранил нелегальную литературу. предоставлял помещение своего магазина для сходок и т. п. В его же магазине предпринято было издание преступных брошюр в легальных обложках. При ликвидации 6-го янв. 1904 г. местной соц. демокр. организации, Имедашвили был подвергнут в порядке положения о госуд. охр. обыску и вследствие обнаружения у него нелегальных брошюр, заключен под стражей и привлечен к дознанию при Тиф. жанд. упр.. каковое за силою Всемилостивейшего Манифеста 11 августа 1904 г. прекращено с отменою принятой меры пресечения.

По освобождении из-под стражи 19 марта Имедашвили вошел в связь с группой лиц, занимавшихся в г. Тифлисе изданием печатных прокламаций и при ликвидации последней 10 августа был вновь подвергнут обыску... На демонстративных похоронах 30 января 1905 гда Нины Гогиашвили произнес речь резко противоправительственного направления. 20 февраля в

Кашветской церкви произнес речь в строго националистическом духе. 26 июня вел преступную пропаганду на массовой сходке рабочих и мелких торговцев на горе Св. Давида, принимал участие в собрании 31 июля пропагандистов в Нахаловке, под председательством Арчила Джапаридзе, на котором обсуждались вопросы о принятии мер против партии патриотов и принятии в организацию вновь прибывшего пропагандиста Конова. В ноябре месяце 1905 года всецело предался деятельности националистов... В партии социалистов-федералистов пользовался большим вниманием, являясь одним из видных деятелей Имедашвили на всех сходках и митингах выступал в числе первых ораторов, выпускал массу противоправительственных сочинений...».

როგორ მიაგნო პოლიციამ ბუკინისტური წიგნის მაღაზიაში არალეგალური ლიტერატურის ბიბლიოთეკას, საიდან გაიხსნა თითქოს კარგად შენიღბული მისი საიდუმლოება, რასაც მოჰყვა წიგნების კონფისკაცია და იოსებ იმედაშვილის დაპატიმრება, ამის შესახებ დიდი ხნის შემდეგ თავის მოგონებებში ასე მოგვითხრო თვითონ იმედაშვილმა: „1903 წ. ქ. ტფილისში ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ არ. ჯორჯაძის (ყოფ. გიორგის) ქ. არჯევანიძეთა მამულში, ჩემს წიგნთსაცავში სხვა არალეგალურ წიგნთა შორის მქონდა პარიზში გამოცემული არალეგალური ჟურნ. „საქართველოს“ რამდენიმე ნომერიც.

ერთ საღამოს იქ ჩემთან შემოვიდა შავწვერულვაში, ლამაზი შესახედაობის ბერი. თავაზით, შინაურულად მომესალმა, თავი მამულიშვილად გამაცნო: — ამჟამად დარიის მონასტრის წინამძღვრადა ვარ; დიდად მიხარის, რომ ჩვენს ქვეყანას თქვენისთანა მოღვაწენი კიდევ უჩნდებიან. არალეგალური წიგნებისა და ჟურნალ-ფურცლების გავრცელებით დიდი სარგებლობა მოგაქვთ... ძლიერ დამავალებთ თუ უკანასკნელი დროის არალეგალურ გამოცემებს წამაკითხებთ. — მითხრა მან.

ამ ბერმა ლაქუცა-მელური ენით ისე მომთაფლა, რომ იქვე გამოვწიე უჯრა და „საქართველოს“ სამი ნომერი მივეცი. წაღებული ნომრები მეორე დღეს დიდის მადლობით დამიბრუნა. ეს იყო 1904 წლის იანვრის 5-ს. „საქართველოს“ მოტანილი ნომრები იმავე უჯრაში ჩავაწყე უკან, მადლობაც გადაუხადე ასეთი პირიანობისათვის და აღუთქვი — ყოველთვის გამომიარე და რაც შენება, მოგართმევ-მეთქი.

1904 წლის იანვრის 6-ს, დილით ჩამოვედი თუ არა, ჩემი წიგნთსაცავი დალუქული ვნახე. კარებთან ჟანდარმი იდგა. ჟანდარმის მოთხოვნით წიგნთსაცავი გავაღე. შემყვა ჟანდარმი და მითხრა:

— აბა, დიდხანს რომ არ შეგაწუხოთ, გვიჩვენე ნებადაურთველი ჟურნალ-გაზეთები და რაც სხვა ასეთი გაქვთ.

თაროებზე მივუთითე, აი, გასინჯეთ-მეთქი.

— არა, უჯრა გამოსწიეთ და უკან რომ გიწყვიათ, ის ამოიღეთ!

ელდა მეცა. ეს საიდუმლო მხოლოდ დარიის მონასტრის ბერმა იცოდა. უჯრა ძალით გამომაწვევინეს, არალეგალური ჟურნალ „საქართველოს“ ნომრები ჩამომართვეს და მეც წამიყვანეს. ჯერ ყანდარმთა სამმართველოს სარდაფში ჩამსვეს, რამდენიმე ხნის შემდეგ მეტეხის ციხეში მიკრეს თავი და ახალი შენობის ქუჩის პირას ზედა სართულში ჩამსვეს, საიდანაც დარიის მონასტრის ეზოს გავცქეროდი. ერთ დილას ჩემი საკნის გადაღმა, ქუჩის მეორე ნაპირას მდებარე სახლის აივანზე შევნიშნე ნაცნობი ბერი. მან რამდენჯერმე გამომხედა. შევნიშნე რაღაც ბოროტი კმაყოფილება ემჩნეოდა. ვიფიქრე, ვიძიე და გავიგე, რომ ეს ბერი იყო დიმიტრი ეპისკოპოსი (ქართველი თავადიშვილი). გველს მივაგენ, თითზე ვიკბინე, მაგრამ გვიანღა იყო...

აი, ვინ იყო დიმიტრი ეპისკოპოსი და მის შესახებ რა ეწერა არალეგალურ ჟურნალ „საქართველოში“ (1903 წელი, მაისის 5, № 3, გვ. 11), რომელიც პარიზში გამოიცა და საქართველოში არალეგალურად შემოდიოდა: „ეპისკოპოს დიმიტრის (აბაშიძის) განდევნის გამო (წერილი კახეთიდგან)“.

არა მხოლოდ ქართული პრესის, წიგნისა და განათლების, არამედ ყოველივე ეროვნული ქართულის დაუზარელ მდევნელზე, ამ ჩამოყალიბებულ ჯაშუშზე „საქართველოს“ წერილის შინაარსი მოკლედ ასეთია:

„პარიზში მყოფ ქართველებს გაუგიათ ის სასიამოვნო ამბავი, რომ ეპისკოპოსი (დიმიტრი აბაშიძე) კავკავის ეპარქიის დროებით მმართველად დაუნიშნავთ. ყველა ქართველს გაუხარდება საქართველოდან მოშორება იმგვარი ადამიანისა, როგორიც იყო, არის და მომავალშიც იქნება ეპისკოპოსი დიმიტრი. მეფის ბევრ მოხელესაც შეშურდება მისი ცხოვრება დამყარებული ქართველების ლანძღვა-გინებასა, მათს დაბეზღებასა და უსირცხვილო მოქმედებაზე. ამიტომ მის „საგმირო საქმეთა“ მცოდნე ქართველობამ დიდი ხანია შესწყვიტა მასთან ყოველგვარი დამოკიდებულება, ზიზღით ხვდება ყველგან, ცხვირწინ უკეტავს თავისი სახლის კარს და ხელსაც არართმევს საზეიმო შეხვედრების დროსაც... მან თავხედურად იკისრა ალავერდის ტაძრის წინამძღვრობა... მისი მავნე მოღვაწეობის გამო ხალხი არ ესწრება ალავერდში წირვებს და აშკარად აგრძნობინებს უყურადღებობასა და უკმაყოფილებას, მით უმეტეს კახეთის ეკლესიების რევიზიის დროს, სადაც მის შესახვედრად ხალხს პოლიციელები ძალით ერეკებიან. მის წინააღმდეგ მამხილებელი პროკლამაციები გავრცელდა და იგი ბევრს ცდილობდა მისი ავტორისა და გამავრცელებლების აღმოჩენას, მაგრამ ვერც ქრთამით, მუქარა-ლანძღვით ვერაფერი გამოუვიდა. მისი დახმარებით დღეს მრავალ სასულიერო სკოლაში ქართული წიგნები

და ენა აკრძალულია... იგი ცნობილია უსამართლო, ყოველ სინდისმოკლებული წერილებით რუსულ გაზეთ „პეტერბურგის უწყებებში“ „გრუზინის“ ხელმოწერით. ყველაფერი ეს მართლაც სანატრელს ხდის ყოველი ქართველისათვის საქართველოდან მის სამუდამო მოშორებას“.

პრესისა და მწერლობის გზაზე

თეითგანვითარებას დაწაფებული მამაჩემი რაკი წიგნის გემოს ეზიარა, დიდი სიყვარულითა და დაუზარელი შრომით მოეკიდა ბავშვობაში დაკლებული ცოდნა-განათლების შევსებას, ისე, რომ ჩქარა იპოვა თავისი თავი და იმაშიაც გაერკვა, თუ როგორი გზით უნდა ევლო. ეს იყო სწავლების პირველივე წელი და აქედანვე დაწყებული მთელი მისი ცხოვრება მხოლოდ დაძაბულ შრომაში მიდიოდა, ახალგაზრდისათვის უჩვეულო პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის ყოველ წუთს და მისი ყოველი დღე დაუსვენებელ მეცადინეობაში ღამდებოდა. თავიდანვე სპარტანულ ცხოვრებას მიჩვეული, თავის თავისადმი სასტიკი, არც ერთ დღეს თავის ტოლებივით უქმ გართობაში არ ატარებდა, რასაც ხელს უწყობდა ისიც, რომ ბედი თითქოს საგანგებოდ არჩევდა მისთვის ხელოვნებისა და მწერლობის წარმომადგენლებს — მადლიან მასწავლებლებს, ჟურნალ-გაზეთის თანამშრომლებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს. ამიტომაც იყო, რომ ასეთ ხელშემწყობ პირობებში, ვიდრე იგი თეატრში დაიწყებდა მუშაობას და სახალხო წიგნის გამომცემლობას შეუდგებოდა, უკვე მოწაფეობის დროს, 1890 წლიდან, ახალგაზრდა მუშა-ხელოსანთა თანამშრომლობით საკუთარი ხელთნაწერი მხატვრული შინაარსის ჟურნალის „თარის“ რამდენიმე ნომერი გამოუშვა.

მაშინდელ უდაბურ პირობებში ჟურნალის, თუნდაც ხელნაწერის შექმნა მეტად მნიშვნელოვანი წამოწყება იყო, რამაც არა მხოლოდ მუშათა წრეებში ჰპოვა გავრცელება. თქმა არ უნდა, რომ ამ ჟურნალზე მუშაობამ მასში თავიდანვე გააღვივა ინტერესი პრესის, ბეჭდვის, საგამომცემლო საქმის პროფესიისადმი. რაც შეეხებათ „თარის“ თანამშრომლებს, მათგან უმეტესობა შემდგომადაც ცნობილ მოღვაწეებად მოგვევლინენ კულტურის ამა თუ იმ დარგში. ამდენადვე მოულოდნელი აღარ იყო, რომ მან ჩქარა დაიწყო თანამშრომლობა ქართულ პრესაში ჯერ კორესპონდენციებით, ხოლო 1892 წლიდან სისტემატურად ბეჭდავდა საგაზეთო წერილებს, რეცენზიებს ფელეტონებს, მოთხრობებს „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „მოგზაურში“, „კვალში“, „ნაკადულში“, „ჯეჯილში“.

სოფლის შუაგულიდან ქალაქის მუშა-ხელოსანთა წრეში მოხვედრილი, უმთავრესად მშრომელი ხალხის ჰირ-ვარამს ჩახედული დამწყები მწერლისათვის თემას ძებნა არ უნდოდა — უბრალო ხალხის ცხოვრება იყო მისი საგანი. ენაც ბუნებრივი, უშუალო, ხალხური მეტყველებით ნაზავი. ასე დაიწყო მან ხალხური გუმანით და აზრით, რაც თუ შემდეგ ბუნებრივად იხვეწებოდა, ბოლომდე მისმა სტილმა მაინც შეინარჩუნა უშუალობა, გულწრფელობა, სილაღე, აცდენილი წიგნური თქმის შეზღუდულობასა და რაიმე შტამპს. მისი ფსევდონიმები ასს აჭარბებს — ადგილობრივი გლეხი, ალიჯი, ამი, ი. არიელი, იოსებ არიმათიელი, ახალი ტექნიკოსი, ბ-ოსული, გარეშე, გული კრული, გულია, გულისხმიერი რედაქტორი, გურჯიოღლი, დამსწრე, ედმონდ კინი, ერთი, ერი, ექიმი შტოკმანი, ი. ზაქარიაშვილი, თვალყურა, ია, იზიძე, იმედი, იმე, იმედიანი, იობი, ისარი, კაიუს გრაკხუს, კახელი, კენტი, კენჭი, ლარაძე, ლაფიანხეველი, ლარი, მე, მეგობარი, მეკვლე, მეთვალყურე, მელპომენის მომხრე, მერცხალი, მზეჭვრიტა, მიქეშელი, მოგზაური, მოთეატრე, მოკეთე, მონაწილე, მოძღვარი, მწიგნობარი, ნიშადური, ორინი, საწერელი, სიკო, სიმი, სოსო, სტუმარი, უსავანო, უსუფ-უმუთ-ოღლი, უსუფ-ხან, უჩინო, უცხოელი ტექნიკოსი, ქართველი ძინა, წითლობის მეველე, წინა, ი. წინამძღვარი, ჭინკა, ჭიტა, ჭოპოსანი, ხაშმელი, ხაშმელი სოსიკა; ი-ა-ი, ი, ი-ი, ი-ელი, ი-თელი, ი. ზ., ი-ლი, იმე-ლი, იმ-ლი, იმ-ძე, ი. წ., ი. წ-რი, -ლი, -ი, მ-ე, მ-ლი, -ნო-, სა-ო, სი-, სო-ლი, ს. ხ-ელი., უ, უ-ნო, წ-ი, წ-რი, ჭ-ნი.

ამდენი ფსევდონიმის შეძენას იოსებ იმედაშვილი იმით ხსნიდა, რომ ხშირად ვიდევნებოდი, როგორც მარჯვნიდან — მეფის მთავრობის აგენტებისაგან, ისევე მარცხნიდან, გაბატონებულთა და მათ მონათაგან, აგრეთვე სასტიკ რეაქციის ხანაში ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებულ ნაძირალთაგან, რომელთა მანკიერების წინააღმდეგ წერა მიხდებოდაო.

თავიდანვე მწერლობის საგნად, მით უმეტეს კორესპონდენციის პირდაპირ დანიშნულებად, მას მიაჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერებათა მხილება, მდიდართა და ღარიბთა დაპირისპირებაში უუფლებოთა და დამცირებულთა თანადგომა, კეთილდღეობის მინიმალურ პირობებს მოკლებულთათვის უკეთესი გამოსავლის ძიება, სოციალური კონფლიქტების უკეთურებათა ხალხის სამსჯავროზე გამოტანა.

მის გმირებს გლეხებსა და მუშებთან ერთად საზოგადოების დეკლასირებული ელემენტები წარმოადგენენ, რომელნიც გამოეთიშნენ როგორც თვით გაღარიბებულ გლეხობას, აგრეთვე პატიოსანი შრომის უღელში ჩაბმულ მუშათა კლასს და თავისივე თანამოძმეების

შრომის ექსპლუატაციაზე აგებენ საკუთარი კეთილდღეობის სამარცხვინო შენობას, შეთხვრილს მათი ოფლითა და სისხლით.

მას ჯერ კიდევ 1893—1894 წლებში ჰქონია დამთავრებული ქალაქური ყოფის თემაზე მდაბიო ხალხის — მუშა-ხელოსნების, გაღარიბებული გლეხების, ყარაჩოხელების, კინტოების დაბეჩავებული ცხოვრების შინაარსზე 22 თავის შემცველი სათავგადასავლო რომანი „ერთმანეთის ნატრულნი“. შეყვარებულთა წყვილი, რომელთაც თავისი მომავალი სიხარულითა და სილამაზით აესილ სამოთხედ რომ ეზმანებოდათ, ქალაქური ცხოვრების უკუღმართ პირობებს ემსხვერპლებიან. ყოველგვარ თანაგრძნობას მოკლებულ, უსახსრობით სიღატაკეში ჩაცვივნულ ქალიშვილებს მკაცრი სინამდვილე გარყვნილების ჭაობისაკენ მიაქანებს და საბოლოოდ საკუთარი სხეულით ვაჭრობამდე მიიყვანს. ამ რომანის ბეჭდვა, როგორც თანადროული სოციალური გარდუვალი სენის აშკარა და მეტად გაბედული მხილება თავის დროზე მეფის ცენზურამ აკრძალა.

ქონებრივი და წოდებრივი უთანასწორობით გაპირობებული სოციალური ცხოვრების მოურჩენელი ტკივილების მსგავსი მოტივები ძირითადად განსაზღვრავენ იმედაშვილის შემოქმედების თემატიკას, რაც შემდგომშიაც მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში სოციალურ ბოროტებათა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ კითხვად იქცევა. ამიტომ არის, რომ მის ნაწერებს არა სცილდებიან ბედნიერებადანგრეულთა, უსამართლოდ ჩაგრულ-დევნილთა, ხალხის კეთილდღეობისათვის ტანჯულთა სახეები. ამ მხრივ სანიმუშოა მისი ერთ-ერთი პირველივე მოთხრობა, დაბეჭდილი „იმედის“ ფსევდონიმით „ახალი წელი“? (გაზ. „იერია“, 1897, 1, I, № 1), როგორც მოწოდება უთანასწორობა-ჩაგვრის წინააღმდეგ: „ვნახე ცხოვრება გესლ-შხამითა შეზავებული!... ერთსა მეორე კიბედ ჰქონდა აყუდებული, ადიოდა ზედ და დანარჩენს ბრბოს, შეწუხებულთ შიმშილ-სიცივით, ფეხ-ქვეშ სრესავდა: თვითონ ჰხარობდა ჩაგრულთ-დაჩრდომილთ ნაოფლარითა... კიბედ გამხდარნი, ბეჩავად ქმნილნი ვერა ბედავდნენ ხმის ამოღებას, ვერ ეთქოთ „ჩვენც ხალხი ვართ, ადამიანნი, სხვებთან ერთად ჩვენც გვინდა ცხოვრებაო... დაჩაგრულნი ვერ იჩენდნენ ძლიერებასა და მჩაგვრელნი კი თანაგრძნობას, შებრალებასა...“

იმავე წლის „ცნობის ფურცელში“ „ხაშმელი სოსიკას“ ფსევდონიმით ესკიზი „მცივა... მშიან“ სოციალური ცხოვრების ერთ ასეთ კონტრასტის ჩვენებაზეა აგებული. მდიდრისა და ღარიბის დაპირისპირების სურათით: მსუქნიშვილის მდიდრულად მორთულ სახლში საშობაოდ რომ ჭორმანს წამოაქცევენ, ინდაურებს დაკლავენ, სასმელ-საჭმელს უხვად გაამზადებენ, ამ დროს იქვე ახლოს ფიცრულ ცივ ჭოხში სამი ბავშვით ქვრივად დარჩენილი თოკინე უნაფქოშვილს

ერთი ლიტრა ფქვილიც არა აქვს პურის გამოსაცხობად, თან სახელწიფოს ვალში ფარდაგი და ქვაბი წაართვეს, რაკი მამასახლისის საყვარლად გახდომას არ დათანხმდა. სურათი თავდება შეგონებით — მაძღარსა ბედნიერს არ ესმის მშიერის და უმწეოს „მშიან, მცივა“. ამ დროს ზარების რეკვაზე ხალხი ეკლესიისაკენ მიეშურება, სადაც მღვდელი ჰქადაგებს — დღევანდელს დღეს დაიბადა ის კაცი, რომელმაც გვიმოძღვრა — გიყვარდეთ მოყვასი, ვით თავი თქვენი, გიყვარდეთ დავრდომილნი და უმწეონი, შეიყვარეთ დაჩაგრულნიო... მაგრამ ეს მცნება და სათნოება, მიუხედავად იმისა, რომ მღვდელი რამდენჯერმე იმეორებს, ხალხში მაინც ვერ განმტკიცდა...

სოციალური უსამართლობით დეენილ-დაჩაგრულთა უმწეო ცხოვრების მსგავსი სურათები აქვს დახატული ესკიზებსა და მოთხრობებში, როგორც სოფლის, აგრეთვე ქალაქის ღარიბ-ღატაკთა უნუგეშო ყოფის თემაზე. ესკიზში „ლუკმა პურისთვის“ („ივერია“, 1898, 4 მარტი, № 60), ულუკმაპუროდ დარჩენილ სამი შვილის დედის მოთქმას არავინ ეხმაურება: „დაყრუვდა ქუჩა — არავის ესმის დედის ჩივილი, დაბრმავდა ხალხი, ვერავინ ხედავს ქალსა მწუხარეს, გაქვავდა გრძნობა — შიგ ვეღარ ატანს ცრემლი და კვნესა...“

სიღარიბე არა მხოლოდ ნივთიერი გაჭირვებით ემუქრება უმწეოს, სოციალური უთანასწორობით დაჩაგრულ ადამიანს, იგი მორალურ დაქვეითებასაც განიცდის. ესკიზში „პირუტყვია თუ ადამიანი?“ („ცნობის ფურცელი“, 1897, № 40, გვ. 324), დაქვრივებული სოფიკო უნდიშვილი ძალადობა-გაუპატიურების მსხვერპლი ხდება და მამასახლისთან საჩივლელად მისული მხოლოდ დაცინვას იღებს. ესკიზში „სამართალი“ („ცნობის ფურცელი“, 1897, № 40, გვ. 324) სირაჯების ვალში ჩავარდნილი ღარიბი გლეხი გიორგი ბეჩავაძე იძულებული ხდება თავის ერთადერთ მარჩენალ ვენახს შეელიოს...

წარსულის ყოფისათვის დამახასიათებელი სინამდვილე მუშისა და მისი დამქირავებელი მექარხნის ანტაგონიზმის ჩვეულებრიობაა. მოთხრობა „მე თვით ავაგე საკანი ჩემი“ („ივერია, 1898, 3 მაისი) მუშების შრომის უკეთესი პირობებისათვის ბრძოლის თემას ასახავს, ახალგაზრდა მჭედლისა და მის უფროსს შორის კონფლიქტზე, რომელიც ასეთი საგულისხმო შეგონებით თავდება იმავე მუშის სიტყვებში: „ხელები ისევ დაკოურილი მაქვს, ხელმოკლეობა კვალად ჩამდგომია და სულს მიხუთავს. გამოცდილებამ ცხოვრების სიბრძნე გამაცნო, მაგრამ ახლაც ვხედავ, რომ მე თვითონ ვაგებ ჩემს საკანს, მე თვითონ ვაშენებ ჩემს საპყრობილეს, მე თვითონ ვსჭედავ ჩემს ბორკილს, — რადა, რისთვის?!...“

მშრომელი ადამიანის მშიერი ცხოვრებისათვის განწირულების ეს თემა მას არაერთ ესკიზში აქვს გაშლილი. „ღმერთიც სდუმდა“

(„ივერია“, 1903, 20, XII) ხელოსანთა გაჭირვებული ცხოვრების ნიმუშს წარმოადგენს. მეჩექმე გიგოლას ქირის გადაუხდელობის გამო პატრონი ცოლშვილიანად შუა ზამთარში გარედ აგდებს. „თვალცრემლიანი გიგოლა კი ლოგინ-წამოკიდებული, ხელში აყვანილი ორის ბავშვით ეზოს კარებისაკენ გაემართა, უკან გაჰყვა შეწუხებული ცოლი სამის ბავშვით. აივნიდან სახლის პატრონისა და სხვათა ქალიშვილები და ცოლები დაჰყურებდნენ ამ თამაშს, ზოგნი სახლში შეტრიალდნენ, რომ „ნერვები“ არ აშლოდათ. ერთმა ვიღაცამ „თავისუფლად“ ამოისუნთქა და წაილაპარაკა: ძლივს არ მოერჩით ამ საპოჟნიკის კაკა-კუკსაო და ბავშვების ჟივილ-ხივილსაო...

უფრო მძაფრად ეს განწირულება გამოხატულია ესკიზში „სამაგიერო“ (გაზ. „ივერია“, 1903, 19 XII), მეპატრონის ქარხანაში მუშაობა ვერ უზრუნველჰყოფს მუშის ცხოვრების მინიმალურ მოთხოვნილებას, ისე, რომ მოწინავე ოსტატიც კი პირადი უზრუნველყოფისათვის ზრუნვის მსხვერპლი ხდება. იგი იძულებული იყო გაფიცვაში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ შემდეგ პატრონთან შეთანხმებაზე წასულმა ამხანაგების ზიზღიც დაიმსახურა, რაც პატრონისაგანაც მოტყუებულს სიკვდილად დაუჯდა. ასევე პეტრე დურგალს, ყოვლად გამოუვალი მდგომარეობა სიმთვრალეში ჩახჩობით უბედურებისაკენ მიაქანებს: „საწყალო პეტრე, ნეტავ როდემდის უნდა იყო მაგ დღეში?.. ნეტავ როდემდის უნდა ჩაიშხამო შენვე შენი სიცოცხლე?“ (პეტრე დურგალი, გაზ. „ივერია“, 1898, 15 VIII, № 178).

როგორც ჩანს, ამ მოთხრობებში მუშათა დუხჭირი ცხოვრების ერთ მიზეზად მათი დაქსაქსულობა, ურთიერთ შორის სათანადო კავშირის, ერთი აზრით მოქმედების შეუთანხმებლობაა. ხალხის მასების მოქმედებაში ასეთი გაუგებრობის ერთ ტიპიურ შემთხვევას ასახავს ძოთხრობა „რამ შეცვალა“ (გაზ. „ივერია“, 1903, 25, VI, № 153). გაინტელიგენტებული მუშა ბაკო ოდესღაც ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებას ქადაგებდა, — ჩვენი მოვალეობაა ხალხს ვუწინამძღვროთ, გზა გავუკვლიოთ, მათი უნუგეშო მდგომარეობისათვის რამე ვიზრუნოთ, შევკავშირდეთ, დავივიწყოთ საკუთარი მე, ყოველივე კერძო ანგარიში უკუვაგდოთ, მხოლოდ გვახსოვდეს ხალხი და ხალხიო, მაგრამ სწორედ ამ მოქალაქემ, როდესაც უზრუნველყოფილი საშსახურში ჩადგა, ჩინ-მედლებითა და კარგი ჯამაგირით მოხიბლულმა, ისე დაივიწყა ხალხი, რომ მასთან მისული გლეხები სალაპარაკოდაც არ მიიღო...

საერთოდ შეიმჩნევა, რომ იმედაშვილის ამ ხანების მოთხრობათა პერსონაჟების ცხოვრებაში, სინათლე არა ჩანს. მათში სიღარიბე-სიმდიდრის დაპირისპირების, როგორც სოციალური ბოროტების მუქი სურათების გამოხატვა გასული საუკუნის ქართული სოფლისა

და ქალაქის ღარიბ-ღატაკთა ცხოვრების გაშუქებაში განზოგადებულია ქართველი მშრომელი ადამიანის გაუხარელი არსებობის საზარელი სინამდვილე, რომელსაც თითქოს არსაიდან არ ელოდა ხსნა. ასეთი უიმედო სინამდვილის საჩვენებლად განსახიერება შემდგომ წლებში იმედაშვილმა დიადი ბრძოლისა და გამარჯვების რწმენით სავსე მომავლის სურათებით შეცვალა. ესკიზში „სიმართლის ნაამბობი“ (ი. ი., ჟურნ. „კვალი“, 1900, № 27, გვ. 434—435) ცხოვრების ფილოსოფიურ განსჯაში სიმართლე ბედნიერების უფლებებს მოკლებულად აქვს წარმოდგენილი სიცრუესთან შეჯიბრებაში და ეს პროცესი მას კაცობრიობის კულტურული პროგრესისათვის საჭიროდ მიაჩნია, ამასთან ერთად, მას იმედი აქვს, რომ მომავალში სიმართლე განთავისუფლდება სიცრუის კლანჭებისაგან, გამეფდება და გაამეფებს ჭეშმარიტებას, სიმართლესა და ძმობას.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ იმედაშვილი თავისი პროზის პირველივე ნიმუშებში გაბედული კრიტიკისა და პროტესტის სულით შეხვდა არსებულ სინამდვილეს და თუ დასაწყისში დუხჭირი ცხოვრების მძიმე შთაბეჭდილების გავლენით მხოლოდ დაბეჩავებული მუშისა და გლეხის ცხოვრების სურათებს ხატავდა, შემდგომად რევოლუციური სულისკვეთებით გაცისკროვნებულ მეოცე საუკუნის დამდეგს „იზიძის“ ფსევდონიმით მებრძოლი პათოსით ავსილი ლექსები და პოემები უძღვნა. ამ გარდატეხას, ბრძოლისა და გამარჯვების მოტივებით მის მხატვრულ ნაწერებში წინ უძღოდა, რასაკვირველია, მისი პრაქტიკული საქმიანობა, როგორც პროპაგანდისტისა, მუშა-ხელოსანთა წრეებში რევოლუციური იდეების ქადაგებით. ამ მხრივ, ნათელი მომავლის რწმენით გამოირჩევა მის მიერ რიტმული პროზით დაწერილი ესკიზი „წყაროს ნაკადული“, როგორც მოძრაობის, თავისუფლების, სიცოცხლის საგალობელი წყაროს დაბადებისა და ნაკადულად ქცევის სიმბოლიკით. ესაა მოწოდება, რომელიც ავტორის ქვესათაურით ეძღვნება „ცოცხალ-მკვდრებს“ („კვალი“, 1902, № 33, გვ. 533—534), რომ ბუნებისაგან ნაბოძები თავისუფლების დიადი ნიჭი ადამიანის მოქმედების, წინსვლისა, არ უნდა ჩაკვდეს უმოძრაობაში, ისე როგორც მდინარის კალაპოტში მოქცეული წმინდა ნაკადული დაბინძურებულ უმოძრაო ტბორედ იქცევა, რომელიც ირგვლივ მხოლოდ სიმყრალეს ავრცელებს.

აქ აშკარადაა საგრძნობი ავტორის ცდაც ნაკადულის ლაღი დინება ყვავილებსა და ბალახებს შორის, მისი შეუჩერებლად მოალერსე წკრიალა რაკრაკი, მსგავსად რიტმული დინებისა, მეტყველებაში ჩამოასხას: „მთებში, კლდეთ შორის დავიბადე, ვითარცა ცრემლი მოვწყდი კლდის შუა გულსა და გამოვქანდი... ის-ის იყო განვიცადე მზის პირველი სხივი, რომელმაც მკერდში გამიარა და თამაშობით, ბორ-

ცვიდან ბორცვზე დავიწყე ხტომა. მივხტოდ-მოვხტოდი, აქ ხის ფესვებს გადავურბენდი, იქ ფოსოში ჩავირბენდი, ავავსებდი და კვალად ჩემის გზით მივდიოდი, ყვავილთ გროვა ჩემს გულ-მკერდში იბანდა პირს, მე კი იმათი სურნელებით ვნოყიერდებოდი...

ოხ, წყაროვ, წყაროვ, ანკარა წყაროვ, კურთხეულ იყოს სათავე შენი... ახ, რა კარგია, შენის მადლით ალხენდე სხვათა, სთესდე სიკეთეს, სიანკარავეს გიმკობდნენ მზისა სხივები, უმანკოებას გიმოსავდნენ ნაზნი ყვავილნი, ყოველი არემარე შენ გმორჩილებდეს...“

სატირული რომანი „თავგადასავალი ერთი პიროვნებისა“

გართულებული სოციალური ურთიერთობით დაღდასმულ მაშინდელ ყოფაცხოვრებაში, სწორედ ასე უსამართლოდ აწყობილ საზოგადოებრივი ურთიერთობის სინამდვილეში იმედაშვილმა მონახა ცოცხალი სახე. თავისი პირველი ფართო პლანიანი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად. „აახ-ეააახ!“, რომლის ბეჭდვა 1903 წელს დაიწყო გაზ. „ივერიაში“ უსუფ-უმუთ-ოღლის ფსევდონიმით, ქვესათაურით „თავგადასავალი ერთი პიროვნებისა“ (ოქტომბრის № 212, 218, 228, 234, 240, 250, 1904 წლის № 93, 98, 104, 120, 131, 143, 153). მან შეამჩნია ხალხის ზურგზე მიმცოცავი, ორჭოფული იდეოლოგიისა და მდგომარეობის ახალი ტიპის გაჩენა, რომლის ერთად-ერთი მიზანი საკუთარი კეთილდღეობა იყო და რომლის მიღწევაში მისთვის სათნო მორალის გადალახვის არავითარი ქცევის საზღვარი არ არსებობდა.

ეს არის ჩვენი საზოგადოების მაღალ ფენაში მოკალათებული მოლაყბე კოსმოპოლიტი, კინკიბაძე. ეს ის კლასდაკარგული სუბიექტია, რომელიც აღარც გლეხი იყო და აღარც მუშად ყოფნას კადრულობდა. მასში იჯდა გავაჭრებული გლეხის სული, რომელიც მძიმე შრომას გამოქცეული იოლი გზით ეპირებოდა ქალაქში უზრუნველყოფილ ცხოვრებას. მაგრამ მან ვერც სრული განათლება მოასწრო, რომ ნამდვილი ინტელიგენტი გამხდარიყო და ბოლომდე რაიმე იდეით გატაცებულიყო. მან ქალაქური ცხოვრება ზერელედ აითვისა, მხოლოდ ჩაცმა-ანგარიში ისწავლა, გაიძვერა-მომხვეჭელად ჩამოყალიბდა, რაშიაც მას თავხედობა უწყობდა ხელს. სამაგიეროდ იგი უხვად იყო დაჯილდოებული შენიღბვა-მოჩვენებითობის ნიჭით, რითაც ახერხებდა ყველანაირ საზოგადოებაში შეღწევას, ყოველგვარ გარემოში თავის გატანას და საჭირო კაცად გახდომას.

ამრიგად, კინკიბაძე თავისთავში დამთავრებული მთლიანი ხასიათია და გამოხატავს წვრილბურჟუაზიული განვითარების გზაზე შემ-

დგარი საზოგადოების დეკლასირებული მოქალაქის ტიპს, რომელსაც პირადი კეთილდღეობისათვის საქვეყნო საქმე გაუწირავს, ეროვნული გრძნობა ხარბი ანგარებისათვის უმსხვერპლებია. კარიერისაკენ თავდაუზოგავ სწრაფვაში მისთვის არავითარი ზნეობრივი ღირებულება არ არსებობს გარდა ფულადი, ქონებრივი გამორჩენისა. ამისათვის იგი ყველაფერს, ყველას და საკუთარ თავსაც სწირავს და თუ დასჭირდება სუტენიორობასაც კისრულობს. განათლებამ, კულტურამ, წიგნმა მის გვერდით უნაყოფოდ ჩაიარა, კარგი ვერაფერი აითვისა, ვერ შეირგო და ყოველგვარი თაღლითობითა და დამცირებით, აშკარა თვალის ახვევით ცდილობდა საზოგადოებაში გამოსარჩენი, სარფიანი ადგილის დაკავებას, თუმცა უცოდინარი იყო. როცა დასჭირდებოდა — დემოკრატობდა, ანდა პირიქით, ხანაც პატრიოტობდა, თუმცა არც ერთი რიგიანად არ ესმოდა და დროების შესაფერისად მხოლოდ გაზეპირებულ ლოზუნგებსა და ფრაზებს იმეორებდა, ლაპარაკით ცდილობდა ხალხის თვალში კეთილი რეპუტაციის მოპოვებას, რომ თავისი წამხდარი სულისა და ხორცის ბინძური ზრახვანი უკეთ დაეფარა.

ერთის მხრივ, როგორც დემოკრატს თუ შეეძლო ემტკიცებინა — გაიგეთ, რომ ყველანი თანასწორნი, ძმანი ვართ... ქართველობა უნდა გაქრეს, სამშობლო ენა ამოიფხვრას, ჩვენს მიწაწყალზე სხვები დასხდნენ, ჩვენ სადაც უნდა გადაგვასახლონ, სულ ერთია... ჩვენ ქართველის გაგონებაც გვეჯავრება, გველივით გვეზიზღება... ნავთი უნდა გადაგასხათ და მერე ცეცხლი წაგიკიდოთ ყველა ქართველსაო... მეორეს მხრივ, როგორც პატრიოტი, იტყოდა — „ძმაც შეყვარება, თვისტომიც, მაგრამ მე მაინც ქართველად დავრჩები... მამა-პაპეულ ჩვეულებას, მშობელ მიწაწყალს, არ გავცელი სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო...“

კინკიბაძის სახის გამოკვეთაში შესაფერად ღირსეულ როლს ასრულებს მისებრ არანაკლებად ზნედაცემული, ხელოვნებას მიტმასნილი, გარყვნილი ქალის ლიზა პაატავნას ფიგურა. მათი ცხოვრების ასახვაში წარმოდგენილია ხალხის გულსა და ინტერესებს მოწყვეტილი, საკუთარი კმაყოფილების ნაჭუჭში ჩამძვრალი, სინდის-ნამუსდაკარგული ადამიანების სულიერი მარაზმი.

„თავგადასავალი ერთი პიროვნებისა“ როგორც პირველი ქართული სატირული რომანი, დაუნდობელი კრიტიკაა შავბნელი ადამიანებით სავსე საზოგადოების დაცემულობისა, რომლის წიაღში შესაძლებელი ხდება ამ პიროვნებათა არსებობა.

რომანის მესამე ნაწილი თავდება თხრობის საერთო განწყობილების გამომხატველი რეპლიკით — „თავჩაღუნული, წელში მოხრილი,

ჯანგამოლეული ჩვენი ხალხი თავის ბედ-იღბალს ცრემლით ჰფონავდა... ირგვლივ კვნესა-გმინვა მოისმოდა და შიგ სამწუხარო ჰანგად ბეჩავ ხალხის „აახ-ვააახ!“ იქსოვებოდა“... ხალხის უნუგეშობის ეს ხმა შიგნითაც გაისმის, როგორც მისი მოტივების რეფრენი. სამწუხაროდ, მეოთხე ნაწილი ცენზორმა აკრძალა და აღარ დაბეჭდილა, მაგრამ თუ რომანი ტექსტობრივად მთლიანად არ არის დამთავრებული, ის შინაგანად დასრულებულია, როგორც გმირის ტიპისა და ხასიათის მიხედვით, აგრეთვე თხზულების მთლიანი იდეის გამოხატულებითაც. ამიტომ რომანის ეს ცხადი ტენდენცია, აგრეთვე მისი ავტორის შემდგომი დროის სხვა თხზულებათათვის დამახასიათებელი თემები და მოტივები — ბოროტებას კეთილი ძალები რომ ამარცხებენ, უნუგეშობა-განწირულებას გამარჯვების იმედი და სიყვარული რომ სცვლის (პოემები „მზეთამზე“, 1926, „მშვენიერა“, 1928), საფუძველს გვაძლევს ვიგულისხმოთ, რომ დაუმთავრებელი რომანის შემდგომ ნაწილებში კინკიბაძესა და მსგავს ნაძირალებს ალბათ უპირისპირდებოდნენ საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელნი, რომელნიც ამ ხორცმეტებისაგან ჩვენი ცხოვრების გაწმენდას შესძლებდნენ. უამისოდაც „თავგადასავალი ერთი პიროვნებისა“ მაინც შესამჩნევი მოვლენაა ტიპიური ქალაქური ყოფისა და ადამიანური ურთიერთობის სურათებით, რომელიც ერთგვარი სიახლე იყო მაშინდელ ქართულ მწერლობაში,. როგორც ქალაქური პროზის დასაწყისი. კინკიბაძის სახით მექალთანე, ხარბი მომხვეჭელის ისეთი ოდიოზური ტიპია პირველად ჩვენში განსახიერებული, რომელიც შემდგომ ჟანრულად უფრო განვითარდა და დასრულდა, მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილ სათავგადასავლო ქალაქური ყოფის რომანში „კვაჭი კვაჭანტირაძე“.

თავის დროზე ამ რომანით დაინტერესებას გვამცნობს მისი მესამე ნაწილის „სახალხო სარბიელზე“ სქოლიოში დართული ასეთი შენიშვნა: „რამდენიმე საყვედურის წერილი მივიღე. თითქმის ყველა კაცი და ქალი მემუქრება, ჩემ ცხოვრებისა და ნამოქმედარის შესახებ ჩემი მახლობელნი ხმას არ იღებენ და თქვენ ვინ მოგცათ უფლება, რომ ქვეყანაში მასასაცილოებთო, თავს ნუ გაიმართლებთ, კარგად ვიცი, მიზანში მე ამოგიღივართო... თქვენი თავიც შეიბრალეთ, ამით საფრთხეს იმზადებთ და სხვ. და სხვ. ღმერთი, რჯული, საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ მხედველობაში კერძოდ არავინ გვყოლია და თუ ამ რომანში ბევრი თავისთავს იცნობს — ეს რა ჩვენი ბრალია? ნეტავი არ იქნება, ასე იყოს. ჩვენ ამით საქმე გაკეთებული გვექნება და მით ვიამაყებთ კიდეც“ („აახ-ვააახ!... გაზ. „იერია“, 1904, 18, IV, № 93, გვ. 2—3).

აღსანიშნავია, რომ მამხილებელი გაბედული ტონი იოსებ იმედაშვილს ახასიათებდა არა მხოლოდ მხატვრულ სიტყვაში — პროზასა თუ ლექსში. არამედ ჩვეულებრივ საგაზეთო მიმოხილვებშიც, რაც იმითაც აიხსნება, რომ თავისი ყოველდღიური საქმიანობით დაკავშირებული იყო უშუალო ურთიერთობაში, როგორც ქალაქის, ისევე სოფლის მშრომელ მოსახლეობასთან. დაახლოებული იყო რა თბილისის ქარხანა-ფაბრიკებისა და სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა მოწინავე ფენებთან, წამოსული იყო ხალხიდან და ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილება ჰქონდა როგორც არალეგალურ მუშაკს, აქტიურ პროპაგანდისტს, კარგად იყო ჩახედული საერთოდ ჩვენი ხალხის დუხჭირი ცხოვრების საზარელ პირობებში, მისი წერილები ყოველთვის ხასიათდებოდა უშუალო შთაბეჭდილებათა გულწრფელი და პირუთვნელი გადმოცემით. ამ მხრივ საყურადღებოა „ორინის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი მისი წერილი „რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრება“ (გაზ. „იერია“, 19, III, № 31), რომელშიაც მუშათა შრომისა და საბინაო ყოფა-ცხოვრების აუტანელი პირობებია აღწერილი, აღნიშნულია შრომის ანაზღაურების დაბალი დონე და მათივე რადიკალურად გაუმჯობესების პროგრამაა დასახული.

ყოველივე აქედან კარგად ჩანს, რომ მას გარკვეული შეხედულება ჰქონდა შემუშავებული ჩვენ საზოგადოებაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტების ძირითად მიზეზებსა და ტენდენციებზე, ამასთან ერთად, ქართველი ხალხის ორმაგი დამონების მძიმე მდგომარეობაზე, განსაკუთრებით მუშებისა და გლეხების ეროვნულ და სოციალურ დისკრიმინაციასა და განუკითხავ ექსპლოატაციაზე. ამიტომაც მისი მუდმივი მოტივი პოეზიაში იყო უფლებაყრილი მშრომელი ხალხის დაბეჩავებული ცხოვრება. ლექსში „სამშობლო“ ასე აქვს წარმოსახული მშრომელი ადამიანის უსიხარულო ცხოვრების ხვედრი: „სამშობლოს სილამაზე ოდნავადაც არ ესალბუნება ჩაგრულ მშრომელს, ჩვენთვის ცხოვრება შხამ-ნაველია, ია და ვარდი სულ არ გვიყვავის, ბულბულის სტვენა არ გესმენია, შავი ყორანი თავზე დაგვჩხავის, სხვისთვის ჰყვავის ვარდი კოკობი, მშრომელთ წილად ხვდათ ნარ-ეკალი, სისხლის წვეთებით აღნიშნულია ცხოვრების ველზე იმათი კვალი“ (ხაშმელი, „სამშობლო“, ჟურნ. „ჩვენი კვალი“, 1904, I, VI, № 2, გვ. 28).

ორ ანტაგონისტურ ფენად გათიშულ საზოგადოებაში მშრომელი ადამიანის ნაშრომით ბატონი ძღება:

დიდ ხანს იყავით, ბატონნო,
სუფრის თავს წამომსხდარები,
მშრომელი ხალხის ოფლით და
ნაშრომით გამომძღარები..
სიცოცხლემ სძლია სიკვდილი,
სიმართლემ — უსამართლობა,
მონობამ ბატონთ პარპაში,
დრო-ჟამის უკეღმართობა".

(იზიძე, ჟურნ. „ლამპარი", 1906, 21, VI, № 26).

ჩვენი ხალხი ერთის მხრივ იჩაგრებოდა ცარისტული ბიუროკრატიის ჩინოვნიკებისაგან, რომელთაც ქართველები, როგორც „ინოროდცები" შებრალებისა და ანგარიშის გაწევის ღირსადაც არ მიაჩნდათ, მეორეს მხრივ, სოფლის მოსახლეობა ადგილობრივი მებატონე თავადებისაგან, ეკლესიოსნების, მევახშეებისა და ჩარჩ-ვაჭრებისაგან. ქალაქად ბატონობდნენ საეჭვო შემოსავლებით გამდიდრებული საქმოსნები, რომელთაც უფლება და გზა ხსნილი ჰქონდათ შემოსავლიანი თანამდებობანი და ადგილები სჭეროდათ და თავისუფალი იყვნენ ხალხის ნებისმიერ მოტყუება-ძარცვაში. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს საშუალებას აძლევდა ქალაქის მოსახლეობის არამშრომელ ელემენტს ადვილად და დაუსჯელად ემოქმედნა საზოგადოების დოვლათის მითვისებაში, მისი ჭეშმარიტი შემოქმედნი კი მუდმივ პოლიტიკურ-ეკონომიურ წნეხსა და ათვალისწუნებაში იმყოფებოდნენ.

მშრომელი ხალხის ასეთი ჩაგვრა-ძარცვის სინამდვილის, მუშებისა და გლეხების შრომის დამონების ამ სასტიკი წესრიგის დასანგრევად იყო მიმართული იმედაშვილის რევოლუციური პოეზიის დაუნდობელი მახვილი, რაც უფრო გამოკვეთილ მოტივებსა და ფორმებში ჩამოყალიბდა „იზიძის" სახელით გამოქვეყნებულ ლექსებსა და პოემებში.

1903 წლიდან დაწყებული, როდესაც რომანი „აახ-ვააახ" იბეჭდებოდა, დიდი პოპულარობა მოიპოვა „იზიძის" ფსევდონიმით გამოცემულმა ლექსებისა და პოემების წიგნაკებმა „ხალხის გმირი" (1903), „სიყვარულის ძალა და სხვა ლექსები" (1903), რომელიც შემდეგ რამდენჯერმე განმეორდა, „ქვის მტვრეველი" (1904). ამ ლექსების იდეოლოგიურ სარჩულშიც კარგად იგრძნობა „აახ-ვააახის" დამოკიდებულება თანადროულ საზოგადოებასთან, დაბალი ფენების არსებობის მტკივნეული საკითხების განსჯა. მისი ლექსის თემატიკა და მოტივები მსგავსად უშუალო გამოსახვის სტილით ხასიათდება და თუმცა მისთვის მთავარი იყო მოახლოებული რევოლუციის იდეალების გამოსახვა, მაინც ზოგჯერაც საგრძნობი იყო სოციალური უსამართლობით დასჯილთა მძიმე ხვედრზე სურათებისა და სახეების გამო-

ხატვა. ამ მხრივ არა მხოლოდ გაჭირვებულ ცხოვრებაზე მოთქმა იპყრობს ყურადღებას, როგორც მაგალითად:

დუხჭირ ცხოვრების უღელმა,
მომღუნა, წელში მომხარა,
თავბედი დამაწყეველინა,
მამწარა, აღარ მახარა.

(„ცისარტყელა“, 1907, 23, XII).

მისი რევოლუციური ლექსების თემატიკისაგან განსხვავებით („სალამი ამხანაგებს“, ჟურნ. „ლამპარი“, 1906, 5, V, № 14) გამოირჩევა ხაშმელის ფსევდონიმით დაბეჭდილი უკუღმართი სოციალური ცხოვრების ისეთი მოვლენა, როგორიცაა ლექსში: „ქუჩის შვილი“ (ჟურნ. „ცისარტყელა“, 1907, 21, XII, № 5) ჩივილი საკუთარი სხეულით მოვაჭრე ქალის საშინელ ხვედრზე:

...გულის ნადუღ მწარე გრძნობებს,
რომ გაღმოსცემს ღიმილითა,
ეგ ცრემლითა სტირის შავ ბედს,
ნუ მიიღებთ სიცილათა.

ეს თემა როგორც სოციალური უბედურების ერთი სურათი „აახ-ვააახის“ საზოგადოების სინამდვილეს ასახავს და მისი ლიკვიდაცია ქალის სოციალურ განთავისუფლებასთან ერთად რევოლუციის ერთ იდეალად ეხატებოდათ. ამდენად ამ ხანის პოეზიის ძირითად მოტივად რჩებოდა შრომის თავისუფლება.

„აახ-ვააახ!“-ისა და იზიძის ლექსების სტილი ერთნაირად გვამცნობს, რომ მათი ავტორი არა ყოფილა სუფთა ხელოვნების მოტრფიალე, ვიწრო ლიტერატურული ინტერესებით შემოფარგლული, რჩეულთა პოეზიის მსახური და პოეტური ფორმის მხრივ ბოლომდე შერჩა აკაკისა და ვაჟას სტილს და წმინდა სამკაულს არ უმსხვერპლებდა ნაწარმოების შინაარსს. მანერულობისაგან თავისუფალი უშუალობა, გულწრფელობა, უკომპრომისო იდეურობა, მის პოეზიაში განმტკიცებული იყო სამშობლოსა და რევოლუციისათვის თავდადების სულისკვეთებით. ამრიგად მწერლობის მიზანი მისთვის, უპირველესად, ხალხის ჭირ-ვარამის ასახვაა, მისი სევდა-ნაღველის გაზიარება, მისთვის ნათელი მომავლის ჩვენება, ბრძოლისათვის გამხნევება, მისი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების საჭიროებათათვის პასუხის გაცემა, სინამდვილესთან ცოცხალი კავშირი, ეს განწყობილება თვალსაჩინოდაა გამოხატული ლექსში „მიწიერი“:

...ნუ გამკიცხავ, თუ ჩემს ლექსში,
ზე-აღმტაცი ვერრა ნახო,
და მის ნაცვლად ყოველს პწკარში,
აზრი შეგხვდეს სავაგლახო, —

მე ნუ დამდებ ამის ბრალსა,
ცხოვრება თვით მიკარნახებს...
მდაბიურად თვის სურათსა
სულ მარტივად მაწერინებს,
მიწის შვილი მიწას ვუმღერ,
ვარსკვლავებს არ ვეწონები...

მის პოეზიაში მკვეთრად ჟღერს მოახლოებული რევოლუციით გამხნევებული პროფესიონალი მებრძოლის მოწოდებანი. პოემაში „ქვის მტვრეველი“ (1904), რომელსაც ცენზორის თვალის ასახვევად აწერია „იაპონური ზღაპარი“, იგი მუშას მიმართავს:

მუშავ, მდიდარს ნუ შენატრი,
ნუ გსურს მისებრ „განდიდება“,
უმისოდაც, დაიჯერე,
თვითონა ხარ შენ დიდება.
ის ლეშია უმოქმედო,
შენ მომქმედი წმინდა სული...
ის ყროლდება, — შენ იწვები,
რომ აშუქო სიყვარული.
უშენობით ის არარად ღირს,
უმისობით სიმდიდრე ხარ,
იგი შენით სუნთქავს, ცოცხლობს,
შენ ტიტველიც ძვირად ღირხარ...

იზიძე უმღერდა ამიერკავკასიის ერთა ძმობა-მეგობრობას პოემაში „ხალხის გმირი“ (1904) და რევოლუციური მოძრაობის მოტივებს „რვა საათი“ („ივერია“, 1904), „პროლეტარიატის ჰიმნი“ (1905), „სპარსელი ქალის იავნანა“ („ნიშადური“, 1908, № 60). მან პოემაში „სიყვარულის ძალა“ ერთ-ერთმა პირველმა თქვა გაბედულად:

ზიზღი მეფეს, ძირს ხელმწიფე,
დე, დაინგრეს ტახტი მისი,
რაღათ გვინდა იგი მეფე,
ვის არ უყვარს ერი თვისი?

ლექსში „ჩვილის დედას“ იგი ხატავს ყრმის აღზრდის ხალხის იდეალს, ერისათვის გამოსადეგი მუშაკის ტიპს, რომელმაც ყოველ გაჭირვებაში უნდა შესძლოს თავგანწირვით ემსახუროს თავის მოძმეთ:

ფუფუნებით ნუ გამიზრდი,
ტანჯულთ ხვედრსა ვეღარ იგრძნობს,
სიმდიდრეში ნუ ჩამიფლობ,
ჩაგრულთ ცნობას მთლად დაუხშობს.
ამ თავითვე გააცანი,
ბეჩავ ხალხის შხამ-ნაღველი,
რომ სიყრმითვე მათ უმოძმოს,
მარად იყოს მათი მცველი...

დეე, ყინვამ ის დააზროს,
„საქმემ" ხელი დაუკოჭროს,
შრომის ცეცხლში გამოიწრთოს,
ოფლმა სახე დაუსეროს,
ნუ შედრკები... ამ თავითვე
გაიცანი გასაჭირი,
რომ სიყრმითვე იწილადოს,
მაშვრალთ ღხინი, დეენულთ ჭირი.

ხალხისათვის ერთგულად მებრძოლი დიდი გმირი ასეთი საჭირო თვისებებით ჰყავს აღჭურვილი ლექსში „უანგარო მუშაკს:

დეე, გკიცხონ, შეგაგინონ,
მოგიმდურონ, გაგამწარონ,
სიტკბოება მოგიშხამონ,
ნარ-ეკალზე გაგატარონ,
ნაღვლით გული გაგისიონ,
შენი ლტოლვა არ მიიღონ,
შენის ჭკუით შენაქმედი,
სასაცილოდ გაგიკიცხონ, —
მაინც კიდევ ნუ შედრკები,
უანგაროდ იმოქმედე
და მარადის იყავი შენ
უკეთესის მოიმედე.
სთესე ვარდი და გამარგლე
მის ყლორტები — ეკალ-ნარი,
ხელი ეკლით დაიჩხვლიტე,
მოუმზადე სხვას ბაღნარი.
შენი თესლი ინაყოფებს,
მაშვრალ მოძმეთ გაგიხარებს
და შენ მეტი სხვა რა გინდა,
თუკი შენით სხვა იხარებს!..

ამ პერიოდის მსგავს ლექსებში ავტორმა თავის თავს უწინასწარმეტყველა მომავალი ცხოვრება-მოღვაწეობის ხვედრი — ხალხისათვის უანგაროდ სამსახურის პროგრამით. იგი წინასწარ იყო შეგუებული არჩეული გზის სიძნელეებთან — სხვისთვის ვარდი თესე, ნარ-ეკალი გამარგლე, ხელი დაიჩხვლიტე, სხვას ბაღნარი მოუმზადე და შენ მეტი რაღა გინდა, თუკი შენი სიკეთით შენი მოძმე გაიხარებს... ხალხის საკეთილდღეოდ სავალ მოძმე გზას მისთვის ასატანს ხდიდა იმის რწმენა, რომ საბოლოოდ ხალხი გაიმარჯვებდა ცარისტულ რუსეთთან ბრძოლაში და თავის სამშობლოში თავისი თავის პატრონი თვითონვე გახდებოდა. ეს იდეა გამოსჭვივის მთელ მის მომავალ სამწერლო-საზოგადოებრივ მოღვაწეობაში — პუბლიცისტიკაში, მხატვრულ თხზულებებში, — პროზასა, დრამატურგიასა თუ კრიტიკულ

ნაწერებში. მათში საერთოა მხატვრული სიტყვის, როგორც ხელოვნების გაგების ის ძირითადი მცნება, რომ იგი მხოლოდ სილამაზის ქადაგებას არ ემსახურება, მასთან შეერთებულია სიკეთის იდეალი და პოეზიის მიზანიც ისევ ხალხის სულიერი აღზრდა-ამაღლების, მასში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაა.

იოსებ იმედაშვილი „გარეკახეთის ერთობის“ მოძრაობის სათავეში

მეტეხის ციხეში პირველმა პატიმრობამ იმედაშვილს ბრძოლისათვის ახალი ძალა შეჰმატა და უფრო მეტად განუმტკიცა რწმენა, რომ მას სხვა გზა არა ჰქონდა, მხოლოდ ამ გზით უნდა ევლო, თვითონ სხვებისთვის პირადი მაგალითი უნდა გამხდარიყო იმ იდეალებისათვის თავდადებულ სამსახურში, რომელთაც „სიყვარულის ძალასა“, „ხალხის გმირსა“ თუ „ქვის მტვრეველში“ უმღერდა. ციხემ საბოლოოდ მონათლა რევოლუციური იდეოლოგიისა და პრაქტიკისათვის ისედაც უკვე გამოცდილი არალეგალური პოლიტიკური მუშაკი, ამიტომაც იყო, რომ იგი გარეკახეთში გაიგზავნა რევოლუციური მოძრაობის გასაჩაღებლად, სადაც ჩქარა დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ხალხმა სოფლებიდან მთავრობის დანიშნული მამასახლისები რომ გარეკა, იგი ჯერ თავის სოფელში ხაშმში აირჩიეს მამასახლისად, შემდეგ კი მთელმა გარე-კახეთმა მამასახლისთა-მამასახლისად, და სარგებლობდა განუსაზღვრელი უფლებებითა და პოპულარობით, როგორც ახალი ტიპის „ხალხის მამასახლისი“, რომელმაც თავისი ინიციატივობით, დაუზარელი დღე-ღამე მუშაობით სოფლის კეთილდღეობის სადარაჯოზე, გლეხობის საჭიროებათადმი მუდმივი ყურადღებითა და ზრუნვით, სამოქმედოდ აიყოლია ხალხის საუკეთესო შვილები, რომ მათთან შეთანხმებული მუშაობით დაემტკიცებინა ახალი, სახალხო მმართველობის უპირატესობა.

მისი სოფლად მოღვაწეობის დრო საქართველოში პოლიტიკური მოძრაობის მღელვარე მოვლენებს დაემთხვა — ეს იყო გურიის მოსახლეობის აწიოკება ყაზახთა დამსჯელი რაზმების მიერ, როდესაც მთელ რუსეთში რევოლუციური გამოსვლების ქარიშხლიანი დღეები იდგა და გარეკახეთის „ერთობაც“ საბრძოლველად ამოქმედებულიყო. თავისუფლების ლოზუნგებით ეგზალტირებული ხალხის მხარდაჭერამ ხელი შეუწყო იმედაშვილს გაბედულად ემოქმედნა, სოფლის ცხოვრებაში არა მხოლოდ კულტურულ-სამეურნეო საჭიროების მშენებლობა განეხორციელებინა, არამედ დამოუკიდებლად ეწარმო-

ებინა ყოველგვარი საქმიანობა, გარეკახეთის მასშტაბით ხშირად ჩატარებინა სახალხო პოლიტიკური მიტინგები, პოლიტიკური აზრისა და მოძრაობის თავისუფლება გამოეცხადებინა და გლეხთა კავშირის მოქმედება დაეპირისპირებინა მთავრობის ორგანოებისათვის, რითაც ისინი მთლიანად იყვნენ პარალიზებულნი.

სოფელ ხაშმის ასეთი მოწინავე როლი გარეკახეთის გლეხობის დარაზმვის საქმეში, ცხადია, იმითაც იყო გაპირობებული, რომ იგი საგარეჯოს რაიონის სხვა სოფლებს შორის მანამდისაც გამოირჩეოდა ერთგვარი კულტუროსნობით, სწავლა-განათლებისადმი დიდი სწრაფვითა თუ ახალ მოძრაობაში მონაწილეობის ენთუზიაზმითა და მეტი გაბედულებით. ეს მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს იმედაშვილს, უხვად ეპოვა თავისებურად თავდადებული ახალგაზრდები „ერთობის“ რიგებისათვის და ენერგიულად ამოქმედებულიყო.

ხაშმში მამასახლისად არჩევის დღიდანვე იდეურად გათვითცნობიერებულ ახალგაზრდა ძალების შემოკრებით მან პირველ რიგში ხელი მოჰკიდა სოფლის კულტურულ, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის მასიურ პროგრესულ ღონისძიებათა განხორციელებას, რაც, იმავე დროს, მისაბაძ მაგალითად იქცეოდა სხვა სოფლებისთვისაც. მისი მეცადინეობით პირველ რიგში გაყვანილი იყო სასოფლო და ბაღ-ვენახებში მისასვლელი კეთილმოწყობილი გზები, აშენდა სკოლისა და თეატრის შენობა, დაიწყო წყაროს გაყვანა და ეროზირებულ და ხრიოკ ადგილებზე ტყის გაშენება, გაიხსნა სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელიც იოსებ იმედაშვილმა მოამარაგა თბილისიდან ჩამოტანილი ერთი ურემი საკუთარი წიგნებით, შესდგა მუდმივად მოქმედი სცენის მოყვარეთა დასი მისივე რეჟისორობით, ჩამოყალიბდა ხალხური სიმღერა-გალობის გუნდი, ყურადღება ექცეოდა ისტორიული მნიშვნელობის სიძველეთა დაცვას. იგი დაუნდობლად ებრძოდა და სდევნიდა მშრომელი გლეხობის ყოველგვარი სახის მჩაგვრელებსა და გამომძალველებს, შანტაჟისტებს, სოფლის ბობოლებს, მევახშეებს, რომელთაც გლეხობა დამონებული ჰყავდათ ხელოვნურად გაზრდილი, წლითი-წლობით დაგროვილი ვალების გადასახდელებით. ასევე იბრძოდა მავნე წესჩვეულებათა გადმონაშთების წინააღმდეგ. მან აკრძალა ყოველგვარი ნატურალური შესაწირავი, მათ შორის საეკლესიო გადასახადი — დრამისა და ქელეხის ჩვეულება, რომელნიც აჩანაგებდნენ გლეხის ოჯახს. იგი ხელს უწყობდა გლეხობას, რომ ბანკის საშუალებით ადვილად შესძლებოდა მებატონეთაგან მიწების შესყიდვა, რომ მათი შრომა მიწის მესაკუთრეთა მეურვეობისაგან განთავისუფლებულიყო. ყოველივე ამასთან ერთად იგი განსაკუთრებული ყურადღებითა და სიმკაცრით

იღვწოდა ქურდობა-ყაჩაღობის მოსასპობად, ქურდებს ხალხის წინაშე საჯაროდ ასამართლებდა და იქვე სჯიდა, საერთოდაც იგი ენერგიულად მოქმედებდა ყოველგვარ უწესობათა აღმოსაფხვრელად, რომელთაც გარდამავალ უმთავრობო პერიოდის არეულობის პირობებში იმ ხანად ფართო გავრცელება ჰპოვეს.

ამ ღონისძიებათა განხორციელებაში იმედაშვილის გვერდით იღვწოდნენ გარეკახეთის „ერთობის" მოძრაობაში გამოწრთობილი მოწინავე ახალგაზრდა გლეხები — პეტრე და ვასო ლაღიძეები, ვანო მაისურაძე (ტურა), ალექსი და გიორგი ნახუცრიშვილები, ვანო სინჯიკაშვილი, იოსებ და დათიკო ზუკაიშვილები, ივანე ყირმელაშვილი, ნიკო, ანდრია და თომა ქოქრაშვილები, დათიკო (ათაბოია) ჯოხირეცხაშვილი, დიმიტრი გოგნიაშვილი, გიგო ვარძელაშვილი, გიორგი შაქარაშვილი (ხორველა), გიგო ნაცვლიშვილი, იმერეთიდან მოსული პარმენ გელაშვილი. გიგო ყასრაძე, ვანო ალიხანაშვილი, ვასო კონაშვილი, იაგორ ოღრაპიშვილი, იაგორ მარინდაშვილი, რეზო ჯაბადარი, ალ. გილაშვილი, კოლია ქურდოვანიძე, ალექსი ესაიაშვილი, პატარძეულელი ნიკო ჯიღაური.

ყველაზე დიდი საქმე, რაც იმედაშვილის მამასახლისთა-მამასახლისობის დროს გარეკახეთში გაკეთდა, მაინც მისი თაოსნობით შექმნილი ივრის ხეობის რევოლუციური თვითმმართველობა იყო, რომლითაც დაიწყო „გარეკახეთის ერთობის" მოძრაობა. მის საფუძველზე ჩამოყალიბებულმა ადგილობრივმა ხალხის მთავრობამ ხელში აიღო ძალაუფლება, დამოუკიდებლად განაგებდა და ადგილობრივ აწესრიგებდა გარეკახეთის ყოველგვარ სამეურნეო, საგადასახადო და სამოსამართლო საქმიანობას, რომლის ყველაზე დიდი მიღწევა ის იყო, რომ ხალხში გაიღვიძა სიამაყის გრძნობამ, უკვე მიეჩვია ყოველგვარი შიშისა და მორიდების გარეშე საკუთარი აზრის გამოთქმას, თავისუფლად მოქმედებას, თავის მაღლა აწევას და შორს გახედვას. ხალხმა დაინახა თუ როგორი უსუსურია და რით არსებობს მეფის საძულველი ხელისუფლება, რომ მხოლოდ ხიშტების, ციხის, ციმბირისა და სარჩობელის შიშით და უიარაღო ხალხზე ულმობელი რეპრესიების განხორციელებით ჰყავს დამონებული რუსეთის იმპერიის ბრჭყალებში მოქცეული ხალხები, რომ მთავრობის მიერ დაჭირაებულ ჯალათებს არავინ და არაფერი ენანებათ, ყველას დახოცავენ და ყველაფერს დაანგრევენ, ყოველგვარ სიწმინდეს შელახავენ, ოღონდ რამენაირად შეინარჩუნონ ხალხზე ბატონობა, ერთი ხალხის მეორე ხალხზე გაბატონება, ერთი წოდებისა მეორე წოდებაზე და საზოგადოება გაყოფილი ჰყავდეს მდიდრებად და ღარიბებად. ამიტომ იყო, რომ იოსებ იმედაშვილი თავის ადრინდელ მინიატურებსა და ესკიზებში მაძღრებისა და მშიერთა საზოგადოების სურათებს რომ ხატავ-

და, მისი თანაგრძნობა ყოველთვის მშიერ-მწყურვალთა მხარეზე იყო, რადგან თვითონ გუშინდელი გლეხი და მოჯამაგირე იყო და კარგად იყო გარკვეული გლეხებად და ღარიბებად დაბადებულთა მწარე ხვედრში, ადამიანთა სოციალურ უუფლებობა-მღაღადებელი უსამართლობის დამპალ საფუძველსა და შერყეულ მექანიზმში. მათი წარმავლობის რწმენა ძალას ჰმატებდა მის მოქმედებას, გაბედული ნაბიჯებისაკენ მიმართავდა მის დაძაბულ ენერგიას, და რაკი ხალხმა პირველი ნაბიჯები გადადგა, შემდგომი ნაბიჯებისაგან თავის შეკავება აღარ შეიძლებოდა. ეს რევოლუციური აღმაფრენა სოფელ ხაშმის გლეხობის გაბედულ მოქმედებაშიაც გამოიხატა, რაც გურიაში ხალხის დასასჯელად მეფის ჯარების შესევის დროს მოხდა.

ამ რევოლუციური სულისკვეთების შედეგი ისიც იყო, რომ გლეხობა ადგილობრივ ყურადღებას აღარ აქცევდა მთავრობის ბრძანებებს, არ ემორჩილებოდა მის მოხელეებს, ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობას აღარ უშვებდა, საკუთარი სახალხო სასამართლოები ჩამოყალიბდა, გადასახადს არ იხდიდა. ერთი სიტყვით, ხალხმა მორჩილებისაგან მთლიანად გაინთავისუფლა თავი. მდგომარეობა დღითიდღე იძაბებოდა და მით უფრო სახიფათო ხდებოდა, რომ ამ დროს ხაშმის პირდაპირ იორს გაღმა, მუხროვანში ჯარი იდგა, რომლის ზარბაზნები აჯანყებულ სოფელზე იყო დამიზნული, ასევე აზამბურის კაზაკთა სამხედეული და სართიჭალის ბოქაული სტრაჟნიკებით პატარძეულსა და საგარეჯოს უთვალთვალებდა.

ასეთ მღელვარე, გართულებულ ვითარებაში ადგილზე მდგომარეობის გამოსარკვევად და სოფლის გლეხობის დასამშვიდებლად ხაშმს თვით მაზრის უფროსი ლევან ჯანდიერი ეწვია, რომელსაც „ერთობის“ მოძრაობით გათამამებული გლეხობა, როგორც მთავრობის მოხელეს, სათანადო პატივით არ შეხვდა. ჯანდიერმა ეს არ შეიმჩნია, მდგომარეობა არ გაამწვავა და გლეხობას მაინც თავდაჭერილი სიტყვით მიმართა, წესიერებისა და მორჩილებისაკენ მოუწოდა. ასე უთხრა — გულახდილად მითხარით, რა გაწუხებთ, რა გინდათ, მთავრობისაგან რას მოითხოვთ, სიმართლეს არ დაგიკარგავთ, მაგრამ მთავრობას რაც კანონიერად ეკუთვნის, ის უნდა მისცეთ, ხომ იცით ბანკის გადასახადს მთავრობა არ გაპატიებთ, კანონიერ მოთხოვნას უნდა დაემორჩილოთო...

აქ საჭიროა ისიც ითქვას, რომ თვით ეს ბოქაული ლევან ჯანდიერი განათლებული პიროვნება იყო, ილია ჭავჭავაძის პატივისმცემელი და მეგობარი, შინაგანად ხალხის მომხრე, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა ხალხისათვის ეშველა, თუმცა, როგორც ოფიციალური მოხელე, ვალდებული იყო მთავრობის განკარგულება შეესრულებინა და

დასანახად მაინც მკაცრად მოქცეულიყო. ჯანდიერის ოფიციალურ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ხმის ამოღებას ვერავინ რომ ვერა ბედავდა, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა იმედაშვილმა გაბედული სიტყვით მიმართა მას, ხალხის ჭირ-ვარამი აუწერა და მახვილგონიერი მსჯელობით ისეთი კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჯანდიერმა ჰკითხა — საფუძვლიანად მსჯელობ, დღევანდელ მდგომარეობაში ჩახედული ყოფილხარ, მაგრამ აქაურ კაცს არა გევხარ, ვინ დაგაყალა უცხოს ამ სოფლის სახელით რომ გამოდიხარო?.. ამაზე აქეთიქიდან დაუძახიათ — აქაური გლეხის შვილია, იმედაშვილიაო...

ჩანს, ჯანდიერისათვის ცნობილი გამხდარა ისიც, რომ იმედაშვილი პრესაში ხშირად თანაწილეობდა, პროგრესული შინაარსის წიგნების ავტორი იყო, გამოცდილი პროპაგანდისტი და, შესაძლოა, ამიტომაც შემდგომ მოლაპარაკებაში ანგარიში გაუწია მას, საქმე არ გაართულა, სოფლის ყრილობაზე ხალხი კმაყოფილი დატოვა და ყოველშემთხვევაში სოფლის სასარგებლოდ გადაწყვიტა მებატონე თადია ჩოლოყაშვილთან ხაშმელების ერთი სადაო მინდვრის კუთვნილების საკითხი და ხალხსაც ააცილა შესაძლებელი ეგზეკუცია. თავადსა და გლეხს შორის ატეხილ ამ დავაში გლეხის გამარჯვებამ, სადავო მიწის დასაკუთრებამ, მთავრობის მოხელესთან მოურიდებელმა შელაპარაკებამ ხაშმელების რევოლუციურ აღმავლობას ფრთები შეასხა და მათ მოქმედებას გაბედულება შემატა. ეს იყო დიდი გამოსვლების დასაწყისი, რაც შემდგომ უფრო გეგმაზომიერად გამიზნულ მოქმედებებში გადაიზარდა და რასაც მოჰყვა „ერთობის“ მოძრაობის განვითარება მთელ გარეკახეთში.

„ერთობის“ მოძრაობის დროის ხალხის რევოლუციური განწყობილება, გლეხური თავისუფალი მმართველობის პირველი ნაბიჯების განხორციელებაში იოსებ იმედაშვილის წამყვანი როლი კარგად არის ასახული გაზეთ „სხივის“ ინფორმაციაში:

„რევოლუციური თვითმართველობა ივრის ხეობაში. ს. საგარეჯოში მამასახლისთა კრებას დაუდგენია: 1). რადგან ხალხი ფაქტიურათ უკვე დაეპატრონა სახელმწიფო ტყეებს, რომლებიც მას სამართლით ყოველთვის ეკუთვნოდა, ამიტომ ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ ტყე ეკონომიურად და ყაირათიანად იქრებოდეს! 2). სასამართლო საქმეები ირჩეოდეს ს. ხაშმში ყველა სოფლების წარმომადგენელთა კრების მიერ ხაშმის მამასახლისის თაოსნობით! 3). ყველა მამასახლისთა მოქმედების გასაერთიანებლად და გასაწესრიგებლათ, მთელი ივრის ხეობის მამასახლისთა მთავარ ხელმძღვანელათ არჩეულ იქმნა მამასახლისი ი. იმედაშვილი, რომელსაც მამასახლისთა მამასახლისათ რაცხენ“ (1905, 6 დეკემბერი, № 1, გვ. 2).

ივრის ხეობის გლეხთა საპროტესტო დელეგაცია მეფისნაცვალთან

გარეკახეთის ერთობის მოძრაობამ 1905 წლის რევოლუციის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა გურიის გლეხობის ასაწიოკებლად ცარისტული მთავრობის მიერ დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნის გამო აქტიური საპროტესტო გამოსვლით, როდესაც ოზურგეთის მაზრაში გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით გრენადერთა დივიზიის ექვსი ბატალიონი, ყაზახების ოთხი ასეული და არტილერია უიარაღო ხალხს ასაოხრებლად შეესია. 1905 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის დასაწყისის მღელვარე დღეებში გაზეთები ბეჭდავდნენ ადგილებიდან თვითმხილველთა მიერ გამოგზავნილ კორესპონდენციებს გურიის შემაძრწუნებელ ამბებზე, ყაზახების მხეცურ მოქმედებაზე, უდანაშაულო გლეხობის დარბევასა, მათი სახლ-კარის განადგურებაზე, ასობით დაჭრილ-დახოცილთა გვარებისა და მათი გადამწვარი სახლების გრძელი სიებით. ერთ-ერთი კორესპონდენცია: „მოკლულ-დაჭრილი და დაზარალებული გურულები“ („ცნობის ფურცელი“, 1905 წელი, 3 ნოემბერი, № 2940, გვ. 3). ასეთ ამბავს იუწყებოდა:

„ყაზახების თავგასულობამ და თვითნებობამ დიდი ზარალი და ვნება მიაყენა გურულებს. უკვე მივიღეთ დაწვრილებითი ცნობები უკანასკნელ ამბების დროს მოკლულ-დაჭრილთა და დაზარალებულთა შესახებ. წინადაც ვწერდით, რომ გამხეცებულმა ყაზახებმა ოზურგეთის მახლობლად მთელი სოფელი გადასწვესო. გაანადგურეს სულ 96 მოსახლის ოჯახი. გადაუწვავთ ყველაფერი — სახლები, ბეღლები და სხვა შენობები. ამ გადამწვარ გურულებს, პირუტყვის მეტი არაფრისაგან არაფერი დარჩენიათ. გადამწვართა სიას ქვემოდ ვათავსებთ, აქ-კი აღვნიშნავთ მოკლულ-დაჭრილთა გვარებს.

20 ოქტომბერს, იმ შეტაკების დროს, რომელიც სუფსასა და ნატანებს შუა მომხდარა, გურულების მხრივ მოკლულ იქმნა ერთი კაცი — თომა ბოლქვაძე.

21 ოქტომბერს, ოზურგეთიდან 12 ვერსის მანძილზე ნატანებისაკენ, ყაზახებმა მოჰკლეს 70 წლის მოხუცი მეწისქვილე გიორგი ლომიძე.

22 ოქტომბერს ოზურგეთსა და ახლო-მახლო მოჰკლეს შემდეგი შვიდი კაცი: პავლე ძვალიშვილი, გიორგი ლომაძე, ანდრო დონდოლაძე, არსენ ხინთიბიძე, სოფრომ დოლიძე, ამბაკო სალუქვაძე (ეს ნასაკირალზე მოჰკლეს) და ირაკლი ჯახუტაიშვილი.

დასჭრეს ხუთი კაცი: სოფიო დოლიძის ასული, თევდორე ტრაპაიძე, სამსონ მამალაძე, კონსტანტინე ხომერიკი და სილიბისტრო ღლონტი.

აი, იმ ოთხმოცდათექვსმეტ მოსახლის გვარები, რომელთაც ყაზახებმა მთელი სახლ-კარი და ქონება გადაუწვეს ოზურგეთის მახლობლად: ტრაპაიძე ლუკა, ებრალიძე გრიგოლ, შაინოვი ილიკო, კონტრიძე ილიკო, ჩხარტიშვილი, ზამბახიძე, ვადაჭკორია ივანე, ზამბახიძე ივანე, ზამბახიძე მიხეილ, ჩიგოგიძე ვასილ, წულაძე აპოლონ, მენაბდეები: სიმონ, ისიხი, ანტონ, სოლომონ, ვარდანაგ, ივლიანე, გაბრიელ, ივანე, ალ?ასხან. ილარიონ, ლუკა, ნიკიფორე ღლონტები; სილიბისტრო, ასლან, დიმიტრი, ვლადიმერ, დარისპან, გიორგი, ილიკო, თეოფილე, იაგორ, მაქსიმე, ანდრია, მოსე, სარდიონ, სტეფანე, მალაქია და ექვთიმე, ჩავლეიშვილი იაკობ, ჩხარტიშვილი ანტონ, გოგოტიშვილი ოქროპირ, მამულაიშვილი მიხეილ, მამულაიშვილი ლევან, ხუჭუა, ალექსი, ნიკოლაიშვილი, ივანე, ფიჩხაძე, ანტონ, სკანკოჩაიშვილები: სიმონ, ალექსი და კონსტანტინე. დათუნაიშვილები: ვასილ, გიგო და გიორგი. ბერიძე გიორგი, თავაძე ვასილ, ბერიძე ალექსი, გოგუაძენი: ივანე, იორამ, გიორგი. ხოჯანია ლუკა, მაღლაკელიძე ალექსი. ცხომელიძენი: ალექსი, ვატა, მიხაკო და იერემია. ხინთიბიძე არსენ, სალუქვაძე ივანე, გელაძე პავლე, თავდიშვილი ივანე, ჯაველიძენი: თედორე, ალექსი და პორფილე. რუსეიშვილნი: საყვარელ, მიხეილ, ივლიანე, ისააკ და ვალიკო. სიმონიშვილი მელიტონ, ფიფია კოსტა, დონდოლაძე ანდრია, რუხაძენი: გიორგი, ანდრია, ამბაკო, და კონსტანტინე. ჩხაიძე ივლიანე, მახარაძე სამსონ, დონდოლაძე გიორგი, ერქომაიშვილი იობი, ბერიძე ნინო, ჯაფარიძე სანდრო, თავდიშვილი თეოფილე, მელიქაძე გაბრიელ, მახარაძე. ნესტორ, ღაჯანია მიხეილ და ჩხაიძე სვიმონ.

ამას გარდა გადასწვეს დუაბზუს კანცელარია და საპარკე ქარხანა დუაბზუში“.

მსგავსი ცნობებით შეშფოთებული გარეკახეთის სოფლების გლეხობა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა გაჭირვებაში ჩავარდნილ გურულებს. „ცნობის ფურცელი“ წერილში „გარე-კახელთა თანაგრძნობა გურულებისადმი“ იტყობინებოდა: „ამ ბოლო დროს ივრის ხეობაზედ მივიდა შემაძრწუნებელი ამბები, ზოგი გაზეთებით, ზოგი კერძო გადმოცემით, რომ გურიას ჯარი მიესია, გურიას აკლებას და განადგურებას უქადიან, გურია ყაზახების მსხვერპლი უნდა გახდესო. ჩვენი მხარე გურიას დიდ პატივს სცემს, მათი ჭირი და ლხინი ისე ეინტერესებათ, როგორც საკუთარ კუთხის ჭირი და ლხინი. ამიტომაც გურიის ამ გაჭირვებულმა მდგომარეობამ ხალხი ააღელვა, აღაშფოთა. შეიქნა ჩოჩქოლი, ყაყანი, საითაც გაიხედავდით სოფელში, დუქნის კარზედ თუ ქუჩაზედ, სახლსა თუ კარზე, ყველგან ამ სამწუხარო ამბავზედ მსჯელობდნენ, ბაასობდნენ, ცხარობდნენ მთავრობის ასეთ სისასტიკეზედ. ბოლოს ამ მღელვარებას გზა მიეცა.

31 ოქტომბერს ივრის ხეობის მამასახლისებმა დანიშნეს სოფლების შეერთებული კრება სოფ. ხაშმში. შეიკრიბა ბლომად ხალხი. ჯერ კრება არ დაწყებულიყო, მოვიდა ხაშმში ტფ. მაზრის უფროსი სხვადასხვა საქმეებისთვის. მაგრამ ის კერძო ოთახში მოათავსეს, თითონ კი კრებას შეუდგნენ. სოფ. ხაშმის მამასახლისმა ი. იმედაშვილმა მიჰმართა ხალხს სიტყვით და ნათლად გაარკვია გურიის მნიშვნელობა დღევანდელს განმათავისუფლებელს მოძრაობაში. მისცა წინადადება, რომ ივრის ხეობის წარმომადგენელნი წარსდგომოდნენ ნამესტნიკს და მოეთხოვათ, რომ მათ მოძმე გურულებისათვის აეცილებინათ განადგურება და სისხლის ღვრა, მოეხსნათ საალყო წესები...

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „...ჩვენ გვაღელვებს და მეტად გვაწუხებს ჩვენი მოძმეების, თავისუფლებისათვის მოწინაღმებრძოლ გურულების გაჭირვებული მდგომარეობა, მეტადრე ის, რომ ამჟამად მთავრობამ ჯარით გაავსო გურია, რათა გაანადგუროს და მიწასთან გაასწოროს პატიოსანი და შეგნებული ჩვენი მოძმე გურულები. მიიღო რა ეს მხედველობაში, დღევანდელმა კრებამ დაადგინა: ივრის ხეობის მამასახლისები ხუთ-ხუთი წარმომადგენელით წარუდგნენ ნამესტნიკს ტფილისში და წარუდგინონ მოთხოვნილება, რომ გურია საჩქაროდ განთავისუფლდეს ჯარისაგან და ასცილდეს მას მოსალოდნელი უბედურება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარწმუნებულნი ვართ, მთლად ჩვენს ხალხში დაიბადება დიდი უკმაყოფილება მთავრობის წინააღმდეგ. ეს გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს სიღნაღისა და თელავის მაზრებსაც და გამოცხადდეს გაზეთებშიც სხვა სოფლების გამოსაწვევად“...

იქვე გადასწყვიტეს, რომ თბილისს წასულიყვნენ მეორე დღესვე... რადგან გურიის მდგომარეობა დაყოვნებას არ ითმენდა. ნოემბრის დასაწყისს ივრის ხეობის გლეხთა მრავალრიცხოვანი დეპუტაცია იოსებ იმედაშვილის მეთაურობით ცხენებზე ამხედრებული თბილისში ჩამოვიდა, მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს წარუდგა და მთელი გარეკახეთის გლეხობის სახელით კატეგორიული მოთხოვნილება წაუყენა, რომ მთავრობას გურიაში გაგზავნილი დამსჯელი რაზმები უკან გამოეწვია, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი კახეთი აღსდგებაო (იქვე). თბილისში ჩამოსული გლეხთა დელეგაცია იოსებ იმედაშვილის მეთაურობით შესდგებოდა ხაშმის, პატარძეულის, საგარეჯოს, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის, მანავის, თოხლიაურის, სართიჭალის, უჯარმისა, ახალსოფლის, მარტყოფის, ნორიოს, ლილოს მამასახლისთაგან და თითო სოფლიდან 5—8 კაცამდე იყო.

ეს ამბები გაშუქებული იყო იმავე თვის ქართულ-რუსულ გაზეთებში „ცნობის ფურცელში“, „ივერიაში“, „ვოზროჟდენიაში“. „ცნობის ფურცელი“ ვრცელ ინფორმაციას ასე იწყებდა:

„2 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ვინც გოლოვინის პროსპექტზე შეესწრო, მშვენიერი და საგულისხმიერო სურათი ნახა. მოდიოდნენ ცხენოსანი სოფლელები უბრალოდ, გლეხურად გამოწყობილნი, მოდიოდნენ მშვიდად დაღონებულნი, წყნარად, თითქოს უეფექტოდ, მაგრამ უფრო ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენდა მათი სიჩადაე... ამ სანახაობამ ხალხი მიიზიდა — კითხულობდნენ: ვინ არიან. სადაურები? რაა საგანი მათის ამხედრებისა?.. რა აზრით მოვიდნენ ეს სადა სოფლელები ამ დიდებულის გოლოვინის პროსპექტზედ ეგრე დემონსტრატიულადაო?“

იმავე გაზეთის დამატებაში (6, XI, № 359) დაბეჭდილია ამ დეპუტაციის სურათიც, რომელიც შედგება უმთავრესად ცხენებზე ამხედრებული გლეხებისაგან, მათ შუაზე ჩოხითმოსილი, უქუდო იოსებ იმედაშვილია.

გურიის აწიოკების გამო გარე-კახეთის ამ გაბედული პროტესტის გამოცხადების ამბავს მეტი ფაქტიური ცნობებით აღწერდა გაზეთი „ივერია“ წერილში: „კახეთის სარჩლი გურიის საქმეში“ (1905, 3, XI, № 196): „კახეთი, დინჯი კახეთიც აამღელვარა თავისუფლებისათვის შებრძოლ გურიის განსაცდელმა. კახეთმაც ხმა ამოიღო და ადგილობრივ მთავრობას გურულების საქმეში თავისი გადაჭრილი სარჩელი გამოუცხადა. სოფლების წარმომადგენლები ცხენდაცხენ ჩამოვიდნენ ტფილისში, თანაგრძნობა გამოუცხადეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გურიის გამოსარჩლების საქმეში, მივიდნენ გაზ. „ვოზროჟდენიეს“ და „ივერიის“ რედაქციებში და მათ გურულების გამოსარჩლება დაავალეს, გამოცხადდნენ ნამესტნიკთან...“

ამ ორდნავ შეცვლილი რედაქციითაა აქაც გადმოცემული გურიის ამბავი და ისიცაა აღნიშნული, რომ „17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით ყოველი პიროვნება თავისუფალი უნდა იყოს და მინიჭებული აქვს მოქალაქეობრივი უფლება“. მისგან განსხვავებით ისიცაა აღნიშნული, რომ გლეხთა დადგენილებას გურიის საქმეზე ხელს აწერენ მაძასახლისები: ხაშმისა — იოსებ იმედაშვილი, პატარძეულისა — იაგორ ჯანდაგაშვილი, საგარეჯოსი — ალ. ესაიაშვილი, გიორგიწმინდისა — გიგო გოდერძიშვილი, მუღანლოსი — მურთუზ ბაირამ-ოღლი, სართიჭალისა — ნიკო ბარძიმაშვილი, ნინოწმინდისა — ივანე შიოშვილი, ლილოსი — ილია თეგოშვილი, მანაისა — ბეგო ბურთაშვილი, მარტყოფისა — ილია სახლთხუციშვილი, ნორიოსი — ნიკოლოზ დარჩიაშვილი.

კახელ გლეხთა ამ ღირსსახსოვარ შემოსვლას თბილისში შემთხვევით შესწრებია მაშინ ჯერ კიდევ მოწაფე სანდრო შანშიაშვილი, რომელიც შემდეგ იგონებდა: „მაშინ მოწაფე ვიყავ... უფროსი ამხანაგები ლაპარაკობდნენ — ლევ ტოლსტოი გურულებს გამოესარჩლა და ქვე-

ყანა შესძრა მათ დასახმარებლადო... ერთ დღეს ყოფილ ალექსანდროვის ბაღთან, სადაც ეხლა ძნელაძის ძეგლი დგას, გაველ და შინ მივდიოდი, ვგონებ, ნაშუადღევი უნდა ყოფილიყო... დავინახე ჩემ პირდაპირ ცხენოსნები მოემართებოდნენ, ყველანი ჩოხებში იყვნენ გამოწყობილნი. მათ წინ მოუძღოდათ თეთრ ცხენზე მჯდომი მხედარი, მკერდზე ჩამოკიდებული ჰქონდა მამასახლისის ყვითელი ჯაჭვი. შეატყობდით, რომ ის იყო ამ ცხენოსანთა მეთაური. მათ მძიმე-მძიმედ ამოიარეს ეხლანდელი ჯორჯიაშვილის ქუჩით, გამოუხვიეს პროსპექტით და გაემართნენ მეფის ნაცვლის სასახლისაკენ, სადაც ამჟამად პიონერთა სასახლეა. ასეთი რაზმის გამოჩენაზე პოლიცია დაფაცურდა. მე ფეხდაფეხ მივდევდი. არც ცხენოსნები ჩქარობდნენ... ცნობისმოყვარე ხალხი ბევრი აედევნა უკან. ერთი პოლიციელი წინ გადაუდგა, ჰსურდა შეეჩერებინა, თეთრ ცხენოსანმა რუსულად უთხრა — მამასახლისი ვარ, ჩამომეცალეო და გასწიეს სასახლისაკენ... მთავარ შესასვლელს რომ მიადგნენ, ახლა იქ შეიქმნა პოლიციელებისა და დარაჯების ფაცა-ფუცი, მაგრამ ამ ცხენოსნებთან ვერაფერს გახდნენ... ცხენოსნების მეთაური ერთ ოფიცერს, რომელიც სასახლიდან გამოვიდა, რუსულად ეუბნებოდა — ჩვენ გლეხების დელეგაცია ვართ, მეფის ნაცვალი უნდა ვნახოთო... მცირე ხანში ვიღაც უფროსი გამოვიდა აივანზე, ცხენოსნებმა ქუდები მოიხადეს, ხოლო თეთრცხენოსანმა არ მოიხადა ქუდი, ცხენი წინ წააყენა და თავისი სათქმელი უთხრა, რომლის მთავარი შინაარსი ასეთი იყო — აღშფოთებული ქახეთის ხალხმა დელეგაცია გამოგზავნა, რომელიც მოითხოვს ბრძანება გასცეთ, რათა დაუყოვნებლივ შესწყვიტონ გურაიაში ხალხის ხოცვა-დარბევა, და გამოყვანილ იქმნას გურიიდან დამსჯელი რაზმები, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გურულების დასაცავად იარაღი აღვმართოთო...

თეთრ ცხენზე მჯდომი ეს მხედარი იოსებ იმედაშვილი იყო, შემდეგ გავიგეთ, რომ იგი დაეპატიმრებინათ... დღიდან გაცნობისა უკანასკნელ დღემდე მე მას ვიცნობდი როგორც უანგაროს, დაუღალავს, და უსაზღვროდ სამშობლოს და ხალხის მოყვარულს, ახალგაზრდა მწერლების დამხმარეს და წამხალისებელს“.

გარე-ქახეთის ერთობის მოძრაობის, თბილისში გლეხთა ამ საპროტესტო დემონსტრაციისა და მეფის ნაცვალთან მოლაპარაკების შესახებ მეტნაკლები დამაჯერებლობის ცნობები ვრცელდებოდა და ცხადია ამ ამბავს ყველაზე სარწმუნო სიზუსტით თვითონ იოსებ იმედაშვილი გადმოგვცემს, რომელიც ამ მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი იყო და პირადად წარუდგა როგორც სულთან კრიმ-გირეის, ასევე ვორონცოვ-დაშკოვს გურიიდან დამსჯელი ჯარის გამოყვანის შესახებ. მისი მოგონება სხვა წყაროებით უცნობი დეტალებისა და ეპიზოდების

გახსენებით მეტ ნათელს ჰფენს გლეხთა დელეგაციის თბილისში ჩამოსვლის ორგანიზაციას, მეფის ნაცვალთან მისვლის სამზადისს და ამ ამბების მიმართ საზოგადოებრივ განწყობილებას. მაშინდელ გაზეთებში გაშუქებულ ამბებს გამეორება თუ აღარ სჭირდება, ბევრია ისეთი რამ, რაც დაზუსტებასა და შევსებას საჭიროებს.

თბილისში ცხენდაცხენ რომ ჩამოვიდნენ, ქალაქში მცხოვრებ ხაშმელთაგან მწერალ დავით ნახუცრიშვილისა, საგარეჯოს მამასახლისის ალექსი ესაიაშვილისა და პატარძეულის მამასახლისის იაგორ ჯანდაგიშვილის თანხლებით იოსებ იმედაშვილი თავად-აზნაურთა მარშლის, ერეკლე მეორის შვილისშვილის — ვახტანგ ორბელიანის ასულის მარიამის მეუღლესთან შაშიკო ორბელიანთან გაეშურა იმის იმედით, რომ მისი დახმარებით მეფის ნაცვალს წარსდგომოდა, მაგრამ მან ცივი უარით უპასუხა — არა, მე ბუნტის საქმეში ვერ გავერევიო, ხომ გადამასახლესო, იმედაშვილი შენიშნავს: „მეწყინა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ასეთი საქციელი და უფრო მეტად ის მეწყინა, რომ თვით დავით ნახუცრიშვილიც შეშინდა და ჩვენ საქმეს გადაუდგა — რაკი მარშალმა უარი გვითხრა, ჩანს აქედან არაფერი გამოვა და მოვეშვათ ამ განზრახვასაო... — მე კი საქმე ბოლომდე უნდა მიმეყვანა და გადავწყვიტე წინასწარ მოსალაპარაკებლად პირდაპირ ლიბერალობით ცნობილ სულთან კრიმ-გირეისთან წავსულიყავი და დავით ნახუცრიშვილი აღარც მასთან წამომყვაო...

ეს შიში, როგორც ჩანს, გლეხებსაც გადასდებიათ, ზოგიერთნი უკვე სოფელში დაბრუნებას ითხოვდნენ და იმედაშვილმა მაინც მოახერხა კრიმ-გირეის ნახვა, რომელსაც შეუთანხმდა, რომ მეორე დღეს სასახლეში მეფის ნაცვალთან მიხულიყო თავისი დელეგაციით, რათა პირად საუბარში ყველაფერი ეთქვა და გარკვეული პასუხი მიეღო.

— ქალაქში აუარებელი ხალხი აგვედევნა... ხალხზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა საკინძჩამოწყვეტილი გლეხების მგლოვიარე იერი. მოხდა ის, რასაც მოველოდით — სულთან კრიმ-გირეის რჩევისაებრ ხუთი კაცით კი არ შემოვბრუნდი ქალაქში, არამედ მთელი რაზმით, რაც ძლიერ გახმაურდა... სასახლესთან ჩამოვხტით, მეფის ნაცვლის ფანჯრების პირდაპირ დავბანაკდით... იმდენი ხალხი იყო, რომ ძლივს გავარღვიე გზა და სასახლის კართან მივედი. კამერდინერი გადამეღობა, მერე უცებ გვერდზე გადგა და გზა დამითმო, შევნიშნე, რომ კიბის თავზე გადმომდგარმა, ვგონებ, ფონ ბაუმი იყო, ჩამოსძახა „პრაპუსტიო“. კიბეზე სასწრაფოდ ავედი, ის-ის იყო გუბერნატორის გვერდით კრიმ-გირეიც დადგა და შემეგება და მითხრა — „მე ხომ გთხოვეთ, რომ ხუთი კაცით მოსულიყავით, ეს ამოდენა ხალხი რას ნიშნავსო“!.

ის იყო დავიწყე—გლეხებმა არ მიყაბულეს-მეთქი, რომ ამ დროს

შიგნითა კარი გაიღო და მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი გამოჩნდა, შასთან სიახლოვეს უმაღლესი მოხელენიც იყვნენ — გუბერნატორები, ოლქის უფროსები თუ სხვები... — აი, თქვენო ბრწყინვალებავ, ის კაცი, რომლის შესახებაც მოგახსენეთო. — უთხრა კრიმ-გირეიმ. მე ყოველგვარი მობოდიშების გარეშე მივმართე — ხალხს ვეღარ ვაჩერებ, თუ ახლავე გარკვეული პასუხი არ შევიტყე გურიიდან დამსჯელი რაზმის გამოწვევის თაობაზე, ჩვენს უკან ქალაქს 5000 კაცია მომდგარი — გარე-კახეთ-იერის ხეობის გლეხობა, რომელნიც თუ სხვა ვერაფერი გააწყვეს, თავიანთ ძველებს აქ დაჰყრიან-მეთქი... გაკვირვებულმა მეფის ნაცვალმა მომიგო: — გადაეცით თქვენ ხალხს, რომ გურიიდან ჯარებს გამოვიწვევთ, დამშვიდდით და მოსალაპარაკებლად საღამოს რამდენიმე კაცით მობრძანდითო... იმ წუთებში მე მარტო ვიყავი და არა „ორიოდე კაცი მივიდა სასახლეში“, როგორც ეს ზოგს აღუნიშნავს და იქ არც ის უთქვამთ ნამესტნიკი უქეიფოდაო, არამედ გარკვევით აღვნიშნავ, რომ თვით ვორონცოვ-დაშკოვმა გამომიცხადა — გურიიდან ჯარებს გამოვიყვანთო...

გარეთ რომ გამოვედი, ბულვარზე ხალხი შემეგება, მათგან გიგო დიასამიძემ, სანდრო ყანჩელმა და დ. დუმბაძემ მკითხეს — რა ამბავია, როგორაა საქმეო?.. — გურია დარბევას გადარჩება, დამსჯელი რაზმები გამოწვეული იქნებიან — ეს სიტყვები რამდენჯერმე გავიმეორე ყველა ცნობისმოყვარე — შემკითხველთა საყურადღებოდ.

ამის შემდეგ სოლოლაკის ქუჩით გავემართეთ და „იევრიის“ რედაქციას ცხენდაცხენ მივესალმეთ... თავისუფლების მოედანზე რომ გავედით, სახელდახელო მიტინგი გაიმართა, რასაც აუარებელი ხალხი დაესწრო. და სადაც ჩვენს გარდა სხვა პარტიის წარმომადგენლებმაც ილაპარაკეს. ამის შემდეგ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისაკენ გავწიეთ, სადაც რედაქციის ფოტოგრაფ შმერლინგთან ერთად დავით ნახუცრიშვილი თავს დაგვადგა და მათი ინიციატივით იყო გადაღებული ჩვენი რაზმის სურათიც. ზოგი დაშინებული გლეხი ამბობდა — ეს რაღაც ხიფათი არ იყოს, ვაი თუ სურათი გადაგვიღონ და მერე ყველას ხელი გეტაცონო... სწორედ ამ ეჭვების გამოც ჩვენი მტრების თვალის ასახვევად ავლაბრის ბაღში მყოფი ჩვენი სოფლის „ბობოლები“ თუ მთავრობასთან ლოიალურად განწყობილი სხვა პირები მოვაყვანინე და სურათში წინ ჩამოვამწკრივეთ, უფრო ხნიერები და ზოგნი ისეთნიც. რომელნიც ერთობის მოძრაობას არ თანაუგრძნობდნენ თუ აშკარადაც მტრობდნენ კიდეც.

იმავე საღამოს ხუთი საათისათვის მეფის ნაცვალთან შესახვედრად რამდენიმე ხნიერი კაცის თანხლებით მივედი, „ერთობის“ ორგანიზაციიდან განგებ არავინ გავიყოლიე. გურიის საქმესა და იერის ხეობის მხრის საერთო საჭიროებაზე გარე კახეთის გლეხთა სახელით სიმონ

ნახუცრიშვილს (ბეროიჩს) უნდა ელაპარაკა, რომელსაც ჩვენში მეტ სახელად, „ბისმარკი“ ჰქონდა შერქმეული და განვითარებითა და ორატორული ნიჭით იყო ცნობილი. მისი ნალაპარაკევი რუსულად დავით ნახუცრიშვილს უნდა ეთარგმნა, რომელიც ჩვენი სოფლის ერთ-ერთი დაწინაურებული ინტელიგენტი იყო და რუსულ დაწესებულებებში ნამსახურობით ლაპარაკში კარგად იყო დახელოვნებული. სიმონ და დავით ნახუცრიშვილები გლეხთა დელეგაციას სოფლიდგანვე არ გამოჰყოლიან, ისინი თბილისში შემოვიერთე მეტი გავლენისათვის.

დარბაზში შეეედით თუ არა, წუთიც არ გასულა, მეფის ნაცვალი ჩვენკენ გამოემართა, მოგვიახლოვდა და საერთოდ მოგვმართა — აბა, რა გინდათ, როგორ ცხოვრობთო... ყველაზე წინ მდგომმა თმა-წვერ გათეთრებულმა სიმონ ნახუცრიშვილმა ჩვენი გულის ნადების თქმა ვეღარ შეუბედა და მეფის ნაცვალს ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვა — ჩვენ, მადლობა ღმერთს, არაფერი გვიჭირს, კნიაზო, თქვენ ორმოცი წლის წინათ ახალგაზრდა ბრძანდებოდით, ახლა შეცვლილხართო... მეფის ნაცვალმა ასეთი მიმართვა იერიშზე გადმოსვლისათვის გამოიყენა — ჩემო მოხუცო, თქვენც შეცვლილხართ, ორმოცი წლის წინათ მორჩილი და წყნარი იყავით, ახლა რა დაგმართნიათ, გურიაში გამოსვლებია, კახეთიც ლამის მას გაჰყვესო... მეფესა და მე გლეხებისათვის სიკეთე გვინდა, მაგრამ ამის საშუალებას არ გვაძლევთო... ამაზე ბისმარკმა მხოლოდ ეს მოახერხა — „რას იზამთ, ეს ყველაფერი ახალგაზრდების ბრალიაო“... — „მერე რატომ არ არიგებთ, არ იცით, რომ ბუნტი არავის შერჩებაო...“

„ბუნტის“ ხსენებამ დეპუტატები შეაშინა... შევატყე საუბარი უხეიროდ ხასიათს იღებდა... ჩვენ პატივცემულ მოხუცთ ენა მუცელში ჩაუვარდათ... ვეღარც დავით ნახუცრიშვილმა დასძრა ხმა. თითქოს ჩვენი აუდიენცია ამით უნდა დამთავრებულიყო კიდეც, ამიტომ შევეკითხე — შეიძლება ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ-მეთქი? — ბრძანეთო!..

მე მოკლედ ავუხსენი მეფის ნაცვალს გურულების გაჭირვებული მდგომარეობა, რომ ისედაც უმიწაწყლობით სიღარიბისათვის განწირულ ხალხს უზომო გადასახადები აწერია. მთელი გურია უფლება აყრილია, ურიადნიკ-სტრაჟნიკების სათარეშოდაა გამხდარი და შემბრალებელი არავინა ჰყავთ... თქვენ ბრძანეთ, რომ გურიიდან დაწესჯელ რაზმებს გამოიწვევენ!.. — რაც ებრძანე, შესრულდება კიდეც... ჩვენ ვიცით, რომ გურიის გლეხობას მიწა აკლია. იმპერატორისაგან საგანგებოდ მაქვს დავალებული, რომ მიწის საკითხი გამოვარკვიო და გლეხთა სამიწადმფლობელო საქმე მოვაწესრიგო, თუ არ დაწყნარდებით, ვერაფერს გავაკეთებთ. ამაზე მე ვუთხარი — ნებას მოგცემთ,

რომ თქვენი აზრი და განზრახვა ხალხს გამოეუცხადო? — არათუ ნებას გაძლევთ, გთხოვთ ეს ყველას გადასცეთ და საამისო ინსტრუქციაც გაიცნოთ, — თქვა ეს და კიდევ გაგვიმეორა — გურიიდან ჯარს გამოვიწვევთ, დამშვიდებული იყავითო.

კიბეზე ჩამოსულისას ჩვენი გვარები ჩაიწერეს და გამოგვიშვეს. კიდევ უფრო მეტი კმაყოფილებით ებრუნდებოდით სასახლიდან...“

ამრიგად, როგორც ცნობილია, ხალხის გამოსარჩლება გურულებისადმი ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მეფის მთავრობამ მაშინდელ გართულებულ პოლიტიკურ პირობებში მოსალოდნელი საერთო არეულობისა და შესაძლებელი აჯანყების თავიდან ასაცილებლად ამჯობინა დათმობაზე წასულიყო და უკან დაიხია. ხალხის წარმომადგენლებს ხელი არ ახლეს, რეპრესიები აღარ განახორციელეს, ალიხანოვ-ავარსკი თავის რაზმებიანად გურიიდან უკან გაიწვიეს და სამხედრო წესები გააუქმეს. გურია შემდგომ დარბევას გადარჩა, მაგრამ ჯარს უკვე მოესწრო გლეხობისათვის დიდი ზარალის მიყენება — მთელი სარჩო-საბადებლის განადგურებითა თუ საქონლის გატაცებით. თავის მხრივ გურულებმა მეფის მთავრობის პირსისხლიან ჯალათს გენერალ ალიხანოვ-ავარსკის ხალხის მასობრივი აწიოკება-დარბევის, სახლ-კარის გადაწვისათვის სამაგიერო მაინც აზღვევინეს — სტავროპოლში თავისივე ბინაზე მიუცვივდნენ, თან წინასწარ შეუთვალეს — შენ მოსაკლავად მოვდივართო და მართლაც თავს დაესხნენ და წუთისოფელს გამოასალმეს.

კონფლიქტი ეროვნული საკითხის გამო

„გარეკახეთის ერთობის“ რაზმელთა წარმატებით მოქმედებამ სოფ. ხაშმის შიგნით, თუ მის გარეთ მთელ საქართველოში გარეკახეთს სახელი გაუთქვა, მაგრამ იმედაშვილის მიერ გლეხობისათვის ჩატარებული სასარგებლო ღონისძიებებით, შანტაჟისტების, ქურდების, მძარცველების საჯარო გასამართლება-დასჯით უკმაყოფილონი იყვნენ სოფლის „პატრონები“ — მდიდარი ბობოლები და მევახშენი, სხვისი შრომითა და შემოსავლით მცხოვრები ფენები, ყოველგვარი სახის ნაძირალები, რომელნიც მანამდე შეჩვეული იყვნენ უპატრონოდ მიტოვებული გლეხობის სხვადასხვა მეთოდებით ძარცვა-გლეჯას.

ხალხის მტრებმა რაკი ნახეს, რომ სოფელში მათ ბატონობასა და უკონტროლო თარეშს ბოლო ეღებოდა, იმედაშვილთან მორიგება არა ხერხდებოდა, ყველანი დაირაზმნენ საერთო მოქმედებისათვის, რომ სოფლის საქმეებიდან რამენაირად ჩამოეშორებინათ ხალხის სამ-

სახურისათვის თავგანწირული ეს ქაცი, რომლის წინააღმდეგ ცილისწამების საგანგებოდ მოფიქრებული კამპანია გააჩაღეს. ისინი, თვითონ ხალხის ქონების მფლანგველნი, მექრთამენი, ჯაშუშები, ხულიგნები, პროვოკატორები, სისხლის სამართლის დამნაშავე მკვლელები, როგორც სოფლად, აგრეთვე ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებსა, სახელოსნოებსა თუ სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში, სადაც კი იმედაშვილს კეთილი სახელით იცნობდნენ, მის შესახებ ავრცელებდნენ ყოვლად უმსგავსო, უსაფუძვლო ყალბ ცნობებს, რომ რამენაირად გაეშავებინათ მისი პიროვნება და სახელი ტალახში ამოესვარათ. მას ნათლავდნენ ხალხის ქონების გამფლანგველად, მთელი იმ ხნის განმავლობაში თხზავდნენ ახალ-ახალ ბრალდებებს, აბეზღებდნენ არარსებულ დანაშაულობებში და მისივე სახელით სოფლებში ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ.

მიუხედავად მრავალგვარი ცდისა, პროვოკაციული ხმების გავრცელებისა თუ პირადი დაშინებისა, მათ ვერ შეძლეს ხალხის აყოლიება და რაკი ასეთი ცდებით თავის მიზანს ვერ მიაღწიეს, გადაწყვიტეს, ფიზიკურად გასწორებოდნენ იმედაშვილს და ერთ შუაღამისას შეიარაღებული ბანდის თავდასხმაც მოუწყეს სოფლის ბინაზე, ტყვია დაუშინეს, რომ ცოლშვილიანად ამოეწყვიტათ, მაგრამ ვერც ამით მიაღწიეს საწადელს, რადგან სოფელი დროით მიეშველა.

ეს იყო პირველი შეტევა იმედაშვილის წასახდენად ცილისწამებათა საშუალებით და პირველი დაცემა მის მოსაკლავად, რამაც პირიქით, რაკი მათი ბრალდებანი საჯაროდ იყო შემოწმებული, ყალბი გამოდგა, და შეუძლებელი იყო საქმეთა რეალური მსვლელობით არ დანახულიყო, თუ ვინ იყო ხალხის მეგობარი და მტერი, ხალხის თვალში იმედაშვილის ავტორიტეტი უფრო ამაღლდა. ასეთი მარცხით ეს შავბნელი ხროვა ერთხანს მიყუჩდა, მით უმეტეს, რომ იმედაშვილი უკვე მეტად გავლენიან საზოგადოებრივ პიროვნებად ქცეულიყო და მისი მოსპობა ისე ადვილად არ შეიძლებოდა. მაგრამ მათ ჩქარა მიეცათ უფრო მოსახერხებელი შემთხვევა იმედაშვილთან ანგარიშის გასწორებისა და არა მხოლოდ ისე, რომ მხოლოდ ფიზიკურად მოესპოთ, არამედ ხალხის თვალშიც მორალურად ისე მოეკლათ, რომ მის დამცველად, დამნანებლად არავინ გამოსულიყო და ყველას მისთვის ქვა და გუნდა მიეყარა...

იოსებ იმედაშვილი, როგორც გლეხობიდან გამოსული მოწინავე პოლიტიკური მოღვაწე 1905 წელს არჩეული იყო პირველ სახელმწიფო სათათბიროს ჯერ სამაზრო, შემდეგ საგუბერნიო ამომრჩევლად, დასახელებული იყო დეპუტატად და თავის გამოსვლებში იცავდა საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას. ბეჯდურადაც პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობისას ყოველთვის მისი ამოსავალი თეზა

იყო უმთავრესად ქართველი გლეხისა და მუშის ინტერესები, ეროვნული კულტურის განვითარება, ქართველი ერის კეთილდღეობა და შესაძლო ვითარებაში ქართული სახელმწიფო ცხოვრების ორგანიზაცია. მისი გაკიცხვა-დეენის მიზეზიც სწორედ ის გახდა, რომ ამავე პრინციპების დაცვით გამოვიდა იგი 1905 წლის 25 მაისს სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეკრებაზე როგორც საგუბერნიო ამომრჩეველი, სადაც „ნაკაზი“ უნდა შემუშავებულიყო იმაზე, თუ დეპუტატებს რა დავალებანი მისცემოდათ, პარტიის სახელით რა მოეთხოვათ...

თავისი სიტყვა იმედაშვილს იმით დაუწყია, რომ აღუნიშნავს — დადგა დრო, როდესაც რუსეთის იმპერიაში მოსახლე ყველა ჩაგრულმა ეროვნებამ, ყველა ერმა ხმა ამოიღოს თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და ამ აზრის განვითარებაში ისიც უთქვამს, რომ ჩვენ შორის ლადო დარჩიაშვილი რომ ყოფილიყო, მისთვის როგორც ღრმად განათლებული, სოციალ-დემოკრატისა და მამულიშვილისათვის „ნაკაზის“ მიცემა აღარ დაგვჭირდებოდა... ის აღარა გვყავს, მაგრამ გვყავს მეორე პიროვნება, თუმცა სოციალისტ-ფედერალისტია, რომელსაც ჩვენი გულის ნადების გამოთქმა შეუძლია — ეს არის ოსიკო ბარათაშვილი... ჩვენი მთავარი მოთხოვნილება კი ის არის, რომ ჩვენმა დეპუტატმა სათათბიროში მოითხოვოს ჩვენი ერის შელახულ უფლებათა აღდგენა...

— ეს ნაციონალისტი ვინ შემოაგდო აქაო, — მაგიდაზე მუშტის დაკვრით წამოუძახია კრების თავმჯდომარეს იროდიონ ევდოშვილს, რომელთანაც იმედაშვილს ახლო მეგობრობა ჰქონია. ამ შენიშვნის გამო ერთმანეთთან შეპასუხებაში ისიც კარგად გამორკვეულა, რომ მათ წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი, თუ პარტია როგორ „ნაკაზს“ შეიმუშავებდა... ყოველ შემთხვევაში იმედაშვილს თავისი სიტყვა დაუმთავრებია განცხადებით, მე საბოლოოდ ის ვიცი, რომ ჩემს ხმას იმას მივცემ, ვისაც სინდისი მიკარნახებსო.

აი, სწორედ ამ კრებამ მისცა საფუძველი, ის კონფლიქტი წარმოშობილიყო, რომელიც სერიოზულ უთანხმოებად გადაიზარდა იმ პიპიროვნებათა მეცადინეობით, რომელნიც მხოლოდ საბაბს ეძებდნენ იმედაშვილის დისკრიმინაციისათვის, მით უმეტეს, შეეჯვებულებმა რაღაც გაუგებრობით, ერთი ხმის დაკლება მას დააბრალეს, რის გამოც დაიწყო პრესაში მისი უსაფუძვლო, გაუგონრად უსამართლო დამუშავება-გათათხვა. პარტიულ მესიტყვეთა ფანტაზირებით იგი დიდ დამნაშავედ იყო კვალიფიცირებული, როგორც სოციალისტური იდეალების მოღალატე, თუმცა იმას კი არ ამბობდნენ, რომ მისი დანაშაული როგორც სოციალ-დემოკრატისა, ქართველი ხალხის ეროვნულ უფლებათა აღდგენაზე ხმის ამოღება იყო. „იგი პარტიის მითი-

თებას არ ასრულებს, უნდა განიდევნოს პარტიიდან, როგორც ნდობადაკარგული პიროვნება, უნდა ჩამოშორდეს სოფელში მუშაობას და არ სარგებლობდეს ხალხის ნიერ არჩეული მოღვაწის სახელითაო".

ეს და სხვა მსგავსი გამონაგონი უკეთურება საქმიანი შემოწმების გარეშეც სამაგალითოდ იყო გაზვიადებული. საკმარისად ჩათვალეს, რომ მოქალაქეობრივი სიკვდილისათვის განწირული იმედაშვილი საქვეყნოდ შეეჩვენებინათ, რაც გაზ. „ლამპარის" სარედაქციო პოლიტიკური მოძრაობის მიმოხილვაში ასე იყო ფორმულირებული: „გუბერნიაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ საარჩევნო კამპანიის სათანადო ენერგიის გარეშე ჩატარებასთან დაკავშირებით, რამაც თითქოს საშუალება მისცა ფედერალისტებსა და კადეტებს მეტი ხმები მიეღოთ: „საპატიო ადგილი ფედერალისტთა და კადეტთა „გამარჯვების" მიზეზებს შორის დაიჭირა ერთმა ვაჟბატონმაც, რომელმაც არ ითაკილა იუდა ისკარიოტელის როლი ეთამაშა. ეს ვაჟბატონი გახლავთ ცნობილი ი. იმედაშვილი, რომელსაც თავი სოციალ-დემოკრატად მოჰქონდა და საშინლად აშლოდა საღერღელი თვითონ არჩეულიყო დუმის წევრად. სოც. დემოკრატია კი ღირსად არ ცნობდა მისი კანდიდატურა წამოეყენებია და აი, ამ მდაბალმა არსებამ პატივმოყვარეობის ინსტინქტების გავლენით, არჩევნების დროს ხელათ გვერდი უქცია სოციალ-დემოკრატებს და მასზე მინდობილ ამომრჩეველ გლეხებზედაც შესაფერი გავლენა მოახდინა" (როგორ „გაიმარჯვეს" ფედერალისტებმა და კადეტებმა თფილისის გუბერნიაში", გაზ. „ლამპარი", 1906, 31 მაისი, № 33).

ეს ამბავი ოდნავი სტილისტური ცვლილებებით სხვა გაზეთებშიც იყო დაბეჭდილი მათ მიერ, რომელთაც ყოველგვარი წმინდის შელახვა უფრო ეხერხებათ, ვიდრე რაიმე კეთილის დანახვა, სხვისი სიკეთის დაფასება. მათ მოახერხეს დაერწმუნებინათ ისიდორე რამიშვილი იმედაშვილის ვერაგულ დანაშაულში და პარტიის სახელით შემდეგი დადგენილება მიაღებინეს:

„ხანგრძლივი თათბირისა და საბუთების წამოყენების შემდეგ ამხ. ი. რამიშვილმა დაასურათა იოსებ იმედაშვილის მოღალატეობა და უწოდა მას „კავკასიის გაპონი". კრებამ მიიღო რეზოლუცია: „ამომრჩეველთა და ამხანაგთა ჯგუფი ცნობს რა იმედაშვილ. ნამდვილ მოღალატეთ, ადგენს: გამოეცხადოს მას თავისი ზიზღი ბოიკოტით და განიდევნოს რ. ს. დ. მუშათა პარტიიდან, როგორც გამყიდველი იუდა და ამხანაგების საზიზღარი მოღალატე".

ქალაქისა თუ სოფლის ნაკლებად ინფორმირებულ მოსახლეობაში ეს მსჯავრი პირველ ხანებში მართალი ეგონათ, იმედაშვილი თითქოს განწირული იყო დასაღუპად და ეს მით უფრო იყო სავალალო, რომ მის გამტყუნებას ყველაზე მოხერხებულად რეაქციური ძალები თავის

სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. ეს იყო სწორედ ის, რაც უნდოდათ ხალხის ნამდვილ ხილულ თუ უხილავ მტრებს — საზოგადოებრივი ასპარეზიდან მოეცილებინათ ხალხის ერთგული და უანგარო მუშაკი.

იმედაშვილის მტრებს თავიდან იმედი ჰქონდათ, რომ ხალხი მათ ბრმად აჰყვებოდა, გამოუძიებლად დაიჯერებდა ცილისწამებას, განუკითხავად შეაჩვენებდნენ იმედაშვილს და განდევნიდნენ თავისი რიგებიდან.

ამ დაუნდობლად პროვოცირებულ ბრძოლას იმედაშვილი, როგორც ცამდე მართალი კაცი, არ შეუშინდა, არ გაექცა პასუხისგებას, თვითონვე ითხოვდა თავის გასამართლებას და მზად იყო წაყენებულ ბრალდებათაგან თავის დასაცავად ყოველგვარი სახის კომისიასა თუ კრებას წარსდგომოდა. ამისათვის ხალხის წინაშე საჯარო ზეპირი განცხადებებითა, თუ პრესაში და სათანადო პარტიულ ორგანოში იმედაშვილი ვრცელი ახსნა-განმარტებით წარსდგა. გამოააშკარავა წაყენებულ ბრალდებათა უსაფუძვლობა და თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ტენდენციურ შეფასებას სათანადო პასუხი გასცა. მან გაიმართლა თავი, კერძოდ, მათ წინაშე, რომელნიც იდეოლოგიურ საკითხებზე კონფლიქტის ასეთი შეუწყნარებელი რეაგირებისათვის პასუხისმგებელნი იყვნენ და სადაც აღიარებული იყო მისდამი ნაჩქარევად გამოტანილი მსჯავრის მცდარობა. კერძოდ, 1906 წლის ეს რეზოლუცია, აგებული გაუგებრობაზე, თვით ი. რამიშვილმა, დარწმუნდა რა იმედაშვილის ბრალდების უსაფუძვლობაში, გაბათილებულად სცნო, რის გამოც შემდგომად მთელი ცხოვრების განმავლობაში განუყრელი მეგობრობითა და ნდობით იყვნენ დაკავშირებულნი.

საბოლოოდ ისინიც კი, რომელთაც მაშინ იმედაშვილის ჯვარცმა მოინდომეს, ყველამ სათითაოდ აღიარა მისდამი თავისი შეცდომა როგორც პიროვნებისადმი, აგრეთვე შეცდომა ეროვნული პრობლემის უგულებელყოფაში. დადგა ისეთი დროც, რომ სოციალ-დემოკრატების გარკვეული ნაწილი თვითონვე გაჰყვა ეროვნულ უფლებათა აღიარება-დაცვის გზას, ნაციონალური თვითგამორკვევის თეზა თავისი პოლიტიკური მრწამსის პირობად მიიჩნიეს და პრაქტიკული მოღვაწეობის ძირითად მიზნად დაისახეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იმედაშვილის სიმართლეში თვით ევდოშვილი დარწმუნდა, რომელმაც თუ ადრე პირველმა გაიმეტა სალანძღავად, როგორც პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, შემდეგ კი გადაჭრით გაემიჯნა მის უპრინციპო მოკამათეთა დასს, რადგან თავისი პოეტური სინდისით სიმართლეს ესწრაფებოდა. ასეთი განწირულების ჟამს იმედაშვილისათვის ყველაზე დიდი მხარდაჭერა მაინც ხალხის თანაგრძნობა იყო, გარეკახეთის გლეხობის სიყვარული, რომელსაც ბოლომდე სჯეროდა მისი სიმართლე.

მაგრამ იმედაშვილის მტრებს სწორედ სიმართლისა ეშინოდათ და ყოველმხრივად ცდილობდნენ, რომ მისთვის გამართლების საშუალება მოესპოთ, არ დაეშვათ მისი გამოსვლა პრესაში და პირდაპირ პაექრობაში არ გაჰყოლოდნენ. გლეხობამ კი მათი დაფინების მიუხედავად საჭიროდ მიიჩნია თვითონვე თავიდან ბოლომდე გარკვეულიყო ამ ბრალდებათა საფუძვლიანობაში და თვრამეტი კაცისაგან შემდგარმა კომისიამ ყოველმხრივი გამოძიების შედეგად „გარეკახეთის გლეხთა კავშირის“ სახელით შემდეგი დადგენილება-მოწოდება მიიღო:

„ჩვენ გარეკახეთის გლეხობა უაღრესად ვართ დამწუხრებული იმ ხმებით, რომელთაც იოსებ იმედაშვილის მიმართ საზოგადოებაში გაზეთები და პროვოკატორები ავრცელებენ, იმითაც ვართ აღშფოთებული, რომ როგორც გავიგეთ, იმედაშვილს საპასუხო წერილს არ უბეჭდავენ, რითაც აზრი ეკარგება ახალი მოძრაობით აღიარებულ ერთიანობა-თავისუფლების იდეალებს. მას ბრალს სდებდნენ საზოგადოებრივი ფულების გაფლანგვასა და ღალატში და მრავალგვარ ცილს სწამებდნენ, ეხლა კი მთელი თვის განმავლობაში რაც იგი აშკარად იდევნება, ჩვენ დავრწმუნდით, რომ იოსებ იმედაშვილი მართალია და საესებით უმწიკვლო ადამიანი. იგი გამართლებულია. მაგრამ ხალხის მტრები არ ისვენებენ და იმედაშვილის ირგვლივ მაინც ავრცელებენ ყალბ ცნობებს, რითაც ცდილობენ ძალით გააშავონ, და ამით ჩვენ „ერთობისტებს“ შეურაცხყოფას გვაყენებენ. ყოველივე ამის გამო ჩვენ 1906 წლის 3 ივლისს გარეკახეთის გლეხთა საერთო კრებაზე ვიმსჯელეთ და დავადგინეთ:

1. იოსებ იმედაშვილმა დიდი შრომა გასწია საგარეჯოს რაიონის გლეხთა თვითშეგნების განვითარებისა და ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობის საქმეში. ჩვენ ღარიბმა და დაჩაგრულმა გლეხობამ იგი ჯერ ხაშმის მამასახლისად ავირჩიეთ, შემდგომ კი მთელი გარეკახეთის მამასახლისთა-მამასახლისად და დღემდე დაუღალავად და პირნათლად ემსახურება ხალხის საერთო ინტერესებს და თანაბარი თანაგრძნობით ეკიდება ყველა დაჩაგრულთ.

2. სახალხო მოძრაობის დროს თბილისიდან გამოქცეულმა დიმიტრი გოგნიაშვილმა და გიორგი თევდორაშვილმა, რომელნიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებად ითვლებოდნენ, იოსებ იმედაშვილს ფულის გაფლანგვა დააბრალეს, რითაც თბილისის ორგანიზაციიდან მოწვეული ამხანაგები შეცდომაში შეიყვანეს, ნამდვილად კი გამოირკვა, რომ იმედაშვილს არაფერი არ გაუფლანგავს.

3. იმედაშვილი მთელ გარეკახეთში მუშაობდა, ყველა მიტინგებზე გაბედულად ეწეოდა აგიტაციას და მოუწოდებდა მშრომელთა გაერთიანებისაკენ, ქადაგებდა ძმობას, ერთიანობას, თანასწორობას, ჩვენ კლასიურ შეგნებას.

4. იოსებ იმედაშვილის შთამაგონებელმა გამოსვლებმა გლეხობა ჩაგვაფიქრა საკუთარ მდგომარეობაზე, რის შედეგადაც ჩვენც ვისწავლეთ ლაპარაკი და მოქმედება.

5. იოსებ იმედაშვილი გლეხობისა და საერთოდ მიწის მუშა მშრომელთა დაუსვენებელი შემწეა და მოქადაგე.

6. ხალხის მტრებს — პროვოკატორებს, ყოფილ მამასახლისებს, სოფლის კულაკებს, რომელნიც ადრეევე მტრულად იყვნენ განწყობილი ხალხის გათვითცნობიერების საქმისადმი, იმედაშვილის წინააღმდეგ აგიტაციით ხალხი შეცდომაში შეჰყავდათ და უნდოდათ ეს კაცი აქედან გაეგდოთ, რომ ჩვენზე ისევ ძველებურათ ებატონათ.

7. იოსებ იმედაშვილი ყველა დამნაშავეთ სახალხოთ ასამართლებს და სჯის.

8. იოსებ იმედაშვილი აშკარად ებრძვის ხალხის ყველა მჩაგვრელთ.

9. იოსებ იმედაშვილი გასულ წელს გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენ ძმებს გურულებს მხარში ამოუდგა. ასევე ჩვენი რაიონის სომეხ-თათართა შორის სისხლისმღერელი შეტაკება რომ უნდა დაწყებულიყო, მან მოჩხუბარნი ერთმანეთს შეარიგა, ქართველები, სომხები და თათრები ერთმანეთის კავშირზე დააფიცა და ისინი ერმანეთის ხოცვა-ჟლეტისაგან იხსნა.

10. იოსებ იმედაშვილი აშენებდა სოფლის გზებს, გაჰყავდა სოფლისათვის წყალი, ეხმარებოდა ღარიბებს.

11. იგი ჩვენ ყველას ძმურად და ამხანაგურად გვეპყრობა და სოფლის ყოველგვარ საქმეს მთელი საზოგადოების გადაწყვეტილებით ასრულებს. თავისუფალ დროს იგი ამა თუ იმ სახელმწიფო საქმეებზე გაზეთებს გვიკითხავს, რითაც ჩვენ გონებრივად ვითარდებით.

12. ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობის ნამდვილი მტრები, ჯაშუშები, მექრთამენი, ცრუ ორატორები პარტიის სახელით თავისი ბინძური მოქმედებითა და ღარიბი ხალხის მოტყუებით ჩირქს სცხებენ პარტიას, რითაც თავისი ბნელი ზრახვების მიღწევას ცდილობენ.

ამის გამო საქეეყნოდ გასაგონად მოგმართავთ — მოქალაქენო, თავისუფლებისათვის მებრძოლნო, ადამიანურ უფლებათა დამცველნო, ეურნალ-გაზეთების წარმომადგენელნო, თუ თქვენ ჩვენი მხარესათვის ნამდვილად სიკეთე გსურთ, თუ თქვენ სიმართლის მომხრენი ხართ, იმედაშვილს ნუ აბიაბრუებთ, რომელმაც ჩვენ გლეხებს დიდი სიმართლე გვითხრა. ნუ უჯერებთ იმ ჰორებს, რომელთაც თბილისში ხულიგნები თუ სოფლად პროვოკატორები ავრცელებენ. რეაქციის შემდეგ ხალხის მტრებმა 4 თუ 5 თვის წინათ თბილისის ორგანიზაციის წევრები ხაშმზე მოიწვიეს, რომელთაც იმედაშვილი პარტიის გარეშე გამოაცხადეს, პოლიციელად მოიხსენიეს და ხალხს მოუწოდეს, ჩამოშორებოდნენ მას.

მაგრამ რამდენადაც იმედაშვილი ჩვენ მიერაა არჩეული და ჩვენ მის ყოველ კარგსაცა და ავსაც ვიცნობთ, არავის ბრძანებებს არ დავემორჩილებით, აგრეთვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კოლექტივს მოგმართავთ, რომ შეცდომა მისი წინანდელი სასარგებლო მოღვაწეობის გამო უნდა ეპატიოს. იგი ჩვენთვის სასარგებლო კაცია და ჩვენ გლეხებმა მისი ფასი ვიცით. (იოსებ იმედაშვილის არჩევიდან).

მსგავსი შინაარსის კიდევ რამდენიმე დოკუმენტი იყო შედგენილი, მათ შორის „ჩვენი შეკითხვა“, რომელსაც 50 კაცი აწერდა ხელს; ბართალია, თითქოს იოსებ იმედაშვილს აეკრძალა მამასახლისობა და თუ ის მაინც დატოვეთ, მაშინ მთელ სოფელს ხაშმს ბოიკოტი გამოეცხადებაო?

იოსებ იმედაშვილის რეაბილიტაციის ირგვლივ არსებული წერილობითი საბუთების უმრავლესობა, სამწუხაროდ, დაკარგული ჩანს,

მაგრამ ამ სისხლგარეული ამბის სინამდვილეს, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი გამოძახილი ჰქონდა და შესაძლო იყო მისთვის უსამართლოდ ლაქადადებული სიკვდილით დამთავრებულიყო, — ეჭვმიუტანლად არკვევენ და მის სიმართლეს გვიმტკიცებენ ცოცხალ მომსწრეთა აღიარებანი. მათ შორის ყველაზე დამარწმუნებელია თვით იმ პიროვნების ჩვენება, რომელიც თავიდანვე მონაწილეობდა იმედაშვილის ცილისწამება-დევნასა და პირადად მეთაურობდა მის მოსაკლავად მოწყობილ თავდასხმას. ამის შესახებ ქვემოთ ცალკე იქნება აღნიშნული, სადაც ისიც გაირკვევა, თუ იმედაშვილის ულმობელი გაკიცხვა, უსაფუძვლო დადანაშაულება როგორ გაუგებრობაზე აგებული პოლიტიკანობა იყო, რომელიც თავისთავად უფრო კრიმინალს წარმოადგენდა, ვიდრე იდეოლოგიურ ბრძოლას ჭეშმარიტებისა და ხალხის სიკეთისათვის.

იმედაშვილის გასამტყუნებლად ერთმანეთს დაუკავშირდა რამდენიმე შემთხვევითობა. ამომრჩეველთა სხდომაზე მის მიერ ეროვნულ მოთხოვნათა წამოყენებამ, თუ ოსიკო ბარათაშვილის პიროვნების ქებით მოხსენიებამ, მაშინდელი სოციალ-დემოკრატების წყენა გამოიწვია. ევდოშვილის შენიშვნამ — იმედაშვილი ნაციონალისტი ყოფილაო, საზოგადოებაში მითქმა-მოთქმას შეუწყო ხელი, რის შესახებაც გადამახინჯებულმა ხმებმა სოფელშიაც მიაღწიეს, როგორც სახალხო მოძრაობისაგან იმედაშვილის განდგომის ჭორმა. ეს ჭორი ადგილობრივ კიდევ უფრო გადაკეთდა, თითქოს იმედაშვილი მთავრობის კაცი გამხდარიყოს და სახიფათოაო. რასაკვირველია, ამ ჭორებით იმედაშვილის მტრებს მისთვის ანგარიშის გასწორების ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდათ და მათაც არ დაახანეს და მისი მოკვლის აზრი წამოაყენეს.

მოვლენათა შემდგომმა ვითარებამ დაამტკიცა, რომ იმედაშვილის მიერ პარტიის მიზნად მაშინდელ პირობებში ქართული საქმის კეთება, ქართველი ხალხის საჭირბოროტო საკითხებზე ლაპარაკი, ეროვნული უფლებების მოპოვების აღიარება, უფრო რეალური გამოდგა, ვიდრე ის, რომ პარტიის ხაზი ცალმხრივად ყოფილიყო განსაზღვრული საერთაშორისო დემოკრატიის მიზნებზე კამათით. მთელი შემდგომში მისი მოღვაწეობა სწორედ ეროვნული დემოკრატიის დაცვაზე იყო აგებული და მას თავისი იდეური მრწამსი არასოდეს არ შეუცვლია. იგი კარგა ხნის შემდეგ, 1917 წელსაც. „თეატრი და ცხოვრებას“ 26 მარტის მეთაურში — „ჩვენი რწმენა“ წერდა: „ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიას კიდევ ვერ გაუბედნია თავის თავს ქართველი უწოდოს, საქართველოს მუშა ხალხი ღირსია იმისა, რომ ის შეადგენდეს ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას...“

იქვე წერილში: „იცან თავი შენი“ ეროვნულ თეზას უფრო ფარ-

თო არგუმენტაციით მარტავდა: „თუ შენს თავს არ იცნობ, — სხვას ვერ გაიცნობ, თუ შენი უფლება და მოვალეობა შეგნებული არა გაქვს, სხვის უფლებასა და მოვალეობას ვერ შეიგნებ... სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი... სხვისთვის თავგადამკვდრებს, თავისი თავი დაგვიწყებია, თავისი უფლებისა და მოვალეობის უვიცთ, სხვათა უფლებისა და მოვალეობის გარკვევადაცვა მიზნად დაგვისახნია... ამას ისტორია არ გვაპატიებს...

ჩვენში პარტიულმა ჯინიანობამ კიდევ ერთხელ წამოჰყო თავი... აუცილებლად უნდა მოხდეს შეთანხმება ისეთი საკითხების შესახებ მაინც, როგორც ჩვენი სამშობლო ქვეყნის ყოფნა-არყოფნაა...“

*

სწორედ ამ ეროვნული დემოკრატიის დებულების დაცვის მსხვერპლი გახდა მამაჩემი როგორც უკვე გაკვრით აღვნიშნე 1906-7 წლების ამბებში, მაგრამ იგი სიკვდილის საფრთხესაც არ გაქცევია. არა თუ მხოლოდ მის თეორიულ დაცვაში, არამედ თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ყოველთვის მოქმედებდა ეროვნულ უფლებათა აღიარებისათვის. ამიტომ ისიც მოულოდნელი არ იყო, რომ მისმა თეორიულმა მოკამათეებმა, ცილისმწამებლებმა თუ გაბრიყვებულმა ვაიპატრიოტებმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სინამდვილეში მაინც გარკვეულებმა, იმედაშვილის წინაშე მოინანიეს თავისი მცდარი პოზიცია, თვითონ მივიდნენ მასთან და ბოდიში მოიხადეს უსაფუძვლოდ მიყენებული შეურაცხყოფისათვის. პირველი მათში იყო ამაყი ხასიათითა და პრინციპულობით კარგად ცნობილი ირ. ევდოშვილი, რომლის შესახებაც ღირს შეჩერება. მან იოსებ იმედაშვილს ეროვნულ უფლებათა საკითხის წამოყენება ნაციონალიზმის გამოხატულებად და სოციალიზმის ღალატად ჩაუთვალა. მაშინ ევდოშვილმა იმედაშვილს ეს შენიშვნაც არ აკმარა და იმავე 1904 წელს სოსიკო მერკვილაძის ძიერ გამოცემული წიგნების დაუნდობელ კრიტიკაში: „ნა გრუზინსკომ კნიუნომ რინკე“ (გაზ. „ეოზროჟდენიე“, 1904, 4 ნოემბერი, № 6248) აგდებულად მოიხსენია, როგორც ავტორი 1904 წელს გამოცემული ლექსების წიგნისა „ქვის მტვრეველი“ (იაპონური ზღაპარი) იზიძის ფსევდონიმით. ეს ორიგინალური თხზულება, ევდოშვილის შენიშვნით, „იაპონური ზღაპარი“ მშრალად არის თარგმნილი, — იზიძე უფრო მეტად თავის ლექსების რითმათა შეკოწიწებისაგან იტანჯებოდა, ვიდრე ვინმეზე დარდისაგანო“.

როგორი ობიექტური კრიტიკაა, თუკი ევდოშვილს ეს ნაწარმოები მართლაც იაპონური ზღაპარი ეგონა, ნამდვილად კი იზიძემ თა-

ვის ორიგინალურ პოემას ცენზორის თვალის ასახვევად „იაპონური ზღაპარი“ წააწერა.

როგორც გამოირკვა, ევდოშვილსა და იმედაშვილს შორის ამ თითქოს ფარულ კონფლიქტს პირადი ხასიათის უფრო ღრმა ფესვებიც ჰქონოდა. ცხრაასიან წლებში, მუშათა მოძრაობის გაძლიერების პირველ ხანებში ევდოშვილს ოქრუაშვილთან ერთად, სადგურის ახლოს, შალაკნების ქუჩაზე ხუთსართულიანი სახლის სარდაფში ღვინის საეაჭრო ჰქონდა მოწყობილი, რომლის აბრაზე თავისი ლიტერატურული ფსევდონიმი „ევდოშვილი“ ეწერა. ეს ამბავი ჰკუაში არ დამიჯდა — შენიშნავს იმედაშვილი, — არ მომეწონა და ჩემი იუმორისტული რომანის „აახ-ვააახ“ ერთ-ერთ თავში (იბეჭდებოდა „ივერიაში“) უსუფ-უმუთ-ოღლის ფსევდონიმით, არაკულად გავკენწლე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიდძალი რკინიგზელი მუშა ხალხი იყრიდა თავს ამ სარდაფში და ხელადა ღვინის ირგვლივ გაბურებული რევოლუციური პროპაგანდა სწარმოებდა. ამ პროპაგანდა-აგიტაციაში ხშირად მონაწილეობდა თვით ირ. ევდოშვილიც...

ჩემს არაკულად გადაკრულ „ფელეტონში“ იროდიონ ევდოშვილს თავისი თავი ეცნო და სამაგიერო მიზღო, როცა ჩემი პატარა წიგნაკი „ქვის მტვრეველი“ გამოვიდა. იროდიონმა მთელი ფელეტონით გამაკრიტიკა „ნოეოე ობოზრენიაში“, რადგან ქართულად არსად დაუბეჭდესო...

გავიდა ხანი და ევდოშვილისათვის სიმართლე მაინც გაირკვა. იგი ძიხვდა თავის შეცდომას, რადგან თუ გულწრფელად იყო დარწმუნებული იმედაშვილის დანაშაულში, ასევე გულწრფელად დარწმუნდა მის სიმართლეშიც, თვითონვე მივიდა მასთან და უთხრა — მაშინ შენი ეროვნული პლატფორმით ცამდე მართალი იყავი, ჩვენ ავჩქარდით, უსამართლოდ მოგექეცითო და ამითვე აღსდგა მათი დარღვეული მეგობრობაც.

1910—1913 წლებში მეტეხის ციხეში ყოფნისას იოსებ იმედაშვილს გაზეთიდან გაეგო, რომ გადასახლებული იროდიონ ევდოშვილის ოჯახი დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდისო... „იმ ხანად ჩემი ცოლ-შვილიც ნაკლებ გაჭირვებაში არ იყო (ორი შვილი სამადლო სახლში „პრიუტში“ იყო, ცოლი ორი შვილით უბინაო, მეზობლის აივანზე შეფარებული), და მაინც ციხეში პატიმართა შორის ორ-სამ შაურობით და თითო აბაზობით 24 მანეთი და 25 კაპიკი შევაგროვე და იმავე გაზეთის რედაქციას გაუგზავნე იროდიონის ოჯახისათვის გადასაცემათ“...

ამ შემთხვევის შემდეგ ევდოშვილისა და იმედაშვილის შეხვედრა უფრო გულწრფელი, და მეგობრობა უფრო გულითადი გახდა... იროდიონს ცრემლით ეთქვა მადლობა — „შენმა დახმარებამ სულით აღ-

მიტაცა და თან დიდ სინანულში ჩამაგდო, მე რამდენი გაწყენინე, რამდენი სიავე დაგმართე, შენ კი...“

ერთხელაც ევდოშვილს იმედაშვილისათვის შეუჩივლია — უბინაობა მიჰირებს საქმეს, როცა თავშესაფარი არა გაქვს და კუჭი შიმშილით გეწვის, თუ ბიჭი ხარ, წერეო... მე გავამხნევე და შევპირდი ჩქარა ბინას გიშოვნი-მეთქი... დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ჩემი ბინის გვერდით ერთი დიდი ნათელი ოთახი დავუთმე. ამავე სახლის ქვედა სართულში მოვაწყვე საფრანგეთიდან დაბრუნებული ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი), რომელსაც მოეწონა იროდიონის და ბაბილინა და მალე შეუღლდნენ კიდეც. იროდიონი ნაყოფიერად მუშაობდა.

ყოველივე ამის შემდეგ, მხოლოდ ხალხის ნამდვილი მტრები თუ მაინც ცდილობდნენ საზოგადოების თვალში იმედაშვილისათვის სახელის გატეხას, სახალხო მნიშვნელობის საქმიანობისაგან მის რამენაირად ჩამოცილებას, მაგრამ შეცდნენ მისი დევნის ორგანიზატორები, — იმედაშვილი ყოველდღიურად უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა მუშათა და გლეხთა მასებში.

თავდასხმა იმედაშვილის მოსაკლავად

ამრიგად იმედაშვილი ხალხის თვალში სავსებით გამართლდა, უსაფუძვლო ბრალდებებსა და ცილისწამებას პასუხი გაეცა, მით უმეტეს, რომ მისი ზოგიერთი მტრები და ცილისმწამებელნი თვითონვე მივიდნენ მასთან, მოინანიეს თავისი საქციელი, მხარში ამოუდგნენ მის სიმართლეს და სიკვდილამდე მის ერთგულ მეგობრებად იქცნენ. მაგრამ ბოროტის მჭნელმა დაჭირავებულმა პროვოკატორებმა, ყალბად შეთითხნილი ბრალდებებით ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, და პირიქით იმედაშვილის ავტორიტეტი ხალხის თვალში უფრო ამაღლდა, როგორც უსამართლოდ დევნილი უანგარო საზოგადო მოღვაწისა, გადაწყვიტეს იგი, როგორც არასასურველი ფიგურა, რომელიც მათთან არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა, ხალხის მეგობრობაზე თავსა სდებდა და ხელს უშლიდა მათ გლეხების მოტყუებაძარცვაში, — ფიზიკურად მოეშორებინათ, რისთვისაც ტერორი დაუნიშნეს. როგორც უკვე აღვნიშნე, პირველად სოფელში ყოფნისას შუაღამით მის ბინას დაეცნენ, ტყვია დაუშინეს და ცოლშვილიანად უნდა ამოეხოცათ, მაგრამ ხალხი ჩქარა მოეშველა და იმედაშვილი გადაარჩინეს. მეორედ, 1907 წლის 5 დეკემბერს დილის 9 საათზე ავლაბარში, კახეთის შოსეზე, № 17 სახლის გასწვრივ ეტლით სოფლიდან მომავალს მთელი ბანდა დაეცა მოსაკლავად და, დიდი სროლის

მიუხედავად იმედაშვილი აქაც მხოლოდ ორი ჭრილობით გადარჩა. ერთმა ტყვიამ ცხვირის ძვალი ჩაუმსხვრია, მეორემ ლავიწის ძვალი და რაკი სახიდან ერთბაშად სისხლი წასკდა და წითლად შეიღება, ტერორისტებს ეგონათ, თავში დავჭერით, მოკალითო და გაიქცნენ. ყოველ შემთხვევაში სიკვდილისაგან გადარჩენას მამა უფრო მეტად თავის საყვარელ ნაბადს უმადლოდა, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ არ იშორებდა.

სროლა რომ აუტეხეს, მამას მაშინვე ეტლში ძირს ჩაუჩოქია და ნაბადი მაღლა აუწევია, ტერორისტებსაც ტყვია ზემოთკენ დაუშენიათ ისე, რომ მათი ტყვიები ცარიელ ნაბადს ცხრილავდა. ამ სროლაში მამას მაინც უმარჯვია, ცხვირში დაჭრილი ეტლიდან რევოლვერმომარჯვებული გადმომხტარა და ტერორისტებს სროლითვე დასდევნებია. დაჭრილი მამა საავადმყოფოში რომ მიუყვანიათ, მერე გამორკვეულა, რომ ამ სროლაში მის გვერდით ეტლში მჯდომი ვინმე თანასოფლელიც „კოტე" დაჭრილი, საავადმყოფოში მეორე დღეს გარდაცვლილა.

ოფიციალური ცნობით, რომელიც პოლიციაში იყო წარდგენილი, იმედაშვილს თავს დაესხა თბილისში მცხოვრები გრიგოლ ტერ-მოსესოვი, რომელმაც რევოლვერით რამდენჯერმე ესროლა და იმედაშვილი ლოყაში იყო დაჭრილიო. მასთან ეტლში იჯდა თავადი თ. ჩოლოყაშვილი, ამ სროლაში შემთხვევით დაიჭრა საარტილერიო პოლკის ერთი ჯარისკაცი: სხვა ცნობით, იმედაშვილთან ეტლში თომა ქოქრაშვილი იჯდა.

ეს ამბავი მამაჩემს არა ერთხელ გაუხსენებია, და ყოველთვის გარკვევით ამბობდა, რომ მასთან ეტლში იჯდა ვინმე „კოტე", რომლის გვარსაც არ ასახელებდა. ეს „კოტე" თვითონ ყოფილა თავდასხმის მონაწილე და ტერორისტებთან შეთანხმებით პირველად რომ გაისროდნენ, ის მაშინვე ეტლიდან უნდა გადმოვარდნილიყო, ვითომ მოკლული. მაგრამ სასიკვდილო ტყვია სწორედ იმ „კოტეს" მოხვდა, რომელიც მერე საავადმყოფოში გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ამ კაცს უთხოვია, იმედაშვილმა მნახოსო. მამა რომ სანახავად მისულა, „კოტეს" ტირილი დაუწყია და უთქვამს — ვიცი, ვკვდები და ჩემზე ახია, გავბრიყვდი, შენ მოკვლაში გაგერიე და ღმერთმა დამსაჯა, იცოდე, რომ მოსაკლავად ესენი და ესენი დაგესხნენო...

ამ ამბის საიდუმლოს მამაჩემი ბოლომდე ინახავდა, არ ამხელდა, რაკი გაიგო, რომ თავდასხმის მიზეზი გაუგებრობა იყო, შეცდომა, იმ ცილისწამების გაგრძელება და შედეგი, რომელიც 1905 წლის პრესაში მის წინააღმდეგ დაუნდობლად იყო გაჩაღებული. ეს ტყვია მან თავიდანვე აპატია ახლო მეგობრებს, სამაგიერო მხოლოდ სიკეთით გადაუხადა და ერთი მათგანი სიკვდილისაგანაც იხსნა. მისთვის ბო-

ლომდე საწყენი და სასირცხვილო ამ სროლაში ის იყო, რომ ის სათათბიროს არჩევნების კამპანიას უკავშირდებოდა.

მე შინდოდა მამაჩემის სურვილი შემესრულებინა და არ დამესახელებინა ისინი, რომელთაც მას ტყვია ესროლეს, მაგრამ დრომ, მამაჩემის სურვილის მიუხედავად. ყოველგვარი ეჭვის გარეშე საბოლოოდ მაინც გაარკვია და გამოაშკარავა ამ ცილისწამების უსაფუძვლობასთან ერთად მისი მოკვლის განზრახვის უაზრობაც და ისიც, თუ ისტორიის წინაშე ვინ იყვნენ ჭეშმარიტების მხარეს, ვინ იყვნენ ხალხის ნამდვილი მეგობრები, თუ მათ რიგებში შეპარული სისხლიანი საქმეების ოსტატები, შენილბული ნაძირალები, რომელთა მიზანი სწორედ ის იყო, რომ განხეთქილება ჩამოეგდოთ ჩვენ რევოლუციურ მოძრაობაში, დაექსაქსათ მისი ძალები, ხალხის აღმავლობა შეეჩერებინათ და მისივე სახელით შავი რეაქციის საქმეები გაეკეთებინათ. ეს ყველაფერი შემდგომი მოვლენების მსვლელობით თავისთავადაც გახდა ცხადი და უტყუარი ფაქტებითა და დოკუმენტებით საბოლოოდ მამაჩემის სიკვდილის შემდეგ გამოაშკარავდა. ამასთან ერთად, ამ ტერორისტული აქტის საიდუმლოს მონაწილემ, პირადად აღიარა თავისი მონაწილეობა, შეინანა თავისი საქციელი, როგორც საბედისწერო შეცდომა და კოლექტიური გაუგებრობა. ეს მან მამაჩემს დიდუბის პანთეონში დასაფლავებაზე კუბოსთან წარმოთქმულ სიტყვაში ასე უთხრა — მე შენ ტყვია გესროლე, შენ კი სიკვდილს გადამარჩინეო...

ეს კაცი იყო ძველი კატორღელი, რევოლუციონერი და ტერორისტი ვანო მაისურაძე, მეტ სახელად „ტურა“, რომელიც გარეკახეთის „ერთობის“ მოძრაობის დროს ყოველთვის იმედაშვილს გვერდით ედგა და მთელი ცხოვრების განმავლობაში ახლო მეგობრობა ჰქონდა მასთან, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც 1917 წელს კატორღიდან დაბრუნებისთანავე სადგურიდან პირდაპირ ჩვენს ბინაზე მოვიდა, მამას გამოუტყდა და ამ საბედისწერო თავდასხმაში მონაწილეობისათვის პატიება სთხოვა.

ეს დიდი და უცნაურად გულწრფელი აღიარება იყო, როგორც თავისი შინაარსით, აგრეთვე ფორმით, და ამ აღიარების სინამდვილეში ვინმემ ეჭვი რომ არ შეიტანოს, აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ მან საჭიროდ ჩასთვალა თავისი სიტყვა საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენთვის მოეცა მამაჩემის არქივში შესანახად. ეს დოკუმენტი შემდეგნაირად იწყება: „იოსებ! ეს ჩემი სიტყვები თქვენ აღარ გესმით, მაგრამ თქვენ პატივისმცემელთა საყურადღებოთ ვიტყვი „მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს, რათა იოსების ოჯახი კმაყოფილი დარჩეს მშობელი მამის წარსულითაო“, — ე. ი. იმ ეჭვებისა, ბოროტი ხმებისა და გაუგებრობისაგან, რის გამოც იმედაშვილი ოფიციალურად გალანძღეს,

დაადანაშაულეს, ბოიკოტი გამოუცხადეს და სასიკვდილოდ გაიმეტეს.

ეს ამბები ტურა მაისურაძემ რამდენიმე ვარიანტად აღწერა, ერთ მათგანში, რომელიც 32 გვერდისაგან შედგება, აღნიშნულია: „იოსებისათვის საბედისწეროდ იქცა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში 1905 წლის პირველ სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველად მისი არჩევა. ჩვენი ფრაქციის უუთში ვიღაცას შავი ჩაეგდო, ეს იოსებისა ეგონათ და ბოიკოტი გამოუცხადეს. მხოლოდ 1917 წელს გამოამჟღავნა კაჭრეთის მაშინდელმა მამასახლისმა დიმიტრი სოლოდაშვილმა. რომ „მაშინ არა ვსთქვი და მე ჩავუგდე სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შავიო — მე თქვენი გეგონეთ და ხმა ფედერალისტებს მიეცი — სოსო ბარათაშვილს... ეს ამბავი მე ჩავიდინე და იმედაშვილი დავხარჯევითო...“

საგულისხმოა, რომ მაისურაძე ამ ამბავთან აკავშირებს ვასო ცაბაძესა და ისიდორე რამიშვილსაც, რომლებთანაც მამაჩემს მთელი ცხოვრების განმავლობაში ახლო განუყრელი მეგობრობა აერთებდა. ხომ არ ცდებოდა მაისურაძე თუ ეგონა, რომ ისინიც იყვნენ შეეჭვებული იმედაშვილის პიროვნებაში, რომ მათ მიეცათ დასტური პარტიული მეგობრის გაკიცხვისათვის?

დრომ და საქმემ საბოლოოდ ყველაფერი გამოააშკარავა. ტურა მაისურაძის საჯარო აღიარებასა თუ სპეციალურად დაწერილ მოგონებებში ეჭვმიუტანლად გაირკვა ნახევარი საუკუნის გაუგებრობათა ბურუსით მოცული ამბები. თუ სავსებით სარწმუნოა მისი აღიარებანი — იმედაშვილზე ცილისწამების გავრცელებას მე შევუწყე ხელი, თავდასხმა მე მოვუწყე, ტყვია მე ვესროლეო, მაგრამ ტურა ბოლომდე ვერვე გულწრფელია იმედაშვილისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანაზე მსჯელობაში? ეს მთლად ნათელი არ არის. ამ მხრივ ბუნდოვნად გამოიყურება გაკვრით აღნიშნული: „მითხრეს იმედაშვილი მოაშორეთო... ეს საკმარისი იყო ჩემთვისაო“. რატომ უნდა ყოფილიყო ერთი სიტყვა მისთვის საკმარისი, რომ უახლოესი თანამებრძოლი მეგობარი ერთბაშად მოსაკლავად გაემეტებინა? მით უმეტეს, რომ 1905 წლის დასასრულამდე იმედაშვილი 18 კაცისაგან შემდგარმა კომისიამ საჯარო სხდომაზე გაამართლა, რის შემდეგაც კიდევ ორი წელი სოფელში იყო და გარეკახეთის ერთობის მოძრაობას ხელმძღვანელობდა?

ერთი სიტყვით, ტურა მაისურაძე თუმცა ამ ამბავს ხშირად ეხება, საჭირო სიცხადით მაინც არ გადმოგვცემს მის მნიშვნელოვან ეპიზოდებს: „ჩვენი გაუგებრობით დიდი შეცდომა ჩავიდინეთ თქვენს წინააღმდეგ, სხვისი ეჭვი თქვენზედ გაეტეხეთ და გაგრიცხეთ რსდ მუშათა პარტიის რიგებიდან ბოიკოტის დამატებით, რაშიაც მეც მქონდა წილი თქვენ დასჯაში., ეს ბრალი თქვენ მოგშორდათო..“ „ერთი მთა-

ვარი ჩემი შეცდომა (რაც წერილობითა მაქვს წარდგენილი მარქსენგელს-ლენინის ინსტიტუტში შესანახად ჩემს მოგონებაში) ის არის, რომ მე პარტიის ერთ ლიდერთან ერთად, ჩემდა გაუგებრად, იმედაშვილს გადავუწყვიტეთ სიკვდილი...“

ყოველ შემთხვევაში მაისურაძის მოგონებებში არა ჩანს, თუ ვის გულისხმობდა იმ „ბელადში“, რომელსაც მისთვის დაუვალებია იმედაშვილის მოსპობა. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ იოსებ იმედაშვილისათვის განაჩენის გამოტანა თვითონ ტურას ინიციატივა იყო. ყოველ შემთხვევაში იგი აღნიშნავს: „მე ვცდილობდი, ხაშმიდანაც შომეშორებინა და მამასახლისობიდანაც. მივმართე რსდ პარტიის საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციას, რათა როგორმე მოეშორებინათ იოსები, რადგან გვეშინოდა როგორც მამასახლისისა — ბევრი ჩვენი საიდუმლო იცოდა. მითხრეს, „ეგეც ხომ გრიაზნოვი არ არის, რომ ჩვენთან მორბიხართო, მოაშორეთო“. ეს საკმარისი იყო ჩემთვის, შეეურჩიე დრო და ერთხელ, როდესაც თბილისში დააპირა ჩამოსვლა, წამოვედი წინ და მოუწყე ტერორი... იოსები დაიჭრა, მის გვერდზე მჯდომი ცხრა წლის ნამამასახლისარი თომა ქოქრაშვილი ფეხში დაიჭრა და იმ ღამესვე გარდაიცვალა... იმედაშვილმა დაჭრილმა დაიყვირა — ტურას ბრალიაო, მაგრამ დაკითხვის დროს მთავრობას არაფერი უჩვენა არავისზე. ...მე რომ ციხეში ვიყავი, გამაფრთხილეს — იმედაშვილს უფრთხილდი, შენ საქმეებს ხსნის ციხეშიო... სინამდვილეში უკუღმა გამოდგა. თურმე იმედაშვილი ყოველნაირად ცდილობდა ჩემ განთავისუფლებას“.

„...იოსები ვერ გატეხეს, თუ ვისზე ჰქონდა ეჭვი... ამაშიც მე მიმიძღვის ბრალი, მაგრამ ეს შეცდომა, ჩემდა სამწუხაროდ, მოხდა... მიუხედავად იმისა, რომ იოსებმა კარგად იცოდა ჩემი მონაწილეობა მისი მოკვლის ცდაში, პირიქით მან ეს დიდი სიკეთით გადამიხადა. ავლაბრის პოლკის დავალებით, კახეთში ჯარისკაცებს შორის რუსულ პროკლამაციებს რომ ვავრცელებდი („Голос Казармы“) ვაზიანში პროკლამაციებითა და იარაღით ხელში კაზაკებმა დამაპატიმრეს და ჩამამწყვდიეს... ცუდი დღე მელოდა. ამის შესახებ ხაშმში ვაცნობე ფიდო ხეთაგურაშვილის მეშვეობით. იოსებ იმედაშვილმა იმ დღის განზრახული წარმოდგენა ჩაშალა, რამდენიმე კაცით ცხენებით ვაზიანში სტრაჟნიკების პოსტზე მოვიდა, ჩემს მცველთ კარგი პურმარილითა და ღვინით გაუმასპინძლდა და იმ ღამესვე ხაშმისაკენ გამაქცია. მას შემდეგ ერთმანეთს უფრო დავუმეგობრდით ციხეებში თუ ციხის გარეთ“.

ამრიგად, ერთგვარი ბუნდოვანობის მიუხედავად, საერთო სურათი გარკვეულია იმ მხრივ, რომ იოსებ იმედაშვილი სავსებით მართალი აღმოჩნდა 1905 წელს ქართულ პრესაში მის წინააღმდეგ უსაფუძ-

ვლოდ და უსამართლოდ წაყენებულ ბრალდებათაგან. ისიც გარკვეული ჩანს, რომ 1907 წლის 5 დეკემბერს ტერორისტული თავდასხმა მის მოსაკლავად პარტიის სახელს ამოფარებულს ე. წ. „იარაღისტებს“ მოუწყვიათ, რომელთაც მისი პირადი მტრები ხელმძღვანელობდნენ. ესენი წარმოადგენდნენ გლეხობის მოინტელიგენტო უპროფესიო ფენას, რომელიც ხორცშეტობად შეეზარდა სოფელს, შრომა არ შეეძლო, იარაღის ტარებას მიეჩვია და 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მათი უმეტესობა ჩვეულებრივ მძარცველ ყაჩაღებად და შანტაჟისტებად იქცა.

ამ ისტორიაში ყველაზე სამწუხარო სწორედ ის არის, რომ 1907 წელს იმედაშვილზე თავდასხმის სისხლიან აქტს რაღაც გაუგებრობით მის წინააღმდეგ ამხედრებულ სოფლის რეაქციულ ელემენტებს თითქოს იდეური მოპაექრენიც დაუკავშირდნენ. მათ უნდოდათ იმედაშვილის მოშორება სწორედ როგორც გარეკახეთის რევოლუციური მოძრაობის პოპულარული მეთაურისა. ამაში უმთავრესად დაინტერესებულნი იყვნენ ჩვენი სოფლის „იარაღისტები“, როგორიც იყვნენ „ხორველა“ (გიორგი შაქარაშვილი, ერთ დროს იმედაშვილის დავალებით პროკლამაციებს აერცელებდა და მეტად აქტიურად მოქმედებდა) და „სოვი“ (გოგნიაშვილი). რაც შეეხება „ტურას“ იგი ჩქარა ჩამოშორდა ამ წრეს და ბოლომდე დარჩა რევოლუციური მოძრაობის უშიშარ მებრძოლად. სხვათა შორის, მაისურაძის ამ მოგონებიდან ისიც ირკვევა, რომ მას აქტიური მონაწილეობა მიუღია კამოს სახელთან დაკავშირებული დიდი სახაზინო ფულის ექსპროპრიაციაში.

*

ამ თავდასხმამ მაინც ბევრი რამ გაარკვია ახალი მოძრაობის როგორც მტრების, ისევე მეგობართა ბანაკში, ყველას სულისკვეთება გამოამჟღავნა. იმედაშვილი არც ამ ტყვიას შეუშინდა და ყოველგვარ მტერთან შეურისათვის მზად იყო. რაკი თავდამსხმელებში „ხორველა“ და „სოვი“ იყო გარეული, ისინი მონაწილეობის გამომჟღავნების შიშით უფრო ეცდებოდნენ იმედაშვილის მოცილებას, მით უმეტეს ამ ტერორს მათი ბანდის ერთი კაცი უკვე შეეწირა, მათ „ტურასაეით“ არასოდეს არ მოუნანიებიათ დანაშაული და გაფრთხილებაც საჭირო იყო.

ამიტომ იმედაშვილი საავადმყოფოდან სამხედროსაეით გამოწყობილი გამოვიდა იმ ფიქრით, თუ ვისთან მისულიყო, რა გზებით წასულიყო, რომ არავის ეცნო და სოფელში ცოლ-შვილთან უხიფათოდ მიეღწია. ის ეჭვობდა და საფუძვლიანადაც, რომ თავდასხმა შეიძლებოდა აქვე ისევ განმეორებულიყო, რაკი, ცხადია, მტრებმაც იცოდ-

ნენ, რომ საავადმყოფოდან გამოსული, იგი მაშინვე ცოლ-შვილთან გაჰწევდა და სადმე ჩაუსაფრდებოდნენ. ამიტომ ისეთ ადგილას უნდა მისულიყო, სადაც ვერავინ იფიქრებდა მის იქ ყოფნას. ასეთად ჩოლოყაშვილის ბინა მიიჩნია, სწორედ იმ თადოსი, რომელიც, მისი ეჭვით, თავდასხმის ერთი ხელშემწყოფთაგანი იყო. ამიტომ იმედაშვილმა თავისი საოცარი გუმანით სწორედ ამჟამინდელ ორჯონიკიძის ქუჩაზე გასწია. მისი სახლისაკენ.

— ჩოლოყაშვილის სასტუმროს კართან რომ მიველი, პირდაპირ ტროტუარზე შევნიშნე „ხორველა“ მიმოდიოდა, რომელმაც ვერ მიცნო. კარი თადოს მეუღლემ მარიკამ გამიღო. გარედანვე ოთახში თადო და „სოვი“ შევნიშნე — აჰა, რა კარგი კომპანიაა, რატომ „ხორველაც“ აქ არ არის-მეთქი?..

ჩოლოყაშვილის მეუღლეს მარიკას ფერფური მისდიოდა, იქნებ ეგონა, რომ იმედაშვილი შურის საძიებლად მოვიდაო და უთქვამს — ბატონო იოსებ! მე თქვენ ყოველთვის პატივს გცემდით და არ ვიცი, როგორ გითხრათ, თადო რომ დამნაშავეც იყოს, მე მეცით პატივი, თანაც გთხოვთ, თავს გაუფრთხილდეთ, მახეს გიგებენ, თქვენ საჭირო კაცი ხართო...

— „სოვი“ და „ხორველა“ განა! თადოც?! ეგეც ხომ ურევია ჩემ დაჭრაში?

— დრო საშურია, თავს უშველეთო, მითხრა მარიკამ და მე კიბე ჩავირბინე. გარეთ ეტლი მიცდიდა და საჩქაროდ სოფლისაკენ გავეშგზავრე, ოღრო-ჩოღრო გზებით ვიარე. ხაშმზე რომ ავედი, ხალხი ზეიმით შემხვდა, თუმცა ჩემს მტრებს ჭორები გაევრცელებინათ, ვითომ ქალაქიდან სოფლის დასასჯელად ასი ყაზახი მომყავდა და სხვა მისთანები.

მაშინდელ დაძაბულ პირობებში არც ხაშმი იყო მშვიდობიანი ცხოვრებისა და მუშაობის ადგილი და როგორც შემდგომად გაირკვა, მაშინვე შესდგომიან იმედაშვილის მოკვლის სამზადისს. ამ მიზნით სოფლის ნაძირალებმა მოინდომეს გამოეყენებინათ იმედაშვილზე განაწყენებული გლეხი ივანე ყირმელაშვილი, რომელიც იმედაშვილს ჭურდობისათვის მთელი სოფლის წინაშე სამარცხვინოდ ჰყოლოდა დასჯილი, იმისათვის, რომ ქვრივი დედაკაცისათვის ტომარა ხორბალი მოეპარა. იმედაშვილს ზურგზე აკიდებული ტომრით სოფელში უტარებია ეს ყირმელაშვილი და ისე ჩაუბარებინებია ქვრივისათვის ნაპარევი. აი, ეს გლეხი შეუგულიანებიათ იმედაშვილის მოსაკლავად. ეს ამბავი, თვით ივანე ყირმელაშვილის გადმოცემით, ასე დაიმახსოვრა 1929 წელს ხაშმში ყოფნისას ჩემმა დამ თამარ იმედაშვილმა:

„...იმედაშვილი, როცა ჯერ ხაშმის მამასახლისად, შემდეგ გარეკახეთის მამასახლისთა-მამასახლისად აირჩიეს, რასაც მოინდომებდა,

იმას აკეთებდა... ახალი გზების გაყვანაზე რამდენი ვენახი გააჩანაგა, უძალიანდებოდნენ, მაინც გააკეთა, სდევნიდა ქურდ-ბაცაცებს, ჩარჩებს, მუქთამჭამელებს, მღვდლებს. ამაზე ბევრი გადაიმტერა, მეც დიდი მტერი ვიყავი. მაშინ მეც უწესო ცხოვრებას ვეწეოდი — ბევრი შქონდა, მაინც მეტი მინდოდა... გაგეგონებათ, იმედაშვილმა ზურგზე მეშოკი ხორბალი ამკიდა, ზედ დააწერა — „ქურდი ვარ“ და ასე ჩამოამატარა სოფელზე. ვიქურდე, განა სტყუოდა. გადავწყვიტე იმედაშვილის მოკვლა. მის მტრებსაც ეგ უნდოდათ, ხელი შემიწყვეს — აი, მამასახლისს კრება რომ ექნება, მაშინაო..

ერთ დღესაც სოფლის თავში კრებაზე ხალხია მოგროვილი, იმედაშვილი სიტყვას ამბობს... მე სულ წინ ვზივარ... უბეში ხანჯალი მიდევს. ჩემს ახლომახლო სულ იმისი მტრები სხედან... ისე ლაპარაკობდა დალოცვილი, სულ დამავიწყდა ჩემი განზრახვა. ყურს ვუგდებდი, როცა სიტყვა გაათავა, წამოვვარდი ფეხზე და ვიყვირე — ხალხო, დამიჭირეთ, ჩამჭოლეთ. აი, ამ ხანჯლით უნდა მომეკლა იმედაშვილი... ხანჯალი მიწაზე დავანარცხე...

მეგონა, იმედაშვილის კაცები დამიჭერდნენ. ხელი არ მახლეს... ვიდექი ამოდენა ტანის კაცი, ყველა სახტად შემომჩერდა.

— შერე, რატომ არ მომკალი? — შემეკითხა იმედაშვილი.

— მო' აკლავი შე ვარ, ჩვენი პატრონი შენა ყოფილხარ, ჩვენი სიკეთე გდომებია.

— დღეიდან მეგობრულად ვიცხოვრებთ, — მითხრა იმედაშვილმა.

მას შემდეგ ნამდვილი მეგობრები ვიყავით... იმედაშვილი პირველი კაცი იყო და არის. მართალია, ეხლა ჩვენგან წასულია, მაგრამ ჩვენი იმედია, ის არაფერს არ გაგვიჭირვებს, ჩვენი სატკივარი ესმის... მგონია, ყოველთვის ჩვენთანაა, დიდი შაძლება აქვს მარტო იმის სახელსაც“.

რაც შეეხება მეგობრობას, მართლაც, შემდეგ ისე სანდობლად დაიახლოვა იმედაშვილმა ეს გლეხი ყირმელაშვილი, რომ ღამის სათევად ხშირად მის ბინაზე რჩებოდა ხოლმე და შემდეგაც, რაც მე თავი მახსოვს, ჩვენი სოფელში ყოფნა „ერთობის“ დროიდან დამეგობრებულ გვარებთან იყო დაკავშირებული — ყირმელაშვილებთან, შესხიშვილებთან, ნაცვლიშვილებთან, მარინდაშვილებთან და ამ მხრივ საინტერესო კიდევ ის არის, რომ არც ჩოლოყაშვილების ოჯახთან გაუწყვეტია მაშაჩვენს კარგი დამოკიდებულება. ყოველშემთხვევაში, თუ თადო ჩოლოყაშვილი ხაშმის მამასახლისის იოსებ იმედაშვილის წინააღმდეგ ტერორის მომზადებაში მართლაც იღებდა მონაწილეობას, ან შემდეგ მისი გასამართლების დროსაც თავისი ჩვენებით აშკარად უმძიმებდა დანაშაულს, ეჭვი არ არის, ამას სჩადიოდა ხაშმის რეაქციონერული გლეხების — ბობოლების გავლენით, რომელთაც

ბოლომდე უნდოდათ მისი სოფლიდან მოცილება. ამისათვის მათ კარგად ისარგებლეს თადოს სუსტი, დამყოლი ხასიათით. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ რეაქციის გამარჯვების შემდეგ თადოს უნდოდა მთავრობისათვის ეჩვენებინა, რომ ის რევოლუციონერებს არ თანაუგრძნობდა, პირიქით, მათგან იყო გაძარცული და დაზარალებული. თქმა არ უნდა, ასეთი ჩვენებით ჩოლოყაშვილი შეეცდა მთავრობის თვალში ყოველგვარი ეჭვისაგან გაეთავისუფლებინა თავისი ოჯახი „გარეკახეთის მოძრაობასთან“ კეთილგანწყობილებაში.

ამრიგად, მტრებმა ვერც მისი მოკვლა შესძლეს და ვერავითარი ცილისწამებითა და პროვოკაციებით ვერც ის მოახერხეს, რომ იმედაშვილი ხალხისათვის შეეჯავრებინათ და ჩამოეცილებინათ. ეს იმიტომ, რომ თანდათან აშკარა ხდებოდა მის წინააღმდეგ გამართული ბრძოლის პირადული ხასიათი, რასაც მისი მტრები ანგარებისა და შურისძიების მიზნით იმდენად ბინძური საშუალებებით აწარმოებდნენ, რომ მათ ცდებს პირიქით საწინააღმდეგო შედეგი მოჰქონდა. ხალხის თვალში იმედაშვილის ავტორიტეტი უფრო იზრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ შინაური მტრების დასახმარებლად უკვე რეაქციის ბნელი ძალებიც მობობღავდნენ. რევოლუციური აღმაფლობა კლებულობდა, ერთობის ძალები იქსაქსებოდნენ და იგრძნობოდა, რომ ეს დაძაბულად, გაურკვეველი, მერყევი ვითარება დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა და ასე თუ ისე დამთავრებოდა, მაგრამ ვის სასარგებლოდ?

ასეთ პირობებში ხალხში წარმოშობილ მსგავს შინაურ კონფლიქტებს ადმინისტრაცია მოხერხებულად იყენებდა, ხალხის ინტერესების წინააღმდეგ აძოძრავებდა ხალხშივე არსებულ ნაძირალებს, ორპოფულ ელემენტებს, მძარცველ ყაჩაღებსაც კი მისთვის არასასურველ პიროვნებათა მოსაცილებლად. ამდენადვე, ამ რთულ მდგომარეობაში საკვირველი უფრო ის იყო, რომ იმედაშვილი არავის უშინდებოდა, ბრძოლას არ გაურბოდა, თავის პოზიციებს არა თმობდა. რაკი გლეხობა ემადლიერებოდა, მთავრობის მიერ მიჩენილ ჯაშუშებსა და მკვლელებს არ ეპუებოდა და ხშირადაც საჯაროდ ამხელდა სოლმე.

მაგრამ ამდენ ჩასაფრებას, გაცემას, პროვოკაციებსა და ტყვიებს იმედაშვილი მაინც როგორ გადაურჩა მხოლოდ ერთი-ორი ჭრილობით? როგორც შემდგომად გაირკვა, სოფელში მოკალათებულ ხალხის მტრებს მისი განადგურება უნდოდათ როგორც გლეხობის მეგობარი, სიმართლის მიმდევარი მამასახლისისა, რადგან იგი ხელს უშლიდა მათ გლეხობის სისტემატურ, განუკითხავ დამონება-ყულეფაში. ქალაქელ მტრებს მისი დასჯა უნდოდათ როგორც პოლიტიკური მე-

ტოქისა, მაგრამ რაკი გაერკვნენ მის სიმართლეში, იძულებული გახდნენ თავი დაენებებინათ. მთავრობისათვის იმედაშვილი მუდმივად პროვოკაციური მტერი იყო, რომელსაც როგორც „ერთობის“ მეთაურს, ვინც 1905—1907 წლებში ივრის ხეობის მთელი ადმინისტრაცია წყობიდან გამოიყვანა, როდისმე გაუსწორებდა ანგარიშს.

ერთ დღესაც მომრიგებელ-შუამავალი გიგო მაჩაბელი ჩამოსულა ხაშმზე, სოფლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები შეუმოწმებია და იმედაშვილისათვის უთქვამს:

— ძვირფასო იოსებ! ყველაფერი რიგზეა, მე კარგად გიცნობ, არა შჯერა, რასაც გაბრალებენ... დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი დაგიშავებია, მაგრამ შენს წინააღმდეგ დაბეზღებათა ქაღალდებს ვეღარ აუვედით, გუბერნატორი ზედიზედ მიგზავნის ამ ქაღალდებს. ყველაფერი კარგად ვიანგარიშე და ეს პირველად გავიგე, რომ მამასახლისს სოფლის ფული კი არ დასდებოდეს ვალად, ე. ი. გაეფლანგოს, არამედ სოფელს დასდებოდეს მამასახლისისა. თქვენი სოფელს ვალად ედება 445 მანეთი... მიუხედავად ამისა, შენი ცოლ-შვილის ცოდვა მავალებს, სხვა ადგილი მოგიძებნოთ...

— რა ადგილიო? — გაკვირვებულა იმედაშვილი.

— ამ უბნის ინსპექტორის ადგილი, თვეში 150 მანეთი გექნებათ...

ალბათ, მაჩაბელს თუ ეგონა, რომ მამასახლისი ამ ჯამაგირს დაზარბდებოდა?!. — ეს როგორ მაკადრეთო, — აღშფოთებულა მამა... შერე მაჩაბელიც შეწუხებულა და უთქვამს, ხვალიდან თავისუფალი ბრძანდებით, გისურვებთ ამ ჭუჭყიან საქმეს მოშორებოდეთ და თქვენ შესაფერ საქმეზე დამდგარიყავითო და გიგოს ხელი ჩამოურთმევია...

მამასახლისობას რომ ჩამოსცილდა, იმედაშვილის მტრები ზეიშობდნენ... სოფლის ნათელი დღეები გათავდა... ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის დამარცხებისა და მასთან ერთად სახალხო მოძრაობის ჩაქრობის შემდეგ, როდესაც რევოლუციონერებზე თუ მათ თანამგრძნობელებზე შურისძიების დრო დადგა და ახალი მიმართულების მოღვაწეთა დევნა დაუწყეს, საქმე ისედაც წავიდა, რომ როგორც 1907 წლის გაზეთები ადგილებიდან იუწყებოდნენ, ზოგიერთი გუშინდელი წითელრაზმელები ადმინისტრაციას სტრაჟნიკებად და ჩაფრებად ემსახურებიანო (გაზ. „ისარი“, 1907, 1 თებ., № 191). სამწუხაროდ, ასეთ გადაგვარებას გარეკახეთის ერთობის სახელოვანი მოძრაობის მონაწილეთა შორისაც ჰქონდა ადგილი, ზოგნი მათგან პირდაპირ მძარცველებად, კაცისმკვლელ ყაჩაღებადაც იქცნენ და თავისი ცხოვრება კატორღითა და სამარცხვინო სახელით დაამთავრეს.

უსამსახუროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილს მამაჩემს უსაქმოდ ისედაც ეძნელებოდა ყოფნა, ოჯახის გაჭირვება კი მთლად აუტანელს ხდიდა მის მდგომარეობას. ბევრიც არ უფიქრია და ჩვენ სოფელშივე სოლომონ მეხაშიშვილთან საკრამიტეში დღეში ორ აბაზად ტალახის მზელავად დაუწყია მუშაობა. ბოროტმა ავყიებმა ესეც დაცინვის საგნად აქციეს, ეგონათ რა თითქოს ამ შრომით იმედაშვილი დამცირებული და სახელგატეხილი იყო. მაგრამ იმედაშვილმა სოფელში მეკრამიტეობა რომ არ იუკადრისა, ისიც ორ აბაზად დღეში, მთავრობის სამსახურში კი არ ჩადგა, სადაც დღეში ხუთი მანეთი ექნებოდა, ამაზე გულშემატკივარ გლეხებს ეთქვათ, კაციც შენა ყოფილხარო, მაგრამ შენ ფასს სოფელი ვერ გაიგებს, აქ გალოთდები, დაიღუპები, ისევ ქალაქში წადი, შენ საქმეს მიხედეო...

მართლაც, სოფელში გაჩერება აღარ შეიძლებოდა...

ასე დამთავრდა ხალხის უანგარო სამსახურისათვის გატარებული მამაჩემის ცხოვრების ერთი ეტაპი, საესე თავდადებული შემოქმედი შრომით, სიყვარულით, აღტაცებით თუ სასოწარკვეთით, დიდ განსაცდელებთან დგომით, რისთვისაც თუ რამდენიმე ხაშმელთა მიერ იგი ორჯერ იყო გამეტებული სასიკვდილოდ, სამაგიეროდ ივრის ხეობის მთელმა საზოგადოებამ მოუსყიდავი, გულითადი სიყვარულით დააჯილდოვა. ძველ დროს საზოგადო მოღვაწეთ ჯილდოდ ციხე, ბორკილი, კატორღა, თუ სიკვდილი ელოდათ, ეს ტანჯვა-წვალება — დამცირება სასახელოც იყო და ადვილად ასატანიცა, რადგან მათ ციხესა და ციმბირში ხალხის თანაგრძნობა და თაყვანისცემა მიჰყვებოდა, როგორც ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის თავგანწირულ, დიდებით შემოსილ გმირთ. მაგრამ ცარისტული მთავრობის ამ ძალმომრეობასა და ფიზიკურ-მორალურ სატანჯველზე უფრო ძნელი იყო ხალხის სახელით მიყენებული დაუმსახურებელი შეჩვენება, ცილისწამება, განდევნა, გამოწვეული პირადი ანგარებით, შურით. ასე უსწორდებოდნენ ხშირად ხალხის მეგობრებს, თავდადებულ მოღვაწეებს საძულველი მთავრობის აგენტები შინაური მტრების მეოხებით, სახალხო მოძრაობასთან მიტმასნებული, ხალხის მეგობრებად შენიღბული ნაძირალებით, რომელთაც რევოლუციასა და სამშობლოში მხოლოდ პირადი გამორჩენა ამოძრავებდათ და საგანგებოდ იყვნენ გაწვრთნილი ხალხის მოტყუების მეთოდებში. ისინი პოლიციის დავალებით, თუმცა ვითომ ხალხის სახელით ცდილობდნენ ხალხის ჰეშმარიტად რჩეული შვილების დაღუპვას, — ცილისწამების ტალახში აბოსვრით, მორალური შელახვით, პრესტიჟის დაცემით, ნებისყოფის გატეხვითა და ფიზიკური განადგურებითაც.

მამაჩემის ორჯერ მოკვლის ცდაში, მორალურ-ფიზიკურ დევნაში მერამდენედ განმეორდა საბედისწერო შეცდომა, როდესაც ხალხისა-

თვის თავდადებული ჰეშმარიტი მოღვაწე უსაფუძვლოდ შექმნილი გაუგებრობის გამო მეგობართაგანაც კი უსამართლო ბრალდებისა და სასჯელის მსხვერპლი გამხდარა. ამისი თვალსაჩინო მაგალითი იყო სწორედ 1907 წელს იმედაშვილის მოსაკლავად მოწყობილი თავდასხმა, რაც მოულოდნელი აღარ იყო, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ქართველი ერის სათაყვანებელი დიდი მოძღვარი ილია ჭავჭავაძე მხეცურად გამოასალმეს წუთისოფელს, როდესაც ნათელი შუბლი, რომელსაც მთელი ქართველობა დაფნის გვირგვინით ამკობდა, „ბერდენკის“ ტყვიით გაუხვრიტეს. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ქართველ ერს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში რჩეულ მამულიშვილთა კიდევ ბევრი სისხლი უნდა დაეღვარა.

ცხრაას ხუთი წლის რევოლუციური მოძრაობის ხანამ იმედაშვილის ცხოვრებაში მრავალმნიშვნელოვანი შინაარსიანი მოღვაწეობითა და მასთან ერთად მშფოთვარე მოვლენებით გაიარა. სახალხო მოძრაობისათვის მან არაფერი დაიშურა, რაც კი შეეძლო თავისი სულიერი თუ ფიზიკური ძალ-ღონით მოემოქმედა, თუმცა ჯილდოდ მხოლოდ ბინძური ცილისწამებანი და ტყვიები მიიღო. ამ უმადურებისა და შეურაცხყოფის ტკივილებმა მაინც ვერ ჩაახშეს სამშობლო სოფლის სიყვარული, იმიტომ, რომ მას სიკეთისა და სიყვარულის ძალა უფრო სწამდა, ვიდრე მტრობისა და სიძულვილისა, რის გამოც მისთვის ხაშ-ში ბოლომდე რჩებოდა ოცნების საგნად, ცხადია, კეთილი ადამიანებით, რომელნიც ამკობდნენ მის წარსულს, იმ რწმენითაც, რომ საბოლოოდ სოფელი პროვოკატორებს, ჯაშუშებს, შანტაჟისტებსა და ბანდიტებს არ დარჩებოდათ.

ისევ თბილისში დაბრუნება

1907 წელს თბილისს დაბრუნებულმა მამაჩემმა ნასოფლარი წვერი გაიპარსა, ისევ თავის თეატრს მიაშურა და რამდენიმე ხანს ქართულ პროფესიონალურ დასში მუშაობამ ერთ-ერთი მოწინავე მსახიობის სახელიც მოუპოვა, იმ წრეში, სადაც იღვწოდნენ ჩვენი სცენის ისეთი სიამაყენი, როგორიც იყვნენ ვასო აბაშიძისა და კოტე მესხის თაობა. თეატრში ყოფნით იმედაშვილმა ჩქარა აღადგინა ურთიერთობა ჩვენი საზოგადოების მოწინავე წრეებთან. თეატრში მუშაობა მას ხალხთან ახლოს ყოფნას, მისი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის სამსახურის საშუალებას აძლევდა, რაც მისი რწმენით, ხელოვნების ძირითადი დანიშნულება იყო. საერთოდაც იგი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ კულტურულ მუშაობაში, მით უმეტეს, რომ შემდეგ თეატრის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა და უმთავრესად

პრესაში გამოდიოდა მამხილებელი, გაბედული წერილებით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. ეს იმითაც იყო იმპულსირებული, რომ მისი თბილისში ჩამოსვლა დაემთხვა ქართველი ერის მიერ გადატანილ დიდ უბედურებას — ილიას მკვლელობას, რამაც მთელი საქართველო შეაზანზარა და ქართველი ხალხის ცხოვრებასა, განწყობილებასა და აზროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა.

იმედაშვილს მთელი ცხოვრების განმავლობაში ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის ჭეშმარიტ ბელადად ჰყავდა დასახული და ამ უსამართლო სიკვდილისადმი, რამაც მოურჩენალი ჭრილობა მიაყენა ყოველი ქართველი კაცის გულს, თავისი ნაღველი „ორიონის“ ფსევდონიმით გამოხატა ლექსში „ილია ჭავჭავაძის სიკვდილზე“ (ჟურნ. „ნიშადური“, 1907, № 5, გვ. 1 — 2), რომელშიაც ის აზრი იყო გატარებული, რომ დაობლებული საქართველო გლოვობს თავისი პირისა და ლხინის მოზიარე დიდი შვილის დაღუპვას, რომელმაც მთელი სიცოცხლე შეალია მშობელი ქვეყნის კეთილდღეობას და იყო მისი პატრონი, აღმზრდელი და ბურჯი.

ამ ეროვნული ტრაგედიის გამო შეუნელებელი გლოვა და, იმავე დროს, უსაზღვრო ზიზღი, აღშფოთება და წყევლა-კრულვა ესოდენ საშინელი ბოროტმოქმედების ჩამდენისადმი „იმედის“ ფსევდონიმით კიდევ ერთხელ აღმოთქვა ლექსში „მგოსნის საფლავთან“ (ჟურნ. „ნიშადური“, 1907, № 12, გვ. 4), რომელიც ასე თავდება:

...შენ არ მომკვდარხარ, შენებრ კაცნი როდი კვდებიან,
სულით ჩვენ შორის მარად მყოფნი, — ხორცით ჰქრებიან!..
შენ კი, ოჰ. მკვლელო, ბოროტისგან წარმოშობილო,
არარაობავ, უკეთურო, მხეცად ხმობილო,
იყავ წყეული, ჩვენი დროის კაენის თესლო,
მშობელი ქვეყნის ვაებაო, შხამო და გესლო!..

თურმე ბედისწერას ორმოცი წლის შემდეგ მამაჩემი უნდა შეეხვედრებინა ილია ჭავჭავაძის დატირებაში მის მიერ ასე დაწყევლილ ადამიანთან.

ერთ დილით მთაწმინდაზე, ჩვენს ბინაში, მამაჩემთან, როგორც საპენსიო კომიტეტის მუშაკთან, უცნობი პიროვნება მოვიდა და უთხრა: — იმედაშვილო, უნდა მიშველო, აბიდაში ვარ, პატარა პენსია მაქვს, ზოგი რა დიდ პენსიას იღებს, ამაგს არ მიფასებენ, ოცდახუთ თუმანზე მეტი არ მეკუთვნისო?..

შეკითხვაზე თუ რაში იღებ პენსიას, რა დამსახურება მიგიძღვისო, მან ერთგვარი თავმომწონებით უპასუხა, მე ილია ჭავჭავაძე მოვკალი, აი, ამ ხელით ვესროლე ბერდენკაო... და თან თავისი ხელი მაღლა ასწია საჩვენებლად.

ასეთი მოულოდნელი, დიდი ხნიდგან დასაიდუმლოებული ამბის გაგებით და თვით ამ შემზარავი პიროვნების ხილვით ელდანაცემი მამაჩემი ისე აღელდა, რომ ერთბაშად ხმა ვერ ამოიღო, აღარ იცოდა, რა ეთქვა და რა მოემოქმედა, ოღონდ მანიშნა, ოთახიდან არ გავსულიყავ და ერთხანს შეაჩერდა კაცს, რომელიც ილიას მოკვლისათვის პენსიის გადიდებას ითხოვდა...

აქამდე ილიას მკვლელის ვინაობა და არსებობა არავინ იცოდა, — ეს კაცი, რომელიც გიჟდა ბერბიჭაშვილი აღმოჩნდა, თურმე ერთხანს სპარსეთში იმალებოდა, შერე თბილისში ცხოვრობდა და ამდენ ხანს იქამდე ვერ გაეგო ილიას მნიშვნელობა საქართველოსთვის, რომ მისი მოკვლა ეხლაც დამსახურებად მიაჩნდა... მამაჩემმა წუთიერი დაბნეულობის შემდეგ, რაც გაფითრებასა და თავდაჭერილ აღელვებაზე ეტყობოდა, ძალა მოიკრიბა და ალბათ სწორადაც გადაწყვიტა, რომ ქართველი ერის წინაშე ასეთი საუკუნისეული დანაშაულის ჩამდენის პირადი აღიარება ოფიციალურად უნდა დადასტურებულიყო, რითაც უკვე საბოლოოდ იხსნებოდა ილიას მკვლელობის კვანძი. ამიტომ თითქმის მშვიდად უთხრა, იქნებ მართლაც მეტი პენსია გეკუთვნით, ამას მარტო მე ვერ გადავწყვეტავ, კომიტეტში წავიდეთ, იქ თქვი ყველაფერი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზეო და ბერბიჭაშვილი შალვა ელიავასთან წაიყვანა, სადაც ილიას მოკვლის ამბავზე თავისი ნათქვამი დიდი კვეხნით გაუმეორებია, თქვენი საქმე გავაკეთე, მეტი დაფასება მეკუთვნისო, და უფრო დაჟინებით მოუთხოვია პენსიის მომატება. მისი მედიდური თავდაჭერა, უკმეხი შეკამათება ელიავას ვეღარ მოუთმენია და პასუხად სახეზე მაგარი მუშტი უთხლეშია. ასეთი მოულოდნელი პასუხით გამწარებული ბერბიჭაშვილი ლანძღვითა და მუქარით გაიქცა — არ შეგარჩენთ ჩემს დაჩაგვრასაო...

ასე დაიწყო ილიას მკვლელობის საიდუმლოს ერთი წვერის გახსნა, რომლის იქით საგურამოში მომხდარი ტრაგედიის ირგვლივ საბოლოოდ, ალბათ, კიდევ უფრო მეტი საიდუმლოება უნდა გამორკვეულიყო.

ბერბიჭაშვილთან შეხვედრამ მრავალ ჭირსა და ხიფათს გაძოვლილი მამაჩემი, რომელიც ტყვიების წინაშე არ შემდრკალა, ილიას მკვლელის ნახვამ წონასწორობიდან გამოიყვანა და მოსვენება დაუკარგა, მით უმეტეს, რომ მას ბევრი ჰქონდა გადატანილი და განცდილი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-იდეოლოგიური დევნის დღეებშიც მათგან, რომელნიც დიდი ქართველის სახელის ხსენების ღირსნიც არ იყვნენ.

იოსებ იმედაშვილი თავის წერილებსა და მოგონებებში ხშირად აღნიშნავდა, რომ ამ ერთი საბედისწერო ტყვიის გასროლამ ილია ჭავჭავაძე მხოლოდ ფიზიკურად გაანადგურა, მაგრამ დათრგუნვის მაგივ-

რად ააღორძინა ქართველი ერის თითქოს უკვე ჩამკვდარი სული. ილიას მოკლამ, როგორც ქართველი ხალხის მტრები ელოდნენ, ქართველობა კი ვერ დააშინა და ვერ დააუძლურა, პირიქით, მისმა მოწამეობრივმა სიკვდილმა, ამ დიადმა მსხვერპლმა ქართველი ხალხი სამოქმედოდ გამოაფხიზლა და საქართველოს გადასარჩენად ერთი ქართული აზრით შეამჭიდროვა, იმისათვის, რასაც იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში ქადაგებდა. ილიას ნაანდერძევი ეროვნული იდეოლოგიით რწმენაშემოკრებილი ქართველი ერი აღდგა სამშობლოსათვის. ილიას წმინდა სისხლი ქართველ ერს მომავლის გზას უნათებს.

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ დაარსება

ცხრაასხუთი წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ საქართველოში საზოგადოების მოწინავე ფენებისა და ქართული პროგრესული აზრის დასათრგუნავად შავი რეაქციის აშკარა შეტევაზე გადმოსვლამ, ხალხში უფრო მეტად განამტკიცა მებრძოლი განწყობილება საყოველთაოდ საძულველი ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. იწყებოდა ახალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის სამზადისი. „გარეკახეთის ერთობის“ დაუცხრომელი მეთაური ილია იმედაშვილი, რომელმაც გამარჯვებით განვლო 1905—1906 წლების მღელვარე რევოლუციური მოძრაობის წლები, შემდგომ ქალაქში რომ ჩამოვიდა, მართლაც მსახიობისა და პრესის ჩუმი მუშაკის მშვიდობიან პოზაში ვერ გაჩერდებოდა. კორესპონდენციებისა და მოთხრობების წერა ქართველი ხალხის დაბეჩავებული ცხოვრების თემატიკაზე, თუ ბიტინგებზე გაბედული გამოსვლები, აღარ აკმაყოფილებდა კაცს, რომელიც უკვე შეჩვეული იყო დიდი ადმინისტრაციული თანამდებობის მოხელეებთან თვალის გასწორებასა და პირისპირ მოურიდებელ ლაპარაკს, რომელმაც ივრის ხეობის სოფლებში შეჰქმნა გლეხთა სახალხო სასამართლოები და სოფლად პრაქტიკულ მოღვაწეობაში სხვებს აძლევდა ხალხის საქმისათვის თავდადების მაგალითს...

მაგრამ ყოველივე ეს უკვე დამთავრდა და 1907 წლიდან ქალაქური ცხოვრების პირობებში მოხვედრილს, ქართული სოფლის საჭიროებათა უშუალო გაცნობით მიღებული გამოცდილება, სისტემატური ბეჭდვით ხალხისათვის გასაგებ ენაზე უნდა გამოეთქვა. იგი უფრო აქტიურად მოქმედი პიტყვისა და საქმიანობისათვის ეშურებოდა. მისთვის არჩევანი აღარ არსებობდა, თუ რა იყო მისი მიზანი და მოქმედების სფერო — შეძლებისამებრ „ივერიის“ შეწყვეტილი ხმის გაგრძელება ეროვნული აზრისა და კულტურისათვის ბრძოლაში,

ეროვნული სცენისა და შემოქმედი ხალხის მთლიანობის იდეის პროპაგანდა, მიუხედავად ცარისტული ცენზურის სისასტიკისა.

ასეთი განწვრეტით ჩამოყალიბდა იმედაშვილის განზრახვაში ისეთი სალიტერატურო-თეატრალური ყოველკვირეული ჟურნალის დაარსება, რომელშიაც გააშუქებდა თანადროული სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების სადღეისო მტკივნეულ საკითხებს მთელი საქართველოს მასშტაბით, უმთავრესად ხელოვნების საკითხებს — სათეატრო-საკლუბო მუშაობის ფართო მიმოხილვებს, რაც მას საშუალებას მისცემდა პროვინციასთან მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა და ხალხის ფართე მასებთან ახლო ურთიერთობით ყოველთვის კურსში ყოფილიყო მისი განწყობილება-მოთხოვნილებაზე რეაგირებისათვის.

ასე ჩაისახა პოპულარული ჟურნალის გამოცემის გეგმა, რომელსაც კავშირი უნდა გაება ინტელიგენციასა, მუშებსა და გლეხობას შორის და რომელიც ერთნაირად საჭირო და გასაგებ მასალაზე უნდა ყოფილიყო აგებული. ცხადია, ეს იყო ეროვნული კრიტიკული აზრის დიდი მნიშვნელობის შთაგონებაც, რომელიც, საქართველოში ლიტერატურისა და დრამატურგიის მომიჯნავე საკითხების დამუშავების პროცესში, თავისი საგნისა და სტილის ჩამოყალიბებას ელოდა.

ასეთი კეთილშობილი, მაგრამ რთული და ძნელი საქმის განზრახვას მას აბედვინებდა გასული საუკუნის ბოლოდანვე სახალხო წიგნის საკუთარი გამომცემლობის დაარსება, რუს და ქართველ მწერალთა თხზულებათათვის დართული თავისი წინასიტყვაობანი, პიესათა კრებულების „ცხოვრების სარკის“ ორი ტომის გამოცემა, ქართულ ენაზე პირველი „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ ავტორობა, „ივერიაში“ ორიგინალური მოთხრობებისა და რომანის ბეჭდვა, იზიძის ფსევდონიმით რევოლუციური შინაარსის ლექსების რამდენიმე წიგნაკის გამოცემა, მუშათა თეატრების დაარსება და მათივე რეჟისორობა, რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა, არალეგალური ლიტერატურა-პროკლამაციების გავრცელება, მუშებსა და გლეხებთან ახლო ყოფნა, მათი გემოვნება-ინტერესების ცოდნა, მწერლობისა და ახალი მოძრაობის მოწინავე მოღვაწეებთან ხანგრძლივად საქმიანი დამოკიდებულება. ყველაფერ ამან ჩამოუყალიბა და განუმტკიცა საკუთარი, მუდმივი თეატრალურ-ლიტერატურული ორგანოს დაარსების მიზანი, მით უმეტეს, რომ მას, როგორც პრესის მუშაკსა და საგამომცემლო-სასტამბო საქმის მცოდნეს უკვე ჰქონდა საამისო საჭირო გამოცდილება.

მაგრამ თავის განზრახვაში იგი მარტო იყო, დამხმარე არავინ ჰყავდა, არავითარი სხვა სახსარი და ქონება არ გააჩნდა ჯიუტი სურვილის, მსახიობის პატარა ხელფასისა და დაუზარელი შრომის უნარის მეტი. ჟურნალის გამოცემისათვის კი საჭირო იყო რედაქციის შენო-

ბა, საბეჭდი ქაღალდი, სასტამბო ხარჯები, ჰონორარები, საამისო ფული კი მას არა ჰქონდა. იმაზე მეტი გაჭირვება რაღა იქნებოდა, რომ ჟურნალის გამოცემის ნებართვის ასაღები სავალდებულო სახელმწიფო მარკების ფულიც სასესხებელი გახდომია და პირველივე ნომრის საბეჭდი ქაღალდის შესაძენი ფული მ. ლაღიძეს, ნ. ქართველიშვილსა და პ. გოთუას მიუციათ. ასეთი პირობების გამო იყო, რომ ეს პირველი ნომერი თავიდან ბოლომდე სტამბაში თვითონ საკუთარის ხელით აუწყვია. მაგრამ ფინანსიურის გარდა, დაბრკოლება სხვაც ბევრი იყო — იდეოლოგიური, პოლიტიკური, ცენზურული. იმაზე რაღა ითქვას, რომ საჭირო იყო ჟურნალის მასალის შეგროვება, ავტორებთან ურთიერთობა, მეთაურის დაწერა, კორექტურის სწორება, ილუსტრაციების შერჩევა, ცინკოგრაფიაში კლიშეების დამზადების თადარიგი, ბოლოს ბეჭდვის თვალყური, დაბეჭდილი ჟურნალის დაკეცვა, ხელისმომწერთათვის ჟურნალის გაგზავნა, და უმთავრესად მაინც სტამბის რეალური ხარჯის გასტუმრება, რომლის დაფარვის გარეშე დაბეჭდილ ჟურნალს სტამბიდან არ გასცემდნენ. რედაქციაში ეს უფლება არც არასოდეს გამოსწორებულა, რადგან ჟურნალის შემოსავალი, მცირე ტირაჟის გამო ხარჯებს ვერა ფარავდა.

ყველაფერ ამას მაინც სძლევდა მამა თავისი თავდაუზოგავი შრომით და 1910 წელს 2 იანვარს დაიწყო ყოველკვირეული სალიტერატურო-სათეატრო ჟურნალის „თეატრი და ცხოვრებას“ გამოცემა, რომლის ერთპიროვნული რედაქტორ-გამომცემელიც იყო მისი არსებობის დასასრულამდე — 1926 წლამდე. ერთი კაცის მიერ ყოვლად წარმოუდგენელი ჩანს ყოველკვირეული ჟურნალის გამოცემის ორგანიზაცია, მით უმეტეს მაშინდელ პირობებში, როდესაც ყველაფერი კერძო იყო, საყიდელი, საშოვარი და იმედაშვილმა საკუთარი ინიციატივით თითქოს შეუძლებელი გააკეთა და ჟურნალის მარტოდ გამოცემის ძნელ საქმეშიც იძულებით ინტერვალს თუ არ ჩავთვლით თავისი პერიოდულობით, ხალხურობითა და შინაარსითაც. ყოველგვარი გასაჭირის დაძლევაში „თეატრი და ცხოვრებამ“ როგორც კერძო ჟურნალმა თხუთმეტი წელი იარსება.

ამ პირველივე ნომრის შინაარსში გამომჟღავნდა მისი აგებულებისა და იდეური შედგენილობის ტიპი, რომელიც შემდგომადაც ძირითადად არ შეცვლილა. მას აკლდა მხოლოდ შემდგომი ნომრებისათვის დამახასიათებელი თეატრალური რეცენზიები და საქართველო-რუსეთისა და უცხოეთის მდიდარი ცნობებით შედგენილი ხელოვნების ქრონიკა. „მეთაურში“, რომელიც ქართული თეატრის დაარსების თარიღს — 2 იანვარს მიეძღვნა და იმედაშვილს ეკუთვნის, ჟურნალის იდეოლოგიური მრწამსი და მიზანი მეტად აშკარად იყო ფორმულირებული — ჩვენთვის რომელიმე განკერძოებული პარტია და წოდება

არ არსებობს, მთავარია ერი და ეროვნული კულტურა, ეროვნული ერთიანობა... ხელოვნების უმაღლეს მოთხოვნილება-მისწრაფებათა დაცვა და განვითარება, იმდენად, რამდენადაც იგი ხალხთა შეგნების ამაღლებასა და მათ შორის სოციალისტური სოლიდარობის განმტკიცებას ემსახურება. ჟურნალი ძირითადად იმ აზრს მისდევდა, რომ ხელოვნებას სამშობლო არა აქვს, მთელი ქვეყანაა მისი აკვანი. ხელოვნება, შემოქმედება თავისუფალია, მას საზღვრები არა აქვს.

შემდგომადაც ჟურნალის ყოველი „მეთაური", რომელსაც მუდამ ძამაჩემი წერდა, აგრეთვე მთელი ჟურნალის შინაარსი, ხელოვნებისა და ეროვნული პრობლემის დემოკრატიული, მუშურ-გლეხური პოზიციით, ჰუმანიზმის იდეალებით გაგების შეიცავდა. მკითხველთან სულიერი კავშირი, მისი ცნობისმოყვარეობისათვის პასუხის გაცემა, ცხოვრების მწვავე კითხვებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ხელოვნების უწმიდესი ტაძრის — ადამიანის გამაფაქიზებელი ადგილსამყოფელის — თეატრის სამსახური, მის საჭიროებათა ასახვა — ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ჟურნალის ყოველი ნომრისა.

იქვე წერილში „ყოფნა არყოფნა" იგი აღნიშნავდა, რომ ჩვენ მკვიდრ ნიადაგზე არა გვაქვს დაყენებული მწიგნობრობა, წერა-კითხვის გავრცელება, თეატრი, საერთოდ ჩამორჩენილი ვართ თანამედროვე ცხოვრებას, ჩვენ წარსულს არ ვიცნობთ, აწმყოს არაფრად ვაგდებთ, მომავალზე არა ვფიქრობთ... სიტყვა რიხიანი გვაქვს, საქმე უქმი... დამონებულნი ვართ პოლიტიკურად, სუსტი ვართ კულტურულად... ჩვენი საზოგადოება თვითონვე ილესავს დანას ყელის გამოსაჭრელად. ...დღეს ჩვენი თეატრი დაცემულია... მოკლებულია ცხოველმყოფელ ძალას... გაქრობა აქვს თვითშემოქმედება-შემოქმედების უნარი... იგი ცხოვრებას ჩამორჩა... საზოგადოებამ თვისის მოთხოვნილება-მისწრაფებით თეატრს გაუსწრო...

„ჭინკას" ფსევდონიმით აქვე მოთავსებულია იმედაშვილის „საახალწლო მილოცვები": ქართულ თეატრს — მითხარ როდის გაიღვიძებ? თბილისის პრესას — საპირადო ანგარიშებს როდემდის გსურს ემსახურო? ქართულ ჟურნალ-გაზეთებს — საკუთარი გზა და კვალი როდის უნდა გაიარო? თავად-აზნაურებს—მიწა-მამულს რომა ჰფლანგავთ, ცხოვრებას სადღა ჰფიქრობთ? ჩვენს მწერლებს — პირს წყალი ვინ ჩაგიყენათ? ზოგიერთ რეცენზენტს — რეცენზია რასა ჰქვია? და სხვ. მისთ.

„ჭიტას" ფსევდონიმით „სადღესასწაულო მოგზაურობაში", სხვათა შორის, აღნიშნავდა—ყველას რომ პირზე ღიმი უკრთოდა, საახალწლოდ ემზადებოდა, მხოლოდ ქართველი აქტიორი იდგა გაბუტულივით, თითქოს ამოდენა ორომტრიალში მონაწილეობას არ იღებსო, ამრეზილი იყო, გულდაწყვეტილი, უგროშ-კაპეიკო... თითქოს ამას

გამოჰხატავდა მისი სახე — წარსულმა შხამ-გესლი შემასვა, წელში ოთხად მომხარა, ლუკმა პური გამიწყვიტა, რეპერტუარი გამიჩანაგა, კასა გამომიფიტა, მაყურებელი გამიგულცრუა, გადამიბირა, ეჰ, ეჰ, ვინა ხართ ღვთისნიერი, მიშველეთო..

ნომერში მოთავსებულია ი. გრიშაშვილის, გ. ტაბიძის, ა. შანშიაშვილის, ი. მჭედლიშვილის ლექსები, ივ. გომართელის წერილი ლეონიდ ანდრეევზე, ნარკვილის „დრამის მოკლე ისტორია“, ლევ. მეტრეველის „სიტყვაკაზმულ ნაწარმოების საერთო შეფასება“, დ. ნ. ინიციალებით „ქართული თეატრის ისტორიიდან“, ს. გლახაშვილის მოთხრობა „წარმოდგენის შემდეგ“, დ. ნახუცრიშვილის დრამატული სურათი „დღესასწაული“, „ბიჭი-ბიჭის“ „გეილოცა გურულმა“, მისივე „ფილოსოფიური ლექცია“. ჟურნალში მოთავსებულია სურათები: გ. ერისთავის, ლეონიდ ანდრეევის, დ. ნახუცრიშვილის და შარჟი „ჩვენებური საქმოსნები“.

„თეატრი და ცხოვრებამ“ ამ პირველი ნომრითვე დაიმსახურა მოწონება და ჩქარა იქცა საერთო ყურადღებისა და მოთხოვნილების საგნად. მან ჩვენი მწერლობისა და ინტელიგენციის მოწინავე ძალები და ფართო მკითხველი საზოგადოება შემოიკრიბა და მაშინ არსებულ ჟურნალებს შორის იქცა ყველაზე პოპულარულ საკითხავ ორგანოდ. მიუხედავად ამისა, როგორც რედაქტორი იგონებდა, „თეატრი და ცხოვრებას“ დღეგრძელობა არავისა სჯეროდა, ერთი, თუნდაც დიდი ენთუზიაზმის მიერ მისი მუდმივი გამოცემა შეუძლებლად მიაჩნდათ. გუნიამ მითხრა: „სოსო, ჟურნალი კარგია, მაგრამ დიდხანს ვერ გამოსცემ“. ასევე ვასო აბაშიძემ: „ქაჯან, ძალიან კარგია, მაგრამ მე, გუნიამ და ნებიერიძემ ჩემი „თეატრი“ ვერ ვაწარმოვეთ, შენ რას შეიძლებო?“ იყვნენ გამამხნევებელნიც. აკაკის რომ ჟურნალის გამოცემა მიულოცია, მისი „მეთაურების“ გამო უთქვამს: მადლობა ღმერთს, ვეღირსე, რასაც ვნატრობდი, — ხალხის შვილები ხალხს უნდა ემსახურონ და ამიტომაც არის ასეთი ხალხური, მარტივი, ნათელი ყოველი შენი მეთაური.

„თეატრი და ცხოვრებას“ პირველი ნომრის ამ ზოგადი მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, რომ მისი აგებულება და შინაარსის ხასიათი ძირითადად ჩამოყალიბებულია და იგი თავისი არსებობის ბოლომდე თავისი მიზნითა და შედგენილობით არც შეცვლილა. ჟურნალის მიზნის, აგებულებისა და მუდმივი თანამშრომლების შემადგენლობის შესახებ საგანგებო განცხადება დაიბეჭდა 10 იანვრის № 2-ში:

1910 წლის 2 იანვრიდან გამოდის ახალი კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო სათეატრო სურათებიანი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით.

ჟურნალის მიზანია სათეატრო კითხვების გარკვევა-განხილვა, თე-

ატრის წარსული და აწმყო, ისტორია დრამისა და სცენისა. დაიბეჭდება სათეატრო წერილები, კრიტიკული განხილვანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსები, იუმორისტული წერილები, სურათები სცენის მოღვაწეთა, ხელოვანთა, მსახიობთა, დრამატურგთა. ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური თუ ნათარგმნი.

ჟურნალში ფართო ადგილი დაეთმობა ევროპისა და რუსეთის სათეატრო ცხოვრების მიმდინარეობას, აგრეთვე ჩვენ მეზობელთა — სომეხთა, თათართა, ოსთა და სხ. სცენის აღორძინებისა და დრამატულ ლიტერატურის შესახებ წერილებს, — უმთავრეს ყურადღებას კი მიაქცევს სამშობლო თეატრის მდგომარეობას.

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარეთ. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

ვ. აბაშიძე, მ. ადამაშვილი, გელა, ს. გლახაშვილი, ივ. გომართელი, პ. გოთუა, ი. გრიშაშვილი, ვ. გუნია, პ. დადვაძე, შ. დადიანი, დუტუ მეგრელი, ლ. დარჩია, ვაჟა-ფშაველა, მ. თოიძე, გ. მ. თუმანიშვილი, პ. ირეთელი, ნ. ლორთქიფანიძე, ვ. მალაქიაშვილი, ს. მგალობლიშვილი, კ. მესხი, პ. მირიანაშვილი, ლევ. მეტრეველი, ი. მჭედლიშვილი, ნინო ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ნარკანი, დ. ნახუცრიშვილი, ი. ნიკოლაძე, ტრ. რამიშვილი, ვ. ურუშაძე, ვ. ღამბაშიძე, კ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე, ვ. შალიკაშვილი, ა. შანშიაშვილი, ო. შმერლინგი და სხვა ცნობილი მწერლები და მხატვრები.

თეატრალური შენიშვნები და რეცენზიები

XIX საუკუნის ბოლოდან დაწყებული ითვლება იმედაშვილის პირველი ნაბიჯები პრესაში, ჯერ როგორც კორესპონდენტისა წერილებით თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა შრომისა და ცხოვრების აუტანელ პირობებზე, თუ გარე-კახეთის სოფლების გაჭირვებულ მდგომარეობაზე, ყურადღებას იქცევდნენ ხალხის ჭირ-ვარამის ცოდნით. იმედას, მეკვლეს, მოკეთეს, ხაშმელი სოსიკას, თვალყურას, ჭიტას ფსევდონიმებით გამოქვეყნებულ ამ მცირე ფორმის ცდებთან ერთად, გაზ. „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი მისი ნარკვევები თუ მოთხრობები, განსაკუთრებით „უსუფ-უმუთ-ოღლის“ ფსევდონიმით რომანის ფორმის „თავგადასავალი ერთი პიროვნებისა“, („აახ-ვააახ!“), აგრეთვე 1903—7 წლებში „იზიძის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული რევოლუციური ლექსები, უკვე შეიცავდნენ მისი კრიტიკული აზრისა და პროტესტული სულისკვეთების გამომჟღავნების იმ მანერას, რომელიც შემდგომად ჩამოყალიბდა თავისი ჟურნალისა-

თვის დაწერილ „მეთაურებსა“, რეცენზიებსა თუ მიმოხილვებში. მათთვის დამახასიათებელი იყო, ყოველგვარ დაბრკოლებათა მიუხედავად, ერთხელვე დასახული მიზნისადმი განუხრელი სწრაფვა, საქმის სიყვარული და ერთგულება. დემოკრატიზმის, ჰუმანიზმის იდეალების პოზიციით მწერლობის, თეატრალური ხელოვნების, თუ მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური საკითხების საკუთარი პროგრამით გაშუქება. ობიექტური თვალსაზრისის მკაცრად უკომპრომისო გამოხატულების უნარი მას შეუშუშავდა ადრითგანვე, როგორც პროპაგანდისტს, სახალხო ლექტორს, 1905 წლის რევოლუციის დროის სახალხო მოსამართლეს და „გარე-კახეთის ერთობის“ თავგამოდებულ მეთაურს.

სიმართლის თქმა, სინამდვილისათვის თვალის გაბედული გასწორება, შემდგომადაც მთელ მის მოღვაწეობაში ერთადერთ სამოქმედო პრინციპს წარმოადგენდა. მით უმეტეს იგი, როგორც მწერალი, არ ეპუებოდა მაღალი თანამდებობის მოხელეებს, საერთოდაც პრივილეგირებულ გავლენიანთა ოფიციალურ პოზიციას. ეს იყო ივის საფუძველიც, რომ იგი არ შემდრკალა, მეფის ნაცვალს გაბედული პროტესტით რომ წარუდგა (რის შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა). ამდენადვე, მისთვის ბუნებრივად ჩვეულებრივი იყო მოურიდებლად ლაპარაკი, როგორც თბილისის მუშათა შრომისა და ცხოვრების დუხჭირ პირობებზე, აგრეთვე სოფლის საყვლეფად შესეულთა მუქთახორა მოხელეებზე, მღვდლებზე, თუ გადასახადების მკრეფავ აგენტებზე. მაგ. ჯერ კიდევ 1904 წელს „ჭიტას“ ფსევდონიმით დაბა-სოფელს გამფლანგველზე ხალისიანი ჰუმორით შეფერილ მის პატარა კორესპონდენციასაც ეტყობა, რომ ზედმეტი მრავალსიტყვაობის, მუქარისა და დამცირების გარეშე აღწევდა თავის მამხილებელ მიზანს: „სოფ. [illegible]. განსვენებულს ივანე ბუხრან-ბატონს უთხრა ერთმა — დაითხოვე ესა და ეს ზოურავი, თორემ ძლიერ გასუქდაო: ბუხრან-ბატონს უპასუხნია: „შე კაი კაცო, ეგ ძლივს გავასუქე და ეხლა მშვლე ზოურავი რომ დავიყენო, ჩემი საცხოვრებელი არ ეყოფაო“...

ამ მაგალითს მისდევენ: სბორჩიკ ანუაშვილს უანგარიშეს და გაფლანგული ფული საკმაოდ აღმოაჩნდა, მაგრამ მაინც ისევ ის ამოირჩიეს, აი, სად გამოიყენეს გარეჯელებმა განსვენებული მუხრან-ბატონის მაგალითი“.

იოსებ იმედაშვილის კრიტიკულ აზროვნებას ახასიათებდა სადა, მაგრამ თვალსაჩინოდ გამჭრიახი, ხელოვნურ ფრაზეოლოგიისა და მრავალსიტყვაობის გარეშე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, მწერლობის, ხელოვნების ფაქტების შეფასება იმის მიუხედავად, თუ რა იქნებოდა განსჯის საგანი, ან ვინ იქნებოდა განსჯის სუბიექტი. იგი

ებიებდა სინამდვილეს, მოურიდებელი იყო სიმართლის თქმაში და ყოველთვის შეუფერადებელ სიცხადეს ამჯობინებდა საეჭვოდ სავარაუდებელსა და ბუნდოვანს, რის გამოც იშვიათად, რომ ვინმე ხანგრძლივად დამდურებოდეს, ან ეკამათოს, რომ იმედაშვილი როგორც კრიტიკოსი და რეცენზენტი არაობიექტური ყოფილიყოს. ამის მუდმივ მაგალითად თუნდაც ისიც კმარა, რომ მხოლოდ მან უსაყვედურა საჯაროდ ლადო მესხიშვილს ქართული თეატრის დაწვის გამო რუსულ დასში გადასვლა. ან ვანო სარაჯიშვილს, რომ იგი ქართულ აუდიტორიაშიც უფრო ხშირად რუსულ რომანსებს მღეროდა.

მიმდინარე წარმოდგენა-დადგმებზე რეცენზიებსა თუ თეატრისა და დრამატურგიის საპოლემიკო საკითხებზე კრიტიკულ შენიშვნებსა და წერილებს იგი ყოველთვის წერდა ეროვნული საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროების თვალსაზრისით და უმთავრესად მასთან დაკავშირებით. ასევე დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხური სიმღერა-გალობის შესწავლას, ეროვნული პროფესიონალური მუსიკის, ოპერის განვითარებას, ქართული კინოხელოვნების პირველ ნაბიჯებს.

პუბლიცისტურ წერილებში ეხებოდა თანამედროვეობის პოლიტიკურ-სოციალურ მტკივნეულ პრობლემებს, ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროში საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა მუშაობას, ქართული კულტურის დაწესებულებათა მუშაობის პირობებს, აჭარის, საინგილოს, აფხაზეთის, ფერეიდანის ქართველობის საქართველოსთან შეკავშირებას რაც ჩვენი ისტორიის ძნელბედობის გამო იყო დარღვეული. ყოველივე ამასთან ერთად, სისტემატურად იხილავდა როგორც კავკასიის ხალხების, აგრეთვე რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნებისა და მწერლობის ვითარებასა და საქვეყნოდ ცნობილ პიროვნებათა შესახებ ბეჭდავდა ცხოერება-შემოქმედების მიმოხილვებს.

იოსებ იმედაშვილს სწამდა ქართული კულტურის დიდი მომავალი. რომლის წარსულიც მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნების ნიმუშებით იყო ცნობილი. კერძოდ კი, ქართული დრამატურგიისა და ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობისას იგი ხშირად ჩიოდა ჩვენი კრიტიკული აზროვნების პრიმიტიულობას და აღნიშნავდა, რომ ქართული მწიგნობრობა ჯერ კიდევ ელის კრიტიკოსს და ვიდრე მაღალნიჭიერი კრიტიკოსი მოგვევლინებოდეს, ჩვენი მწერლობა განუვითარებელი იქნება და ყოველ მელექსეს მგოსნის სახელით დააგვირგვინებენო (გალაქტიონ ტაბიძე, 1915, № 2). ეს იყო ზოგადი ხასიათის შენიშვნა, თითქოს მოულოდნელიც იმ რედაქტორისაგან, რომელიც ტაბიძის გვერდით ხშირად ბეჭდავდა აშკარად უპერსპექტივო მოვარჯიშე მელექსეებს. მაგრამ ასეთ შენიშვნაზე ხშირად უთქვამს, რომ აკაკის, ვაჟას თუ სხვა დიდ შემოქმედთა გვერდით პატარებიც უნდა

არსებობდნენ და ისტორია შემდეგ გაარკვევს, თუ მათში ვინ იქნება ღირსი პოეზიას შერჩესო.

თვითონ მთელი ცხოვრების განმავლობაში თავდადებით იღვწოდა ქართული პრესის, მწერლობის, კრიტიკის სარბიელზე და იყო საოცრად უპრეტენზიო ისტორიის განსჯის მოლოდინში. ყოველ შემთხვევაში, მისი კრიტიკული წერილების სერიები მხოლოდ მწერლობის, დრამატურგიის, თეატრისა და კულტურის სხვა საკითხებზე ერთი დიდი ტომის მასალას შეიცავს, მნიშვნელოვანია თანამედროვეობისთვისაც და ელის გამომზეურებას.

ჟურნალში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თეატრალურ სანახაობათა რეცენზირებას, როგორც მთავარ, პროფესიონალურ დასებისას, აგრეთვე საგარეუბნო სცენისმოყვარეთა წარმოდგენებსა თუ პროვინციის ქალაქებისა და დაბა-სოფლების საკლუბო მუშაობას. ამასთან ერთად, არა იშვიათად, წერდა რეცენზიებს თბილისის სომხური და თათრული თეატრების დადგმებზე.

მეთაურებსა თუ რეცენზიებში იმედაშვილი ბევრსა წერდა სასცენო ხელოვნების განვითარებაზე, როლის განსახიერების დონის ამაღლებაზე, არტისტის პასუხისმგებლობაზე, როლზე მუშაობის მეთოდზე, მსახიობის პირად ლიტერატურულ განვითარებაზე, რეჟისურაზე. დაარსებული ჟურნალის პირველივე ნომრის მეთაურში „საზოგადოება და ჩვენი სცენა“ (1910, 19, I, № 4) იმედაშვილი შენიშნავდა: „იყო დრო, როცა საზოგადოება თეატრში მხოლოდ გართობა-გაცინებისათვის დაიარებოდა, თეატრი ბერიკობა ეგონათ... ამგვარი მაყურებლის ხელში მსახიობიც იოლას გამოდიოდა. ხშირად თავის მხრით ისეთ სიტყვებს წამოისროდა ხოლმე სცენიდან, რაიცა შეიძლება პიესის იდეას არ შეეფერებოდა, მაგრამ მაყურებელს კი გაახითხითებდა, გააცინებდა...

ერთნი მოგახსენებენ: რისთვის წავიდეთ ქართულ თეატრში, როდესაც უცხო უკეთესი მსახიობნი უკეთ მოწყობილ წარმოდგენებს გვიჩვენებენო. მეორენი ბრძანებენ — დავდივართ, მაგრამ... სიამოვნების მისაღებად კი არა — ქართველი მსახიობი გვებრალება და მის შესაწირავად დავდივართო...

თუ ჩვენს საზოგადოებას ეროვნული სცენა რადმე მიაჩნია, ახლავე უნდა მოჰკიდოს ხელი სამშობლო თეატრის გარდაქმნას... საჭიროა გამოვზარდოთ უმაღლეს სწავლა-ცოდნით აღჭურვილი მსახიობნი... რამდენიმე ახალგაზრდა ქალი და კაცი გაიგზავნოს რუსეთსა და საზღვარგარედ სასცენო ხელოვნების შესასწავლად... ჩვენს სცენას ეჭირვება ნორჩ ძალთა ძლიერი ტალღა დამყაყებულ შმორის გასაწმენდად და ახალი კედლების აღსაშენებლად“...

ამ შენიშვნების ძირითადი აზრი არაერთხელ ყოფილა გაშუქებული წერილებში, სადაც კი ქართული თეატრის მომავალი მსახიობის აღზრდაზე ყოფილა საუბარი, მასთან ერთად მსახიობის, რეჟისორისა თუ პიესის ავტორის შეხმატკბილებულ მუშაობაზე დრამატული სკოლის გახსნის საჭიროებასა თუ სხვა საკითხებზე.

თუ უნდა ჩაითვალოს, რომ „თეატრი და ცხოვრება“ თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში წარმართავდა ქართული პროფესიონალური თეატრალური კრიტიკის საქმიანობას, პირადად იმედაშვილის მიერ რეცენზირებული იყო 1910—26 წლების ჩვენი თეატრების სცენებზე განსახიერებული თითქმის ყველა დადგმა. ამ რეცენზიებში ხასიათდებოდა მაშინდელი თეატრალური ცხოვრება, სცენისა და მაყურებლის დამოკიდებულება, მათი ინტერესები, რეპერტუარის შინაარსიანობა, მსახიობის პიროვნული კულტურა, გემოვნების ევოლუცია. საერთოდ მისი რეცენზიები ყურადღებას იპყრობდნენ ობიექტურობით, ყოველგვარ ტენდენციურობას მოკლებული სიცხადით, პირდაპირობით, საზოგადოებრივი მსჯავრის მოურიდებელი და მიუდგომელი გამოხატულებით.

რეცენზიებისა და მცირე ფორმის ნარკვევების მისი სტილი ადრევე ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლო წლებიდან „ივერიაში“ თანამშრომლობის დროს დაბეჭდილ თეატრალური დადგმების მიმოხილვებში. ჩვეულებრივ იგი თუ ქება-დიდებით იხსენიებდა ლ. მესხიშვილს, ვ. აბაშიძეს, ა. იმედაშვილს, ვალ. გუნიას, კ. ყიფიანს, ა. ცუმბათაშვილს, ნუცა ჩხეიძეს, ე. ჩერქეზიშვილს თუ სხვა აღიარებულ მსახიობთა გამოსვლებს, ამავე დროს, მათ ვალდებულად თვლიდა სხვათა სამაგალითოდ ყოველთვის თავისივე ოსტატობის დონეზე მდგარიყვნენ, არასოდეს არ ჩამოსულიყვნენ თავის შესაძლებლობათა დაბლა, ყოველ გამოსვლაში, დაეცვათ როგორც ქართული თეატრის, აგრეთვე უკვე მოპოვებული საკუთარი სახელის ღირსება.

მაგალითად, გრიბოედოვის ოთხმოქმედებიანი ცნობილი კომედია „ვაი-ჭკუისაგან“, მისი აზრით, სამწუხაროდ, ქართული დასის მსახიობთ ვერ განასახიერეს პიესაში უნაკლოდ დახატული ტიპები და სავსებით ვერ გადმოგვცეს ის, რის თქმაც პიესის ავტორს უნდოდა. ქართულ დადგმას აკლდა ტიპების ბუნების კარგად შესწავლა, პიესაში ასახული ცხოვრების სათანადო გაგება და გააზრება. მისი დასკვნით, ქართული თეატრის „ვაი-ჭკუისაგან“ უფრო უბრალო ფარსსა გვანდა, ვიდრე აზრიან, მეტად ხელოვნურად შემუშავებულ პიესას. მსახიობნი უმთავრეს ყურადღებას გარეგნობას აქცევდნენ, ეფექტს, ამიტომ არ იყო გასაგები პერსონაჟთა სულიერი ვითარება, მათი გონებისა და ზნეობის ავლადიდება. ბ-ნმა აბაშიძემ სრულებით ვერ დაგვიხატა ფამუსოვის როლი (მოკეთე, „ივერია“, 1900, 24, X, გვ. 2 — 3).

მისივე შეფასებით, მსგავსად უფერული იყო მაზარის სამმოქმედებიან დრამაში „უბედური“ ბოროტისა და კეთილის ბრძოლის მოტივზე მეტად ტრაფარეტული სიუჟეტით მთავარ როლში მსახიობი შათირიშვილი, რომელიც უფრო ჰკუამოკლე „ფრანტსა“ ჰგვანდა, ვიდრე გაჭნილს, გამოცდილს ავანტიურისტს. როლი არც ერთმა არტისტმა არ იცოდა ხეირიანად, როლის სრული უცოდინარობა ქრონიკულ სენად გადაქცევია ისეთ ნიჭიერ მსახიობს, როგორიც ბ-ნი აბაშიძეა. ვოდევილში „თაგვის ბრალია“, ცოტა მაინც რომ სცოდნოდა როლი, წარმოდგენა უფრო მწყობრად ჩაივლიდაო („ივერია“, 1900, № 135).

ქართული თეატრის სინამდვილეში ერთ საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენდა რუსეთში აღზრდილი, ცნობილი დრამატურგისა და მსახიობის ალ. სუმბათაშვილის დამოკიდებულება ქართულ თეატრთან და საერთოდ ქართველობასთან, რაზედაც გულახდილი ლაპარაკი [illegible] იყო ვიჩნეული. ალ. სუმბათაშვილის დროებით ჩამოსვლას საქართველოში სიხარულით ეგებებოდა, — იგი მიაჩნდა ჩვენი პატარა სამშობლოს დიდებულ შვილად, ხელოვნების ღირსეულ ჭურუმად, ახასიათებდა როგორც ადამიანთა გულის ზრახვათა აღმომკითხველს, სულის მესაიდუმლეს, ჩვენ საამაყო თანამემამულეს, რომლის მადლიანმა კალამმა შესძრა ქართველთა მიყუჩებული გულის სიმები და მისმა ხელოვნებამ კი არა ერთი და ორი ღვთიური ხატება შეჰქმნა. მან მოგვიძღვნა ხელიხელ საგოგმანები პიესა „ღალატი“, საქართველოს წარსული და აწინდელი სულისკვეთების სიმბოლური გამოხატულება, ჩვენი ეროვნული ბრძოლის სიმღერა, რომელიც თარგმნილია ევროპულ ენებზედაც კი. მან როგორც მსახიობმა ნიჭიერი და ხელოვნურის თამაშით საპატიო სახელი მოიხვეჭა არა მხოლოდ ჩვენში და რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც, კერძოდ, საფრანგეთში, სადაც ის დაჯილდოებული იყო უმაღლესი ხარისხის ჯილდოთი. მისი თამაშისათვის დამახასიათებელი იყო ყოველი უმნიშვნელო როლის შესრულების დროსაც კი. ყოველივე წვრილმანისათვის დიდი ყურადღების მიქცევა. რასაც აღწევდა თანაბარი ბეჯითი შრომით. იგი სწორად ერთ სეზონში 10—15 სახეს ჰქმნიდა და მსახიობთა თვითშემოქმედების მაგალითს წარმოადგენდა სასცენო ხელოვნების სიყვარულით და თეატრის აეტორიტეტის ამაღლებისათვის ზრუნვით. მის ნაყოფიერებას ისიც კარგად გვიჩვენებს, რომ მას დაწერილი აქვს ოცამდე ორიგინალური დრამა და კომედია, რომელნიც სხვადასხვა თეატრებში ექვსი ათასჯერ იყო წარმოდგენილი.

სუმბათაშვილის საერთო დახასიათებას იმედაშვილი იმ საგულისხმო შენიშვნით ამთავრებდა, რომ „სამშობლოდან ნებსით თუ უნებლიეთ გადახვეწილებმა მაგალითად იყოლიონ სუმბათაშვილი და გი-

გონ, რომ ყველას შეუძლიან სამშობლოს სამსახური თუ გული გულობს“ (მსახიობი და დრამატურგი ალ. ივ. სუმბათაშვილი, 1916, 27 მაისი, № 22).

იმავე სეზონში ალ. სუმბათაშვილი ერთი თვის შემდეგ თბილისის თეატრებს ეწვია და პირველ თიბათვეს სახაზინო თეატრის კულისებში „ღალატის“ წარმოდგენის დროს მესამე მოქმედების შემდეგ მასთან ინტერვიუს ასაღებად მისულ იმედაშვილისათვის უთქვამს — თითოეულ თქვენ კითხვაზე სიამოვნებით გიპასუხებთ, ოღონდ რუსულად მელაპარაკეთო. — რა გზას უნდა დაადგეს ქართული თეატრი? ალ. სუმბათაშვილს უპასუხნია — ქართულ თეატრს უპირველესად რეპერტუარი სჭირდება. თქვენ გყავთ საუკეთესო მსახიობნი. ქართულად „ღალატის“ წარმოდგენის დროს 21 მაისს ვასო აბაშიძემ, ნ. ჩხეიძემ, ვ. გუნიამ გამოაცეს თავისი არტისტული ნიჭით... არც ერთი ცარიელი ადგილი არა ჰქონიათ, არც ერთი ცრუ განცდა, ეგენი არათუ თამაშობდნენ — ცოცხლობდნენ. ა. იმედაშვილი! — ეს ხომ საუცხოო შემოქმედებაა (დათო). თითოეული მათგანი წინათგანზრახვით კი არ თამაშობს, არამედ ჰქმნის სწორედ იმ დროს, როდესაც ხატების ამათუიმ მდგომარეობას ასახიერებს... მაგრამ რა ჰქმნას კარგმა მსახიობმა თუ მასალა სამსახიობო არ ექნება? ქართულ თეატრს ეჭირვება ახალი გ. ერისთავი. კომედია — აი, რას თხოულობს დღეს მაყურებელი...

რას ვფიქრობ სამშობლოს სამსახურზე? — გაუგებარია ზოგიერთების საქციელი, ღალატს რომ მიკიჟინებენ!.. მე ჩემს სამშობლოს და საზოგადოდ ხელოვნებას ისე ვემსახურები, როგორც შემიძლიან... მე ვტრიალებ რუსის უმაღლეს მოაზროვნე. ხელოვნება-მწერლობის მოყვარულთა საზოგადოებაში, სადაც ქართველად მიცნობენ, მშვენიერ საქართველოს შვილად და ყოველთვის ვცდილობ ჩემი სამშობლოს სახელი კიდევ უფრო განდიდდეს.

რაც შეეხება დრამატულ სკოლას, — მსახიობისათვის საჭიროა დიდი, ყოველმხრივი ცოდნა და უმთავრესად იმ ენაზე აღზრდა, რომელზედაც ფიქრობს იმსახიობოს. არ შეიძლება რუსული ენით აღზრდილი ქართული სცენის მსახიობი იყოს. არტისტობის სწავლა შეუძლებელია, — ეს ხომ იმას ემგვანება, კაცს უთხრა მწერლობა ისწავლეო.

კიდევ არა ერთ საინტერესო კითხვაზე უპასუხა სუმბათაშვილმა და ეს ინტერვიუ იმედაშვილმა შემდეგი შენიშვნით დაამთავრა — ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საოცარმა დისციპლინამ: „ღალატის“ ავტორი და მისი თანამშრომელნი, რომელთაც თბილისში ეს პიესა ხუთჯერ ითამაშეს, ყოველ წვრილმანშიაც კი რეჟისორს (ალ. წუწუნავას) ემორჩილებოდნენ და ნაკისრ როლს ღვთაებრივი

სიწმინდით ასრულებდნენ... ნაბიჯი, ხმა, გამოთქმა, მიხრა-მოხრა, — ყოველივე ეს ისე იყო გამოზომილ-შეწყობილი, რომ გაოცდებოდით" (იოსებ არიმათიელი, „ღალატის" ავტორთან ალ. ივ. სუმბათაშვილთან, 1916, 26 ივნისი, № 26, გვ. 13—15).

ალ. სუმბათაშვილის თბილისში ჩამოსვლამ და მისი „ღალატით" აღფრთოვანებულმა ქართულმა საზოგადოებამ შესაფერი პატივი რომ მიაგო ჩვენ სახელოვან თანამემამულეს, იმავ დროს, მისი უსაზღვრო ქება-დიდების ფონზე ქართული თეატრალური ხელოვნების მუშაკთა სავალალო ცხოვრება-მოღვაწეობის საკითხები წამოიშალა. ეს იყო, იმავე დროს, ვალერიან გუნიასათვის იუბილეს გამართვის საჭიროებამ დიდი კამათი რომ გამოიწვია. ორი ქართველი ხელოვანის — სუმბათაშვილისა და გუნიას კარიერის შედარებაში ნ. შიუკაშვილმა გულისხმიერი სევდით წარმოსახა ჩვენი თეატრალური ცხოვრების აუტანელი პირობები. მან წერილის სათაურშიც გამოხატა სუმბათაშვილისა და გუნიას დაპირისპირების აზრი: „ბატონი და ყმა" (ვეძღვნი საზოგადოების წამებულს ყმას ვ. გუნიას, 1916, 3 მკათათვე, № 27, გვ. 2—3).

ალ. სუმბათაშვილი სიყრმიდანვე გაუსხლტა ხელიდან ჩვენს ხრიოკ ცხოვრებას, მისმა ნიჭმა პოხიერი ნიადაგი იპოვა უცხოეთში და თამამად გაიდგა იქ ფესვები... როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივად უხვად იყო დაჯილდოებული, ლუკმაპურზე ფიქრმა არ ჩანთქა მისი ენერგია, ნიჭი; განათლებული ევროპა ფეხქვეშ მოიდო და ხელოვან-მნათობთა შორის თვითონაც სწორ მნათობად გრძნობს თავს... შეხედეთ, რაოდენი სითამამე, თავის თავის იმედი, თავისი ძალის შეგნება იხატება მის გარეგნობაშიც...

ვ. გუნიას მსოფლიო ქ. თბილისში მოუმწყვდევია... იმ სიყრმიდან დღევანდლამდე მისი ცხოვრება წარმოადგენს უსვენებელს ფართხალს ოთხ კედელს შუა... ლუკმა პურის ძიება, ოჯახის გაძღოლა, სხვენსა და სარდაფში ცხოვრება, განუწყვეტელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა აუტანელს პირობებში. უტყუარმა ნიჭმა ბ. სუმბათაშვილს თავი გვირგვინით შეუმკო... მაგრამ გადაათვალიერეთ ვ. გუნიას მრავალფეროვანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, გაიხსენეთ, რომ მთელი თავისი არაჩვეულებრივი ენერგია, სიმტკიცე, შნო შეალია ჩვენს ცხოვრებას და თუ შეგიძლიათ ყველა ამას თავი მოუყარეთ ერთ ჯამში და ასწონეთ!.. ბ. სუმბათაშვილი გაუსხლტა ხელიდან ქართული საზოგადოების ცხოვრებას და დღეს იგი ოლიმპიელია. ვ. გუნია ჩვენივე ფეხით გათელილი, თვალსაჩინო მიცვალებულთა მმარხავი „უსტაბაშია".

ვ. გუნია მსხვერპლია ჩვენი ცხოვრების და, მიუხედავად აუტანელი პირობებისა, მაინც იმდენად დიდი კაცია, რომ მისი ღირსეული

დაფასება, მისი პატივისცემა ჩვენთვის ბუნებრივ ვალდებულებას უნდა წარმოადგენდეს... ჩვენი საზოგადოება კი პატივს სცემს არა თავისთავად პიროვნულ ღირსებას, როგორც პიროვნების გარშემორტყმულ შარავანდედს და საზოგადოებამ უფრო მეტი თაიგული სუმბათაშვილის გვირგვინს უძღვნა, ვიდრე მის უტყუარს ნიჭს. ვ. გუნიას კი თავი არავითარი გვირგვინით არა აქვს შემკული — დიდი თანამდებობის ხალხთან ნაცნობობა არა ჰქონია, რუსულ სცენაზე არ უთამაშია, ბრჭყვიალა მარკა არ აკრავს... და იქამდის წელი გვწყდება, რომ მისი იუბილე საპროტექციოდ გადაქცეულა... მისი ჰეშმარიტი ნიჭი დროზე არ იყო შემჩნეული და დაფასებული. მისი სული და ხორცი დაილია წვრილმანების მოგერიებაში. მუდმივი გაჭირვება, სახალხო სცენის ძონძები და მსგავსად დაუმსახურებული უყურადღებობა (1916, № 27).

რასაკვირველია, ორი ქართველი ხელოვანის სხვადასხვა გზის შედარება მართლაც მხოლოდ ვ. გუნიას სავალალო მდგომარეობას არ გამოხატავს და არც მისი თაობის მსგავს გასაჭირს. ეს სატკივარი ქართული თეატრის მსახურთა მუდმივი ხვედრი იყო, ის, რომ ჩვენი ხალხისა და თეატრის საერთო სიღარიბეში ქართველი კაცის ნიჭი შესაფერის გზასა და დაფასებას ვერა ჰპოვებდა. აქედანვე ქართული თეატრის რეპერტუარის, სცენის ორგანიზაციის, მსახიობის, რეჟისორის, მუდმივი მაყურებლის ბოლომდე მოუწესრიგებლობა დადგმის საერთო კულტურას აქვეითებდა და მთლიანად სეზონი თანაბარი წარმატებით არა მთავრდებოდა. ვ. გუნიას უმოწყალო არტისტული ხვედრის გულღია გამხელა მოწოდება იყო ქართული თეატრის კრიზისის დაძლევისათვის დიდი საზოგადოებრივი ინიციატივის სამოქმედოდ.

•

ნ. ნაკაშიძის პიესის „ვინ არის დამნაშავეს" განსახიერებას ქართულ თეატრში იოსებ იმედაშვილი „ჰოპოსანის" ფსევდონიმით დაწერილ რეცენზიაში აფასებდა როგორც ქართული სამსახიობო უნარისა და ნიჭის გამოვლენას, მის მადლიანად ამეტყველებას, თვით პიესა კი, მისი აზრით, თუმცა სადა, მეტად მარტივია, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ, იმავე დროს, ღრმა, ბევრ მწვავე ფიქრთა აღმძვრელი, ნამდვილი ეროვნულ-ხალხოსნური... დაახლოებით ასეთი ხალხოსნური პიესით გაახილა თვალი მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ქართულმა სახიობამ (გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის შემოქმედებაში). ასეთივე რეპერტუარი შეჰქმნა 80-იანი წლების დრამატურგიამ (ივ. ცაგარელი და გ. სუნდუკიანი) და აკი ამიტომაც იყო, რომ როგორც პირველად, ისე მეორედ ქართულმა სცენამ იხელმძღვანელა ვი-

ებულ საზოგადოების ყურადღება. ასეთივე ნიშნები მოგვცა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლმა“ და ამ ბოლო ხანებში ქ-ნ ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“...

რეცენზენტი საჭიროდ იმასაც აღნიშნავს, რომ „შალვა დადიანის დასის თამაშმა, რომელშიაც მონაწილეობენ თვითონ შალვა დადიანი, ქ-ნი ღოღობერიძე, ელო ანდრონიკაშვილი, პლ. კორიშელი, მურუსიძე და სხვები, რომელნიც ერთი მეორეს ეცილებოდნენ როლების შეგნებულ აღსრულებით პიესის განსახიერებაში, მოლოდინს გადააჭარბა — ერთსულოვნობა, სისადავე, სისწრაფე, გონიერებასთან შეხამებული ზომიერება... ერთი მთავარი მოქმედი პირი, პირველი არტისტი აქ არა ჩანდა, მთელ წარმოდგენაში მხოლოდ პიესის სული იყო გაპიროვნებული...“.

ქართული დრამატული დასის მსახიობთა მიერ საქველმოქმედო მიზნით 1910 წლის 21 აგვისტოს წარმოდგენილი პიესის „ძველი და ახალი თაობის“ შესახებ რეცენზიაში იგი პირდაპირ შენიშნავდა, რომ წარმოდგენის მომწყობნი ივანიძე და საფაროვი „ხალხს გაუმასპინძლდნენ ისეთი აბსურდით, როგორიც „ძველი და ახალი თაობაა“. „ჟურნალის ფურცლებს ვუფრთხილდები და მოკლედ ვიტყვი — ეს პიესა არქივშიც კი ყველა პიესაზე ქვეშ უნდა იყოს მოქცეული. მას არც ახალი თაობის სცხია რამე და არც ძველის: ივანიძემ, საფაროვმა, მეტრეველმა სუსტად ჩაატარეს მესამე მოქმედება. რეჟისურა სუსტი იყო. აქაც ძველი ადათით უხელმძღვანელიათ — ბილეთები ხომ ხელზე იყიდება და „სბორი“ იქნება, ოღონდ ვითამაშოთ და რაც უნდა იყოსო“. დასასრულს დივერტისმენტში გამოსულმა ახალგაზრდა მწერლებმა ხალხი ცოტათი მაინც გამოაფხიზლეს და დაატკბეს, განსაკუთრებით დ. ნახუცრიშვილმა მწყემსის ცხოვრებაზე მოთხრობია მშნოიანი წაკითხვით, ტკბილი ხალხური ენით, და აუდიტორიის წინაშე სიმშვიდით. კარგი იყო ბ. ახოსპირელიც, ნარკვნი და ია ეკალაძე ღელავდნენ, რითაც თავიანთი პოეტური ნაწარმოებნი დაჩრდილესო. რეცენზენტი იმასაც აღნიშნავდა, რომ „აფიშაში მოხსენებული იყო გრიშაშვილი, მაგრამ მონაწილეობა არ მიიღო, თუმცა იქ გახლდათო. რაღაც ინტრიგას აჰყოლია, რაც არ შეშვენის ახალგაზრდა პოეტს — ეს ხალხის აბუჩად აგდებაო.

დასასრულს რეცენზენტი ამხელს ივანიძის უდიერ საქციელს: „ნარკვნი სცენაზე მხატვრულ კითხვას რომ ასრულებდა, ივანიძემ შარცხენა კუთხიდან მარჯვნივ გაისეირნა, რამაც საზოგადოების ყურადღება მიიპყრო... თურმე ივანიძეს „გმირობის“ გამოჩენა მოუნდომებია და ორ მანეთზე დანაძლევებია ბ. ნ-ნს, კითხვის დროს სცენაზე გავიელიო. გაიარა კიდეც და... ჯილდოც მიიღო, მაგრამ საზოგა-

დოების ესთეტიკის შელახვას რა პასუხს აძლევს?“ (5, IX, № 35, გვ.12—13).

მსახიობის, რეჟისორისა და დრამატურგის ერთობლივი როლის თვალსაზრისითაა განხილული „სახალხო სახლში“ ტრიფონ რამიშვილის სოციალური შინაარსის პიესის „მეზობლების“ წარმოდგენა, რომელშიაც, რეცენზენტის აზრით, „ხალხი ხედავს თავის ვაებასა და კიდევ დიდხანს ისაზრდოვებს მისით. ნიკო გოცირიძეს ნ. გრუშნევსკის როლი ისე შეუსისხლხორცებია, რომ ვერ ატყობთ, რომელი — რომელს „სთამაშობს“ — გრუშნევსკი გოცირიძეს, თუ გოცირიძე გრუშნევსკის: „აი მხატვრულ-იდეური სრულქმნა ხატებისა“... დამსახურებულმა მსახიობმა ელ. ჩერქეზიშვილმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ რას ნიშნავს გამოცდილი და ნიჭიერი ხელოვანი: თვალწინ დაგვიყენა ნამდვილი ვალია... დამსახურებულმა სცენის მოყვარემ გ. ჯაბაურმა ვერ შესძლო მენაბდიშვილის განსახიერება და სულის ჩადგმა — ვერ იქნა და ჯაბაურმა და მენაბდიშვილმა ხელი ხელს ვერ მისცეს, სული სულს ვერ აზიარეს. მენაბდიშვილი კი პიესის ღერძია, იგი უნდა აცოცხლებდეს მთელ პიესას. კ. სვანელს ალბათ დავიწყებოდა, რომ მხოლოდ ახალუხის ჩაცმა ვერ გამოხატავს ტიპს. მოკარნახე ნაკლები შრომა უნდა ეკისრებოდეს, თორემ რას გავს — ხსენებულ ღამესაც მ. თუშმალიშვილის „ჩურჩული“ კარგა მანძილზე ისმოდა“ (უსავანო, ქართული სახიობა, 1915, 17 X, № 42).

„სახალხო სახლში“ 12 იანვარს „პეპოს“ წარმოდგენის გამო „უსავანოს“ შენიშვნით, პიესამ „ბევრი ხალხი მიიზიდა, განსაკუთრებით მიკიტან-ვაჭრები, ნოქრები და სხვ. ოჯახობით, ბევრი დამსწრეთაგანი თითქმის პირველად იყო თეატრში... საერთოდ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა... თუმცა ზოგიერთებს როლების უცოდინარობაც ეტყობოდათო“ და დასძენდა — „ერისთვის, ცაგარლისა და სუნდუკიანცის პიესები უკვე ხალხის კუთვნილებად შეიქმნა, ჩვენ რეპერტუარში კლასიკურ პიესებად ჩაითვლება და მათი ღეჭვით წარმოდგენა მიუტეველიაო“ (18 იანვარი, № 3).

მსგავს სახელდახელო რეცენზიებში ხშირად მაშინდელი თეატრის საჭირბოროტო საკითხებიც აღიძვრებოდა ხოლმე და არასოდეს არ იყო აგებული მხოლოდ ცნობილ მსახიობთა სტერეოტიპულ ქებაზე. „უსავანოს“ არ ენანებოდა კარგი სიტყვაცა და გაბედულად მსუსხავი შენიშვნაც, ვისაც არ უნდა შეხებოდა მისი კალამი. მაგ., ზ. გომელაურისა და ა. შანშიაშვილის მიერ 28 ივნისს გამართულ „მრავალფეროვნად საღამოს“ საერთოდ დადებით რეცენზირებაში იგი შენიშნავდა: „ჩვენი საყვარელი მომღერალი ი. სარაჯიშვილი რომ თავის ზნეს მოიშლიდეს — ქართულ თეატრში ქართველი ხალხის წინაშე უცხო რომანსების მღერას, მაშინ, — როდესაც მშობლიური რეპერტუარიც

მდიდარი გვაქვს, გაცილებით უჯობს... ქართველ საზოგადოებას მშობლიური ჰანგების მოსმენა უფრო სწყურიან და ნუ აუგემურებთო“ (1915, 5 VII, № 27).

მ. ქორელის რეჟისორობით 13 მაისს სახალხო სახლში „ოტელოს“ დადგმაში „უსავანოს“ რეცენზიის მიხედვით ალ. იმედაშვილმა მეოთხე მოქმედებაში ხელოვნების უმაღლეს ხარისხს მიაღწია (ბევრ მცოდნეთა აზრით, ქართულ სცენაზე დღემდე არ ნახული). მსახიობს ამ მსოფლიო ხატების თითოეული მიმოხრა, სულის ყოველნაირი განცდა დიდის დაკვირვებით შეუსწავლია — სიტყვა მისი მოქმედებას ეთანხმებოდა, მოქმედება — გულისთქმას... არც ერთი ბგერა მსახიობისა უაზროდ არ იყო გადმოცემული, არც ერთი ნაკვთი — უმიზნოდ შეთამაშებული, რამაც უზომო აღტაცება გამოიწვია საზოგადოებისა... მაგრამ კორიშელის იაგომ ვერ დაგვაკმაყოფილა. შიგა და შიგ მისი იაგო ცუღლუტ სკაპენს უფრო მოგვაგონებდა... გ. გედევანოვი ღირსეული ბრაბანციო იყო, მაგრამ უკეთესი იქნებოდა როლი უკეთ სცოდნებოდა... სამწუხაროდ, როლებიც კი არ დაესწავლათ მ. ჭიაურელს, ა. შანშიაშვილს. ეს წუხილი „უსავანოსი“ შემდეგი შეგონებით მთავრდება: შექსპირის სიბრძნის წყაროსა და ივ. მაჩაბლის საუკეთესო ქართულ თარგმანს კი არ ეწაფებიან, არამედ რაიმე უწმაწურობასაო... (1915, 17 მაისი, № 20).

აქვე აღსანიშნავია, რომ უსავანო მ. ჭიაურელს არა ერთ რეცენზიაში უუნიჭიერეს მსახიობს უწოდებდა, მაგრამ ვერც მას აპატიებდა სცენაზე მცირეოდენ ზერელობასაც კი. უსავანო უფრო მოურიდებელი იყო წარმოდგენათა დადგმის აშკარა გაუბრალოებისადმი, რაც თვით პროფესიონალ მსახიობთა უპასუხისმგებლობაშიც არა იშვიათად მეღავნებოდა: „ი. ჟივიძის გამგეობით სახალხო სახლში ისტორიულმა „და-ძმამ“, არა ისტორიული სტილით წარმოდგენილმა, უგემურად ჩაიარა. ბ-ნ ჟივიძეს ალღო აუღია, რომ ისტორიული პიესები ხალხს უყვარს და განსაკუთრებით „ისტორიული რეპერტუარით“ უმასპინძლდება საზოგადოებას — ხალხს. ეს ძლიერ კარგია, მაგრამ ის კი არ ვარგა, რომ თითქმის ყოველად მოუმზადებლად და უგერგილოდ სდგავს პიესებს. მსგავსი წარმოდგენებით ენების მოტანა უფრო შეიძლება, ვიდრე სიკეთის. ეს მით უმეტეს სამძიმოა, რომ ასეთ წარმოდგენებს უმეტესად მდაბიო ხალხი, მოწაფენი ესწრებიან და დასშიაც ცნობილი მსახიობნი მონაწილეობენ. მეტი პატივი ჩვენს ისტორიას, ისტორიულ პიესებს და ხალხს. ამავე მსახიობის თაოსნობით სამშაბათს, 30 ივნისს წარმოადგინეს „თამარ ბატონიშვილი“. ვალ. გუნიას (ელიზბარ ერისთავი) და ალ. იმედაშვილის (შალვა) გარდა თითქმის ყველანი მოისუსტებდნენ. ხალხი ამ წარმოდგენასაც ბევრი დაესწრო. უკეთესი შთაბეჭდილება დასტოვა მეოთხე მოქმე-

დებამ (საპატიმროში), განსაკუთრებით ვ. გუნიას და ალ. იმედაშვილის მონაწილეობით“ (წინამძღვარი, 1915, 5 ივლისი, № 27).

რომელი ფსევდონიმითაც უნდა დაეწერა ესა თუ ის რეცენზია, იოსებ იმედაშვილი ყოველთვის მაინც ცდილობდა გული არ გაეტეხა მსახიობისა და დრამატურგისათვის, მაგრამ საქმის დაზიანებად ჩასთვლიდა, რომ ხმა არ ამოეღო ისეთ ნაკლზე, ქართული სცენის ავტორიტეტს რომ შელახავდა, მისი აცილება კი შესაძლებელი იყო და დაშვება არავის ეპატიებოდა.

12 დეკემბერს „მუშულმანთა აუდიტორიაში“ ბ-ნ გ. მჭედლიშვილის მიერ დადგმული პიესის „ლეკის ქალის გულჯავარის“ „მელპომენეს მომხრეს“ ფსევდონიმით იგი ყოველგვარი მობოდიშების გარეშე აღნიშნავდა, თუ „როგორ აწამეს ჯერ პიესა, მერე საზოგადოება“. ბ-ნი გ. მჭედლიშვილი (ლევანი) მოგაგონებდათ სასაკლაოდან გამოქცეულ კამეჩს, თვით რეჟისორობდა და ვერ მიმხვდარიყო კი, სცენაზე იყო თუ საჭიდაო მოედანზე. როლი სრულებით არ იცოდა (მგონი პიესის შინაარსიც). უადგილოდ ისროდა ფრაზებს, თვითვე „სთხზავდა“ მონოლოგებს და უაზროდ ლუღლუღებდა. აი, ბ-ნ გ. მჭედლიშვილის ქართული მეტყველების ნიმუშიც: „მამასჯან, ავალიასაკენ, ლეკეთიასაკენ, აქლემი მობადე ცხენებს“ და სხვ. თავადი რევაზის ნაცვლად, რომელიც დარბაისელი მოხუცი უნდა იყოს, სცენაზე ვნახეთ უგრიმო ბავშვი. მეზუროვმა (ბატონიშვილი) ტომით სომეხმა, რომელსაც ქართულის არა გაეგება რა, ვერ მოახერხა თავისი როლის მეათედი მაინც გადმოეცა, მხოლოდ რაც სთქვა, იმიც ასეთი ქართულით: „სამჯერ ავეცი რამაზ ტყვეს კაცი მკვლელის გიძრახების“. რჩეულოვისა (გულჯავარი), რომელიც 18 წლისა უნდა იყოს, შაეებში გახვეული ქვრივი. — მოგვეველინა სამოცი წლისად, ისიც ჰრელ ფარჩებში. დანარჩენნიც ასევე „ამშვენებდნენ“ სცენას. ერთი სიტყვით, აუწერელია ამ ვაჟბატონთა მიერ საზოგადოების და სცენის აბუჩად აგდება“ (1915 19 ქრისტეშობისთვე, № 51).

ვ. შალიკაშვილის პიესის „გადაჭრილი მუხას“ წარმოდგენაზე სარეცენზიო წერილში უსავანო მის შინაარსს იგებს როგორც ნამდვილ საბრალდებო ოქმს ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილის მიმართ, რომელიც ამ ბრალდებისაგან თავს ვერ იმართლებსო: „ესაა ჩვენი ცხოვრების გაუკუღმართება, უცხო ჰაერით გაზრდილი ახალგაზრდობა, მიწას რომ მოწყვეტია და ვერც ზეცამდის უწვეია, იდეალთა მოტრფიალე. ნამდვილად კი უიდეალო, ლუკმაპურის საშოვნელად კანცელარიებში ძრომა, ცარიელი ლაპარაკი — ესაა ჩვენი ქვეყნისათვის შეუფერებელი სწავლა-განათლების შედეგი“. ეს ჩვენი თემა და მოტივებია, მაგრამ ამასთან ერთად, რეცენზენტი იმასაც აღნიშნავდა, რომ პიესაში უფრო მეტი მსჯელობაა, ყალბი ადგილები, შიგადაშიგ

რაღაც შეუსაბამობაც. ამის მიუხედავად, პიესის გამარჯვებას ხელს უწყობს ის, რომ მთავარ როლებს ჩვენი დასის თვალსაჩინო ძალები ასრულებდნენ (აბაშიძე მამა და შვილი, ალ. იმედაშვილი, იშხნელი, შგალობლიშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე, ჯავახიშვილი). ამის გამო ჩვენი სინამდვილის ეროვნული სატკივარის ამ მხატვრულ განსახიერებას ღრმად ჩაფიქრებული ქართველი მაყურებელი დიდის ყურადღებით უსმენს და მისი იდეის ნესტარით გულსაც იბასრავსო.

ამავე დასის მიერ 16 ნოემბერს წარმოდგენილი, რუსულიდან ნათარგმნი პიესა „ახალი ცხოვრება“, რეცენზენტის აზრით, თუმცა თავისი იდეით ჰკუის მასწავლებელია — მუყაითი შრომის. მეცადინეობის, თავისი უნარის გამოჩენისა და, მეორეს მხრივ, უქნარობა-ფუფუნების სარკე, მაგრამ პიესა გაჭიანურებულია, მოძღვრების კილოთი გადამეტებული, რუსიციზმებით სავსე. ამ წარმოდგენამაც გვარიანად ჩაიარა — აქაც როლები ღირსეულად შეასრულეს ძველ, აღნიშნულ მსახიობებთან ერთად ვ. გუნიამ, აგრეთვე ახალგაზრდა მსახიობებმა მ. სარაულმა და ზ. გომელაურმა. დასასრულს, რეცენზენტის დასკვნით, ამ წარმოდგენებმა სანუგეშო იმედები აღგვიძრა“ (ქართული სახიობა, 1915. № 47).

„გადაჩრილი მუხას“ შინაარსი და მისი დადგმა, ისევე როგორც ეროვნული სინამდვილის ამსახველი მსგავსი ჟანრის ორიგინალური პიესებისადმი დიდი ინტერესი, კიდევ ერთხელ იმის დადასტურება იყო, რომ ქართველი მაყურებელი თეატრში ყოველთვის თუ მაინც კლასიკურ რეპერტუარს ეტანებოდა და ესჭილესა და შექსპირს არასოდეს აკლდა მუდმივი ყურადღება და დაფასება, მაგრამ არანაკლებ გულისყურს ამჟღავნებდა საკუთარი ყოფითი სინამდვილის ამსახველ დადგმებისადმი, ასევე ისტორიული წარსულის სურათებისადმი, რომელთაც XIX—XX საუკუნეთა მიჯნის თაობები მთლიანად ჰყავდა დაპყრობილი „სამშობლოს“ და „და-ძმის“ მსგავსი პიესებით. ეროვნული წარსულისა და იდეოლოგიის ამსახველ რეპერტუარს ავსებდა როგორც თარგმნილ-გადმოკეთებული, აგრეთვე ორიგინალური პიესები, იმ დრო, XX საუკუნის დასაწყისიდანვე შესაძლებელი გახდა შედგენილიყო ქართული თეატრისა და კლუბების საჭიროებისათვის მუდმივი რეპერტუარის ყველა ჟანრის სიები.

სახალხო სახლში 1915 წლის 16 მაისს საქველმოქმედო მიზნით გამართულ სალიტერატურო-სამუსიკო და იუმორისტული საღამოს რეცენზირებაში, უსაფუძვლო აღნიშნავდა მის მრავალფეროვანებას. ნათარგმნ პიესაში „ტაინი სოეტნიკის სიზმარი“ განსაკუთრებით ტიპიურნი იყვნენ სახალხო თეატრის თვალი ნ. გოცირიძე (კრუტიუზოვი) და მრავალნიჭიერი მ. ჭიაურელი (ვაჟი)... მგოსნებმა ს. აბაშელმა და გ. ქუჩიშვილმა მშვენიერი ლექსებით უზომო აღტაცება გამოიწვიეს.

ი. ზარდალიშვილმა ებრაული სცენებით, ხოლო ნ. გოცირიძემ სომხური სცენებით დიდათ გაამხიარულეს დამსწრენი. ოსიკო ბარათაშვილმა, ა. ინაშვილმა (ბარიტონი), და ი. სარაჯიშვილმა სიმღერებით დიდათ დაატკბეს საზოგადოება. ინაშვილს (მოწაფეა) მშვენიერი ხმა აქვს, საკმაოდ დამუშავებული და დიდი იმედის მომცემია... „საღამოს გვირგვინი იყო ცხოველი შარჟები — ი. დაროშვილისა — ი. გრიშაშვილზე, ძიმისტარიშვილისა — ი. ზარდალიშვილზე, მ. ჰიაურელისა — ივ. სარაჯიშვილზე. ამ მსახიობებმა გასაოცარი სინამდვილით მიბაძეს ხსენებულ პირთ, საზოგადოება დიდად კმაყოფილი დაიშალა“ (1915, 23 მაისი, № 21). აქ რეცენზენტი ეგებება ქართულ საესტრადო ხელოვნებაში მანამდე ნაკლებად ცნობილი საესტრადო იმიტატორული ჟანრის თითქმის პირველ პროფესიონალურ წარმომადგენლებს, რომელთა შორის მ. ჰიაურელი მაშინ მართლაც კარგად იყო ცნობილი როგორც აღიარებული დეკლამატორი და იმიტატორი.

ქართული სცენისა და ესტრადის მოღვაწეთა წარმატებას იმედაშვილი ყოველთვის სიხარულით აღსავსე რეცენზიებით ხვდებოდა, რომელი თაობაც არ უნდა გამოსულიყოს ჩვენს თეატრში. ათი წლის შემდეგაც, იგი, როგორც ძველი თეატრალი დიდი გულის ყურით შეეხმიანა რუსთაველის თეატრის ძველი პიესის ახალ დადგმას:

„რუსთაველის თეატრი დიდი ხანია ასე არ ამეტყველებულა მშობლიური განცდითა და ფერებით, როგორც სამშაბათს, აპრილის 22. ამ დღეს აკაკი ფალავამ დასდგა „სამანიშვილის დედინაცვალი“, დ. კლდიაშვილის მოთხრობიდან შ. შარაშიძის მიერ სასიამოვნოდ გადმოკეთებული. წარმოდგენას თან სდევდა მთხრობელი (ალ. ყორჟოლიანი), რომელიც სასცენოდ გადმოღებულ სურათებს შორის გამოტოვებულ ადგილებს მოუთხრობდა დამსწრეთ. თხრობა და სანახაობა ერთიმეორეს ამკობდა. — ეს იყო ახალი.

ქართველი მსახიობი ძლიეს თავის ჭერქში დაეინახეთ, — და გასაოცარი სინამდვილითაც განასახიერეს ჩვენი ცხოვრების ცრემლნარევ სიცილით მოსასმენი ამბავი, ნამდვილი ტრაგედია. მხატვრული სრულქმედობით ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ აკ. ვასაძე და ალ. ყორჟოლიანი, შ. ღამბაშიძე და უშ. ჩხეიძე, პლ. კორიშელი და... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. თვით პლატონ სამანიშვილის ნათხოვარი, მჭლე ცხენიც კი ამიერიდან გაუკვდავდა, — ესეც ახალი ყაიდა: სცენაზე ცხენებით მიმოგზაურობდნენ.

პიესის დადგმას დაკვირვება ემჩნეოდა, თუმც ცხოველმყოფელობა აკლდა, დეკორაციებს მკვდრული ელფერი დაჰკრავდა, თითქოს ნაჩქარევად მოეფიშფიშებინათ; აგე-იგერ განათებაც მოიცელქებდა (დაგვიანება თუ უცები განათება).

რაც უცხო პიესების მომზადება-დადგმაზე იხარჯება, მისი ნაათა-

ლი რომ ამ ნაწარმოების მომზადებისათვის მოენდომებინათ, რეპერტუარის გვირგვინი შეიქმნებოდა.

საღამო იყო ჯანსაღი სიცილისა, ყოფა-ცხოვრების ნამდვილი სარკე: გასართობი და, ამავე დროს, ჭკუის მასწავლებელი (იობი, სათეატრო მიმოხილვა, 1924, 1 მაისი, № 10).

ჩვეულებრივად ასეთ კეთილ განწყობასთან ერთად, იმედაშვილი ზოგჯერაც შემთხვევას არ უშვებდა ჰუმორით არ შეეზავებინა ქართული სცენის საჯაყი შემთხვევები. მაგ., „ჭიტას“ ფსევდონიმით შენიშვნა „კულისებში“ საგანგებოდ აღნიშნავდა: „ჩვენი ზოგიერთი მსახიობის მეხსიერება საარაკოა, ერთი და იგივე როლი თექვსმეტჯერ რო შეასრულოს, სათქმელს მაინც რიგზე ვერ იტყვის...

„ღალატის“ წარმოდგენის დროს სოლეიმანის როლის შემსრულებელმა მეფური დიადობით გადმოხედა დარბაზს და იმის მაგიერ, რომ პიესაში ნათქვამი „ალყურანში (მაჰმადიანთა საღმრთო წიგნია) სწერიაო“ ეთქვა, წარმოსთქვა: „ყვავყორანში სწერია, რომ... და შემდეგ ისევე განაგრძო, ვითომ აქ არაფერიაო“ (1916, 10 ივლისი, № 28).

ჟურნალი უყურადღებოდ არა სტოვებდა თბილისში მოქმედ სომხური თეატრის წარმოდგენებსაც და ხშირად ბეჭდავდა წერილებს მათ შესახებ, აგრეთვე ცნობილი მსახიობების, დრამატურგების, მწერლების და საერთოდაც სომხური კულტურის მოღვაწეთა სურათებსაც ათავსებდა. მაგრამ ამასთან ერთად, არა იშვიათად აკრიტიკებდა კიდეც სომხურ პრესაში მოთავსებულ ზერელე ხასიათის, ტრაფარეტულ გამოთქმებზე აგებულ რეცენზიებს, რომელნიც არ ასახავდნენ მათი თეატრალური ცხოვრების სინამდვილეს, რადგან ისინი დადგმამდე ადრე იწერებოდნენ. ამის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ „ჭიტას“ ფსევდონიმით ერთი სხარტი შენიშვნა, რომელშიაც გაკენწლილია სომხური წარმოდგენის შესახებ დაბეჭდილი კურიოზული რეცენზია: „10 აპრილს საკრებულოში სომხურად „ავაზირა“ პიესის მაგივრად, ქართულიდან ნათარგმნი „ბაიყუში“ და რუსულიდან ნათარგმნი „მე მოვკვდი“ წარმოადგინეს, მესამე დღეს კი სომხურ გაზეთ „მშაკში“ ვინმე „ლ. ქ.“ ვრცელ რეცენზიაში დიდად აქებდა, როგორც ვითომდა წარმოდგენილ პიესას „ქვიშაზე“, აგრეთვე მასში მონაწილე მსახიობთ...

რეცენზენტობაც ასეთი უნდა: წარმოდგენა არ ყოფილა, რეცენზია კი ცხვება!.. აი, როგორ ეკიდებიან ხელოვნების წმიდა ტაძრისა და მწერლობის სამეუფოს. ჩვენს მეზობელთაც-კი ჰყოლიათ ჩვენებურ რეცენზენტთა მსგავსნი, არა მკითხველო!, „ვაი, სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე?“

ზერელე რეცენზიების ასეთ მხილებაში იგი თვითონ საკუთარი რეცენზიებითა და წერილებით იმის თვალსაჩინო მაგალითს იძლეოდა, თუ მართლაც როგორ უნდა ემსახურებოდეს ობიექტური თეატრალუ-

რი კრიტიკა და რეცენზია დრამატურგიის შემდგომ განვითარებასა და მსახიობის საშემსრულებლო ოსტატობის სრულყოფას.

იოლი იმედაშვილი სომხური დრამის შეფასებას არც მხოლოდ ასეთ წერილთან შენიშვნებზე არ აგებდა. მან აღფრთოვანებული წერილი უძღვნა სომხურ სცენაზე 1926 წლის 29 დეკემბერს შექსპირის „მაკბეტის“ დადგმას, რაც ამ წარმოდგენის მეორე დღესვე დაწერა. მისი აზრით, სომხურმა დრამამ ამ დადგმით პირველად სომხურ სცენაზე ფრიად გაბედული ნაბიჯი გადადგა, რომელშიაც მაკბეტის მთავარ როლს ნიჭიერი ტრაგიკოსი ვ. ფაფაზიანი ასრულებდა. სომხურ დრამას იშვიათად ახსოვს ასეთი გაჭედილი დარბაზი. საერთოდ დადგმის მხრივ ტრაგედია სავსებით ვერ იყო დაძლეული. შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს რომელიღაც საპროვინციო სცენაზე უყურებ სცენისმოყვარეთა წარმოდგენასაო. მთელი ყურადღება მიჯაჭვული ჰქონდა თვით მაკბეტის შემსრულებელს ვაჰან ფაფაზიანს და მარი ბეროიანს მაკბეტის დედაში.

ვ. ფაფაზიანმა რამდენადმე გაამართლა მოლოდინი. ვამბობთ „რამდენადმე“ — ჩახლეჩილი ხმა და გრიმი შეუფერებელი, სამაგიეროდ მიმიკა, მიხრა-მოხრა, განცდა დიდებული. განსაკუთრებით მრავალმეტყველი მკვლელობის სცენა, მეფის მოსაკლავად რომ წაემართება მის საწოლისაკენ და მკვლელობის შემდეგ სისხლით შესვრილი ბრუნდება, — მსახიობმა ყოველი ნაბიჯი საუცხოოდ შეასრულა, ასევე ბანკოს აჩრდილის მოჩვენებისა და სულიერი ქენჯნის სცენებში, და თუ ყველგან ერთნაირად ელვარე ვერ იყო, ამის მიზეზი გარემო წრეა — თანამოთამაშეთაგან ყველამ ვერ გაუწია თანატოლობა.

დედა მაკბეტი — ეს ერთი ურთულესი ხატებათაგანი შექსპირის მიერ შექმნილ ქალთა სახეებისა, — სახით პირმოთნეობა, გულით გველობა, — ეს ხასიათით ძლიერი ნებისყოფის პატრონი, მედგარი და შეუდრეკელი მარი ბეროიანის განსახიერებით ვერ იყო მთლიანი. მსახიობს ეტყობა მუშაობა, მაგრამ სრული ხორცშესხმა როლისა კი არა. მის განსახიერებაში პატივმოყვარეობა, მზაკვრობა, გამბედაობა, შთაგონების გავლენის უნარი დამაჯერებელი არ იყო... დასაწყისიდან თითქოს მობუზულიც კი იყო და გეგონებოდათ მძიმეზე მძიმე ტვირთი წამოუკიდიათო. უკეთესი იყო ბოლო სცენაში, მთვარეულივით რომ დადის ლამპრით ხელში, ფერგამკრთალი. თვალებმიმქრალი, მინელებული, თითებს რომ მანქანისებურად იწმენდს თავისთვის ჩურჩულით „სისხლი, სისხლიო“.

დანარჩენ შემსრულებელთა შორის აღსანიშნავია მამიკონიანი, რომელმაც თვისი ეპიზოდური როლი (მეკარე) დიდის ხელოვნებით აღასრულა... საცოდავობა იყო მასიურ სცენებში დიდებულნი, მონადირენი და მეომარნი. თითოეული მათგანის სახეზე გულციობის, გალენ-

ჩებისა და შეუგნებლობის მეტს ვერას ამოიკითხავდით, მაგ., მაკბეტის სულიერი დაავადების დროს, როცა ბანკოს აჩრდილი ეჩვენება მაკბეტს და ამის გამო სულიერ აგზნებას იწყებს, ლედი მაკბეტი მონადიმეთ ემუდარება და „ამშვიდებს“ — ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ნადიმს შეექეციოთო. მონადიმენი თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ მაკბეტის სულიერ ქენჯნასა და გაავზნებას — გეგონებოდათ, უძილობის სენი შეჰყრიათ, მთქნარებას ძლივს იკავებენო, ანდა ღრიანცელის თუ ომის დროს — ამოძახილი, უცებ ხმის ჩაწყვეტა, ან ერთი თუ ორი წამოიძახებს, დანარჩენნი თვალდაჭყეტილნი შესცქერიან — ეს რა ბ.-იბუვიაო. ყველა ამას აგვირგვინებს გახუნებული დეკორაციები. შედარებით კარგი იყო კუდიანების კოცონი ზედ შემომდგარი ქვაბით.

მიუხედავად ამისა, სომხური აკადემიური დრამა მისალოცია ამ ტრაგედიის დადგმისათვის და სწორედ იგივე დასი გვჯერა ამ პიესას უკეთ დადგავს და მისი განმეორება კი საჭიროა. მისგან უფრო მეტს გამოიტანს მაყურებელი, — ჩვენი ვასოს თქმისა არ იყოს — „შექსპირია, ბატონებო, შექსპირი“.

სამწუხაროდ, ეს რეცენზია არ დაბეჭდილა, რადგან ამ დროს „თეატრი და ცხოვრება“ აღარ არსებობდა.

საერთოდ ჟურნალს არ აკლდა ქართულ-სომხური კულტურის, განსაკუთრებით დრამატურგიის სფეროში დიდი ხნითგან არსებული შემოქმედებითი ურთიერთობის გაშუქება, მით უმეტეს, რომ თბილისში ადრევე არსებულ სომხური დრამის თეატრის რეპერტუარს აქაური სომეხი დრამატურგები და მწერლებიც ასაზრდოებდნენ. მათ გარდა, იმედაშვილმა სერიაში „მეზობელთა შორის“ წარსულის მოღვაწეთაგან გაიხსენა მაგ., 1891 წელს სიკვდილიდან 25 წლის თავზე ოსმალელი სომეხი, ევროპულად განათლებული, უნიჭიერესი მსახიობი პეტროს ადამიანი. იგი თბილისში 80-იან წლებში გამოჩნდა, რუსეთის ქალაქებიც მოიარა ჰამლეტის, მეფე ლირის, ოტელოს განსახიერებით და ყველგან აღფრთოვანება გამოიწვია. მან დაუდო საფუძველი სომხური ეროვნული თეატრის აღორძინებასა და კლასიკური რეპერტუარის დამკვიდრებას (იოსებ არიმათიელი, 1916, 23 ღვინობისთვე, № 43).

სიმბოლური იქნება უსავანოს, მოძღვარის, ჰიტას, იოსებ არიმათიელის თეატრალური რეცენზიების საერთო გაცნობა „თეატრი და ცხოვრებას“ უკანასკნელ ნომერში (1926, № 16) იოსებ იმედაშვილის უკანასკნელად დაბეჭდილი წერილით დამთავრდეს. იგი ეხება რუსთაველის აკადემიური თეატრის სახელმწიფო დრამატიულ სტუდიაში 1926 წლის 16 მარტს დადგმულ პირველ ქართულ პანტომიმას „მზეთამზეს“, რომელიც კოტე მარჯანიშვილმა და ალ. ახმეტელმა განახორციელეს.

იოსებ იმედაშვილი ჩვეული აღტაცებითა და პირუთვნელობით შეეგება არაბთა წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თემაზე შექმნილ გმირული პათოსით გაჟღენთილ წარმოდგენას, „რომელიც უაღრესად დახვეწილი სტილით; სახისა და სხეულის მეტყველი დინამიზმით მიმდინარეობს. ეროვნული წარსულის ლეგენდებსა და გადმოცემებზე აგებული მრავალპლანიანი სიუჟეტით და მღელვარე მომხიბლავი ეპიზოდებით დამაინტერესებელი თხრობის მთავარი მოტივები მოქმედების უწყვეტ დინებაშია გახსნილი კომპოზიტორ თამარ ვახვახიშვილის ქართული ჰანგებით აღსავსე მუსიკაში. ნათელ და შავბნელ ძალთა შებმა, კეთილისა და ბოროტის, სიყვარულისა და შურისძიების გააფთრება, სილამაზის ჯადოსნური სვლა, გმირული სიკვდილის ზეიმი ურთიერთის ცვლაში წარუხოცველი ხატების შთაბეჭდილებას ქმნიან.

ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინების დიდმა ქურუმმა კოტე მარჯანიშვილმა და ალ. ახმეტელმა თავისი ნიჭი და შემოქმედებითი ძალა ამ დადგმაში უხვად გადმოშალეს. მათ ამ საღამოს დაუმტკიცეს ჩვენი ხელოვნების ზოგიერთ უიმედო მაცქერალთ, რომ ქართულ ხელოვნებას აქვს სასიცოცხლო ძალა... ეს გამარჯვება უკავშირდება ახალგაზრდა მსახიობებს — თამარ წულუკიძეს, ცეცილია თაყაიშვილს, ვასო გოძიაშვილს, ვანო ლაღიძეს; მხატვრებს — ლადო გუდიაშვილს, დიმიტრი შევარდნაძეს“. რეცენზენტის დასკვნით, „მზეთამზე“ ქართული თეატრალური ხელოვნების მაღალი მიჯნაა ძველსა და ახალ თეატრს შორის.

მაგრამ განა ბოლომდე იყო გასაგები ამ განსაზღვრის შინაარსი? რა იყო ძველი და ახალი რუსთაველის თეატრში? მსახიობთა ძველი და ახალი შემადგენლობა, ე. ი. მოხუცთა და ახალგაზრდათა თაობები, თუ ძველი და ახალი რეპერტუარი. ვინც 1924 წელს 29 იანვარს „დურუჯის“ მანიფესტით ახალი თეატრის მოვლინება გამოაცხადა, ფაქტიური შემადგენლობითა თუ რეპერტუარით ისევე იყო ახალი, როგორც ძველი. რას ნიშნავდა ეს სიახლე და სიძველე, თუ მას მართლაც ჰქონდა საფუძველი, რომ ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში ურთიერთისათვის დაპირისპირებული, შემოქმედებითი სპეციფიკით განსხვავებული კოლექტივები გამოყოფილიყო? განა ახალ გამოყოფილ კოლექტივში თვითონ წამყვანი რეჟისორები და მსახიობნი ძველ თაობებს არ ეკუთვნოდნენ?

საგულისხმოა, რომ ძველი თაობის გალანძღვით დაწყებული „დურუჯის“ მანიფესტი თუ უპირველესად ვასო აბაშიძის გალანძღვას ნიშნავდა („კამეჩები“), მანიფესტის კითხვა არ იყო დამთავრებული, და აღშფოთებული მაყურებლის წინაშე შეურაცხყოფილად მიჩნეული ვასო აბაშიძე პარტერიდან სცენაზე აიყვანეს და კოტე მარჯა-

ნიშვილი თეატრის ყველაზე ძველ წარმომადგენელს საგულდაგულოდ გადაეხვია და გადაკოცნა.

ბევრი კითხვა იყო პასუხის გასაცემი, რათა გასაგები ჩამხდარიყო ქართულ თეატრში ასე უჩვეულოდ ხელოვნურად წარმართული პაექრობა, რომელიც დეკლარაციას არ გასცილებია, რომ მართლაც საინტერესო გამხდარიყო. განა მართლაც შეეძლო რუსთაველის თეატრს ყოველივე ძველის, როგორც ხელოვნებაში მნიშვნელობამოკლებულის, უარყოფა? როგორ განთავისუფლებულიყო „სიძველისაგან“, ე. ი. თეატრალური ხელოვნების სპეციფიკისაგან, რომლის გარეშე ჭეშმარიტი თეატრი ვეღარ იარსებებს, რომელიც ძირითადად კლასიკური რეპერტუარისა და სცენის ორგანიზაციის უძველესი ტრადიციების საფუძვლებს ეყრდნობა.

ამ გაგებით, თეატრის განთავისუფლება „სიძველისაგან“ მხოლოდ დეკლარატიული იქნება და ახალი მხატვრული ფორმებისა და მეთოდის ძიებაში ყოველგვარი რეფორმა ფაქტიურად ძველი თეატრის ფარგლებში დამთავრდება. ამდენადვე, ყოველი სწრაფვა სიახლისადმი რუსთაველის თეატრში კონკრეტულად რეჟისორის როლის გაზრდასთან თუ იყო დაკავშირებული, რაც ფაქტიურად მუშაობის მეთოდის განახლებისაკენ მოწოდებას ნიშნავდა, — მსახიობის, სცენის, დეკორაციის, მუსიკის ორგანიზაციის მხატვრულ მთლიანობაში გადაწყვეტას, რისკენაც ადრევე ეროვნული თეატრის შექმნით შთაგონებული რეჟისორი ალ. ახმეტელი იღვწოდა.

იოსებ იმედაშვილის რეცენზიებისა და წერილების მიხედვით, 1910—1920 წლების ქართული თეატრი დიდი მსახიობის ნიჭს მიჰყავდა, როგორც ოპერის თეატრში მთავარი პარტიის შემსრულებელს. თეატრი უმთავრესად იდეური შინაარსის პიესებით საზრდოობდა, რომელშიაც შემდგომ „ყოფით“ თემატიკას რევოლუციით მოტანილი ჰეროიკული სახეები შეეთავსა. შესამჩნევი გახდა ახალი იდეალების პათოსით და დინამიზმით მასების ამოძრავება.

ქართულ თეატრს პროფესიონალიზმი აკლდა და მისი სცენის წარმატებას ფაქტიურად მხოლოდ რეჟისორისა და მსახიობის პირადი ნიჭი სწყვეტდა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ დეკლარაციასა და პროგრამაში იქნებოდა ჩამოყალიბებული მისი შემოქმედებითი კრედო.

საერთოდ ხელოვნების ყველა სფეროში — მწერლობაში, პოეზიაში, მუსიკაში, მხატვრობაში, დრამატურგიაში და ყველაზე მეტად სახიობაში ახალი გზების ძიებამ მრავალგვარი იზმების გამომუშავებაში ბევრ უნიჭოს მისცა თავშესაფარი. ამიტომ თეატრი უნდა განთავისუფლებულიყო არა სიძველისა და „სიძველეთაგან“, არამედ უნიჭოთაგან, რომელთაც ჭეშმარიტი ხელოვნება აქციეს ხელოსნობად და,

ბევრ შემთხვევაში, დილეტანტიზმმა შეცვალა ნიჭი, ცოდნა და შთაგონება.

1910 წლიდან 1926 წლამდე „თეატრი და ცხოვრების“ რეცენზიის, როგორც მცირე ფორმის, თავისებური სტილი შეიქმნა, რომლისთვისაც უმთავრესი იყო ობიექტური თვალსაზრისი, კარგისა და ავის პირუთვნელი გარჩევა, მიდგომის ისეთი ფორმის გამონახვა. რომ მისი კრიტიკა მიჩნეულიყო არა როგორც გაკილვა, არამედ როგორც გაგება, თანაგრძნობა, კეთილი სიტყვა, ხელოვნების ჭეშმარიტი სამსახურისათვის მოწოდება, კრიტიკის ენის უფლების პატიოსნად გამოყენება. ამ პრინციპს რედაქტორი განუხრელად იცავდა როგორც სპეციალურ რეცენზიებში, ისევე მეთაურებსა თუ ყოველგვარი ხასიათის მიმოხილვებსა და ნარკვევებში.

„თეატრი და ცხოვრებას“ არსებობის განმავლობაში იმედაშვილს ჟურნალში სამასზე მეტი „მეთაური“ აქვს დაბეჭდილი, რომლებშიაც ძირითადად თეატრალური ხელოვნების საკითხებია განხილული. არანაკლები ოდენობის რეცენზიასა თუ მიმოხილვაში მას არასოდეს არ დაუთმია თავისი ძირითადი შეხედულებანი ადამიანის და ხელოვნების მიმართების გაგებაში. მის ნაწერებში ვერ მოვძებნით ისეთ მოსაზრებასა თუ რაიმე კრიტიკულ შენიშვნას, რომლის შეცვლა დასჭირებოდეს, ერთხელ გამოთქმული მოსაზრება სანანურად გახდომოდეს. მისი ასეთი ობიექტურობის საფუძველი მთელი მისი ცხოვრება-შემოქმედების სამოქმედო გეზი იყო, განსაზღვრული ეროვნული იდეოლოგიით, შემოსილი ხალხური სიბრძნისა და მეტყველების დამახასიათებელი სილაღით, თავისუფლებისადმი სწრაფვის შთაგონებით. ასეთი შეუპოვარი, უკომპრომისო პოზიციის გამო გასაგებია, რომ მას არ შეეძლო სტანდარტიზირებული ენთუზიაზმით ეწერა და ელაპარაკა, როდისმე ამოფარებოდა ოფიციალური ავტორიტეტის გაელენას.

ეროვნული თეატრისა და ოპერისათვის

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეროვნული თვითგამორკვევის ამ საკითხებთან ერთად, თავისთავადაც ბევრი იყო თეატრალური ყოველდღიური საქმიანობის გადასაჭრელი პრობლემები პროფესიონალური ეროვნული თეატრის შექმნისათვის, იმისათვის, რომ სანიმუშოდ ამაღლებულიყო ქართული წარმოდგენების დონე, რისთვისაც სისტემატურად იბეჭდებოდა სამსახიობო ხელოვნების სპეციალურ საკითხებზე ნარკვევები, უმთავრესად იმაზე, რომ ჩვენი თეატრი ეროვნულ თეატრად უნდა გადაიქცეს, შეიქმნას ორიგინალური დრამატურგია (1910, 5 ენკენ. № 35), ყურადღება უნდა ექცეოდეს,

რომ უცხოური პიესების ქართული დადგმები კარგად მზადდებოდეს და თეატრი გაქელილ-გადაღეჭილი რეპერტუარით კი არ უმასპინძლდებოდეს საზოგადოებას, არამედ რჩეული და მოწინავე ახალი რეპერტუარით.

ამიტომაც ი. იმედაშვილს მიაჩნდა, რომ თუ ქართული თეატრი მტკიცე ეროვნულ ნიადაგს უნდა დაადგეს, ქართულ სიტყვებთან ერთად, სულიც ქართული უნდა ტრიალებდეს, თორემ ლაპარაკი ქართულია, სახელი ქართულია, გარეგნობა ქართულია, შინაარსი კი ვინ იცის სადაური? ქართულად დაწერილ პიესებში იშვიათად თუ შეხვდებით ქართველის სულს, ქართველის ღიმილს, ქართველის სულისკვეთებას, ქართველის ცეკვას, სიმღერას... თითქოს ქართული დრამატურგია მშობელი ერის ცხოვრებას კი არ გვიხატავს (როგორც ნეტარხსენებული ასიკო ცაგარელი პირველი ხანის პიესებში), არამედ უცხო ცხოვრების, უცხო ქვეყნის შვილთ ქართველის სახელებს არქმევს. ქართველის სამოსელს აცმევს... ქართული დრამატურგია ეროვნული ცხოვრების — ხალხური თვითშემოქმედების წყაროს უნდა დაეწაფოს, მუნ გადაბნეული მარგალიტები ამოჰკრიბოს (ეროვნული თეატრი, თ და ც, 1917, 6 მარიამობისთვე, № 32, გვ. 9).

ამრიგად, ქართული თეატრის პირდაპირი დანიშნულება ეროვნული იდეალების ქადაგება უნდა ყოფილიყო და მისი რეპერტუარი უმთავრესად ორიგინალურ შემოქმედებას დაყრდნობოდა, მხოლოდ მაშინ შესძლებდა ეროვნული თეატრი თავისი ჰეშმარიტი მიზნის მიღწევას, თავისი სახელისა და არსებობის გამართლებას.

ამიტომ ჟურნალის ყოველ ნომერში გაშვებული მასალა ეროვნული იდეოლოგიის საკითხების გაშუქებისათვის იყო გამოყენებული და ასე იწერებოდა სპეციალური წერილები, ნარკვევები და მიმოხილვანი ქართული თეატრის, მუსიკისა თუ საერთოდ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საკითხებზე.

ამ თვალსაზრისით იყო გამიზნული ჟურნალში სერია წერილებისა, რომლებშიაც განიხილებოდა ქართული თეატრისა და დრამატურგიის არსებული მდგომარეობა და მისი სასურველი განვითარების პერსპექტივები. მათში აღსანიშნავია სანდრო ახმეტელის „არის თუ არა ქართული თეატრი — ქართული?“ (ბეჭდვა დაიწყო 1915 წლის 23 მაისიდან, № 21), ივ. გომართელის „ქართული თეატრის მოკლე ისტორია“ (1914, 25. V, № 12), ი. გედევანიშვილის „ქართველი მსახიობის გაპროფესიონალება“ (იქვე, № 112, 113), იპ. ვართაგავას „ჩვენი ეროვნული რეპერტუარის სიღარიბე“ (№ 5), ს. მგალობლიშვილის „ქართული თეატრის მოღვაწენი ქართლში“ (იქვე, № 14), ლ. ცაგარლის „სახალხო თეატრის მნიშვნელობა“ (იქვე, № 12), გ. ჯაბაურის „ქართული სახალხო თეატრის ისტორია“ (იქვე, № 10, 11), კ. ანდრო-

ნიკაშვილის „ქართული ორიგინალური დრამატურგია, (იქვე, № 14), გ. ლეონიძის „კონსპექტი ქართულ თეატრის ისტორიისა“ (იქვე).

სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა მომავალი პირველი ყრილობის გახსნისადმი მიძღვნილ „მეთაურში“ ი. იმედაშვილი აღნიშნავდა: „ერთადერთი ეროვნულად, მოქალაქეობრივად და საზოგადოებრივად გამწვრთნელი დაწესებულება ჩვენი თეატრია... ჩვენი თეატრია, რომ გვიფარავს ენას, ხალხოსნურ სულს, გვიღვივებს ეროვნულ თვითცნობიერებას. მაგრამ თითქოს ამ დაწესებულებასაც ეპარება გადამგვარებელი მიდრეკილება: მშობლიური ჰანგი, ქართული კილო წარყვნილია, შერეული... ხშირად წარმოდგენა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს უცხოელთ ახლად შეუსწავლიათ ქართული ენა და ისე თამაშობენო... რეპერტუარი? — აქამომდე ვისაც რა პიესა მოეპრიანებოდა, იმას სდგავდა, შინაარსსა და მხატვრულ მხარეს ხშირად ყურადღებას არ აქცევდა...

ეს თუ აქამომდე იყო, — დღეის შემდეგ აღარ უნდა განმეორდეს... სამშობლო ენის სიფაქიზის დაცვა, შერჩეულ-იდეური რეპერტუარი, დედა-ქალაქისა და პროვინციის თეატრების ერთი გეგმით ამოქმედება, დრამატიულ საზოგადოებათა გაერთიანება, მსახიობთა კავშირის დაარსება, განვითარებულ-მომზადებულ მსახიობთა რაზმის შექმნა, ავტორის ჯილდოს დაკანონება, მსახიობთა ფონდის დაარსება“. (1914, 8, VI, № 14).

თეატრალურ საკითხებთან დაკავშირებით იმედაშვილი თავიდანვე აღნიშნავდა ქართული ოპერის შექმნის საჭიროებასაც: „დღემდე ჩვენს სცენაზე განსაკუთრებით დრამა ბატონობდა, ქართველის სულსაც სწყურია წინმსვლელობა და სასცენო ხელოვნების ახალი ნაყოფი — ქართული ოპერა, ევროპულ ყაიდაზე შეთხზულ-შექმნილი, ქართველ მომღერალ-მოცეკვავეთა და მსახიობთაგან შესრულებული — აი რა არის ჩვენის თეატრის განვითარებისათვის საჭირო“. (1910, 27 VI, № 25, მეთაური: ნუ ვიქნებით კარჩაკეტილნი).

თბილისში ვორონცოვის დროს XIX საუკუნის ნახევრიდან იტალიური ოპერები „ნორმა“, „ლუკრეცია ბორჯია“ და სხვები იდგმებოდა, მაგრამ ქართველობას განა შეეძლო ეოცნება ეროვნული ოპერის არსებობაზე? — ქართულ ოპერაზე მაინც ოცნებობდნენ... ჩვენი საუკუნის ათიანი წლების დამდეგს ქართველ საზოგადოებას ხშირად ეცნობებოდა ხოლმე ამა თუ იმ ოპერის დაწერაზე ქართველ კომპოზიტორთა მიერ (გოგნიაშვილის, ბალანჩივაძის, ყარაშვილის, სულხანიშვილის, ფალიაშვილის, ჯაბადარის თუ სხვების)... როგორც უკვე ზემოთ ითქვა, 1910 წელს დაიბეჭდა ცნობა, რომ პარიზის კონსერვატორიაში მოსწავლე ახალგაზრდა კომპოზიტორი რევაზ გოგნიაშვილი მუშაობს ოპერა „გორის ციხის“ დაწერაზე (1910, 19 XI,

№ 37). შემდგომ ასევე თეატრალური ქრონიკა იუწყებოდა, რომ კომპოზიტორმა ანდრია ყარაშვილმა უკვე დაასრულა თავისი ქართული ოპერის „რუსთაველის“ მეორე მოქმედება — „ფატმანის წვეულება ავთანდილის პატივსაცემად“ (გუნდი, ანმასმბლი და ბალეტი), 1914, № 15). „კომპოზიტორი დ. არაყიშვილი პატარა ცემიდან მოსკოვს წავიდა. ცემში ყოფნის დროს დასწერა თავისი ოპერის „თქმულება რუსთაველზე“ მეორე მოქმედება“ (1914, № 22). ცოტა ხნის შემდეგ, იგივე წყაროს მიხედვით „კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა დაამთავრა თავისი ქართული ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ერთ მოქმედებად და ორ სურათად“ (1914, № 35). რამდენიმე თვის შემდეგ ისიც აღინიშნა, რომ „დ. არაყიშვილი თავის ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“ რუსული სცენისათვის ათარგმნინებს, რადგან ქართულ სცენაზე დასადგმელად შეძლება და ხელისშემწყობი პირობები ვერ იპოვა“ (1915, № 12).

უფრო კონკრეტული და იმედის მომცემი იყო ცნობა იმის შესახებ, რომ „კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი თავისი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პარტიების (როლების) გადაწერას მალე დაამთავრებს და მომზადებასაც შეუდგება. ოპერის სრულად დადგმა განზრახულია საშემოდგომოდ (1915, 22 აგვისტო, № 39). მსგავსი შინაარსის ცნობა ეხებოდა მელიტონ ბალანჩივაძის მიერ პეტროგრადში თავისი ოპერის „დარეჯან ცბიერის“ ქართულად და რუსულად დამთავრებას. ოპერას ამზადებენ და განზრახულია ამ ორ თვეში პეტროგრადის საიმპერატორო თეატრში დაიდგასო (1916, № 11).

ამ მხრივ საინტერესო იყო ცნობა იმის შესახებაც, რომ „ახალგაზრდა კომპოზიტორმა ირ. ჯაბადარმა დასწერა ოპერა „გულნარა“ (1916, № 25). აგრეთვე ცნობა, რომ ვეფხისტყაოსნის შინაარსიდან ახალ ოთხმოქმედებიან ბალეტსა სწერს კომპოზიტორი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი (1915, № 50).

მსგავსი ცნობები ი. იმედაშვილს საფუძველს აძლევდა იმავე 1915 წელს ქართულ სასცენო ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ზოგად მიმოხილვაში აღენიშნა, რომ „ჩვენმა ეროვნულმა მუსიკამაც სათვალჩინო ნაბიჯი გადასდგა. გაიმართა ერთი კონცერტი უდროოდ გარდაცვლილ ჭილაშვილის ნაწარმოებთა. დ. არაყიშვილმა დაამთავრა თავისი ქართული ორიგინალური ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველის შესახებ“. დასწერა რამდენიმე სამუსიკო ნაწარმოები. ახალ კლუბში გაიმართა ორი კონცერტი. ზ. ფალიაშვილმა დაამთავრა ოპერა „აბესალომ და ეთერი“. კ. ფოცხვერაშვილმა გამართა სამი მეტად საყურადღებო სასულიერო-საერო, უმთავრესად საკუთარ ნაწარმოებთა კონცერტი: ერთი მეფის მოადგილის სასახლეში, მეორე არტისტული საზოგადოების დარბაზში, მესამე სახალხო სახლში, სადაც

ლექცია წაიკითხა. თვალსაჩინო ამაგი დასდეს სამშობლო სახალხო ჰანგების გავრცელებას მ. კავსაძის, ქავთარაძის, ლოლუა, გოძიაშვილის და სხ. მუშა-ხელოსანთა გუნდებმა. ნიკ. სულხანიშვილმა გრამაფონით ჩასწერა სიმღერები, ევა ბრიუნელმა, რომელიც „ახალ კლუბში“ ლოტბარობდა, კახეთში მოგზაურობის დროს შეჰკრიბა ადგილობრივი ხმები და სხ. ყველა მუსიკოსნი მასალებსა ჰკრებენ და ეროვნულ ჰანგებს ნოტებზე ამუშავებენ. ეს მუშაობა ნათელს ჰყოფს, რომ ქართულ მუსიკას მალე შეეძინება ვრცელი მუსიკალური ორიგინალური ნაწარმოები. ამის თავდებია ჩვენ კომპოზიტორთა და მუსიკის მოყვარულთა პირველი ნაბიჯები“ (1915, № 1, გვ. 15).

ასეთი იყო ცნობები და სურვილები, მაგრამ ქართული ოპერები სცენაზე არა ჩანდა, ქართული ოპერის შესაქმნელად ჯერ კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი. თბილისში ოპერის თეატრი არსებობდა, მხოლოდ არა ქართული, და „თეატრი და ცხოვრება“ ისევ ეროვნული ოპერის შექმნისათვის მოუწოდებდა ქართველ კომპოზიტორებს: „ქართველ საზოგადოებას სწყურია ოპერა, მხოლოდ მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებული. ქართველ კომპოზიტორთა ვალია ამ მოვლენას ანგარიში გაუწიონო“ (1916, № 16).

ამავე მიზნით (1917, № 42) ქართული საზოგადოებისადმი მეტად საყურადღებო მოწოდება გამოქვეყნდა: „ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირმა დაადგინა თავისი მშობლიური ხელოვნება დააყენოს სასურველ დონეზე და შეებრძოლოს ყოველ დაბრკოლებას, რომელიც კი გადაეღობება ამ მიზანს.

ამიტომ მან საჭიროდ სცნო ქართული ფილარმონიული საზოგადოების გარდაქმნა, გაეროვნულება, ნაციონალიზაცია და სათავეში ჩაუყენოს იმნაირი მცოდნე პირნი ჩვენი მუსიკისა, როგორც: დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, მ. ბალანჩივაძე, ყარაშვილი, ია კარგარეთელი, კ. ფოცხვერაშვილი, ნ. ქართველიშვილი და სხვ.“

აქედანაც ჩანს რომ ეროვნული ხელოვნების აღორძინებისათვის იმედის მომცემი მუშაობა იყო გაჩაღებული, რასაც ხშირად აბრკოლებდა არა სათანადო მისწრაფებისა და ნიჭის ნაკლებობა, არამედ მატერიალური და ორგანიზაციულ-ადმინისტრატიული მოუწესრიგებლობა და გამოუცდელობა. ამიტომ ქართული ოპერები დაიწერა, მაგრამ ვიდრე ვეღირსებოდით ნამდვილ, ქართული მუსიკალური ხელოვნების მაღალ დონეზე შექმნილ ოპერების დადგმებს და ჩვენი ოპერის თეატრში ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილისა და მელიტონ ბალანჩივაძის ოპერების დიდებულ ჰანგებს მოვისმენდით, მანამდე „თეატრი და ცხოვრებასთან“ ჩამოყალიბებული ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის თაოსნობით, მაშინდელი ქართული კლუბის ხელის შეწყობითა და ნიკო ქართველიშვილის ლოტბარობით 1918

წლის 21, 22, 25 მაისს წარმოდგენილი იყო კომპოზიტორის რევაზ გოგნიაშვილის ორიგინალური ოპერა „ქრისტინე“ ე. ნინოშვილის მოთხრობისა და პოლიო ირეთელის პიესის მიხედვით.

„ქრისტინეს“ წარმოდგენაში მონაწილეობდა ვანო სარაჯიშვილიც. ამ ოპერას, როგორც პირველ ნაბიჯს, წამახალისებელი რეცენზიით გამოეხმაურა ექიმ შტოკმანის ფსევდონიმით იოსებ იმედაშვილი, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმას, რომ მის თითოეულ მოქმედებას თემატურად სათანადო ეღერადობის ეროვნული ხასიათის მელოდია გამოხატავს. პირველს სოფლის ამაყი ცხოვრების მხნე ჰანგი, მეორეს სამიჯნურო სულისკვეთება, მესამეს მოტყუებული ქრისტინეს სევდით მოცული ჰანგი კვნესა-ვაებისა, მეოთხეს ქალაქური გარყვნილების მორევში ჩავარდნილი, ოდესღაც უმანკო ასულის ქოთქოთისა. ამ ოპერამ მაინც ერთბაშად ახალი სხივი შეაშუქა ჩვენს სამუსიკო ცხოვრებაში — ქართული ხალხური ხოროს მუსიკით, ეროვნული ცხოვრების შინაარსით (ოპერა „ქრისტინე“, 1918, 2, VI, №8 და № 9).

ამავე ოპერის დადგმას საყურადღებო მოგონება უძღვნა თეატრმცოდნემ ს. წერეთელმა, იმ სიძნელეთა გადალახვის აღნიშვნით, რაც წილად ხვდათ მის ორგანიზატორებს. კერძოდ, ისიც იყო აღნიშნული, რომ უფულობის გამო მის დადგმას — ფარდის ახდას ჩაშლა ელოდა, თუკი წინასწარ განსაზღვრული თანხა არ იქნებოდა გადახდილი. იოსებ იმედაშვილმა იმ კვირის ჟურნალის გამოსაცემი საკუთარი ფული 50 თუმანი შესწირაო (პირველი ქართული ოპერა „ქრისტინე“ როგორ დაიდგა სახელმწიფო თეატრში, 1920, 21 თიბათვე, № 21).

რასაკვირველია, ქართული ეროვნული ოპერის დიდ დღესასწაულს კიდევ ცოტა დააგვიანდა და მისი ნამდვილი ტრიუმფი ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერით“, დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველით“, მელიტონ ბალანჩივაძის „თამარ ცბიერით“ დაიწყო. სამწუხაროდ, განხორციელება ვერ ეღირსა ნიკო სულხანიშვილის ოპერა „პატარა კახის“ დადგმას, რომელიც ცალკეული ფრაგმენტებით ცნობილი იყო საზოგადოებისათვის (მაგ., „დაიგვიანეს ჯერ არსად ჩანან“) და გაურკვეველ პირობებში დაკარგულად ითვლება.

ყოველშემთხვევაში ამ პირველმა გამარჯვებებმა ამასთან ისიც კარგად გამოამჟღავნეს, თუ როგორ იყო ჩამორჩენილი ქართული მუსიკის განვითარების საქმე სათანადო ეროვნული კადრების ნაკლებობით, ისე, რომ 1924 წელსაც „თეატრი და ცხოვრებაში“ ქართული ხელოვნების არასახარბიელო მდგომარეობის გამო საჭირო გახდა აღნიშნულიყო, რომ მაგ., „ქართული კინო-თეატრის წარმოებაში მეტწილად უცხონი მუშაობენ, კონსერვატორიაში მომავალ მომღერლებს იტალიურ ენაზე გვიზრდიან, ქართულ ოპერებში რუსი მსახიობები

გამოდიან და ყველგან ჩვენ ეროვნულ სახეს ამახინჯებენ და სხვ.". (10, VIII, №15, გვ. 2).

იოსებ იმედაშვილი კიდევ იმას მოაგონებდა, რომ „საქართველოს დედაქალაქს ოპერაც ეჭირვება. უცხო საოპერო დასების გარდა უნდა შესდგეს საოპერო დასი და ქართული ოპერის საქმეს საძირკველი ჩაეყაროს. ჩვენ საამისოდ რეპერტუარიც მოგვეპოვება და ძალებიც გვყავს. ოპერები — „თამარ ცბიერი", „ვეფხისტყაოსანი", „შოთა რუსთველი", „აბესალომ და ეთერი", „ქრისტინე", „ღალატი", „კერპთა დამხობა" და სხვ. შესაფერი მომღერალ მსახიობნიც გვყვანან აქა-იქ გაფანტულნი, ხოლო როცა საქმე დაიწყება, მაშინ ახალი ძალნიც გამოჩნდებიან" (ჩვენი თეატრი — დრამა და ოპერა. 1918, 16 ივნისი, № 9).

ეს ნაკლიც ჩქარა გამოსწორდა და საჭირო ეროვნული კადრების აღზრდამ არაერთი საიმედო ძალა შესძინა ქართული ოპერის თეატრს, რამაც შესამჩნევად შეუწყო ხელი ჰეშმარიტი ეროვნული სტილითა და ხასიათით აღბეჭდილი საშემსრულებლო ხელოვნების წარმატებას. რასაკვირველია, ქართული მუსიკის ეროვნული შინაარსისა და ფორმის განვითარებაში მთავარი წვლილი ოციანი წლების ქართველ კომპოზიტორთა ბრწყინვალე ნიჭიერების გამოვლენა იყო, მართლაც დიდი შემოქმედებითი მიღწევა, ქართული ხელოვნების არნახული ზეიმი, როგორც ძველი ქართული სიმღერა-გალობის ტრადიციების აღდგენაში, აგრეთვე პროფესიული მუსიკის შექმნაში. აღსრულდა არჩილ ჯორჯაძის წინასწარმეტყველება — ძველი ქართული მდიდარი მელოდიების საფუძველზე ქართული მუსიკის განვითარების დიდი მომავლის შესახებ — თითოეული ხალხური მელოდიით მთელი სიმფონიები და ოპერები დაიწერებაო...

„თეატრი და ცხოვრებას" 1910 წლის ოქტომბრის არგამოსული № 40

1910 წლის 10 ოქტომბერს მორიგი № 40 უნდა გამოსულიყო, რომელიც უკვე მთლიანად აწყობილი, კორექტურა გასწორებული, გვერდებად შეკრული და ყოველმხრივ გამზადებული იყო დასაბეჭდად. მისი მეთაური, როგორც ყოველთვის, იმედაშვილს ეკუთვნოდა: „ხელოვნება, მხოლოდ წმინდა ხელოვნება" (გვ. 1—2), ემსახურება თავის დანიშნულებას". ეს აზრი საერთოდ გატარებული აქვს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მეთაურ წერილებში: „ქართული თეატრი პარტიულ-წოდებრივი, თავადაზნაურული, ბურჟუაზიული კი არ უნდა იყოს, არამედ ეროვნული, ხალხური" (1910, № 28).

იმავე ნომერში ი. ი.-ის ფსევდონიმით წერილის: „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან—დავით გიორგის ძე ერისთავზე“ (გვ. 3—5), აგრეთვე „ედმონდ კინის“ ფსევდონიმით რეცენზიის „სახალხო სახლი“ (გვ. 14—15), ალ. სუმბათაშვილის პიესა „ღალატის“ წარმოდგენაზე, ძირითადი აზრია ეროვნული თეატრისა და დრამატურგიის შექმნა, სასცენო კულტურის ამაღლება, რომ თეატრი წარმატებით ემსახურებოდეს ეროვნული სიტყვისა და იდეის დანერგვას.

ასე იყო გამზადებული ჟურნალი დასაბეჭდად. მაგრამ 10 X დილით მის გასაშვებად სტამბაში რედაქტორი არ მოვიდა. გამოირკვა, რომ იმ ღამეს იგი დაეპატიმრებინათ, და იმედაშვილის გვარით ჟურნალის გაშვება შესაძლო იყო მისი ტირაჟის აკრძალვით გაუქმებულიყო, რაც სტამბასაც აზარალებდა. ამიტომ ი. გრიშაშვილისა და ვ. გუნიას ინიციატივით მანქანაზე გასაშვებად დარჩენილ ჟურნალს „თეატრი და ცხოვრებას“ მხოლოდ სათაური შეეცვალა და გამოიცა როგორც ალმანახი „ხელოვნება“ № 1. (გამომცემლად ხელმოწერილია ამავე ჟურნალის ასოთამწყობი მუშა გიორგი მურალაშვილი).

ამის შესახებ თვითონ ასოთამწყობი გიორგი მურალაშვილი ასე იგონებდა: „ერთ შაბათ დღეს დილით მიველი სტამბაში, რომ სულ მთლად მომზადებული, აწყობილი, შეკრული (ვერსტკანაქნარი) ჟურნალი დაგვებეჭდნა. დაბეჭდვის მეტი აღარაფერი სჭირდებოდა: ველოდე, ველოდე, მაგრამ იოსები არ მოვიდა, შემდეგში შემატყობინეს, რომ იოსები წუხელ დაიჭირესო. ეს მაცნობეს ვ. გუნიამ და ი. გრიშაშვილმა. ძალიან მეწყინა, ეს რომ გავიგე, მაგრამ რას ვუშველიდით. ბევრი ვიფიქრე, თუ რა გვექნა მზათ გაწყობილი ჟურნალისათვის, მენანებოდა ჯერ იოსების შრომა და მერე კიდევ ჩემი. ავდექით და ამნაირად მოვიაზრეთ: სახელი გამოუცვალეთ: „თეატრი და ცხოვრებას“ მაგივრათ ალმანახი „ხელოვნება“ სათაურათ დავარქვით ჩემი რედაქტორ-გამომცემლობით, დავბეჭდეთ და გაიყიდა კიდეც: არც ჩემი შრომა დაიკარგა, არც იოსებისა“ (1925, ივნისის 1, № 12, გვ. 15).

იოსებ იმედაშვილის გასამართლება სამხედრო ტრიბუნალის მიერ

რა მოხდა? — დადგა შავი რეაქციის ხანა, იმედაშვილს გაუხსენეს რევოლუციური წარსული, 1903 წლის პირველი პოლიტიკური პატიმრობა, „გარეკახეთის ერთობის“ საქმიანობა და როგორც არსებული რეჟიმის დასამხობად მოქმედი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ წევრი 102, 11 მუხლის საფუძველზე პასუხისგება-

ში მისცეს და გაასამართლეს. წარმოებული „საქმიდან“ ჩანს, რომ იმედაშვილის დასაპატიმრებელი მამხილებელი მასალების შესაკრებად როტმისტრი პრიგორა გუბერნატორის განსაკუთრებული დავალების შესაბამისად მთელ სამ წელს მუშაობდა, ვიდრე პროკურატურას თავის დასკვნას მისცემდა. მის მიხედვით, ბუკინისტი იოსებ იმედაშვილი 1903 წლიდან შენიშნულია არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვა-გავრცელებაში, საიდუმლო კრებების მოწყობაში, იგი ხშირად გამოდიოდა სახალხო მიტინგებზე მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებით და ქართველ ხალხში ნერგავდა ეროვნულ იდეას, რისთვისაც მუდმივად იმყოფებოდა საიდუმლო მეთვალყურეობაში და რამდენჯერმე იყო გაჩხრეკილ-დაპატიმრებული. იყო ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში და ცნობილია როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი ორატორი და მოღვაწე.

იმედაშვილი 1910 წლის 10 ოქტომბრის შუალამეს ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის ორდერის საფუძველზე პრისტავის თანაშემწემ ივანე კისელ-ზაგორიანსკიმ დააპატიმრა, რომელმაც ბინა გაუჩხრიკა და საეჭვოდ მიჩნეული დოკუმენტები, მიმოწერა ქართულ-რუსულ ენებზე, არალეგალური წიგნები და ბროშურები ჩამოართვა, მათ შორის — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა.

„ერთობის“ მოძრაობის მეთაური იმედაშვილი გაასამართლა კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ გენერალ-მაიორ შმერლინგის თავმჯდომარეობით.

კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს საბრალდებულო აქტში ასე იყო ფორმირებული მისი რევოლუციური საქმიანობა: «Иосиф Захарьевич Имедашвили обвиняется в том, что в конце 1905, в 1906 и 1907 годах, в селении Хашми, Тифлисского уезда, состоящего на военном положении, состоя членом преступного сообщества, именующего себя «Российской социал-демократической рабочей партией», поставившей целью своей деятельности, путем вооруженного восстания народа и войск, ниспровержение существующего в России, установленного законами основными, образа правления и образование республики с передачей верховной власти в руки законодательного собрания, и составленного из представителей народа, он, для достижения означенной цели, собирал митинги крестьян и говорил последним что им не нужно ни Царя, ни правительства, что крестьяне будут управляться сами, что властей слушать не надо, податей платить не следует, как равно не надо давать солдат, причем крестьяне воспринимали эту пропаганду и в течении 1905 и 1906 годов не вносили податей и не являлись к отбыванию воинской повинности».

იმედაშვილის დაცვა ყოველგვარი სასყიდლის გარეშე იკისრეს ჩვენ საზოგადოებაში კარგად ცნობილმა საზოგადო მოღვაწე ვექილებმა — იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილმა და შალვა მესხიშვილმა. ფართო საზოგადოებრივი ხასიათის ამ პოლიტიკურმა პროცესმა ხალხის განვლილი რევოლუციური აღმავლობის ცოცხალი სურათი აღადგინა, ქართული სოფლის ცხოვრების ფონზე მეფის მთავრობასთან ბრძოლის ყიყინით, თავისუფლების იდეალების მოწოდებით, კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს საზოგადოების რეაქციული და პროგრესული ძალები. 1911 წლის ნოემბერი იყო — ცხრაას ხუთიშვიდი წლებში მასების გაბედული გამოსვლების, ძმობა-ერთობა-თანასწორობის აღმაფრთოვანებელი შეძახილების დრო წარსულს ჩაბარდა, „წესიერება“ აღსდგა, ცარისტული მთავრობა ხალხზე გამარჯვებას ზეიმობდა და ციხეებს ხალხის რჩეული შვილებით ავსებდა.

გასამართლების მსვლელობა ოფიციალური ოქმებისა და დოკუმენტების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, მეტად ძუნწად და ფორმალურად ასახავს საქმის ვითარების, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო დეტალებსა და ეპიზოდებს, მაგრამ იგი მაინც საგულისხმოდ გადმოგვცემს იმედაშვილის რევოლუციური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მთავარ გეზს და მიმართულებას. ეს არსებითად XIX საუკუნის ბოლოდან იწყება, როცა იმედაშვილი თავისთავადაც კარგად იყო ცნობილი პროგრესული ლიტერატურის გამოცემებითა თუ ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებსა და სოფლებში საჯარო გამოსვლებით, რაც თავის დროზე პრესაშიც პოულობდა ასახვას. 1902 წელს მაქსიმ გორკის მოთხრობების გამოცემა გაბედული წინასიტყვაობით, მუშათა თეატრის დაარსება, საკუთარი პროგრესული ჟურნალის შექმნა, ბოლოს გარეკახეთის „ერთობის“ რევოლუციური მოძრაობა ისეთი ფაქტებია, რომელთა დამალვა და ვერ დანახვა შეუძლებელი იყო მტრებისა თუ მოყვარეთა მიერ.

იმედაშვილის საქმეზე დაკითხული იყო საგარეჯოს რაიონის ოცამდე სოფლის ასზე მეტი მოწმე, უმეტესობა გლეხობა, რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე, ადმინისტრაციის მოხელენი, მღვდლები, მამასახლისები, თავადები.

მოწმეთა ჩვენებანი იმედაშვილისადმი დამოკიდებულების სამი პოზიციით გამოიკვეთა: აშკარად მტრული, რომელიც გარკვეული მიზნით ბრალდების დასამძიმებლად დანაშაულის ფაქტების გაზვიადებას ცდილობდა, ზომიერად თანამგრძნობი, რომელიც „არვიცის“ ფორმულით არსებულ ფაქტებს უარყოფდა, რომ შეემსუბუქებინა სასჯელი, და ნეიტრალური, რომელიც საქმის მხოლოდ ფაქტების ობიექტურ აღწერას ეყრდნობოდა, არც უმატებდა, არც აკლებდა, ფაქტებისადმი არც საკუთარ დამოკიდებულება-შეფასებას ამჟღავნებდა.

პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა გადაწყვიტეს იმედაშვილის გასამართლება მასთან პირადი ანგარიშის გასწორებისათვის გამოყენებინათ და რეაქციულ ძალებთან, დაქირავებულ აგენტებთან, შავრაზმელებთან, შანტაჟისტებთან, პროვოკატორებთან კავშირში დაბეზღება-ცილისწამების ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ მთავრობის წინაშე იგი ისეთ საშიშ პოლიტიკურ დამნაშავედ ეცნოთ, რომ მას ციმბირი არ ასცდენოდა, ამავე დროს ხალხის თვალშიც გაეშავებინათ, მისი პიროვნება მორალურად შეელახათ, მფლანგველად და სისხლის სამართლის დამნაშავედ გამოეყვანათ. პირიქით, მოწმეთა უმეტესობა მისთვის სასჯელის შემცირების მიზნით უარჰყოფდა მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობაში იმედაშვილის მონაწილეობას, მის რევოლუციონურ მუშაობას.

„საქმის" მიხედვით 70 დაკითხულ მოწმეთაგან (გლეხები — იაგორ ყურკაციშვილი, ესტატე ყირმელაშვილი, დ. ჯოხირეცხაშვილი, მიხო ჯაგოდნიშვილი, სოლ. და ვასო ხაბაზიშვილები, პეტრე ლაღიძე, სიმონ და ია შავკაციშვილები, კონ. და სიმ. ნახუცრიშვილები, ნიკო მამუჩიშვილი. იოსებ და თეიმურაზ ქოქრაშვილები, დიმ. გოგნიაშვილი, ი. პაატაშვილი, ია ჭუაძე. ადმინისტრაციის მოხელენი თავადები: ლ. ჯანდიერი, ი. ავალიშვილი, ალ. გეღევანიშვილი, ვაჩნაძე, ს. მაყაშვილი, მემამულე თავადი თადო ჩოლოყაშვილი, კნეინები — მ. ჩოლოყაშვილი, გ. მელიქოვა. თანამდებობის პირნი — ვლ. ვოზნესენსკი, დ. წერეთელი, ბ. გოგოხია, გ. კვალიაშვილი, შანშიაშვილი, მღვდლები, მამასახლისები) უმრავლესობა უჩვენებდა, რომ იმედაშვილის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ არაფერი ვიცით, იგი ფულს აგროვებდა არა იარაღის შესაძენად, არამედ სკოლის შეკეთებისა და თეატრის ასაშენებლად, მთავრობის საწინააღმდეგოდ გლეხობას არ აჯანყებდა, იგი სოფლისათვის სასარგებლო მამასახლისი იყო, გულისხმიერი, კანონისა და წესრიგის დამცველიო.

საგულისხმო და საკვირველი ის არის, რომ იმედაშვილის გადარჩენის ასეთ პოზიციაზე იდგნენ მთავრობის ზოგი ოფიციალური მოხელენიც... ამ მხრივ პროცესში ყველაზე უჩვეულო მაინც ის იყო, რომ იმედაშვილის უანგარო პიროვნების მომხიბლაობამ მისდამი სიმპატიით განაწყო თვით სასამართლოს თავმჯდომარე შმერლინგიც კი, რომელიც ბრალდებულის საზიანოდ სასჯელის გადიდებისათვის დანაშაულის დამამძიმებელ ყოველ გარემოებას არ იყენებდა, რაც სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა გამოყენებულიყო. პიროვნული ღირსებისა და სიკეთის რაოდენ ბუნებრივად დიდი გრძნობით აღბეჭდილ შინაგან კეთილშობილებას აშკარავებდა ზოგი პრისტავის საქციელიც კი, რომელსაც სამსახურის დაკარგვის აშკარა საფრთხის მიუხედავად, არ

ეშინოდა პოლიტიკური დამნაშავის სასარგებლოდ კეთილი სიტყვა ეთქვა.

ამ მხრივ ყველა მოწმეთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა სართიჭალის უბნის პრისტავი თავადი ივანე ავალიშვილი, რომლის ჩვენებაში აშკარად ჩანდა, რომ მას კარგად ჰქონდა შეგნებული პროცესის საზოგადოებრივი აზრი და მნიშვნელობა და რომლის სიმართლეს, თავისი ადმინისტრატიული თანამდებობის მიუხედავად, შინაგანად თანაუგრძნობდა. ამიტომ თავის განმარტებებში იგი ყოველნაირად ცდილობდა იმედაშვილის რევოლუციურ საქმიანობაში ხალხისათვის ობიექტურად სასარგებლო ღონისძიებანიც დაეხსნა, რომელნიც, მისი აზრით, ხელს უწყობდნენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას. მისი დაკვირვებით, სართიჭალის უბნის სოფლები დასავლეთ საქართველოს რაიონების ხალხის მღელვარების გავლენით რევოლუციური ცეცხლით იყო მოცული, ისე რომ მაგ., პრისტავი ობოლენსკი თავის უბანში ფაქტიურად პატიმრის როლში იმყოფებოდა და გარეთ ვერ გამოდიოდა. ამ მოძრაობის პრაქტიკული შედეგი ის იყო, რომ ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა ადმინისტრაციას, მაგრამ აქ მაინც ადგილი არა ჰქონია მასიურ არეულობას, გლეხობის მიერ თავადების სახლ-კარის დარბევას, რის ნიადაგზედაც მოსალოდნელი იყო სისხლისმღვრელი კონფლიქტებიო.

უფრო სახიფათო მდგომარეობა იქმნებოდა იმით, რომ ადმინისტრაციის ორგანოთა დროებითი პარალიზებით სარგებლობდნენ ძარცვა-გლეჯას მიჩვეული ქურდ-ბაცაცები, საძოვრებიდან იტაცებდნენ საგარეჯოს, ხაშმის, ლილოს, მარტყოფის, ნორიოს, სართიჭალის ცხვარსა და საქონელს და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ინციდენტების მშვიდობიანი გზით თავიდან ასაცილებლად მთავრობა უძლური იყო, რაც მეტად დაძაბულ და სახიფათო მდგომარეობას ჰქმნიდა. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში სოფელ ხაშმის მამასახლისის იოსებ იმედაშვილის ინიციატივით საგარეჯოში შესდგა ქართველ, სომეხ და თათართა მოსახლეობის, მამასახლისებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ერთობლივი ყრილობა ჩემი და რამდენიმე პრისტავის თანდასწრებით. ამ ყრილობაზე იმედაშვილმა შეძლო ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე გონიერი სიტყვითა და ენერგიული მოქმედებით მშვიდობიანად მოეგვარებინა საქონლის გატაცების ყველა სადავო საკითხი, სომხები და თათრები შეერიგებინა და ერთმანეთის კეთილ განწყობილებაზე დაეფიცებინა. პრისტავი ავალიშვილი იმედაშვილს ახასიათებდა როგორც ორატორის ნიჭით დაჯილდოვებულ მოღვაწეს, ხალხის მუდმივ მეგობარს, რის გამოც მას ხალხში განუსაზღვრელი ნდობა, სიყვარული და გავლენა ჰქონდა მოპოვებული. მისი აზრით, იმედაშვილი მარქსის მოძღვრებიდან, რომელსაც სოცი-

ალ-დემოკრატიული პარტია ეყრდნობა, ქართველი გლეხობის ინტერესების გათვალისწინებით თანდათან ეროვნული მიმართულებისაკენ გადაიხარა და 1905 წლიდან საბოლოოდ ნაციონალისტებში გადავიდა, რითაც პარტიის მრისხანე ანათემა გამოიწვია და რის გამოც პრესამ შეაჩვენა და იუდათ მონათლაო. მის წინააღმდეგ შექმნილი კოალიცია მას ებრძოდა პროვოკაციებით, ცილისწამებით, დაბეზღებით, რის მსხვერპლიც იგი ეხლა გახდაო.

კიდევ უფრო საკვირველია, რომ იმედაშვილის გადარჩენის პოზიციაზე იდგა თბილისის მაზრის უფროსი შტაბსკაპიტანი ვოზნესენსკიც კი, რომელმაც უჩვენა, რომ სართიჭალის რაიონში (ხაშმი, პატარძეული, ნინოწმინდა, საგარეჯო, მანავი) ორჯერ ვიყავი იმედაშვილის მამასახლისობის დროს და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში იდგა, გადასახადი გროვდებოდა და ჯარისათვის ახალწვეულთა შეკრება სრულდებოდაო. იმედაშვილი არ ეკუთვნოდა რევოლუციონერთა ჯგუფს, ის მხოლოდ გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდა. იგი სამაგალითო მამასახლისი იყო, უაღრესად გონიერი პიროვნება და ძლიერ მეეჭვება, რომ მას მონაწილეობა მიეღოს კანონის საწინააღმდეგო საქმიანობაში. მისი ინიციატივითა და ენერგიული მეცადინეობით აცილებული იყო მარტყოფის მამასახლისის მკვლელის ბერიძის თვითნებური გასამართლება და სიკვდილით დასჯაო.

ასევე „მიროვოი პოსრედნიკმა“ თავადმა ივანე ვაჩნაძემ, სახალხო მოძრაობისადმი სიმპატიით განწყობილმა აჩვენა, რომ იმედაშვილი დიდად იყო პოპულარული ადგილობრივ მოსახლეობაში და გლეხობა ენდობოდა. იგი ახლო იდგა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან, მაგრამ მერე ჩამოსცილდა მათ და არ ვიცი, ეწეოდა თუ არა მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას. მას აბრალებდნენ ხალხის ფულების გაფლანგვას, იგი თვითონ მოვიდა ჩემთან, ჩამაბარა ანგარიშები და გამოირკვა, რომ არათუ მას ჰქონდა ხალხის ფული გაფლანგული, არამედ პირიქით მას სოფლისაგან ეკუთვნოდა კიდევ 400 მანეთი.

საქმის ობიექტური ვითარების თვალსაზრისით ნეიტრალურ პოზიციაზე იდგა ისეთი მთავარი მოწმე, როგორიც იყო სიღნაღის მაზრის ყოფილი უფროსი „ნადვორნი სოვეტნიკი“ ბესარიონ გოგობია, რომელმაც უჩვენა, რომ თბილისის გუბერნატორის დავალებით შევისწავლე სახელმწიფოებრივი წესიერებისა და საზოგადოებრივი უშიშროების საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეთა საქმე და დავადგინე, რომ იმედაშვილი იყო საგარეჯოს სოციალ-დემოკრატიული მებრძოლი ორგანიზაციის წევრი, რომელიც ყველაზე ქმედით მონაწილეობას იღებდა ამ ორგანიზაციის ყველა საქმიანობაში. იგი რაიონის

მოსახლეობას შორის მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა, რომ გლეხობა არ დამორჩილებოდა მთავრობის დაწესებულებათა აგენტებს, არავითარი გადასახადი არ გადაეხადა და ყოველგვარი საქმეები ადგილობრივ ხალხის მიერ ამორჩეულ პირთა მეშვეობით გადაეწყვიტა. ამის შესახებ მე თბილისის გუბერნატორს 1909 წლის 10 იანვარს მოვახსენე. იმედაშვილი ბრძანებლობდა მთელი საგარეჯოს მოსახლეობაზე. მე მაქვს მისი ხელით ქართულ ენაზე დაწერილი ერთერთი ბრძანება, რომელიც საგარეჯოს უბნის პრისტავმა უჟაროვმა გადმომცა. მსგავსი ბრძანება მაქვს იმედაშვილისა სოფ. მუღალნოს თათრებისადმიო.

მამასახლისის თანაშემწემ ივანე პაატაშვილმა უჩვენა, რომ ჩვენში მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ ქალაქიდან მოსული იმერლები, იმედაშვილიც პირველ ხანებში მათ აჰყვა, მაგრამ მერე მამასახლისად რომ აირჩიეს, იგი ცდილობდა წესიერების დაცვას. იარაღის შესაძენად თუ რაიმე არალეგალური მიზნით მას არავითარი ფული არ შეუკრეფიაო.

აწყურის უბნის უფროსი პრისტავი ალ. გედევანიშვილი, რომელიც 1906—9 წლებში სართიჭალის უბნის პრისტავად მუშაობდა, თავის ჩვენებას ბრალდებულის გადარჩენის კომენტარებზე აგებდა. იმედაშვილი მე გავანთავისუფლე მამასახლისობიდან იმ მოტივით, რომ ჩემ მოსვლამდე იგი თურმე მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში, მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა, რის გამოც სუსტად იკრიფებოდა გადასახადიო. ჩემი მოსვლის შემდეგ იმედაშვილზე დაწესებული მქონდა მეთვალყურეობა, მაგრამ მთავრობის საწინააღმდეგოს ვეღარაფერს ვამჩნევდი, ყველაფერი რიგზე იყო, და საერთო წესიერება დამყარდაო. გაგებული მქონდა, რომ იმედაშვილს უთანხმოება მოუხდა პარტიასთან და მისი მოკვლაც სცადეს, ესროლეს კიდეცაო.

სართიჭალის პრისტავმა ალერტოვმა, აგრეთვე პრისტავმა გიორგი კვალიაშვილმა მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ იმედაშვილი საგარეჯოში სიტყვით გამოვიდა და ქართველები და თათრები ძმობა-მეგობრობაზე დააფიცაო.

ხაშმის მღვდელი ივანე ხაბაზაშვილი, ნორიოსი დავით ზაუტაშვილი, მარტყოფისა ივანე თუშმალიშვილი, ალექსი პიტოვი, იმედაშვილს ახასიათებდნენ დადებით პიროვნებად და აღნიშნავდნენ, რომ მის რევოლუციურ აგიტაციაზე არაფერი ვიცითო, მხოლოდ არქიმანდრიტმა დოსითეოსმა უჩვენა, რომ იმედაშვილი კრძალავდა ეკლესიურ გადასახადებს და ქელეხების გამართვას, რის გამოც ეკლესიას შემოსავალი აღარა ჰქონდაო.

იმედაშვილის დიდი სასჯელისაგან გადარჩენის პოზიციაზე იდგნენ

თადო ჩოლოყაშვილის მეუღლე მარიამი, მათი მამულების მმართველი თავადი სოლომონ მაყაშვილი, კნეინა ეკატერინე მელიქიშვილი-ჯორჯაძე, რომელთაც აჩვენეს, რომ ჩოლოყაშვილის ბინიდან გლეხების ბრბოს მიერ იარაღის წაღებისას იმედაშვილი იქ არ იყო, პირიქით, ამ შემთხვევის მეორე დღეს იმედაშვილი თვითონ მოვიდა ჩვენთან და გლეხებს იარაღი დააბრუნებინა.

რამდენადაც ხალხში გავრცელებული იყო ის აზრი, რომ თადო ჩოლოყაშვილი რეეოლუციონერებს თანაუგრძნობდა, მატერიალურად ეხმარებოდა და ფარავდაო, იგი მთავრობის თვალში ასეთი ეჭვის გასაფანტავად იმედაშვილის მიმართ ბრალმდებლის როლში გამოვიდა და ჩვენებაში გაიმეორა, რაც არსებითად უკვე იყო დამტკიცებული — გრეკახეთის რეეოლუციურ მოძრაობას იმედაშვილი მეთაურობდა, სამი წლის განმავლობაში იძულებული ვიყავი არეულობის შიშით ჩემი სახლკარი და მამული მიმეტოვებინა და მუხროვანისათვის შემეფარებინა თავი, სადაც ჯარის ნაწილები იდგნენ. გლეხები ჩემს ტყეს ჭრიდნენ, მიწებს ხნავდნენ, მოსავალს იღებდნენ, მე კი არაფერს მაძლევდნენო, იმედაშვილი იყო გლეხების იმ ბრბოში, რომელმაც ჩემი სახლი გაჩხრიკა და 6 ბერდენკა წაიღოო.

ამ ჩვენებიდან კარგად ჩანს, რომ კიკო ჩოლოყაშვილისათვის დამახასიათებელი გონიერებით, წინდახედულებითა და სიმაყის გრძნობით არ გამოირჩეოდა მისი მემკვიდრე თადო ჩოლოყაშვილი. თადოს რომელსაც მეც პირადად მოვეწარი, თავისთავად ცუდი კაცი არ ეთქმოდა. მეტად გულკეთილი და თავაზიანი იყო, მაგრამ მისმა უხერხემლობამ ამ საამაყო გვარს ჩვენ სოფელშიაცა და საქართველოს სხვა რაიონებშიც ილია ჭავჭავაძის მეგობრობის ღირსი ადამიანის კიკოს შესაფერისი პატივი და ყურადღება დაუკარგა. ამიტომ ისე გამოდიოდა, რომ ხაშმელებთან ურთიერთობაში იგი ხშირად შეუფერებელ როლს ასრულებდა თავისი გაუთავებელი საჩივრებით და ასეც მოხდა, რომ სწორედ იმედაშვილის მამასახლისობის დროს ხაშმელთა მიერ მითვისებული მინდვრის თაობაზე საჩივარი რომ აუტეხია, პოლიციისათვისაც მიუმართავს. მაშინ რევოლუციური განწყობილების პირობებში ადმინისტრაციის წარმომადგენელნი უფრო ჯანსაღად მოაზროვნენი აღმოჩნდნენ და ეს საქმე იმედაშვილის მეცადინეობითა და ლევან ჯანდიერის მხარდაჭერით ხაშმელ გლეხთა სასარგებლოდ გადაწყდა. თქმა არ უნდა, თადო ამის გამოც იქნებოდა იმედაშვილზე დამდურებული, როგორც მამასახლისზე, რამაც იმაზედაც იმოქმედა, რომ იგი ადვილად დაიყოლიეს იმედაშვილის მოწინააღმდეგეთა შორის მოქცეულიყო. ყოველ შემთხვევაში თუ თადო ჩოლოყაშვილი ხალხის მიერ არჩეული მამასახლისის წინააღმდეგ ტერორის ბრძოლებაში მონაწილეობდა, ან მისი გასამართლების დროსაც თაკი ჩვე-

ნებით დანაშაულს უმძიმებდა, ეჭვი არ არის, ამას სჩადიოდა ხაშმის რეაქციონერ გლეხთა ზეგავლენით, რომელთაც იმედაშვილის პოშორება უნდოდათ და კარგად ისარგებლეს თადოს სუსტი ხასიათით.

ამიტომ აქ საკვირველი ის არის, რომ თადოს მეუღლემ საბუელ ჯორჯაძეთა გვარისამ, რომელიც მეტი განათლებით, პროგრესულობითა და ახალი მოძრაობის მიმართ აშკარა თანაგრძნობით გამოირჩეოდა, რაც ადრეც დაუმტკიცებია თავისი სიტყვითა და მოქმედებით, სასამართლოში გამოსულმაც არ დაადასტურა თავისი მეუღლის მიერ იმედაშვილისადმი აღნიშნული არც ერთი ბრალდება, არც ის რომ ხაშმელმა „ერთობისტებმა" იარაღი რომ წაგვართვეს, მათში იმედაშვილიც ყოფილიყვეს. ყოველივე ამასთან დაკავშირებით ისიც აღსანიშნავია, რომ იმედაშვილს მამასახლისობის დროსა თუ შემდგომადაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ჩოლოყაშვილების ოჯახთან.

სასამართლოზე დაკითხულ მოწმეთაგან იმედაშვილისადმი აშკარად მტრული დამოკიდებულებითა და ბოროტი დაბეზღებით ხასიათდებოდა ხაშმელი გლეხების დიმიტრი გოგნიაშვილისა და სიმონ შავკაციშვილის ავად გამიზნული ჩვენებანი. მათ იმედაშვილი ჯერ კიდევ 1910 წლის 27 სექტემბერს ჰყავდათ დასმენილი. დ. გოგნიაშვილს დამსახურებად მიაჩნდა, რომ ახალი მოძრაობის მიმდევრები — ვანო მაისურაძე, გიორგი შაქარაშვილი, მიხო გოგნიაშვილი, მიხო გონიტაშვილი, ვანო ჯიქიძე, პეტრე ლაღიძე გაცემული ჰყავდა და ზოგი მათგანი მისი წყალობით უკვე ციმბირშიც იყო გადასახლებული და მხოლოდ ის უკვირდა, რომ იმედაშვილიც მათ გზაზე არ იყო წასული.

სიმონ შავკაციშვილმა უჩვენა, რომ იმედაშვილის მოსვლამდე მთელ საგარეჯოს რაიონში სიწყნარე და სიმშვიდე იყო, მისი მოსვლის შემდეგ კი სოფლებში რევოლუციური მოძრაობა დაიწყო, რასაც ეხსნა განსაკუთრებით იმედაშვილის აგიტაციებითაო. მას დიდი გავლენა ჰქონდა მოსახლეობაზე, მის ბრძანებებს ყველანი ასრულებდნენ, მათ შორის მამასახლისებიც. შავკაციშვილმა ისიც აჩვენა, რომ იმედაშვილი თბილისის მაზრის უფროსს ლევან ჯანდიერს უშვერის სიტყვით შეხვდა და გლეხებსაც აუკრძალა, რომ მას სათანადო პატივით მიგებებოდნენ. თეიმურაზ ქოქრაშვილი არ დაერიდა, რომ თავისი ნათესავი ანდრია ქოქრაშვილიც გაეცა, რომელიც ეხლაც არც ერთ მოსახერხებელ შემთხვევას არ გაუშვებს, რომ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია გასწიოსო.

ხაშმისა და პატარძეულის ახალი მამასახლისის დავით წერეთლის ჩვენება იმით არის საინტერესო, რომ მან თქვა — თეიმურაზ ქოქრაშვილი ყოვლად უღირსი, უსაფუძვლოდ მაბეზღარა, გაიძვერა, მავნე პიროვნებაა, რომელმაც ბევრჯერ შეგვიყვანა შეცდომაში, არ იმსახურებს ნდობას და ხალხშიც „კლიაუზნიკის" რეპუტაცია აქვსო. რაც

შეეხება რევოლუციური მოძრაობის ფაქტებს, წერეთელი აღნიშნავდა, რომ მათ შესახებ მხოლოდ გაგებული მაქვს, ჩემს დროს კი რაიონში მთავრობის საწინააღმდეგო არავითარ გამოსვლას ადგილი არა ჰქონიაო.

რასაკვირველია, პროცესზე ყველაფერი არ ითქვა და არ გაიხსნა რევოლუციური მუშაობის, მოძრაობის კადრების, თუ მისი მეგობრებისა და მტრების შესახებ, და იმედაშვილმაც საბოლოო სიტყვაში მეტად ზოგადად, ძუნწად და უბრალოდ დაახასიათა თავისი დამოკიდებულება, როლი და მიზანი იმ მოვლენებთან, რომელთა მონაწილე იყო. მან აღიარა, რომ სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების აზრებს მივმართავდი, რამდენადაც ის ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად, მაგრამ პარტიის წევრი არ ვიყავი, რადგან პარტიების საქმიანობა ხალხისათვის სასარგებლოდ არ მიმაჩნდაო. ამითივე ხსნიდა იმედაშვილი მის ირგვლივ „პარტიულთა“ უკმაყოფილო განწყობილებას, — პირველ სათათბირო დუმაში თბილისის მაზრისაგან გლეხებმა მე ამომირჩიეს ამომრჩევლად, რამაც ჩემი თბილისელი და პროვინციელი მოწინააღმდეგენი შურით გააბოროტა და ჩემ გასაშავებლად ცილი დამწამეს, თითქოს სოციალ-დემოკრატიას ვუღალატე. მიუხედავად ჩემ წინააღმდეგ ძლიერი პროვოკაციული აგიტაციისა, ხალხმა ისევ მე ამირჩია მეორე და მესამე დუმაში წარმომადგენლადაო. ჩემი მიზანია ყოველგვარი პარტიის გარეშე ხალხის კეთილდღეობისათვის სამსახურიო.

იოსებ იმედაშვილს დაუმტკიცდა, რომ იგი მონაწილეობდა იმ დაჯგუფებაში, რომელიც მიზნად ისახავდა ძალით შეეცვალა რუსეთში არსებული კანონიერი მმართველობის წესი, რისთვისაც კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს 1911 წლის 25 ნოემბრის განაჩენით, გენერალ-მაიორის შმერლინგის თავმჯდომარეობით მიესაჯა ოთხი წლის კატორღა.

მერე რა მოხდა? — ამის შესახებ შემდგომ გავიგებთ მეტეხის ციხეში მის ყოფნას რომ გაეცნობით, მანამდე კი აქვე საჭიროდ მიმაჩნია ყური დავუგდოთ მის 1933 წლის ჩანაწერს იმის შესახებ თუ გასამართლებამდე ერთ ღამეს მეტეხის ციხეში რა გადამხდაო: „მაგონდება — 1910 წელს მეტეხის ციხეში, რომ ჩამსვეს პოლიტიკურ საქმეზე, 1911 წ. კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ ოქმი ჰქმაბარა 102, II და 279 მუხლის ბრალდებით (279 მუხლი — დარჩობა). ღამე წავიკითხე. მეორე დღეს დილით ამხანაგებმა შემნიშნეს — თმა გამთეთრებოდა. რამ გამთეთრა თმა? — დარჩობის შიშმა? — არა. იქ ხანებში თითქმის ყოველ დღე 2—3 კაცი აჰყავდათ სარჩობელაზე. თმა გამითეთრა უფრო იმ ფიქრმა, თუ რისათვის უნდა ჩამოვეხრჩე, რატომ მახვევდნენ ჩემთვის უცნობ-უკადრის დანაშაულს, როცა იმ

ჰუჰუიან საქმეში არ მედო წილი. მართლაც. მესამე დღეს პროკურორმა უთნელოვმა ციხის უფროსს მოსწერა: „იმედაშვილს გამოეცხადოს, რომ 279 მუხლი მოეხსნა, როგორც შეცდომით წაყენებული ბრალდებაო".

თუკი არსებობს — რა საოცარი ბედისწერაა — ერთი დღის განმავლობაში ადამიანმა სირცხვილიანი სიკვდილის მოლოდინში უეცრად მოვლენილი თავისუფლების სიამეც განიცადოს... მაგრამ ესეთი განთავისუფლების წუთები განა სიკვდილზე უფრო მძიმე არ არის?.. პოლიტიკური დამნაშავე ციხეში იჯდა და კუთვნილ სასჯელს უდრტვინველად ელოდა თუნდაც იგი სიკვდილით დამთავრებულიყო, შესაძლებელ გამართლებას კი არცა ცდილა... მაგრამ შეცდომით წაყენებული კიდევ რა ისეთი საზარელი ბრალდება იყო ის „ჰუჰუიანი საქმე", რომელშიაც მონაწილეობა ასე ითაკილა მამაჩემმა და რის ჯავრმაც ერთ ღამეში გაათეთრა? ამის შესახებ არასოდეს არაფერი უთქვამს, ალბათ, ისეთი მძიმე და სასირცხვილო იყო, რომ მისთვის მოსაგონებლად, მით უმეტეს ჩემთვის სათქმელადაც ძნელი გამოდგა. ამითი უნდა აიხსნას ისიც, რომ ციხეში ყოფნისა და გასამართლების ბევრ ოფიციალურ თუ კერძო დოკუმენტებსა და ჩანაწერებში ამ ბრალდების შესახებ არაფერი არ მოიპოვება.

ერთ ღამეში გათეთრებული იოსებ იმედაშვილი, რაკი საზარელი ბრალდებისაგან განთავისუფლდა, რასაკვირველია, საკუთარი სიმართლისა და ღირსების შეგნებითა და სიამაყის გრძნობით სასამართლოს წინაშე თავაწეული წარსდგა.

მეტეხის ციხეში

როგორც ადრეც ექსპერტიზით დადგინდა, მამას გული მარჯვენა მხარეს ჰქონდა, რის გამოც რაკი არსებული კანონის მიხედვით ასეთი ანომალიით ციც. შორეულ მხარეში მისი გადასახლება იკრძალებოდა. საკატორღო სასჯელი მეტეხის ციხეში მოახდევინეს, რომელიც მაშინ პოლიტიკურ დამნაშავეთა საპყრობილეს წრმოადგენდა და სავსე იყო ჩვენი პროგრესული ინტელიგენციის, მოწინავე მუშების, არალეგალური პარტიების საუკეთესო წარმომადგენლებით. სამწუხაროდ, მეტეხის და საერთოდაც საქართველოში არსებული პოლიტიკური საპყრობილეების ისტორია ჯერ შესწავლილი არ არის, რომელიც თვითმპყრობელობის ურჩხულთან ბრძოლაში ჩაბმული ქართველი ხალხის შესანშნავ წარმომადგენელთა რევოლუციური მოღვაწეობისათვის გადატანილი ტანჯული ცხოვრების საინტერესო ფურცლებს გაგვაცნობდა. მეტეხის ციხის კედლებში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის

მებრძოლთა რევოლუციური ინტელიგენციის რამდენიმე თაობა აღიზარდა, იდეოლოგიურად გათვითცნობიერდა და პროგრესული იდეებით გამსჭვალული ცარიზმთან ბრძოლას შეეწირა.

მეტეხის ციხეში ყოფნას მამაჩემი ყოველთვის ერთგვარი კმაყოფილებითაც იგონებდა ხოლმე, რამდენადაც იქ გატარებული ყოველი დღე ნაყოფიერი და საინტერესო იყო შინაარსიანი საუბრებით, თანადროული პოლიტიკური ვითარებისა და ლიტერატურული პრობლემების გარჩევით, ციხის ადმინისტრაციასთან კონფლიქტებით, ახალი მეგობრების გაჩენით.

პოლიტიკური ცოდნის ამაღლებისა და ყოველდღიური ახალი ამბების კურსში ყოფნას ხელს უწყობდა ის, რომ ტუსაღები ახერხებდნენ არა მხოლოდ ერთმანეთთან საიდუმლო საუბრით მუდმივ კავშირს, არამედ გარედან ინფორმაციის მიღებასაც. ამ მხრივ საგულისხმოა იმედაშვილის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ჭ. ლომთათიძე ციხეში განუწყვეტლივ მუშაობდა, კითხულობდა, წერდა, თარგმნიდა და რაღაც მანქანებით თავის ნაწერებს ციხის გარეთ გზავნიდა.

მეტეხის ციხეში პოლიტიკური ტუსაღების ყოფნას მთავარი დრო საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საერთო პოლიტიკური მდგომარეობის დაბეჯითებულ თვალთვალსა და განხილვაში მიდიოდა, რასაც ხელს ისიც უწყობდა, რომ პოლიტიკური ტუსაღები სარგებლობდნენ ციხის ბიბლიოთეკით, ყოველდღიურად კითხულობდნენ გაზეთებს, ახერხებდნენ რედაქციებთან პერიოდულ კავშირს, და აქტიურად ეხმაურებოდნენ ხოლმე მათთვის საყურადღებო, ციხის გარეთ მიმდინარე ყოველდღიური ცხოვრების საგულისხმო მოვლენებს. მაგ., გაზეთ „სახალხო გაზეთში“ (1912, № 60) იაკობ გოგებაშვილის ავადმყოფობის გამო ასეთი მიმართვა იყო მისდამი დაბეჭდილი: „მეტეხის ციხეში მყოფი პოლიტიკური ტუსაღნი უსურვებენ პატიცემულ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს მის განკურნებას. იოსებ იმედაშვილი“. ან იგივე გაზეთ „სახალხო გაზეთში“ (1912, № 600) მსგავსი პირადი ხასიათის მიმართვა: „უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ჟურნალ „განათლებას“ რედაქტორს ლ. ბოცვაძეს, რომელმაც ორი წლის ნომრები შემოსწირა მეტეხის ტუსაღთათვის. პატიმართა მინდობილობით ი. იმედაშვილი“.

ასეთ პირობებში თავისთავადაც ბეჯით შრომას შეჩვეულ მამაჩემს ციხეში ყოფნა ინტენსიურ წერასა და კითხვაში გაუტარებია, იქაც შეუჩერებლად განაგრძობდა მუშაობას „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონსა“ თუ ცხრა ნაშრომებზე, ისე, რომ როდესაც ციხიდან გამოვიდა, თან თავისი ნაწერების რამდენიმე სქელი დასტა გამოიტანა, რომელთაც ციხეში ყოფნის სამახსოვროდ სათითაოდ მეტეხის ციხის ცენზორის ბეჭედი აქვს დასმული. ყოველივე ამასთან ერთად, მამაჩემი ციხის

სტამბაში ნახევარ ხელფასზე კორექტორად მუშაობდა და ოჯახისათვის თვეში ერთი თუნუნის გამოგზავნას მაინც ახერხებდა, რითაც მაშინ ჩვენ ღარიბულ ცხოვრებას ცენწეოდით, თუმცა ამ ფულს სანოვაგის იაფობის მიუხედავად, ოთხი სულის გამოკვება ვერ შესძლებია, რის გამოც მე და ჩემი და თამარი საძულველ „პრიუტში“ მიბარებას მაინც ვერ გადავრჩენილვართ.

როგორც შემდგომ იგონებდა მამაჩემი, მეორე პატიმრობის დროს 1910 წელს, ჟანდარმთა სარდაფიდან მეტეხის ციხის საერთო კამერაში რომ გადაიყვანეს, 30-მდე ტუსაღი იყო. მასთან ერთად ისხდნენ — სვით ლევდარიანი, პ. ჩოჩინაძე, გ. ურაძე, სანდრო კეცხოველი, ესერი მირსკი, ივ. ტატიშვილი, ფ. გობეჩია (რომელიც კატორღაში დაღუპა), სოლომონიანი... დიდ ხანს არ გაუელია, ციხის ადმინისტრაციამ ძველი შენობის ერთეულ საკანში გადამიყვანა, სადაც ისხდნენ—მეორე დუმელი ჭოლა ლომთათიძე, ნ. ელიავა, ალ. ახმეტელაშვილი, ვალ. ვაშაკიძე, გრ. ლორთქიფანიძე, ნ. ჟორდანია, ალ. ვადაჭკორია, ივ. ტატიშვილი, მიხ. ჯავახიშვილი, ბოლშევიკი სპანდარიანი, აკ. ჩხენკელი, არ. რუხაძე, პოეტი ოვ. თუმანიანი, გ. მარსაგოვი, დაშნაკელთა ლიდერები, ხოლო ციხის ახალ შენობაში — კოტე ცინცაძე, გ. მაჩაბელი და სხვ.

მეტეხის ციხეში ჭოლას გულის ანომალია აწუხებდა და ნესტიანი კამერების გამო სახსრების ტეხვა დასჩემდა. იმ ხანებში ციხის მმართველობაში სასტიკი რეაქცია მძვინვარებდა, რის გამოც ხშირად ციხის ადმინისტრაციასთან შეტაკება მოსდიოდა... ციხეში საერთოდ ათასამდე ტუსაღი იმყოფებოდა, უმეტესად სისხლის სამეთო დამნაშავენი იყვნენ. — ისინი ყოველთვის პოლიტიკურებს გვიგდებდნენ ყურს და მხარს გვიჭერდნენო. პოლიტიკური კატორღელის სანდრო კეცხოველის გარეზგვის განზრახვის გამო 31-მა ტუსაღმა პროტესტი გამოაცხადეთ, რომლის შეთაურობა ციხის უფროსმა მე დამიმტკიცა და ათი დღე ბნელ კამერაში ჩამკეტეს. ასევე დაისაჯნენ სხვა პოლიტიკურებიც...

იმედაშვილს სხვა პოლიტიკურებთან ერთად „ოხრანკა“ ზვერავდა — მიხა ცხაკაიას, ფილ. მახარაძეს, ნ. ელიავას, არ. ჯაფარიძეს, კ. ნინიძეს, შ. შარაშიძეს, და სხვებს, რის შესახებაც 1918 წელს თბილისის რუსულ გაზ. „რესპუბლიკაში“ (№ 175) გამოქვეყნდა ცნობა ყოფილ „ოხრანკის“ განყოფილების არქივიდან, რაც აგრეთვე დაცულია სამხედრო სასამართლოს და ჟანდარმერიის არქივში. პირველი პატიმრობა (1903) უფრო ადვილი იყო. მის გვერდით საკანში პ. მასალკინი იჯდა, მეორე მხარეს ბორისოვის ქალი, პირდაპირ ნიკურაძე——სანდვე პოლიტიკურები. ციხიდან ადრე განთავისუფლდნენ, რუსეთ-იაპონიის ომის დროის მანიფესტით.

მეტეხის პატიმრობაში გატარებული 1910—1913 წლების განმავლობაში მამაჩემი მაშინდელ პოლიტიკურ ძოღვაწეებს შორის განსაკუთრებით დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ჭოლა ლომთათიძეს და მელიტონ გობეჩიას. ჭოლას მეტეხში ყოფნა მეტად საინტერესო მოგონებაში აღწერილი აქვს ქსმაჩემს მისი სიკვდილის დღეებშივე „ხალხის წარმომადგენელი მეტეხის ციხეში“ (იოსებ არიმათიელი, 1915, 21 X, № 47): „ციხის კედელთა შორის გაისმა:

— ჭოლა ლომთათიძე მოჰყავთო და ყველა, ვინც იცოდა ამ წამებულის ვინაობა, მოუთმენლად მოელოდა — რადის იქნება თვალით ვნახოთო.

— ჩვენი ციხე მაღლდება, ღირსება ემატება, — წამოიძახა ერთმა ტუსაღთაგანმა. კარჩაკეტილ საკნებიდან ფანჯრებში დაბორკილებული („კანდალჩიკები“) იცქირებიან, ყველას ყურამდე მოაღწია — ჭოლა მოიყვანესო.. არ გასულა დიდი ხანი ახლად მოყვანილი ტუსაღები ეზოში გამოიყვანეს.

— გამარჯობათ ამხანაგებო! — გადმოგვძახა ერთმა ხმელხმელმა, აწოწილმა, გამხდარ-გატეხილმა გრუზა ტუსაღმა... ჭოლა გარეგანი შეხედულებით საამისოს არას წარმოადგენს. ერთ ბატონ ტუსაღს უკვირს კიდეც.

— „მაგაზე უკეთესი ვერავინ გამონახეს, რასა ჰგავს!..“ მაგრამ პყრობილმა არწივმა ცალე გამოაჩინა კვანჯები. ცხრამე დღეს ერთი ამბავი მოახდინა ციხეველთა მისაღებ ოთახში უდიერი საქციელისათვის. არ გასულა მეტი ხანი და საზოგადო სახმარი პურის უვარგისობის გამო აშკარა საყვედური განაცხადა (თუნდაც თვითონ უკეთესი თუთრი პური ეძლეოდა)...

ხალხის ნდობით აღჭურვილი დეპუტატი, ძაგრამ უფლებააყრილი — ჯამოქალაქო სიკვდილით დასჯილი ციხეშიც ისევ დეპუტატია, ყველა მას ენდობა, მართველობაც ანგარიშს უწევს... სეირნობის დროს, აბანოში, პირ-ბანაზე შუადღისას მუდამ ერთათ ვართ, ერთმანეთს დარდსა და ვარჯს ვუზიარებთ... ცოცხალი მოკამათე-მოსაუბრე იყო. ხან გულიანი, ცწარე, დამცინავი, ხან კი მოსიყვარულე, საამო, მაგრამ მუდამ გულწრფელი. „რაც გულში აქვს ენაზე ადგებაო“, — ამაზე ითქმოდა.

ერთხელ რაღაცაზე კარცერში წაყვანა მოუნდომეს.

— ახლავე კარცერში! — მოისმა უფროსის ხმამაღალი ბრძანება.

— სცრუობ, ვერ წამიყვანთ! — იყო ჭოლას პასუხი...

— ახლავე კარცერში, — კიდევ ბრძანა უფროსმა.

— ვერ წაიყვანთ, არ შეიძლება! — მოისმის აქეთ-იქიდან, მაგრამ ყურს არავის უგდებენ... გააღეს რკინის კარი და ძალით გაიყვანეს ჭოლა, კარცერისაკენ გაუყენეს...

— შვილო დედა-ღმერთი ჩაისვით! — გაიმეორა უფროსმა...

— ჩანს ბიგოსი მოკვლა უნდათ, — მოისმის აქეთ-იქიდან...

— მიჰქარავ, შვილ წუთსაც ვერ ჩამსვამ...

ძლივლაც არ გასულა ხუთიოდე წუთი, ჰოლა ისევ უკან გამოიჯანეს. რა მოხდა? — უმაღლესი ბრძანებაა, კარცერში არ ჩასვათო...

ჰოლა ციხეში განუწყვეტლივ მუშაობდა, კითხულობდა, სწერდა, თარგმნიდა და რაღაც მანქანებით ციხის გარეთ ჰგზავნიდა თავის ნაწერებს... მეტეხის ციხეშიღე შევასწორეთ ჰენრიხ ჰეინეს ბიოგრაფიის კორექტურა... ილიასთან მინახავს ასეთი დაწყვიტებული, ბეჯითი, მწიგნობრობის პოეტური, განსაკუთრებით დაეწაფა ძველ ქართულ მწერლობას. ქართული ენა უნდა შეეისწავლოო...

ბოლო ხანებში დიდი უკმაყოფილო იყო ზოგიერთი რედაქციისა: „მაგათი სული კი არ იყოს, რა გაჭირებით უგზავნი ნაწერებს და ეგენი კი... ან „ჰკარგავენ“, ან... ეშმაკმა წაიღოს... ერთი გავიდე!.. (იოსებ არიმათიელი, „ხალხის წარმომადგენელი მეტეხის ციხეში“ 1915, № 41). იგი „სამშობლო მწერლობას, მუშა-გლეხთა გათვითცნობიერებას, განმათავისუფლებელ მოძრაობას და ხალხის უფლებათა მოპოების საქმეს სათათბიროსა თუ ციხეში სამარის კარამდე, მთელი თავისი არსებით ემსახურა და ემსხვერპლა კიდეც... („თავზე ხელაღებული“ 1915, № 46).

1913 წლის ერთ დღეს რაღაც ცვლილება შეენიშნე მუდამ მედგრად თავდაჭერილ ჰოლას. თითქმის ორი კვირა გულით ზიდავდა ბოლომდე — საზიზღარი უსახელო წერილი მიეღო ოჯახზე... ასე აღშფოთებული არ მინახავს — ეჭვსი წელიწადია მხოლოდ ახლა გავიგე სასჯელიო... ცოლი აღარ მოდიოდა, არც შვილს უშვებდნენ...

ჰოლა განთავისუფლებას ელოდა, მაგრამ ასტრახანში გადაასახლეს, საიდანაც იოსებ იმედაშვილს წერილები მოსდიოდა. — დიდ მადლობას გიხდი „თეატრი და ცხოვრების“ და სხვა ჟურნალ-გაზეთების თუ წიგნების გამოგზავნისათვისაო... გაჭრულებ დავალებას—ასტრახანში დამარხული ქართველი მეფეებისა და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეების საფლავების მონახულებაზეო. ჰოლა იქვე აღწერს თეიმურაზ მეორისა და ვახტანგ მეექვსის საფლავებს.

უკანასკნელი წერილი ჰოლას სარატოვიდან გამოეგზავნა. — „ძმაო იოსებ, თბილისის ბაგიერ სარატოვში ამოვყავი თავი, ძლიერ ცუდათა ვარ, მაგრამ ეს ჩვეულებრივია, არ ახალია. გისურვებ ჯანმრთელობას. შენი ჰოლა“. როგორც შემდგომ გამოირკვა, ჰოლა თბილისის მაგიერ სარატოვში რომ გაგზავნეს, ეტყობა ეს მისი ცოლის ღონისძიება იყო. რადგან განთავისუფლებული და თბილისში დაბრუნებული ჰოლა ხელს შეუშლიდა მის ცოლს კატანიანთან — ჰოლას საქმის გამომძიებელთან დაწყებულ რომანს, რომელიც როგორც ცნობილია, ოფიცი-

ალურად დამთავრდა ჭოლას ცოლისა და კატანიანის ქორწინებით.

ცოლის ღალატი როგორ მძიმედ უნდა განეცადა ჭოლას, ერთგვარად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ჯერ კიდევ 1912 წლის 24 ივლისს აკიმ ქოჩარიანისადმი მინაწერ ბარათში აღუნიშნავს: „... თავისუფალიც რომ ვიყვე, უცხო ტომის ქალს მაინც არ შევირთავდი, რადგან მასთან შეჩვევა, შეთანხმება ძნელია, მით უფრო, რომ ყოველივე ჩემი მშობლიური, ძალზე მიყვარს და მისი დათმობა არ შემიძლიან..., თუმცა ახლა ყველას ვეკუთვნი, ყველა ჩემი ძმები არიან... რას იზამ, ყოლის უძლიერეს საკვირველებას წარმოადგენს გული, რომელსაც თავის შიგან ყველაფრის მოქცევა შეუძლიან...“ (მიხ. კიაზოშვილი, ჭოლა ლომთათიძე, როგორც ადამიანი, 1915, 19 XII, № 51, გვ. 4 — 6).

იოსებ იმედაშვილის აღნიშვნით, „მისი უდიდესი ნატვრა იყო სამშობლოს თავისუფალი ჰაერის სუნთქვა, მაგრამ ეს არ აღირსეს... და თუმცა სხეულით დასუსტებული იყო, ბოლო დროს ოჯახური უსიამოვნებაც შეემთხვა, მაინც ერთ წუთსაც არ მოუხრია ქედი და მუდამ ამაყად ზიდავდა წამების ჯვარს... და ამ წამებაში მას ერთხელაც არ ამოუგმინია“ („უბიწო ზვარაკი“, 1915, № 46).

ბევრმა ქართველმა დაძლო თავი რევოლუციისათვის ბრძოლის გზაზე, მაგრამ ბათგან ცოტანი თუ დაიმსახურებდნენ იმ დახასიათებას, რითაც იოსებ იმედაშვილმა ჭოლა ლომთათიძის ხსოვნა შეამკო: „ჭოლამ დემოკრატიის ტანჯვა თავისი ზურგით აიტანა გოლგოთაზე და საკუთარი სისხლით ბეჩავთა ცხოვრების კაბადონზე დასწერა, როგორი უნდა იყოს ხალხის ერთგული მებრძოლი“... მაგრამ იქნებ უფრო მეტი გოლგოთა იყო ამ მართალი კაცის ნაკლებად გაშუქებული კერძო ცხოვრება, გატეხილი შავი ღალატით და გაცემით, რითაც მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები მოუშხამა უღირსმა ცოლმა, რომელმაც ყოველივე ამ ბოროტებასთან ერთად, პატიმრობაში მყოფი ქმარი სარატოვში გადაასახლებინა და მის შვილს დააკარგვინა ქართული ენა, ქართველი მამის გვარიცა და ქართველი კაცის ეროვნებაც.

დიდის გულის ტკივილით იგონებდა მამაჩემი ჭოლა ლომთათიძის სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ხარკოვის საკატორღო ციხეში გარდაცვლილ პოლიტიკურ პატიმარს მელიტონ გობეჩიას, რომელიც „ზუგდიდის რესპუბლიკაში“ ნონაწილეობისათვის ყოფილიყო გადასახლებული. მას განათლება სორბონის უნივერსიტეტში ჰქონია მიღებული. — მელიტონ გობეჩიას ბედმა 1910 წელს შეტეხის საერთო საკანში შემახვედრა, სადაც დროებით ერთად ვიხეტიალეთ...

...პატიმართა შორის ბევრი იყო სულიერად დაცემული, რწმენაგამქრალი. განსვენებული ამ ბანაკს არ ეკუთვნოდა, გულუბრყვილო,

ალალგულა, რწმენა-მოსილი, უკეთესის მოიმედე, ბაიბუადაც არ იმჩნევდა ტყვეობას და მახლობს, ხუთი-ექვსი ლექციაც წაიკითხა ესთეტიკის შესახებ. კერძო საუბარში რომ გადაგვიყვანეს, არც იქ მცონარეობდა: კითხულობდა, წერდა, პატიმართ ფრანგულ ენას ასწავლიდა (ი — ი, მელ. გობეჩიას, 1914, 15 ივნისი, № 15, გვ. 5).

ასეთივე გულისხმიერებით იგონებდა ნანაჩემი 1947 წლის 29 იანვარს სიმონ ჯანაშიასთან მიწერილ ბარათში დამეგობრებას მუშნი დადიანთან, რომელიც დედით უნათესავებოდა გიორგი შერვაშიძეს. ბარათის საგანია სიმონ ჯანაშიას მიერ გამოცემული ნაშრომი გიორგი შერვაშიძის შესახებ, რომელშიაც იმედაშვილის დაკვირვებით ზოგიერთ ლექსს მოეპოვება განსხვავებული ვარიანტი, რის შესახებაც აცნობებდა შემდეგნაირად: „გიორგი შერვაშიძე განსაკუთრებით შემაყვარა მისმა დედეულმა ნათესავმა მუშნი დადიანმა, რომელიც 1911-12 წლებში ჩემთან ერთად მეტეხის ციხეში იჯდა პოლიტიკური საქმის გამო. თუმცა ცალ-ცალკე საკნებში ვისხედით, მაინც თითქმის ყოველ დღე ვხვდებოდით ურთიერთს ციხის ეზოში ოციოდე წუთით ჰაერის ჩასაყლაპად სეირნობის დროს. ამ სეირნობის დროს მუშნი დადიანმა რამდენჯერმე ზეპირად წამიკითხა ზოგიერთი ლექსი გიორგი შერვაშიძისა, — უმეტესობა მამულიშვილურ და სამოქალაქო ჰანგით გაჟღენთილი. რამდენიმე ლექსი მუშნი დადიანს საკუთრი ხელით ჩავაწერინე ჩემს ხელნაწერ „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ ზონარგაყრილ დავთარშიო.

ამასთან ერთად, იმედაშვილი უგზავნის რამოდენიმე ლექსის ვარიანტს, მათ შორის „შენ იცნობ ძმაო, ქვეყანას ერთსა“, რომელიც თავდება სტრიქონით „ღირსია ძმაო შებრალებისა ეს უბედური ჩემი ქვეყანა“.

იმედაშვილის ცნობით საინტერესოა გიორგი შერვაშიძის ორსტროფიანი ეპიტაფია, რომელიც არ მოიპოვება ჯანაშიას პუბლიკაციაში:

უსამართლობის ცხოვრების ზღვაში
შენ გერგო წილად მხოლოდ ტანჯვები,
და იმ ტანჯვების უღმერთობაში
კაცთა სიავის მწარე ეშვები
არ შეხებიან შენს კეთილ სულსა,
რომელშიაცა ძმათ სიყვარულსა
ენთო უშრეტი წმინდა ლამპარი,
ამით იქნები დაუვიწყარი.

ეპიტაფიას იმედაშვილი შენიშნავს: „მე რამდენადაც ვიცნობდი განსვენებულ გ. შერვაშიძეს, ეს ეპიტაფია შესანიშნავად გვისურათებს მის რაინდულ, მამულიშვილურ და საზოგადოებრივ ვინაობასა და მრწამსს.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო მოკლე დახასიათება ამ შესანიშნავი პიროვნებისა: „გ. შერვაშიძეს შევხვდი 1904 წელს ჩემს საწიგნობელში ქართულ მწიგნობრობასა და თეატრზე სიყვარულით მოსაუბრეს, ხოლო 1909 წლის დასაწყისში ქართული თეატრის კანტორაში პ. გოთუას, ვ. გუნიასა და კ. მესხთან. ხანდაზმულობის მიუხედავად ლამაზი ვაჟკაცი იყო, მტკიცე, გაუტეხელი ნებისყოფის მამული-შვილი, სამშობლო საქართველოს უკეთესი მომავლის ღრმა მორწმუნე. 1905 წლის გამანთავისუფლებელ მოძრაობის განვითარებას გულის ფანცქალით ადევნებდა თვალს, ვერც 1906 წელს დაწყებულმა რეაქციამ გასტეხა".

რამდენადაც იმედაშვილი დიდ ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებდა გიორგი შერვაშიძის კეთილმყოფელ როლს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში, 1918 წლის 19 თებერვალს მის გარდაცვალებაზე ცნობისათვის საჭიროდ ჩასთვალა დაერთო წიკო თავდგირიძის მიერ წარმოთქმული მეტად საინტერესო სიტყვა მოქვის საზოგადოების წინაშე შერვაშიძის დაკრძალვის დღეს, რომელშიაც საკმაოდ არის დახასიათებული მისი შესანიშნავი ცხოვრება და მოღვაწეობა, კერძოდ, აღნიშნულია ისიც, რომ მან ქედი არ მოიხარა როგორც აფხაზეთის უკანასკნელმა მთავარმა, საკუთარი ღირსება არ დაიმცირა თავისი ერის მჩაგვრელი ძლიერი სახელმწიფოს წინაშე, რომელიც გაბატონებული იყო მის ხალხზე. მან ზიზღით უარყო მისთვის განკუთვნილი ის ჯილდო-წარჩინებანი, ყოველი სიკეთე, რაც მეფის ტახტიდან მომდინარეობდა და რომელთა დაჯილდოებისათვის ხშირი თავიანთ ადამიანურ ღირსებას სწირავდნენ. მან უარყო თვით სახალხის ფლიგელ-ადიუტანტის წოდებაც. მან თავისუფლებას შესწირა მთელი თავისი კარიერა, ყოველი ქონება, რის გამოც თავის ქვეყანაში სანატრელი გაუხდა ცხოვრება.

მეტეხში ყოფნის დროის აქებებიდან მახსოვს მამას ასეთი მონაყოლი: ძველად რაიმე უქმე დღეებთან, თუ სამახსოვრო შემთხვევებთან დაკავშირებით, შეძლებული პიროვნებანი ქველმოქმედების მიზნით ციხესაც არ ივიწყებდნენ და რაიმე საჩუქარს სძღვნიდნენ. ეროხელაც თბილისში ცნობილ მილიონერს მანთაშოვს მეტეხის ციხის ტუსაღებისათვის ერთი დღის სადილი შეუწირავს, მხოლოდ ისიც ცნობილი გამხდარა, რომ სადილთან ერთად მანთაშოვს ციხისათვის საგანგებოდ დამზადებული ჩვეულებრივზე გირვანქით უფრო მძიმე ბოკლიც შეუწირავს, რაც, რასაკვირველია, უფრო ძნელი სატარებელ-საწვალებელი იქნებოდა ტუსაღთათვის. მანთაშოვის ასეთი მზაკვრული ძღვენის ამბავი ტუსაღებს რომ გაუგიათ, ჩქარა ერთმანეთისათვის შეუტყობინებიათ, რომ მანთაშოვის სადილისათვის ბოკლები გამოეცხადათ და არ ეჭამათ. მართლაც, როდესაც სადილი ჩამოური-

გებიათ, პროტესტის ნიშნად დათქმულ დროს ტუსაღებს მანთაშოვის სადილი ფანჯრებიდან გარეთ გადმოუღვრიათ — არ გვინდა მანთაშოვის მძიმე ბოკერლიანი სადილიო... ტუსაღების ამ ორიგინალურ პროტესტს დიდი გამოხმაურება ჰქონია არა მხოლოდ საქართველოში.

იმ ხანებში გაზეთები ქრონიკის მეშვეობით საზოგადოებას აცნობებდნენ ხოლმე საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრების ყოველდღიურობის ამბებს, როგორიცაა სადმე გამგზავრება, ავადმყოფობა, შიმშილი, მით უმეტეს დაპატიმრება, ციმბირში გადასახლება, და მაგალითად მეტეხის ციხეში ყოფნაზედაც 1912 წელს „სახალხო გაზეთმა“ სათაურით: „ჩვენი საზოგადოების საყურადღებოდ“ ასეთი ცნობა მოათავსა: „ყურნალ „თეატრის და ცხოვრების“ რედაქტორის და ქართული სცენის მსახიობის ბ. იოსებ იმედაშვილის ოჯახი ამჟამად ნივთიერის მხრით საშინელ მდგომარეობაში იმყოფება. თვითონ ბ. იოსებ იმედაშვილი პოლიტიკური საქმის გამო ციხეშია, მას კატორღა აქვს მისჯილი. მის ოჯახს შეადგენენ: მეუღლე მისი ანა, შვილები: შალვა 10 წლისა, გაიოზ 6 წლ., თამარი 4 წლ., და ქეთო 1 წლის. სამწუხაროდ, წერილ-შვილობა ხელს უშლის დედას რამე საქმეს ბუყაითად ხელი მოჰკიდოს და ამიტომ ოჯახი მთლად უსაღსროდ არის დარჩენილი“.

ამ გაჭირვების გამო დედაჩემი იძულებული გამხდარა მე და ჩემი და თამარი უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში (პრიუტში) ჩვიცებარებინეთ, სადაც რუსულ გარემოში ვიზრდებოდით. ეხლაც მახსოვს იქ ყოფნის მწარედ მოსაგონარი, ჩვენდამი, როგორც ქართველი ბავშვებისადმი, უსულგულო, უხეში და უაზროდ მკაცრი მოპყრობის ეპიზოდები ლანძღვა-გინებითა და სისხლიანი ცემა-ტყეპით.

ხანგრძლივის უნახაობით შეწუხებულ მამაჩემთან მეტეხის ციხეში რომ მიუყვანივართ, მე ქართული უკვე დამვიწყნოდა და მამაჩვენის რუსულად დამიწყია ლაპარაკი, თან ისიც მითქვამს, რომ გაიოზი კი არა, გერასიმე მქვიან-მეთქი. ჩვენი ყოფით ორმაგად თავზარდაცემულ მამაჩვენს, რომელსაც მანამდე ჩვენი „პრიუტში“ წაყვანის შესახებ არაფერი სცოდნია, დედა-თვის უთქვამს — ბავშვები ეხლავე პრიუტიდან გამოიყვანე, სოფელში წადით, სახლიცა და მამულიც გაყიდეთ, ოღონდ შვილები არ დამეღუპონო, ქართველებად გამიზარდეო...

დედაჩემმაც აღარ დააყოვნა ჩვენი „განთავისუფლება“ პრიუტიდან და სოფელში წაგვიყვანა, სადაც იქაური გოგო-ბიჭების გარეულებმა ჩქარა შეგვისწავლეთ მშობლიური ქართული მეტყველება და ჩანს ქართული ზნე-ხასიათიც დავიბრუნეთ, რომელიც უკვე შე-

საჭიროებად გვქონია გადაგვარებული. ეს ჩვენი ნამდვილად ახლად დაბადება იყო, ისე, რომ როდესაც სკოლაში წასვლის დრო მომივიდა, უკვე მთლიანად ვიყავი გაქართველებული.

„თეატრი და ცხოვრება“ ციხის შემდეგ

მეტეხის ციხიდან 1913 წლის დასასრულს პატიმრობის შემდეგ რომ განთავისუფლდა, მხედველობაში იმ დღიდანვე შეუდგა თავისი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების“ აღდგენა-გამოცემაზე ზრუნვას. 1914 წლის 1 ნოემბრიდან განახლებული ჟურნალი 1917 წლამდე დედაჩემის ანა ჟურული-იმედაშვილის ხელმოწერით გამოდიოდა. ვინაიდან იოსებ იმედაშვილს მთავრობისაგან ჩამორთმეული ჰქონდა ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლის ოფიციალური უფლება და თან ყანდარმერიის საიდუმლო მეთვალყურეობაში იმყოფებოდა.

საბინადრო ტრიბუნალმა თითქოს იმიტომ გაასამართლა და კატორღა მიუსაჯა იოსებ იმედაშვილს, იმიტომ იყდა იგი მეტეხში, რომ თავის პოლიტიკურ მიზნებში უფრო გარკვეულიყო და იქიდან გამოსული, უფრო გაჯიუტებული თავის შებედულებებში ერთ წუთს აღარ გაჩუნებულიყო, უფრო მეტი ეთქვა, ვიდრე მანამდე ახერხებდა. ჟურნალის განახლებას დრო უნდოდა და ვიდრე მის ბეჭდვას მოავკარებდა, „ეკლემ შტოკმანის“ ფსევდონიმით გაზეთ „თემში“ მეტად თამამი, მაგზილებელი წერილით „გონებრივი სითაღლითე“ (1913, 25 XII, № 155) გაილაშქრა საზოგადოებრივი აზრის თავისუფლების შემზღუდავი ატმოსფეროს, მონურ ყოფასთან შემრიგებლობის წინააღმდეგ, პიროვნულ ღირსებათა და უფლებათა აღდგენის მოწოდებებით, მოქალაქეობრივი თანასწორობის, სიტყვის, რწმენის, შემოქმედების თავისუფლებათა იდეალების ქადაგებით.

იქ გამოთქმული მოსაზრებანი ეროვნული ყოფის, სიტყვის თავისუფლების, ქართველობის ფაერთიანების, პიროვნული სრულყოფის და ადამიანურ უფლებათა იდეალებზე შემდგომად მისი ჟურნალის საპროგრამო კითხვებს წარმოადგენდნენ. იგი არ უშვებდა შემთხვევას, რომ კულტურის რა საკითხზედაც უნდა ემსჯელა, ეროვნული გათვითცნობიერების საჭიროებასთან არ დაეკავშირებინა. ეროვნული თვალსაზრისის უფრო გაბედულ გამოხატულებას მსოფლიო ომის წინა დროის საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია უწყობდა ხელს, მით უმეტეს, რომ 1914-1915 წლების ქართული ცხოვრება არა ერთი საშიშსოვრო ღირსშესამჩნევი მოვლენით იყო აღსანიშნავი.

ძირითადად ამავე პრობლემებს — შემხუთავი ატმოსფეროდან თავის დაცვის პიროვნულ ღირსებათა აღდგენის, მოქალაქეობრივი თა-

ნაწერობის იდეალებს გამოხატავს მისი ესკიზი მიძღვნილი გამოჩენილი რუსი მწერლის, ქართულ ოჯახთან პირადი ბედით დაკავშირებული ა. ს. გრიბოედოვისადმი: „ის მართო იყო“ (გაზ. „თემი“, 1914, 3 III, № 161), რომელშიაც იმ ხანების „საზარელი დრო და საზოგადოება“ დახასიათებულია როგორც „ახალი დროის შეუწყნარებლობა, დიდთა წინაშე ქედმოხრილობა, ბატონთა ყოველგვარი სურვილის, გინდ უალრესი სისულელის, მის ხელქვეითთა მიერ ბრმა დამდაბლურება და ერბრძნად მიჩნევა... ყოველგვარი ბიწიერების, ძარცვაობის, ცრუმორწმუნეობის მცნებად აღიარება...“. თანამედროვეთაგან გულმოწყლულმა გრიბოედოვმა ამოიგმინა „ვაი ჭკუისაგან“ და დღესაც კი ვიმეორებთ ამ მწარე სიტყვებს. იგი თავისი გმირის ჩაცკისავით ვერ შეურიგდა თანამემამულეთა ერთი ნაწილის სულმდაბლობას, უმიზნო ცხოვრებას, სამშობლოს განეკლტო და რუსის მწერალმა საქართველოში ჰპოვა ნათესაყუდელი... მისი კავშირი იქერიის უტურფეს ალულთან ნინოსთან იყო სიმბოლო რუსეთ-საქართველოს თანაწორუფლებიანობისა, ძმობა-ერთობისა...

სპარსეთში ცეროგულად მოკლულმა განისვენა მთაწმინდაზე, რომელმაც ზემდეგში ჩაიხუტა თვისსა გულში მასთან ერთად მისებრ მოწამეობრივ სიკვდილით უდანაშაულოდ დასჯილნი საქართველოს უდიდესი ბანელაშვილნი დიმიტრი და ილია“.

ამ მცირე, მაგრამ გულთბილად გრძნობიარე მიძღვნას საქართველოსთან დაბეგობრებული დიდი რუსი მწერლისადმი ავტორი ათავებს საგულისხმო სიტყვებით: „დღესაც, 85 წლის შემდეგ, მამადავითის სიმაღლიდან გადმოგვცქერის დიდებულ რუსის ძის გრიბოედოვის ნეშტი, თითქოს გვეცითხება რუსებსა და ქართველებს — როგორ ერწყობით ერთმანეთსაო?..“

აქედანაც კარგად ჩანს, რომ იმედაშვილის წერილებში კიდეც აშკარად იგრძნობოდა „ცხრაას ხუთიდან“ გადმოყოლილი თავისუფალი მოაზრეობის სტილი, პროტესტის დაუმცხრალი განწყობილება, რევოლუციური მგზნებარებით გამსჭვალული ეროვნული თვითშეგნების საკითხების წინ წამოწევა. ამიტომ რევოლუციის წინა დროის „თეატრი და ცხოვრებას“ საერთო ხასიათისა და მიმართულების გათვალისწინებისათვის აუცილებელია მისი ის თავისებურებაც აღინიშნოს, რომ ეს ჟურნალი თუმცა ოფიციალურად თეატრალური ცხოვრების საკითხების გასაშუქებლად იყო მოწოდებული, მაგრამ მისი რედაქტორი როგორც სათაურებში, აგრეთვე ცალკეულ წერილებსა თუ რეცენზიებში ითსებ არიმათიელისა თუ სხვა ფსევდონიმების ხელმოწერით უფრო მეტად საერთო ეროვნული კულტურის, თავისუფალი აზრის, ლიტერატურული კრიტიკის, ხელოვნების და ხშირადაც ქართველი ერის არსებობის, ჩვენი საზოგადოებრივი და

პოლიტიკური ყოფა-ცხოვრების ფართო საკითხებსაც აყენებდა. თეატრალური რეცენზიები, დრამატურგია, სცენა, მსახიობი, რეჟისორი, თბილისსა თუ ჩვენი პროვინციის საკლუბო მუშაობის მიმოხილვა მას-თვის იყო უფრო ფეტად ფორმა, ერთგვარი ფონი მსჯელობისათვის, არსებითად კი წერდა ეროვნული თვითგამორკვევის საკითხებზე, ქართველი ხალხის ცხოვრების ჭირ-ვარამზე, მის შელახულ უფლებებსა და ეროვნული ღირსების დაცემაზე.

განახლებული ჟურნალის პირველივე ნომრის მეთაურში „ჩვენი მიზანი და მიმწრაფება“ იმედაშვილი ისევ იმას ჩიოდა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ძალები დაქსაქსულნი, ერთიმეორისაგან გათიშულნი არიან, ისინი თითქოს მხოლოდ ურთიერთის დამხობა-განადგურებას ცდილობენ. ჩვენ სამსახურსა და მოღვაწეობას ხელოვნების, მწერლობისა და მეცნიერების ყოველ დარგში ერთი გამაერთიანებელი ძაფი და დედაბოძი უნდა ჰქონდესო.

ეს ნოწოდება მუდმივი თემა იყო ჟურნალის ფურცლებზე მისი რედაქტორული არჩევანით, ვისი წერილიც უნდა ყოფილიყო, როგორშიაც ქართული კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ სოციალურ-პოლიტიკური საკითხები იხილებოდა. ამასთან ერთად, მათში მთავარ პრობლემად ყველაზე ხაზგასმით ეროვნული კულტურის გადაგვარების, ენის დაკარგვის რეალური საფრთხის საკითხები იდგა. 11 მაისის მეთაურში „გაუგებრობა, შეუგნებლობა თუ ბოროტმოქმედება“ იგი დაურიდებლად აღნიშნავდა ამ საფრთხის ერთერთ ნიშანს — ჩვენი საზოგადოების „ზნეობრივ ლოთობანას“:

„ფარისეველობა. ბედოვლათობა, უსირცხვილობა, — აი რითი ხასიათდება ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის ყოფა-ცხოვრება. ლიტყვით მშობლიური კულტურის აყვავებაზე გაჰკივიან, საქმით კი სწორედ თვითონ ელემის სისწრაფით ავრცელებენ საკუთარის გასანადგურებლად უცხო კულტურას, — ენას, მწერლობას, ზნეს, ჩვეულებას, — სკენაზე, ოჯახში, საზოგადოებაში, — სად არ გინდათ... ლიტყვით გაჰკივიან — მაშა-პაპათა სისხლით გაპოხიერებული მიწა-წყალი ხელიდან გვეცლება, უცხონი გვიბატონდებიან, ჩვენს დედაქალაქში ჩვენ აღარ გვგაბოგინებენ, საქალაქო საქმეებიდან გვდევნიანო, და იმავე დროს ვალში შესატანად ჩამოტანილ ფულებს ნარდლოტო-კარტში აგებენ რამდენიმე წუთის განმავლობაში, ან გაუთავებელ სადილ-ვახშმებში ფლანგავენ, როდესაც ბანკში დაგირავებულ მამულს საჯარო ეაჭრობიდან უცხო, ჩამოსახლებული ყიდულობს, ქალაქში ბინავდება და მდგომარეობის ბატონი ხდება, ჩვენი ვითომდა ჭირის უფალნი... საზოგადო დაწესებულებათა მესვეურნი, ნიანგის ცრემლებს აფრქვევენ. მშობლიურ კერას მოწყვეტილი, საშობლო კულტურის არმცნობნი და არაარად ჩაგდებნი, სულიერად გალატაკე-

ბულნი. ნიუთიერად უკეე გაკოტრებულნი, ზნეობრივადაც გაკოტრების გზას დაადგნენ და უფსკრულისაკენ მიექანებიან...“

იოსებ იმედაშვილის აზრით, — „მთავარი უბედურება ისაა, რომ ჩვენს ერს ტერიტორია ხელიდან ეცლება, ბრწყინვალე წოდება თავის უნებურად სამშობლოს გამყიდველის როლს ასრულებს, ჩვენი ცხოვრების რომელ მხარესაც გადახედავ, უნუგეშობის აჩრდილი წარმოგვიდგება თვალწინ, ხოლო რამდენიმე კალმოსანის გოდება-მოთქმა ჩვენს ბედშავობასა და ჩვენ დარღვეულ ერთობას ვერაფერს შველის. თუ უზრუნველობა-დაუდევრობისაგან თავი არ დავიხსენით, მაშინ ვითარცა ერი — ქართველობა პირისაგან ქვეყნისა აღიგვება, გაქრება. რაც გინდ ბევრი ვიცეთ თავში, ჩვენი მიწა ხელიდან მიდის... ამ ჩვენ უბედურებას ვერაფერს ვუშველით, თუ ეგოდენ სიტყვასთან ერთად საქმითაც არ გავისარჯეთ“... (1914, 28 III, № 28).

„დღეს ჩვენის დაბეჩავებისა და იდეურად განქარწყლების ხანაში“ (№ 28), „დღევანდელ უწესო საზოგადოებაში“ (№ 30), ამ „ფრიად ძნელსა და შავბნელით მოცულ დროში“ (№ 28) საერთო სულიერმა დაცემამ შეგვიპყრო, ეროვნული იდეალი გაჰქრა და რწმენა მოგვეპო, სიბნელე დაგვეუფლა — საითაც გაიხედავ — ქალაქში თუ სოფელში, ნასწავლში თუ უსწავლელში, ყველგან ერთნაირი წუწუნ-ვედრება მოისმის სულიერად დაცემულის ადამიანისა, თითქოს მასში სრულიად ჩამქრალიყოს უნარი, საკუთარი „მე“, შინაგანი, წინწაწევი მაცოცხლებელი ძალა“ (№ 27). „ჩვენი ქვეყანა გახრიოკდა, გახრიოკდა იმიტომ, რომ სულიერად ძლიერი, თავგამოდებით მოქმედი, არჩეულ გზით მტკიცეთ მოსიარულე, მებრძოლი, თაოსანი კაცი არ მოგვეპოვება, ამიტომ არის, რომ ყოველი ჩვენი ფახი-ფუხით დაწყებული საქმე ქუცმაცდება, არარად ხდება, მის შორის მთლიანობის იდეა, ერთი მისწრაფება თავიდან ბოლომდე არაა გაბმული“ (№ 28). „დიდ ნიჭს ვიჩენთ სიტყვოსნობაში, უმნიშვნელო კამათში, ურთიერთის უსაბუთო კილვა-კიცხვაში, ბეჭდვით სიტყვით კინკლაობაში, ხოლო ჩვენი საზოგადო საქმე ვერ მოგვიხერხებია“ (იქვე).

ქართველი ერის ერთ მთავარ სატკივარს იმედაშვილი კიდევ იმაში ხედავდა, რომ ჩვენ ცალკეული ინტელიგენტები გვყავდა, მაგრამ არა გვყავდა ინტელიგენცია, როგორც მთლიანი, ერთიანად მოქმედი ნაციონალური ორგანიზმი. უპრინციპობა ყოველგვარ საქმეში, უსისტემობა, — აი რა აბათილებს ჩვენებურ ინტელიგენციას და არარად ჰქმნის მის მიერ ნაკლებ საზოგადო საქმეს, აი, რა უსპობს ნიადაგს ჩვენის ქვეყნის მომავალს (№ 19). ამასთან ერთად, ჩვენი უბედურების ერთ მიზეზად ქართულ ხასიათში გაუგებლობა, აჩქარებულობა

მიაჩნდა. ის, რომ „ძლიერი აღტკინების შემდეგ უცები მოდუნება გვიპყრობდა, სულიერი სიკვდილი, იდეალების დამსხვრება, ინტელიგენციის არარაობა, საზოგადოების ბურჯთა გაბრწყნა, მწიგნობართა დაქუცმაცება“ (№ 14). ტყუილად კი არ არის ხალხი ინტელიგენციაზე გულგატეხილი, ტყუილად კი არა კვნესის ჩვენი ქვეყანა შვილთა სიბეჩავით, დაუდევრობით... მხოლოდ გარეგნობა, ჩაცმულობა-მორთულობა და დიპლომი, ანუ საზოგადო სახელის ტარება როდი ჰქმნიან ადამიანს ინტელიგენტად.

ამ საკითხებზე ზოგად მსჯელობას იგი მწუხარებით დასძენდა: „აღარავისთვისაა დაფარული ჩვენი სკოლის, ოჯახის თუ სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა გაუკუღმართების გზაზე შედგომა: ყველგან და ყველაფერში გადაგვარების ხელმა ჩაიბუდა, — გადაგვარების არა მხოლოდ ენის, არამედ ზნის, ყოფა-ცხოვრების, სულისაც“... (№ 28).

კიდევ უფრო დიდ სახიფათო ეროვნულ უბედურებად მიაჩნდა მას ქართული ენის თანდათანი მივიწყება თუ განზრახი უგულებელყოფა, რისთვისაც მკითხველებს ხშირად მოაგონებდა ხოლმე იმ ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ „როცა ხალხის ენა ქრება, ქრება ხალხიც. ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხი იმაზე ლაპარაკობს, ხალხიც ცოცხალია და იმისთანა აუტანელი ძალადობა არა იქნება რა, რომ წაართვა ხალხს სამკვიდრო, წაართვა ხალხს ყველაფერი და ის ყველაფერს დაიბრუნებს, და თუ ენა წაართვი, ის მას ვეღარ შექმნის. მოკვდა ენა, — მოკვდა თვით ხალხიც“ (№ 14).

„თეატრი და ცხოვრებას“ 1915 წლის 18 ნოემბრის მეთაურში „ეროვნული თავისუფლება“ იხსენიებოდა პირდაპირ აცხადებდა: „როცა ერს ბატონის ხუნდები აძევს, ვერასოდეს განვითარდება სულიერად და ხორციელად... ჩვენი სამშობლო მწერლობის, თეატრისა და საზოგადოდ კულტურის აღორძინება-განვითარება მხოლოდ ეროვნული თავისუფლებით შეიძლება“. მეთაურში „სამშობლო კერა“ ამ აზრს კიდევ უფრო აკონკრეტებდა: „ჩვენი კულტურის სიკვდილი — ჩვენი ეროვნული სიკვდილი იქნება, მოისპო ქართული სული, ქართული ღირსეულება, მოისპო ქართველიც“ (1915, 20 VI, № 25).

ასეთი ეროვნული დეგრადაციისაგან თავის დასაღწევად იგი ერის სულიერი წინამძღოლის, დიდი ქართველის მოღვაწეობაში იყო, ერის ბელადის საკითხს აყენებდა, რომელიც ილიასავით უნდა გასძღოლოდა იმედდაკარგულ ქართველობას ძლიერი საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლაში და მას სწამდა, რომ ასეთ ადამიანს ჩვენი ხალხი წარმოშობდა. მისი მოწოდება იყო: „მოსპეთ, შესცვალეთ მთელი არსებული უწესრიგო საზოგადოებრივი ურთიერთობა“ (№ 30), „უნდა გაუსაძართლოთ ცრუ საზოგადოებრივი წყობილება და უარ-

თიერთობა, რომ თავი ეიხსნათ გონებრივი და ზნეობრივი სიკოტრი-
ცავან".

ამგვარად, „თეატრი და ცხოვრებაში" თუ მის მიერ შემდგომად დაარსებულ გაზეთ „ხალხის ერთობაში", აგრეთვე ცალკეულ გამოცემებში, თუ სხვა გაზეთებში მოთავსებულ მის ნარკვევებსა, წერილებსა და მხატვრულ თხზულებებში მისთვის, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ქართველი ერის უპირველესი სასიცოცხლო პრობლემა ეროვნული ჩიხიდან თავის დაღწევა იყო, ფიზიკური და სულიერი არსობის გადარჩენა, ეროვნული მთლიანობის აღდგენა, ქართული ტერიტორიის დაცვა უცხოთა ხელყოფისაგან, ქართული მიწის შემოკრება-გადარჩენა. მისი მიზანი იყო შეჩერებულიყო ქართული მიწების მივლინარე გასხვისების პროცესი, რასაც ცარისტული მთავრობა წინასწარ საგანგებოდ შედგენილი გეგმის მიხედვით ანხორციელებდა. ეს იყო ქართველთა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების შევიწროება, სხვადასხვა მეთოდებით მათი დისკრიმინაცია იმ მიზნით, რომ საქართველოში ვარგისი ადგილებიდან ქართველები აყრილიყვნენ, მათ ადგილას უცხო ელემენტი მომრავლებულიყო, ქართველობა დაჩაქსულიყო და თავისივე სამშობლოში უმცირესობის როლში აღმოჩენილიყო.

ეს იმას ნიშნავდა, რომ თანამედროვე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დამპყრობლური პოლიტიკის გარემოცვაში მყოფი ქართველი ერის არსებობის, მისი თანდათანი გადაგვარება-გაუქმების რეალური საფრთხე იდგა და ამ ვერაგული პოლიტიკის შეუჩერებელი განხორციელების საქმიანობისათვის რა უნდა დაეპირისპირებინა ქართველ ხალხს, ვიდრე დიდად ნატრული რუსეთის რევოლუცია მოხდებოდა, რომელსაც პატარა ერები უნდა გაეთავისუფლებინა კოლონიური ტყვეობის, ძარცვისა და გადაგვარებისაგან. აქ იმედაშვილისთვის მთავარი იყო ქართული იდეოლოგიის სასიცოცხლო საკითხების წამოყენება-პოპულარიზაცია, ქართული ენის, მწერლობის, ხელოვნების, აზროვნების ტრადიციების აღდგენის, ეროვნულ ღირსებათა ამაღლებისათვის ბრძოლასთან ერთად ქართველობისაგან მიტაცებულ ეროვნულ და პოლიტიკურ უფლებათა აღდგენის მტკივნეული საკითხების განხილვაც.

ასეთ პირობებში პრესა, თეატრი სკოლასთან ერთად ერთ-ერთი საშუალება იყო ეროვნულად, მოქალაქეობრივად და საზოგადოებრივად გამწვრთნელი, რომ ქართველობა დროის შესაფერად გათვითცნობიერებულიყო, შენარჩუნებულიყო და განმტკიცებულიყო ნაციონალური ღირსების შეგნება, ფართოდ დანერგულიყო მოსწავლე ახალგაზრდობაში ეროვნული კულტურის სიყვარული და ცოდნა, რისთვისაც მთავარი იყო ისტორიის, კულტურის, მწერლობის, უპირ-

ელესად კი, ქართული ენის შენარჩუნება, რომელსაც უკვე რეალურად ემუქრებოდა მოსპობა.

ერის სასიცოცხლო ენერგიის აღდგენა-გადარჩენის საქმეში იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ სოფელს, რადგან ქართველი ერის აღორძინების ერთ-ერთ მთავარ საქმედ მიაჩნდა გლეხური ოჯახისა და გლეხური მეურნეობის გაძლიერება, რისთვისაც, საჭიროდ თვლიდა განათლების შეტანას სოფელში, რაშიც დიდი როლი უნდა შეესრულებინა სოფლად სათეატრო-საკლუბო მუშაობის მოწესრიგებას, მისი საშუალებით ქართული ენისა და ქართული ისტორიის შესწავლას. გლეხობაში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას. ქართველ გლეხი უნდა გამოეყვანა თავისი არსებობის ვიწრო ნაჭუჭიდან, რომ დაინტერესებულიყო საერთო ქართული საქმით და თავისი მშობელი ქვეყნის მდგომარეობაში გარკვეულიყო.

ამრიგად, ჟურნალის შინაარსი ეროვნული იდეით აერთიანებდა ქართული ისტორიისა და კულტურის მსგავსი ამოცანებით შესწავლა-გაგებაში მიმართულებათა მიუხედავად ყველას, რა საკითხებიც უნდა ყოფილიყო აღძრული და ეროვნული თავისუფლების, ეროვნული იდეოლოგიისა და გეოპოლიტიკის განხილვაზე იყო აგებული. საერთო ქართული ეროვნული აზრის, მიზნისა და მოქმედების დასაბუთება, ეროვნული თვითშეგნების განმტიცება, ქართული ენის დაცვა, ხელოვნებათა განვითარება, მათ შორის თეატრალური კულტურისა, მისი წერილების ძირითად მიზანს წარმოადგენდა: „დარღვეული ერთობის“ აღდგენა კულტურულის საშუალებით, — მადლიან წინაპრების ნაღვაწთა შესწავლით, თვისი თავის ამაღლებით, საზოგადოებრივ-ზნეობრივი განსპეტაკებით, ჩვენის ქვეყნის საკეთილდღეო საშუალებათა საერთო ძალ-ღონის შემუშავებით“ (მეთაური: „საზოგადოებრივ-ზნეობრივი უპასუხისმგებლობა“ (1914, 18, V, № 11).

სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა

„თეატრი და ცხოვრებამ“ ეროვნული იდეოლოგიის თავისი პროგრამის გასაშლელად განსაკუთრებით გამოიყენა ბოლო წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები — ქართული თეატრის დაწვა, აკაკის, ვაჟას, ჭოლას გარდაცვალება, აჭარელ ქართველთა მდგომარეობა, ქართველ მსახიობთა პირველი ყრილობა, ე. ი. ისეთი მოვლენები, რომელნიც საბაბს და მასალას იძლეოდნენ ისინი ეროვნული თვითშეგნების თვალთახედ-

ვით ყოველწლიურად განხილულიყვნენ. ამისათვის მან, როგორც სათეატრო ჟურნალის რედაქტორმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო 1914 წლის 8 ივნისს მოწვეულ ამ ყრილობის მომზადებაში. 15 ივნისის გეთაურში (№ 15) „პირველი ნაბიჯი“ იგი აღფრთოვანებული შეეგება მის გახსნას: „დაიწყო სხდომები, ამეტყველდა ენა, ქართულმა მჭევრმეტყველებამ ფრთა გაშალა და ურწმუნო თომანიც დაარწმუნა. რომ ქართული სცენის მუშაკი გაზრდილა, გათვითცნობიერებულა, რომ ქართულ სცენას მრავალი საჭირბოროტო კითხვა აქვს. ბევრი რამ მოსაგვარებელ-გასარკვევი, და დღეის შემდეგ შეუძლებელია ბეღლებურად ცხოვრება, — საჭიროა განახლება, აღორძინება, წინსვლა...“

„თეატრი და ცხოვრებაში“ სისტემატურად შეჭდებოდა ყრილობის მიზანი, მისი გეგმა, სხდომების მიმდინარეობა, მოხსენებათა საკითხები, მათი შინაარსი, მიღებული დადგენილებანი თეატრალური მუშაობის განვითარების საქმეზე და მომავლის ღონისძიებანი. თვითონ იმედაშვილი 14 ივნისის სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით სახალხო თეატრის შესახებ, რაზედაც სათანადო დადგენილება იყო მიღებული (1914, 29 VI, № 1, გვ. 11). იქვე დაიბეჭდა „სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის დადგენილებანი“-ს 11 პუნქტი:

1. რეპერტუარის შესახებ (მოხსენება შალვა დადიანისა).
2. რეცენზია და თეატრალური კრიტიკა (მოხსენება კიტა აბაშიძისა).
3. ქართული ენის შესახებ (მოხსენება არჩ. ავალიშვილისა).
4. ქართული თეატრის დასაბამის შესახებ (წინადადება პეტ. მირიანაშვილისა).
5. სასცენო ხელოვნების შესახებ (მოხსენება აკაკი ფაღავასი).
6. დრამატული კურსების დაარსების შესახებ (მოხსენება ექ. ვ. ღამბაშიძისა).
7. სოფლის თეატრის შესახებ (მოხსენება არჩ. ჯაჯანაშვილისა).
8. რეჟისურის შესახებ (მოხსენება გ. ახრახაძისა და აკ. ფაღავასი).
9. მსახიობთა ვითარების შესახებ (საგანგებო კომისიის წინადადება — მომხსენებელნი ა. წუწუნავა და ა. ფაღავა).
10. ბენეფისისა და იუბილეს შესახებ (მომხსენებელი ვლ. ალ. მესხიშვილი).
11. სახალხო თეატრის შესახებ (მოხსენება იოსებ იმედაშვილისა).

გარდა ამისა ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რომ:

1. დაარსებულ იქმნეს დრამატურგთა კავშირი.
2. დაარსებულ იქმნეს დრამატიულ საზოგადოებათა კავშირი, რომლის წესდების შედგენა და საქმის მოწყობა მიენდო დელეგატთა კრებას.
3. დაარსებულ იქმნეს პროფესიონალური კავშირი, რომლის მოწყობა თავს იდვან თვით მსახიობთ.

ანტრეპრიზი და ნორმალურ წესის საკითხი გადაიდო მომავალი ყრილობისთვის. დრამატულ კურსების მომწყობ კომისიაში არჩეულ იქმნენ: იოსებ გედევანიშვილი, ვლ. ალ. მესხიშვილი, ექ. ვ. ღამბაშიძე, მ. ქორელი და ზ. ფალიაშვილი.

ალსრულდა ის, რასაც ადრევე „თეატრი და ცხოვრებას“ მეთაურში ჯერ კიდევ 13 აპრილის ნომერში (№ 6) იმედაშვილი აღნიშნავდა: „ქართული სცენის მუშაკთა მოღვაწეობის გამაერთიანებელი და ერთი გზის მაჩვენებელი უნდა იყოს ქართული სცენის მოღვაწეთათვის სავალდებულო დადგენილებანი და მთელის საქართველოს სათეატრო მოღვაწეთ ერთი გეგმა მისცეს“ (კანონმდებელი ყრილობა). ამასთან ერთად, იმედაშვილი სიამაყის გრძნობით იმასაც აღნიშნავდა, რომ „ქართულმა სახიობამა და თეატრმა თვისი განვითარების პირველი ნაბიჯები უკვე გაიარა და ახლა უნდა გადაჭდგას გაბედული ნაბიჯი დამოუკიდებელ ეროვნულ შემოქმედებისაკენ... ჩვენის თეატრის აღორძინების ახალი ხანა იწყება, ხანა მრავალ იმედიანი, დაგვებადა ეროვნული დრამატურგია, სათეატრო საქმეს საქართველოში მკვიდრი საფუძველი ეყრება... ქართველმა მსახიობმა უცხოეთი და უცხოეთის მსახიობნი უნდა გაიცნოს, მაგრამ უმთავრესი ყურადღება იმ ხალხის ფსიქოლოგიის შესწავლას, ზნე-ჩვეულებათა მტკიცედ გათვალის-წინებას უნდა მიაქციოს, რომლის წარმომადგენელთა განსახიერებასაც კისრულობს... გაჩნდა პროფესიონალი ქართველი არტისტი... წინად თუ ხოლოდ ერთი, ანუ ორი მოიპოებოდა ასეთი, ახლა უკვე ათობით ჩამოითვლება ხელობით მსახიობი, რომელიც მხოლოდ მშობელ სცენას შეჰყურებს და მის იქით გასაქანი არა აქვს... ქართული საზოგადოებაც მსახიობის თამაშს თვის სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ესწრება... ამიტომ შეუწყნარებელია, რომ ქართველი მსახიობი მშობლიურ ენამეტყველებაში კოჭლობდეს, ენას ჭაჭურად ამახინჯებდეს, ან ხშირად ისეთ სიტყვას წამოისროდეს ხოლმე, რომლის მნიშვნელობა თვითონაც არ ესმოდეს?..

...სახელი და პატივი იმ სცენის მოყვარე-მოღვაწეთ, რომელთაც ხალხის გასათვითცნობიერებლად უსნგაროდ შესძგეს სცენაზე ფეხი და ყოველთვის შეგნებით ემსახურებოდნენ ხალხის კულტურულად დამაწინაურებელ ტაძარს...“ (იქვე).

ყრილობის გახსნის დღისადმი მიძღვნილ ყურნალის მეთაურში კი (8 VI, № 14) იმედაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას იმასაც აქცევდა, რომ ყრილობამ ხელი უნდა შეუწყოს ქართულ თეატრში სამშობლო ენის სიფაქიზის დაცვას, შერჩეულ-იდეური რეპარტუარის შექმნას, დედა-ქალაქისა და პროვინციის თეატრების ერთი გეგმით ამოქმედებას, დრამატულ საზოგადოებათა გაერთიანებას, მსახიობთა კავშირის დაარსებას, განვითარებულ-მომზადებულ მსახიობთა რაზმის შექმნას, პიესების ავტორთათვის ჯილდოს გაცემის დაკანონებას, მსახიობთა ფონდის დაფუძნებას და სხვ.

თეატრისა და მაყურებლის დამოკიდებულებაზე იმედაშვილი თუმცა მეტად ზოგად, მაგრამ იმ საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამდა,

რომ დღეკანდელმა თეატრმა მხოლოდ მუდმივი მაყურებლის სულიერი წყურვილის დაკმაყოფილება უნდა დაისახოს მიზნად და ასეზრდოც მუდამ მისგან ელოდეს...“ (იქვე).

„ამიტომ დროა საზღვარი დაედოს სცენაზე ისეთ პირთა მიღებას, რომელთაც შესაფერი განვითარება-მომზადება არ მიუღიათ. — ჩვენ აქ რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა ცენზს არა ვგულისხმობთ. — ეს არცთუ ისე საჭიროა, — საჭიროა მხოლოდ ქართული სცენის მუშაკმა ზედმიწევნით იცოდეს სანიმობლო მწერლობა და ხელოვნების (განსაკუთრებით სასცენოს) სხვადასხვა დარგნი... ხშირად წარმოდგენა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს უცხოელთ ახლად შეუსწავლიათ ქართული ენა და ისე სთამაშობენო... რეპერტუარი? — აქამომდე ვისაც რა პიესა მოეპრიანებოდა იმას სდგამდა... შინაარსსა და მხატვრულ მხარეს ხშირად ყურადღებას არ აქცევდა... არა ერთხელ თქმულა, რომ დღეს ქართული თეატრის მაყურებელი ხალხია, დემოკრატია, იშვიათ შემთხვევაში, არისტოკრატია, მაღალი საზოგადოება თუ ეწვრება, ისიც მხოლოდ ქველმოქმედების მიზნით... (იქვე).

შალვა დადიანმა მსახიობთა ყრილობის საზოგადოებრივ-ისტორიული მნიშვნელობა იმაშიაც დაინახა, რომ ამ დღეებში „ქართველი კაცი მთელი ერთი კვირის განმავლობაში (8-დან 15 ივნისამდე) ლაპარაკობდა და მსჯელობდა ქართულად და ისეთ ქართულ საგანზე, როგორც სასცენო ხელოვნებაა... არავინ მოელოდა, არავის სჯერდა, თუ ასეთი რიგიანი და შინაარსიანი სხდომების წაყვანა შეგვეძლო ქართველებს... დამჯდარი ბაასი და პარლამენტალური კამათი ჩვენც შეგვძლებია და ისიც ჩვენ მშობლიურ ენაზე (ჯამი, 1914, 3 VIII, № 22).

ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების თვალსაზრისით ამ ღირსშესანიშნავ ყრილობას თავმჯდომარეობდა გიორგი ლასხიშვილი, მის საპატიო თავმჯდომარედ კი არჩეული იყო დიდებითა და საერთო სიყვარულით მოსილი, მხცოვანი მგოსანი აკაკი წერეთელი. ყრილობის დამსწრეთა საერთო სურათი, რომლის ცენტრში აკაკი წერეთელი ზის გიორგი ლასხიშვილსა და ვლ. მესხიშვილს შორის, დაბეჭდილია 1914 წლის 29 ივნისის „თეატრი და ცხოვრებაში“ (№ 17, გვ. 9).

ქართული თეატრის დაწვა

სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის მოწვევითა და მის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების მოლოდინით აღფრთოვანებული ქართველი საზოგადოება ერთბაშად

იყო თავზარდაცემული დიდი უბედურებით — 1914 წლის 25 სექტემბრის დღის 4 საათზე ყველას თვალწინ ქართული თეატრი დაიწვა, ის, რომ ცეცხლის ჩაქრობას ვერაფერი უშველა და რამდენიმე საათის განმავლობაში ირგვლივაც ყველაფერი განადგურდა. ხანძარმა შთანთქა თეატრის დიდ დარბაზთან ერთად თეატრის შენობა და მისი ქონება — დეკორაციები, გარდერობი, ქართული დრამატული საზოგადოების წიგნთსაცავი, ხელნაწერები, და სხვა. თეატრთან ერთად დაიღუპა მის მეზობლად მდებარე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთელი ავლა-დიდება — წიგნის მდიდარი საწყობი, სახელმძღვანელოები, არქივი და სხვა, რომლის ზარალი მანეთებში 70 ათასს აღემატებოდა. ცხადია, ყოვლად აუნაზღაურებელ დანაკლისს მისი ხელნაწერთა არქივის დაღუპვა წარმოადგენდა, რომელშიაც ბევრი რამ იყო უნიკალური ღირებულებისა ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიისათვის. ასევე დიდი ზარალი მოუვიდა „ახალ კლუბს“ და ბევრ სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებას, რომელიც კი მოთავსებული იყო სასახლის ქუჩაზე მდებარე ძველი ქარვასლის ტიპის ვრცელ შენობაში ისე, რომ საერთო ზარალი ნახევარ მილიონზე მეტს შეადგენდა.

თითქოს ქართველი ხალხისათვის სატანჯველად საკმარისი არ იყო ბედისწერის ოცით გამოწვეული უბედურებანი — პრესა ყოველდღიურად სავსეუხარო ცნობებს ათავსებდა ბრძოლის ველზე დაჭრილ და მოკლულ ქართველთა შესახებ.

თეატრის დაწვით ქართველობამ დაკარგა გულახდილი აზრის გამოთქმისა და გაგონების ყველაზე საიმედო და საყარელი თავშესაფარი, დაინგრა ეშნობლიური თეატრის სცენა, სადაც მოღვაწეობდა ქართველ საუკეთესო მსახიობთა დასი — ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ალ. იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ეფემია მესხი, ნუცა ჩხეიძე, ე. ჩერქეზიშვილი: რეჟისორები— ალ. წუწუნავა, მ. ქორელი და სხვები.

ქართულ თეატრს ითესებ იმედაშვილი არა იხოლოდ იმით უკავშირდებოდა, რომ რამდენიმე წელს მის მსახიობად და დირექტორის მოადგილედ მუშაობდა, ამავე შენობაში იყო დაბინავებული მისი რედაქტორ-გამომცემლობით ვრსებული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ რედაქციაც. ამიტომაც თეატრთან ერთად მთლიანად დაიწვა და განადგურდა მისი ჟურნალის სარედაქციო მასალები ალაკის, ვაჟას და სხვა მწერალთა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ხელნაწერი გეგმები, გამოცემანი, კლიშეები, სამუზეუმო სურათები. ისე, რომ მისგან ერთი ფურცლის გადარჩენაც ვერ მოხერხდა... იგი როგორც თვითმხილველი დეტალურად აღწერს ქართული თეატრის დაწვის სურათს. ცეცხლი ნაშუადღევს დაწყებულა, დაახლოებით

3 საათზე, იმ დროს, როდესაც თეატრი თითქმის ცარიელია და არც იმედაშვილი ყოფილიყო ადგილზე, რადგან უკვე აწყობილი ჟურნალის ნორიგი ნომრის გასასწორებლად სტამბაში წასულიყო. მეხუთე საათის დაწყებისას ვიღაცას ამბავი მიეტანა სტამბაში — ქართული თეატრი იწვისო...

„მაშინვე გავექანე გულგადაბრუნებული, მაგრამ არც სასახლის ქუჩით, არც ერევნის მოედნით, არც სარაჯიშვილის სახლის ეზოთი არ შემიშვეს... ორის მხრით ჯარი და პოლიციელები ჩაეყენებინათ, ნესამე ჩაკეტნათ. ირგვლივ დიდძალი ხალხი იდგა თამაშად. ჩემმა ხვეწნა-მუდარამ — შემიშვით, ვიღუპებით, ეგება გადავარჩინო რამე-მეთქი, არავინ ისმინა, კონდახით და ხმლის ყუით მირიდებდნენ... ვიცი ქონებაც იწვოდა, ჯარი და პოლიცია მათ შენობასთან ახლოს არ უშვებდნენ, მათ შორის თეატრის დირექტორის ილოსებ გედევანიშვილს, გამგეობის თავმჯდომარეს ნ. ერისთავს, მთელი ამ მამულის მებატონეს, თავადაზნაურთა წინამძღოლს სუმბათაშვილს... ამავე დროს, ვიღაც უცნობი პირნი ირგვლივ დათარეშობდნენ და რაც შეეძლოთ ქონებას იტაცებდნენ... ქარვასლის მთელი ეზოს წყალ-ტლაპოში დაფანტული ჩანდა დრამატული საზოგადოებისა და „თეატრი და ცხოვრების“ ქონება — ჟურნალები, ხელნაწერები, სამუზეუმო ნივთები... თეატრის ფოიედან ფანჯრებში ისროდნენ რაც ხელთ მოხვდებოდათ... ასე ნადგურდებოდა „ზაკავკაზსკაია რეჩის“ და „სახალხო ფურცლის“ რედაქციებიც. რაც ცეცხლმა დააკლო, ფეხქვეშ გაითელა, წყალმა წალეკა, ჰაერში გაიფანტა... სახანძრო რაზმი თითქოს მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ რაც არ იწვოდა, ისიც დანგრეულიყო, განადგურებულიყო და წყალში აზელილიყო“.

იმედაშვილი ყურადღებას აქცევდა იმ უცნაურ გარემოებას, რომ ჩაქრობის ორგანიზაცია თითქოს განგებ იყო ჩაშლილი, თავიდანვე საჭირო ზომები არ იყო მიღებული. თეატრს საკუთარი ცეცხლს საქრობები ჰქონდა, ეზოშიაც მუდამ წყალი იყო და ვერც ერთით ვერ ისარგებლეს — წყალი სწორედ იმ დღეს დამშრალიყო და ჩასაქრობად ერევნის მოედნიდან ეზიდებოდნენ... საღამოს კი ყველაფერი გათავდა — პირდაპირ სახელოსნოებისა და საწყობების დარბევას შეუდგნენ, ისეთი სურათი იყო, თითქოს მტერი შემოსეოდაო (როგორ დაიღუპა ჩვენი წიდათა წიდა, № 31).

ამ უბედურებამ არა მხოლოდ ნივთიერად დააზარალა ჩვენი კულტურული საზოგადოებანი თუ კერძო პიროვნებანი, მან ქართველობის სულიერი ცხოვრება ნორალურად შეაკრთო, როგორც 28 სექტემბრის (№ 30) მეთაურში „დაინთქა კერა ხელოვნებისა“ აღნიშნავდა იმედაშვილი — ქართულ დრამატიულ დასს დაეხშო კერა, ფუძე ნოეშალა. ქართველმა ხალხმა დაჰკარგა ის ერთადერთი დაწესებუ-

ლება, სადაც სულს ითქვამდა, მთელი არსებით სამშობლოში ჰგრძნობდა თავს, მთელს ერს უკავშირდებოდა... მაგრამ ჩვენ გვწყურია ცოცხლე და ვიცოცხლებთ კიდეც ცეცხლით განწმენდილნი, ჰირვარამის ცრემლებში განბანილნი" — აცხადებდა იმედაშვილი ჟურნალის 5 ოქტომბრის მეთაურში (№ 31). ჩვენ მიუვალ კლდეღრეებში და მთებზე დაბნობილ ტაძრებს ვაგებდით და არც ეხლა მოვუდრეკთ ქედს ჩვენ მოულოდნელ უბედურებასაო (რა ევალება დღევანდელ კრებას, № 31).

იმავე ჟურნალში მან აუწყა საზოგადოებას, რომ თავადაზნაურთა წინამძღოლმა თავ. კ. ნ. აფხაზმა სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი სათათბიროდ მოიწვია თეატრის ასაშენებელი საჭირო თანხის შემკრები კომიტეტის შესადგენად, და მიმართავდა ქართველობას ყველა გამოხმაურებოდა, თავისი წვლილით ეროვნული ვალი მოეხადა ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებისათვის.

როგორც ჩანდა, შეწირულებათა შეგროვება იმავე დღეებში დაწყებულა ისე, რომ მორიგი ნომრიდანვე „თეატრი და ცხოვრებაში" სისტემატურად ქვეყნდებოდა შემწირველთა და შეწირულებათა სიები. შეწირულება მოდიოდა საქართველოს პროვინციებიდან, რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მყოფ ქართველებისაგანაც. მისი სიტყვით, ქართული თეატრის დაწვამ მთელი შეგნებული საქართველო აამოძრავა და ყველას ერთი აზრი წარმოათქმევინა — აშენებულ იქმნას ახალი ქართული ეროვნული თეატრი („დაიწვა ძველი — გაუმარჯოს ახალს", 15 X, № 31, გვ. 9—12). იქვე, პრესის, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებათა თუ ცალკე პიროვნებათა გამოხმაურების მიმოხილვაში აღნიშნავდა, — ჟურნალ-გაზეთებსა და თეატრალურ ორგანიზაციებთან ერთად, ქართველ ერს სამძიმარი გამოუცხადეს თბილ. მაჰმადიანთა ერთმა ჯგუფმა, რომლის ტექსტი დაბეჭდილი იყო რუსულ გაზეთ „ზაკ რეჩ"-ში (№ 22).

კ. აფხაზის თავმჯდომარეობით ქართული თეატრის აღდგენის თაობაზე 5 ოქტომბერს შემდგარმა თათბირმა აკაკი წერეთლის, აკ. ჩხენკელის, გ. გვაზავას, შ. მესხიშვილის, გ. ამირეჯიბის, ი. ბარათაშვილის, რ. გაბაშვილის, მ. გედევანიშვილის, პ. გოთუას, გ. დიასამიძის, ი. ევდოშვილის, ექ. თაყაიშვილის, ივ. ზურაბაშვილის, ი. იმედაშვილის, შ. მიქელაძის, თ. ნასიძის, გ. ყორდანიას, გ. ყურულის, ვ. ყიფიანის, შ. შარაშიძის, ან. ღულაძის, ა. ჰოჰინაძისა და სხვების მონაწილეობით დაადგინა, რომ შეიქმნას ქართული თეატრის აღსადგენი საგანგებო კომიტეტი ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან 25 წევრის შემადგენლობით, რომელშიაც შევლენ მუშების, გლეხების, ეკრების წარმომადგენლებიც საქართველოს სხვა ქალაქებისაგანაც. კომიტეტის შემადგენლობაში დასახელებული

იყვნენ მუდმივად ა. სუმბათაშვილი (იუჟინი), გ. ლასხიშვილი, გ. ყაზბეგი, ს. ფირცხელავა, დ. ვაჩნაძე, ნ. ქარცივაძე, ვ. ღამბაშიძე, ი. გომართელი, ნ. გოცირიძე, ა. წუწუნავა, დ. ჩოლოყაშვილი, ზ. ფალიაშვილი, ა. ერისთავი, ვ. გელოვანი, კ. ჩხეიძე და სხვები.

19 ოქტომბრის მეთაურში „ვინ უნდა ააშენოს ქართული თეატრი“ (№ 33) იმედაშვილი შენიშნავდა: „ქართული ეროვნული თეატრის ასაშენებლად ყოველმა ქართველმა მოიტანოს თითო აგური მაინც მომავალ ქართულ თეატრში უნდა გამოიხატოს მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთება, მთელი მისი ჰენია და ამიტომ მისი აშენების საქმე მხოლოდ ერთს რომელსამე წოდებას, ერთ წრეს თუ ჯგუფს არ უნდა მიენდოს...“

თეატრის დაწვასთან დაკავშირებით გასახსენებელია ერთი საგულისხმო ეპიზოდი, რომელსაც შემდგომ კიდევ უფრო საინტერესო ამბები მოჰყვა. „თეატრი და ცხოვრებას“ ამავე ნომრის „წვრილი ამბების“ ქრონიკაში ასეთი ცნობა იყო დაბეჭდილი: „ლადო მესხიშვილი დამწვარ თეატრთან ოთხშაბათს დილით ცხარე ცრემლით სტიროდა. მსახიობი სწორედ ამ დილით ჩამოსულიყო და თეატრის სანახავად წამოსულიყო. ჩვენი თანამშრომელი შემთხვევით შეხვდა მსახიობს და როდესაც გამოელაპარაკა, გულმოკლულმა მსახიობმა მხოლოდ ეს სთქვა: „დაინთქა ჩემი სამყოფელო“.

ტირილით ყველა ტიროდა და ყრილობის დადგენილება კი თეატრის აშენებასა თუ სხვა ღონისძიებებზე განუხორციელებელი რჩებოდა, მით უმეტეს ომიანობის პირობებში ყველაფერი გაძნელებული იყო, უბინაობის გამო ქართული დასი დაიშალა, ძალები დაიჭსაქსა...

კარგა ხნის შემდეგ, ქართული თეატრიდან ვლ. მესხიშვილის რუსულ დასში გადასვლის ამ ამბის მოგონებაში იმედაშვილი უფრო იმას აქცევდა ყურადღებას, რომ ეროვნული გრძნობა განსაკუთრებით იყო გაფაქიზებული ცარისტული რეჟიმისა და შავრაზმული თარეშის, მით უმეტეს მსოფლიო ომით მიყენებული ჭრილობებისა და ქართველი ხალხის დაქსაქსვის პირობებში, რაც მწვავე ხასიათს იღებდა... ყოველივე მშობლიურს, ქართულს აბუჩად იგდებდნენ, ქართული კულტურა და კერძოდ თეატრი დისკრიმინირებული იყო და ჩვენთვის მესხიშვილი დანაკლისი იყო არა მხოლოდ როგორც თავისთავად ერთი ნიჭიერი მსახიობისა, არამედ უფრო მეტად როგორც მორალური ტრავმა ეროვნულ ღირსება-თავმოყვარეობის შეგნებაზე...

ამიტომ მესხიშვილს სამდურავის ეს თქმა თუ ერთბაშად სწყენოდა, შემდგომ საყვედურის ორმხრივი — საზოგადოებრივი და პიროვნული მნიშვნელობა უფრო ღრმად რომ შეუცვნია, იმედაშვილის

თქმით, „ჯერ შემთხვევით გზაზე შეხვედრილმა შორიდანვე გადმოძახა — ახია ჩემზე იოსებ, კიდევ გამლანძღეთო... მერე კი ახლოს რომ შევხვდით, მითხრა — შენ ადგილას მეც ეგრე მოვიქცეოდიო... თან ჩამიღიმა და ხელის მაგრად ჩამორთმევითაც მაგრძნობინა, რომ გულწრფელად შემირიგდა და აღარ მემდუროდა“.

რასაკვირველია, მესხიშვილის დიად პიროვნებას მისი ეს თავმდაბლური მონანიება კიდევ მეტ ნათელს ჰფენს და ამაღლებს მომავალთა თვალში, რამდენადაც კარგად ჩანს, რომ იგი სულის სიღრმეში ერის, ხალხის საქმესა და სახელს საკუთარ პიროვნულ თავმოყვარეობაზე მაინც უფრო მაღლა აყენებდა.

დრო მიდიოდა, ლ. მესხიშვილი ქართულ სცენას მოგვიანებით მაინც დაუბრუნდა, მაგრამ ქართული თეატრის აგებას საშველი არ ადგებოდა, რის შესახებაც სისტემატურად იბეჭდებოდა და იოსებ იმედაშვილი აქაც მოურიდებლად კიცხავდა ყველას, უფრო კი თეატრის ამშენებელ საგანგებო კომიტეტს მეტი ინიციატივა გამოეჩინა, რომ საქმე წინ წასულიყო და დროით დამთავრებულიყო. „თეატრი და ცხოვრება“ 1915 წლის 3 მაისის მეთაურში „როდისღა შევალთ საკუთარ ტაძარსა შინა“ (№ 18) იგი უკვე წერდა: „თითქმის ერთი წელიწადია თეატრი დაგვეწვა, ეროვნული ხელოვნება საფრთხეშია, თეატრის ამგები კომიტეტი კი მხარ-თეძოზე წამოწოლილა... ჩვენი ინტელიგენტი ოღონდ რამდენსამე საზოგადო საქმეში ჩააბი, მიაკარ საზოგადო მოღვაწის ნიშანი და... მორჩა, ნაკისრ საქმეს გაკეთება უნდა თუ არა აღარ დაგიდევს... დაჰკრის, დაფარფატებს, ყველგან არის და ვერსად-კი ვერაფერსა ჰქმნის... ხშირად ერთ დანიშნულ დროს სხეულით რომ ერთ კრებაზეა, ფიქრით — მეორეზე, და ყოველ წუთს მესამისაკენ გასაქცევად ემზადება — კრებაზე არ დამიგვიანდესო...

ამიტომაც არის, რომ არც ერთს ჩვენ საქმიანობას თავი არ უჩანს... ასევე ემართება თეატრის საქმესაც, მოუცლელ ხალხის ანაბარა მიტოვებით ლამის საღათას ძილს მიეცეს“...

ჟურნალს მართლაც ჰქონდა საჩივლელი, თუნდაც იმიტომ, რომ სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის დადგენილებათაგან თეატრალური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე ქართული თეატრის დაწვის შემდეგ მისთვის ახალი შენობის აგების ღონისძიებათაგან მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი კეთდებოდა, თუმცაღა ქართული თეატრისა და ეროვნული დრამატურგიის საქმე მაინც წინ მიიწევდა, თუნდაც იმით, რომ ჩვენ მსახიობთა მუშაობაში მეტი პროფესიონალიზმი იკაფავდა გზას და მაყურებელიც იზრდებოდა. ეს კარგად ჩანს თავისთავად ჟურნალში სისტემატურად გამუქებული რეცენზიებითა და კრიტიკული ნარ-

კვლევებით საერთოდ ქართული ხელოვნების საკითხებზე, რომლებშიაც მეტის გულმოდგინეობით იხილებოდა ევროპული თეატრის განვითარების პერსპექტივები რუსეთისა თუ საზღვარგარეთის თეატრალური ხელოვნების მიღწევათა გათვალისწინებით. ეროვნული თეატრის წინსვლის მხრივ გასახსენებელია ივანე გომართელის გამამხნევებელი შენიშვნები იოსებ გედევანიშვილის პიესის „სინათლესთან" დაკავშირებით, რომელსაც თავის დროზე დიდი წარმატება ხვდა. იგი თეატრის ეროვნულ-აღმზრდელობით მნიშვნელობაზე მსჯელობისას აღნიშნავდა: „მოხდა ის, რაც არასოდეს არ მომხდარა ქართულ სცენაზე: ერთი და იგივე პიესა თოთხმეტჯერ დადგეს და კიდევ ამდენჯერ რომ დადგან, თეატრი მაინც გატენილი იქნება ხალხით. რითი აიხსნება ასეთი დაუჯერებელი ამბავი? მარტო პიესის ღირსებით? სრულიადაც არა. ხალხს მოსწყურდა ეროვნულ ფორმებში ჩამოსხმული მშვენიერება და ის ხარბად დაეწაფა „სინათლეს".

დიდი გარდაცვალებანი

ქართული თეატრის დაწვის შემდეგ რამდენიმე თვე იყო გასული, რომ მთელი საქართველო ჰეშმარიტად უსაზღვრო გლოვამ მოიცვა — 1915 წლის 26 იანვარს 75 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ეროვნული პოეტი, სახელმოხვეჭილი აკაკი წერეთელი, ქართველი ხალხის უსაყვარლესი მგოსანი, რომელსაც სიცოცხლეშივე ხვდა წილად კლასიკოსის სახელი, მეფური პატივი, მთელი ქართველი ერის სიყვარულით მოპოვებული დიდების გვირგვინი.

აკაკის გარდაცვალება-გლოვის დღეებს „თეატრი და ცხოვრება" თებერვლის პირველიდან დაწყებული №№ 5, 6, 7, 8, და მარტის 9, 10 ჟურნალებში დასტროდა როგორც საქართველოს დიდებას, მისი წვინდა ზრახვების გრძნეულ მომღერალს... მრავალტანჯულმა ქართველმა ერმა წარმოშვა იგი და აკაკიმაც ვითარცა ღირსეულმა შვილმა, მიწერთა შორის რჩეულმა ღვთიური სიმღერებით გამოხატა მშობელი ერის ტანჯვა, ვაება. იმედი. სიხარული და ღრმად ჩაგვინერგა, რომ ჩვენი სამშობლო „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, და ისევე გაიღვიძებს", — რომ ვიდრე მსოფლიოს ერთ ციდა მიწაზე მაინც ქართული ენა იმეტყველებს და ქართველი ისუნთქებს, აკაკის სახელიც უკვდავი იქნება ვითარცა მამულიშვილობის მოციქულისა, ერის განთავისუფლებისათვის მომღერალისა... ეკლიანი იყო გზა მისი ამიერ სოფლად ცხოვრებისა, მაგრამ მის ნაკვალევს მომავალი ვარდ-ყვავილებით მოჰფენს..." (1915, 1 თებერვალი, № 5).

აკაკის გარდაცვალებამ, როგორც დიდმა სტიქიურმა უბედურებამ მთელი ქართველობა ერთბაშად შეაზანზარა... ამ გლოვამ მთე-

ლი ქართველი ერი, საქართველოს ყოველი კუთხის, წოდებისა და პარტიის მიუხედავად, ერთი აზრით გამსჭვალულ ძალად შეამჩიდროვა და თავის მდგომარეობაზე ღრმად ჩააფიქრა... ქართული პრესა, მასთან ერთად „თეატრი და ცხოვრება“ მეტი გაბედულებით ახმიანდა ეროვნულ ჭრილობებზე, ერის დაღუპულ დიდებასა, საუკუნეთა აწმყოსა და ბნელით მოცულ მომავალზე.

მეთაურში „შშვიდობით სულის მეუფევ“ (1915, 8 III, № 6) იოსებ იმედაშვილი მგოსანს მიმართავდა — „დიდებული იყავ სიცოცხლის დროს, სხეულებრივ ჩვენს შორის ყოფნის ჟამს და აი უმეტესად განდიდდი — ის, რაც ვერ შესძლო სხვადასხვა ჯგუფთა ათეული წლების პაექრობამ, შენ შესძელ შენის განსვენებით... მთელი საქართველო შეგოყრიხე... საქართველო მკვდრეთით აღსდგა და ამაზე მეტს ხომ აღარას ეძებდი?.. აკაკი საქართველოა, მისი პოეზია ქართველი ერის ფიქრია, იგი გამოხატავს მთელი ქართველი ერის სულსა და გულს!..“

აკაკის გარდაცვალების გამო ქართულ ჟურნალ-გაზეთების „სახალხო ფურცელის“, „ახალი აზრის“, „თემის“, „შადრევანის“, „თეატრი და ცხოვრების“, „კლდის“, „განათლების“, „ნაკადულის“, „ჯეჯილის“ რედაქციების თაოსნობით სამშაბათს, 27 იანვარს ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნა პანაშვიდი საქართველოს ექზარხოსის პიტირიმის, ეპისკოპოსთა ანტონის, პიროსის და სხვათა თანამწირველობით. დაესწრო დიდძალი საზოგადოება, პრესისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. პანაშვიდის დაწყებამდე მგრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ექსარხოსმა, გალობდა ფილარმონიული საზოგადოების გუნდი ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით.

მგოსნის დაკრძალვის გამო იმერეთის თავადაზნაურობის წინამძღოლმა თავ. დავით ნიკარაძემ იმერეთის წინამძღოლს თავ. კოტე აფხაზს აცნობა, რომ იმერეთის კულტურულ საზოგადოებათა წარმომადგენელთ გადაწყვიტეს: აკაკი დაკრძალულ იქნას თბილისში, მთაწმინდაზე, ილიას გვერდით, კვირა დღეს. ეს გადაწყვეტილება დაადასტურა თბილისის კულტურულ საზოგადოებათა და პრესის წარმომადგენელთა კრებამ.

აკაკის უანდერძებია გვირგვინებით ნუ შემომკობთ კუბოს, ვისაც გვირგვინის სასყიდლად ფული ეშეტება, ზეპირსიტყვაობის შეკრებას საქმეს შესწიროსო.

ამერი-იმერეთმა დაადგინა მგოსნის კუბო მხოლოდ ერთი დაფნის გვირგვინით შეიმკოს ზედ წარწერით: „აკაკის — საქართველოსაგან“.

მგოსნის დაკრძალვაში წინასწარ შედგენილი წესის მიხედვით,

ლიტერატურისა და პრესის წარმომადგენლებს ვაჟა-ფშაველას მეთაურობით უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვაჟა-ფშაველა აკაკის დასაფლავებას ვერ დაესწრო. სხვიტორიდან დაწყებული თბილისამდე აკაკის ცხედარს საქართველოს მთელი მოსახლეობა მუხლმოყრით მიაცილებდა. ყველგან სადგურებზე — ჭიათურას, შორაპანს, ხაშურს, გომს, გორს ამბობდნენ სიტყვებს და ვარდ-ყვავილებს უფენდნენ მის გზას.

იოსებ იმედაშვილი, როგორც „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი და აკაკის დამკრძალავი კომისიის წევრი საჩხერიდან დაწყებული მთაწმინდის სამარის კარამდე თან ახლდა პოეტის ჩამოსვენება-დაკრძალვის მთელ პროცესიას და წერილების, საინფორმაციო ცნობების, ქრონიკის თუ მოგონებათა ფორმით შემოგვინახა მისი გლოვა-დამარხვის სამახსოვრო ეპიზოდები და სურათები.

საინფორმაციო ხასიათის წერილს „მგოსნის დაკრძალვა“ (15 II, № 7, გვ. 14) იოსებ იმედაშვილი ასე იწყებდა: „მგოსნი თბილისს არ უნახავს ასეთი დიდებული სანახაობა, ხალხის ერთის გრძნობით აღტკინება, მიმართულების, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩეველად ერთის გრძნობით გამსჭვალვა, როგორც ჩვენი უკვდავი აკაკის დაკრძალვის დღეს... თავი მოიყარა მთელმა საქართველომ თავის წარმომადგენლებით. საქართველოს მწუხარებას შეუერთდნენ ჩვენი მეზობლებიც ეროვნების განურჩევლადაც ...აქ არ იყო უამრი გვირგვინები, — იყო მხოლოდ ერთი, სადა, უბრალო და ესეც მთელს ერისაგან მიძღვნილი: „აპაპაკის — საქართველო“. არ იყო ბრჭყვიალა საზოგადოება, მაგრამ იყო ხალხი, მთელი ერი, რამდენიმე ათი ათასი... ამიტომაც სამართლიანად სთქვა ერთმა ორატორმა — „შეხე, რამდენი ლაშქარი გვყოლია, საჭიროა მხოლოდ შტაბიო...“

შაბათ დილიდან დაიწყო სიტყვების თქმა ქაშვეთის ეკლესიის გალავანში და ბევრი გრძნობიერი სიტყვაც ითქვა... კვირა დილით უამრავი ხალხი მოაწყდა ქაშვეთს... მგოსნის კუბოს და გზას ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ბავშვები ია-ვარდითა და ყვავილებით ამკობდნენ... კუბო გამოასვენეს მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მარშლებმა და სხვა საპატიო პირებმა... ერევნის მოედანზე კუბო დაასვენეს და სიტყვები წარმოთქვეს — ნიკო ნიკოლაძემ, ევგ. გეგეჭკორმა, კიტა აბაშიძემ, ქართველმა მაჰმადიანმა კაიკაციშვილმა, თბილისის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, თათრების წარმომადგენელმა, პირველ სათათბიროელმა, ალი მარდან თოფჩიბაშევმა, თათრული გაზეთის „ღობალის“ რედაქტორმა ემინ-რასულ ზადემ, მასწავლებელმა რუშენ ბეიმ, ეფენდიევმა, ებრაელთა რაბინმა მარკუსმა, უკრაინელმა, ბერძენმა. სომარესთან სიტყვები წარმოსთქვეს თავ. კ. აბხაზმა, თავ. ი. გელოვანმა, ქუთაისის მოურავმა ილ. ჩიქოვანმა,

ივ. ელიაშვილმა... უკვე შებინდული იყო, როცა კუბო აკლდამას მიაბარეს... ქუჩებზე გამოსული ხალხი ასი ათასამდე შაინც იქნებოდა... ამ დღემ დაგვარწმუნა, რომ აკაკისთანა მგოსნები არა კვდებიან და არც ერთ ერს ეკუთვნიან...

ამავე ნომრის „წვრილ ამბებში“ აღნიშნულია, რომ „ხაშმელ გლეხთა მგალობელთა გუნდმა აკაკის დაკრძალვის დღეს საერთო ყურადღება დაიმსახურა. ამ გუნდმა ორშაბათს დიდუბეში ისტორიკოს დ. ბაქრაძის (ხაშმელი იყო) პანაშვიდი გადაიხადა“. იქვე ქრონიკაში საყურადღებოა ცნობა იმის შესახებ, რომ დიდმა მთავარმა გიორგი მიხეილისძემ ვერცხლის გვირგვინით შეამკო აკაკის სამარე.

აკაკის გლოვა არ თავდებოდა, იწერებოდა წერილები, მოგონებანი, იბეჭდებოდა აკაკის თხზულებათა სანიმუშო ადგილები, ლექსები, ნაკვესები, მთელ საქართველოში იმართებოდა აკაკისადმი მიძღვნილი პანაშვიდები და დილა-საღამოები. აკაკის მიეძღვნა „თეატრი და ცხოვრებას“ კიდევ ერთი სპეციალური გამოშვება: „აკაკის საორმოცო ნომერი“ (8 მარტი, № 10) ლექსებით, წერილებით, მოგონებებით, ილუსტრაციებით. ჟურნალი იხსნება აკაკის საინტერესო წერილით: „ქალების აღზრდა-განათლება“, რომელშიაც გაკრიტიკებულია თანამედროვე ქართველი ქალის ტიპი და მის ძირითად მოვალეობად მიჩნეულია ძველი ქართველი ქალის ტრადიციის მიხედვით ქვეყნისათვის სასარგებლო ვაჟკაცის აღზრდის სწავლა. ანეტა ურკეთიჩის ქალის მოგონებაში „აკაკის უკანასკნელი დღეები“ (გვ. 2—5) გადმოცემულია აკაკის სიკვდილის წინა განწყობილებისა და საუბრების საინტერესო დეტალები, რასაც მოსდევს აკაკისავე წერილი „ზეპირ სიტყვაობის გამო“ (გვ. 6—10). იოსებ იმედაშვილის მოგონება „აკაკი შთამაგონებელი“ (გვ. 10—14) გადმოგვცემს აკაკისთან შეხვედრების სურათებს, მათ შორის წარმოებულ დიალოგებს ქართული მწერლობისა და პრესის საკითხებზე, ივანე მაჩაბლის სახლში პოეტის პირველ გაცნობას, მისი პიროვნების დახასიათებას, რასაც თან ერთვის იოსებ იმედაშვილთან აკაკის მიერ მიწერილი ბარათების მხოლოდ ორი ტექსტის შინაარსი მათივე ფაქსიმილეთი, რაც თავისთავად იმაზედაც მიგვითითებს, რომ მთელი არქივი ქართველ მწერალთა კერძო წერილებისა, თუ თხზულებათა დედნებისა ქართული თეატრის დაწვის დროს მთლიანად დაიღუპა.

აქვე აღსანიშნავია რომ იმედაშვილი, რომელსაც ახლო გულითადი მეგობრობა აკავშირებდა აკაკისთან, მისი გარდაცვალების შემდეგ, როდესაც გახანგრძლივებული ომისა თუ მისი შემდგომი დროის არეულ, კრიზისულ პოლიტიკურ-ეკონომიურ ვითარებაში საფლავებისათვის რომ არავის ეცალა, ერთადერთი იყო, რომელიც ყოველდღიურ მზრუნველობას არ აკლებდა აკაკის საფლავს და მისივე

ინიციატივით პოეტის სამარეს პირველი საყრდენი კედელი ამოუშენდა, რომ მთიდან ჩამოწოლილ ღორღს არ წაელეკა.

მაგრამ საქართველომ ვერც კი მოასწრო აკაკის ბოლომდე გამოგლოვება, რომ ქართველ ერს მეორე დიდი სიკვდილის უბედურება დაატყდა — იმავე წლის 27 ივლისს გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა, რომელსაც 2 აგვისტოს ჟურნალის № 31 მიეძღვნა. ავადმყოფი პოეტი თბილისში სათავადაზნაურო გიმნაზიის მეორე სართულზე გარდაიცვალა, სადაც მაშინ სამხედრო ლაზარეთი იყო მოწყობილი, ამჟამად იმ შენობაში ქართული უნივერსიტეტია. ავადმყოფ ვაჟას მამაჩემი ყოველდღიურ ზრუნვას არ აკლებდა და მე და ჩემმა ძმამ შალვამ მამასთან ერთად რამდენჯერმე ვინახულეთ მწოლიარე პოეტი... კარგად მახსოვს მისი გაფითრებული სახე, განსაკუთრებით თვალების ენერგიული გამომეტყველებითა და ცალი თვალის ჩამოხეულ-გადმობრუნებული უპეთი, რაც ციმბირის წყლულის შედეგად მოუვიდა და ჭრილობასავით შემზარავად შესახედი იყო.

ვაჟაც დიდის გლოვითა და დიდებით დაიმარხა, მაგრამ არა ისეთი ბრწყინვალებით როგორც აკაკი, თუმცა „თეატრი და ცხოვრება“ აღნიშნავდა, რომ „ვაჟა-ფშაველა ქართველმა ერმა დიდის დიდებით დაკრძალა დიდუბის პანთეონში და ერის ღირსეულ შვილთა შორის ჩარიცხა (1915, 9 VIII, № 32, გვ. 16). დაკრძალვას დაესწრნენ წოდებათა, ქალაქთა, საზოგადოებათა და სხვ. წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი აგარაკადაა გასული... კუბოს ამკობდა ერთი საზოგადო გვირგვინი „ვაჟა-ფშაველას — ქართველი ერისაგან“... სიტყვები წარმოთქვეს — ეკლესიაში ლეონიდემ, კორნ. კეკელიძემ, მღ. კავკასიძემ, გალავანში — წ. კ. გ. ს. მხრით ლ. ბოცვაძემ, თუშ-ფშავ-ხევსურთა მხრით დ. ქადაგიძემ... ორ მგოსანს კ. მაყაშვილს და ს. შანშიაშვილს მოჰქონდა დაფნის გვირგვინი, ილ. აგლაძის პატარა გოგონა ყვავილებით შემკულ ვაზის ჯვრით წინ მიუძღოდა მიცვალებულს... მიუძღოდნენ მგალობელთა რამდენიმე გუნდი... სამარეს თან სიტყვები წარმოსთქვეს მღ. მირიანაშვილმა, მღ. ცელენჯერიძემ, ქუთაისის დრამ. საზოგადოების მხრით გრ. ლაღიძემ, სტუდენტების მხრით ვ. კოტეტიშვილმა, მუსულმანთა მხრით ბ. სულთანოვმა, მუსულმან სტუდენტების მხრით პეპინოვმა, მშრომელთა სახელით ვანო ბალიაშვილმა, ჭიათურის მუშათა მხრით ა. იოსელიანმა და ან. ხიზანიშვილმა, ბაჩანამ (მგოსნის ძმამ), ზესტაფონის წ. კ. გ. ს. წარმომადგენელმა დ. კელენჯერიძემ, ბოლოს ვაჟას შვილმა ლევანმა...

იოსებ იმედაშვილი ვაჟას ტიროდა როგორც „წამებული სამშობლოს უებრო ჭირისუფალს“, ვინც „მამულისათვის გულს იმრავლებდა კვნესასა“ და ტკბილს საგალობელს აღავლენდა ზეცად: „ღმერ-

თო, სამშობლო მიცოცხლე, ტანჯულ ქართველი ერითა“, ვინც თავისი შემოქმედებით გვიწევს მოციქულობას კაცთა და ღმერთს შორის, რომ ღვთაებამდე აღგვამაღლოს... (უკანასკნელი პირველთაგანი, 1915, 2 VIII, № 31). მისი შენიშვნით, ის ერთი მხარეა პოეტის შემოქმედებისა, რომ ვაჟა „ხალხის წამების ემბაზშია განბანილი, სამშობლოს ბრწყინვალე ნატვრაში სულდალეული, ჩვენი დანავსული ბედის მკითხავი“ (იქვე). ვაჟას პოეზიაც ბარათაშვილის, ორბელიანის, რაფიელის, ილიას, აკაკის მამულის ბრწამსისა და ნაღველივით იყო, ჩვენი მამულის, ბეჩავი ერის, ხალხის მწარე სიმღერა, მაგრამ იგი კიდევ უფრო მაღლად სდგას ვითარცა ბუნების მესაიდუმლე და ცხოველად მხატვარი... ამ მხრივ ვაჟა შეუდარებელია და მან ღრმა კვალიც გაავლო ჩვენ მწერლობაში... ადამიანისა და ბუნების იდუმალ ზრახვათა დასურათებით, მათი სულიერი კავშირის გამომჟღავნებით (ბუნების მესაიდუმლე, იქვე, გვ. 2—5).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების საკითხებზე იმხანად შექმნილ წერილებში საგულისხმოა იმედაშვილის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ვაჟას ღირსეული დაფასება მომავლის საქმეა, მისი მწერლობის სხვა მხარეთა უცებ გაშუქება მოუხერხებელია, რასაც შემდგომ, დადგება დრო, გაარკვევენო (იქვე, გვ. 5).

ჰოლა ლომთათიძის გარდაცვალებაზე

1915 წლის ნავსიანმა დრომ კიდევ ერთი უბედურება მოგვიტანა: „თეატრი და ცხოვრებას“ 7 ოქტომბრის ჟურნალის პირველ გვერდზე ქართველ საზოგადოებას ეუწყებოდა: „ნომერი უკვე დასაბეჭდად გამზადებული გექონდა, ტელეგრაფმა სამწუხარო ამბავი რომ გვაცნობა — სარატოვში 4 ოქტომბერს გარდაიცვალა ბიკენტი (ჰოლა) ლომთათიძე, მეორე სახ. სათათბიროს წევრად ნამყოფი ერთი იმ თავგამოდებულ მებრძოლთაგანი, რომელნიც ზვარაკად განიწირნენ ხალხის უფლებათა მოპოვებისათვის. მისი ფხიზელი გონება, ნაზი და სათუთი გრძნობა ტყვეობაშიაც კი არ ისვენებდა, წერდა სპ. მცირიშვილის ფსევდონიმით. 1907 წ. 22 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის მხრით არჩეულ იქმნა დეპუტატად სახ. სათათბიროში, სადაც სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ჩაირიცხა, მუდამ მოწინავე დემოკრატიის წრეში იყო. 1907 წლის პირველ თებერვალს სოც. დემოკ. ფრაქციის გაძლიერების დროს 5 წლის კატორგა გადაუწყვიტეს, რაიც 7 ნახევარ წლის ციხედ შეუცვალეს და უკანასკნელ ტყვეობაში ამოხდა სული“..

ჰოლა ლომთათიძის სიკვდილი 36 წლის ასაკში (1879—1915) მით უფრო მოულოდნელი და გულდასაწყვეტი იყო რომ პატიმრობის ვადა გასული ჰქონდა და ჩქარა ელოდნენ მის ჩამოსვლას. იმედაშვილი იგონებდა — ციხის ვადა რომ შეათავა, ჰოლა დღითიდღე მოელოდა, გამიშვებენო, — ერთხანად ასეთი აზრი გაუცელდა კიდეც, მაგრამ მოულოდნელად ჰოლას იმედები გაუცრუვდა და სამშობლო გურიის მაგიერ ასტრახანს უკრეს თავი... ასტრახანიდან სარატოვში... მაშინ იმედაშვილისათვისაც ჯერ არ იყო ცნობილი, რომ როგორც უკვე აღინიშნა, თვითონ ჰოლას მეუღლის მზაკვრული მეცადინეობით უკვე განთავისუფლებულ ტუსაღს საქართველოში ჩამოსვლა აეკრძალა. სწორედ ამ ხანებში უგზავნიდა ჰოლა ლომთათიძე იმედაშვილს კერძო წერილებს.

ციხის საკანში ჰოლა ლომთათიძის სიკვდილმა აღშფოთებულ გლოვაში ერთად დიდი ზიზღით აღავსო ქართველი საზოგადოება იმ მთავრობის მიმართ, რომელიც ხალხის რჩეულ შვილებს ციხის კედლებში კლავდა. ამ სიკვდილმა უფრო მეტად გაამძაფრა პროტესტის სული და გააძლიერა არსებული წესრიგის დასამხობად შეურიგებელი ბრძოლის სურვილი. ჰოლას მსგავსად, ხალხის უკეთესი შვილებისათვის არაერთი სხვა მებრძოლის დაღუპვა დიდ მოწოდებად იქცეოდა გადამწყვეტი ბრძოლის მოსახლოებაში მზადყოფნისათვის. მათი სიკვდილი არანაკლებად დიდ საქმეს აკეთებდა გამათავისუფლებელი მოძრაობის პროპაგანდისათვის, ვიდრე თითოეული მათგანის სიცოცხლე. ამიტომ ჰოლა ხალხის სასარგებლოდ სიკვდილიდანვე იწყებდა მეორე სიცოცხლეს.

ჰოლას სიკვდილისადმი მიძღვნილ მეთაურში „თავზე ხელაღებული“ (1915, 14 X, № 46), თუმცა ცენზორის მიერ ზოგი რამ ამოშლილ-დამახინჯებული იყო, მაინც იკითხება, რომ „ჰოლა განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში მოექცა... მან ძველ წყობილებას ხანტიკი ომი გამოუცხადა... რომელიც მაჯლაჯუნასავით დასწოლია ბედკრულ-ბეჩავ ხალხს... „დაჭრილ ირემს სისხლი სდიოდა“... „მაგრამ იგი არ დრკებოდა...“. ან სიკვდილი, ან გამარჯვება, შერიგება კი არაფერზეა — აი რა იყო მცნება ხალხის რჩეული შვილისა... ასე მოქმედებენ მხოლოდ თავზე ხელაღებულნი... შვიდი წელიწადი ეწამებოდა და ერთხელაც არ ამოუგმინია — ვაიო!..“

„ოჰ, რა დიდებულია ასეთი თავგანწირვა, ასეთი სიკვდილი... მისი მოწაფეობრივი სიკვდილი ჩვენი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ერთი მძიმე თავბრუდამხვევი მოვლენათაგანია მიმართულების განურჩევლად გულის მომწყვლელი... შენ კი, ჩემი სამშობლოს ბედკრულო მშრომელო ხალხო, ამ დანაკლისით ნუ კი დაეცემი,

არამედ იამაყე და წელში გაიშალე, რომ ასეთი სულით მაღალ შვილთა წარმოშობა შეგძლებია... იგი ხომ ჩვენი გაძვალტყავებული ხალხის სისხლი — ძისხლთაგანია, ძვალი — ძვალთაგანი იყო და მისთვისაც განიწირა...“

ციხეში ყოფნა ჭოლამ დიდ შემოქმედებით შრომაში გაატარა, 1907—1915 წლებში მან დაწერა და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში დაბეჭდა „საპყრობილეში“, „უსათაურო“, „ჩემი დღიური“, გერის ფსევდონიმით წერდა „პატარა ამბებს“, სპ. მც-ის ფსევდონიმით „უბის წიგნიდან“, „თეთრი ღამე“, „ძე კაცისა“, რომლის ნახევარი რედაქციამ დაუკარგა. 1912 წელს დაიბეჭდა მისი თარგმანით „ჰეინეს ლექსების კრებული“. 1914 წელს „თ და ც“-ში დაიბეჭდა „გზაში“.

ლომთათიძე თავისი მსოფლმხედველობით მარქსისტული მოძღვრების მაღიარებელი იყო, საერთაშორისო დემოკრატიის იდეის მტკიცე მომდევარი და, იმავე დროს, ქართველი ხალხის წინსვლა-ლობა-გათვითცნობიერების ერთი მუშაკთაგანი.

იმავე ჟურნალის ვრცელ ნარკვევში „უბიწო ზვარაკი“ (გვ. 5—7) იოსებ იმედაშვილმა არიმათიელის ფსევდონიმით ფართოდ გააშუქა მისი ცხოვრება, პოლიტიკური მოღვაწეობა, „ცნობის ფურცელსა“, „მოამბესა“, „კვალსა“ და „აზრში“ თანამშრომლობა. 25 წლის ჭოლა გურიის მხრით არჩეული იყო სტოკჰოლმის რსდმ პარტიის გამაერთიანებელი კრების დელეგატად. სადაც ვორობიოვის სახელით მონაწილეობდა, იყო აგრეთვე ლონდონის ყრილობაზედაც, შემდეგ კი მეორე სახ. სათათბიროს დეპუტატად, როდესაც ფრაქციის 55 წევრთან ერთად საკატორგო სასჯელს იხდიდა პეტროგრადის, სევასტოპოლის, ბათუმის, ახალციხის, თბილისის, ასტრახანის, სარატოვის ციხეებში.

თავისი ჟურნალის მორიგ ნომერშიც იმედაშვილმა საინტერესო ნოგონება მოათავსა ჭოლას ცხოვრება-მოღვაწეობის, ციხეში მასთან ერთად გატარებული დროების შესახებ „ხალხის წარმომადგენელი მეტეხის ციხეში“ (1915, 21 ნოემბრისთვე, № 47, გვ. 5—8). მოგონებაში ყურადღება იმაზეა გამახვილებული, რომ „ჭოლა ციხეში განუწყვეტლივ მუშაობდა: კითხულობდა, სწერდა, სთარგმნიდა და რაღაც მანქანებით ციხის გარეთ ჰგზავნიდა თავის ნაწერებს... მეტეხის ციხეშიღე შევასწორეთ ჰენრიხ ჰეინეს ბიოგრაფიის კორექტურა. იშვიათად მინახავს ასეთი მოწადინებული, ბეჯითი, ნაწიგნობრობის მოყვარე. განსაკუთრებით დაეწაფა ძველ ქართულ მწერლობას — ენა უნდა შეესწავლოო. ბოლო ხანებში დიდი უკმაყოფილო იყო ზოგიერთი რედაქციისა: „მაგათი სული არ იყოს, რა გაჭირვებით ვუგ-

ზავნი ნაწერებს და ეგენი კი ან „ჰკარგაენ“ ან ეშმაკმა წაიღოს... ერთი გავიდეო...“. აქედანაც ჩანს, რომ ჭოლა ტყეებაშიც სულიერად არ ეცემოდა და საკუთარი ღირსების შეგნება არ დაუკარგავს, ამაყად იტანდა თავის მძიმე ხვედრს, თან თავმდაბალიც იყო, თავზე წარმოდგენა არა ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ იმედაშვილს ციხეში მისთვის ავტობიოგრაფიის დაწერა რომ უთხოვია, „ამაზე ჭოლამ თავისებურად გადაიხარხარა და მითხრა: „შენც გინახავს რალა ისტორიული პიროვნებაო“.

სამწუხაროდ, დიდი წვიმიანობის გამო 1938 წლიდან დაწყებული ციმწყინდაზე ჩვენ ბინაში რამდენჯერმე ღვარცოფი რომ შემოვარდა, ბევრი წიგნი და უნიკალური ხელნაწერი დაგვეკარგა, მათ შორის აკაკის, ვაჟას თუ სხვების და აგრეთვე ჭოლას ხელნაწერებიც. ზოგი რამ მათგან მაინც შემოგვრჩა, რომელთაგან რამდენიმე დაიბეჭდა (1915, № 51). მამაჩემთან მოწერილთაგან საყურადღებოა 1914 წლის 25 ივნისს ასტრახანიდან გამოგზავნილი წერილი: „ძმაო ირაკლი! „თეატრია და ცხოვრებას“ ვღებულობ. მივიღე აგრეთვე ბელიცკის ლექციათა კრებულიც. ყველა ამაების გამო დიდ მადლობას გწირავ. იმედია ჯანსაღად ხარ და მხნეთ, რასაც ჩემ შესახებ ვერ გეტყვი. ამ წყეულმა სიცხეებმა მაინც არაქათი გამომაცალა. ორმოცდათხუთმეტი გრადუსი სიცხეებია, მოდი და გაუძელი დაცრეცილი ფილტვებით.

ასე თუ ისე ჯერჯერობით ცოცხალი ვარ და შემდეგში რაც იქნება იქნეს, ჯანიც გავარდეს. ეხლა ჩემი დაპირება უნდა შევასრულო“ (იმედაშვილს ჭოლასთვის უთხოვია ასტრახანში ქართულ სიძველეთა, მათ შორის საფლავების შესახებ მოეწერა). მე მოვნახე აქ ჩვენი მეფეების საფლავებიო და თეიმურაზისა და ვახტანგის სამარხების მოკლე აღწერილობას სწერს. დასასრულს ასე ათავებს წერილს: „გისურვებ ჯანმრთელობას და კიდევ გმადლობ ჟურნალისათვის. „კლდისა“, „სახალხო ფურცლისა“ და კიდევ ქუთათურ „იმერეთის“ გარდა ყველა გაზეთებს ვკითხულობ, რისთვისაც ღმერთს მადლობას ვწირავ. ნახვამდის შენი ჭოლა“.

სიკვდილიან 1915 წელს დიდი ადამიანების გარდაცვალებამ ერთგვარად დაჩრდილა ქართველი ხალხისათვის სხვა დამსახურებულ მოღვაწეთა დანაკლისი, მით უმეტეს გორში გარდაცვლილი ისეთი უპრეტენზიო, მაგრამ მკითხველთათვის კარგად ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწისა, როგორიც იყო ნიკო ლომოური. იმედაშვილის დახასიათებით ნიჭიერი, კარგი ქართულის მცოდნე, დემოკრატი მწერალი. გორში მის დაკრძალვაზე სიტყვები წარმოთქვეს: დ. კარიჭაშვილმა, ნიკ. შიუკაშვილმა, პ. მირიანაშვილმა, დ. ონია-

შვილმა, ი. იმედაშვილმა, ლ. ბოცვაძემ, ნიკო სიხარულიძემ და სხვებმა. რომელნიც განსვენებულს ახასიათებდნენ როგორც თავლსაჩინო მწერალს, გლეხთა ჭირისუფალს, ჭეშმარიტ მასწავლებელს, ქართული ენის ოქროპირს, ქართველი ადამიანის სინდისს (1915, 3 V, № 18).

„თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორს აკაკის, ვაჟას, ჭოლას თუ სხვათა სიკვდილით, რჩეულ შვილთა დევნა-გადასახლებით, თითქოს ცოტა ჰქონდა საგლოვ-საფიქრალი, მით უმეტეს, რომ პრესა ყოველდღიურად იტყობინებოდა გერმანიის ფრონტზე დაჭრილ-მოკლულ ქართველთა საზარელ ამბებს. იმ ხანებში საქართველოზე მოვლენილ უბედურებებს დაემატა არანაკლებად საჯავრებელი, ჭრილობებსა და სიკვდილზე უარესად გასაძლისი ჩვენი ეროვნული ვრძნობის უხეში შელახვაც. ქართველი საზოგადოება დიდად იყო შეშფოთებული ცნობილი რუსი მწერლის კუპრინის რომანის „Яма“ გამოქვეყნებით. ამ რომანში დახატულია მორალურად გახრწნილი საზოგადოების სურათი — საროსკაპოდან გამოყვანილი მეძავის ხელახლა აღზრდა-გადამოანურების თემაზე. რუსული ლიტერატურისათვის კარგად ნაცნობ ამ საკითხს ნ. შიუკაშვილის აზრით, მწერალმა ყოველად უსაფუძვლოდ დაუკავშირა ქართველი სტუდენტის თავად ნიჟარაძის მეტად ოდიოზურ ვითარებაში დახასიათება. რასაკვირველია, ერთი ქართველი თავადის უღირსი წარმოდგენა, დაუნდობელი ლანძღვა, მართლაც უბედურება არ იქნებოდა, თუნდაც იგი კავკასიელი ვირი იყოს, ღატაკი სულით, ხორცით, შეძლებით, სულელი, ბიწიერი, უბადრუკი ჰკუითა და გრძნობით, რომელმაც არაფერი იცის „ვეფხისტყაოსნის“ მეტი, რასაც მეძავ ქალს გასანათლებლად უკითხავს, მაგრამ კუპრინი, რუსული მწერლობის ერთი დედაბოძთაგანი, თავით ფეხებამდე მხატვარ-მწერალი, რატომღაც არ ერიდება უხერხულ გამოთქმებს, ამახინჯებს ფაქტებს და გარყვნილების აღწერაში ძალა არ შეჰყვა, რომ მხატვრულ ჩარჩოებში ჩამოესხა, რის გამოც მისი ნაწარმოები სავსე უწმაწური ანეგდოტებით და საკუთარი აღვირწახსნილი ფანტაზიით ტიპიურ საბულვარო რომანად იქცა, რომელიც მის სახელზე მეტად დაბლა დგას (ქართველი კუპრინის „ორმოში“ (Яма, 1915, 26 VII, № 30, 2 VIII, № 31).

რასაკვირველია, ანალოგიურად მახინჯ ვითარებაში ქართული სინამდვილის გადმოცემის ცალკეული შემთხვევები, თუნდაც იმნი ცნობილ მწერალთა კალამსაც ეკუთვნოდნენ, ვერ ახშობდნენ რუსი დემოკრატიული ინტელიგენციის საერთო ჭეშმარიტ გამოხმაურებას ქართველი ხალხის სიკეთესა, პატივისცემასა და ნდობაზე.

განა შეიძლება ეხლაც განცვიფრების გარეშე გავიხსენოთ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტირება-გამოცემის საქმიანობა, რასაც მხოლოდ ერთი კაცი უძღვებოდა? იოსებ იმედაშვილს დამხმარე არავინ ჰყოლია, ვიდრე ჩემი უფროსი ძმა და მე გავიზრდებოდით, რომ ჯერ ასოთაწყობა და ჟურნალის დაკეცვა გვესწავლა, კორექტურის სწორების შევეჩვეოდით, შემდეგ კი საჟურნალო მასალის დასაბეჭდად მომზადება თუ ავტორებთან დამოკიდებულება შეგვძლებოდეს. მაგრამ ესეც მაინც საქმის ერთი მხარე იყო. დიდი გასაჭირი იყო ისიც, რომ ჟურნალის პატარა ტირაჟი, რაც ხშირად ათასს არ აღემატებოდა, ძლივს ჰყოფნიდა ფაქტიურ ხარჯებს, ისე, რომ ყოველი ნომრის გამოსვლისას საჭირო იყო ნაღდი ფულის გადახდა ქაღალდის შესაძენად და სტამბის ხარჯების დასაფარავად, რაც ყოველთვის არა გვქონდა. რაღა ითქვას რედაქციის ბინის ქირაზე, ხელმომწერთათვის ჟურნალის დროით გაგზავნაზე, ჰონორარის გაცემაზე, რასაც აგრეთვე ძლივს ავუდიოდით.

ამდენად გასაგებია, რომ „თეატრი და ცხოვრების“ ყოველი ახალი ნომრის გამოსვლა მთელი ჩვენი ოჯახის დიდი საზრუნავი და დაძაბულობა იყო, მამაჩემისა თუ ყოველი ჩვენთაგანისათვის თითქოს ბედისწერით მოვლენილი სიხარულიცა და სიმძიმილიც. ჟურნალი რაღაც ცოცხალი არსებასავით ჩვენთან ერთად ცხოვრობდა, ჩვენ პირად ცხოვრებაში ერეოდა, მოვლა-პატრონობას საჭიროებდა. მისი ყოველი ნომერი უნდა შეგვექმნა, გვეკვება, გვეზარდა და შეიძლება ითქვას, რომ ამ ჟურნალს შეეწირა ჩვენი ოჯახის კეთილდღეობა, სარჩო-საბადებელი, ჯანმრთელობა, ჩვენი პირადი ინტერესები, დედაჩემის კარგი მზითევიცა და მამაჩემის ცხოვრების ყველაზე მჩქეფარე, ენერგიით სავსე ნაყოფიერი დრო, რაც ალბათ შეეძლო საკუთარი შემოქმედი ნიჭიერებისათვის მოეხმარებინა.

ყოველივე ამიტომ „თეატრი და ცხოვრების“ არსებობის, მისი ხასიათის, სტილისა და ტრადიციების ბოლომდე გაგება ახლა იქნებ გაძნელდეს, რადგან ამჟამად მისი მუშაობის ორგანიზაციასა თუ შინაარსს ჩვენში ანალოგია არ მოეპოვება. ეს თანაბრად ეხება როგორც მის იდეოლოგიურ საფუძველს, მიზანს, შედგენილობის მრავალფეროვნებას, სტრუქტურას, მისი რეაგირების სტილს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე, ასევე მის მხატვრულ გაფორმებასა და წარმოებას.

ჟურნალი 15 წლის არსებობის განმავლობაში დიდი მოვლენების მოწმე იყო და თუ ლიტერატურის, ხელოვნების, კრიტიკის განვითარება მიმდინარე იდეოლოგიურ ცვლილებებსაც ირეკლავდა, ჟურნა-

ლის ძირითადი კონცეფცია თითქოს უცვლელი იყო იმ მხრივ, რომ იგი ყოველგვარი პარტიული პროგრამის გარეშე ცდილობდა ობიექტურად აესახა ეროვნული აზრისა და კულტურის განვითარების საჭიროებანი.

ამჟამად პრესა სახელმწიფო ზრუნვის საგანია, თითოეულ ჟურნალსა თუ გაზეთს რედაქტორის გარდა მრავალი ლიტერატურული და ტექნიკური თანამშრომელი ჰყავს უზრუნველყოფილი მუდმივი ხელფასებით. მათი გამოცემანი ასევე წინასწარ უზრუნველყოფილია სტამბით, ქაღალდით, ფასიანი კორესპონდენტებით, ჰონორარებით, ისე, რომ ჟურნალის სარედაქციო-საგამომცემლო საქმე, საერთოდაც პრესა, ვინმეს პირად თავგანწირვას აღარ საჭიროებს. ჩვენთვის კი „თეატრი და ცხოვრებას" გამოცემა იყო მთელი ჩვენი სულიერი და ფიზიკური ძალების უაღრესი დაძაბულობა, რაც ისეთ ენერგიასა და თავდადებას მოითხოვდა, როგორსაც ამჟამად არც ერთი ჟურნალის არსებობა არ მოითხოვს ერთი ადამიანისა თუ ოჯახისაგან.

სწორედ ამ მხრივაც იყო „თეატრი და ცხოვრება" გამონაკლისი გამოცემა თავისი მიზნით, შესაძლებლობებით, ორგანიზაციით. საზოგადოებასთან თუ ავტორებთან დამოკიდებულებით, რითაც მამამ თავისი მაგალითით შეჰქმნა ქართველი რედაქტორ-გამომცემლის ისეთი ტიპი, რომელიც არა მხოლოდ ლიტერატურულად ამზადებდა ჟურნალს და პირადად ხელმძღვანელობდა ყოველი ნომრის აწყობა-ბეჭდვის, გამოცემა-გავრცელების საქმეს, არამედ რამდენადაც არავისზე არ იყო დამოკიდებული ფინანსიურად, იდეოლოგიურ მიმართულებაში არავის არ ექვემდებარებოდა, არავის მითითებას არ ასრულებდა და ამასთან ერთად თვითონვე აქტიურად ებმებოდა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებში.

ამიტომ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ღირსეულად რომ წარმოგვიდგეს „თეატრი და ცხოვრებას" დანიშნულება-მნიშვნელობა და თანამედროვე მკითხველისათვის გაუგებარი არ იყოს მისი აგებულება, ხასიათი, იდეოლოგიისა და მისი ორგანიზაციის ზოგი თავისებურება, ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ეს ჟურნალი ემსახურებოდა ისეთი დროის საზოგადოებას, რომლისთვისაც თითქმის უცნობი იყო კულტურისა და მეცნიერების განვითარების ის მიღწევები, რითაც ჩვენ ამ ჟამად ჩვეულებრივ ვსარგებლობთ და რაც ბევრ შემთხვევაში უკვე ზედმეტს ხდის პიროვნული შრომის დაძაბულობას, თავგამოდებასა და საკუთარ მატერიალურ რესურსებს. ამასთან დაკავშირებით, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მრავალი დარგის რიგი პრობლემები — განათლების, ცოდნისა და პრესის განვითარების თანამედროვე პირობებში აღარ საჭიროებენ აგიტაცია-პროპაგანდას. ისიც უნდა გვახსოვ-

დეს. რომ მაშინ უცნობი იყო არა ცხოლოდ რადიო. ტელევიზია და თვითმფრინავი. როგორც სატრანსპორტო საშუალება. არამედ ელექტრონი. ტელეფონი და თვით ავტომობილიც იშვიათობას წარმოადგენდა. გასაგებია. რომ. კერძოდ. პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგიაც არ იყო ავტომატიზირებული. ასევე სარედაქციო სამუშაო ორგანიზებული და მარტო ერთ კაცზე მინდობილი. მაშინდელი ცხოვრების მაშტაბისა და რიტმისათვის იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა. რომ ხალხი ფაქტონებით. ცხენებითა და ურმებით დადიოდა და ამბები. კვების დიდი ერთ ან საშუალებანი სჭირდებოდა.

ასეთ პირობებში ძალიანაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „თეატრი და ცხოვრებას“ ტიპის ჟურნალს. როგორც ცოცხალი ინფორმაციის შემცველ ორგანოს ისეთი ამბების ასახვაში. რომელნიც ამჟამად რადიოს და ტელევიზიის ბეშვეობით ყოველწამიერად მთელი მსოფლიოსათვის ხდებიან ცნობილი. ამიტომ ჟურნალ-გაზეთები მხოლოდ შემდეგ. საკმაო დაგვიანებით იმეორებენ იმას. რაც უკვე საზოგადოებისათვის ფართოდაა ცნობილი. ამ გაგებით. თქმა არ უნდა. ტრანსპორტისა და ინფორმაციის ახალმა საშუალებებმა შესამჩნევად შეცვალეს პრესის ამოცანები. მისი შინაარსი. ხასიათი და სტილიც.

აქედან გამომდინარეობდა. მთავარი ამოცანა იყო. რომ ჟურნალი არ ჩამორჩენოდა ღროს და დროებას. ოპერატიულობის გრძნობა არ დაეკარგა. ღროით გამოხმაურებოდა ხელოვნებისა და ლიტერატურის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. ამისათვის კი საჭირო იყო მუდმივი კავშირი არ გაეწყვიტა როგორც ჩვენი ქვეყნის ქალაქისა და სოფლის თეატრებთან. კლუბებთან თუ სხვა კულტურულ დაწესებულებებთან. აგრეთვე რუსეთისა და საზღვარგარეთის ხელოვნების ცენტრებთან მაინც. ამ მხრივ. თქმა არ უნდა. იოსებ იმედაშვილის რედაქტორული მოშაობის მიღწევად უნდა ჩაითვალოს სწორედ მაშინდელი ქართული ინტელიგენციის საღეთესო წარმომადგენელთაგან მუდმივ თანამშრომელთა ბირთვის შენოკრება „თეატრი და ცხოვრებას“ არგვლივ. მისი ხელისშეწყობითა და წაქეზებით გამოიზარდნენ ჟურნალისათვის საჭირო არა მხოლოდ კორესპონდენტები და რეცენზენტები. არამედ მომწიფდნენ და დავაჟკაცდნენ შემდგომად სახელმოხვეჭილი კრიტიკოსები. დრამატურგები თუ მწერლებიცა და პოეტებიც. ამ მხრივ თვალსაჩინოა ის ფაქტი. რომ იმედაშვილმა ჟურნალს დააკავშირა ეროვნული სახელის მქონე ჩვენი მწერლობის ისეთი ჭურუმები. როგორიც იყვნენ აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა. აგრეთვე XIX საუკუნიდან გადმოღწეული მოღვაწენი ქართული კულტურისა. რომელთა გვერდით უკვე სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი შანშიაშვილს. გრიშაშვილს. აბაშელს და მათ შორის განსხვავებული პოეტური სი-







იოსებ იმედაშვილი პატიმრობაში. 1894 წელი.



იოსებ იმედაშვილი ანა ჭიურელთან ერთად ქორწინების წელს (1901).



იოსებ იმედაშვილი გარეკახეთში სამშობლოდ გამგზავრების წინ. 1905 წელი.



იოსებ იმედაშვილი ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ დაარსების სამზადისში.



ხე-მონაკვეთ ...ში ...ლში 1870 ...ობებ მარტს სოფლისო ეკლესია



...ობებ ...ებულ ...ასში ეკლა შიოს 1905 წელს.



იოსებ იმედაშვილი გარეკახეთის მამასახლისთა მამასახლისი 1905
ერთობის მოძრაობის დროს.





იოსებ იმედაშვილი. სურათი გადაღებულია 1910 წელს ქანდარმერიაში.







იოსებ იმედაშვილი გარაკროს ტაბიძე



რუსუდან წიკოლაძე იოსებ იმედაშვილი.



იოსებ იმედაშვილი ქალ. ცხაკაიაში საზეიმო მიტინგზე 1938 წ. 10 ივნისს.



იოსებ იმედაშვილი და შალვა დაჭიანი ხაშმის გლეხობასთან შეხვედრაზე.



იოსებ იმედაშვილი პიონერთა შორის.



იოსებ ამედაშვილი ოჯახით 1922 წელს.

ტყუილით უკვე ჩანდა, რომ თავისი ადგილი უნდა დაეჭირა გალაკტიონ ტაბიძეს.

„თეატრი და ცხოვრება“ რაკი ჩქარა პოპულარული გახდა, რედაქტორისათვის იმდენად საძებარი აღარ იყო ჟურნალის მორიგი ნომრისათვის საჭირო მასალა, მით უმეტეს, რომ იგი შეუდგა სისტემატური წერილებისა და მიმოხილვების ბეჭდვას თეატრის ისტორიის, ხელოვნების, მუსიკის, ლიტერატურის, დრამატურგიის, სახიობის, რეჟისურის ცალკეულ საკითხებზე. ამასთან ერთად, ქართული და მსოფლიო ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი მხარეების გაშუქება შესამჩნევად ავსებდა იმ ხარვეზს, რომელიც მაშინ საკმაოდ იგრძნობოდა მათ შესახებ ქართულ ენაზე საჭირო ლიტერატურის უქონლობის გამო.

იოსებ იმედაშვილს ავტორებთან დამოკიდებულებაში საერთოდ ცნობილი გულისხმიერება ახასიათებდა. ვისაც არ უნდა შეეღოს მისი რედაქციის კარი, თუნდაც დამწყები მწერალი ყოფილიყოს, ყველას გამამხნევებელი, იმედის აღმძვრელი სიტყვითა და პატივით ხვდებოდა. საკუთარი თავისადმი რწმენას უნერგავდა და ყოველ მათგანს ეშველებოდა ნამდვილი მოწოდების მიგნებაში, რომ თავის შესაფერის გზაზე დამდგარიყო. ამავე დროს, უარს ვერაფერზე იტყოდა, გულს ვერავის ატკენდა და დროს მიანდობდა სახელის მაძიებელნი თვითონ გარკვეულიყვნენ საკუთარი ლიტერატურული ნიჭის შესაძლებლობებში.

იმედაშვილის სეხნია, მეგობარი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე იოსებ გრიშაშვილი იხსენებდა: „იმედაშვილი ყველა ახალგაზრდას აძლევდა ფართო გზას. არ ყოფილა არც ერთი თვალსაჩინო პოეტი, რომლის პირველი სიხარული მისი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ არა ყოფილიყო“ (1925, № 12).

პოეტი ალ. აბაშელი აღნიშნავდა: „პირადად მე დავალებული ვარ იოსებ იმედაშვილისაგან მისი მეგობრული დამოკიდებულებით. პირველი ტკბილი სიტყვა ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის გამო მე იოსებ იმედაშვილმა შემაგება, მან დაბეჭდა თავის ჟურნალში ლიტერატურული მიმოხილვა, სადაც გამამხნევებელი შეფასება მისცა ჩემს პირველ ლექსებს. მე არასოდეს არ დამვიწყებია და არც დამავიწყდება ეს პირველი თბილი სალამი და გამხნევება“. ალ. აბაშელის აღიარებაში განსაკუთრებით ისაა საყურადღებო, რომ „იმ დროს მე რუსულად ვწერდი ლექსებს და იოსებმა მაიძულა დამეწყო ქართულად წერა და ქართველ პოეტად მაქციაო“. იმედაშვილის ენერგიით განციფრებული პოეტი იგონებდა: რუსული გაზეთის „ნოვაია რეჩის“ კორექტორად რომ ვმუშაობდი, რომლის რედაქცია ქართული თეატრის ეზოში იყო მოთავსებული, „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქციასთან

ახლოს, ეხედავდი, რომ ის იყო ჟურნალის ერთადერთი ხელმძღვანელი, აგროვებდა მასალას, დადიოდა ავტორებთან, ამზადებდა კლიშეებს, სწერდა წერილებს ყოველი ნომრისათვის, ხშირად თვითონვე აწყობდა მასალას, განაგებდა ჟურნალის ექსპედიციას, ასე, რომ მთელი დღე ჯარასავით ტრიალებდა, და მიუხედავად მძიმე პირობებისა, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა მაშინდელ ეკონომიურ და ცენზურულ შეზღუდულობაში, არასდროს არ მინახავს იგი დაღვრემილი და დაღლილი...“ (იოსებ იმედაშვილის ხსოვნას, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952, 9, V, № 19, გვ. 4).

თანამედროვე ქართული პროზის დიდი ოსტატი მიხეილ ჯავახიშვილი განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით აღნიშნავდა იმედს შვილის მიერ გაწეულ ამაგს მისი მწერლობის გზაზე დაყენებაში: „იოსებ იმედაშვილი ჩემი ქართულის ნათლიაა... ჩემი ქართულის მასწავლებელი იოსები იყო... პირველად იმან წაიკითხა ჩემი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“ და იმანვე გამგზავნა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში“ (1925, 1, VI, № 12, გვ. 2—3).

სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი დიდი მადლიერებითა და სიყვარულით იგონებდა იოსებ იმედაშვილს, როგორც თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტს, ქართული კულტურის დიდ გულშემატკივარს, გულისხმიერ ადამიანს, რომელიც მისი პირველი მოამაგე ყოფილა ხელოვნებაში: „მეც მივაშურე „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას. ვიცოდი, რომ ამ ჟურნალის რედაქტორი და გამომცემელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი კეთილი და სათნო ადამიანი იყო. პირველივე დანახვისთანავე ღიმილით შემხვდა და ლეო ქიაჩელის მოთხრობის დასურათება დამავალა. ილუსტრაციები ჩქარა მივიტანე, რომელიც მორიგი ჟურნალის ნომერში დაიბეჭდა. აქედან დაიწყო ჩემი გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე და ამ მადლმოსილ ჟურნალის მუდმივი თანამშრომელი გავხდი“. მისივე დახასიათებით იმედაშვილი მუდამ დაუზარელად დადიოდა ეკლიანი გზით, სამშობლო ქვეყნისათვის. იგი მოკრძალებული აძლევდა ქვეყანას რაც ჰქონდა და მისგან არას ითხოვდა... იოსებ იმედაშვილს მხოლოდ თავისი ქვეყნის დიდი სიყვარული აძლევდა ძალას, რომ დიდი სიძნელეების მიუხედავად გამოეცა თავისი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ და მის .ირგვლივ ქართული კულტურის საუკეთესო მოღვაწეები შემოეკრიბა“.

იმედაშვილის შესახებ მრავლადაა მსგავსი გამონათქვამები ქართული კულტურის მოღვაწეთა მოგონებებსა და ნარკვევებში. საერთო აღიარებით იგი იყო ჩვენი კულტურის, მწერლობისა და ხელოვნების მუშაკთა შემწე ყოველგვარ გასაჭირში, ახალგაზრდობის ხელის-შემწყობი პირველ შემოქმედებითს ნაბიჯებში. ასე ახასიათებენ მას

შალვა დადიანი, ალ. წუწუნავა, მოსე თოიძე, სერ. გერსამია, რ. ქორქია, კ. გოგოძე, ვეფხო ფშაველა, ა. ბურთიკაშვილი, ს. შანშიაშვილი, თ. ჯანგულაშვილი, უჩა ჯაფარიძე, დ. ნახუცრიშვილი, ი. მოსაშვილი, გ. ჯაბაური, ივ. გომართელი, ნ. კეცხოველი, ს. ავჩიანი, ს. წერეთელი, ტ. გრანელი, შ. კაშმაძე და სხვები. ამ მოგონებათაგან და თვით ჟურნალის 15 წლის პროდუქციიდან კარგად ჩანს, თუ როგორ შეიქმნა „თეატრი და ცხოვრების“ არსებობით დაინტერესებული საზოგადოებრიობა, რომელიც მატერიალურად თუ არა, მორალურად მაინც დიდ დახმარებას უწევდა მისი პრესტიჟის განმტკიცებას.

ეს საგრძნობი იყო რედაქტორსა და ავტორებს შორის არსებული კეთილი განწყობილების მიხედვით „თეატრი და ცხოვრების“ სარედაქციო საქმიანობისადმი სხვადასხვა რანგის სახელოვანი თუ დამწყები პოეტების, მწერლების, კრიტიკოსების, მხატვრების, კორესპონდენტების და მასთან ერთად მუდმივ ხელისმომწერ მკითხველთა სანდო დამოკიდებულებით, რასაც რედაქტორი თავის მხრივ უხდიდა გულისხმიერი ყურადღებით. ასეთმა საგულდაგულო თანამშრომლობამ ხელი შეუწყო იმ აზრის განმტკიცებას, რომ „თეატრი და ცხოვრება“ თეატრალური ხელოვნებისა და ლიტერატურის მუდმივი ორგანოს გარანტირებული გამოცემაა. იმავე დროს, ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ ეს გარანტია იოსებ იმედაშვილის პიროვნება იყო, მისი თავდაუზოგავი შრომა. ჟურნალსა და საზოგადოებრიობას შორის ურთიერთკეთილმყოფელი დამოკიდებულების შედეგი ისიც იყო, რომ საქართველოსა თუ მის გარეთ, რუსეთსა და საზღვარგარეთ ჟურნალს მთელ მსოფლიოში მოეპოვებოდა საკუთარ კორესპონდენტთა ფართო ქსელი, რომლის მეოხებითაც რედაქცია ყოველთვის კურსში იყო თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და, კერძოდ, თეატრალური ცხოვრების სფეროში არსებულ სიახლეთა შესახებ, ამ მხრით „თეატრი და ცხოვრების“ ყოველ ნომერს არ აკლდა საინტერესო ინფორმაციით მდიდარი ოპერატიული ქრონიკა. ფაქტი ის არის, რომ ჟურნალი თავის დროზე გამოდიოდა — ყოველ შაბათობით იბეჭდებოდა და კვირისათვის უკვე ხელისმომწერთ ეგზავნებოდათ.

საკუთარი კორესპონდენტებისაგან მსოფლიო ინფორმაციის მიღების ეს რთული საქმიანობა რედაქტორს ისე ჰქონდა მოწესრიგებული, რომ ამაში საგრძნობი ხარჯი არ მოსდიოდა, თუმცა ინფორმაციის ქსელი ევროპის ქვეყნებთან ერთად შორეულ ჩინეთსაც შეიცავდა. ეს უშტატო და უფასო კორესპონდენტები კმაყოფილდებოდნენ იმითი, რომ „თეატრი და ცხოვრების“ წარმომადგენლებად ითვლებოდნენ, რომელთაც ჟურნალის ნომრები უფასოდ ეგზავნებოდათ. ამავე დროს, რაკი თვითონვე რედაქტორი იოსებ იმედაშვილი უანგარო

შრომის მაგალითს იძლეოდა და ყველამ იცოდა, რომ მას ამ თავგანწირვის საფასურად არავინ არაფერს არ აძლევდა და ჟურნალი არსებობდა მისი პირადი აუნაზღაურებელი შრომით, სხვებსაც მოვალეობად ესახებოდათ მასთან ერთად უანგაროდ ეშრომათ.

რევოლუციამდელი ჟურნალი ცალკე ყდით გამოდიოდა, რის გამოც ფაქტიურად 20 გვერდისაგან შესდგებოდა და ბევრი წვრილმანი მასალა — ქრონიკა, განცხადებები თუ სხვა საჭირო ინფორმაცია ეტეოდა. მაგრამ ეს შესაძლებელი იყო მშვიდობიანობის დროს, ვიდრე საამისო კარგი ხარისხის ქაღალდი იშოვებოდა, გულუხვადაც იყო დასურათებული და სტამბის მუშების ნაკლებობაც არ განიცდებოდა. კარგ გამოცემას ხელს უწყობდა ისიც, რომ ჩვენ ჟურნალში მუდმივად თანამშრომლობდნენ მაშინ ცნობილი მხატვრები და კარიკატურისტები (ო. შმერლინგი, გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, შალვა მამალაძე, ალ. ციმაკურიძე, ლ. გუდიაშვილი, შ. ქიქოძე, სიდამონ-ერისთავი, გ. ზაზიაშვილი, მ. ჭიაურელი, შემდგომად ქუთათელაძე, უჩა ჯაფარიძე და სხვები). მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ საჭირო კლიშეები სოგომონიან და სიუტჩიანის კერძო ცინკოგრაფიაში მეტად კარგი ხარისხისა კეთდებოდა.

ომის შემდგომმა გაჭირვებამ კი ყველაფერს თავისი კვალი დაატყო. ქაღალდი და საღებავიც გაფუჭდა, ფინური ქაღალდი ვეღარ მოგვდიოდა, რის გამოც წიგნის, ჟურნალის, გაზეთის ჩვეული ლაზათი დაიკარგა და ნაბეჭდიც ვერ იკითხებოდა. ასე იყო დიდხანს, ვიდრე დაცემული პოლიგრაფიული წარმოება კალაპოტში ჩადგებოდა, გაჩნდებოდა კვალიფიციური მუშა-ხელი, ახალი მანქანები შემოვიდოდა, ახალი ასოები ჩამოისხმებოდა, ქაღალდის წარმოება აღდგებოდა. შესაფერისი ხარისხის საბეჭდი ქაღალდიც გაჩნდებოდა.

„თეატრი და ცხოვრებამ“ რამდენჯერმე შეიცვალა სტამბა და უნდა ითქვას, რომ მაშინდელი პატარა სტამბები კარგი ინვენტარითა და მანქანებით არ იყვნენ მოწყობილი, რაც საერთოდ მუშაობას აძნელებდა, თუმცა ტექნიკური ჩამორჩენილობა ზოგჯერ პირიქით ხელსაც უწყობდა ხარისხიან გამოცემათა დამზადებას. ბოლო დრომდე, რაკი ელექტრო საბეჭდი მანქანები ყველგან არ იყო, მანქანის ჩარხს პატარა სტამბებში ხელითაც ატრიალებდნენ, ტექსტი ნელა იბეჭდებოდა, რის გამოც ნაბეჭდი ნაკლებად იყო ხოლმე დაზიანებული. ბოლო ხანებში მამაჩემმა ჩვენი ჟურნალისათვის საკუთარი საამწყობო შეიძინა საჭირო ასოების კასებით და თვითონ ჩვენ — ჩემი უფროსი ძმა და მე ჟურნალის მასალას ვაწყობდით და ანაწყობი გვერდები დასაბეჭდად ფურცელაძის ქუჩაზე კოწია თავართქილაძეს ან პიტნავას სტამბაში მიგვქონდა. შაბათ დღეს, მანქანაზე ტექსტის გაშვების წინ, როდესაც ანაწყობს დასაბეჭდად გამართავდნენ, მამა რვაკაციან დიდ

ჩანახს მოატანინებდა, ზედ მანქანის სადგომზე სუფრას გაშლიდა, მუშებს შემოისხამდა, კვარტიან ღვინოს დადგამდა, ჟურნალის ახალი ნომრის გაშვებას დაალოცვინებდა და მანქანასაც დასაბეჭდად აამუშავებდნენ ხოლმე. ამ დროს კი სტამბის გარეთ მოუთმენელი მკითხველები და დამტარებელნი ჩასაფრებული ელოდნენ ახალი ჟურნალის გამოსვლას, რომ მაშინვე წაეღოთ და ნომერი ჩქარა წაეკითხათ.

რევოლუციამდე მეფის რეჟიმის ბოლო ხანებში თბილისში ცენზორად ივანე პოლუმორდვინოვი მუშაობდა — დიდი ხნიდგანვე გაქართველებული, ქართულად აღზრდილი პიროვნება, ჩეხოვის მოთხრობების თარგმანებითა და ლიბერალიზმით ცნობილი ჩინოვნიკი. მისი ბინა მადათოვის კუნძულის მარცხენა მხარეს, ვორონცოვის ძეგლის ახლოს იყო, სადაც მამაჩემი ჟურნალის 16 გვერდის კორექტურას ნებართვის ასაღებად გამატანდა ხოლმე. ჟურნალის რედაქტორიცა და ცენზორიც ერთმანეთს ენდობოდნენ და შეთანხმებულნიც იყვნენ — რაკი რედაქტორს უნდოდა, რომ დაბეჭდვის ნებართვა მალე მიეღო, მამაჩემი თვითონვე გახაზავდა ხოლმე ჟურნალის ისეთ ადგილებს, რომელნიც ოფიციალური საცენზურო დებულების მიხედვით შესაძლო იყო აშკარად მიჩნეულიყო საეჭვოდ. ამ გახაზული ადგილების წაკითხვას ცენზორი ჩქარა ამთავრებდა და მეც მაშინვე ვბრუნდებოდი ხოლმე სტამბაში ცენზორის ბეჭედდაკრული კორექტურით. განსაკუთრებულ შემთხვევაში თუკი ცენზორი რაიმე ადგილს, ან თუნდაც მთლიანად წერილს ამოიღებდა, ესეც საძნელო არ იყო, იმ მხრივ, რომ ბეჭდვა მცირე ხნით შეჩერდებოდა, აკრძალულ ადგილებს ჟურნალის ტექსტიდან პირდაპირ ამოიღებდნენ. მათ მაგიერ ცარიელ „ბაბაშკებს“ ჩააწყობდნენ და ჟურნალიც ცენზორის მიერ ასე ამოღებული სუფთა ადგილებით იბეჭდებოდა. ცხადია, ეს სუფთად დარჩენილი ადგილები მკითხველებზე არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენდა და ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევდა, ვინ იცის, რა უნდა დაბეჭდილიყო, ეი რატომ გვიკრძალავენ სიტყვის თავისუფლებასო. მაგ., დარია ახვლედიანის ლექსს „შავი ღამე“ შენარჩუნებული აქვს მხოლოდ ხელმოწერა (1916, 14, VIII, № 46). ასევე „ჭიტას“ ფსევდონიმით იოსებ იმედაშვილის წერილი „ომია, ომის“ ტექსტი მთლიანადაა ამოღებული (1916, 13, XI, № 46).

1910—1926 წლების ქართულ ჟურნალებში 16—20 გვერდიანი ყოველკვირეული დასურათებული „თეატრი და ცხოვრება“ გამონაკლისი იყო უწყვეტი გამოცემის ხნოვანება-უხვიერებით და თავისი არსებობის განმავლობაში 350 ნომრამდე გამოვიდა. ამასთან ერთად, ეს

იყო საქართველოში, და იქნებ მთელ რუსეთის იმპერიაშიაც, ერთადერთი კერძო გამოცემა, რომელმაც შეძლო ხანგრძლივად ეარსებნა საკუთარი ორგანიზაციით, რესურსებითა და დამოუკიდებელი პროგრამით 1926 წლამდე, რაც აგრეთვე უმაგალითოა ჩვენ სინამდვილეში. 1910 წლიდან არც ერთ კერძო გამომცემლობის ჟურნალს საქართველოში ამდენ ხანს არ უარსებნია, მით უმეტესად 1916—1921 წლების ომებისა და რევოლუციების კრიზისულ პირობებში. უმრავლესობა თავის არსებობას, არა მხოლოდ ერთპიროვნულ რედაქტორ-გამომცემლებისა, არამედ ისეთნიც, რომელთაც მთელი კოლეგიები, ჯგუფები, თუ სხვა რაიმე ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ და მატერიალურად იყვნენ უზრუნველყოფილი რედაქციის თანამშრომელთა ხელფასით, ქაღალდით, სასტამბო ხარჯებით და ექსპედიციით, თავის არსებობას ამთავრებდნენ ათეული ან ორი-სამიოდე ნომრით.

თქმა არ უნდა, ჟურნალების არსებობის ხანმოკლეობა, მათი გამოცემის ხშირი შეწყვეტა, უსახსრობასთან ერთად ჩვენში პოლიგრაფიული ბაზის მძიმე პირობებით, მუშახელისა და ქაღალდის უშოვნელობითაც იყო გამოწვეული. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1914—1921 წლების ომებისა და საყოველთაო კრიზისების მკაცრ პირობებში, რაც საერთოდაც ყოველგვარ კულტურულ საქმიანობას აფერხებდა. ამიტომ საგამომცემლო საქმიანობაში მთავარი იყო არა მხოლოდ მატერიალურ-ფიზიკური დაბრკოლების დაძლევა, არამედ მორალური დაძაბულობის გადატანა, ყოველგვარი გაჭირვების გაძღოლა, რაც მუდმივ შრომას, თავგანწირვას მოითხოვდა. ეს, რა თქმა უნდა, კერძო გამომცემლობის პრესის მუშაკების ხვედრი იყო, რომელნიც საზოგადოებრივი, მორალური მხარდაჭერის მოსაპოვებლად მხოლოდ საკუთარ ძალ-ღონეს, პირად ალღოს და საშუალებებს ეყრდნობოდნენ.

საერთო გაჭირვების შედეგი კი მაინც ის იყო, რომ 1910 წლიდან საქართველოში 1926 წლამდე ორმოცამდე სხვადასხვა ჟურნალი იყო დაარსებული, რომელთაგან ზოგი გამოცემა თუ რამდენიმე ნომრამდე აღწევდა, მათი უმრავლესობა ხუთ, სამ, თუ ერთ ნომერზედაც წყვეტდა არსებობას. მხედველობაში გვაქვს ქართული სალიტერატურო, სახელოვნო, საპოლიტიკო, სამეცნიერო ჟურნალების გამოცემა, რომელნიც მიუხედავად მათი ღირსებისა და დიდი მნიშვნელობისა, სხვადასხვა სიძნელეთა გამო წყვეტდნენ არსებობას. ამდენადვე გასაგებია, თუ როგორ უნდა შეფასდეს ცარისტული ცენზურული დევნის, სოციალურ-პოლიტიკური წნეხის, ეკონომიური დუხჭირი ცხოვრების მძიმე პირობებში ერთი კაცის თავდადებული შრომით 1910—1926 წლების განმავლობაში ყოველგვარი ტრადიციისა და დამხმარე თანამშრომელთა გარეშე „თეატრი და ცხოვრება“ რომ ახერხებდა

არსებობას. ეს იყო ის, რასაც ვერ ახერხებდნენ ჯგუფები, კოლეგიები, პარტიები თუ სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი, ცალკეულ პიროვნებათა შეუძლებლობაზე რომ აღარაფერი ითქვას.

„თეატრი და ცხოვრებასთან“ შემოკრებილ ქართული სულიერი კულტურის როგორც ძველი, აგრეთვე ახალი თაობის წარმომადგენელთა ძირითადი შემადგენლობა ბირთვი იყო იმ საზოგადოებისა, რომელიც ილიას, აკაკის, ვაჟას შთამაგონებელი აზრებით ღირსეულად ემსახურებოდა ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერების დიად საქმეს. მსოფლიო პოლიტიკურ-სოციალურ გარდაქმნათა საბედისწერო ვითარებაში, ისინი ბოლომდე მეთაურობდნენ ქართველი ხალხის ეროვნული მეობის, კულტურის, ქართული ენის, ნაციონალურ უფლებათა დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლას. ამ გზას მიჰყვებოდა „თეატრი და ცხოვრება“, რაც მას მკვეთრად გამოარჩევდა სხვა ჟურნალებისაგან. ეროვნული იდეოლოგიის ნიშნით საზოგადოებრივი ძალების მობილიზაცია, სწრაფი რეაგირების უნარი ყოველგვარი სახის ეროვნულ განსაცდელზე და ისიც, რომ ჟურნალი ჩვენი ხალხის ყოველდღიური ცხოვრების სინამდვილის მტკივნეულ მოვლენებს გაბედული ობიექტურობით ასახავდა. ეს იყო მართალი ქართული სიტყვა, რაც ახასიათებდა მეთაურიდან დაწყებული ჟურნალში დაბეჭდილ ყოველ ლექსს, მოთხრობას, პიესას, კრიტიკულ ნარკვევს, რეცენზიას თუ საკვირაო ქრონიკასაც კი, რომელშიაც ჩვენი ხალხის ცხოვრების მაჯისცემა ისმოდა.

ამიტომაც იყო, რომ „თეატრი და ცხოვრებას“ თავისი მუდმივი მკითხველი ჰყავდა, როგორც ინტელიგენციის, აგრეთვე მუშებისა და გლეხების ფართო მასებში, რაც თავისთავად თვალსაჩინოდ იმას ამტკიცებდა, რომ ეს ჟურნალი საჭირო იყო როგორც უმაღლესი განათლების მქონე ინტელიგენციის, აგრეთვე წიგნისა და პრესის კითხვას ახლად დაწაფებული საზოგადოების ყოველი ფენისათვის, რომელთა ინტერესებს ეს ჟურნალი თავისი ეროვნული იდეოლოგიით, განსაზღვრული შედგენილობით, შინაარსითა და სტილით ერთნაირად უპასუხებდა. ამითი აიხსნება ისიც, რომ ჟურნალი საერთო მხარდაჭერას ჰპოვებდა არა მხოლოდ მკითხველთა ფართო ფენებში, არამედ ლიტერატურის, თეატრალური ხელოვნების, კულტურის ყველა დარგის პროფესიონალ მუშაკთა შორისაც, რაც არა ერთხელ გამოუხატიათ მისი რედაქტორის მისამართით აკაკი წერეთლიდან დაწყებული.

მთელი ქართული საზოგადოების თანადგომა „თეატრი და ცხოვრებასთან“ თავისთავად იმაშიაც იყო გამოხატული, რომ ჟურნალში თანამშრომლობდნენ პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ მიმართულებათა მიუხედავად კულტურის ყველა დარგისა და რანგის წარმომადგენელნი — პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები, კრიტიკოსები,

პუბლიცისტები, ხელოვნებათმცოდნენი, მხატვრები, მუსიკათმცოდნენი, არტისტები, რეჟისორები, რეცენზენტები, მთარგმნელები, ისტორიკოსები.

„თეატრი და ცხოვრებას“ ბედმა არგუნა ქართველ განმანათლებელთა იმ დიდებულ პლეადას შესწრებოდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძის ღვაწლი უნათებდა გზას. ამ დროს სიხარულთან ერთად ბევრი საგლოველიც მოუტანა ჩვენ ხალხს, რომელიც იმედით შეჰყურებდა ეროვნული აღორძინების მომავალს. 1914 წელს ატეხილმა მსოფლიო ომის გრიგალმა წარმოუდგენელი ნგრევით, სისხლითა და სიმშილით არა მხოლოდ მატერიალური კრიზისებით მოიცვა ჩვენი ყოფა-ცხოვრება, მან უფრო მტკივნეული დაღი ადამიანის სულიერ კონსტიტუციას მორალური გადაგვარებით დააჩნია. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ზღუდავდა შემოქმედებითს პათოსს.

„თეატრი და ცხოვრებამ“ ამ ხანების სასტიკ გამოცდებში სიცოცხლის უნარი რომ შეინარჩუნა, ეს არ იყო მხოლოდ ფიზიკური უნარი. ჟურნალის ხანგრძლივი არსებობის, მისი გამძლეობისა და პოპულარობის ახსნაში მთავარი მაინც იყო ეროვნულ იდეოლოგიაზე აგებული გარკვეული სამოქმედო პროგრამა, რითაც იგი ყოველთვის სათანადოდ განაწყობდა, როგორც ჟურნალის მუდმივ თანამშრომლებს, აგრეთვე დაინტერესებულ მკითხველებს. ამის მიხედვით ქართული კულტურის ცალკეული დარგების, უმთავრესად ეროვნული კრიტიკული აზრის განვითარებას, თეატრის, მწერლობის, მუსიკის საკითხების გაშუქებაში ჟურნალი ძირითადად მიზნად ისახავდა ორიგინალურ დრამატურგიასა და სასცენო ხელოვნებაში ახალი ძალების გამოვლენას. იგი დროულად ეხმაურებოდა ადგილობრივი თუ რუსული და საზღვარგარეთული თეატრალური და საერთოდაც კულტურული ცხოვრების უახლეს მოვლენებს, რისთვისაც მუდმივი კორესპონდენტები ადგილებიდან აწვდიდნენ მასალებს. ხშირად იბეჭდებოდა მშვენიერი მიმოხილვები გერმანიაში მყოფი თამარ გოგოლაშვილისა, ბელგიიდან ბიქტორ თევზაიასი, შვეიცარიიდან ლეო შენგელიასი (ქიაჩელისა), მოსკოვიდან ტიციან ტაბიძისა, დორპატიდან ვახტანგ კოტეტიშვილისა.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ დედაქალაქის თეატრალურ-ლიტერატურული ცხოვრების გაშუქებასთან ერთად, ჟურნალი ყურადღებას არ აკლებდა პროვინციალური თეატრებისა და კლუბების მუშაობასაც ცოცხალი ინფორმაციებითა და პოპულარული ენით, რომ ხელმისაწვდომი ყოფილიყო მკითხველი საზოგადოების ყოველი ფენისათვის. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოდ შენიშნა მახეილ ჯავახიშვილმა, რომ „თეატრი და ცხოვრების“ ჭერმა შეიფერა კარგი ქართული, ე. ი. ნამდვილი სახალხო ენა, ისეთივე უბრალო, მკაფიო და მარტივი, როგორც ჩვენი ხალხის სული. მაგრამ აქ ისიც აღსანიშნა-

ვია, რომ „თეატრი და ცხოვრებას“ ხალხური ენა, ეროვნული ხელოვნებისა და იდეის პროპაგანდა იმიტომაც იყო ნაყოფიერი, რომ გარკვეულ ხანებში ქართულ ენაზე სხვა მსგავსი ჟურნალი არ არსებობდა და ქართული პრესის ასეთ კრიზისში იმედაშვილის ჟურნალი წარმოადგენდა ჩვენი ცხოვრებისა და აზროვნების ერთადერთ გამოხატულებას, საზომს და წყაროს ყველა იმათთვის, რომელთაც რაიმე მიზეზით სხვა არაფერზე არ მიუწვდებოდათ ხელი.

ამასთანავე, აქ მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ „თეატრი და ცხოვრება“ მხოლოდ წმინდა ხელოვნებისა და ლიტერატურის ორგანო არა ყოფილა და როგორც უპარტიო ჟურნალი გამოხატავდა მთელი ჩვენი ხალხის ეროვნულ სულისკვეთებას, ფართო მასების პოლიტიკურ-სოციალურ ზრახვებს, მის კულტურულ ინტერესებს დევიზით „თავისუფალი ხელოვნება თავისუფალ საქართველოში“ (1918). იგი თანაბრად ემსახურებოდა ქართველი საზოგადოების ფართო ფენებს, ინტელიგენციას, მოსწავლე ახალგაზრდობისა თუ გათვითცნობიერებას დაწაფებულ მუშებისა და გლეხების სულიერი აღზრდის საქმეს, ქართული კრიტიკული აზრის შემუშავებას.

ასეთი ტიპის ჟურნალს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმიტომაც, რომ მაშინ არა გვქონდა ეროვნული უნივერსიტეტი თუ სხვა სამეცნიერო დაწესებულებანი, არა გვქონდა დიდი პრესა და ცენზურული დევნის პირობებში პრესა-შეზღუდულ ინტელიგენციას ალპარეზი არა ჰყოფნიდა სამშობლო ქვეყნის კულტურის სამსახურში თავისი ნიჭისა და ენერგიის გამოყენებისათვის. ასეთ პირობებში „თეატრი და ცხოვრება“ იყო თითქმის ერთადერთი პოპულარული ჟურნალი, რომელიც მოურიდებლად გამოხატავდა ხალხის ჭირვარამს, მის ეროვნულ სულისკვეთებას, ჰყავდა მუდმივად დაინტერესებული მკითხველი და ხელოვნების ყოველ დარგში სპეციალური თანამშრომელი.

ამ მხრივ „თეატრი და ცხოვრებას“ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ შეიძლება გადაფასდეს ეროვნული თვითშეგნების იდეალების პოპულარიზაციის, ქართული თეატრის აღორძინების, სასცენო ხელოვნების განვითარებისა თუ ქართული ენის დამკვიდრების საქმეში და იმდენ საინტერესო მასალას შეიცავს, რომ მის გარეშე, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართული თეატრისა და დრამატურგიის ისტორიის დაწერა შეუძლებელი იქნება.

როგორც უკვე აღინიშნა, ჟურნალის დაარსებას რამდენიმე ნომრის გამოსვლისთანავე გულითადი პატივით შეეგებნენ და ყოველთვის ხელს უწყობდნენ ქართული კულტურის ყოველი დარგისა და რანგის მოღვაწენი აკაკი წერეთლიდან დაწყებული ცნობილი პოეტები, მწერლები, პუბლიცისტები, თეატრის, პრესისა და განათლების მუშაკები. „თეატრი და ცხოვრებამ“ მაღალი შეფასება დაიმსახურა

ქართული მწერლობის, ხელოვნებისა და კრიტიკის წარმომადგენელთაგან. მისი არსებობის საჭიროება და მნიშვნელობა აღიარებული იყო მადლიერი საზოგადოების მიერ ჟურნალის დაარსებიდან ათი წლის თავზე 1920 წლის და 15 წლის თავზე 1925 წელს გამართულ საიუბილეო საღამოებზე, რასაც ჟურნალის სპეციალური ნომრები მიეძღვნა (1920, 4 აპრილი, № 13 და 1925, პირველი ივნისი, № 12).

ივანე გომართელმა წერილში: „ათი წელი უანგარო მოღვაწეობისა“, უპირველესად, იმას მიაქცია ყურადღება, რომ „თეატრი და ცხოვრება“ ათი წლის განმავლობაში ერთადერთი ჟურნალი იყო, რომელიც მხოლოდ ხელოვნებას ემსახურებოდა. ხელოვნების სამსახურში ამ ჟურნალს არ შეუტანია პარტიული საზომი, პარტიული მიკერძოება და ამგვარად დროშა ხელოვნებისა მან მოაშორა პარტიულ დროშას და ხელოვნება პოლიტიკისაგან განაცალკევა. იგი ერთადერთი ჟურნალია, სადაც ყოველი ახალგაზრდის სალიტერატურო ვარჯიშობას პატივისცემით, სიყვარულით და თანაგრძნობით ეპყრობოდნენ და ეპყრობიან. იგი ხელს უწყობს ნიჭის გამოაშკარავებას... მიუხედავად მეტად მძიმე და საშინელი პირობებისა, ის პირნათლად ასრულებს თავის დანიშნულებას და უნდა მართალი ითქვას დღეს ასეთი საარაკო სიბეჯითის ხანაში ის გარეგნობით ყველა ჟურნალს სჯობია... „თეატრი და ცხოვრებამ“ ჩვენ ხალხს დიდი სამსახური გაუწია და თუ ვინმემ შეიტანა სინათლე და შეგნება ჩვენს პროვინციაში, თუ ვინმემ შეაყვარა ჩვენს ხალხს კითხვა, ჟურნალი, ერთი მათგანი უსათუოდ არის „თეატრი და ცხოვრება“.

ეროვნული ხელოვნების აყვავება — აი რა იყო და არის წმინდა მიზანი ამ ჟურნალისა. ეს ჟურნალი ერთადერთია თავისი მიზნით, ჯერ მეორე სათეატრო ჟურნალი არ მოგვეპოვება. ჩემთვის ეს ჟურნალი განსაკუთრებით საყვარელია — მრავალი წლის განმავლობაში მე და ის ერთმანეთის მესაიდუმლენი ვიყავით და ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს ფიქრს და ზრახვებს, ჩვენს ჰმუნვას და იმედებს. სიმართლისათვის დევნილს ბევრჯერ შემიფარებია მისთვის თავი.

ცნობილი დრამატურგი დავით ნახუცრიშვილი შენიშნავდა — „მე მეგონა, რომ იმედაშვილი, მიუხედავად მწერალთა და მოღვაწეთა თანაგრძნობისა და დახმარებისა, როგორც უსახსრო, ღარიბი კაცი დიდხანს ვერ შესძლებდა ამ გამოცემის გაძღოლას... მაგრამ იმედაშვილმა ქედი არ მოუხარა დროებას, ზურგი არ აღრიცა თავის საყვარელ საქმეს და ყურადღებას არ აქცევდა ბოროტ ენათა სისინს... იმედაშვილი მარტოკა უძღებოდა ყველაფერს, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაწიცდიდა ოჯახში დიდ ნიეთიერს გაჭირვებას, რომ იგი დევნილი იყო ძველი მთავრობისაგან და საზოგადოების ერთი ნაწილისაგანაც, გულგაუტეხლად განაგრძობდა ჟურნალის გამოცემას... იმედაშვილმა ბევრს ახალ-

გაზრდა ნიჭიერს მწერალს გაუხსნა გზა წარმატებისა მწერლობის ასპარეზზე... იმედაშვილი შესაფერ ნიჭთან ერთად დაჯილდოებულია დაუშრეტელის ენერგიით, დაუღალავი შრომისმოყვარეობით და საქმისათვის თავდადების უნარით. ყველა ქართველმა რომ ისე ერთგულად აასრულოს ნაკისრი მოვალეობა, როგორც ამას იმედაშვილი ასრულებს, ჩვენ ბედნიერი ხალხი ვიქნებოდით. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური კრიზისით შექმნილ საშინელ პირობებში იმედაშვილის ჟურნალი გამოდის უფრო გაფართოებული, უფრო გამშვენიერებული, ვიდრე სხვა თანამედროვე ჟურნალ-გაზეთები“ (1920, 4, IV, № 13).

სოფრომ მგალობლიშვილის სიტყვით „თეატრი და ცხოვრება“ კვალში უდგა ქართულ თეატრს, არცერთი შესამჩნევი მომენტი ქართული თეატრისა და ჩვენი ცხოვრებისა უპასუხოდ არ გაუშვია, დროს მოთხოვნილებას ანგარიშს უწევდა. მუდამ შერჩეული იყო ნომრისათვის ცოცხალი მასალა, მკითხველის გამახალისებელი და საყვარელი. ჟურნალი ყოველმხრივ ზრუნავდა ქართული თეატრის პროფესიონალური განვითარებისათვის ხელოვნების თანამედროვე დონეზე. ამისათვის მუდმივად მეთვალყურეობდა რუსეთისა თუ საზღვარგარეთის თეატრალური ცხოვრების შესამჩნევ მოვლენებს, ცდილობდა ქართული თეატრის ირგვლივ მუდმივი მაყურებლის დარაზმვას, ხელს უწყობდა ნიჭიერ მსახიობთა გამოზრდას, ეროვნული თეატრის განმტკიცებას, პროგრესული შინაარსის რეპერტუარით, მსახიობთა დასტატებით, რეჟისურით (1925, 1, VI, № 12).

შალვა დადიანის თქმით, „თეატრი და ცხოვრებას“ ის სჭირდა კარგი, რომ ახალ აზრებს კარს არ უხშობდა და ახალგაზრდობის მუდამ მხიარული მასპინძელი იყო. ათი წელიწადი ჩვენში ჟურნალის არსებობის თავისთავად იშვიათი მოვლენაა და უთუოდ საგრძნობელი. იგი მადლობას უხდის იოსებ იმედაშვილს მარტო იმისთვისაც, რომ მან ერთგვარი ელემენტი ჩვენი ხალხისა კითხვას მიაჩვია, მოთხოვნილებად გაუხადა. შალვა დადიანი გამომცემლობაში ძველად არსებულ სიძნელეთა შორის ყურადღებას აქცევდა იმას, რომ თუ ეხლაც ძნელია ჟურნალის გამოცემა, რა ძნელი უნდა ყოფილიყო წინათ იმ დუხჭირ დროს, როდესაც ჰაერი შეხუთული და დახშული იყო სასტიკის რეჟიმით და ყოველი კულტურული მოვლენა იდევნებოდა (1920, 4, IV, № 13).

დრამატურგმა ტრიფონ რამიშვილმა აღნიშნა, რომ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ არარაისაგან შექმნა მოუსვენარმა იოსებ იმედაშვილმა და ამ ათი წლის განმავლობაში მას ვერა დაბრკოლებამ ქედი ვერ მოახრევინა. ჟურნალი ნაყოფიერი იყო მხატვრულადაც და იდეურადაც. პირადად მე დიდად ვარ დავალებული მისი ფაქიზი, ძმური და უანგარო დამოკიდებულებით“ (იქვე).

პოეტი დარია ახვლედიანი ჟურნალის ათი წლისთავთან დაკავშირებით შენიშნავდა, რომ „თეატრი და ცხოვრება“ სიმართლით საუკეთესო ჟურნალია. მიუდგომელი, მას ტყუილი არ უყვარს, მაგრამ არც სინამდვილეს დაემალება. ის პირამთქმელი გაბედულია, მას ვერ აშინებს კარზე მომდგარი უბედურება და არც ერთი წუთითაც არ დაუკარგავს იმედი კარგი მომავლისა. არცერთი მწერალი, მოღვაწე, არცერთი ქველმოქმედი არ დარჩენილა, რომ მის ფურცლებზე შესაფერი ალაგი არ დაეთმოს („გაჭირვებაზე გამარჯვება“, იქვე).

ეკატერინე გაბაშვილმა აღნიშნა, რომ „იოსებ იმედაშვილის თავგანწირული შრომა, მოწამეობრივი ტანჯვა საქმისადმი, ჩემთვის ყოველთვის იწვევდა გაკვირვებას, გულის ტკივილს და თან ახარებდა ჩემ სულს იმითი, რომ ქართველი კაცი ბოლომდე იჩენდა ასეთი ნემეცურის ხასიათის სიმტკიცეს, შეუდრეკელის ენერგიით ებრძოდა გარემოებას და დიდი შრომით და ზნეობრივის საფასურით უძღვებოდა ჟურნალის გამოცემას“ (იქვე).

ალ. მირიანაშვილს „თეატრი და ცხოვრების“ დამსახურებად ის მიაჩნია, რომ „მან გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართველი ახალგაზრდობა ნორმალურ კალაპოტში ჩააყენა — ჩვენში იმ სავალალო ჩვეულების დამკვიდრების ჟამს, როდესაც ქართველი ორატორები საზოგადო კრებებზე სიტყვის დასაწყისში უკვე აცხადებდნენ — ნება ვთქვა, ჩემი აზრი რუსულად მოგახსენოთ, რადგან ქართული არ მეხერხებაო, ქართულმა ჟურნალ-გაზეთობამ, მათ შორის „თეატრი და ცხოვრებამ“, ქართველს ქართული ასწავლა, ქართველს ქართული კითხვა და ლაპარაკი შეაჩვია და ბოლოს ქართველს საქართველო აპოვნინა. იოსებ იმედაშვილს თეატრი მიაჩნდა ხალხის აღმზრდელ სკოლად, სცენა კათედრად და მაყურებელი მსმენელებად, მოსწავლეებად. მას არასოდეს უღალატია ორი მიზნის სამსახურისათვის — საზოგადო ქართული ცხოვრებისა და თეატრისათვის“ (იქვე).

პ. კეკელიას აღნიშვნითაც, „ორი კითხვა — ეროვნული პრობლემა და ხელოვნება ასულდგმულებს „თეატრი და ცხოვრებას“. უაღრესად პროგრესული, ერის ცოცხალ ელემენტების შემაკავშირებელ და გზის მაჩვენებელ კანდელად გახდა ეს ჟურნალი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა... იგი უდიდესი სიმბოლური ნიშანია ჩვენი ერის კულტურულად ზრდისა... იგი საზომია ჩვენი საზოგადოებრივი ეროვნული ცხოვრებისა, ჩვენი კულტუროსნობის სიმბოლო... ვის არ აღავსებს სიხარულით და წადილით ამ ჟურნალის მეთაურები, რომელიც ერის არსებობის საკითხს მშობლიურის მზრუნველობითა და მხურვალე გრძნობით აღწერდა. ჟურნალს უმთავრესად ასაზრდოებს დემოსის სწრაფვა... ჩვენში მუშის მსოფლშემეცნება — ხელოვნების სამყაროში „თეატრი და ცხოვრებამ“ დაიწყო“ (იქვე).

არ[.]ილ მაჭავარიანმა „თეატრი და ცხოვრებას“ უწოდა — „ჩვენ ლიტერატორთა და ხელოვანთა აღმზრდელი, ჩვენი მწერლობის აკვანი. „თეატრი და ცხოვრება“ — ეს ჩვენი ერის სარკე იყო, სადაც ჯერ კიდევ ჩონობის დროს ხელ-ფეხ შებორკილი ხალხი ამოიკითხავდა დასშულ[.] გონების ამხსნელ და ნათელ მომავლის იმედების განმახორციელებელ სიტყვებს... ჩვენი დროის მრავალმა მწერალმა აიდგა ფეხი აქ და მრავალიც აიდგამს მომავალში“ (იქვე).

ლეო ქიაჩელი იოსებ იმედაშვილის საჟურნალო საქმიანობაზე აღნიშნავდა: „ჩემთვის დღესაც საკვირველია ეს იშვიათი რედაქტორი და საჟურნალო საშუალო მკითხველის ორგანიზატორი საქართველოში.... ის იძლეოდა არა მხოლოდ იმის ცნობას რაც იყო, — ჟურნალის ყურთა სმენას არ გამორჩებოდა, ის თუ რომელ პოეტს ან მწერალს რა განზრახვა ჰქონდა, რას სწერდა, ან როდის და როგორ დასწერდა (1925, 1, VI, № 12).

იოსებ გრიშაშვილმა, როგორც მის ორიგინალობას შეეფერებოდა, ისე გამოხატა მადლიერება იოსებ იმედაშვილისადმი: „მე, როგორც ძველი წიგნების ჩრჩილს, უსპეტაკესად მადლიერი გრძნობა უფრო მაშინ მაქვს გულში, როცა მის ფურცლებზე წერილებს ვკითხულობ რომელიმე გარდაცვლილ ჩემ მუშაკზე: სხვა ჟურნალები ყურადღებას არ აქცევენ ჩვენი ლიტერატურის კუნჭულებს, იმედაშვილს კი უყვარს ყველა „გამორჩენილი და დავიწყებული“, რომელთაც ერთ დროს დიდი ამაგი მიუძღოდათ საზოგადო ასპარეზზე. ჩემის აზრით, ჟურნალის დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ მას ერთი კაცი უძღვება თავის ქესატი ჭისით და 15 წლის განმავლობაში სისტემატიურად გამოდის თავისი ტრადიციებით დატვირთული.

დეე, ნუ იქნება ეს ჟურნალი აკადემიური, დეე, დარჩეს ისეთივე როგორიც აქამდე იყო. „თეატრი და ცხოვრება“ გვხიბლავს უფრო თავის ნაკლულოვანებით“ („იმედაშვილი“, 1925, 1, VI, № 12).

პოეტი ჭალის განდეგილის სიტყვით „იოსებ იმედაშვილმა შეუძლებელი შესძლო!.. „თეატრი და ცხოვრება“ ძალიან ბევრჯერ ერთგვარ საყვირად ევლინებოდა უიმედობით დასნეულებულ ქართველ მკითხველს ცარიზმის დროს, როცა შავბნელ გარემოებათა წყალობით იგი მოკლებული იყო სხვა რამ სულიერ საზრდოს, ევლინებოდა და გულში იმედის სხივს ჩააშუქებდა ხოლმე“ (იქვე).

გ. ჯაბაურის აღნიშვნით, „თეატრი და ცხოვრება“ ერთადერთი ჟურნალია, რომელმაც კარი გაუღო თეატრს და გულზე მიიკრა. მისი მოწინავე წერილები მუდამ აგონებს ყოველ მოქალაქეს თავის მოვალეობას ხელოვნების წინაშე და ქვეყანას ამცნობს თეატრის მნიშვნელობას, მის საჭიროებას, არტისტის მოვალეობასა და მდგომარეობას“ (1920, № 13).

ლ. ცაგარლის გახსენებით, „თეატრი და ცხოვრებას“ უპარტიობაზე რომ ყოფილა ლაპარაკი, კომანდო გოგელიას უთქვამს — იქნებ ეხლა ეს არის საჭირო — მოსპეთ ზღუდეები, მოსპეთ ჩარჩოები, რომელშიაც აუცილებლად უნდა ჩასჭედოთ თქვენი გრძნობა-ფიქრები, სად და როგორ მოხერხდეს ლაღი სიტყვის თქმა, განცდათა უშუალო, უეშმაკო გამომჟღავნება, გულის და სულის გადაშლა მკითხველი საზოგადოების წინაშე?.. უნდა ყოფილიყო და არის კიდევაც „თეატრი და ცხოვრება“, სადაც ადამიანი სულს მოითქვამს, აქეთ-იქით არ იყურება და ყოველ სიტყვას არ შეუფარდებს ამა თუ იმ დოგმას“ (იქვე, 1925, № 12).

„თეატრი და ცხოვრებას“ და იოსებ იმედაშვილს ეროვნული კულტურის წინაშე დამსახურებას მსგავსი აღნიშვნებით ულოცავდნენ მიხეილ ბოჭორიშვილი, გ. ჯაბადარი, ილია ფერაძე, ი. მოსაშვილი, მარიამ ს.აფაროვ-აბაშიძისა, ეფემია მესხი, ნინო ყიფიანი, ს. წერეთელი, ვ. გერგესელი, ხომლელი, იასამანი, გ. ახალციხელი, ი. ქილდელი, ს. ჯიღაღი, მიხა დევაძე, ს. რემონიძე, ჯაფარ-ფაშა, დ. გაბრუაშვილი, სურენ ავჩიანი, გ. სვანიძე, ა. ციხისთავი, გრიგოლ კუნჭულია, ვარლამ ჩლაიძე, ნარკანი, ვ. თევდორაშვილი, გ. მურალაშვილი, გ. შიხიანცი.

ამათ გარდა, არა ერთი კულტურული საზოგადოებრივი დაწესებულება მიესალმა ჟურნალს. აჭარის მწერალთა საიუბილეო კომისიის მილოცვაში ძირითადად აღნიშნულია „თეატრი და ცხოვრებისადმი“ გამოხატული მადლიერების გრძნობები:

„ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ მთავარი მიზანი იყო და არის მშრომელი ხალხის ხელოვნებასთან დაახლოვება, მისთვის სულიერი საზრდოს მიწოდება, მუშათა კლუბების და სახალხო სახლთა რაც შეიძლება მტკიცე სასურველ დონეზე დაყენება. მისი დევიზი მუდამ იყო და არის „ხელოვნება ხალხისათვის“... მრავალმა ნიჭიერმა ქართველმა მწერალმა ამ ჟურნალში აიდგა ფეხი, მრავალმა ქართველმა მსახიობმა, მხატვარმა თუ მუსიკოსმა ამ ჟურნალში მიიღეს თბილი გული და წახალისება... „თეატრი და ცხოვრება“ 1910 წლის 2 იანვრიდან დაუღალავად და ენერგიულად ეწევა თავის ჰაპანს ქართული კულტურის და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ... მრავალი დაბრკოლება და წინააღმდეგობა ეღობებოდა მას წარსულში, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუხრია მას წარბი“ (გაზ. „ფუხარა“, 1925, 7 მაისი, № 101).

აღნიშნული გამონათქვამები კარგად გვიჩვენებენ, რომ „თეატრი და ცხოვრებას“ და იოსებ იმედაშვილს საქართველოში თუ მტრები ჰყავდა, უფრო ბევრად მეტი მადლიერი მეგობრებიც მოეპოვებოდნენ, რომელთა თანაგრძნობის გარეშე ამდენ ხანს ეს ჟურნალი ვერც იარ-

სებებდა. ამდენადვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ნარევი, ჰრელი შინაარსისა და აგებულებისა, ამ სახალხო ჟურნალმა თავისი ძირითადი დანიშნულება ქართველი ხალხის სამსახურში წარმატებით შეასრულა. მაგრამ „თეატრი და ცხოვრებამ“ თუ ნაწილობრივ მაინც შესძლო ასეთი ეროვნული როლის შესრულება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რასაკვირველია, ამით იმას არ ვამბობთ, რომ ჟურნალი ყოველთვის თანაბარი ღირსების შინაარსითა და ფორმით ასახავდა ჩვენი ხელოვნების, არზოვნებისა და ლიტერატურული ცხოვრების სინამდვილეს, რომ მას არა ჰქონდეს ზოგჯერადაც ნაჩქარეობით, მასალის დაგვიანებითა თუ ზედმეტად პოპულარული მეტყველებით საგრძნობი გაუბრალოება. თუ ეს ნაკლი ენისა და სტილის მეტისმეტი გამდაბიურება იყო, ფაქტია ისიც, რომ არა იშვიათად ჟურნალში აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, შანშიაშვილის, მაყაშვილის, ლეონიძის, აბაშელის, გრიშაშვილის გვერდით იბეჭდებოდნენ მწერლობისათვის შემთხვევითი მელექსენიც, რომელთა პოეტური მუზა რითმათა თხზვაში მოწაფურ ვარჯიშობას არა სცილდებოდა. ცხადია მათი სახელები დაბეჭდვისთანავე ეძლეოდნენ დავიწყებას და თუ ზოგი მათგანი მწერლობის მეხსიერებას მაინც შემორჩა, მხოლოდ როგორც უნიჭობის განსახიერების მაგალითი.

მაგრამ ეს ალბათ პრესისა და თვით პოეზიის ერთგვარად აუცილებელი კომპრომისი იყო დილეტანტიზმისა თუ უნიჭობისადმი, რომელიც ყოველთვის ცოცხლობს ყოველი ჰეშმარიტი ხელოვნების გვერდით. განა თვითონ გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში „გალაკტიონ ტაბიძე“ არ იბეჭდებოდნენ პოეტობის სახელის ამაო მაძიებელნი, რომელთაც მიუხედავად აშკარა პოეტური წარმოსახვის სიღარიბისა, თვითონ გალაკტიონი, როგორც რედაქტორი, გზას აძლევდა სახელის მქონე რჩეულ პოეტთა გვერდით. ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი ლიტერატურულ-სტილისტური და შინაარსობრივი პოზიციით „თეატრი და ცხოვრებას“ ზოგი შესაძლო ხარვეზის განსჯა უმართებულო იქნებოდა, რამდენადაც თანამედროვე პრესისა და მწერლობის ენას მაშინ მხოლოდ ეყრებოდა საფუძველი გარკვეული ენობრივი ნორმების გამომუშავებით, რაც შესაძლებელი გახდა ნახევარ საუკუნოვანი დაძაბული ენათმეცნიერული კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგად. ამდენადვე მას შემდეგ შეუდარებლად დაიხვეწა და გამდიდრდა პროზისა და პოეტური მეტყველების ენა და სტილი, მისი რიტმულ-ესთეტური გამომხატველობა, რაც მანამდე უცნობი იყო, როგორც პოეზიის, მწერლობის, აგრეთვე კრიტიკის ენისათვის.

რასაკვირველია, ჰეშმარიტი პოეზია და პროზა თავის სრულყოფაში არ უცდიდა ენის ნორმების შემუშავება-დადგენას, რასაც „თეატრი და ცხოვრებაში“ ნათელსა ხდის გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი

ლეონიძის თუ ნიკო ლორთქიფანიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის თავისთავადი ენის მოელინება, რომელნიც თვითონ უკაფავდნენ გზას მხატვრულ მეტყველებას. ეს კარგად ესმოდა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორს, რომელსაც ბედმა არგუნა, აკაკის, ვაჟას ლექსებითაც დამტკბარიყო. როგორც მათი პირველი მკითხველი, მაგრამ მოთმინებითაც უნდა დალოდებოდა ქართული ლიტერატურული ენის ბანგრძლივი ჩამოყალიბების პროცესს. ამ მხრივაც, ქართული სანიმუშო ენის განვითარების თვალსაზრისით, „თეატრი და ცხოვრება“ შეიცავს საყურადღებო მასალას, თუნდაც თამარ გოგოლაშვილის, ბიქტორ თევზაიას, სოფრომ მგალობლიშვილის, გრიგოლ ნათაძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ჰოლა ლომთათიძის, გერონტი ქიქოძის, შალვა დადიანის, ნიკო შიუკაშვილის წერილებსა და ნარკვევებში. საერთოდ კი, არა მხოლოდ პროზისა და კრიტიკის ენა, ჟურნალში დასაბეჭდი ლექსიც კი საჭიროებდა გასწორებას, როდესაც პრესის მეტყველება თვითდინებას იყო მიტოვებული მრავალგვარი ბარბარიზმებისა და დიალექტიზმების ტყვეობაში.

ყოველივე ამასთან ერთად, რასაკვირველია „თეატრი და ცხოვრების“ წარმატებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მის ყოველ ნომერს ამკობდა რედაქტორის მეთაური და მისივე ფსევდონიმებით (უმთავრესად იოსებ არიმათიელი, წინამძღვარი, ექიმი შტოკმანი, უსავანო) დაბეჭდილი წერილები, ნარკვევები, მიმოხილვები, რეცენზიები, ლიტერატურული პორტრეტები. ამ მხრივ, ისეთ დაძაბულ შრომის ფასად იქმნებოდა „თეატრი და ცხოვრება“ რომ 370-ზე მეტი ნომრის თითოეული გვერდი და სტრიქონი შეიძლება ითქვას იოსებ იმედაშვილის აზრისა და სიცოცხლის ნაწილი იყო, თანაბრად ღირებული სიტყვითა და საქმით. ამ ჟურნალმა დიდი თუ პატარა, მაინც კეთილმყოფელი, დაუვიწყარი კვალი გაავლო ჩვენი საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, უმთავრესად მწერლობისა და თეატრალური კულტურის გახალხურებით, ლიტერატურული მასალის შინაარსის მრავალმხრივობითა თუ აღძრული საკითხების დასმა-გადაწყვეტის სისადავითა და სიცხადით. ასევე „თეატრი და ცხოვრების“ პოეზია, პროზა და კრიტიკა უფრო მეტად იყო დაახლოებული სამუშაო დონის მკითხველთან და ხელოვნების სამსახურში ხალხის ფართო ფენების ინტერესებსა და გემოვნებას ეფარდებოდა.

სუბსიდიისა და ჰონორარის გარეშე

„თეატრი და ცხოვრების“ არავითარი სუბსიდია, რაიმე მუდმივი სახარჯო წყარო არა ჰქონდა, წლიურ ხელმომწერთა შემოსავალი კი ძლიერ ცოტა იყო სტამბის, მუშების, ქაღალდის ხარჯების დასაფარა-

ვად და, რასაკვირველია, ჟურნალის ბიუჯეტზე კარგად არც ის მოქმედებდა, რომ ტირაჟის მნიშვნელოვანი ნაწილი უფასოდ ეგზავნებოდა არა მხოლოდ მრავალრიცხოვან ლიტერატურულ თანამშრომლებს, ქართული კულტურისა და მწერლობის მუშაკთ, ჟურნალის კორესპონდენტებს, ვისაც პირადად იცნობდა რედაქტორი და ასეთი ბევრი იყო, არამედ რუსეთისა თუ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მოსწავლე ახალგაზრდობას, მთელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ და ჩარჩენილ ქართველობას, ჩვენს ემიგრანტებს, რომელთა მისამართსაც კი გაიგებდი ისე, რომ ჩვენი ჟურნალი ჩინეთშიაც კი მიდიოდა. ერთი სიტყვით, უფასო მკითხველი ხელისმომწერთ სჭარბობდა, რაშიაც ღარიბი რედაქტორ-გამომცემელი მხოლოდ მადლობის წერილებს იღებდა.

მარიამ საფაროვი-აბაშიძის მოგონებით „იმედაშვილი გზავნიდა ჟურნალს მუქთად სხვადასხვა სოფელში, სადაც კი მოჰკრამდა ყურს, რომ სათეატრო საქმე ეწყობოდა. პირადად მე ჩემის მხრით უღრმეს მადლობას ვუძღვნი უსასყიდლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში ჟურნალის მოწოდებისათვის“. აკაკი წერეთელიც არა ერთხელ უხდიდა მადლობას იოსებ იმედაშვილს ჟურნალის უფასოდ სისტემატური გზავნისათვის, თუმცა თავის მშვენიერ ლექსებს ხშირად უჰონორაროდ ბეჭდავდა.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ლეო ქიაჩელის მოგონება: „იმ ხანებში საქართველოში არ ჩამომესვლებოდა და შვეიცარიის მოსაზღვრე სავოიარებში ვცხოვრობდი გაბიზნული, მეგობარ ემიგრანტებსაც მოწყვეტილი. კორესპონდენტური კავშირი, რომელიც ჟენევაში მქონდა სამშობლოსთან, ისიც კი შეწყდა. მარტოობის სიმძიმილმა სული შემიხუთა. ამ მდგომარეობაში მომაგონდა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორის თავაზიანობა და გადავწყვიტე მიმემართნა მისთვის. გავუგზავნე ერთი მინიატურა და ვსთხოვე ჟურნალი მოეწოდებინა ჩემს უდაბნო სამყოფელოში. ი. იმედაშვილს პასუხი არ დაუყოვნებია.

წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როცა სოფლის ფოსტალიონმა ერთ მშვენიერ დილას ქართული ჟურნალის ათიოდე №-ი შემომიტანა ოთახში. სამ თვეზე მეტი იქნებოდა, რაც არ წამეკითხა ქართული ჟურნალ-გაზეთი და ჩემ წინ გადაიშალა „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლები: მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეების, სცენის მოყვარეების სახეთა მთელი გალერეა! ლექსები, მინიატურები, წერილები, კორესპონდენციები, ვოდევილები, დრამები და... იმედაშვილეული ტრადიციული ქრონიკა...

„თეატრი და ცხოვრების“ ქრონიკას უცხოეთში განსაკუთრებული მიმზიდველობა ჰქონდა ჩემთვის. ათი წლით სამშობლოს მოშორე-

ბულს მაინტერესებდა ყოველი წვრილმანი, „თეატრი და ცხოვრების“ ქრონიკა ამ მხრით დიდ სამსახურს მიწევდა. ის იძლეოდა არა მხოლოდ იმის ცნობას, რაც იყო. — ჟურნალის ყურთასმენას არ გამორჩებოდა, თუ მის რომელ პოეტს, ან მწერალს რა განზრახვა ჰქონდა, რას სწერდა, ან როდის და როგორ დასწერდა. — მახსოვს, იმედაშვილი საკვირველ პიროვნებად მყავდა წარმოდგენილი, რომელსაც თანამშრომელ პოეტის ოცნებაშიაც კი შეეძლო შეეჭვრიტნა. წარმოიდგინეთ, ერთხელ მის ქრონიკაში ჩემი ამბავის წაკითხვაც კი მომინდა, — უთუოდ არც მე გამოვრჩებოდი მეთქი და, შესაძლებელია, ჩემი ფარული განზრახვებიც ამ სიშორიდან იცოდეს ამ თილისმა კაცმა მეთქი!..“

მიუნქენიდან 1914 წელს გამოგზავნილ ბარათში კონსტანტინე გამსახურდია იმედაშვილს გულითად მადლობას უხდიდა ჟურნალის სისტემატური გზავნისათვის და ატყობინებდა — თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“ ვთარგმნეო.

ასეთი ხასიათის მადლობის წერილები ბევრია იმედაშვილის არქივში, რასაც შეიძლება დაემატოს სამადლობელი წერილებიც იმის შესახებ, რომ რუსეთიდან თუ საზღვარგარეთიდან არა ერთ გაჭირვებულ ქართველს რედაქტორისათვის თხოვნით მიუმართავს — მეტი გზა არა მაქვს, ფულადი დახმარება უნდა გთხოვოთო და თვითონ ღარიბი რედაქტორი ვალს აიღებდა და არც ერთ თხოვნას შეუსრულებელს არ დატოვებდა, მთხოვნელს არ გააწბილებდა. ერთი სიტყვით, დიდად ძვირი ჯდებოდა იმედაშვილის რედაქტორული პოპულარობა. თან ყოველი ნომრის გამოსვლაზე ქაღალდისა და სტამბის ფული წინასწარ უნდა გადახდილიყო, თორემ დაბეჭდილ ჟურნალს რედაქციას არ მისცემდნენ.

ეს ფინანსური უსახსრობა, მით უმეტეს შიმშილიანი ომის პირობებში, მუშა ხელის უშოვნელობა — სიძვირის გამო ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში გვამყოფებდა ხოლმე, რომ ხშირად ჩემი უფროსი ძმა შალვა და მე სარედაქციო სამუშაოსთან ერთად ასოთამწყობის, კორექტორის, ჟურნალის დაკეცვისა და ექსპედიციის მოვალეობასაც ვასრულებდით, ოციანი წლების შემდეგ კი, როდესაც გავიზარდენით, შალვა რედაქციის მდივანი იყო და ავტორებთან ურთიერთობასა და რედაქციის სამეურნეო საქმეს განაგებდა, მე სტილსა და რეცენზიებზე ვმუშაობდი.

ყოველივე აქედან გასაგებია, რომ უსახსრობის გამო რედაქცია ჰონორარს ყველა ავტორს ვერ უხდიდა, ისე, რომ ზოგჯერაც, როგორც ადრიდანვე ყოფილა, თვით აკაკი და ვაჟაც უჰონორაროდაც იბეჭდებოდნენ და რაღას მიიღებდნენ ახალგაზრდა პოეტები — ს. შან-

შიაშვილი, ა. აბაშელი, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. მიწიშვილი, ან პროზაიკოსები — მ. ჯავახიშვილი, მ. ბოჭორიშვილი, შ. დადიანი, ა. პაპავა, დრამატურგებსა და კრიტიკოსებზე რომ აღარაფერი ითქვას. ცხადია, უპონორარობა, ასე თუ ისე, ვრცელდებოდა ჟურნალის მხატვრებზედაც, რადგან ყოველი მისი ნომერი თუ საკმაოდ იყო ილუსტრირებული, სურათების გადაღებასა და კლიშეების გაკეთებას ცინკოგრაფიაში ნაღდი ფული სჭირდებოდა და ხარჯი ისედაც დიდი იყო. ჟურნალის მუდმივ კორესპონდენტებზე რაღა ვთქვათ, რომელნიც დიდ სამსახურს უწევდნენ რედაქციას, რომელთა შრომა პრესის უანგარო სამსახური იყო და მათ ჯილდოს ის წარმოადგენდა, რომ ჟურნალის ოფიციალურ კორესპონდენტებად ითვლებოდნენ და იბეჭდებოდნენ.

ამ უპონორარობასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებოა იმედაშვილის მოგონებაში პატარა დიალოგი დიდ პოეტთან—აკაკიმ ლექსი მომიტანა დასაბეჭდად, ძლიერ გამეხარდა, რომ ჩემი ჟურნალის თანამშრომელი ხდებოდა, მაგრამ შესაფერისი ჰონორარის მიცემა რომ არ შემეძლო, აკაკის ვუთხარი:

— ნება მიბოძეთ, ჩემი ნივთიერი მდგომარეობა მოგახსენოთ!..

— ჰონორარი? — სიტყვა მომიჭრა, — მაგაზე ნუ სწუხართ, მე შენგან არაფერს ავიღებ და სრულიად უფასოდაც ვითანამშრომლებ შენს ჟურნალში, რადგან ეს გამოცემა მომწონს, როგორც უპარტიო და ხალხურიო...

ამის შემდეგ ხშირად ვბეჭდავდი აკაკის ლექსებს და ერთხელ ნიკ. ქართველიშვილი შემეკითხა — აკაკის რამდენს აძლევ, რომ ასე ხშირად ბეჭდავო... არაფერს მეთქი რომ ვუთხარი, გაოცებით მომაგო — აკაკი უპონორაროდ არსად არაფერს არა ბეჭდავსო... გაფრთხილდი, გიჯობს ეხლავე აძლიო, თორემ ერთბაშად გაზღვევინებსო...

ეს გაფრთხილება უსაფუძვლო და ზედმეტი გამოდგა, თვითონ აკაკიმ არაერთხელ დამარწმუნა, რომ ჩემგან ფულს არ აიღებდა და ერთხელაც სამი მანეთი რომ ისესხა, ჩქარა ისევ დამიბრუნა და იმაზედაც ყოველთვის მადლობას მიხდიდა, რომ საჩხერეში ჟურნალს ვუგზავნიდიო.

მაშინდელი ჟურნალ-გაზეთების მთავარ უბედურებას ტირაჟის სიმცირე წარმოადგენდა, ისე, რომ ათასი ცალი საკმაოდ ითვლებოდა და „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქტორმა სახუმარო სათაურით „ვარსკვლავთმრიცხველები“ ასე გამოხატა მკითხველი საზოგადოების სავალალო სიმცირე: „რაც საქართველოში პოეტია, იმის ნახევარი ნაღდი მკითხველი რომ ჰყავდეს ქართულ ჟურნალ-გაზეთს, მაშინ წლით წლამდე თავისუფლად იხეირებდა ათი დღიური გაზეთი, სამი თვიური, ხოლო ხუთი კვარტალური ნახატებიანი ჟურნალი, ყველას თა-

ნამშრომლები წელში გაიმართებოდნენ, თვალში ჩინი მოემატებოდათ და თავში... ფიქრიო“ (1910, 28, III, № 13).

ცხადია მწერლებისა და მსახიობების ნორმალური ცხოვრება და ნაყოფიერი მუშაობაც რედაქციისა და თეატრის შემოსავალზე იყო დამოკიდებული, რომ მათ სათანადო ჰონორარი მიეღოთ, რომ იმედაშვილის შენიშვნით — არტისტი მხოლოდ არტისტი ყოფილიყო და სხვაგან აღარ ემსახურნა, ასევე, მწერალსაც შესძლებოდა ჰონორარით ცხოვრება.

ასეთი უჰონორარობის მიუხედავად, საქართველოში არასოდეს არა ყოფილა პოეტებისა და არტისტების ნაკლებობა. მაგრამ ამ უჰონორარობას სხვანაირად აფასებდა დრამატურგი და კრიტიკოსი ნ. შიუკაშვილი, და განსაკუთრებით ჩიოდა იმას, რომ „მუქთაობა“ მრავალმხრივად ვნებს თეატრს, დრამატურგიას, პრესას მათი ხარისხიანობისა და დონის თვალსაზრისით. „იმის მაგივრად, რომ ახალგაზრდამ საქმეს მოჰკიდოს ხელი, ან დურგლობას, ან მკერავლობას, ან ვაჭრობას, ან გავიდეს პროვინციაში სამუშაოდ, ზის თბილისში, სჩხაპნის უგვანო ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, რედაქტორებიც უბეჭდავენ, მას თავი მწერლად მოაქვს და ნახევარმშიერი ისპობს სიცოცხლესა და საქმიანობის უნარს. უაზრო „მხატვრული“ მოთხრობებით და პიესებით ამოიცსო პრესა და ქართული სცენაო“ (ღია წერილი, 1910, 25, VII, № 29). ამას იმითი ხსნიდა ავტორი, რომ თეატრები მუქთა პიესებს უფრო ხალისით დგამენ, რითაც სწორედ უნიჭობას ეძლევა გზა. მისი დასკვნით, არც ერთი უვარგისი ნაწარმოები არ უნდა ეღირსოს სცენას, არც ერთი რიგიანი ნაწარმოები არ უნდა დარჩეს უჰონორაროდ.

მხატვრული ნაწარმოებისა და ჰონორარის საკითხის ასეთ დაყენებას იქნებ ჰქონდეს გამართლება, მაგრამ ჩანს იმედაშვილი მთლიანად არ იზიარებდა შიუკაშვილის აზრს, რომ ჰონორარის დაწესებას უნიჭოების ალაგმვა მოჰყოლოდეს, თუმცა თვითონ ჯერ კიდევ 13 ივნისის მეთაურში: „ავტორთა ჯილდო“ (№ 23) საერთოდ ავტორთა ჰონორარის საკითხი დააყენა და აღრევე გამოთქვა აზრი, რომ სპეციალურად მოწვეულმა კონფერენციამ უნდა განიხილოს ავტორთა ჰონორარის საკითხი, და შემუშავდეს სავალდებულო წესი, რომ დრამატურგსა თუ მწერალს ყველას კუთვნილი ჰონორარი ეძლეოდეს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და სასარგებლო შედეგიც მოჰყვებაო. ამასთან ერთად, იგი გაკვირვებას გამოსთქვამდა, რომ მაგ., „თეატრის გარშემო ვინც ხურხურებს — პარიკმახერი, მეტანისამოსე. ეჯარადარი, გამნათებელი, რეკვიზიტორი, ერთი სიტყვით თეატრის შენობის პატრონიდან დაწყებული მეკარემდე — ყველა შრომის ჯილ-

დოს იღებს, დაუჯილდოებელი მხოლოდ მათი ლუკმის გამჩენი, ავტორი, პიესის შემქმნელ-დამწერი, მთარგმნელ-გადმომკეთებელიაო".

დამწყებ ავტორთა და მსახიობთა მიმართ კი იგი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა — დაე, სუსტნი იყვნენ ავტორნი, სუსტი იყოს მათი პირველი ნაწარმოები, მაგრამ ეს პირველი ნაბიჯი იქნება და ვინ არ იცის, რომ პირველ დამარცხებას (თუ დამარცხდნენ) ხშირად გამარჯვება მოჰყვება ხოლმე (ქართული დრამატურგია, 1910, 11, VII, № 27).

როგორც მომავალმა გამოარკვია, ამაოდ ფიქრობდა ნ. შიუკაშვილი, რომ ჰონორარის დაწესება შეამცირებდა უნიჭო ლექსებისა და პიესების წერას, იქნებ პირიქითაც მოხდა — ჰონორარის მოლოდინში ამოქმედდნენ ისინიც, რომელთაც მანამდე შემოქმედებითი მიდრეკილებანი არცა ჰქონიათ. მათ პოეზია ბიზნესის საგნად აქციეს, რამაც უნიჭოთა დიდი არმიის შექმნა გამოიწვია და ეს არა ნაკლებად უფრო სახიფათო გამოდგა, ნამდვილი პრობლემა კი პრობლემადვე დარჩა... ჩვენ დროშიც ჯერ კიდევ სავსებით არ არის მოღწეული ის, რომ არც ერთი უვარგისი ნაწარმოები არ ეღირსოს სცენას და ბეჭდურ გამოქვეყნებას, არც ერთი რიგიანი ნაწარმოები არ დარჩეს ღირსეული ჰონორარის გარეშე... ეს რომ მოგვარებული ყოფილიყო, ისეთი ნიჭიერი პოეტი, მომავლის საუკეთესო იმედით, ისე ჩქარა არ გამოესალმებოდა წუთისოფელს, როგორც ლადო ასათიანი, რომელიც ხშირად იძულებული იყო წიგნები გაეყიდა, რომ დღიური საჭმელის ფული ეშოვა.

ეს იყო დიდი უსამართლობა და სირცხვილი იმ თაობისა, რომლის გვერდით ასეთი ეროვნული მნიშვნელობის პოეტი უკურნებელი სენით თავისთავადაც სიკვდილისათვის განწირული, მაინც ნაადრევად კვდება, იმიტომ, რომ თავისი ბრწყინვალე ლექსების მიუხედავად მატერიალურად საკმაოდ არ იყო უზრუნველყოფილი.

ქართველ მწერალთა ასეთ უნუგეშო მდგომარეობას მამაჩემი თავიდანვე ძლიერ განიცდიდა, რომლის მოგვარება დოტაციის გარეშე არსებული გამომცემლობებისათვის პრესისა და წიგნის მცირე ტირაჟის გამო შეუძლებელი ჩანდა. მწერალთა პირობების გაუმჯობესების მიზნით, როგორც ზევითაც გაკვრით აღინიშნა, იოსებ იმედაშვილი წინადადებას იძლეოდა მწერალთა დახმარების ფონდი დაარსებულიყო. გასაბჭოების შემდეგ ბეჭდვის საქმე სავსებით არის უზრუნველყოფილი სახელმწიფო დოტაციით და სავალალო მაინც ისა რჩება, თუკი ჰონორარის განაწილება პირად ნაცნობობაზე იქნება დამოკიდებული, — ვინმეს კეთილ განწყობილებასა თუ ანტიპატიაზე, რაც მრავალ გაუგებრობას ჰქმნის. საერთოდ კი მწერალთა გაჭირვება რევოლუციამდელი ძველი თაობის ხვედრი იყო და ყველაზე მძიმედ ეს თა-

ვისთავზე „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქტორმა გამოსცადა. ეხლა იქნებ ავიწყდებათ, რომ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ბოლო წლებამდე თვითონ გალაკტიონ ტაბიძეც კი, ვიდრე მას აკადემიკოსად აირჩევდნენ, ჰონორარით ვერა ცხოვრობდნენ და თავისი დროება ნახევრად შიმშილში გაატარეს.

ეროვნული აზრისა და სიტყვის ძიებაში

ყოველგვარ სიძნელეთა მიუხედავად, როგორც ამ მცირე მიმოხილვებიდანაც ჩანს, ყოველკვირეული ჟურნალის რედაქტირება ბევრნაირად ხდიდა საინტერესოს იმედაშვილის დაძაბულ მუშაობას, რომლითაც პირადად მან შექმნა საკუთარი სტილის ჟურნალი, აგებულებითა და შინაარსით მეტად თავისებური, რომელიც ჰგავდა მხოლოდ თავის თავს. ეს თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, იყო მისი პოპულარული ენა, ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, ნაციონალური კულტურის სამსახური განურჩეველად რაიმე მდგომარეობისა, და ტენდენციურობის გარეშე. ცხადია, ამისათვის მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ჟურნალი არავისზე არ იყო დამოკიდებული, არც პროგრამულად, არც ფინანსურად, ჯამაგირს არავისაგან არ იღებდა, რაც არსებითად განასხვავებდა მის მდგომარეობას. აქედანვე გამომდინარეობდა მისი მუშაობის მეთოდი და აზრისა და მოქმედების თავისუფლება. ამდენადვე სინამდვილის ასახვის საკუთარი თვალსაზრისი და მეტად უშუალო, ყოველმხრივად შეუზღუდავი მჭიდრო დამოკიდებულება მუდმივ ავტორებთან და მკითხველებთან, რა პარტიასაც უნდა ჰკუთვნებოდნენ ისინი. ამდენადვე სარედაქციო მუშაობა მისთვის ერთგვარად გაადვილებული იყო კეთილმყოფელი დამოკიდებულებით ჟურნალთან დაახლოებულ თანამშრომლებთან თუ ეროვნული კულტურის სხვა მოღვაწეებთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჟურნალის რედაქტორი ბედნიერი იყო თუ კი აკაკის, ვაჟა-ფშაველას, აბაშელის, შანშიაშვილის, გ. ტაბიძის ლექსებს პირველი ბეჭდავდა. მაგრამ ცხადია, ჟურნალის არსებობა არ შეიძლებოდა მხოლოდ დიდი სახელის მქონე პოეტებსა და მწერლებზე ყოფილიყო დამოკიდებული და მხოლოდ მათი პუბლიკაციით დაკმაყოფილებულიყო. საშუალო ინტელიგენციის — მასიური მკითხველისათვის საჭირო იყო პოპულარულ ენაზე მეტყველება, რომლისთვისაც იქნებ ყოველთვის არ იყო გასაგები, მაგ., გალაკტიონის ყოველი ლექსი.

ჟურნალის ათი წელი დაემთხვა საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ლიტერატურულ მიმართულებათა და სტილთა

მორიგი დიდი გარდაქმნების პერიოდს და თუ ეს მართლაც იყო ლიტერატურული განვითარება, მან თავის ექსტაზში აიყოლია საზოგადოებრივი გემოვნება სიმბოლისტებისა და ფუტურისტების მანიფესტების დაპირისპირებით, მანამდე არსებულ თითქოს მოძველებულ ხელოვნებასთან, ხელოვნების ახალი მიზნებისა და ფორმების ძიებათა გზაზე. მაგრამ აქაც ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ „თეატრი და ცხოვრება“ რამდენადაც არა ყოფილა გარკვეული პოლიტიკური მიმართულების ორგანო, ასევე არც გარკვეულ ლიტერატურულ მიმართულებას გამოხატავდა. ეს მას საშუალებას აძლევდა თავის მუშაობასთან საზოგადოების ყველა ფენა დაეახლოვებინა, რაკი ჟურნალის ძირითადი მიზანი იყო ერთიანი სამშობლო — ერთიანი ხალხით, საერთო ეროვნული იდეალით, რომელიც ერთმანეთისაგან არ ანცალკევებდა გლეხის, მუშის, თავადის, ინტელიგენტის თუ ყოველგვარი პროფესიისა და რანგის ჯარისკაცის სამშობლოს.

ამიტომ იყო, რომ აკაკის მიმბაძველთა ბეჭდვასთან ერთად თუ განსაკუთრებული ყურადღებით ჟურნალი გალაკტიონის ყოველ ლექსს ხვდებოდა როგორც გამორჩეულ მოვლენას, ამითვე ნაგრძნობი იყო, რომ პოეზიაში მოდიოდა ახალი სიტყვის დრო და შემთხვევითი არც ის იყო, რომ იოსებ იმედაშვილმა ჯერ კიდევ „არტისტული ყვავილების“ დაბეჭდვამდე გალაკტიონ ტაბიძეს უწოდა „ჩვენ გრძნობათა თეთრი მეფე“, რომლის პოეტურ სიტყვას იგი ადარებდა „მთის მწვერვალზე გამოჩენილ პირველ სხივებს“ (1920, 29, II, № 8). ამასთან დაკავშირებით ეხლა გასახსენებელია იოსებ იმედაშვილის წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილზე გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ჩვენს მწერლობას ჯერაც არ მოვლენია მისებრ სამშობლოს სევდით, მსოფლიოს ვაებით გამსჭვალული ქართველი მგოსანი... თუმცა იქვე იმედს არ კარგავდა — დიდ წინაპარს ღირსეული მემკვიდრე არ გაუჩნდეს, არ გვჯერა, შეიძლება გვიან, მაგრამ მაინც გაჩნდებაო“ (1916, 20 გიორგობისთვე, № 47). ამდენადვე საყურადღებო იყო ავტორის ის შენიშვნაც, რომ „გალაკტიონი თუმცა უკვე სახელმოხვეჭილი მგოსანია, მაგრამ მას თავისი საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვამსო“ (1920, № 8).

თქმა არ უნდა, გალაკტიონის „თეთრ მეფედ“ გამოცხადება იმის აღიარება იყო, რომ მას თანამედროვე ქართულ პოეზიაში პირველი ადგილი ეკუთვნებოდა, რაც შემდგომად უფრო გარკვევით პირად საუბარში ხშირად უთქვამს იმ აზრითაც, რომ თუ თანამედროვე ქართველ პოეტებს აკაკის, ილიას, ვაჟას მიმდევართა რიგში აყენებენ, გალაკტიონი ბარათაშვილისაგან მოდისო. მსგავსი პოეტური დაპირისპირებანი სხვა სახელებითა და მასშტაბით ადრეეც იყო გამჟღავნებული სილოვან ხუნდაძის „კრიტიული შეცთომების“ სერიაში, რო-

მელიც „თეატრი და ცხოვრებაში“ იბეჭდებოდა (1916, №№ 45, 46, 47, 48). წერილში „გენიოსები და მეფეები“ იგი იმას უჩიოდა, რომ ჩვენში უხვად არიგებენ გენიოსების ტიტულებსაო. გენიოსი მართლაც გვყავდა — რუსთაველი, და თუ მაინცა და მაინც მას უნდა მიემატოს აკაკი და ილია და შემდეგ ვაჟაც, ეს უსაფუძვლოა... თუ მაინც აკაკისა და ილიას შორის არჩევანს მოვახდენთ, მართალია ილიამ თავის „ივერიაში“ ბევრჯერ უსამართლოდ მაწყეინა, მაგრამ მეფობის ტახტის ღირსად მაინც ის მიმაჩნია და არა აკაკიო (№ 46). მისი დასაბუთებით, ილიას გრძნობა ბევრად ღრმაა, ვიდრე აკაკისა (№ 48)... აკაკი XIX საუკუნის შოთა რუსთაველიაო, — თქვეს მის დაკრძალვაზე, — უსაფუძვლო ნათქვამია. შოთა ღრმა აზრებითა და ძლიერი გრძნობით არის შესანიშნავი და ამ მხრით ილია უფრო ახლოს დგას შოთასთან, ვიდრე აკაკი... ილია თავისი პოემებით არის სახელოვანი, რითაც უფრო უახლოვდება რუსთაველს... ილია აკაკის ვერ შეედრება ლირიკული წერილი ლექსებით... მისი დასკვნით, რუსთაველობა არავის ეკუთვნის და თუ მაინც ჩვენი დროის „რუსთველობაში“ არჩევანი უნდა მოვახდინოთ, შოთას შემდეგ მეორე ადგილი „უსაცილოთ ნიკოლოზ ბარათაშვილს ეკუთვნის, მესამე ილიას“.

პოეტურ დაპირისპირებათა ასეთ ფონზე იმედაშვილი, აცხადებდა რა გალაკტიონ ტაბიძეს „თეთრ მეფედ“, ამითვე შესამჩნევად გამოჰყოფდა მაშინდელი პოეტების წრეში განსაკუთრებული პოეტური მისიით და ამდენადვე ამჟღავნებდა სხვების მიმართ თავდაჭერილ განწყობილებას, ასევე ყალბად გაგებულ სიმბოლისტებთან, რომელთაც ქართული ლექსის ახალ მესიტყვეთა პრეტენზია ჰქონდათ. გარკვეულად შეეშვებული დამოკიდებულება გამოხატულია ა. ჭელიძის მეტად თამამ წერილში „ცინიზმი პოეზიაში“ (1920, 14, III, № 10, გვ. 13—14), რომელშიაც ჟურნალ „მშვილდოსანის“ 1920 წლის მეორე-მესამე ნომრის რამდენიმე ლექსია განხილული, „თეატრი და ცხოვრებასთვის“ დამახასიათებელი პრინციპით, რომ „ხელოვანს ნება აქვს რაზედაც უნდა სწეროს, რაც უნდა ისა სთქვას, ხელოვანისათვის ოცნება და სინამდვილე, ავი და კარგი, ცა და დედამიწა, ერთი და იგივე ხელწამოსაკრავი მასალაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხელოვანი მარტო თავის ჟინის მოსაკლავად არა სწერს, რომ შემდეგ დაუფიქრებლად საზოგადოებისკენ გადმოისროლოს. მისი ნაწარმოები უსათუოდ საზოგადოა, რომლის საწონ-საზომიც იქნება გამოჭრილ-გამოანგარიშებული. ავტორი იხილავს პირველ ლექსს „ამორძალი ლონდა“, რომელიც თავისი ცინიზმით ტონს აძლევს „მშვილდოსანის“ მთელ პოეზიას, ისე, რომ დანარჩენი ლექსებიც მისი გამოძახილია. ისინი „ყველანი ერთნაირად აზროვნებენ, ერთნაირად სწერენ და ზოგჯერ თავისი ნაწერით ისეთ სურათს ხატავენ, რომ ჩვენ იძულებული

ვხდებით თვალებზე ხელი მივიფაროთო. ამის სანიმუშოდ ავტორს მოჰყავს „ქერა ლონდას ნათქვამი“:

„მე მსურს შემირთოს ალექსანდრემ თუ გინდ ერთი დღით,
მიხმოს თავად მან,
გესმით ქალებო: უნდა გავხდე მისგან ორსული...“

ავტორის შენიშვნით, ალექსანდრეზე შეყვარებული ქალი ამდენად ტლანქი გემოვნების არ შეიძლება ყოფილიყო, რომ თავის ორსულობაზე ეფიქროს...

მსგავსი ცინიზმის ნიმუშებს წარმოადგენენ სხვებიც:

„მენატრება დაგინახოთ თქვენ სარეცელზე,
აწლილ ლოგინზე ურცხვი ხელით გატიტვლებული...“

ან კიდევ სხვა:

„მხურვალე კოცნით ამოგიშრობ ოფლიან ღლიაეს,
და ჩემს სიცოცხლეს ცოდვილს, ნამრუშევს,
გაუთხრი საფლავს მე თვითონ თავათ“.

ასეთ ცინიზმამდე, ავტორის შენიშვნით ჰეშმარიტი პოეტისათვის შეუძლებელია მისვლა და ბოლოს საინტერესოდ ასკვნის იმის შესახებ, რომ „საუბედუროდ საფუძვლიანი კრიტიკისათვის ჩვენში ჯერ ვერავინ მოიცალა, არა მგონია საამისო შნო არავის ჰქონდესო“.

ამ წერილის ავტორი ამბაკო ჭელიძეა, რომელმაც მწერლობა „თეატრი და ცხოვრებას“ ფურცლებზე დაიწყო ლექსებით, შემდეგ სპარსულიდან თარგმანებზე გადავიდა და ვიდრე სპარსეთში წავიდოდა, ბეჭდავდა უმთავრესად ომარ ხაიამის რუბაიებს, შემდგომ თეირანში ხანგრძლივად ყოფნისას, კარგად ისწავლა სპარსული ენა, აგრეთვე ფერეიდანის ქართველთა ცხოვრება, თბილისში დაბრუნებულმა ზედმიყოლებით დაბეჭდა სპარსული ლირიკისა და ეპოსის მონოგრაფიული თარგმანები და წიგნი ფერეიდანის ქართველებზე.

ჟურნალის თანამშრომლებად ჩამოყალიბებული მწერლები, პოეტები თუ კრიტიკოსები ბევრნი იყვნენ, არა ერთი იყო მამაჩემთან დაახლოებული და მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თამარ გოგოლაშვილი, რომელიც ახალგაზრდობაში არტისტობდა, მშვენიერი საჯარო სიტყვით გამოვიდა „სამშობლოს“ გმირთა გასამართლებაზე (1910, 21, II), მერე თეატრალურ რეცენზიებს წერდა, გერმანიაში წასვლის შემდეგ კი ჟურნალს სისტემატურად უგზავნიდა კრიტიკულ წერილებს, ნარკვევებს და ჩამოყალიბდა როგორც ხელოვნებათმცოდნე. ეს ის თამარ გოგოლაშვილია, რომელიც შემდგომ ბუენოს აირესში დაემკვიდრა და დაბეჭდა მონოგრაფიული გამოკვლევანი ქართველი ქალის ისტორიის საკითხებზე — „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ და „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამ“. ამ შრომებსაც ახასიათებთ პირველწყაროების ცოდნა, ორიგინა-

ლური ასპექტები საკითხთა კვლევაში და ცეცხლოვანი სტილი, შინაგანი ექსტაზი, ყოველივე ის, რითაც ადრევე ხასიათდებოდნენ მისი კრიტიკული წერილები და რომელთა ერთ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ „ბაიეროიტის თეთრი დედოფალი“ ცნობილი ვაგნერის თეატრის ტრადიციების აღდგენის შესახებ (1923, 30, XI, № 16).

საერთოდ კი, 1910 წლიდან, ზაქარია ჭიჭინაძით დაწყებული, „თეატრი და ცხოვრებაში“ ყოველი რანგის კრიტიკოსი თუ რეცენზენტი მონაწილეობდა, რომელთა უმეტესობა ჟურნალის გეგმით წერდა ლიტერატურულ-თეატრალურ რეცენზიებს, კრიტიკულ შენიშვნებს, მიმოხილვებს, ნარკვევებს. ამ სფეროში თავიდანვე მისი თანამშრომლები იყვნენ — აკაკი, ალ. ახმეტელი, ივ. გომართელი, პავლე დადვაძე, შალვა დადიანი, ეკ. მესხი, ლევან მეტრეველი, ტიციან ტაბიძე. უფრო მეტი იყო სუფთა თეატრალურ კრიტიკასა და რეცენზიაში მომუშავე — ვასო აბაშიძე, ალ. ახმეტელი, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, გ. ახალციხელი, კ. ანდრონიკაშვილი, ილია ბახტაძე, განდეგილი, პართენ გოთუა, გ. თუმანიშვილი, ა. თუთაევი, აკ. პლეხანოვშვილი, ა. იუჟინი-სუმბათაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ვალ. შალიკაშვილი, ნ. შიუკაშვილი, გიორგი ჯაბადარი. ამასთან ერთად ცოტა არ იყო ფსევდონიმს ამოფარებული თეატრალი — ზანგი, კლირა, კორდელი, ლიუციფერი, მიმჭრალი, მერცხალი, ნარვილი, ნარი, დრ. პარიზელი, სოგოლი, ცისკარი, რომელნიც გახსნას საჭიროებენ.

1910 წლის „თეატრი და ცხოვრებაში“ თემატური სიახლით საყურადღებო იყო პ. დადვაძის სერია წერილებისა „დასავლეთ-ევროპულ მოდერნიზმის ძირითადი მოტივები“, „მორის მეტერლინკი და თეატრი“ (№ 10), აგრეთვე სოგოლის „იაპონური თეატრი და ხელოვნება (№ 34), რომელნიც საკმაოდ გამოირჩეოდნენ ჩვეულებრივი ადგილობრივი ლიტერატურული პროდუქციისაგან შინაარსითაცა და სტილითაც.

1914 წლიდან განახლებულ ჟურნალს მოევლინენ პოეტების, მწერლების, კრიტიკოსების, პუბლიცისტების, მემუარისტების, რეცენზენტების ახალი, ან მივიწყებული სახელები, რომელთა უმეტესობა გაჰყვა მწერლობას.

ახალ სერიებში მასალის სიუხვითა და მნიშვნელობით განსაკუთრებით საყურადღებო იყო სოფრომ მგალობლიშვილის ნარკვევები საერთო სათაურით: „ქართველ მწერალთა წერილები“, რომელთა ბეჭდვა დაიწყო 1914 წლის 23 მარტიდან (№ 3) — სანდრო ყაზბეგზე, იოსებ დავითაშვილზე, გიორგი წერეთელზე, დიმიტრი ყიფიანზე, ილია ჭავჭავაძეზე, პეტრე უმიკაშვილზე. მათი ბიოგრაფიების შემოქმედებითად განხილვას მანამდე უცნობი დოკუმენტების, კერძო წერილების, მოგონებების, ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობებით პირველწყაროთა მნიშვნელობა ენიჭება. ამავე მიზნებს ემსახურებოდა იოსებ

არიმათიელის ფსევდონიმით იმედაშვილის წერილების სერია „ჩვენი ქვეყნის მოღვაწენი“, რომლებშიაც განხილულია ცხოვრება და შემოქმედება ეგნატე ნინოშვილის, ანტონ ფურცელაძის, დიმიტრი ბაქრაძის, პლატონ იოსელიანის, არჩილ ჯორჯაძის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, სოფრომ მგალობლიშვილის, კოტე მესხის, ნიკო ლომოურის, მელიტონ გობეჩიას, ჭოლა ლომთათიძის, ნიკო სულხანიშვილის, თედო ჟორდანიას, იასე რაჭველის, ზაქარია ჭიჭინაძის, მოსე ჯანაშვილის, ვლადიმერ მესხიშვილის, გრიგოლ ჩხიკვაძის, გიორგი ჯაბადარის, ია კარგარეთელის, ხარლამპი სავანელის, შიო არაგვისპირელის. შიო მღვიმელის, ლადო აღნიაშვილის, ია ეკალაძის, პოლიო ირეთელის, ივანე როსტომაშვილის და სხვათა.

ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე მნიშვნელოვანი იყო აკაკი ფაღავას „ქართული ხელოვნებისათვის“ (1914, 16 გიორგობისთვე, № 37), ი. მარალიძის „მუსიკა და ქართველი მუსიკოსნი“ (1914, 25, V, № 12), ზაქარია ჩხიკვაძის „სიმართლე ფილარმონიულ საზოგადოების დაარსების შესახებ“ (1914, 22, VI, № 16), მისივე „ვინ დააარსა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი“ (1914, 13, VII, № 19), თომა მაღაროელის „ქართული საერო და საეკლესიო გუნდები“ (1915, 26, IV, № 17), მოსე თოიძის „ქართული პლასტიკური ხელოვნება“ (1914, 13, VII, № 19), ვახტანგ კოტეტიშვილის „სიმახინჯე, როგორც სახე მე-XIX-ე საუკუნის ქართველისა დღევანდლამდე“ (1914, 24, VIII, № 25) და წერილები ქართული მწერლობის საკითხებზე.

ეროვნული იდეალების გამოხატვის თვალსაზრისით, საყურადღებო იყო ხელოვნების ზოგად საკითხებზე ალ. წერეთლის „რას უქადის ხელოვნებას მომავალი“ (1914, 3, VIII, № 22), ნიკოლოზ მიწიშვილის „ლ. ანდრეევი და თეატრი მომავლისა“ (1914, 3, VIII, 22—28). აგრეთვე სპეციალური წერილები მსოფლიო კულტურის, მწერლობის, ხელოვნების ცნობილ წარმომადგენელთა ცხოვრება-შემოქმედებაზე. რომელთა პუბლიკაცია ეროვნული თვითშეგნების იდეალებით ეხმაურებოდა ქართულ სინამდვილეს. უფრო სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები და ნარკვევები ქართული მწერლობის, დრამატურგიის თეატრის საკითხებზე ალ. ახმეტელის, შალვა დადიანის, ნ. შიუკაშვილის, ვახტანგ გარიყის, მიხეილ კიაზოშვილისა, სწავლა-აღზრდის საკითხებზე ანნა ვართაგავასი, ქართული ისტორიის საკითხებზე მოსე ჯანაშვილისა, სპეციალური ნარკვევი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე „ღამის მგოსანი“ მიხ. აბრამიშვილისა (1915, № 29), იასე რაჭველის წერილი „ქართველობა და ერთა სოლიდარობა“ (1915, 26, VII, № 30) და მისივე წერილები საქართველოსა და ოსმალეთის ურთიერთობაზე. განსაკუთრებით საინტერესო წერილი იოსებ ყიფშიძისა „ცოტა რამ ჩვენი თანამოძმე ჰანების შესახებ“ (1915, 28, VI, № 26).

აჭარა და ეროვნული კონსოლიდაცია

ქართველი ერის ცხოვრებაში ერთ დიდად მტკივნეულ საკითხს მაჰმადიანი ქართველების დედა საქართველოსთან ერთგვარად შეზღუდული ერთობა-ურთიერთობა წარმოადგენდა. საქართველოსაგან აჭარის გათიშვის ვერაგულ პოლიტიკას საგანგებო ზომების მიღებით როგორც თურქეთის, აგრეთვე ცარისტული რუსეთის დამმონავებელი გეგმის მიხედვით განუხრელად ანხორციელებდნენ. მოძმე ქართველ ტომთა შორის ისინი ხელოვნურად ქმნიდნენ უნდობლობის ატმოსფეროს, იმის მტკიცებითაც, თითქოს აჭარლები ქართველები არ არიან, რასაც საფუძვლად უდებდნენ რელიგიური ფანატიზმის უსუსურობას ეროვნულ თვითშეგნებასთან დაპირისპირებაში. საქართველო-აჭარის შეეჯვებულ დამოკიდებულებაში სასურველი გარდატეხა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსეთ-ოსმალეთის ომმა შეიტანა, რომელმაც გამოაძერწა თვით აჭარის მოსახლეობის მისწრაფება ქართველ ერთან ყოფილიყო ყოველგვარ ჭირსა და ლხინში დაკავშირებული. რასაკვირველია აჭარაშიც მოიპოვებოდნენ და თანდათან მრაელდებოდნენ პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებანი აჭარელ ბეგებსა თუ გლეხობაში, რომელნიც გადამწყვეტ შემთხვევაში ქართველად ყოფნას რჩეობდნენ და უდრტვინველად სწირავდნენ პირად კეთილდღეობას, ყოველგვარ პრივილეგიებს, რაც მათ თურქობისათვის მინიჭებული ჰქონდათ, ან ექნებოდათ. აჭარელთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის ტყუილად არ ჩაუვლია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ზაქარია ჭიჭინაძის თუ მოწინავე აჭარელ მოღვაწეთა მოწოდებებსა და ცდებს აჭარაში ქართული იდეის დანერგვისათვის. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პირველი მსოფლიო ომით შექმნილ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში მეფის რუსეთის მთავრობა დაპყრობილ ქვეშევრდომ ერებთან დამოკიდებულებაში ყოველგვარი ეროვნული მოძრაობის დევნა-ჩახშობის ნაცვლად ერთბაშად დაადგა მომთმენი, დამყვავებელი და მორიგების პოლიტიკას. ჩვენში ეს მით უმეტეს შესამჩნევი გახდა ოსმალეთთან მოსალოდნელი შეჯახების სამზადისში საქართველოს და საერთოდაც კავკასიის ხალხებში საომარი განწყობილების შექმნისა და მობილიზაციის წარმატებით ჩატარებისათვის. რის გამოც უკვე შესამჩნევ თავისუფლებას ანიჭებდა ეროვნული მოძრაობის გამოხატულებას, ისე, რომ ცენზურა პრესას აღარ ზღუდავდა ნაციონალური სულისკვეთების გამომჟღავნებაში. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ საჭიროდ ცნო ეროვნული და ჰუმანისტური იდეალების პოპულარიზაციაც, ოფიციალურ გამოცემებშიც, რომლის ერთ ნიმუშს წარმოადგენს რუსულ ენაზე საგანგებო დიდი კრებულის „სამშობლოს“ („Отечество“) გამოცემა, რომელშიაც ქართული მწერლობის ნიმუშებიცაა მოთავსებული.

ცენზურის ასეთი შეღავათით რუსეთში მომწყვდეულმა მცირერიცხოვანმა ერებმა არ დაახანეს დროით ესარგებლათ და საქართველოშიც ამოქმედდნენ სხვადასხვა ეროვნული დაწესებულებანი ნაციონალური იდეოლოგიის საკითხების პოპულარიზაციისათვის, პირველ რიგში კი ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, ეროვნული თეატრები და კლუბები. ამ პირობებში ქართველებისათვის აჭარის „დაბრუნება“ დღიურ საკითხად იქცა და იოსებ იმედაშვილმა გამაჰმადიანებული აჭარის ქართველების საქართველოსთან ეროვნული და პოლიტიკური ერთობის აღდგენა-განმტკიცების საქმიანობის გაშუქებას „თეატრი და ცხოვრებას“ სპეციალური ნომერი მიუძღვნა სათაურით „ქართველ მაჰმადიანთა ნომერი“ (1915, 28, VI, № 26). მეთაურში რედაქტორი იმ აზრს ავითარებდა, რომ სარწმუნოებით მაჰმადის მიმდევარი ქართველნი ეროვნულად მაინც არ ჩამკვდარან და ისინი საქართველოსაკენ იწევენ, სულმა სული იცნოო. ასეთ მსჯელობათა საფუძველი იყო პირადი შთაბეჭდილებანი, რამდენადაც მას მოვლილი ჰქონდა აჭარა და დამეგობრებული იყო ქართველოფილურად განწყობილ აჭარის ინტელიგენციისა თუ გლეხობის წარმომადგენლობასთან, მათ შორის ხოჯებთანაც კი. მისი აზრით, ქართველი ქრისტიანი და ქართველი მაჰმადიანი ეროვნული თვითშეგნებით დედა საქართველოს თანაბრად უწყვეტ ნაწილებს წარმოადგენდა. სარწმუნოებრივი განსხვავებულობა ხელს არ უნდა უშლიდეს ქართველ ტომთა ერთიანობას რა სარწმუნოებაც არ უნდა ასხვავებდეს მათ.

საქართველო-აჭარის ერთობის საფუძველი ის არის, რომ სისხლით, ჩამომავლობით, ენით, კულტურით, ისტორიით, ჰირით და ლხინით ერთნი ვართ განუყრელნი და მომავალიც ერთი უნდა გვქონდეს. მაგრამ თუ ზოგჯერ მაჰმადიანობა ჩრდილავდა ეროვნულ თვითშეგნებას, ეროვნება და სარწმუნოება თანაბრდებოდა, საბოლოოდ აჭარა მაინც გადარჩა ეროვნული გადაგვარების ამ დიდ საფრთხეს. დღესაც ყურში უწივის ყოველ ქრისტიან ქართველს თავისი მაჰმადიანი ქართველი ძმის სიტყვა — აღა კაიკაციშვილმა თავისი გულის ნადები გვითხრა — შავ დროთა წყალობით თქვენგან მოწყვეტილი ვართ, ხელი გამოგვიწოდეთ, გვიშველეთო..

აჭარელთა გულიდან ამოხეთქილი ეს მოწოდება იმ რწმენის გამოხატულება იყო, რომ აჭარის მომავალი ბედი და კეთილდღეობა მხოლოდ დედა საქართველოსთან შეკავშირებით უნდა გადაწყვეტილიყო და მთელი საქართველო აღსდგა აჭარელთა დასახმარებლად.... აჭარლები ველარ მოტყუვდებოდნენ გათურქების სანაცვლოდ მინიჭებული პრივილეგიებით, რასაც ბუნებრივად მოჰყვებოდა მათი ეროვნული დეგრადაცია. ეროვნულმა თვითშეგნების გრძნობამ მაინც გადაარჩინა საქართველოს ეს მშვენიერი მხარე და მოსახლეობა გათურქების

დიდ საფრთხეს. ქართველი ქრისტიანისა და ქართველი მაჰმადიანის ეროვნულ ერთობას რელიგიური განსხვავებულობა ვეღარ გათიშავდა.

აჭარელთა გამაჰმადიანების ისტორიის შესწავლის, მათი ეროვნული გათვითცნობიერებისა და ქართველობასთან ერთობის პროპაგანდის საქმეში შესამჩნევი ღვაწლი მიუძღვის ზაქარია ჭიჭინაძეს უამრავი ნარკვევების გამოქვეყნებითა თუ პრაქტიკული მოღვაწეობით. მის მიერ 1889 წელს დაწყებულ მოგზაურობას აჭარის სოფლებში ბოლო ხანებში იოსებ იმედაშვილი შეუერთდა. იგი აჭარა-საქართველოს ერთობის მქადაგებელთა ისტორიას პლ. იოსელიანისა და დიმ. ბაქრაძისაგან იწყებს, რომლის გზას აჭარის შესწავლაში შემდეგ მიჰყვნენ გიორგი ყაზბეგი, ნიკო ნიკოლაძე, პეტრე უმიკაშვილი, ილია ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ვ. გუნია, აკაკი წერეთელი, თედო სახოკია, ვინმე მესხი, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო მარი, ალ. ყიფშიძე, ილია ფერაძე, სამსონ ფირცხალავა. თვით აჭარელთაგან — გულო ალა კაიკაცაშვილი, აბდულ ეფენდი მიქელაძე, მემედ ბეგ აბაშიძე, ჰაიდარ ბეგ აბაშიძე, ჰუსეინ ბეგ ჯაში. უცხოელთაგან — შეიცარიელი სწავლული ედუარდ ლიოზენი, რომელიც თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ფრანგულ ენას ასწავლიდა. მას სპეციალურად უმოგზაურია ლაზეთში, ფოტოგრაფიული სურათები გადაუღია და აჭარა-ლაზეთის შესახებ თავისი წიგნიც გამოუცია. აჭარის სოფლებში უმოგზაურიათ გრაფ უვაროვს, ზაგორსკის, ვეიდენბაუმს.

ქართული ჟურნალ-გაზეთები დიდი გულისყურით ასახავდნენ აჭარის ირგვლივ ყოველი ღონისძიების სიახლესა და მისი განხორციელების ვითარებას. ისტორიული ძნელბედობით განსაზღვრული ქართველი ერის არსებობის ტრაგიზმის მთავარი უბედურება, იმედაშვილის შენიშვნით, ჩვენი ეროვნული მთლიანობის დარღვევა იყო: „ერთი ნაწილი ოსმალომ მოგვწყვიტა, რამდენიმე ასი ათასი ქართველობა სპარსელებმა გადირეკეს“, მაგრამ ხსნას იმაშიც ხედავდა, რომ „რაც უფრო სასტიკია შევიწროვება, დაე მით უფრო მტკიცე იყოს წინააღმდეგობა სამშობლო მიწა-წყალზე დასადგომად, თვისი ეროვნული ვინაობისა და ენის შესანარჩუნებლად და განსაძლიერებლად“ (სულმა სული იცნო, 1915 წელი, № 26). ამის საუცხოო მაგალითია ქართველი მაჰმადიანის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის გმირულ-პატრიოტული ბიოგრაფია, კერძოდ, მისი ჰეშმარიტად მამულიშვილური საქციელი ერის ისტორიის საბედისწერო ჟამს. იგი თავს გრძნობდა მხოლოდ ქართველად, ტომით, სისხლით, ჩამომავლობით ქართველი იყო და მისი გულითადი სურვილი იყო ქართველი მაჰმადიანები დანარჩენ ქართველებს შეერთებოდნენ. ის იყო ბეგი, კარგი აღგილ-მამულის, სახლ-კარის, დიდი სიმდიდრის პატრონი და დიდად პატივცემული

ოსმალოებმა. ბაგრამ ვერც პატივმა, სიმდიდრემ, პიროვნულმა ჯაბრუნველყოფამ და დიდებამ ვერ დააკმაყოფილეს შერიფ-ბეგს თავისი დედა სამშობლო საქართველო, რომლის სევ-ბედთან დაკავშირებული იყო მისი დღევანდელი აჭარის სევ-ბედიც... ამიტომ იყო, რომ პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე — 1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, როდესაც აჭარის ორიენტაციის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, იგი გადაჭრით რუსეთის მხარეზე დადგა. აჭარლებიც აყოლია, ამ განსაცდელის ჟამს თავისი ბედი ისევ დედა საქართველოს დაუკავშირა და ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოდა. მისი ღვაწლი საქართველოსთან აჭარის გაერთიანების საქმეში დაუვიწყარია და საბალითო მთარმავლობის ხსოვნაში ყოველი აჭარელისათვის.

რასაკვირველია ამ გზას გაჰყვა აჭარის ეროვნულად გათვითცნობიერებული მოსახლეობა, რომელსაც არ აკლდნენ თვით აჭარელთა ფენებში ქართული იდეის მჭადაგებელნი მჭიდროდ დაკავშირებულნი ქართველ მოწინავე ინტელიგენციასთან.

ქართველი საზოგადოება დიდი სიხარულითა და ზეიმით შეხვდა 1916 წლის 3 მარტს ბათუმის ოლქიდან 20 კაცისაგან შემდგარ ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაციის ჩამოსვლას თბილისში, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ქობულეთიდან — 1. ისკანდერ ეფენდი ციავაძე ხოჯა, 2. რეჯებ ბეგ ნიქარაძე, 3. ვ. ყემბერ აღა ხარაზი, 4. რეჯებ ეფენდი შაშინ. მარადიდიდან: 5. ისაკ ეფენდი ხალვაში, 6. ჰაიდარ ბეგ ბიბინ ზაადე. ზედა აჭარიდან: 7. თემურ ბეგ ხიმშიაშვილი, 8. ჰასან აღა ირემაძე, 9. ჯაფარ აღა მიქელაძე. ქვემო აჭარიდან: 10. ჰუსეინ ბეგ ბეჟანიძე, 11. ზაქარია ბეგ შარვაშიძე, 12. შუქრი ეფენდი თურმანიძე. შავშეთ-იმერხევიდან: 13. მან ეფენდი ყურდიკიძე, 14. თორუმ ეფენდი ფანჯიძე, 15. ჰეზმი ეფენდი ყუმაძე, 16. შევქეთ ბეგ გოგორაძე, 17. ასლან აღა ჯიჯარაძე, 18. ჰაჯი შაქრი ეფენდი ჩხეიძე, 19. მოლლა ჰამედ დოლიძე. არტანუჯიდან: 20. შერიფ აღა გეგელიძე.

„აჭარელთა დეპუტაცია მეფის ნაცვალს შემდეგი თხოვნით წარუდგა: 1. დაბრუნების ნება მიეცეთ შიშიანობის დროს ოსმალეთში გადახვეწილ მაჰმადიან ქართველებს, 2. დაბრუნებულ იქმნენ თავიანთ სამშობლოში მართებლობისაგან გადასახლებულნი, 3. მაჰმადიან ქართველთა მიწა-წყალი არ გაიცეს იჯარით მოსულ ხალხზე და დაცულ იქმნას მის პატრონთა დაბრუნებამდე, 4. სამართალში მიცემულ მაჰმადიან ქართველებს შეღავათი მიეცეთ.

ქართველთა საზოგადოებამ აჭარელთა წარმომადგენლობას „ახალი კლუბის“ დარბაზში დიდი ნადიმი გაუმართა, რომელსაც დაესწრნენ ქართული ჟურნალ-გაზეთების, ყოველი წოდებისა და ხელობის წარმომადგენელნი გენერალ გ. ყაზბეგის თამადობით, რომელმაც სამოც-

დაათიან წლებში თითქმის პირველმა გასდო ხიდი სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის. გ. ყაზბეგის გარდა ნადიმზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ მ. მაჩაბელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გრ. დიასამიძე, ი. მაჭავარიანი, გ. გვაზავა. აჭარელთაგან— რეჯებ ნიჟარაძე, ცივაძე, მამედ ბეგ აბაშიძე.

რეჯებ ბეგ ნიჟარაძემ თქვა: მოგვეცით სწავლა-განათლება და ოცდაათი წლის შემდეგ ჩვენც დაგეწევით, არაფერში არ ჩამოგრჩებითო. მემედ ბეგ აბაშიძემ — აჭარა ბედმა მოსწყვიტა საუკუნოებით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ თუ ეუცნაურებით, თუ დღეს საკმაოდ ვერ უცვნიხართ, — მოჰკიდეთ ხელი და ისევ თქვენთან ვიქნებითო“.

ამ ისტორიული ნადიმის დამსწრე იოსებ იმედაშვილის აღნიშვნით, ყველას თაიგული იყო მაჰმადიანი ქართველი ხოჯა ცივაძე, რომელმაც დაკვირვებული ქართული მამულიშვილური გრძნობით გამთბარი შინაარსიანი სადა სიტყვით დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა... „უზენაესის განგებით გათიშულნი ძმანი კვლავ ერთადა ვართ... და ეს უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს ერთობას... რაფიელ ერისთავი გვასწავლიდა: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“ — ერთია ჩვენი სამშობლოც და ურთიერთს საქმით დავეხმარნეთ მის აღსადგენადაო“ (იოსებ არიმათიელი, მაჰმადიან ქართველთა სტუმრობა თბილისში, 1916, 13 მარტი, № 11, გვ. 4—5).

ამის შემდეგ უფრო გახშირდა აჭარელთა შორის ქართული ღონისძიებანი, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობა თუ კერძო ინიციატივა. იოსებ იმედაშვილი უკვე აღნიშნავდა, რომ „დიდის ხნიდან დაქსაქსულნი ძმანი ძლივს ერთი კერის ირგვლივ — დედაქალაქის გარშემო ვიკრიბებით. გვეყო რაც უერთმანეთოდ, ერთიმეორისაგან გათიშულნი ვცხოვრობდით. ქართლ-კახეთი, იმერ-ამერი, გურია-სამეგრელო-აფხაზეთ-აჭარა, ჰანეთ-სვანეთი რომ ერთი დედმამისშვილნი ვართ განა ამას მტკიცება უნდა? შავ დროთაგან გაგარეულებულნი ქართველნი მაჰმადიანნი უკვე გვიბრუნდებიანო“ (ექიმი შტოკმანი, დროული ამბები — აფხაზები (1916, № 24, გვ. 15).

აჭარის გასაცნობად ჩასული ერთი ქართველი აღტაცებაში მოუყვანია ზემო აჭარელი მოხუცის მაჰმადიანი ქართველის ტკბილი ქართული ენით ლაპარაკს. მის საუბარში ისმოდა ისეთი სიტყვები, რომელნიც ვეფხისტყაოსანსა და სახარებაში გვხვდება, მეგონა, თუ მეთორმეტე საუკუნის ქართველი გაცოცხლებულა და მესაუბრებაო. ამასთან ერთად, ავტორი შენიშნავს, რომ „ქართველ მუსულმანთა უმრავლესობას უკვე შეგნებული აქვს ქართული სწავლა-ცოდნის საჭიროება“ და ქართველთა შორის წ. კ. გამ. საზოგადოებამ ქობულეთსა და ბათუმში უკვე გახსნა რამდენიმე სკოლა და აპირებენ ზემო აჭა-

რაშიაც გახსნანო (შენი ჩაქუჩი, ქართველ მუსულმანების შესახებ, 1916, 25 ენკენისთვე, № 39, გვ. 14—15).

ამრიგად, აჭარელთა თვითშეგნების გაღვივებას საქართველოსთან, მათი კავშირის შემდგომ განმტკიცებას ყველაზე მეტად ხელს უწყობდა სამაჰმადიანო საქართველოში ქართული სწავლა-განათლების თანდათანი დამკვიდრება, ქართული ენის, მწიგნობრობის, მწერლობის გავრცელება, ქართული სკოლებისა და თეატრების გამრავლება. ამ მხრივ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აჭარაში ქართული სკოლების გახსნას თვითონ აჭარლები მოითხოვდნენ. ქართული კულტურის აჭარაში დანერგვის წარმატების ღონისძიებებში მნიშვნელოვან საშუალებას ქართული გაზეთის გავრცელება წარმოადგენდა. თქმა არ უნდა ქართული განათლება აჭარაში აღადგენდა ეროვნული იდეით აზროვნებასაც, რისკენაც იყო მიმართული ქართველი საზოგადოების ღონისძიებანი და თითოეული აჭარელი კაცის ქართული განათლება იმდენად მისაბაძ მაგალითად იყო მიჩნეული, რომ „თეატრი და ცხოვრებამ“ როგორც იშვიათად სამაგალითო მოვლენა გამოაქვეყნა ქართველი მაჰმადიანის სულეიმან ეფენდი დიასამიძის პორტრეტი, იმის აღსანიშნავად, რომ იგი ბათუმის გიმნაზიის კურსდამთავრებული უმაღლესი განათლების მისაღებად უნივერსიტეტში მიდიოდა (1915, 12 ივლისი, № 28, გვ. 5).

ტყუილად ამტკიცებდნენ პანთურქისტები, რომ მაჰმადიანობა უკვე თურქულ ეროვნებას ნიშნავს, რომ სარწმუნოება ფარავს ეროვნებას და ამდენადვე აჭარლები თურქებს წარმოადგენენ. ამ უაზრობას იქნებ ცალკეული უვიცი აჭარლები იზიარებდნენ, მაგრამ აჭარლებმა თავისი საბედისწერო ისტორიული გამოცდის დროს დაამტკიცეს, რომ ისინი გადაჭრით დაადგნენ ეროვნული თვითშეგნებით ნაკარნახევ პოზიციას და არ გაჰყვნენ რელიგიური ფანატიზმის შემაცდუნებელ გზას. აჭარელთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაში დიდი მიღწევა იყო იმ აზრის თანდათანი დაფუძნება, რომ რელიგიური განსხვავებულობა მათ ეროვნულადაც არა თიშავს ქართველებისაგან, რომ მომმე ქრისტიანი ქართველები და მაჰმადიანი აჭარლები არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ამიტომაც იყო, რომ 1914 წელს დაწყებული მსოფლიო ომის დროს, როდესაც ოსმალთა ჯარი შავშეთ-იმერხევში შეიჭრა, ადგილობრივი მაჰმადიანები მხოლოდ ოსმალთა შთამომავლობისა ამ შემოსეულ ჯარს მიემხრნენ და შეუერთდნენ, იმერხევის თორმეტი სოფლის ქართველმა მაჰმადიანებმა კი, არა თუ არ შემოუშვეს თავის სოფლებში ოსმალნი, პირიქით მფარველობა გაუწიეს იმერხევში ქრისტიანობის ერთადერთ ბუდეს, სომეხთა სოფელს ფციყურს... მიუხედავად ოსმალთა და ნემეცთა მეცადინეობისა, იმერხევის ქართველი

მაჰმადიანები დარჩნენ რუსეთის და მეზობელი სომხების ერთგულნი. ამ მეზობელ სომეხთა დასაფარავად იმერხეველებმა შეადგინეს შეიარაღებული რაზმები და იცავდნენ მათ მძარცველთა თავდასხმებისაგან. რამდენჯერმე იარაღით ხელში წინ აღუდგნენ იმერხევის ქართველები ოსმალთა რაზმების შემოსევას. ერთხელ ოსმალთა რაზმებმა გამოუგზავნეს საკუთარი მოციქული იმერხეველებს და თხოვდნენ მიეცათ ნება ფციყურის სომხების გაძარცვისა. მაგრამ იმერხეველთა მოხუცებმა უპასუხეს: „მხოლოდ ჩვენს და ჩვენს ცოლშვილთა ლეშებზე შეგიძლიათ შეხვიდეთ ფციყურშიო“ ამრიგად, ოთხი თვის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მოელოდათ სიკვდილი და აოხრება, იმერხევის ქართველები იცავდნენ ფციყურს სანამ რუსის ჯარი იმერხევში შემოვიდოდა.

ამ წერილის სომეხი ავტორი დასძენს — შავშეთი ააოხრეს ოსმალებმა, მხოლოდ ფციყური ქართველ მაჰმადიანების მოუსყიდველობის და რაინდობის მეოხებით გადარჩა ოსმალთა ძალმომრეობას (ილ. თეზბიტელი, ქართველ მაჰმადიანთა კაცთმოყვარეობა, 1915, 12 ივლისი, № 28, გვ. 11).

აჭარელთა გათათრებისაგან ხსნისათვის ქართველებისა და აჭარლების შეერთებულ ღონისძიებას, მათ ძმურ ერთობას ბევრი მტერიც ჰყავდა, რომელსაც ყველა ადგილობრივი აჭარელიცა და ქართველიც ერთნაირად სძულდა და რომელიც ყოველნაირად ცდილობდა მათ დაშორებას, ერთმანეთზე გადაკიდებას, ერთმანეთის შეძულებას, ქართველ მუსულმანთა შორის ეროვნული თვითშეგნების აღმოფხვრას.

თურქების იმპერიალისტურ-დამპყრობელურ პოლიტიკაზე რომ აღარაფერი ითქვას, ცარისტული რუსეთის მოხელეებს მიაჩნდათ, რომ ქართველებისა და აჭარლების ერთობა უფრო საშიშია, ვიდრე თავისთავად ისლამიზმ-ფანატიზმიო... სიმართლის მოყვარულსა და ქველმოქმედებით განთქმულ რუს მღვდელს ერთი დიდი ნაკლი ესა ჰქონდა, რომ დათვრებოდა — ქართველობა არ უყვარდა — ბათუმი და ბათუმის ოლქი რუსებმა თავისი სისხლით აიღეს, ამ ქვეყანას კი ქართველები ეპატრონებიან — სამოქალაქო გამგეობაში ქართველებია, ვაჭართა და მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველებია, — ჩემი ნება რომ იყოს, ერთ ქართველს არ დავაყენებდი ბათუმშიო... თითოეული ასასი, თითოეული უბრალო აკაკი აკაკიევიჩი ტომით რუსი, თავისთავს ჩვენს ქვეყანაში კულტურის შემომტანად თვლის, ყოყოჩობს, ყოველივე ადგილობრივი სძულს... გასაოცარ მოვლენად ჩასათვლელია ის გარემოება, რომ ქართველებს აკრძალული აქვთ მიწის ყიდვა და აგარაკის შეძენა ციხისძირში და მწვანე კონცხზე... იმ ციხის ძირში, რომლის ფერდობებზე 1876—1878 წლებში მრავალი ქართველი გაწყდა... ალბათ, არიან ისეთი გვამები, რომელთაც საქარ-

თელო უყვართ ამ პირობით, თუ მის მიწა-წყალზე ქართველები აღარ იქნებიან“ (ქართველ მუსულმანების შესახებ, 1916, 12 ივნისი, № 24, გვ. 14—15).

„ასე იყო ძველად, რევოლუციამდე... ბეჩავი ქართველი ხალხი რუსეთის მეფის გათახსირებულ მოხელეთა საწველ ფურად გადაქცეულიყო... აი, შავბნელ დროთა წყალობით დაწინწკლული, დანაწილებული საქართველო ძლივს ერთობის გზას დაადგა — ძველი მესხეთი, შოთას სამშობლო, დღეს მუსულმანი საქართველო, ქართველი მუსულმანები, ჩვენი ძმანი აჭარელ-ქობულეთელნი ძლივს მშობლის მკერდს დაუბრუნდნენ“ (ისტორიული გზით, 1918, 11 მარტი, № 5, გვ. 2—3).

ამრიგად, ქართველთა და აჭარელთა ერთობის მოძულეთა მეცადინეობის მიუხედავად, აჭარელთა საქართველოში „დაბრუნება“ სინამდვილედ იქცა და ქართველი საზოგადოებისა და თვით აჭარელ თავკაცთა გულმოდგინე ღვაწლით ეს ფორმალურადაც განხორციელდა „მუსლიმან საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტის და ქართველ მუსულმანთა წარმომადგენლების ყრილობაზე“ 1920 წლის 5 ენკენისთვეს მამედ ბეგ აბაშიძის თავჯდომარეობით. ამ ყრილობამ საგანგებო დელეგაციის წარგზავნით აცნობა საქართველოს — მიგვიღეთ, ღვთისა და კაცობრიობის წინაშე ვაღიარებთ, რომ სისხლით, ხორცით და სულით თქვენი ძმები ვართ, თქვენთან სიცოცხლე, თქვენთან სიკვდილიო.

ამ საქმეს დიდი ამაგი დასდევს მამედ ბეგ აბაშიძესთან ერთად ჰაიდარ ბეგ აბაშიძემ, რეჯებ ბეგ ნუაროძემ, ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილმა, ხოჯა ეფენდი ციკაძემ და სხვებმა. ამის გამო იოსებ იმედაშვილი აღნიშნავდა: „ჩვენ ორი განდგომილი ძმანი ვიყავით, ერთი ოსმალეთისაკენ, მეორე რუსეთისაკენ. განვლილმა დროებამ დაგვიმტკიცა თუ რაოდენ მავნებელი იყო ურთიერთისაგან განდგომა... საქართველოს წყლულები ნელნელ უმთელდება. საქართველომ უკვე დაამსხვრია მონობის ბორკილი, დაე ოთარბეგებიც გამოფხიზლდნენ და თავისი წინანდელი დანაშაული ამიერიდან სამშობლო საქართველოს ერთგული სამსახურით გამოისყიდონ“ (იოსებ არიმათიელი, დაბრუნებული ძმა, 1919. 14. IX, № 10).

იოსებ იმედაშვილის თაობა მოესწრო აჭარის საქართველოსთან ყოველმხრივ გაერთიანებას — გათურქების საფრთხე, რელიგიური ფანატიზმი წარსულს ჩაბარდა. ოდესღაც „მაჰმადიანი ქართველის“ ფსევდონიმით ჰაიდარ ბეგ აბაშიძე წერილში „ქრისტიან ქართველებს“ (გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1913, № 3) აჭარელთა ეროვნული დეგრადაციის საშიშროებას ჩიოდა და ქართველობას შესთხოვდა — ჩვენ ქართველები ვართ, გვიპატრონეთ როგორც ძმებს, წაგვიძეხით წინ, გვასწავლეთ წერა-კითხვა, ამოგვიყენეთ თქვენ გვერდით, ჩვენი ჩა-

მორჩენა თქვენთვისაც მავნებელია, ჩვენი უმეცრება, როგორც ჩვენი ისე თქვენი სირცხვილია, რადგან ჩვენ ერთნი ვართო.

მსგავსი მოწოდებანი უკვე სინამდვილედ იქცა — გაქართველებული აჭარის წინსვლამ გადააჭარბა ყოველგვარ სასიკეთო წადილს და იმედაშვილმა კიდევ ერთხელ შემოიარა მთელი აჭარა... გაოცებულმა აჭარაში მანამდე წარმოუდგენელი მასშტაბის მშენებლობით, კულტურით, ეკონომიური წარმატებით, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებით თავისი აღფრთოვანება გამოხატა ვრცელ ნარკვევში „განახლებული აჭარა“ — ირგვლივ ქართული სკოლები, თეატრები, მუზეუმები, ქართული წიგნი, გაზეთი, აჭარელი ინტელიგენცია — პედაგოგები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკნი, პოეტები, მწერლები, მხატვრები. რამდენს მეტყველებს აჭარელთა გათვითცნობიერებაზე თუნდაც ის ფაქტი, რომ ხახაძირში ყოფილი ჯამე (მაჰმადიანთა სალოცავი) ხალხს ორსართულიან საავადმყოფოდ გადაუკეთებია... ყოველივე ამის შემდეგ ისტორიას უკან ვეღარ დააბრუნებენო...

აფხაზთა დელეგაცია თბილისში

მაგრამ თუ აჭარის პრობლემა მაჰმადიანური ფანატიზმის ნიადაგზე შეიქმნა, საქართველოს სხვა რაიონებში, როგორც აღმოსავლეთ, აგრეთვე სამხრეთის საზღვარზე არა ნაკლებად საშიში მდგომარეობა იქმნებოდა ქართული მიწების თანდათანი დატაცებით პოლიტიკური და ეკონომიური პირობების ხელოვნურად გართულების გამო. ამდენადვე იმედაშვილი სარედაქციო ნარკვევებში საქართველო-აფხაზეთსა, ზემო და ქვემო ქართლსა თუ ფერეიდანის ქართველობასთან ურთიერთობის საკითხებს ქართული ისტორიისა და კულტურასთან მიმართებაში იხილავდა. იგი სიხარულით შეეგება 1916 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში აფხაზების დეპუტაციის ჩამოსვლას თბილისში მ. შერვაშიძის, ა. შერვაშიძის, მელიტონ ემუხვარის, ასტამურ ინალიპას, პეტრე ანჩაბაძის და გლეხების ეზუხბაიას, ანტონ ჩუკბარის შემადგენლობით. მათ აფხაზი ხალხის სახელით მეფის ნაცვალს უმთავრესად მოთხოვეს სკოლების გახსნა, ახალი გზების გაყვანა და განსაკუთრებით ის, რომ სკოლებში სწავლა სწარმოებდეს მშობლიურ ენაზე (ქართულსა და აფხაზურზე), სოხუმის ოლქი გამოყოფილ იქმნას ცალკე გუბერნიად და არას გზით არ იქმნეს შეერთებულ-მიწერილი სხვა, უცხო გუბერნიასთან (მაგ., შავი ზღვის), თუ შეუძლებელი იქნება სოხუმის ოლქის გარდაქმნა ცალკე გუბერნიად და იგი რომელიმე გუბერნიას უნდა შეუერთდეს, მაშინ იმ შემთხვევაში სოხუმის ოლქი შეერთებულ უნდა იქმნეს ქუთაისის გუბერნიასთან. სოხუმის ეპარქია, რადგან ის მთელი თავისი წარსულით და აწმყოთი შესისხლხორ-

ცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არას გზით არ უნდა იქმნეს გამოყოფილი საქართველოს საეკსარხოსოდან. აფხაზთა ეს ნაბიჯი იმედაშვილმა შეაფასა როგორც „გაბედული ხმა ძველი საქართველოს შვენების აფხაზეთისა, რომელმაც თავის წარმომადგენელთა ბაგით განაცხადა—მოგვეცით გზა განათლებული ცხოვრებისა და ნუ გვწყვეტავთ დედა საქართველოს მკერდსაო“ (ექიმი შტოკმანი, აფხაზეთის დეპუტაცია, 1916, 5 თიბათვე, № 23. სტატიას ერთვის დელეგაციის სურათი).

აფხაზთა ამ მოთხოვნებს ქართველი საზოგადოება გულმხურვალედ შეხვდა. თვით მელიტონ ემუხვარი და პეტრე ანჩაბაძე წერილში „მცირე განმარტება აფხაზთა მოთხოვნილებათა შესახებ“ აღნიშნავდნენ: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებული მომძმენი ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყობენ შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურება. ჩვენ ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველობასთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით ქართველ მოღვაწეებთანაო“ (გაზ. „საქართველო“, 1918, № 99). ისინი მოუწოდებდნენ აფხაზებს, რომ არ აჰყოლოდნენ აფხაზი და ქართველი ხალხის ნამდვილ მტრებს, რომელნიც მათ ჩასჩურჩულებდნენ: „თქვენ აფხაზები ხართ, აფხაზეთი არასოდეს საქართველო არა ყოფილა, მეგრელები მუდამ თქვენი მტრები იყვნენ, თუ საქართველოს ავტონომია ექმნა და თქვენ მის საზღვრებში შეხვალთ, სრული განადგურება მოგელითო, პირიქით, თუ საქართველოს ჩამოშორდებით, მაშინ მეტი ფასი გექნებათო...“. მოსაბეზრებელი სიტყვით რომ ვთქვათ ამას „პროვოკაცია“ ჰქვია და ასეთ პროვოკაციასთან ბრძოლა თვით აფხაზებს ჰმართებთო...

რასაკვირველია, ჰეშმარიტი აფხაზი პატრიოტები არასოდეს არ აჰყოლიან პროვოკაციულ მოწოდებებს. თვით აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, თავისი ხალხის დიდი პატრიოტი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შერვაშიძე თავისი მწერლობითა და პრაქტიკული მოღვაწეობით ქადაგებდა და იბრძოდა საქართველოსთან მჭიდრო სახელმწიფოებრიეი და კულტურული ერთობისათვის. მას აფხაზი ხალხის მომავალი საქართველოსთან ერთობაში ესახებოდა, რასაც მთელი თავისი შემოქმედებით ამტკიცებდა. ამიტომაც იყო, რომ მთელ აფხაზეთში დიდ პატივსა და ნდობას დამსახურებულმა ქართველმა მოღვაწემ ნიკო თავდგირიძემ მოქვში 1918 წლის 25 თებერვალს გიორგი შერვაშიძის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აფხაზები და ქართველები ერთნაირად იტანჯებოდნენ ცარისტული რუსეთის მონობაში, რომ მათ ერთი საერთო გზა ჰქონდათ პოლიტიკურ-კულტურული და ეკონომიური კეთილდღეობის მისაღწევად. გიორგი შერვა-

შიძემ პირველმა აღიმაღლა მრისხანე ხმა თავის დაჩაგრული ერის ღირსების დასაცავად და თავისუფლების მოსაპოვებლად. იგი არ შეეპუა ძალადობას, მან საკუთარი ღირსება არ დაიმცირა თავისი ერის მჩაგვრელი ძლიერი სახელმწიფოს წინაშე, რომელიც გაბატონებული იყო მის ხალხზე. მან ზიზღით უარჰყო ის ჯილდო-წარჩინება მისთვის რომ იყო განკუთვნილი და ეზიზღებოდა ყოველი ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან მომდინარეობდა და რომლისთვისაც სხვები თავის ადამიანურ ღირსებას სწირავდნენ. მან უარჰყო თვით სასახლის ფლიგელ-ადიუტანტის დიდი წოდებაც. მან თავისუფლებას შესწირა მთელი თავისი კარიერა, ყოველიე ქონება, რის გამოც თავისივე ქვეყანაში, იქ სადაც იგი ბატონი უნდა ყოფილიყო, ორი ქცევა მიწა ენატრებოდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჯერ კიდევ რევოლუციამდე ცარიზმის დამხობის მოლოდინმა ხალხში გამოაცოცხლა ეროვნული სულისკვეთება. სამშობლოს აღდგენა-ძიების განწყობილებამ საქართველოს ირგვლივ გააძლიერა განაპირა კუთხეების შემოკრების, თბილისისათვის დედაქალაქის მნიშვნელობის მინიჭების თითქოს ფარული მცდელობა. ამ მოძრაობას იოსებ იმედაშვილი აღფრთოვანებით შეეგება წერილში „აფხაზები“ (1916, 12, თიბათვე, № 24, გვ. 13): „... დიდი ხნიდან დაქსაქსულნი ძმანი ძლივს ერის კერის ირგვლივ — დედა ქართლის გარშემო ვიკრიბებით... გვეყო უერთმანეთოდ, ერთიმეორესგან გათიშულნი ვცხოვრობთ — ქართლ-კახეთი, იმერ-ამერეთი, გურია-სამეგრელო-აფხაზეთ-აჭარა, ჰანეთ-სვანეთი, რომ ერთი დედამის შვილნი ვართ, განა ამას მტკიცება ღა უნდა?.. შავ დროთაგან გაგარეულებულნი ქართველი მაჰმადიანნი უკვე გვიბრუნდებიან... ახლახან გაბედული ხმა ამოიღო ძველი საქართველოს მშვენებამ აფხაზეთმა და თავისი წარმომადგენელის ბაგით განაცხადა: მომეცით გზა განათლებული ცხოვრებისა და ნუ მწყვიტავთ დედა საქართველოს მკერდს, მე მისი ძუძუ მიწოვნია, იგი ჩემით საზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი, — ასე იყო ძველად, ასევე უნდა იყოს ახლაც...“

ფერეიდანის ქართველებზე

საქართველოს მიტაცებული თუ დაქსაქსული რაიონების, ქალაქების, დაბა-სოფლების — აჭარის, მესხეთ-ჯავახეთის, სამცხე-საათაბაგოს, ართვინ-არდაგანის, ლაზეთის, საინგილოს, ბორჩალოს, საბარათიანოს, მადან-ალავერდის, სამაჩაბლოს, ქსნის ხეობის, ჯიქეთის თუ ძალით წართუყვეველი ფერეიდანის ქართველობის უაღრესად ტრაღიკულ ბედსა და მდგომარეობაზე მსჯელობისას მამაჩემმა განსა-

კუთრებული გულის ტკივილით იცოდა ბაასი შორეულ სპარსეთში გადასახლებული, გამაჰმადიანებით ნაწამები, ეროვნული გადაგვარებისათვის განწირული ფერეიდნელი ქართველების შესახებ, რომელთა საქართველოში დაბრუნებას არაფერი შეელოდა.

ქართველ საზოგადოებაში ფერეიდნელი ქართველობისადმი მით უმეტეს იზრდებოდა თანაგრძნობა და გამოუსავლობის მტანჯველი განცდა, რომ შაჰ აბასის დროიდან გადასახლება გამაჰმადიანების მიუხედავად, მათ დღემდე შეუნახავთ ქართული ენა, წეს-ჩვეულებანი და ეროვნული თვითშეგნება. ამას ნათლად ადასტურებს თუნდაც ის სამაგალითო მოვლენა, რომ უკანასკნელ ხანებამდე ფერეიდნელი ქალები არ ქორწინდებოდნენ სპარსელებზე, საერთოდ არა ქართველებზე, ქართულ ენას უმთავრესად ქალები ინახავდნენ იმიტომაც, რომ ფერეიდანში ქართული დასახლება იზოლირებული იყო სპარსელთაგან და ამითვე აიხსნება ისიც, რომ იქაური ქართველობა გამუდმებით ელტვის დიდ საქართველოს.

ფერეიდანის ქართველობის საკითხით იოსებ იმედაშვილი პირველად დაინტერესდა, როდესაც სპარსეთის მიყრუებულ პროვინციაში არსებული ქართველების შესახებ საქართველოში თითქმის არაფერი იყო ცნობილი და 1902 წელს თბილისს მოულოდნელად მოევლინა სპარსეთიდან ჩამოსული ათამ ონიკაშვილი და დანამდვილებით ცნობილი გახდა, რომ სპარსეთში შაჰ აბასის დროიდან გადასახლებულ ქართველთა შთამომავალნი ჩვენ დრომდე მოღწეულან და დღემდე ინახავენ თავიანთ ქართულ წარმოშობას, სამშობლო ენასა და ზნე-ჩვეულებებს.

ინტერესი ფერეიდნელებისადმი განსაკუთრებით გააღვივა ლადო აღნიაშვილის სპარსეთში 1895 წელს მოგზაურობამ, როდესაც ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდებოდა მის მიერ ფერეიდანის ქართული სოფლების მოელით მიღებული შთაბეჭდილებანი, რის შემდეგ იგივე 1896 წელს ცალკე წიგნად გამოიცა: „სპარსეთი და იქაური ქართველები“. სპარსეთიდან ლადო აღნიაშვილის მიერ ალექსი მჭრიანაშვილთან მოწერილი საინტერესო კერძო წერილები იოსებ იმედაშვილმა „თეატრი და ცხოვრებაში“ დაბეჭდა (1914, 28 ენკენისთვე, № 30), 1929 წელს კი ლადო აღნიაშვილის სიკვდილის 25 წლის თავთან დაკავშირებით იოსებ იმედაშვილმა ცალკე წიგნად გამოსცა ნარკვევი „ლადო აღნიაშვილი, 1860—1904, ცხოვრება-მოღვაწეობა“, რომელშიაც სპარსეთში მოგზაურობასა და იქაური ქართველობის გაცნობას 46—56 გვერდები ეძღვნება.

მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში ფერეიდანიდან დიდი საქართველოს გასაცნობად თბილისში ჩამოსული ონიკაშვილის შემდეგ ქართველობა კიდევ უფრო მეტად ააფორიაქა 1922—23 წლებში ფე-

რეიდანელი ქართველის სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლამ და ჩვენ საზოგადოებასთან დაახლოებამ. იგი საქართველოში კარგა ხანს იყო, საკმაოდ ჰქონდა როგორც ოფიციალური, აგრეთვე კერძო შეხვედრები და რუსთაველის თეატრში ერთ წარმოდგენაზე ყოფნისას ქართველი საზოგადოება დიდი პატივით შეეგება ძვირფასი სტუმრის ლოჟაში გამოჩენას. რასაკვირველია მამაჩემს არ დაუყოვნებია მისი გულთბილი მიღება „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში და მასთან საინტერესო საუბრები.

სეიფოლა იოსელიანთან ქართველობის დაახლოებისა და მომავალი ურთიერთ სასარგებლო მოქმედების განსჯაში ჩაისახა ისეთი ორგანიზაციის დაარსების საჭიროება, რომელიც კომპლექსურად შეისწავლიდა ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრებას. ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ღონისძიება საქართველოს რაიონების მსგავს შესწავლაში. ამ მიზნით, როგორც ცნობილი გახდა (გაზეთი „ტრიბუნა“, 1923, 26 აპრილი, № 454) თბილისში ჩამოყალიბდა „საქართველოს აღმწერ-დამხატავი ანბანაგობა „შუქურა“, რომლის დამფუძნებელ წევრებად იყვნენ ზაქარია ჭიჭინაძე, ვარლამ ჩლაიძე, იოსებ იმედაშვილი და ფერეიდნელი ქართველი სეიფოლა იოსელიანი. ამ წამოწყების დიდი მნიშვნელობის გამო ზედმეტი არ იქნება „შუქურას“ მიზნისა და შინაარსის გასათვალისწინებლად იოსებ იმედაშვილის მიერ შედგენილ მის წესდებას გავეცნოთ:

1. ამხანაგობა „შუქურას“ ჱიზანია დაასურათოს და აღწეროს სრულიად საქართველო, აგრეთვე საქართველოს საზღვრებს გარეშე მცხოვრებ ქართველთა მოსახლეობა. ა. სინემატოგრაფით ღენტზე გადაიღოს ყოველი შესანიშნავი ადგილ-მდებარეობა (მთა-გორები, ველ-მინდვრები, ისტორიული ნაშთები), დაბა-სოფლები-ქალაქები (მეურნეობის დარგები, მუშაობა, ხალხი), ზნე-ჩვეულება (ქორწილი, ლხინი, ტირილი, დღეობა), სამრეწველო ქარხნები, საზოგადო სარგებლობის შენობა-მოწყობილობანი, სხვადასხვა ხელოსნობანი, მუშები, ტიპები, საზოგადოებრივი დაწესებულებანი და სხვ. ბ. იგივე გადაიღოს ფოტოგრაფიით.

2. აღწეროს დაბა-სოფლების მდებარეობა, კომლეური შემადგენლობა, მცხოვრებთა ვინაობა, დოლათი, სწავლა-განათლება, მეურნეობის სხვადასხვა დარგები და სხ.

3. შეკრიბოს ზეპირ-სიტყვაობა — ზღაპრები, თქმულებანი, ლეგენდები, გადმოცემანი, იგავ-არაკები, ხალხური ლექსები და სხ.

4. გამართოს სახალხო ფასიანი ლექცია-მოხსენებანი ზემორე მუხლებში (1, 2, 3) ხსენებული კითხვების შესახებ, მოაწყოს სალიტერატურო-სამუსიკო დრამატიული საღამოები საკუთარ ნიჭიერ სახსრის გასაძლიერებლად.

5. საქართველოს ერთს კუთხეში გადაღებული სურათები, ფოტოგრაფიით და სინემატოგრაფიით აჩვენოს მეორე კუთხეში შესაფერი მოხსენებით.

6. ჩასწეროს და შეკრიბოს ქართული სალექსიკონო მასალა ყოველი დარგიდან (მწერლობაში, შემოუტანელი სამეცნიერო, საბუნებისმეტყველო, საფილოსოფიო და სხ. სიტყვები).

7. გამოიცეს დროგამოშვებით კრებულები და ცალკე თხზულებანი ზემოხსენებულ საკითხთა შესახებ.

8. ამხ-ბა სარგებლობს იურიდიულ პიროვნების უფლებით და აქვს ბეჭედი: „საქართველოს აღმწერ-გადამხატავი ამხ-ბა „შუქერა“.

9. ამხ-ბის მთავარი კანტორა და სხვა მოწყობილობანი ტფილისშია. შეუძლიან იქონიოს განყოფილებანი პროვინციაში და იყოლიოს აგენტები ამ წესდებაში დასახულ მიზანთა მისაღწევად, გახსნას საწყობი, ფოტოგრაფია, სინემატოგრაფიის პავილიონი, წიგნთ-სავაჭრო და სხ.

10. საზოგადოების არსებობისა და მოქმედების წყაროა, ა) შემოწირულება. ბ) ნაანდერძევი. გ) მოხსენება-ლექცია-საღამოების შემოსავალი. დ) საკუთარ გამოცემათაგან ანაზღაურებული. ე) ფოტოგრაფია და სხ.“

საგულისხმოა, რომ იმავე დროს, როგორც გაზ. „ტრიბუნა“ იუწყებოდა (1923, 29 აპრილი, № 457): „4 მაისს, პირველ კონსერვატორიის დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩაზედ) შესდგება სპარსეთიდან ჩამოსულ ფერეიდნელი ქართველის სეიფოლა იოსელიანის მოხსენება სპარსეთში მცხოვრებ ქართველების შესახებ, აგრეთვე წაკითხული იქნება მოხსენება „სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლის მიზანი საქართველოში“ ზ. ჭიჭინაძის მიერ, რომელიც შეეხება ქართველების გადასახლებას სპარსეთში შაჰ აბაზის მიერ 17 საუკუნეში, თუ რამ გამოიწვია აღმოსავლეთის მუსულმანთა ტომებში ქართველების გადასახლების მიზეზები, დელა-ვალეს, ორსინის და ლამბერტის ცნობები, ქეთევან დედოფლის წამება ქ. შირაზში 1622 წ. და აქ მყოფ გიორგი არქიმანდრიტის ცნობები ქართველების შესახებ. მოხსენება ვრცლად ეხება სპარსეთის გადასახლების სხვადასხვა ცნობებს“.

სამწუხაროდ საქართველოში სეიფოლა იოსელიანის ჩამოსვლისა და მასთან ურთიერთობაში დასახულ კეთილ განზრახვებს არ ეღირსათ განხორციელება, თუმცა ინტერესი ფერეიდანის ქართველებისადმი არა წყდებოდა და კიდევ უფრო იზრდებოდა. ფერეიდანის ახლო გაცნობისა და საქმიანი კონტაქტის თვალსაზრისით მეტად ნაყოფიერი იყო სპარსელი პოეტების მთარგმნელისა და ძველი რევოლუციონერის ამბაკო ჭელიძის ყოფნა ფერეიდანში, მის მიერ იქაური მოსახლეობის ადგილზე დაბეჯითებული შესწავლა, მათთან დამეგობრება, რის შედეგადაც მან გამოსცა წიგნი.

ამბაკო ჭელიძის სპარსეთიდან საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, ფერეიდნელი ქართველობისადმი მიძღვნილ საღამოზე სიტყვით გამოსულმა იოსებ იმედაშვილმა საზოგადოებას გააცნო ფერეიდანის პრობლემა, მის შესასწავლად ჩატარებული ღონისძიებანი და ის ფაქტიც, რომ როგორც ამბაკო ჭელიძის ფერეიდანში ყოფნამ ნათლად დაგვიდასტურა, სპარსეთის რაიონებში ასი ათასობით გადა-

სახლებულ და ძალით რჯულ გამოცვლილ ჩვენ ღვიძლ ძმებს ჯერაც არ მოჰქრებიათ გულში წარსულის მოგონება, თავისი ქართული ვინაობა და ხალხოსნობა. ამბაკო ჭელიძის ფერეიდანში ყოფნის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ის იყო, რომ მან კეთილი განწყობილება დაამყარა ფერეიდანელ ქართველობასთან, გაუღვივა იმედი ქართველობასთან დაახლოებისა, სისტემატურად აწვდიდა ქართულ სასწავლო სახელმძღვანელოებს, რაც იმითაც დააგვირგვინა, რომ ფერეიდანიდან საქართველოში განათლების მისაღებად ჩამოიყვანა ფერეიდნელი გლეხის ბავშვი, პაპიაშვილის შთამომავლობისა — ბოინელი ამირაღა მირზაჯაი, იმ მიზნით, რომ ქართული სკოლის დამთავრების შემდეგ ფერეიდანში დაბრუნებულიყო ქართული ენის მასწავლებლად. ეს განზრახვა კარგად განხორციელდა, — ამირან პაპიაშვილმა სათანადო ნიჭი გამოიჩინა, კარგად სწავლობდა, საშუალო განათლება დაამთავრა და დაუბრუნდა ფერეიდანს. აქვე შევნიშნავ, რომ ამირანს პირადად მე ახლოს ვიცნობდი, ქართულ ენაში ხშირად ერთად ვმეცადინეობდით და ძლიერაც შეგვაყვარა თავი. ფერეიდანში მისი გამგზავრების შემდეგი ამბავი კი დანამდვილებით ვეღარ გავიგეთ.

ამ ამბავთან დაკავშირებით, აღნიშვნის ღირსია ერთი ცნობა: „მოქალაქე ირ. ბილანიშვილმა ქორწილის ხარჯების ნაცვლად გადასწყვიტა აღზარდოს ქართველ სპარსელთა რამდენიმე ბავშვი და ამ მიზნით საგანგებო ოთახი გამოჰყო თავის ბინაზე შესაფერი ხარჯით“ (1924, 13 აპრილი, № 9).

ფერეიდანის ქართველობის საკითხს ცოტა მოგვიანებით უფრო ვრცელი ნარკვევი უძღვნა იოსებ იმედაშვილმა „Фереиданские грузины“, რომელიც დაიბეჭდა საკავშირო აკადემიის ორგანოში: „Советская этнография“ (1931, ლენინგრადი, № 3—4, გვ. 180—184), რომელშიაც მოკლედაა მიმოხილული ფერეიდნელთა შესწავლის ისტორია და არსებული წყაროების მიხედვით აღწერილია მათი თანამედროვე ყოფა-ცხოვრება, ფერეიდანის ადგილმდებარეობა, დასახლებული სოფლების სახელები, მათი ცხოვრების წესი. მისი აღნიშვნით, ფერეიდანის მხარეს 2500 კვ. კილომეტრი უჭირავს, რომელშიაც ქართველები ას კილომეტრზე არიან განლაგებულნი. ისინი მთელ ირანში ყველაზე მაღალ ზონაში მდებარეობენ და 15 ათასი სულისაგან შესდგებიან. მათი დარბაზული ტიპის შენობები დიდი ბანით ქართული სტილისაა, რაც მათგან სპარსელებსაც გადაუღიათ. ფერეიდნელი ქართველები სოფლის მეურნეობას მისდევენ, ვაჭრობა არ იციან და თავი მოსწონთ იმითი, რომ ქართველები არიან, თავის დასახლებას „პატარა საქართველოს“ უწოდებენ.

მას ვისაც რევოლუციური მოღვაწეობისათვის კატორღა ჰქონდა მისჯილი, უფლებაც ჰქონდა სხვებზე მეტად გახარებოდა რევოლუცია, სიტყვა ეთქვა რევოლუციაზე, ეროვნული ცხოვრების ახალი სოციალურ-პოლიტიკურ საჭიროებათა საკითხები განეხილა და ხალხის სულისკვეთებით ნაკარნახევი პასუხები გაეცა. ეს იყო იოსებ იმედაშვილი, რომელიც ასე მიეგება 1917 წლის რევოლუციას:

„მოქალაქენო, ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა მონობის მძიმე უღელქვეშ სულშებუთული, დღემდე გლეხად, ან თავად-აზნაურად წოდებულო, მუშავ და ჯარისკაცო! დღემდე ყურმოჭრილ ყმად მიჩნეულო ქ ვ ე შ ე ვ რ დ ო მ ო, აწ თავისუფალო მ ო ქ ა ლ აქ ე ვ!

თებერვლის 27-ს, სწორედ შუაღამისას გაიყარა ძველი და ახალი რუსეთი. ძველმა განისვენა, ახალმა განანათლა ყოველი კუთხე-კუნჭული რუსეთის წამებულ ქვეშევრდომთა გულისა. ბაგეთა ჩვენთაც აღეხსნა მძიმე ბოქლომი".

ამ საერთო ხასიათის მილოცვაში განსაკუთრებითაა აღნიშნული, რომ ადრე თუ გვიან საქართველოსაც ეღირსება თვითმმართველობა... და რაც შეიძლება ადრე უნდა გამოვიჩინოთ საკუთარი თავის ცნობის აღღო... პარტიული კინკლაობა, სხვადასხვა ლოზუნგები და კერპები აღარ გამოგვადგება... ისე უნდა მოვახერხოთ, რომ საქართველოს მიწა-წყალი ქართველს ხელიდან არ გამოეცალოს (1917, 12, III, № 11).

საკუთარი, ქართული მიწა-წყლის შენარჩუნება, სამშობლო ენა, სამშობლო ენაზე სწავლა, ეროვნული სამართალი, ეკლესია იყო მისი სჯა-ბაასის მთავარი კითხვები, რომელთაც საქართველოსათვის ტერიტორიალური ავტონომიის მინიჭების თვალთახედვით აშუქებდა (იცან თავი შენი. 1917, 26 მარტი, № 13).

იგი ხშირად იხილავდა ქართველი ერის წინაშე მონარქისტული რეჟიმის ლიკვიდაციის შედეგად წამოჭრილ საკითხებს— რა უნდა მიეღო საქართველოს რევოლუციისაგან, რა დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყო ქართველობა მეზობლებთან, საქართველოში მცხოვრებ ხიზნებთან, ნაცუმცირესობებთან?

ყოველ შემთხვევაში, მისთვის იმთავითვე ის იყო გარკვეული, რომ კავკასიის აბორიგენ მოსახლეთა პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული კეთილდღეობის აუცილებელ პირობას მომავალში მაინც მათი ურთიერთ გამგებ დამოკიდებულებაში კეთილ-მეზობლური ცხოვრება წარმოადგენდა. პირადად მას ახლო მეგობრობა ჰქონდა თბილისა თუ მის გარეთ საქართველოში მცხოვრებ სომეხ, რუს, თათარ, ოს

მწერლებთან. კულტურის სხვა დარგის მოღვაწეებთან, თუ მუშათა წრეებთან და გლეხობასთან. იგი თავისი სომხურითა და თათრულით დიდ სამსახურს უწევდა ბორჩალოს სომხებსა და თათრებს შორის ხშირად ჩამოვარდნილ მწვავე კონფლიქტების მოგვარების საქმეს, რითაც არა ერთხელ სისხლის ღვრისაგან გადაურჩენია ერთმანეთზე წაკიდებული მეზობლად მცხოვრები მოსახლეობანი.

ასეთ რთულ ვითარებაში სამკვიდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებულ ბრბოების დაშოშმინებას იმედაშვილი არა მხოლოდ სომხურ-თათრული ენების ცოდნით აღწევდა, არამედ მათი ინტერესებისა და ხასიათების ღრმა ცოდნით, საერთოდაც ადამიანებთან გულისხმიერი დამოკიდებულების უნარით, რაც ქართველების გარდა უცბად აახლოვებდა სომხებთან, თათრებთან, ბერძნებთან, რუსებზე რომ აღარა ითქვას რა. ამ მხრივ საგულისხმოა იმედაშვილის მოგონებებში თუნდაც ბუნწად გახსენებული ურთიერთობა ისეთ დიდ რუს მწერლებთან, როგორც იყო მაქსიმ გორკი, შეხვედრები ბალმონტთან, უფრო ადრე კი რკინიგზის დეპოში ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწე მახეილ კალინინთან დამეგობრება. მათთან შეხვედრებისა და საქმიანი კულტურული ურთიერთობის თუნდაც ფრაგმენტული გადმოცემანი მრავალმხრივადაა საგულისხმო, რითაც ქართული მემუარული მწერლობა მეტად ღარიბია.

სანიმუშოდ გულახდილი მეგობრობა აკავშირებდა მას არა მხოლოდ თბილისისა და შულავრის სომხებთან, არამედ ერევნელებთანაც, როგორც ინტელიგენციასთან, აგრეთვე მუშებთან და გლეხებთან. იგი განსაკუთრებით „თეატრი და ცხოვრებას" დაარსებისთანავე ხუთმეტი წლის განმავლობაში უყურადღებოდ არა სტოვებდა საერთოდ საქართველოში მცხოვრებ უცხო ეროვნებათა კულტურულ ცხოვრებას და ხშირად ბეჭდავდა ნარკვევებს, მიმოხილვებს, მოგონებებს, რეცენზიებს მწერლობის, პოეზიის, თეატრის, მუსიკისა თუ კულტურის, განათლების სხვა საკითხებზე, აგრეთვე ხელოვნების მოღვაწეთა ცხოვრება-შემოქმედებაზე.

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში იმდენს არავინ წერდა სომხური მწერლობის, თეატრის თუ ხელოვნების სხვა საკითხებსა და მუშაკებზე, საერთოდაც სომხურ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რამდენსაც მამაჩემი. მას მრავალი სპეციალური წერილი, ნარკვევი, უფრო ხშირად კი თეატრალური რეცენზია აქვს დაბეჭდილი 1910—1926 წლებში და უმრავლესობის პორტრეტებიც. ესენი არიან მათი გამოქვეყნების თანმიმდევრობით: გ. სუნდუკიანი, ბარბარე მელიქიანი, შირვანზადე (ალ. მოვსესიანი), გ. გედევანოვ-მირაღიანი, ვართანეს ფაფაზიანი, ა. არმენიანი, გ. ავეტიანი, 1914 წლიდან — სერგო პეპანოვი, მათევოს აღაიანცი, გ. ტერ-დავითიანი, 1915 წლი-

დან — სათინაკ ადამიანი, პაზირა, მელქო აჯიმამედოვი, 1916 წლიდან — გ. ჯიმიშკიანი, ალოიზ შიხინოვი, პ. პრაშიანი, ე. აღაიანი, სირანუშ. 1917 წლიდან — ალ. წატურიანი, რაფაელ პატკანიანი, გიორგი მარსაგოვი, მარიეტა შაგინიანი, გეურკ ფირუმიანი, სედრაკ თარაიანცი, კ. შანთი, გიორგი სკანდარნოვა, გამარ ქათიბა (რაფაელ პატკანიანი), 1918—19 წლებში — ოვანეს თუმანიანი, ტიგრან ნაზარიანი, პოლიტიკური მოღვაწე სააკიანი, მსახიობი ჰოვანეს აბელიანი, 1920 წლიდან — გარეგინ ტერ-სტეპანიანი (სლეპცოვი), ივ. ტერ-გრიგორიანი, მაისურიანი, აღასი ელიზბარიანი და მრ. სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იმედაშვილის ახლო მეგობრობა გაბრიელ სუნდუკიანთან, რომლის „პეპოც“ ქართულად თარგმნა უშუალოდ სომხურიდან ავტორთან ოჯახურ დამოკიდებულებაში. ასევე მეგობრობდა იგი ოვანეს თუმანიანთან, ავეტიკ ისააკიანთან. დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოუხდენია მას 1943 წლის აპრილს ერევანში ოვანეს თუმანიანის იუბილეზე სომხურად წარმოთქმული მისალოცი სიტყვით, რამდენადაც ქართველი მწერლის მეტყველება სომხურ ენაზე, ისიც ზეპირმეტყველებით იშვიათი იყო და აღტაცებულმა საზოგადოებამ ფეხზე ადგომით დიდი პატივი სცა, თუმანიანის ქალიშვილმა კი გადაჰკოცნა.

ასევე დიდი აღფრთოვანებით შეხვედრიან 1948 წელს თბილისში მწერალთა სასახლეში სომეხი პოეტის სილვა კაპუტიკიანის შეხვედრაზე იოსებ იმედაშვილის სომხურად გამოსვლას. ამ გამოსვლის შესახებ თვითონ ასე იგონებდა — სომხის ინტელიგენცია, მწერლები, ქალი, კაცი მეხვეოდა, მკოცნიდნენ... გიორგი ლეონიძემ მითხრა — იოსებ, პრეზიდიუმის სახელით დიდ მადლობას მოგახსენებ. შენ გვასახელე და დაგვამშვენეო, თან დააყოლა — რატომ არ ვიცოდით, რომ შენ ასე ლამაზად გცოდნია სომხური ენაო...

თბილისური სომხურის ცოდნით მამაჩემი არა მხოლოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა ქართულ-სომხურ საზოგადოებაზე და ამითვე ხელს უწყობდა მათ ურთიერთ დაახლოება-გაგებას, აგრეთვე ცხადს ხდიდა, რომ ქართველებსა და სომხებს უფრო კარგად უნდა ესმოდეთ ერთმანეთი და უფრო მეტად უნდა უწევდნენ ანგარიშს ერთმანეთის სასიცოცხლო ინტერესებს. ამისათვის ქართულ-სომხურ ურთიერთობაში იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ორივე ხალხისათვის სასარგებლო წარსული მეგობრობის ტრადიციებს, რომელთა ცოცხალ ურთიერთობაში პირადად ბავშვობიდანვე იყო ნაზიარები იმ სომხებთან ახლო მეზობლობისას, ვისი წინაპრებიც მეფე ერეკლემ ყარაბაღიდან შულავერში ჩამოასახლა, დღეს რომ შაუმიანად იწოდება.

საქართველოში ჩამოსახლებულ სომეხთა კეთილმეზობლური ცხოვრება ქართველთა შორის, სომხურ მატიანეებშიც ადრევე ყოფილა

ასახული ქართველებისადმი მადლიერების გრძნობის გამოხატულებით, თუნდაც იმ მრავალმნიშვნელოვანი ფაქტის გახსენებაში, რომ როგორც პროფ. ა. აბრამიანი წერს „სომხების მეზობელი ქვეყნებიდან საქართველო ერთადერთი იყო, სადაც სომხები უცხოობაში ყოფნას არ განიცდიდნენ“ (გურამ მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII საუკუნეებში, „მეცნიერება, 1982, გვ. 124). ამ მხრივ საყურადღებოა ისიც, რომ XV საუკუნის საეკლესიო მოღვაწეს მათეოს ჯუღაეცის თანადროული სომხური საზოგადოების თვალსაზრისი ქართველებსა და ქართველთა მეფობაზე შემდეგნაირად გადმოუცია: „სიკეთე ოთხი სახისაა: შეწყალება, კაცთმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა, — ქართველებს ყველა ეს თვისება სრულყოფილად ახასიათებს, ამის გამო გადარჩა მათი სამეფო, ვისაც ეს თვისებები აქვს, ისინი განცხრომით იცხოვრებენო“ (იქვე).

მაგრამ არსებობდნენ ისეთი სომხებიც, რომელთათვისაც არაფერს ნიშნავდა ქართველებისა და სომხების ერთად ცხოვრებაში ორი ათასი წლით გამოცდილი მეგობრობის სიკეთე და რომელნიც ყოველგვარი პროვოკაციებით ცდილობდნენ სიძულვილი ჩამოვარდნილიყო ქართველებსა და სომხებს შორის. ესენი იყვნენ ტერორიზმითა და ბანდიტიზმით ცნობილი სომეხი დაშნაკები, რომელთა უგუნური გეგმებისა და მოღვაწეობის შედეგად უპირველესად თვით სომეხი ხალხი დაზარალდა. ქართველების მოძულე ასეთ სომეხთა უსაფუძვლო პრეტენზიების წინააღმდეგ იძულებული იყო ხმა ამოეღო მათთან პოლემიკაში ხალხთა მეგობრობის ქადაგებითა და ჰუმანიზმით ცნობილ თვით აკაკი წერეთელსაც კი, რასაც მამაჩემი იგონებდა ხოლმე.

მამაჩემს გული წყდებოდა, რომ ზოგიერთი თითქოს მოწინავე სომეხი მოღვაწეც კი საქართველოსთან დამოკიდებულებას ანტაგონისტურ პოლიტიკაზე აგებდა, რაც ქართულ-სომხურ კეთილ მეზობლურ ურთიერთობაში სამეგობრო წყალს ამღვრევდა და მხოლოდ ზიანს აყენებდა ორივე ქვეყანას. მამაჩემი იგონებდა ხოლმე ძველი თბილისელი მეგობრისა და დრამატურგის სუნდუკიანცის მიერ სომხებისთვის დატოვებულ ანდერძს, რომ „თქვენი სამშობლო სომხეთში ეძებეთ, სხვისას თავი დაანებეთო“. ასეთი უმადური სომხების გამო კი შენიშნავდა — „სომხები საქართველოს ქერქვეშ თავს იფარავენ, ქართველი ხალხის მიწა-წყლით იკვებებიან და მის დასამხობად კი ჩალიჩობენო“ (1918, 20 ღვინობისთვე, № 14, გვ. 11). ორივე ხალხისათვის მეტად საზარალოდ მიაჩნდა მამაჩემს, რომ დაშნაკთა მემდევარნი არ იჯერებდნენ სუნდუკიანცის გონივრულ რჩევას და საქართველოში მცხოვრებ სომხობის ქართველებთან გადაკიდებას ცდილობდნენ.

რამდენიმე წლის შემდეგ, რევოლუციით მიღებული გამოცდილე-

ბის მიხედვით იგი არსებითად იმავეს აღნიშნავდა, მხოლოდ უფრო მეტი არგუმენტაციით: „ჩვენი უბედურება ის კი არ არის, რომ ბევრი რამ გვაკლია, არამედ ისა, რომ არა ვცდილობთ ეს ნაკლი შევიგრძნოთ, არც თუ ისაა უბედურება, რომ გარეშე მტერი ცდილობს ჩვენს დამხობას, არამედ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ თვითონ ერთმანეთს ვამხობთ, ერთმანეთის ზურგი ვერ გაგვიმაგრებია და ერთმანეთს ვარჩობთ“ (თავის თავის მტრობა, 1918, 22 ენკენისთვე, № 13).

„ერთმანეთს ვამხობთ, ერთმანეთის ზურგი ვერ გაგვიმაგრებია“ — ეს იყო მართლაც ჩვენი საზოგადოების მთავარი სატკივარი, მისი განწყობილების ის მთავარი უბედურება, რომელიც ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს თავის უარყოფით დაღს ასვამდა. სწორედ ამ ეროვნული ინტერესების შეუთანხმებლობამ დააყენა ჩვენი ქვეყანა პირველი მსოფლიო ომის დასასრულის საბედისწერო ჟამს უდიდესი განსაცდელის წინაშე. ამ დროს კი განა ისეთი მნიშვნელოვანი, ეროვნული საკითხის გადაჭრა შეეძლო პარტიებად დაყოფილ და დაქსაქსულ ჩვენ საზოგადოებას, რომელიც თეორიულ საკითხებზე კამათით ათავებდა ყველაფერს? მამაჩემს სხვა საიმედო რომ არაფერი ჰქონდა, მომავლისაკენ იცქირებოდა და ხშირად იტყოდა: — ჩვენზე ბედნიერი და უკეთესი თაობა მოვა და ის გადაჭრის ყველა სიძნელეს, რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთო.

* *

„თეატრი და ცხოვრებას“ ფურცლებზე არა იშვიათად შუქდებოდა ეროვნული კონსოლიდაციის საკითხები და იოსებ იმედაშვილი მხატვრულ ლიტერატურასა თუ კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნარკვევებსა და წერილებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჩვენი ისტორიის ძნელბედობის შედეგად საქართველოს დაკარგული მიწების შემოკრებას. ამ მიზნით იგი საგანგებოდ აწერინებდა პოპულარულ წერილებს ცნობილ ისტორიკოსებს, მკვლევარებს, რომ დაინტერესებული მკითხველისათვის ჩვენი დარღვეული საზღვრების მდგომარეობაზე საჭირო ცნობები მიეწოდებინა.

მაგალითად, უძველეს ქართულ ტომზე, ჭანებზე, ანუ ლაზებზე იოსებ ყიფშიძე გულის ტკივილით აღნიშნავდა, რომ „ამ ჩვენ უუნიჭიერეს თანამოძმეებზე სრულებით აღარა ვფიქრობთ. მთელი ჭანეთი ახლა ომის ასპარეზადაა ქცეული და სისხლისაგან იცლება. უფრო დიდი უბედურება ისაა, რომ ჭანები ეროვნების დაკარგვის, სრული ოსმალური გადაგვარების საფრთხის წინაშე დგანან. ეს მით უფრო

სამწუხაროა, რომ სხვა ქვეყანათა ისეთი ხალხები და ტომები, რომელთაც ისტორიული წარსული არა აქვთ, არავითარი ღვაწლი არ მიუძღვით კაცობრიობის წინაშე, თავის ეროვნულ სულს იმტკიცებენ, ჰანები კი — ლითონის დამუშავების პიონერები და ამ დარგში კაცობრიობის მოძღვარნი, სწორედ გადაგვარების უფსკრულისაკენ მიექანებიან. ჰანეთში ყოველივე ეროვნული, ქართული ნადგურდება. ივიწყებენ თვით ენას. მამაკაცები თაკილობენ კიდეც დედაენაზე ლაპარაკს. ჰანებს ავიწყდებათ არა მარტო ის ფაქტი, რომ VI საუკუნიდან მოკიდებული XVI-დის ქრისტიანები იყვნენ, რომ ისინი ქართველებსავით ძველი ხალხია და თავისი წვლილი შეჰქონდათ საერთო ქართული ეროვნული კულტურის საუნჯეში. მაჰმადიანობამ ჰანებში სრულიად დაჩრდილა ეროვნება და ეროვნული თვითშეგნება, ეროვნება მხოლოდ შეეწირა რჯულს" („ცოტა რამ ჩვენი თანამედროვე ჰანების შესახებ", 1915, 28, VI, № 26).

მაგრამ უფრო სახარბიელო მდგომარეობა არც საქართველოს სხვა განაპირა რაიონებში გვქონდა. იასე რაჭველმა ჩვენ უშუალო მეზობლებთან დამოკიდებულებაში რევოლუციამდე ის აშკარა ტენდენცია შენიშნა, რომ ქართველობის სოლიდარობის მიუხედავად, თუმცა სხვები მუდმივად ჩვენი სიკეთით სარგებლობდნენ, არა ერთხელ უღალატიათ ჩვენთვის. საქართველო თუ მათ გაჭირვების დროს დახმარების ხელს უწვდიდა, ისინი სიკეთეს ბოროტებით უხდიდნენ. რასაკვირველია ეს ქართული სიკეთე პოლიტიკაში ჩვენს სიბეცეს და უსუსურობას ნიშნავდა. სიკეთის თესვაზე აგებული პოლიტიკა დონკიხოტობა და საკუთარი ერის წინაშე დანაშაული იყო, რომელსაც სახელმწიფო დაღუპვამდე მიჰყავდა. მეზობლებთან ჩვენი სოლიდარული დამოკიდებულების სამწუხარო შედეგები თანდათან უფრო საგრძნობი ხდებოდა. აქეთ-აქიდან შემოხიზნული ჩვენი უმადური მეზობლები, თუ სხვა უცხო ელემენტები, რომელნიც ჩვენ ქვეყანაში მყუდრო ბინას ჰპოვებდნენ, სიკეთის სამაგიეროდ შემდგომად იმასაც ცდილობდნენ, რომ ჩვენ ტერიტორიას საბოლოოდ დაპატრონებოდნენ, ისე, რომ ჩვენ ისტორიულ ძეგლებსაც — ეკლესია-მონასტრებსა და ციხეებს ითვისებდნენ და მამაპაპის სასაფლაოებსაც კი ძირიან-ფესვიანად ამოგდებას უპირებდნენ. ჩვენში კი მაინც გულს არ იტეხდნენ და კიდევ ერთა სოლიდარობის ლოზუნგებს გაიძახოდნენ... სჯობს სანამ ერთა სოლიდარობაზე დავიწყებდეთ ზრუნვას, ჯერ თავის თავზე ვიზრუნოთ, როგორც ამას ჩვენი მეზობლები სჩადიან, ჯერ ჩვენივე ერის შიგნით დავამყაროთ სოლიდარობა და „კავკასიის ერთა შორის სოლიდარობაზე" მხოლოდ შემდეგ შევუდგეთ ზრუნვას. დროა ამ საქმეს ვუშველოთ, თორემ ჩვენი მიწა-წყალი ხელიდან წაგვივიდა" (ქართველები და ერთა სოლიდარობა, 1915, 2, VIII, № 31).

დროებამ გვიჩვენა, რომ ქართული მიწა ჩვენ ერს უკვე არსებობის საბედისწერო პრობლემად გადაქცეოდა, რისთვისაც ქართველებს დიდი სიფხიზლე მართებდათ, რომ ჩვენ ტერიტორიაზე თანდათან უცხოელები ესახლებოდნენ, და თუ უთვისტომო მოყიალე ტომთა ბრბოებმა, რომელთაც საკუთარი ტერიტორია არა ჰქონდათ, ბერძნების ნაოხარზე უზარმაზარი სახელმწიფო შექმნეს, იმის თავმდები ვიღა იქნებოდა, რომ იგივე ჩვენს მიწაზედაც არ გამეორდებოდა (იქვე, 1915, 30 VIII, № 35).

ასევე აჭარა განსაცდელში იყო, ახალციხის და ახალქალაქის უმეტესი ნაწილი და თითქმის მთელი ბორჩალო შემოსევების შედეგად იკარგებოდა და რომ დროზე არ გვეშველა, აჭარასაც ვკარგავდით იმიტომ, რომ თუ წინათ ჩვენ ვჯობდით ჩვენ მეზობლებს, ხანაც ისინი გვჯობდნენ, რომელნიც სხვადასხვა საშუალებით მიწაწყალს გვაცლიდნენ და თვითონ სახლდებოდნენ. სხვათა მიერ დევნილი ჩვენი მოსაზღვრე ქვეყნის მოსახლეობა ჩვენში სახლდებოდა, ეს მაშინ, როდესაც ჩვენი მიწა-წყალი თვით ჩვენ არა გვყოფნიდა (1915, 12 IX).

ქართული სახელმწიფო საზღვრების დაშლის, მისი განაპირა მიწების ჩვენ მეზობელთაგან მიტაცების მდგომარეობა მამაჩემს მით უფრო ანაღვლიანებდა, რომ მას პირადი, მჭიდრო მეგობრობა ჰქონდა სომეხ, ოს, აზერბაიჯანელ ხალხების მოღვაწეებთან, ხშირად ზრუნავდა მათზე და პრაქტიკულ ურთიერთობაში მათთან ყოველთვის ცდილობდა პროვოკაციულად წარმოშობილი სასაზღვრო-სადავო კონფლიქტების მოგვარებას. სამწუხაროდ ძნელი იყო მსგავს გაუგებრობათა თავიდან აცილება, რაც გასული საუკუნის დამდეგიდანვე დაიწყო. კავკასიის ხალხებს შორის ხელოვნურად შექმნილი მოშხამული ატმოსფეროს გაწმენდა და ნორმალური სამეზობლო ურთიერთობის დამყარება. ეს გაუგებრობანი ჩვენში ცარიზმის დამკვიდრებისთანავე დაიწყო — მის გეოპოლიტიკოსებს კავკასიის ხალხების უკეთ დამონების მიზნით საჭიროდ მიაჩნდათ ისინი ერთმანეთის მტრობაში ჰყოლოდათ, რის გამოც გეგმაზომიერად ახორციელებდნენ მათი ერთმანეთში შერეული ჩასახლების პროცესს. 1827—28 წლებიდან საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მასიურად ჩამოასახლეს სომხები, ბერძნები, გერმანელები, ესტონელები, ოსები, თათრები, ლეკები. ამ ხალხებს საქართველოში საგანგებოდ შერჩეულ ვარგის ადგილებზე ასახლებდნენ და ფულად თუ საქონლით დახმარებასაც უწევდნენ, ქართველები კი, არა თუ მოკლებული იყვნენ ასეთ პრივილეგიებს, მათ უფლებაც არა ჰქონდათ ვარგის ადგილებზე დასახლებისა, განსაკუთრებული კანონით კი ეკრძალებოდათ შავი ზღვის სანაპიროებზე დასახლება, რის გამოც იძულებული ხდებოდნენ უტყეო, უწყლო, ეროზირებულ, დაჭაობებულ მიწებზე ეცხოვრათ, ან საესებით აყრილიყვ-

ნენ სამშობლო ქვეყნიდან და სხვაგან ეძებნათ უკეთესი მიწა-წყალი.

პირველი მსოფლიო ომით გართულებულ პირობებში ქართული მიწების დაკარგვამ კიდევ უფრო საშიში ხასიათი მიიღო. ჯერ თურქეთ-სომხეთის საზღვრებზე რაკი სომხები ოსმალების აგრესიას ვერ გაუმკლავდნენ, მათგან ოტებულნი ათიათასობით საქართველოში შეიჭიზნენ, დაემკვიდრნენ, შემდეგ კი თურქეთის სომხეთში დაკარგული მიწების ანაზღაურებას ქართული მიწებით შეეცადნენ ახალციხე-ბორჩალოს ზოგი ტერიტორიის პირდაპირ სომხეთთან შეერთების ცდაში.

მსგავსად იყო გართულებული მდგომარეობა საქართველოს უეცლა საზღვარზე. ამ ხანებში მამაჩემს უკვე დაწყებული ჰქონდა მუშაობა „საქართველოს ენციკლოპედიის“ შედგენაზე და მასალების შესაკრებად ბევრს მოგზაურობდა საქართველოს განაპირა რაიონებში მდგომარეობის ადგილობრივ პირობებში საფუძვლიანად შესწავლისთვის, განსაკუთრებით ბორჩალოს, საინგილო-კახის, სამაჩაბლოს, ქსნის ხეობის, აჭარის, მესხეთ-ჯავახეთის, სოხუმ-სოჭის მხარეში. ქართული მიწებისა და ისტორიული საზღვრების დაკარგვის მრავალ პირობათა შორის, უმთავრეს უბედურებად მას ქართველობაში შობადობის კატასტროფიული შემცირება მიაჩნდა, რის გამოც ქართველი ერის ძირითადი შედგენილობის მატება ძლიერ ჩამორჩება გამრავლების ბუნებრივ ნორმებს, მისი გამრავლება პერიოდული მატების საშუალო დონესაც არ აღწევს, რის გამოც შესამჩნევად თხელდება ქართული მოსახლეობა არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ სოფლადაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველთა გამრავლება საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩება აქ მოსახლე სხვა ეროვნებათა გამრავლების ტემპს, რაც ჩვენ არსებობას ჩვენივე ქვეყანაში მეტად სავალალო მომავალს უმზადებს.

იმისათვის, რომ ნაციონალური თვითგანადგურების რეალური საფრთხისაგან თავი გადაეირჩინოთ, მისი აზრით, ქართულ ოჯახებში ერთ-ორ შვილიანი სისტემის ნაცვლად უნდა დაინერგოს ხუთ-ექვს შვილიანი სისტემა. იგი წერდა: „გასინჯეთ დაჯილდოებულ დედათა სია... ქართველს აქა-იქ ძლივას შეამჩნევთ. არც ერთ შემოსეულ მტერს — მურვან ყრუს, ჯალალ ედდინს, ბათუ ყაენს, თემურ-ლენგს, შაჰაბასს, ნადირშაჰს, აღამაჰმად ხანს თუ სხვა დამპყრობელთ, იმდენი ზიანი არ მოუყენებიათ ქართველი ერისათვის, რაოდენსაც ახლანდელი ზოგიერთი შეუგნებელი ქართველი დედანი სჩადიან: ან სულ არ გაიჩენენ, ან ერთს თუ ორს, დანარჩენთ კი ჯერ უშობელთ — მზის სხივთა უხილველს სპობენ, ქვეყანას საძირკველს ურღვევენ და თითონაც იღუპებიან, ან სამუდამოდ სნეულდებიან მაშინ, როდესაც სხვა გვარტომნი ათთხუთმეტობით იჩენენ შვილებს, ჯილდოს ჯილდოზე

იღებენ... ასეთი თვითმოსპობის საქციელი სადამდის მიგვიყვანს, რას უპირებს ჩვენს ერს?.. იქნება ჩვენის გაუმრავლებლობით, ჩვენის ქალებისა და დედების დაუდევრობით, განუკვრეტელობით, უგუნურობით ჩვენი ლამაზი ქვეყანა უპატრონობით ხიფათში ჩავარდეს, სხვებს დარჩეთ საჯიჯგნავად...

„ქართველო, ნუ ღვრი ქართველის სისხლს“

მაგრამ ამ ხანებში, 1917—19 წლებში გასაკვირი მხოლოდ ის არ იყო, რომ ქართველი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი შესამჩნევად გამოცოცხლდა მოქმედებისათვის, რომ განათლებისა და კულტურის დაწესებულებანი ინტენსიურად იღვწოდნენ. საკირველი უფრო ის იყო, რომ დაძაბული ინტელექტუალური და სულიერი ძუძაობის გვერდით საზოგადოებაში მოქმედებდნენ ბნელი ძალებიც, რომელნიც რეგულარულად აწყობდნენ კონფლიქტებს, დივერსიებს, მკვლელობებს, ქურდობა-ძარცვასა და შანტაჟს. პარადოქსალურია, რომ ამ ათასგვარი ნაძირალების ამოძრავებას ხელი შეუწყო რევოლუციით მოპოვებულმა თავისუფლებამ, რომლის ყალბათ გაგებამ ეს თავისუფლება სახელმწიფოს და ხალხის უკეთურებად აქცია. ეს იყო დიდი გაუგებრობა, რომ ქალაქად თუ სოფლად დაბალ ფენებში რევოლუცია და თავისუფლება ისე იყო გაგებული, თითქო აღარ არსებობდა რაიმეს აკრძალვის კანონი, რომ ამის შემდეგ ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა. გლეხისათვის ეს იმას ნიშნავდა, რომ უნებართვოდ შეიძლებოდა ტყეში ხის მოჭრა და ყოველივე დოვლათის მითვისება, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა. ქალაქადაც ასევე იყო გაგებული თავისუფლება, როგორც დაკეტილი საწყობებისა და დუქნების გატეხვა და დაპატრონება. ლოზუნგი თავად-აზნაურობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისა ასე ეგონათ, თითქოს საჭირო ყოფილიყოს თვითეული თავადის ფიზიკური მოსპობა. თითქოს ღარიბებს მდიდრები უნდა გაეღარიბებინათ, მაგრამ ჩვენში რას ნიშნავდა და ვინ იყო ნამდვილად მდიდარი თუ ღარიბი, ამას არავინ იკვლევდა.

ერთი სიტყვით, ეს იყო ლოზუნგები, რომელნიც პირადი სარგებლობისათვის ყველა ზარმაცის, უსაქმურის, ქურდ-ბაცაცა და ავაზაკის მიერ რევოლუციის პრესტიჟის დასაცემად იყო გამოყენებული. ასე აქციეს ჩვენი პროვინცია ხოცვა-ჟლეტისა და ძარცვის სარბიელად, სადაც ხელისუფლებას უკვე ძალა აღარა ჰყოფნიდა აელაგმა ეს ბოროტმოქმედებანი და სამართალი დაემყარებინა. ამ გაუგებრობამ განსაკუთრებით მწვავე და სავალალო გამოხატულება ჰპოვა შუა ქართლ-

ში, სადაც თავადაზნაურობას ოჯახებიანად დაუწყეს ამოხოცვა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მათ ქონებას დაპატრონებოდნენ. ეს ნაძირალები საოცარი გამეტებით დაერივნენ უკაცებოდ დარჩენილ ოჯახებს და კეტებით ხოცავდნენ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს, სძარცვავდნენ მათ ბინებს იმის იმედით, რომ არავის წინაშე პასუხს არ აგებდნენ.

არა ნაკლებად შემაძრწუნებელი, უპასუხისმგებლო მკვლელობანი თუ სხვა სახის დანაშაულობანი თითქმის ყოველდღიურად ხდებოდა როგორც შარა გზებსა თუ დაბა-სოფლებში ძარცვისა თუ პიროვნული კონფლიქტების ნიადაგზე, ასევე ქალაქშიაც, სადაც მთელ ღამეს არა წყდებოდა თოფისა და რევოლვერის ხმა. ადამიანი ვერ ასწრებდა ერთი ბოროტმოქმედების საზარელი ამბით გაკვირვებას, რომ უფრო უარესი ბოროტმოქმედების ამბავი უნდა მოესმინა. დადგა ისეთი დრო, რომ გარანტია აღარ იყო იმისა, თუ გარეთ გასული კაცი უხიფათოდ იმგზავრებდა და სახლში მშვიდობიანად დაბრუნდებოდა. მაგრამ განა სახლში მაინც შეიძლებოდა ტკბილად ძილი? ავაზაკები ბინებშიაც იჭრებოდნენ, ძარცვავდნენ და კლავდნენ, და არა ერთი საზოგადოებრივად ცნობილი პიროვნება გახდა მსხვერპლი შემთხვევითი თუ განზრახული ძარცვა-მკვლელობისა.

ასე უაზროდ და უბედურად შუა ქალაქში მოჰკლეს ლევან ციციშვილი მწერლობაში ცნობილი „ლეოს“ ფსევდონიმით, პოლიტიკურად დევნილი მოღვაწე დ. ამილახვარი, „ლეგატუსის“ ფსევდონიმით ცნობილი, შესანიშნავი პიროვნება დუშიკო ფალავანდიშვილი, გალახეს სოფლის განმანათლებელი კონსტანტინე ამირეჯიბი. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო წამებით სიკვდილი დიდი მამულიშვილის, გორის მაზრის კომისრის გიორგი მაჩაბლისა და მასთან ერთად ძველი რევოლუციონერის, ციხე-კატორღა-ციმბირში ხანგრძლივად ტანჯული, უკვე მოხუცი სანდრო კეცხოველისა, რასაც ცხინვალში ჰქონდა ადგილი. მათი საგანგებო პორტრეტები დაიბეჭდა ჟურნალში 20 ღვინობისთვეს (№ 14). იმავე ხანებში აქსტაფაში მოჰკლეს პეტრე ჩხაიძე მწერლობაში ცნობილი „დიოგენის“ სახელით (იქვე, № 6).

თავდასხმები არც ქალაქში იყო იშვიათი. თბილისში დღის 5 საათზე მილიციონერთა ფორმაში გადაცმულმა ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს ცნობილი ქველმოქმედი ზაქარია ნეფარიძე და ეს სამწუხარო იმ მხრივაც იყო, რომ მძარცველებმა თან წაიღეს სხვადასხვა დაწესებულებათათვის შესაწირავად განკუთვნილი თანხები, რომელთაც სათანადო წარწერები ჰქონდათ გაკეთებული: ქართულ უნივერსიტეტს 5000 მან., სამუსიკო საზოგადოებას 2000 მან., ქართული სიმღერებისა და საეკლესიო ნოტების დასაბეჭდად 3000 მან., ქშწკგს-თვის 1500 მან., და სხვ. (№ 14).

1918 წელს მარტყოფის მონასტერში, დღემდე საიდუმლოდ დარჩენილ ვითარებაში, ტყვიით განგმირეს ახლად არჩეული სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონ მეორე.

ასეთივე საიდუმლო ვითარებაში მოულოდნელად გარდაიცვალა ქუთაისის მიტროპოლიტი ანტონი (ერისკაცობაში ალექსი გორგაძე), დაუცხრომელი ავტოკეფალისტი, უანგარო მოღვაწე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას. კირიონისა და ანტონის გარდაცვალებათა გამო იოსებ იმედაშვილი შენიშნავდა: „საქართველოს ეკლესიის სხეული დაავადებულია, სული დასნეულებული, ქართველი სამღვდელოების ბანაკი ძლიერ მცირე გამონაკლისის გარდა მოშხამულია. ამ მოშხამულ ბანაკის ქვებუდანობის მსხვერპლია უნეტარესი კირიონი და ჩვენის დროის (გაბედვით უნდა ითქვას) ოქროპირი ანტონ ქუთათელი. მკურნალობაა საჭირო. კირიონისა და ანტონის აჩრდილნი ამას მოითხოვენ“ (იოსებ არიმათიელი, სამგლოვიარო ფურცელი, 1918, 20, X, № 14).

განსაკუთრებით შემაშფოთებელი და გულსაკლავი იყო რევოლუციის შემდეგ განთავისუფლებულ სამშობლოში სპარსეთიდან სიხარულით დაბრუნებული სანიმუშო ქართველი პატრიოტის ყარამან კიკნაველიძის ცხოვრების ტრაღიკულად დამთავრება. იგი საკუთარი სოფლის კიკნაველეთის გზაზე დიდი თოვლობის დროს ხონში მიმავალი თოვლზე გაჭრილ ბილიკზე შემწყვდეული ჩასაფრებულმა ნათესავებმა შურიანობისა და გაძარცვის ნიადაგზე ვერაგულად მოჰკლეს და მთელი ოჯახით ამოხოცეს. „თეატრი და ცხოვრება“ ამ საშინელ ამბავს ასე იუწყებოდა: „ყარამან კიკნაველიძე თავისი ოჯახობით, ახლახან ჯვარდაწერილი მეუღლით (ქვარიანის ასული), მოხუცი დედით, დით და ძმებით ამოხოცეს კიკნაველეთში. ეს ის ყარამან კიკნაველიძეა, რომელმაც სპარსეთში დიდი სამრეწველო საქმეები დაიწყო, ქონება შეიძინა, ამას წინად ქართულ უნივერსიტეტს ასი თუმანი ოქროთი გადასცა, კიდევ დახმარება აღუთქვა და სხვათა შორის ფიქრობდა ხელმოკლე სტუდენტთა თავშესაფარის აგებას თბილისში. იგი 1905 წლის მოძრაობაშიაც მონაწილეობდა, რის გამოც თავის დროზე სპარსეთში იყო გადახვეწილი“ (1918, 18, II, № 4).

ამ საზარელი ამბების, ერთმანეთის გაუტანლობის ერთ მიზეზს იმედაშვილი იმაშიაც ხედავდა, რომ ჩვენ პოლიტიკურ პარტიებს სწორედ ეხლა გამოაჩნდათ „ერთმანეთის გაუტანლობის სენი, რაც ხალხსაც მოედვა და აჰა, გადახედეთ, რა ჰხდება ჩვენ საყვარელ სამშობლოში... ნამდვილი ავაზაკები წესრიგის დამცველთა ფორმებში გადაცმულნი, უსაქმურები, ჯარიდან გამოპარული მოღალატენი, რომელთაც არაფრის შიში და რიდი არა აქვთ, უიარაღო ხალხს მძარცველე-

ბად მოევლინენ... გახშირდა ასეთ ქართველ ჯარისკაცთა უწესრიგობა, ქართველი ჯარის სახელით მშვიდობიანი ხალხის რჩევა-აწიოკება. ჯარში გაუგონლობა. სოფლად ზოგიერთ მოსულ ჯარისკაცთა წასისინებით ტყეების გაკაფვა, მგზავრთა გაძარცვა, ყოფილ მემამულეთა ხოცვა, ინტელიგენციის დევნა და სხვ.... გულსაკლავია, რომ ჩვენი მხედარი-ჯარისკაცი სხვის ხელში არწივია, ლომია, შინ კი — მყრალი სვავი, თავისიანზე მონადირე... გონს მოდი, გონს მოდი, ჩემო ძმაო ქართველო ჯარისკაცო!... (თავის ანაბარა, 1918, 18, II, № 4).

დღეს ისეთი დროა, რომ საქართველოდან ქუდზე კაცი უნდა გავიდეთ, პარტია-პურტიობაზე ხელი ავიღოთ, ჩვენი მიწა–წყალი და თავისუფლება საკუთარი მკერდით დავიცვათ, დღეს ჩვენც ჩვენად ვიყოთ (ვინ უნდა ვიყოთ, იქვე, 2, IV, № 6). ჩვენ ქვეყანაში შემოხიზნულნი ირაზმებიან იარაღით, ფულით, ქონებით... ჩვენ საკუთარ თავს მივხედოთ... მამხილებელ წერილში: „ქართველო, ნუ ღვრი ქართველის სისხლს“ (იქვე, № 4) მან პირდაპირ განაცხადა: „თავზე ხელაღებული ბრბონი ჩალადაც არ აფასებენ ადამიანის სიცოცხლეს. ბრალიანთან უბრალოსაც სპობენ. ძმანო, მრავალტანჯულ საქართველოს მიწის მშრომელნო, თუ ქართველის სახელს ატარებთ, ნუ ღვრით ქართველის სისხლს... ასეთის ხოცვით მტერს კი არა ჰკლავ, არამედ შენს მოძმეს, რომელიც ხვალ და ზეგ გვერდს უნდა ამოგიდგეს“.

ბოღმაჩაკლული სევდით შესცქეროდა მამაჩემი ქართველი ხალხის მტრების გარემოცვაში ყოფნას, ეროვნული გადაგვარების საფრთხეს, გაურკვეველი მომავლის მოლოდინში ქართველი ინტელიგენციის, გლეხებისა და მუშების უმწეო მდგომარეობას, გაუთავებელ მკვლელობებს, ექსცესებს, დივერსიებს, აღარ თავდებოდა ჩასაფრება, დაცემა, ძარცვა, კონფისკაციები. გულსაკლავი იყო ისიც, რომ დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის დიადი მსხვერპლით არა თავდებოდა ჩვენი ერის სისხლიან გზაზე სიარული და თოფის გაუსროლელადაც კლავდნენ ხალხის საუკეთესო შვილებს ათასგვარი ცილისწამებით თვით ჩვენ სხეულში ჩათესილი სამშობლოს მოღალატენი, გარეშე მტრების იარაღად გადაქცეული თანამემამულე გამცემნი, რომელნიც შეურაცხყოფდნენ ქართველი ერის ისტორიას, ხალხის გონებას, სულს, სწამლავდნენ ქართულ მიწას, წყალსა და ჰაერს.

იმის მაგივრად, რომ ქართველობა პარტიულობის, წოდებრიობის, კლასიურობის, ცენზის, ქონების თუ სხვა ღირსებათა მიუხედავად ყველა ერთნაირად თავისი სამშობლოს სასიკეთოდ გაერთიანებულიყო, საერთო ძალებით დაეძლიათ პოლიტიკურ-ეკონომიური სიძნელენი, ისინი ვიწრო, პირადული ანგარებით აღძრულნი ერთმანეთს სამკვდროდ ეკიდებოდნენ. ამის გამო ჩვენ მიწაწყალსა და დაწესებულებებში მოკალათებულნი უცხონი უკეთ სარგებლობდნენ ჩვენი ქვეყ-

ნის ყოველგვარი დოვლათით, თვითონ ჩვენ კი საკუთარ ქვეყანაში ნაცუმცირესობის მდგომარეობაში ვიმყოფებოდით და უნიათოდ ვუცქეროდით თუ სხვები როგორ მდიდრდებოდნენ და შენდებოდნენ ჩვენ ქვეყანაში. გარეშე თუ შინაური მტერი კიდევ უფრო ემუქრება ჩვენ ქვეყანას,— ამიტომ ჩვენი უდიდესი პარტია — ჩვენი წამებული სამშობლოა, ჩვენი მომავალი საქართველოს გაერთიანებაა... „კმარა რაც თავში გვიფაჩუნებდნენ, ფეხქვეშ გვთელავდნენ და უცხო ქვეყნებში უცხოთა წინააღმდეგ გვაბრძოლებდნენ... ჩვენი სამშობლო, ჩვენი კერა, ჩვენი ხალხი თვითვე საჭიროებს ყოველი ქართველის ძალღონეს“ (ჩვენი აღდგომა, 1918, 5 მაისი, № 7).

სისხლისა და შიმშილის ფსიქოზში

მთელ საუკუნეს ნანატრი რევოლუცია ჩვენში თუმცა სისხლის, ნგრევისა და შიმშილის პირობებში განხორციელდა, მაგრამ თავისუფლების განცდით მოტანილ სიხარულში თითქოს არ იგრძნობოდა ყოველდღიურობის ტკივილებით გაძნელებული არსებობა. ცხადია, ზოგთათვის გაგრძელებული რევოლუციის ექსტაზი წუთიერი გამოდგა, რადგან ომის მდგომარეობა არა თავდებოდა, რომელსაც ეპიდემიებით, ტილითა და შიმშილით თითქოს, ის იყო, ყველაფერი ლამაზი და წმინდა უნდა მოესპო და დაემარხა. შეუჩერებელი კატასტროფებითა და სიკვდილით მოტანილი უბედურება ისიც იყო, რომ არა მხოლოდ მატერიალური ღირებულებანი ნადგურდებოდა, არამედ შეუჩერებლად ინგრეოდა ადამიანის სულიერი და მორალური კონსტიტუცია.

ამ დროს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია ისევ მადათოვის კუნძულზე ბინადრობდა, საკმაოდ გრძელი და უშნო შენობის პირველ სართულზე მოთავსებულ მიხეილ გაჩეჩილაძის „სოროპანის“ სახელით ცნობილ სტამბაში. ეს კუნძული თბილისის მთავარი ქუჩებისა და უბნების შეიძლება ითქვას გეოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენდა და თავისი პატარ-პატარა სახელოსნოებით, დუქნებით, ბაზრით, მთავარი ფოსტითა და არა-ერთი კულტურული დაწესებულებით მნიშვნელოვან სასიცოცხლო არტერიასაც. ამჟამად მადათოვის კუნძული აღარ არსებობს, — იქ მტკვრის მარჯვენა მხარეს, სადაც ახლა სანაპირო ბაღია, მაშინ ორივე მხრივ მტკვარი ჩაუდიოდა.

ჩვენი რედაქციისათვის ის იყო კარგი თუ ცუდი, რომ ე. წ. „ალექსანდრეს“ ბაღთან ახლოს ვიყავით, სადაც მაშინ თითქმის ყოველ დღე გაუთავებელი მიტინგები იმართებოდა ხოლმე, რომლებსაც უმთავრესად ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და მუშები ესწრებოდ-

ნენ. სალაპარაკოც ბევრი იყო და უფრო ბევრი მოლაპარაკე — რას მოგვცემს რევოლუცია, როდის გათავდება ომი, რა უნდა მოვითხოვოთ დროებითი მთავრობისაგან? ამ მიტინგებს თითქოს ომის, ჯანყისა და შიმშილის სუნი სდიოდა, იქ ყოველთვის ისმოდა ეგზალტირებულ ორატორთა ხმა და ხალხის გაუთავებელი ერიამული იდგა.

თქმა არ უნდა, ამ მიტინგების მოვლენაში სტიქიურად იხატებოდა სიტყვის თავისუფლების ჟინი, მაგრამ დიდი ცთომილება ის იყო, თითქოს თავისთავად მარტო ამ მიტინგებს მართლაც შესძლებოდეთ რაიმეს გადაწყვეტა, იმისაც, რაც ბრძოლის ველზე ამოდენა სისხლის ღვრით მთელი მსოფლიოს არმიებმა ვერ გადაწყვიტეს, ანდა სახელმწიფომ ვერაფერი რომ ვერ უშველა შიმშილს, სისხლისღვრას, ყაჩაღობას, ქურდობას, თითქოს ამ ლაპარაკით და არა უშუალო მოქმედების გარეშე ეშველებოდა. უფრო ნამდვილი კი ის იყო, რომ შიმშილისა და სისხლის ღვრის უბედურებას მიემატა მესამე უბედურება — სწორედ ეს მიტინგომანია, კრებები, რომელთა დასასრული არა ჩანდა, ყველა ლაპარაკის გუნებაზე იყო, საქმეს არავინ აკეთებდა და დემაგოგიური ლოზუნგებით უფრო მეტად ღრმავდებოდა უიმედობისა და შეეჭვების ატმოსფერო.

აი, რაკი ამ დამღლელი მიტინგების ბუდესთან ასე ახლოს ვიყავით, ბაღიდან ჩვენ რედაქციას ბევრი ვინმე ნაცნობ-უცნობიც ეტანებოდა, ჩქარა მოჰქონდათ ახალ-ახალი მართალი თუ ტყუილი ამბები და მწერლების, იურისტების, არტისტების გარდა, ომისა და შიმშილის ფსიქოზით მოცული სხვადასხვა პროფესიის ხალხიც აღარ ათავებდა ხოლმე ლაპარაკს გამარჯვება-დამარცხების, ზავის, სიძვირის, ფულის გაუფასურების, ქვეყნის დამშვიდება-მოწყობისა თუ მწერლობის, თეატრისა და ხელოვნების მრავალგვარ საკითხებზე.

იმ დროს რედაქციის ხშირი სტუმრები იყვნენ — ზაქარია ჭიჭინაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ია ეკალაძე, ვარლამ რუხაძე, სიკო ფაშალიშვილი, ლეო ქიაჩელი, ვასო აბაშიძე, ნიკო გოცირიძე, შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, ალ. იმედაშვილი, იოსებ გედევანიშვილი, ტრიფონ რამიშვილი, ნიკო შიუკაშვილი, ნ. გერგესელი, მიხეილ ჭიაურელი, სიმონ წერეთელი, გიორგი ჯაბაური, მოსე თოიძე, შალვა მამალაძე, ალ. ცომაკურიძე, გიგო ზაზიაშვილი, ოსკარ შმერლინგი, ლადო გუდიაშვილი, გ. გაბაშვილი, ნოე ჩხიკვაძე, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, პოლიო ირეთელი, სკანდარონოვი, ანტონ განჯისკარელი, ბეგლარ ახოსპირელი, იეთიმ გურჯი და თითქმის ყოველდღიურად იოსებ გრიშაშვილი.

რასაკვირველია ამ მეტნაკლებად მშიერი ინტელიგენციისათვის მაინც იმდენად ძლიერი იყო რევოლუციური შთაგონება, რომ ფანატიკურად სწამდა თითქოს რევოლუცია შობდა რაღაც ძალას, რომელიც

ყველა უბედურებას ერთბაშად ბოლოს მოუღებდა, ყველას ნანატრი აუსრულდებოდა. ამიტომ იყო, რომ ყოველგვარ იმედგაცრუებათა, აულიერ წუხილთა, ფიზიკურ ტანჯვათა და მატერიალურ ნაკლებობათა გადატანა ერთგვარ გმირობადაც იქცა და ბევრნიც ნათელი მომავლის იმედით ყოველგვარ მსხვერპლზე დაუნანებლად მიდიოდნენ.

* *

ეს დრო, სავსე მოულოდნელი განსაცდელებით, ადამიანისაგან ცხადია მეტ სულიერ და ფიზიკურ ენერგიას მოითხოვდა, რომ არა მხოლოდ ნორმალურად ემსახურა თავის სამუშაოზე, არამედ როგორც მოქალაქესაც ეცხოვრა, რაც თანდათან უფრო ძნელდებოდა საერთო ნგრევისა და შიმშილის პირობებში. აშკარა ის იყო, რომ რევოლუცია არა თავდებოდა, გრძელდებოდა, მისი მიმართულება შესაძლებელი შედეგებით ჯერ მთლიანად არ იყო გამოკვეთილი, რის გამოც ყოველ დღეს ახალი ამბავი მოჰქონდა პოლიტიკის, ჯარის, ფრონტის, ტრანსპორტის, სანოვაგის მომარაგების, ფულის კურსის მდგომარეობაზე, რაც კიდევ უფრო აძნელებდა ცხოვრების ორიენტაციას. როდის დაწყნარდებოდა ომებით დანგრეული და გადაღლილი მსოფლიო, რომ მშვიდობიანი ცხოვრება დაწყებულიყო, ეს არავინ იცოდა.

უშუალოდ საგრძნობი კი ის იყო, რომ გაჭირვებამ, შიმშილმა, ფართე მოხმარების საქონლის ნაკლებობამ, ფულის კურსისა და სურსათის ფასის მუდმივმა ცვალებადობამ საეჭვო ხვალის მოლოდინში ადამიანებს შორის მანამდე უცნობი უნდობლობისა და შურის მიმართებანი დაამყარა და საზოგადოება მომარაგების თვალსაზრისით ფენებად დაიყო, ძირითადად მუდმივად მაძღრებად და მუდმივად მშივრებად. მაძღარნი იყვნენ საკუთარ ნაჭუჭში უზრუნველ ყოფნას მიჩვეული საქმოსნები, რომელნიც რევოლუციისა და ჰუმანიზმის მხოლოდ ლოზუნგებს იზეპირებდნენ, რევოლუციის მონაპოვრებით ყველაზე უკეთ სარგებლობდნენ, მაგრამ რაიმეზე თავის დადება კი არ უნდოდათ. ესენი იყვნენ ყოველგვარი სახის მედროვენი, რომელნიც ჩვეულებრივ სწორედ საზოგადოებრივი ცხოვრების გართულების პირობებში ახერხებდნენ საქმოსნობით თავის გატანას.

საზოგადოების დიდ ნაწილს შეადგენდნენ რევოლუციის პირვანდელი იდეალებით აღფრთოვანებულ-დაიმედებული მუშა-მოსამსახურენი, კულტურის მუშაკები, ინტელიგენციის ფართე ფენა, რომელნიც ყოველთვის რევოლუციის მხარეს იდგნენ და მიაჩნდათ, რომ დროებითი სიძნელენი ვერ ჩაახშობენ რევოლუციის იდეალებს, რომ არ შეიძლება ეს სიძნელენი რევოლუციის მუდმივ მოვლენებად მივიჩნიოთ. მათი უმრავლესობა მზად იყო რევოლუციისათვის ყველ-

გვარ მსხვერპლზე წასულიყო და ყველაფერი აეტანა, თუმცა მათშიც მოიპოვებოდნენ ისეთნიც, რომელნიც ჩქარ გამოსავალს რომ ვერ ხედავდნენ, სინანულში ვარდებოდნენ, გაცრუებულ იმედებზე წუწუნებდნენ, თუმცა ისინიც საბოლოოდ პროგრესიული მოძრაობის მხარეზე რჩებოდნენ.

ასეთ გარემოში დაიბადა საზოგადოების ეს მერკანტილური ფენა, რომელიც არაფერზე არ აგებს პასუხს, იმ ყბადაღებული პრინციპით, რომ არ არსებობს ჰეშმარიტება, ყველაფერი ნებადართულია. ამ უპასუხისმგებლობის გარანტიამ გზა მისცა ყოველგვარი სახის მორალურ მარაზმს, სოციალურ ანომალიებს, როგორც ნორმას. ასეთ პირობებში ჩვეულებრივ კულტურის მუშაკები ზარალდებოდნენ, რადგან ომითა და მასობრივი შიმშილ-სიკვდილიანობით გამოწვეულ საერთო კრიზისების თანდათანი გამწვავების ვითარებაში, ადამიანური გრძნობების დაჩლუნგებას ზოგთათვის ხელოვნების ღირებულების დაცემა მოჰყვა, თუნდაც იმ ნიშნის მიხედვით, რომ პურის ფულს ყველა არ გაიმეტებდა წიგნისა თუ თეატრის ბილეთის შესაძენად. ეს კი თითქოს იმას ნიშნავდა, რომ ხელოვნებას ფასი ეკარგებოდა, რის გამოც კულტურისა და მეცნიერების მუშაკები უნდა დამშეულიყვნენ და დაიმშნენ კიდეც, იმიტომ, რომ ინტელიგენციას მანამდე არა ჰქონდა გამომუშავებული მატერიალური უზრუნველყოფილობის საჭირო გამოცდილება.

რასაკვირველია, მაშინდელი საყოველთაო გაჭირვება და შიმშილი ბევრმა გამოსცადა, მაგრამ არა ერთნაირად და ადამიანის ნებისყოფისა და ხასიათის ამ უმძიმეს გამოცდაში მნიშვნელობა სწორედ იმას ჰქონდა, თუ პიროვნულად ვინ როგორ უძლებდა არაჩვეულებრივ დაძაბულობას, რა სულიერი და ეკონომიური ენერგიის მარაგით შეხვდა საერთო სიყმილის საშინელებას. მისი განუსაზღვრელად დიდი ზემოქმედების გასაგებად კი არაა დასავიწყი, თუ შიმშილმა როგორი საბედისწერო როლი შეასრულა ომების მსვლელობასა თუ რევოლუციის დაჩქარებაში.

ერთი სიტყვით, ქვეყანა დაიმშა, ხალხს ნამდვილი პურის, ხორცისა და ყველის სუნიც ენატრებოდა, ჩქარა დაიკარგა ჭამა-სმის ყოველგვარი ლაზათი და გემო, სანახავად გაქრა ყოველგვარი ხორცეული და თევზეული, უბრალო მოთალიც აღარ იყო. იშვიათად გამოჩნდებოდა კარაქი თუ შაქარი და ისიც ისე ძვირი, რომ მხოლოდ მდიდრები თუ შესძლებდნენ ასეთი სანოვაგით არსებობას.

მრეწველობა დანგრეულ, სოფლის მეურნეობა მოშლილ ქვეყანაში თავისთავადაც აუტანელ დამშევა-გაპარტახებას ხშირი ეპიდემიებიც ამძაფრებდნენ, არა იშვიათად კი მოსახლეობა ტილის საერთო შემო-

სევებითაც იყო ხოლმე შეშფოთებული და სავალალო ის იყო, რომ მსგავს უბედურებათა ზემოქმედებამ კულტურის, ხელოვნების, მწერლობის სფეროებსაც შეაღწია. მან გამოხატულება ჰპოვა წიგნის, გაზეთის, ჟურნალის გამოცემებზედაც და აქ ამ წახდენას იმიტომაც ვეხები, რომ ეს უბედურება ჩვენი რედაქციისა და სტამბის მუშებსა და თანამშრომლებსაც ერთნაირად დააცხრა და პირადად ჩვენც ვიყავით მისი მსხვერპლი, ჩვენც მუდმისად გვდევნიდა მეტი გასაჭირისა და უბედურების მოლოდინი. ჰაერში კიდევ იდგა დენთის, სისხლისა და ოფლის მძაფრი სუნი. უნდობლობისა და ყველაფერზე შეეჭვების გრძნობა გადამეტებული ნერვიულობით მუშაობის პირობებს აძნელებდა. ყველაფერი ეს ჩვენ ჟურნალსაც დაეტყო საერთო საგამომცემლო გემოვნების დაცემით, შინაარსსა და ენაზე რომ აღარაფერი ითქვას, საბეჭდი ქაღალდისა და საღებავის უვარგისობის გამო მან მკვეთრად დაკარგა მხატერული გაფორმება, გაუარესდა კორექტურა და სტილიც შეირყვნა.

ჩვენი ოჯახისათვის ეს საბედისწერო დრო ტრაღიკულადაა მოსაგონარი უფრო იმით, რომ სასტიკი შიმშილისა და სიცივის პირობებმა 1917 წელს ჩემი ჩვილი ძმა ფარნაოზი იმსხვერპლა, მამაჩემის მერვე შვილი, მის სამაგიეროს მეცხრეს ისევ ფარნაოზი დაარქვეს.

ამ უბედურებებით დაუვიწყარი 1917 წლის საერთო დამშევის განცდის ფსიქოზში მით უმეტეს ძლიერ იყო შესამჩნევი „სორაპანის“ სტამბის პატრონის მიხეილ გაჩეჩილაძის მეტად უხვიერი, ასე ვთქვათ მეთოდური სადილობა თავის სამუშაო მაგიდაზე ყოველ დღეს განსაზღვრულ დროს. გამზადებული სადილის სრული კომპლექტი წვნიანი, შემწვარი და დასაყოლებელი ბინიდან მოსდიოდა, — მადიანად შეექცეოდა, ნეტარებით, თითქოს რიტუალს ასრულებსო. უხდებოდა კიდეც — ვეებერთელა ტანისა იყო. თავის სამუშაო მაგიდას სადილისათვის რომ მოამზადებდა და ჭამას შეუდგებოდა, ირგვლივ აღარავისა და აღარაფერს ხედავდა. ხშირადაც მთელ დედალს ისე გაათავებდა, არავის მიიპატიჟებდა. ასე ნაყროვანებაში ჩაძირული თავისი მაძღრისობით ირგვლივ მოშიებულთ თვალებს აბრეცინებდა ხოლმე. ერთი სიტყვით, გაჩეჩილაძემ, როგორც იტყვიან, თავისი თავის პატივი იცოდა და მაშინდელ საზოგადოებაში, ალბათ, იმ იშვიათი მოქალაქის ტიპს წარმოადგენდა, ვისაც სახეზე შიმშილის დაღი არა ჰქონდა დასმული.

გაჩეჩილაძის ჭამიერება მით უმეტეს იყო შესამჩნევი, რომ მის ირგვლივ მუდმივი უჭმელობით არაჭათ გამოცლილი სტამბისა და რედაქციის თანამშრომელნი ლანდებივით დადიოდნენ, ისე რომ ხმამაღალი ლაპარაკის ღონეც აღარა ჰქონდათ. იმავე ოთახში, მიხეილის გვერდით, მაგიდასთან თავჩაქინდერით მომუშავე მამაჩემს კი რე-

დაქციაში ასე საგანგებოდ არასოდეს უსადილია, ან ექვსი შვილის პატრონი დედაჩემი რას მიუტანდა საჭმელად, რაც არა ჰქონდა? კარგად მახსოვს, რომ ჩვენი ოჯახისათვის დილიდანვე რის გაჭირვებით ნაშოვნი თონის ორი ცხელი პური რედაქციაში სახლისათვის წასაღებად რომ შრებოდა, ისიც მომსვლელ-წამსვლელ დამშეულ მწერლებს ხშირადაც აქეთ-იქიდან მოტეხვა-მოჩიჩქნაში შემოეჭმებოდათ ხოლმე.

გვიან საღამოს მამაჩემი რედაქციიდან სახლში რომ მოვიდოდა, სიხარულით შემოვუსხდებოდით ხოლმე სუფრას იმ პურის შესაჭმელად, რომელიც მწერალთაგან მოტეხვას იყო გადარჩენილი. როგორც ხდება ხოლმე, შიმშილის ფსიქოზში მყოფის თვალებს ყველაფერი ცოტა ეჩვენება, არაფერი არ აძღობს. ასე ვიყავით ჩვენც და მახსოვს, რომ რაკი ვერა ვძღებოდით, დედაცა და მამაც თავის ლუკმებსაც ჩვენ შეგვაჭმევდნენ ხოლმე. პირადად მამაჩემი სავსებით არა ყოფილა შიმშილით სხვებსავით შეძრწუნებული, რადგან ჩვეულებრივადაც, ნორმალურ პირობებში, ნაწილობრივი შიმშილის მომხრე იყო, სანიმუშოდ თავშეკავებულ, აუცილებელ კვებას იყო მიჩვეული და ყოველთვის სასტიკად ებრძოდა მაძღრისობას, როგორც ავადმყოფობას. მას ჰამა-სმას გადაყოლილი ხალხი ეცოდებოდა და ხშირად იმეორებდა — მუცელს მოაქორებ — ქორია, მოაღორებ — ღორიაო, სუფრიდან ისე უნდა ადგე, რომ კიდევ გშიოდესო. თვითონ არასოდეს არა ვახშმობდა, გამორჩეულად რომელიმე საჭმელი არ უყვარდა, მუდმივად ეტანებოდა მხოლოდ ხახვს, ნიორს და მწვანილეულობას. მაგრამ არ გაგვიკვირდეს, რომ მას სხვათა შიმშილი და გაჭირვება უფრო აწუხებდა და თვითონ უსახსრო სხვების დახმარებას ცდილობდა ხოლმე.

ამიტომაც საგამომცემლო საქმიანობის გართულებასთან დაკავშირებულ მიმოხილვებში, თუ ქრონიკულ ამბებში ზოგჯერაც ათავსებდა ხოლმე ცნობებს ცალკეულ მწერალთა უმწეო მდგომარეობაზე. მისი მიზანი იყო საზოგადოებრივი აზრისა და გარკვეული ორგანიზაციების ყურადღება მიეპყრო უნუგეშო მდგომარეობაში მყოფ ქართული მწერლობისა და კულტურის წამყვან მოღვაწეთათვის მინიმალური მუდმივი დახმარების აღმოსაჩენად. ამ მიზნით მან წამოაყენა „სამწერლო ფონდის“ დაარსების იდეა, რომელსაც შეეძლებოდა გაჭირვებაში მყოფი მწერლების სისტემატური დახმარება. მსგავსი განზრახვა მას ადრეც 1910 წელს გამოუთქვამს მსახიობთა უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით (№ 4).

მწერალთა საეალალო მდგომარეობის აღწერას იგი კონკრეტული შემთხვევით იწყებდა: „ჩვენი უნიჭიერესი ბელეტრისტი ვ. ბარნოვი, რომელსაც ორმოცდაათამდე თვალსაჩინო ნაწარმოები აქვს (8—10 ტომამდე) და თვითეული მისი შენამოქმედი ჩვენის მწერლობის მარ-

გალიტია, აი ეს მწერალი დიდი ოჯახის პატრონი და მრავალი გაკვეთილით დატვირთული (მასწავლებელია) სურსათ-სანოვაგის მწკრივებში ჰკარგავს ერისთვის უძვირფასეს დროს... არა ერთგზის შენიშნავთ მას სასურსათო სავაჭროების წინ თავისი ბიბლიურ-მოციქულებრივი სახით, ჰაღარა შერთულს, გადალასლასებულს (სწორედ ასე ვნახეთ გასულ კვირაში საპნის მწკრივში)... თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან მისი თანამედროვე თანამეკალმენი ს. მგალობლიშვილი, მელანია, ლალიონი, ბაჩანა, თ. რაზიკაშვილი. თითოეული მათგანი დღიური ცხოვრების ზრუნვაშია გართული“ (1918, 22 ენკ., № 13).

იდეა „სამწერლო ფონდის“ დაარსებისა სახელმწიფოებრივი მასშტაბით მაშინ არ განხორციელებულა, მაგრამ მწერლებისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეს ნაწილობრივად მაინც შველოდა კერძო ინიციატივა, იმ მხრივ, რომ თითო-ოროლა შეძლებული პიროვნება საქველმოქმედო მიზნით მწერლებსა თუ მსახიობებს ხელს უმართავდნენ ცალკეული შეწირულებებით. მაგ., მიტროფანე ლაღიძე, უფრო სისტემატიური და საგრძნობი იყო დახმარება ცნობილი ქართველი მეცენატის ხოშტარიასი, რომელიც მაშინდელ მოწინავე ქართველ მწერლებს სიის მიხედვით ყოველთვიურ თანხას უხდიდა, რომ გაჭირვებული დროისათვის გაეძლოთ. დამხმარე შემოსავალს მსახიობთათვის წარმოადგენდა ბენეფისები, მწერალთათვის კი ხშირი სალიტერატურო დილა-საღამოები. ასე იყო საერთოდ — სახელმწიფო მმართველობის ქაოტური მდგომარეობის გამო ბევრი რამე კერძო ინიციატივით ხორციელდებოდა.

ყოველივე აქედან ისიც ჩანს, რომ შიმშილი მხოლოდ კვების გასაჭირი არ ყოფილა, მისი მოძალება იქცა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკის რეალურად მოქმედ ფაქტორად, რომელმაც შეცვალა შრომისა და ცხოვრების რიტმი და ადამიანებს შორის მანამდე უცნობი სიტუაციები წარმოშვა მკაცრი განწყობილების დამყარებით და თავისებური გავლენა მოახდინა არც მხოლოდ სოციალური ცხოვრების შინაარსსა და რიტმზე, არამედ გარკვეულ ისტორიულ მოვლენათა მსვლელობაზედაც. შიმშილის წინააღმდეგობრივ ემოციებს მრავალმხრივი გამოხატულება ჰქონდა, რომლის დამთრგუნველი ძალა ყველაზე მეტად ხელოვნებათა სფეროში მოქმედებდა, მწერალთა შემოქმედებაზე, პოეტის, კომპოზიტორის ფანტაზიაზე, თემატიკაზე, ხასიათსა და სტილზე, როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფითი შედეგებით.

ამრიგად შიმშილი ერთი მხრივ თუ ადუნებდა პიროვნული ღირსების შეგრძნებასაც, მეორეს მხრივ ამძაფრებდა სიამაყის პათოლოგიურ გრძნობას. ეს იყო აპატიური განწყობილებაცა და ენერგიის მო-

ზღვაებაც, მოქმედების ექსტაზიც. ზოგს შიმშილი თუ პიროვნულ დეპრესიაში ამყოფებდა, ზოგთათვის აღმავალ შემოქმედებით განწყობას ჰქმნიდა. ეს ქართული პოეზიის სინამდვილეში ნათელია თუნდაც გალაკტიონ ტაბიძის 1916—1920 წლების ბრწყინვალე ლექსებით, რომელთა მოვლინება „არტისტული ყვავილების“ კრებულით მის ცხოვრებაში ყველაზე მეტად დამშეული ხანა იყო. რასაკვირველია, შიმშილის ფსიქოზთან ერთად მის მთავარ წყაროს რევოლუციური ქარიშხლის ზემოქმედებაც წარმოადგენდა, რომელიც თავისთავად დაღდასმული იყო იმ დროთა მშიერი დღეებითაც.

ამიტომ როგორც არ უნდა აიხსნას შიმშილის მოვლენა და მისი ზემოქმედება ქართული კულტურის მოღვაწეთა ცხოვრებაზე, მან პირველი რევოლუციის თაობას მხოლოდ პათოლოგიურად საზარელი ემოციები არ მოუტანა. თუ შიმშილი ქმნიდა დაცემულობის, განწირულების განწყობას, რამაც მოიცვა მთლიანად იმ ხანების ხელოვნებათა სტილი და წარმოშვა ანომალური პრინციპებისა და მიზნების მქონე ლიტერატურული მიმდინარეობანიც ფუტურიზმ-დადაიზმისა და ხელოვნებაში კუბიზმის, საერთოდაც მრავალსახეობებით, მანვე არა ერთი შემოქმედის ცხოვრებაში აამოძრავა დიდი შთაგონების იმპულსებიც. შიმშილსა და გაჭირვებაში შემოქმედი ენერგიის უჩვეულო ზრდას, სიცოცხლისა და შემოქმედების წყურვილის გამძაფრებას კარგად გვიჩვენებს ჩვენი ათიანი წლების ცხოვრება, როდესაც საერთო კრიზისების მიუხედავად საქართველოში არა ერთი დიდი ისტორიული მნიშვნელობის საქმიანობას ჩაეყარა საფუძველი. აქ საგულისხმო ისიც არის, რომ ეს ეროვნული მნიშვნელობის საქმეები უფრო მეტად კერძო ინიციატივით ხორციელდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ცოცხლობს ის თაობა, რომელსაც ცხოვრებაში საზოგადოებრივი, ეროვნული იდეალები ამოძრავებდა და უნარი ჰქონდა შერჩენილი საკუთარი კეთილდღეობის დათმობის საფასურად საზოგადო საქმე ეკეთებინა. ეს იყო უმთავრესად ეროვნული კულტურის სარბიელი, მწერლობის, ხელოვნების, განათლებისათვის ხელის შეწყობა, კულტურულ დაწესებულებათა გახსნა, სამეცნიერო ლაბორატორიების მოწყობა, მუზეუმების დაარსება, ეროვნული ხუროთმოძღვრების შესწავლა-დაცვა, ქართული თეატრი და ოპერა, ხალხური შემოქმედება, ძველი ქართული მწერლობისა და ისტორიულ თხზულებათა გამოცემა, ძველი ქართული სიმღერა-გალობის აღდგენა, — ყოველივე ის, რაც ერის კულტუროსნობის პრესტიჟს ეხებოდა. მათ შორის რასაკვირველია ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქართული უნივერსიტეტის გახსნა თბილისში, რამაც ფრთები შეასხა ქართველთა საუკუნოვან ოცნებას საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის აღდგენაზე.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება

ქართველი ერის ცხოვრებაში დიდი ხნის ნანატრი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებამ გააერთიანა რუსეთისა და ევროპის ქალაქებში მიმოფანტული ქართველი მეცნიერები. ეს პროფ. ივანე ჯავახიშვილის დიდი ზრუნვით იყო განხორციელებული. ქართულ ენაზე უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო კერის შექმნას უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდა ქართველი საზოგადოება, საბედნიეროდ, პირველივე ბირთვი ქართველი პროფესორებისა სანიმუშოდ მაღალკვალიფიციურ მეცნიერთაგან შესდგებოდა, რომელთაც მოკლე დროში შესძლეს როგორც კომპლექსურად სრულყოფილი სწავლების უზრუნველყოფა, აგრეთვე ძირითად დისციპლინებში სამეცნიერო მუშაობის წარმატებით გაშლა.

1917 წლის 10 მაისის თარიღით „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციამ მიიღო ივანე ჯავახიშვილის ხელმოწერით შემდეგი მიმართვა:

„ეს ცნობა გასახმაურებელი არ არის

პარასკევს 12 მაისს საღამოს 8 საათზე თავადაზნაურთა და დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დაიწყება ყველა ქართულ სამეცნიერო, საკულტურო და საკრედიტო დაწესებულებათა, ყველა პარტიების მთავარ კომიტეტების და დროგამოშვებით გამოცემათა წარმომადგენლების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება ქართულ უმაღლეს სამეცნიერო სასწავლებლის დაარსების საჭიროების შესახებ. მოხსენების შემდეგ მსჯელობა იქმნება ამავე საგანზე. გთხოვთ ამ კრებაზე მონაწილეობის მისაღებად თქვენი წარმომადგენელი გამოგზავნოთ“.

ქართული უნივერსიტეტის საჭიროებისა და მისი დაარსებისათვის სამზადისის მიმდინარეობას იოსებ იმედაშვილი პირველად შეეხო წერილში „მეცნიერების კერა. ქართული უნივერსიტეტის შესახებ“ (1917, 8 ღვინობისთვე, № 39), რომელშიაც აღნიშნავდა: „ჩვენი ცნობილი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი თურმე კარგა ხანია ფიქრობდა სამშობლო ქვეყნის ამ ნაკლზე, დაიწყო მუშაობა ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად და ამ აზრს ფრთებიც შეასხა... თბილისსა და ქუთაისში ჩატარებულ ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებებზე ერთხმად იყო გადაწყვეტილი ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რის შემდეგაც პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა.

ღვინობისთვის 3 თბილისში შესდგა ქართული უნივერსიტეტის მეორე კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია საუნივერსიტეტო საბჭოს, გამგეობის და საფინანსო კომისიის ასარჩევად... კრება გაგრძელდება 8 ღვინობისთვეს დეპუტატთა საკრებულოში

(ფრეილინის ქ. № 11). საბოლოოდ არჩეული იქნებიან ზემოხსენებული კომისიები და უნივერსიტეტის გამგეობა".

ეოსებ იმედაშვილი ქართული უნივერსიტეტის დაარსებას შეეგება როგორც ჩვენი ქვეყნის აღდგენა-დაწინაურების, მოწინავე ერებთან გათანასწორების ერთ მთავარ ფუძეს. მისი სიტყვით, წინათ თუ უცხო ქალაქის უნივერსიტეტიდან, უცხოთა შორის განათლება მიღებული ქართველი ახალგაზრდა ხშირად დიპლომიანი გვიბრუნდებოდა, მაგრამ არა იშვიათად დაავადებული ჭლექით თუ რაიმე ავი სენით, სულიერად და სხეულით გადაგვარებულიც, უცხო ქალაქში, უცხოთა შორის, უცხო ცის ქვეშ, სადაც ცოცხალ აზროვნებას, ჭეშმარიტ მეცნიერებას ალმაცერად უყურებდნენ, თითქმის ცხრა მეათედ შემთხვევაში დიპლომიან უვიცებს გვიზრდიდნენ... ამან დასცა და გაანახევრა ჩვენი ხალხის შემოქმედებისა და თვითმოქმედების უნარი. ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად ისჯებოდა მდაბიო ხალხი, ნამდვილი ქართველი ხალხი, რომლის შვილები რის ვაი-ვაგლახით საშუალო სასწავლებელს გაათავებდნენ, მერე კი, თუ უმაღლეს სასწავლებელს — უნივერსიტეტს ეღირსებოდნენ, შიმშილ-სიცივით იტანჯებოდნენ, ანუ თუ უნივერსიტეტს ვერ ეღირსებოდნენ, არც სწავლულებში ერივნენ, არც უსწავლელებში... მხოლოდ იშვიათი ძალ-ღონისა და ხასიათის კაცნი თუ ახერხებდნენ რუსეთის უნივერსიტეტებში ნამდვილ მეცნიერულ ცოდნის შეძენას და თავის ჯანსაღად შენახვას...

დღეიდან ჩვენს ამ ნაკლს ბოლო ეღება. ასეთი დიდი საქმე ჩვენს ქვეყანას შეიძლება მეორე არა ჰქონდეს. ამიტომ ყოველი ქართველის წმინდა მოვალეობაა ამ საშვილიშვილო საქმის დროით განხორციელებას ხელი შეუწყოს და მით მოზარდი თაობის ბუნებრივ-ეროვნულად სწავლა-აღზრდას გზა გაუხსნას. საქართველოს ყოველი ერთგული შვილი, მშობელი ერის აღორძინების ჭეშმარიტი მოსურნე ქვეყნის რომელ კუთხეშიაც არ უნდა იყვეს, ამ საქმეს უნდა გამოეხმაუროს.

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წევრობა ყველას შეუძლიან, — დამფუძნებელმა წევრმა ერთდროულად უნდა გადაიხადოს 300 მან. ანუ წლიურად 25 მან., ხოლო დამხმარე წევრმა — ერთდროულად 100 მან., ანუ ყოველწლიურად 5 მან. (იქვე) ქართული უნივერსიტეტი გაიხსნება 1918 წლის 1 იანვრიდან" (იქვე, № 39).

რაკი სახალხოდ ცნობილი გახდა, რომ არსდება ქართული უნივერსიტეტი, საზოგადოების ყველა ფენა ამ ისტორიული მნიშვნელობის ამბით დიდად იყო აღტაცებული, რასაც მის სასარგებლოდ შეწირულებათა შეგროვება მოჰყვა. არც ეს იყო შემთხვევითი, რომ ხალხი დიდ გულისყურს აჩენდა ქართველი ერის ცხოვრებაში დიდი ხნითგან

ნაოცნებარი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისადმი თავისი წვლილის გაღებით. გასახსენებელია, რომ ასევე კერძო ინიციატივის შედეგად ხალხის გულუხვ შეწირულებათა მნიშვნელოვანი სახსრებით თავის დროზე სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის აგება განხორციელდა, რომელშიაც თავიდანვე მშენებლობის ინიციატორთა წინასწარი განზრახვით შემდგომად მოსალოდნელი ქართული უნივერსიტეტი უნდა მოთავსებულიყო.

უნივერსიტეტის საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საიმედო წყაროს გამონახვის თვალსაზრისით საგულისხმო იყო ის ფაქტი, რომ როგორც „თეატრი და ცხოვრება“ იუწყებოდა: „გამოვიდა პირველი ქართული ლატარიის ბილეთები, რომლის წმინდა შემოსავალი გადადებულია ქართული უნივერსიტეტისა და თეატრისათვის“ (1918, 22 ენკენისთვე, № 13).

ქართული უნივერსიტეტისათვის შეწირულებათა შეგროვებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით არის მოსახსენებელი იმ ხანებში სპარსეთიდან გამდიდრებული ქართველის ყარამან კიკნაველიძის დაბრუნება საქართველოში, რომელიც 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო ემიგრაციაში იმყოფებოდა. იგი ხშირად მოდიოდა ჩვენ რედაქციაში, ჩქარა დაუახლოვდა მამაჩემს და როდესაც რჩევა ეკითხა, თუ რა გავაკეთო ისეთი, რომ ჩემი წვლილი შევიტანო რაიმე ქართული საქმის გაკეთებაშიო, მამაჩემს უთქვამს — ამაზე კარგი რა იქნება — ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეს ფული შეწირეო. მართლაც, მცირე ხნის შემდეგ ყარამან კიკნაველიძე უნივერსიტეტის საორგანიზაციო კრებაზე გამოცხადდა და პირადად ივ. ჯავახიშვილს გადასცა ასი თუმანი ოქროთი. ეს ამბავი ასეა აღწერილი „თეატრი და ცხოვრებაში“:

„ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება შესდგა დეპუტატთა საკრებულოში. კრებამ ერთხმად აირჩია და დაამტკიცა სარეკომენდაციო კომისიის მიერ დასახელებული წევრნი გამგეობისა და საფინანსო კომისიისა. გამგეობაში არჩეულ იქმნან: თავმჯდომარედ აკაკი ჩხენკელი, წევრებად: ა. ნ. აფხაზი, ვ. რ. ყიფიანი, ე. ს. თაყაიშვილი, კნ. მ. ვ. ჯამბაკ.-ორბელიანისა, ი. ლორთქიფანიძე, ივ. გომართელი, გრ. რცხილაძე. ზედამხედველ კომიტეტში: გ. დ. ჟურული, დ. ვ. ქუთათელაძე, ი. ლორთქიფანიძე, დ. კ. ჩხეიძე და ს. მ. ტარუაშვილი. საფინანსო კომისიაში 20-მდე წევრია. ფრიად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა მეცნიერმა ივ. ჯავახიშვილმა, რითაც შეეხო უნივერსიტეტის გეგმასა და მდგომარეობას. მეცნიერს მხურვალე ტაშით შეეგებნენ და ბოლოს გრ. დიასამიძის წინადადებით მადლობაც გადაუხადეს. მეცნიერთაგან სამი წევრი შევა გამგეობაში.

ყარამან კიკნაველიძემ ქართული უნივერსიტეტის საზოგადო კრებაზე მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს გადასცა კონვერტით ფული (ასი თუმანი) წერილითურთ, რომელშიაც სხვათა შორის სწერდა — ქართული უნივერსიტეტის გახსნის აზრმა ძლიერ გამახარა, რადგან იგი შეიქმნება ჩვენის სამშობლოს ერთ ამაღორძინებელ მიზეზად და მე, როგორც ჩვენი ქვეყნის წინმსვლელობის ერთი მონატრე ქართველთაგანი ჯერჯერობით ამ ჩემს მცირე წვლილს (ათას მანათს) გიძღვნით საუნივერსიტეტო თანხისათვისაო.

საზოგადოება ხანგრძლივი ტაშით შეხვდა უხვ შემომწირველს. იგი საფინანსო კომისიაშია არჩეული. ეს პირველი მერცხალია უნივერსიტეტის თანხის შემწირველთა შორის“ (1917, ღვინობისთვის 15, № 40).

1918 წლის 26 იანვარს თბილისში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, რის შესახებაც „თეატრი და ცხოვრებას“ ქრონიკა (1918, 28 იანვარი, № 3) ასე იუწყებოდა: „ქართული უნივერსიტეტი გაიღო იანვრის 26. რექტორად მოწვეულია პროფ. პ. მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივ. ჯავახიშვილი“. ჟურნალის შემდგომ გამოშვებაში (18, II, № 4) უკვე ივ. ჯავახიშვილის ლექციის მოკლე ანგარიში იყო მოთავსებული თემაზე: „ქართული ისტორიის წყაროები და ქართველთა წინაპრები“. ასევე დაიბეჭდა ელისაბედ ორბელიანის ლექციის ანგარიში თემაზე „ფრანგული ენის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, რომლის შესავალიც მან ასე დაიწყო: „ბატონებო, დიდის მღელვარებით აღსავსე გამოვდივარ თქვენს წინაშე, რადგანაც გათვალისწინებული მაქვს ამ წუთის სიდიადე და განსაკუთრებულად ვაფასებ იმ პატივს, რომელიც წილად მხვდა მე. ვხსნით ჩვენ საკუთარ ქართულ უნივერსიტეტს და ამით ხელახლად ენასკვავთ ჩვენი ძველი კულტურის შეწყვეტილ ძაფს“ (იქვე, 2, IV, № 6).

იოსებ იმედაშვილი ასე მიეგება ქართული უნივერსიტეტის გახსნას: „საქართველოს თვითაზროვნებას და განთავისუფლებას საძირკველი ჩაეყარა, იანვრის 26 გაიღო ქართული უნივერსიტეტის კარები. ამიერიდან ყოველს ქართველს შეუძლია თავის სამშობლოშივე მიიღოს უმაღლესი განათლება. ჰეშმარიტად ეს დღე ისტორიულ დღედ ჩაითვლების. 117 წლის განმავლობაში შეჩერებული ჩვენი მშობლიური განათლების კერა კვლავ იწყებს ბრწყინვას განახლებული ძალებით. მან უნდა მოგვანიჭოს გონებრივ-სულიერი სიმაღლე, საკუთარი თავის რწმენა, სამშობლო ქვეყნის და მსოფლიოს სიყვარული.

გზა, გზა ფართო ჩვენის ნატვრის ერთ მის გამოხატულებათაგანს. სალამი ჩვენის განახლების ტაძარს, სალამი მის მესვეურ დამფუძნებელთ, სალამი ჩვენს მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს და მის მოღვაწეთ, რომელთაც საძირკველი ჩაუყარეს ამ ტაძარს. მთელი ქართველობის

ვალია ყოველის ღონისძიებით გაამკვიდროს ქართული უნივერსიტეტის კედლები, რომ მას შიგან უკუნითი უკუნისამდე ღვიოდეს ცეცხლი უქრობელი ქართლოსიანთა გათოშილ გულის გასათბობად" (მეთაური, სალამი განათლების ტაძარს, 1918, იანვრის 28, № 3).

თბილისის უნივერსიტეტში უკვე ორი წლის შემდეგ შედგა პირველი სადოქტორო დისერტაციის დაცვა, რაც წილად ხვდა აკაკი შანიძეს. სანიმუშოდ მომყავს დაცვის ოქმის ამონაწერი მაშინდელი ფორმის მიხედვით „თეატრი და ცხოვრებას" პუბლიკაციით: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის 1920 წ. 9 მაისის საჯარო სხდომის ოქმი. 1920 წლის 9 მაისს ფაკულტეტის საჯარო სხდომაზე პაექრობა იყო პროფესორ აკაკი შანიძის გამოკვლევის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში" გამო, რომელიც წარმოდგენილ იქმნა საზოგადო ენათმეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ოფიციალურ ოპონენტებად ფაკულტეტის მხრივ იყვნენ პროფესორი გ. ახვლედიანი და ივ. ჯავახიშვილი. პაექრობის შემდგომ უნივერსიტეტის 24 დებულების მუხლის თანახმად, ფაკულტეტს მთელი შემადგენლობით ბჭობა ჰქონდა და დაადგინა: თხზულების დაცვა კმაძლაყოფად ჩაითვალოს და პროფესორი აკაკი შანიძე ენათმეცნიერების დოქტორის ხარისხის ღირსად ცნობილ იქნეს. ფაკულტეტის ეს დადგენილება მოხსენდეს თბილისის უნივერტეტის პროფესორთა საბჭოს დასამტკიცებლად" (1920, თიბათვის 6, № 20).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იოსებ იმედაშვილი, რომელსაც მხოლოდ ორი კლასის განათლება ჰქონდა და შემდეგ თვითგანვითარებით გაიკვლია გზა, ქართული უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღეებიდანვე თავისუფალ მსმენელად შევიდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე და სისტემატურად ესწრებოდა ლექციებს, რაზედაც 1918 წელს უნივერსიტეტის რექტორის პეტრე მელიქიშვილის ხელმოწერით მიღებული ჰქონდა სტუდენტის სალექციო წიგნაკი № 327 და პირველი სემესტრის სწავლის ფულიც გადაეხადნა.

ცხადია მამაჩემმა ეს დაგვიანებული ნაბიჯი სტუდენტობაში იმიტომაც გადადგა, რომ სხვების მაგალითი ყოფილიყო, რამდენადაც მაშინ ახლად დაარსებული უნივერსიტეტი სტუდენტების ნაკლებობას განიცდიდა და საჭირო იყო მსმენელთა აუდიტორია რამენაირად შევსებულიყო.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება როგორც ჩქარა გამოირკვა არ შემოფარგლულა მხოლოდ პედაგოგიური მიზნებით — ვიწრო პროგრამული სწავლებითა და მეცნიერებით. იგი იქცა ქართული სულიერი და ინტელექტუალური კულტურის ცენტრად, გარკვეულ გეზს აძლევ-

და ეროვნულ დაწესებულებათა საქმიანობას და კეთილმყოფელად მოქმედებდა ქართველი ხალხის იდეოლოგიურ ფორმირებაზე. ამ მხრივ, თქმა არ უნდა, ქართული უნივერსიტეტი ყველაზე ძლიერ ფაქტორს წარმოადგენდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაში. უნივერსიტეტმა შეამჭიდროვა და სამოქმედოდ აამოძრავა მანამდე დაჩუცმაცებული ქართველი საზოგადოება და ხელი შეუწყო ეროვნული სახელმწიფოებრივ-სამეურნეო და კულტურული ცხოვრების წარმატებას. მისმა შთაგონებამ ნიჰილიზმითა და პესიმიზმით მოცული ქართველი ინტელიგენცია თავის თავს დაუბრუნა.

ეროვნული უნივერსიტეტის გავლენა, თავისთავად მისი იდეისაც კი, ქართველი ხალხის ცხოვრებასა და კულტურის განვითარებაზე უკვე საგრძნობი იყო, ვიდრე ჩამოყალიბდებოდა პროფესორთა შემადგენლობა, სათანადო ორგანოები და მისი კარები ოფიციალურად გაიღებოდა. უნივერსიტეტის შთაგონება იყო მისი ერთ-ერთი დამაარსებელის, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოწყობილი რამდენიმე არქეოლოგიურ-ისტორიული ხასიათის ექსპედიცია საქართველოს, განსაკუთრებით მისგან მიტაცებულ რაიონებში ძველი ქართული ეკლესია-მონასტრების სიძველეთა შესასწავლად. ძველი ქართული ფრესკების გადასაღებად მოწყობილი ერთი ასეთი ექსპედიციის შედეგი იყო თბილისში „დიდების ტაძარში“ გახსნილი ქართული ფრესკების ასლების გამოფენა, რომლის შესახებ იოსებ არიმათიელი აღნიშნავდა: „ყოველი ფრესკა გადაღებულია დიდის სიფრთხილით, ფერების მტკიცე დაცვით, თვით ყალბ ნაჯღაბნებითაც კიო“.

ფრესკები გადმოუღიათ უმთავრესად ახალგაზრდა მხატვრებს (ანბანთა რიგზე): ლ. გუდიაშვილს, გ. ერისთავს, ირ. თოიძეს, დ. კაკაბაძეს, დ. შევარდნაძეს, მ. ჭიაურელს, გ. ხმალაძეს. რამდენიმე ფრესკა ნამუშევარია ცნობილ მხატვრის მ. თოიძისა, ნორვეგიელ მხატვრის ქრ. კრონის, გრინევსკისა, ქიუნის, დახმარება აღმოუჩენია მუსაევსაც. გამოფენით აღტაცებული იმედაშვილი შენიშნავდა — ჩვენი ისტორიკოსი თ. ჟორდანია ტყუილად კი არ შეუღაღადებდა ყველას, — ჩქარა უპატრონეთ და გადმოიღეთ, რაც ძველ მონასტრებში ნახატებია დაცული, თუ გსურთ ძველებური ქართული იერი, ტანისამოსი, ჩაცმა-მორთულობა შეისწავლოთ და სამშობლო ხელოვნების აყვავებას საძირკველი ჩაუყაროთო“ (1917, 14, I, № 3).

ჩქარა იმედაშვილმა მსგავსი ექსპედიციის შესახებ საზოგადოებას აუწყა: „თვენახევრის წინათ არქეოლოგ-ისტორიკოსის ე. თაყაიშვილის თაოსნობით საოსმალო საქართველოსკენ (თორთუმის ხეობა) ექსპედიცია რომ გაემგზავრა, უკვე თბილისს დაბრუნდა. მათ მოიარეს ხახული, ოშკი, იშხანი. გადმოიღეს გეგმები, წარწერები, ფრესკები,

ესტამპაჟები. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ მხატვრები დ. შევარდნაძე, მ. ჭიაურელი, ლ. გუდიაშვილი, ხუროთმოძღვრები კალგინი, გეოგრაფი ი. ზდანევიჩი და თვით ე. თაყაიშვილი. ნაწილი ექსპედიციის გაემგზავრა პარხალისაკენ“ (1917, 4, X, № 38).

უნივერსიტეტში გაჩაღებული ინტენსიური სამეცნიერო მოღვაწეობის გავლენა უპირატესად საგრძნობი იყო ეროვნული ცოდნა-განათლების ტრადიციების აღდგენა-დამკვიდრების საქმეში, ქართული საზოგადოების ინტერესებისა და მეტყველების კულტურის საფუძვლების ჩამოყალიბებაში. ეს შესამჩნევი გახდა უმთავრესად სამეცნიერო ტერმინოლოგიის, აგრეთვე ქართული სალიტერატურო ენის, პრესის მეტყველების ნორმების დამუშავებაში. მანამდე ენის ნორმების დაუდგენლობის გამო საქართველოში ყველა ისე წერდა, როგორც შეეძლო და უნდოდა, ყველა გაზეთს თავისებურად ესმოდა ქართული ორთოგრაფია, წიგნის ენა არ იყო თავისუფალი დიალექტიზმებისა და ბარბარიზმებისაგან და ხასიათდებოდა გრამატიკული ფორმების აღრევით. უნივერსიტეტმა დასაბამი მისცა სწორი ქართული მეტყველების ერთიანი ნორმების დადგენას, მათ დანერგვას სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტებსა, პედაგოგიურ, პროფესიონალურ სკოლებსა, სახელმწიფოებრივ დაწესებულებებსა და სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოებში.

ქართული ენის კულტურის ამაღლებისათვის ზრუნვამ, სასაუბრო მეტყველების დახვეწამ, ეროვნული ლიტერატურის განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვნად იმოქმედა თავისთავად სამშობლო ენისა და მწერლობისადმი ინტერესების გაღვივებაში, რამაც დროულად შეაჩერა უკვე დაწყებული მასობრივი დენაციონალიზაციის ჩქარი პროცესი, გადაგვარებით რომ ემუქრებოდა ქართველი ხალხის ფართო ფენებს.

სულ მალე ქართული უნივერსიტეტის აღზრდილმა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა მთელ საქართველოში სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობისა და განსაკუთრებით საშუალო განათლების მუშაკთა კადრები შეავსეს, რომელთა ნაკლებობა მეტად განიცდებოდა. უნივერსიტეტის აღზრდილთა მეოხებით შესაძლებელი გახდა ახლად შექმნილ სამეცნიერო ცენტრებსა და სხვადასხვა დანიშნულების დაწესებულებებში ინტენსიური მუშაობის განხორციელება, რამაც გაზარდა ქართული მეცნიერების ავტორიტეტი და მისმა მიღწევებმა აღიარება ჰპოვეს არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა ქართველ ხალხს ადგილი მიუჩინა განათლებულ ერთა შორის.

დამოუკიდებლობის ძიებაში

პირველი მსოფლიო ომის კატაკლიზმებით გამოწვეული რევოლუციის დროის სოციალ-პოლიტიკური და სამოქალაქო ცხოვრების კრიზისული ვითარების მიუხედავად, ცარიზმის დამხობით მოპოვებულ ეროვნული თავისუფლების ხელსაყრელ პირობებში, ერის სულიერი განწყობის ფორმირება და კულტურული წინსვლის პროცესი კვლავ ვითარდებოდა. ქართული კულტურის, მწერლობის, ხელოვნების ეროვნულ თავისებურებათა ტრადიციების აღსადგენად თანდათან სამოღვაწეოდ მეტი ენერგიით იღვიძებდნენ მანამდე მიძინებული, ძალით ჩახშობილი თუ გადაგვარების გზაზე შემდგარი ეროვნული შემართების გრძნობები და ძალები. ამიტომ არც მხოლოდ უნივერსიტეტის დაარსებით ისახელა თავი იმ თაობამ, რომელმაც ცარისტული რეჟიმის დამმონავებელი და გამარუსებელი უგუნური პოლიტიკის, პერმანენტული შიმშილისა და მესისხარობის დროებას გაუძლო და უნივერსიტეტთან ერთად შეჰქმნა არა ერთი ეროვნული მნიშვნელობის საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულება. რუსეთის რევოლუციის გამარჯვების შედეგად საქართველომ მოიპოვა შრომის, სიტყვისა და რწმენის თავისუფლებანი, სამოქმედოდ აღორძინდნენ მანამდე უმოქმედობაში მყოფი ძალები, დაარსდა საქველმოქმედო საზოგადოებანი, გაიხსნა სამეცნიერო დაწესებულებანი, ახალი თეატრები და კლუბები, ქართული კონსერვატორია, ჩატარდა ფილარმონიული საზოგადოების ნაციონალიზაცია, საფუძველი ჩაეყარა ქართულ ოპერას, კინოხელოვნებას და სხ.

რევოლუციის შედეგად მოპოვებული ეროვნული თავისუფლებისა და უპირატეს უფლებათა შორის, იმედაშვილი გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებისათვის ხანგრძლივ ბრძოლას, რაც 1917 წლის მარტს მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებითა და ქართველი კათალიკოსის არჩევით დამთავრდა. იოსებ იმედაშვილი იმ დროის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილის ობიექტურ დახასიათებაში ქართული კულტურის, მწერლობის, ხელოვნების, ეროვნული პოლიტიკის ყოველგვარ საკითხებზე „თეატრი და ცხოვრებას“ მეთაურებსა თუ ცალკეულ მიმოხილვებში ბეჭდავდა ქართული ეკლესიის ეროვნულ საქმიანობაზედაც, რამდენადაც ქართველი სამღვდელოების პროგრესულ წარმომადგენელთა მოღვაწეობა თავისი მიზნებით ხელს უწყობდა ქართველი ერის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის წარმოებულ საუკუნოვან ბრძოლას.

ამდენად, ეკლესიასთან დამოკიდებულებაში მისთვის მთავარი იყო ის, რომ რაკი თავისი პრაქტიკული მუშაობის სპეციფიკით სამღვდე-

ლოება ხალხთან მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა, მას შეეძლო მრევლის მორალურ-ეთიკურ ზედმოქმედებით მაღალი ზნეობის მაშულიშვილთა აღზრდისათვის ყოფილიყო მოწოდებული. გასაგებია, რომ მისთვის რელიგია იყო არა პირჯვრის წერა, სანთლების ნთება, ხატების კოცნა თუ ხელაპყრობილი ლოცვები, არამედ სამშობლო ქვეყნის სიყვარული, მისი კეთილდღეობისათვის უანგარო სამსახური და, საჭიროებისამებრ, თავის დადებაც, ის, რის მაგალითებსაც ძველი ქართული ეკლესიის ისტორია მრავლად შეიცავს.

მაგრამ ამასთან ერთად, რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. აქვე საჭიროდ მიმაჩნია აღინიშნოს, რომ იოსებ იმედაშვილი ათეისტი იყო და რელიგიური ფანატიზმისა და ეკლესიური რიტუალების მოძულე. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ თავისი მამასახლისობის დროს 1905—7 წლებში, როდესაც სოფლის სამღვდელოება გლეხობას ქორწინება-ნათლობა-დამარხვაში დრამის აღებით სძარცვავდა, მან აკრძალა ყოველგვარი საეკლესიო გადასახადი, ქელეხის გამართვა და სხვა, რაც 1910 წელს მისი გასამართლების დროს დამატებით ბრალდებად წაუყენეს. ამ საქმეზე დაკითხული მოწმის არქიმანდრიტ დოსითეოსის 1910 წლის 10 ნოემბრის ჩვენებით, იოსებ იმედაშვილი ივრის ხეობაში ხელმძღვანელობდა რა რევოლუციურ მოძრაობას, როგორც ოცი სოფლის მამასახლისთა-მამასახლისი, აშკარად სდევნიდა სამღვდელოებას და ჰქადაგებდა, რომ ხალხი არ უნდა იხდიდეს საეკლესიო გადასახადს და ქელეხს არ აწყობდეს, რაც გლეხს მძიმე მოვალეობად აწევს, მის ცრუმორწმუნოებაში ყოფნას ახანგრძლივებს, რომ უმრავლეს შემთხვევაში თვითონ მღვდლები ურწმუნო, უვიც, გაიძვერა თვალთმაქცთაგან შესდგებიან, რომელთაც არაფერი სცხიათ წმინდა მორალისა, უანგარობისა, ზნეობრივი თავდაპერილობისა თუ ჰუმანიზმის მაღალი იდეალებისა, რომელთაც ისინი ხალხს უქადაგებენ და სინამდვილეში ცარისტულ მთავრობას ემსახურებიან ხელისუფლებისათვის საეჭვოდ მიჩნეულ პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებათა დაბეზღებაშიო.

სასამართლოს ასეთივე ჩვენებით წარუდგა აგრეთვე მარტყოფის ეკლესიის მოძღვარი ალექსი ეპიტოვი — მამასახლისი იოსებ იმედაშვილი ხშირად მოდიოდა მარტყოფსა და ნორიოში, გლეხთა მიტინგებს აწყობდა და ხალხს მოუწოდებდა მთავრობის ხელისუფლებს და სასამართლოებს არ დამორჩილებოდნენ, თვითონ მოეწყოთ საკუთარი სასამართლოები, აგრეთვე სამღვდელოების წინააღმდეგ აქეზებდა გლეხობას და ურჩევდა მათთვის გადასახადი არ ეძლიათო.

აქ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ იოსებ იმედაშვილმა თავისი პრინციპული დამოკიდებულება ეკლესიისა და რეაქციონური სამღვდელოთადმი შემდგომ ბეჭდურადაც გამოხატა რამდენიმე წერი-

ლით ჟურნალ „მებრძოლ ათეისტში“ თემებზე — „რელიგია ცარიზმის სამსახურში“ (1937, № 4), „ეპისკოპოსი ჟანდარმერიის აგენტი“ (1937, № 5), „ჩუდეცკის მკვლელობა“ (1938, № 4), „სკოლისა და ენის გადაგვარებისათვის“ (1938, № 10).

ეს წერილები წარმოადგენენ დასაბეჭდად დამზადებული მისი ვრცელი ნაშრომის ცალკეულ ნაწილებს, რომელიც 1938 წელს წიგნად უნდა გამოცემულიყო და შეიცავენ კიდევ შემდეგ საკითხებს: სიყალბის მოციქულობა, ხატის მომსახურეობა, რელიგია და ომი, სამღვდელოება. ღმერთი და რელიგია. ცხენს ლაგამი — გლეხს რელიგია. აღსარება, ჯაშუშობა, წამება. როგორი იყო რელიგია. ეროვნება და რელიგია. რელიგია და მეცნიერება. ფილოსოფია, რელიგია და ღმერთი, მწერლობა და რელიგია. რელიგია, ცრუმორწმუნოება და მეცნიერება. წმინდა წიგნების სიყალბე. ხალხის გასაჭირი. ანტირელიგიურობის განმარტებისათვის.

იოსებ იმედაშვილი მღვდლების ჯაშუშობაში ადრევე დარწმუნდა — ჯერ მისი მამა ზაქარია აღსარებამ მეტეხში მიიყვანა, შემდეგ კი 1904 წელს თვითონაც ბერის დიმიტრი ეპისკოპოსის დაბეზღებით რამდენიმე თვით მეტეხის ციხეს ეწვია. ამიტომაც იყო, რომ როდესაც იგი „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქტორი გახდა, ყოველ შესაბამის შემთხვევაში სამღვდელოების რეაქციონურ ფრთას, რომელიც მღვდლობის პატივს ხალხის საყვლეფად იყენებდა და რუსის მთავრობის ყურმოჭრილ მონად ქცეულიყო, ასეთ სამღვდელოებას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა. იგი ამხელდა ისეთ მღვდლებს, რომელნიც განცხრომას ეძლეოდნენ, ჭამა-სმას გადაყოლილნი მრევლის კეთილდღეობაზე არა ფიქრობდნენ, საზოგადოებისათვის ზედმეტ ხორცად გადაქცეულიყვნენ და მევახშეობა-ვაჭრობასაც კადრულობდნენ. საინტერესოა ასეთი ფაქტიც: 1896 წელს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ თავისი დაგვირგვინებისა და მტარვალობით ცნობილი მამის ალექსანდრეს სამახსოვროდ მღვდლებისათვის გულსაკიდი ვერცხლის ჯვრის ტარება შემოიღო და ქართველი მღვდლებიც ამ წყალობით გადაირივნენ. ცოტანი იყვნენ მათ შორის ისეთნიც, რომელთაც 1905 წლის მოძრაობის გავლენით, როგორც საძულველი მონარჩისაგან ნაბოძები ჯვარი მოიხსნეს, მაგრამ ფაქტი ისიც არის, რომ 1917 წლის რევოლუციის შემდეგაც კი — ჩვენი დიადი თავისუფლების, ეკლესიის ტყვეობიდან განთავისუფლების ჟამს, ქართველი სამღვდელოების უმრავლესობა ამ ვერცხლის ჯვრის ტარებას მაინც განაგრძობდა (ქართველი სამღვდელოება და ნიკოლოზის ჯვრები (1917, 10 IX, № 36).

მაგრამ გადაგვარებულ სამღვდელოებასთან, ხალხის საზარალო რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან ბრძოლა იმედაშვილის აზრით, ეს იყო

ეკლესიასთან დამოკიდებულებაში ერთი მხარე, — ეკლესიის კულტურასთან, მისი ეროვნული მეობის გამომხატველობასთან მიმართება კი — მეორე. ამ გაგებით, იგი ქართულ ეკლესიას და მის ისტორიას უყურებდა აგრეთვე როგორც ერის დამოუკიდებლობისათვის საუკუნეთა განმავლობაში თავდადებული ბრძოლის დიდად ვალმოხდილ ჭირისუფალს, რომელიც ოდესღაც დარაჯად ედგა ქართველი ხალხის მეობას და მეთაურობდა მისი კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეს. იმედაშვილს სწამდა ისიც, რომ ჩვენი საზოგადოების იდეოლოგიური, სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური პროგრესის, მეცნიერული ცოდნისა და განათლების მასობრივი საყოველთაო გავრცელების პირობებში, ეკლესიური ცხოვრების მავნე ჩვეულებათა საბოლოო ლიკვიდაცია თაობათა ბუნებრივი ცვლის პროცესში თანდათანი დავიწყებით განხორციელდებოდა. მას ყოველთვის ახსოვდა ისიც, რომ წარმართობის შემდეგ, ქართველი ერი ქრისტეს ემბაზში იშვა, აღორძინდა და აღიზარდა ახალი ცხოვრებისათვის. აქ ჩაისახა მისი მწერლობა, მწიგნობრობა, ფრთა გაშალა ხუროთმოძღვრებამ და საზოგადოდ ქართულმა ხელოვნებამ. მისი უკვდავი ძეგლებით და ნაშთებით სავსეა დღევანდელი საქართველო, განათლებული კაცობრიობა საქართველოს იცნობს ჯერჯერობით იმ ქრისტიანული სიძველეებით, რომლებითაც ჩვენ წინაპართ შინ თუ გარეთ მოუფენიათ მთა-ბორცვები თუ მინდორ-ველნი, ან დაცულან საკუთარ თუ უცხოთა მუზეუმ-წიგნთსაცავებში. ვერც ერთი ისტორიკოსი და მასწავლებელი ვერ დასწერს და იტყვის იმას, რასაც ეს ჩვენი კულტურის ნაშთები უსიტყვოდ ღაღადებენ. ესენი მოგვითხრობენ, რომ ქართველ ერს აქვს მდიდარი წარსული: ამიტომ იცქირება უკეთეს და განმტკიცებულ მომავლისაკენ" (თავისუფალი საქართველო და მისი ეკლესია, 1919, 26, V, № 6).

ამრიგად, რევოლუციამდე, რაკი ხალხისათვის ეკლესიას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა მორალური ზედმოქმედების ფუნქცია და მთლიანად არ გაუქმებულიყო მისი საგანმანათლებლო როლი, იოსებ იმედაშვილი თუმცა სამღვდელოებას, როგორც ხალხის შემოსაელის ექსპროპრიატორს, მუდმივად ებრძოდა, მაგრამ იმავე დროს, რაკი ხალხს სჭირდებოდა, გარდა იმისა, რომ ჩვენ სოფელში გაიყვანა გზები, სკოლისა და თეატრის შენობა ააშენა, წყაროს წყლის გაყვანა დაიწყო, მან აგრეთვე 1906 წელს ჩვენი სოფლის ხაშმის ეკლესიას ქვითკირის გალავანი აუშენა და ბევრს ცდილობდა ნგრევისაგან გადაერჩინა ძველი ეკლესიები და სხვა ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობანი, როგორც კულტურის ნაშთები. იგი უყურადღებოდ არა სტოვებდა ქართული ეკლესიის მნიშვნელოვან საკითხებს თავის ჟურნალშიც, რადგან მიაჩნდა, რომ რუსი ექსარხოსებისაგან დევნის დროს ეკლესიის დაცვა, ეროვნების დაცვას ნიშნავდა.

ქართული ეკლესიის, პროგრესული სამღვდელოების თავდაუზოგავი ბრძოლა დაკარგულ უფლებათათვის თავისი ეროვნული პოზიციით. იანოვსკისა თუ ვოსტორგოვის, აგრეთვე რენეგატ გ. მუხრანბატონის რუსიფიკატორული შემოტევის წინააღმდეგ ბრძოლა ქართული ენისა და ეროვნული მეობის შენარჩუნებისთვის, მხარს უბამდა ქართველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

ქართველი ხალხის დისკრიმინაციის, ეროვნულ უფლებათათვის მებრძოლ სამღვდელო მოღვაწეთა დევნასა და ეკლესიების ძარცვაში გაიარა მთელმა საუკუნემ 1917 წლის რევოლუციამდე, ვიდრე ნანატრი თავისუფლების მსოფლიო ზარი დარეკავდა. მის მოახლოებამდე რამდენიმე კვირით ადრე, 1917 წლის 22 იანვარს „თეატრი და ცხოვრების" ჭრონიკა (№ 4) საგანგებოდ იუწყებოდა, რომ გადასახლებაში მყოფ ეპისკოპოსს კირიონს სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცეს მის შემდეგაც, რაც „სოლოვკაში" რამდენიმე ხანი გაატარაო, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის მოლოდინს ფრთას ასხამდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში" სოფრომ მგალობლიშვილის ისტორიული ნარკვევების სერია „ქართული ეკლესია და სამღვდელოება" (1917, 19, II, № 8; აგრეთვე 26, II, № 9; 12, III. № 11).

ამ ხანების მსოფლიო მნიშვნელობის ამბები საქართველოში გვიან მოდიოდა, ისე რომ მხოლოდ 12 მარტის ჟურნალში (№ 11) გამოქვეყნდა სრული ცნობა: „თებერვლის 27-ს სწორედ შუაღამისას გაიყარა ძველი და ახალი რუსეთი... რუსეთის თვითმპყრობელი ბატონი ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადადგა შვილითურთ, მისმა ძმამ მიხეილმაც არ ისურვა მეფობა, ვიდრე ერის დამფუძნებელი კრება — ხალხის საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარული კენჭის ყრით არჩეული წარმომადგენელნი არ მისურვებენ მეფედო... რუსეთის სახელმწიფოს განმგებლობა იკისრეს. სახელმწიფო სათათბიროს აღმასრ. კომიტეტმა და მუშათა დეპუტატების საბჭოს თანხმობით შემდგარმა სამინისტრომ.

ყოველივე ეს მოხდა 24 საათის განმავლობაში... დღეს რუსეთი თავისუფალია... ეშვს გარეშეა, რომ ადრე თუ გვიან საქართველოსაც ეღირსება თვითმართველობა... პარტიული კინკლაობა, სხვადასხვა ლოზუნგები, სხვადასხვა კერპები აღარ გამოგვადგება... ისე უნდა მოვახერხოთ, ისეთი პირობები შევქმნათ, რომ საქართველოს მიწა-წყალი ქართველს ხელიდან არ გამოეცალოს... (დაემხო ძველი — გაუმარჯოს ახალს, 1917, 12 მარტი, № 11).

ამის შემდეგ ყოველ დღეს რაღაც ახალი ამბავი ხდებოდა, როგორც პოლიტიკის, აგრეთვე ეკლესიის ცხოვრებაში. „1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიამ გადადგა პირველი ნაბიჯი თვისის ავტოკეფალურის უფლების მოსაპოვებლად. ქართული ეკლესიის და-

მოუკიდებლობის ოქმს ხელი მოაწერეს ქართველ მღვდელმთავრებმა და დამსწრე საზოგადოებამ 12 მარტს მცხეთაში ლეონიდე ეპისკოპოსი სასულიერო და საერო წარმომადგენელთაგან არჩეულია სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ და საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგეობის თავმჯდომარედ (1917, 19 მარტი, № 12).

მიუხედავად ასეთი გარკვეული პოზიციისა და გაბედული ნაბიჯისა დამოუკიდებლობის გზაზე, სინოდის გადაწყვეტილებით, რომელიც ქართული ეკლესიის მიმართ თავს კიდევ თვლიდა უფლებამოსილად, საქართველოს კათალიკოსს საცხოვრებლად მიეთითა მცხეთა, ხოლო კავკასიის მიტროპოლიტს (დღემდე საქართველოს ექსარხოსად წოდებულს) თბილისი (1917, 16 მკათათვე, № 29).

ახლად აღორძინებული ქართული ეკლესიის პირველ კათალიკოს-პატრიარქად 1917 წლის 17 ენკენისთვეს თბილისში არჩეული იყო დიდად ღვაწლმოსილი, ეროვნულ თავისუფლებათა ქადაგებისათვის ეოსტორგოვის მეცადინეობით გადასახლებაში ნამყოფი, ბევრნაირად დევნილ-ნატანჯი, ქართული ეკლესიის ისტორიისა და ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი კირიონი (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი). ყოველივე ამასთან ერთად, იგი იყო დაუცხრომელი მკვლევარი არა მხოლოდ სასულიერო მწერლობის საკითხებისა, არამედ საერო ხასიათის ნაშრომებიც მოეპოვება და არის ავტორი გახმაურებული წიგნისა „როლ ივერიი ვ ისტორიი რუსი“ (1906), აგრეთვე რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევისა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე. ცნობილია მისი ნარკვევები „ქართული სიტყვიერების თეორიასა“ და „ქართული ლიტერატურის ისტორიაზე“. იგი არჩეული იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კორესპონდენტად. სიონის ტაძართან არსებული მუზეუმის წევრად და მანვე შეადგინა ამავე მუზეუმის ვრცელი კატალოგი.

კირიონის კათალიკოსად კურთხევა შესდგა მცხეთაში 1917 წლის 1 ღვინობისთვეს (1917, 24 ენკენისთვე, № 37). „რასაკვირველია, გადაგვარებულ ქართველ სამღვდელოებაში ერთადერთი ყოველმხრივ ღირსეული პიროვნება იყო კირიონი, რომელიც საეკლესიო მოღვაწეობასთან ერთად ფხიზლად იდგა ხალხისა და მისი კულტურის სამსახურში. დღეს ქართველმა ერმა და სამღვდელოებამ აღადგინა საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალია და კათალიკოსად მრავალწამებული კირიონ მღვდელმთავარი აირჩია. დაე თავისუფალმა, განახლებულმა ეკლესიამ ერის ნამდვილ საჭიროებას ანგარიში გაუწიოს და აღაყვაოს უცხო სასულიერო ხელისუფალთა ხელით დამხობილი ჩვენი საეკლესიო მწერლობა და ეროვნული თვითმართველობა“ (იქვე).

საქართველოს ეკლესიის აღდგენისადმი მიძღვნილ მეთაურში „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: „დიდი ღვაწლი აწევს ახლად აღდგენილ

ქართულ ეკლესიას ერის წინაშე — მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც მთლიანად გადაგვარდა მთავრობის ნაჩუქარ ჯვარ-მედლებს დახარბებული ჩვენი სამღვდელოება, მაინც იყვნენ თითო-ოროლა საეკლესიო მოღვაწენი, რომელთაც ერის განსაცდელის ჟამს ქედი არ მოუხრიათ დამპყრობელთა წინაშე. უანგარო საეკლესიო კეთილმოღვაწეთა სამაგალითოდ მხედველობაში ჰყავდა დასავლეთ საქართველოში ეპისკოპოსი გაბრიელი, აღმოსავლეთ საქართველოში ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელთაც ეკლესიისა და ხალხის კეთილდღეობისათვის დიდად იზრუნეს, უმთავრესად დაცემული ქართული კულტურის, ენის, მწერლობის, გაუქმებული ეკლესიების აღდგენით, სამრევლო სკოლების გახსნით, მასებში ეროვნული იდეალების დანერგვით. „საქართველოს ეკლესია მუდამ ხალხთან ერთად იყო, დღესაც ხალხს უნდა ამოუდგეს... ამის თავდებია კირიონ მეორის წარსული მოღვაწეობა“ (იქვე, პირველი ღვინობისთვე, № 38).

* *

ამრიგად, ქართულმა ეკლესიამ რუსული სინოდისაგან თავი გაინთავისუფლა. პოლიტიკური ბრძოლისა და ეროვნული თვითშეგნების თვალსაზრისით თქმა არ უნდა, რომ ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ხალხის შეგნებაში ეროვნული თავისუფლების იდეალებს უკავშირდებოდა, მაგრამ საქართველოში ამ დროს პოლიტიკური პარტიები ისევ ავტონომიის მიღებაზე ოცნებობდნენ. მაშინ პოპულარული იყო ლოზუნგი: „ამხანაგებო! დამფუძნებელ კრებას უნდა მოსთხოვოთ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია“ (1917, 19 III, № 12).

ეროვნული თვითშეგნების თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებო იყო მისი წერილი: „იცან თავი შენი“ (იქვე, გვ. 4—7), სადაც იმას ჩიოდა, რომ „სხვისთვის თავგადამკვდარებს, თავისი თავი დაგვიწყებია. თვის უფლებისა და მოვალეობის უვიცთ, სხვათა უფლებისა და მოვალეობის გარკვევა-დაცვა მიზნად დაგვისახნია. ჩვენში პარტიულმა ჟინიანობამ კიდევ ერთხელ წამოჰყო თავი და გაშიშვლდა... დასაგმობია ასეთი გათიშვა დიდებულ ისტორიულ ხანაში... საჭიროა შეთანხმება ისეთ საკითხებზე მაინც, როგორც ჩვენი სამშობლოს ქვეყნის ყოფნა-არყოფნაა. ყოველგვარი საკაცობრიო მიზნებისა და ლოზუნგების გარეშე, ქართველი გლეხისა და მუშისათვის საჭიროა საკუთარი მიწა-წყლის შენარჩუნება, სამშობლო ენა, სამშობლო ენაზე სწავლა, მოსამართლეობა, ეკლესია და სხ.“ ეს კითხვები ყოველთვის მწვავედ იხილებოდა მის პუბლიცისტურ წერილებში, რადგან ამ დროს, როდესაც მსოფლიო მუშათა კლასის, სოციალიზმის დიად მიზ-

ნებზე ჩვეულებრივ მეტი ყურადღებით მსჯელობდნენ ხოლმე, მას რეალურად ასე ესახებოდა სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს აყრილი, ეროვნული ჩაგვრით გაწამებული ჩვენი ხალხის უნუგეშო მდგომარეობა:

„სულიერად სხვისი მონები, ნივთიერად სხვისი ყმები, აზრით და რწმენით სხვისი ტიკინები, ტინგიცნი, ტიტლიკანანი და მშიერნი! აი ვინა ვართ!

თითქმის სამი ათას წელს ოფლით და სისხლით მორწყულ სამშობლოში სამშობლო დაკარგულნი, — აი სახელი ჩვენი...

გარეთ შორს უცხოეთში მრავალი განწირული სიცოცხლე ქართველისა, შინ გუმბათ-ჭერ ჩამონგრეული ტაძრები მამა-პაპათა, მდაბიო ხალხი — მთელი ჩვენი სოფლები გონებრივ წყვდიადში ჩაფლული, თავის შეუგნებლობით სხვის ბრმა იარაღად გადაქცეული სამშობლოსვე საზიანოდ, — აი ჩვენი მდგომარეობა...

შეპილწულია ტაძარი ჩვენი, ძირს განრთხმულია წმიდათა-წმიდა დროშა ჩვენის ერისა!.. სახიობა, მუსიკა, რიტორება ჩვენი მშობლიური არარად არის ქმნილი... და ეს მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის სამყაო შვილნი სხვათა კერას აღვივებენ, სხვათა ჭერს ახარებენ, სხვათა სამსხვერპლოზე სწირავენ და ჰქმნიან დიდებასა!..

სად არის სამართალი?! ნუთუ სამშობლო ჩემი აღარ აღსდგება ყოვლთა დიდებითა თვისითა?!“ (აღდგომის დღე, 1917, 1 ღვინობისთვე, № 38, გვ. 2).

ამ მოთქმაში მწარე სინამდვილეს გამოხატავდა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი, რომლისთვისაც ასეთ ყოფაში მოაღწია რევოლუციის პირველ დღეებამდე უამრავ წყლულებით დასერილმა, ოფლით და სისხლით მორწყულმა, დაწიწკნულ დანაწილებულმა, ტიტლიკანა და მშიერმა საქართველომ, მთელ საუკუნეს სულიერად და ნივთიერად რუსეთის მოხარკე რომ იყო. ჩვენი ხალხის გაუბედურებული არსებობის უპირველეს ბოროტებას რუსეთის ცარიზმის პოლიციური რეჟიმი, მისი ბიუროკრატიზმის უხეში ძალა წარმოადგენდა, რომელსაც თავისი ბატონობის გარეშე სხვა არარა სწამდა („ისტორიული გზით“, 1918, 11 მარტი, № 5).

ვინ იყო ჩვენი მშველელი, ვის უნდა გამოეღვიძებინა ხანგრძლივი მონობით დათრგუნული ქართველობის მამულიშვილური სული? ასეთ დიდ მოძღვრად, ერის გზის გამკვლევად მან მიიჩნია აკაკის პოეზია. აკაკიმ უმღერა საქართველოს განთავისუფლებას და მოამწიფა აზრი სრულიად საქართველოს აღდგენისა. აკაკის სიტყვა, რწმენა, მისწრაფება — ეს წამებული საქართველოს სიტყვაა. მისი რწმენით, აზრით გაერთიანდა საქართველო და აკაკი შეიქმნა მისი სულიერი მეფე (იქვე).

1916—17 წლებში, რაკი ცარისტულ მთავრობას დასჭირდა, რუსულმა ცენზურამ პატარა ერების პატრიოტული ლიტერატურისადმი თავისი ფხიზელი თვალი შეასუსტა, რომ სამშობლოს სახელით ომის ენთუზიაზმი გაეღვივებინა. ასეთ პირობებში საქართველოშიც, როგორც მხატვრულ მწერლობაში, აგრეთვე პუბლიცისტიკაში მოახლოებული რევოლუციის გავლენით, უფრო თამამად და აშკარად დაიწყეს ეროვნული თავისუფლების იდეალების ქადაგება. ამ მხრით შესამჩნევი გამოხატულება დაეტყო პრესასაც. გაბშირდა ჟურნალ-გაზეთებში და „თეატრი და ცხოვრებაშიც“ საქართველოს ისტორიის გმირული წარსულის თემებზე წერა — ღვაწლმოსილ ქართველ მეფეთა, საქართველოსათვის თავდადებულ, სამხედრო დიდებით მოსილ წინაპართა გახსენება.

მაგრამ ცარისტული არმიის დღითი-დღე შეუჩერებელ დამარცხება-დაშლასთან, აგრეთვე რევოლუციური განწყობილების ზრდასთან და ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასთან ერთად, ჩვენ საზოგადოებრიობას გაურკვეველი მომავლის შიშიც იპყრობდა, — რა ეშველება საქართველოს მსოფლიო ნგრევის ამ პირობებში? ყოველ შემთხვევაში საქართველოში რევოლუციის შესახებ დაგვიანებულმა ცნობამ და მის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა, ერთმანეთის საწინააღმდეგო მითქმა-მოთქმა და ეჭვი გამოიწვია. ვინ იყო ჩვენი ნამდვილი მეგობარი თუ მტერი, ეს არავინ იცოდა...

ყოველგვარ გასაჭირსა და უბედურებაში გაუტეხელი და ზომიერება შერჩენილი იოსებ იმედაშვილი, ყოველთვის გამარჯვების მოიმედე, სავსე რევოლუციის სიხარულით, სხვათა მონუგეშე, სასოწარკვეთილებამდე მიდიოდა, ისე იყო შეძრწუნებული გარდამავალი პერიოდის ანარქიული მდგომარეობით, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. მას ეშინოდა, რომ უქმად არ ჩაეცლო იმ მსხვერპლს, რაც ქართველმა ხალხმა რუსეთის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში გაიღო... იმიტომაც, რომ რევოლუციით უპირველეს ყოვლისა ხალხის თავისუფლების მტრები, ყველა ჯურის არამზადები და პროვოკატორები უფრო მოხერხებულად სარგებლობდნენ, ვიდრე თვითონ რევოლუციონერები, ხალხისათვის თავდადებული მოღვაწენი, რომელთაც მთელი ცხოვრება რევოლუციური მოღვაწეობისათვის საპყრობილეებში გაატარეს. „საერთაშორისო დემოკრატიის იდეალები, ყოველი რევოლუცია და ომი მეწყერსაც წაუღია თუ ჩვენი ქვეყანა ამ რევოლუციიდანაც პირში ჩალაგამოვლებული დარჩებაო“ (იქვე, № 40). ამ შიშს აძლიერებდა არა მხოლოდ რთული პოლიტიკური ვითარება გამოუცნობი მომავლით, ცენტრალური ხელისუფლების გაუქმება რუსეთსა თუ განაპირა ადგილებზე, ჩვენი ქვეყნის შიგნით რევოლუციის პირველი დღეებიდანვე საზოგადოების სწორედ ბნელი ძალების,

გამობრძმედილი მძარცველი ავაზაკების ამოძრავება. ისინი თავისი ბნელი ზრახვებისათვის სპობდნენ ყოველივე სიკეთეს, სასარგებლოსა და ლამაზს, რაც კი რევოლუციას ხალხისათვის მოჰქონდა თუ უნდა მოეტანა. რაკი ხალხის პატრონი მაგარი მთავრობა არ არისო, სწრაფად ამოქმედდნენ დივერსიების, მკვლელობების, ძარცვის მოსახდენად საგანგებოდ დაქირავებული ბანდები.

„აჰა გადახედეთ რა ხდება ჩვენ საყვარელ სამშობლოში — ქართველი ინტელიგენციის დევნა, ყოფილ მემამულეთა ხოცვა (თვის ანაბარა, 1918, 18, II, № 4). არევ-დარევა, შიმშილი, შიგნით ბნელ ძალთა თარეში, გარედან მტრის შემოსევის შიში, არსად კანონი, არსად სამართალი, რომელსაც ყველა პატივსა სცემდეს... ჩვენი სამშობლო უდიდეს განსაცდელშია... ნიაღვარი წალეკვას გვიპირებსო... (ყველა ერთი მიზნისაკენ, 1918, 28, I, № 3, გვ. 4).

რუსეთის რევოლუციამ ქართული ცხოვრების ბევრ სატკივარს ახადა ფარდა, ბევრი დამალული უკეთურება გამომჟღავნდა... ჩვენი მთავარი უბედურება, მისი აზრით, სწორედ ის იყო, რომ შავბნელ დროთა წყალობით ისედაც „დაწიწკნულ-დანაწილებული“ საქართველო და ქართველი ხალხი ძლივს ერთობის გზას დაადგა, მაგრამ ჩვენში „იმდენი პარტიაა, იმდენი აზრთა სხვადასხვაობა, რომ ერთი უკან იყურება, მეორე წინ, მესამე გვერდით, ერთი გეზი კი არა ჩანს... ეხლა ჩვენი ტრაგედიის უკანასკნელი მოქმედება სწარმოებს... უცხოთა გავლენას, ბოროტ სულს — საკუთარი თვითშეგნება, კეთილი ანგელოზი დასჯაბნის? შეეძლებთ თუ არა საკუთარი თავის პატრონობას? (ეროვნული კრება, 1917, XI, 19, № 43).

„ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უცხო ნააზრევით გატაცების გამო სიტყვა და საქმე ერთმანეთს ვერ ეგუება, გაორჭოფებული მიზნებით ჩვენი ჩახლეჩილი ბედის გამოსწორებას სხვისი დახმარებით ელიან. ქართველობა ვიღაცისა და რიღაცის მოკრძალების გამო სხვათა საქმეს მისდევს და ვაი თუ ჩვენმა ხალხმა თავისი მონობის ახალი ბორკილები გამოსჭედოს... საკუთარ წყლულთა უცნობნი, სხვათა მკვდრების აღდგენაზე ვფიქრობთ. შინაგან ძალას მოკლებულნი, საკუთარ ურწმუნობაში დაღუპვა გველის. საკუთარ თავს უნდა დავუბრუნდეთ. სხვების იმედი ნუ გვაქვს, ჩვენი სატკივარი ჩვენვე უნდა ვიმკურნალოთ. ჩვენი ეროვნული ცხოვრების კანონები ჩვენ თვითონ უნდა შეეიმუშაოთ... უცხოთა მალამოთი მშობელი ერის წყლულები ვერ განიკურნება“ (ჯერ თავო და თავო, 1917, 5, XI, № 42).

დადგა დრო გაუთავებელი მიტინგების, სხდომების, ყრილობებისა და კრებებისა და მომდინარე პოლიტიკური საკითხების სიმწვავის მიუხედავად, თავისთავად მოვლენათა განვითარება ბევრ რამეში უსწრებდა პოლიტიკური მომავლის განჭვრეტასა და ეროვნული აღზევე-

ბის ფანტაზიით ნაკარნახევ სურვილებსაც. მათ, რომელნიც თავისი ქვეყნის თვითმართველობაზე, ცალკეული დაწესებულებებისა და ობიექტების ნაციონალიზაციაზე ოცნებობდნენ, ისტორიამ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება დააკისრა.

დროა ჩვენც სხვათა მსგავსად საკუთარი ქვეყნის მართალი მმართველი-პატრონი შევიქმნეთ, საქართველომ თავისი თვითარსებობა, თავისუფლება გამოაცხადოს. საქართველო უნდა აღსდგეს სრულის თვისის უფლება-მოსილებით და თანასწორი ძმა შეიქმნეს ყველა ერთა (ყველა ერთი მიზნისკენ, 1918, 28, I, № 3). ეს ისევ სურვილი იყო, თუმცა ჯერ კიდევ 1917 წლის 19—24 ნოემბერს შემდგარმა ეროვნულმა ყრილობამ აღიარა საქართველოს შინაგანი დამოუკიდებელი თვითმართველობა, აირჩია ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, რომელსაც უნდა გამოემუშავებინა ეროვნული კანონები, შეექმნა ეროვნული ადმინისტრაცია, ქართული ჯარი, სასამართლო და სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ნაციონალიზაცია უნდა ჩაეტარებინა (ეროვნულ ყრილობაზე, 1917, 10, XII, № 44).

იმ ხანებში, როდესაც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო ახალი პოლიტიკური მართველობის ვითარება გამორკვეული, — რა გზას დაადგებოდა ქართველი ერი და მართველობის რომელ ფორმას მიეცემოდა უპირატესობა, იოსებ იმედაშვილი მიეგება ქართველი თავადაზნაურობის გონივრულ ნაბიჯს — საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე მათმა წინამძღოლმა კ. აფხაზმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ თავადაზნაურობა უარს ამბობს თავის თავადურ წოდებაზე და კუთვნილ ქონებას (ბანკი, გიმნაზია, კახეთის რკინისგზა, ბაქოში სანავთე ადგილები, დიდი სასახლე, საუნივერსიტეტო მიწა, ელექტრო სადგური) სამოცი მილიონი მანეთის ღირებულებისას სამუდამო საკუთრებად ქართველ ერს უძღვნის (ლამაზი სიკვდილი, 1917, 19, XI, № 43, გვ. 3—4). ქართველ თავადაზნაურთა ამ ნაბიჯს იოსებ იმედაშვილმა უწოდა „ლამაზი სიკვდილი“ — დიდმა რევოლუციამ მოსპო ყოველგვარი წოდებრივი განსხვავება დაასამარა ქართველი თავადაზნაურობა, მაგრამ ამ დასამარებულმა თავისი ქონება სამარეში კი არ ჩაიტანა, არამედ ქართველ ერს უანდერძა... სანატრელია ასეთი სიკვდილი! მოკვდე და გაუკვდავდე...

ეროვნულმა ყრილობამ თავისი მუშაობის მესამე დღეს მადლობა მოახსენა თავადაზნაურობას კუთვნილი ქონების ეგოდენ გულუხვი შეწირულობისათვის და მთელი წოდება ჩარიცხა თავისუფალ საქართველოს სრულუფლებიან თანასწორ მოქალაქედ (44). თუმცა ისიც უნდა ითქვას, წოდებათა სრული გაუქმება და ხალხის მთელი სიმდიდრის ნაციონალიზაცია თვითონ ეროვნულ ყრილობას უნდა გადაეწყვიტა. რევოლუციისა და სამოქალაქო ომის, რუსეთის იმპერიის დაშლის,

თვითმპყრობელობის ნანგრევებზე ფინეთის, პოლონეთის, უკრაინის, დაღესტნისა და ამიერკავკასიის ხალხთა დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიქმნენ. ცარიზმის საძულველი ბატონობის დამხობით, რევოლუციის ამ დიადმა მონაპოვარმა თითქოს საბოლოოდ გადაწყვიტა დაპყრობილი მცირე ერების განთავისუფლება და მათი დამოუკიდებელი არსებობა.

ამდენადვე, ქართველი ერის ცხოვრებაში თავისი მნიშვნელობა ჰქონდა 1918 წლის 26 მაისს „საქართველოს დამოუკიდებლობის“ გამოცხადებას, რის შესახებაც „თეატრი და ცხოვრება“ ასე იუწყებოდა: „საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა ჩვენს დედაქალაქ თბილისის სასახლეში ნაშუადღევის 5 ს. ეროვნული საბჭოს, მწერლობის წარმომადგენელთა და დიდძალი ხალხის თანადასწრებით. აღფრთოვანება ენით გამოუთქმელი იყო... მოდის მრავალი დეპეშა მოლოცვისა“.

ცარისტული რუსეთის დამხობას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა იოსებ იმედაშვილი, რომელსაც მიაჩნდა, რომ „სრულიად საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი მხოლოდ საპარტიო-საჩუმათო საქმე არ იყო, ეს მთელ ქართველ ხალხს ეკითხებოდა“ (1917, 2, IV, № 14). მას საქართველოს გამარჯვება რუსეთთან კეთილ დამოკიდებულებაში ესახებოდა, რასაც რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესები და ქართველი ხალხის კეთილდღეობა თანაბრად საჭიროებდა (იქვე).

საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობისა და შინაური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, დიდად მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობა, რის დასტურად საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული იყო საზავო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოთა რუსეთის მხრივ ლ. კარახანი, საქართველოს მხრივ გრ. ურატაძე. მისი ტექსტი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „Известия“-ში (1920 წელი, 9 მაისი, № 99), აგრეთვე წიგნში „Политика советской власти по национальным делам за три года“, 1917-XI-1920, Государственное издательство, 1920, Москва, გვ. 27—30.

ამ საზავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით „თეატრი და ცხოვრებაში“ მოთავსებული იყო ლენინის ნაკლებად ცნობილი პორტრეტი შემდეგი წარწერით: „ვ. ლენინი, საბჭოთა რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე, ბოლშევიკთა ლიდერი, რომლის მონაწილეობითაც საქართველოსა და რუსეთს შორის ზავის პირობა დაიდო“ (1920, 26 მაისი, № 19. გვ. 13).

საბჭოთა რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დადებით ნორმალური ურთიერთობა იყო აღდგენილი, რაც ქართველ ხალხს სამოქალაქო

ომის გართულებულ პირობებში შეწყვეტილი ჰქონდა რუს ხალხთან. ამ ხელშეკრულებამ საერთო კმაყოფილება და სიხარული გამოიწვია, როგორც მომავლის საიმედო გარანტიამ, რადგან საქართველო სპარსეთ-ოსმალეთისა თუ უცხოეთის სხვა სახელმწიფოთა მტრულ გარემოცვაში იმყოფებოდა და მათი აგრესიისაგან თავის დაღწევისათვის სასიცოცხლოდ საჭიროებდა ხელშეკრულებით შემომტკიცებულ საბჭოთა რუსეთის მეგობრულ სოციალისტურ სახელმწიფოს*.

„ხალხის ერთობა“ — „ხალხის თავისუფლება“

1917 წელი საყოველთაოდ ისე იყო გადატვირთული მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებით და გაძნელებული მძიმე ეკონომიური პირობებით, რომ ჩვეულებრივი მოქალაქური ცხოვრებისათვის ადამიანს ღონე, ხალისი თუ საშუალება აღარ ჰყოფნიდა, თითქოს ნორმალური სუნთქვაც აღარ შეეძლო. ეს კრიზისი თავის დაღს ამჩნევდა საზოგადოებრივი საქმიანობის ყოველ სფეროს და გასაგებია, რომ განსაკუთრებით გაძნელებული იყო სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა, თუნდაც იმიტომ, რომ აღარ იშოვებოდა საბეჭდი ქაღალდი, საღებავი, სხვა საჭირო მასალები და ყოველივე ამასთან ერთად არ არსებობდა ფულის მუდმივი კურსი. ამდენად, გასაგებია თუ რა სიძნელეებს ხვდებოდა „თეატრი და ცხოვრება“ თითოეული ნომრის გამოშვება და ამდენადვე არა ნაკლებად საოცრად უნდა მოგვეჩვენოს, რომ რევოლუციის დროს ნგრევისა და გამოუვალი საერთო გაჭირვების პირობებში იოსებ იმედაშვილმა 1917 წლიდან „თეატრი და ცხოვრება“ პარალელურად დაიწყო სამდღიური გაზეთის „ხალხის ერთობის“ გამოცემა. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ 1905—7 წლებში იმედაშვილი მეთაურობდა „გარეკახეთის ერთობის“ მოძრაობას და მისი იდეალებისა და საქმიანობის ძირითად მიზანს რაკი ხალხის ერთობა წარმოადგენდა, ახლად მის მიერვე დაარსებული გაზეთის სახელად უკეთესის გამონახვა არც შეეძლო. მაგრამ რედაქტორმა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან კერძო ბარათი მიიღო, რომ რამდენადაც არსებობს ოფიციალური ორგანო „ერთობა“, „ხალხის ერთობის“ გამოცემა გაუგებრობას გამოიწვევსო და სამი ნომრის შემდეგ ეს გაზეთი „ხალხის თავისუფლებად“ იყო გადარქმეული.

„ხალხის თავისუფლება“ „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ჭუშათა პარტიის“ სახელით გამოდიოდა. გაზეთის, ისევე როგორც ქართველობის გარკვეული ნაწილის პოლიტიკური მიზანი ამ ხანებში

---

* საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ უხეშად დაარღვია რუსეთთან დადებული ხელშეკრულება, რის გამოც ის გაუქმდა (ნ. მახარაძე, დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში 1967, გვ. 336 — 359).

რუსეთისაგან ავტონომიური დამოუკიდებლობა იყო. თებერვლის რევოლუციის პირველ ხანებში მეტი პრეტენზია არც წამოუყენებიათ და მთავარი მიზანიც „ხალხის ერთობისა“ და „ხალხის თავისუფლებისა“ უმთავრესად ავტონომიის იდეის პროპაგანდა წარმოადგენდა. 1917 წ. № 17, 19 მეთაურში ასე იყო ფორმულირებული გაზეთის საერთო შინაარსი: „გაზეთის მიზანია პოლიტიკური კითხვების სახალხოდ განმარტება, ეროვნული საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტთა გაერთიანება და ტერიტორიალური ავტონომიის პოპულარიზაცია“. გაზეთი ჩვეულებრივ ქადაგებდა სოციალურ-ეროვნულ აღორძინებას, ქართველი ხალხის შეკავშირებას ენისა და კულტურის საფუძველზე და გლეხების, მუშებისა და ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების ინტერესებს გამოხატავდა.

„ხალხის ერთობის“ 1917 წლის 2 აპრილის პირველივე ნომერი იწყებოდა მოწოდებით: „ამხანაგებო, დამფუძნებელ კრებას უნდა მოსთხოვოთ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია... სალამი რუსეთის რევოლუციას, მონობის ბორკილები რომ დაამსხვრია... სალამი პეტროგრადისა და თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს...“.

სარედაქციო მეთაურის მთავარი აზრი იყო „რუსეთის თავისუფლებასთან ერთად ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიური განთავისუფლება, საკუთარი მიწა-წყლითა და თავისი კანონმდებლობით შინაურ საქმეებში“, საქართველოს მშრომელმა ხალხმა განთავისუფლებულ რუსეთთან ერთად თავისუფლად ამოისუნთქა. აღიდგინა არა მხოლოდ თავისი შელახული უფლებანი, რაიც დაკარგული ჰქონდა მონარქიზმის დროს, არამედ მოიპოვა ტერიტორიალური ავტოხომძია, რასაც რუსეთის ხალხები თხოულობდნენ და მიიღეს კიდეც. ამასთან დაკავშირებით, თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა წერილები საქართველოს ტერიტორიალური ავტონომიის საკითხებზე: „ტერიტორიალური ავტონომია და კლასთა ბრძოლა“ (№ 4), „ქართველი პროლეტარიატი და ეროვნული კულტურა (იქვე), „საუბარი სოფლის მუშასთან“ (№ 5), „საუბარი მუშასთან“ (№ 9), „ავტონომიის ანბანი სოფლის ხალხისათვის“ (იქვე), „საქართველოს ავტონომია და საქართველოს ერები“ (№ 11), „რა არის თავისუფლება“ (იქვე), „ტერიტორიალური ავტონომია და ქართველი ქალი“ (№ 12), „რუსეთის კულტურა და ჩვენ“ (იქვე), „საქართველოს ავტონომია და პარლამენტი“ (№ 13), „საქართველოს ავტონომია და მუშა ხალხი“ (№ 14), „საქართველოს ავტონომია და მეურნეობა“ (№ 16), „ავტონომია, რეალი უნია და სეპარაცია“ (იქვე), „საქართველოს ავტონომია და სამართალი“ (№ 20), „ავტონომია და ჩვენი გლეხობა“ (№ 33).

საერთოდ კი სარედაქციო წერილებში ძირითადად ის აზრი იყო

გატარებული, რომ „დღეს არა ხვალ საქართველოში მოქმედი ყველა სოციალ-პოლიტიკური პარტიები საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას მოითხოვენ, სულ ერთია სიტყვა „ავტონომიას“ იხმარებენ თუ არა... აი დაკნინებული, დაქსაქსული, დაკაწრული საქართველო უნდა გამთლიანდეს და ერთი მთლიანი თვითმმართველი ქვეყანა შეიქმნეს“ (№ 5).

ამრიგად, იოსებ იმედაშვილი უკვე ფართოდ აყენებდა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ამოცანას („ავტონომია — თვითმართველობა“, № 21). წერილში „ისტორიული აუცილებლობა“ (№ 19) იგი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღორძინების პროგრამას საზღვრავდა.

წერილში „სამშობლო განსაცდელშია“ (1917, № 2) იგი მსოფლიო ომისა და რევოლუციის შედეგების პოლიტიკურ შეფასებაში აღნიშნავდა: „საქართველოს ნახევარ მილიონზე მეტი არჩეული ვაჟკაცობა ბრძოლის ქარცეცხლში იხრაკება... ჩვენ ეს გვინდა, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი გახდეს ნამდვილი თავისუფალი, თავის თავის პატრონი თავის სამშობლოში... თუ მიწა-წყალი დაეკარგეთ და თვითმართველობა — ტერიტორიული ავტონომია ვერ მოვიპოვეთ, საქართველოს დღევანდელი მკვიდრი დიდ საფრთხეში ჩავარდება, გადაშენდება, გავერანდება... ნურავის ნებას ნუ მისცემთ, რომ მშრომელი ხალხის ისტორიულ-ეკონომიური და პოლიტიკური უფლებანი შეგიზღუდონ... რუსეთის რევოლუციით მოპოვებული თავისუფლებით საქართველომაც უნდა შესძლოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა...“.

საქართველოს ავტონომიის პროპაგანდაში იმედაშვილი ისევ ეროვნული პოლიტიკის იმ იდეალების განხორციელებას ესწრაფვოდა, რომლისთვისაც 1905—7 წლების რევოლუციის პერიოდში ორმაგი დევნა განიცადა, როგორც ცარისტული მთავრობის მიერ, აგრეთვე პარტიულ მეკინკლავეთაგან. სამწუხაროდ ათი წლის შემდეგაც დიდი რევოლუციით გამოწვეულ საერთო აღტაცების პირობებშიც, ჩვენ საზოგადოებაში კიდევ მოიპოვებოდნენ ახალი მოძრაობის ცალკეული წარმომადგენელნი, რომელნიც ეროვნული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლენას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდნენ... ეხლაც, მათ არ დაახანეს და „ახალ ერთობაში“ იმედაშვილის წერილებში გამოხატულ პროგრამას, მის მოღვაწეობასა და პიროვნებას თავს დაესხნენ, რომ საზოგადოების თვალში რამენაირად გაეშავებინათ. იმედაშვილი არ აჰყვა მათ უწმაწურ პაექრობაში და საკმარისად ჩათვალა ასეთი პატარა განცხადებით გამოსულიყო: „დღეს ჩვენი სამშობლო ისეთ განსაცდელშია, მისი ყოფნა არ ყოფნის ავად თუ კარგად გადაწყვეტა იმდენ ზრუნვასა და ჩვენს საერთო ყურადღებას მოითხოვს, რომ პირადულ კინკლაობისათვის დრო არ უნდა დავკარგოთ,

მკითხველი არ მოვაცდინოთ. ამ მოსაზრებით ჯერხნობით უპასუხოდ ვსტოვებ ჩემი პიროვნების წინააღმდეგ განგაშის ამტეხავთ. დადგება დრო და ყოველიეეს ნათელი მოეფინება; ჯერ-კი ამის დრო არ არის, რადგან ჩემი პიროვნება არავისათვის საყურადღებოდ არ მიმაჩნია" (გაზ. „ხალხის ერთობა", 1917, № 3).

თქმა არ უნდა, საქართველოს ავტონომიისათვის მოძრაობამ მაინც ხელი შეუწყო ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას, რევოლუციის მძლავრი მსველელობის პირობებში კი მოქალაქურ და სოციალურ უფლებებთან ერთად, დაჩაგრულ ხალხებში ეროვნულ უფლებათა აღდგენისათვის ბრძოლას. ჩქარა ინტენსიურად ამოქმედნენ ეროვნული კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებანი და ჩაისახა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის რეალური პირობებიც, რაც რუსეთის რევოლუციამ პატარა ერებს მოუტანა.

რევოლუციის შემდგომ

1917 წლის რევოლუციით ხალხმა რიგიანი გახარებაც ვერ მოასწრო, რომ ახალმა სოციალურ-პოლიტიკურმა ამბებმა თითქოს დაჩრდილეს კიდეც ხანგრძლივი ტანჯვითა და ლოდინით მოპოვებული თავისუფლების სიკეთეთა განცდა. გასახარელი კიდევ იმდენი გაჩნდა, რომ ეს დიდი ეპოქა, კერძოდ ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ ღირსებისამებრ ვერ აისახა არა მხოლოდ სოციალურ გარდაქმნათა მთლიანი სურათით, არამედ მისი ცალკეული ეპიზოდებიც კიდევ ელიან თავის მემატიანეს, თუმცა თქმა არ უნდა ეს უფლება უპირველეს ყოვლისა იმ თაობის წარმომადგენელთ ეკუთვნით, რომელთაც საკუთარი სისხლით, გადასახლებით, ციხეებში ჯდომით მოიპოვეს.

ამ მხრივ ქართულ მწერლობაში კატორღამისჯილ რევოლუციამდელ მოღვაწეთაგან აღსანიშნავია იოსებ იმედაშვილის პირველი პოლიტიკური დოკუმენტური რომანი „განახლებული სიცოცხლე", რომელშიაც ასახულია სამოქალაქო ომისა და ანარქიის ვითარებაში ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთი სამახსოვრო ეპიზოდი. ამ დროს საქართველოს ირგვლივ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი მსოფლიოს ახალი გადანაწილებით გაჩაღებული ხანძარი, რომლის პირობებშიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის მომავალიც უნდა გადაწყვეტილიყო. სწორედ ასეთ დროს, ამიერკავკასიის მცირე ერთა იმპერიალისტურად განწყობილმა ჯგუფებმა, მედროვეებმა და პროვოკატორებმა მოახერხეს 1918 წელს ხელოვნურად გამოეწვიათ მეზობელ ხალხებში — სა-

ქართველოსა და სომხეთს შორის ურთიერთ დამღუპველი ომი. ამ თემაზე „განახლებულ სიცოცხლეში“ უმთავრესად ასახულია ამიერკავკასიის ხალხთა დაძაბული ურთიერთობის სურათები, რასაც მთავარ იდეად გასდევს მათ შორის მეგობრობის ქადაგება. რომანში შოვინისტური, ანტიხალხური პოლიტიკის განხორციელებას უპირისპირდება სომეხ და ქართველ ხალხთა ჰეშმარიტი მეგობრობა.

ამის შესაძლებლობას რომანის ავტორი თავისთავად იმ ფაქტში ხედავდა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ქართველები და სომხები მჭიდრო მეზობლურ ურთიერთობაში ცხოვრობდნენ და ხშირად საერთო ფრონტით უტევდნენ გარეშე მტერს, რის მაგალითებიც ბევრია, რომ ჩამოთვლა იყოს საჭირო, უმთავრესად სპარსეთ-ოსმალეთის გარემოცვაში ურთიერთ დახმარების ისტორიიდან. ამიტომაც დაშნაკური პარტიის მიერ პროვოკაციურად წამოწყობილ სომეხ-ქართველთა ტრაგიკულ ომს, როგორც შეცდომას, ჩვენ ხალხებს შორის მაინც არ მოჰყოლია მეზობლური დამოკიდებულების გამწვავება, მით უმეტეს, რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში სომეხთა კომპაქტური დასახლებანი არ ყოფილან რაიმე ფორმით ამ ომში ჩარეულნი. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ იოსებ იმედაშვილს მართლაც ყველაზე მეტად შეშვენოდა ობიექტური ყოფილიყო სომეხთა და ქართველთა კონფლიქტის გადმოცემაში, რამდენადაც იგი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდანვე მომხრე და მოწადინე იყო პრაქტიკული მოღვაწეობით მათი სოლიდარული თანაცხოვრებისა, როგორც პოლიტიკურ ურთიერთობაში, ისევე ხელოვნებისა და კულტურის სფეროში.

ამიტომ დაბეჯითებით შეიძლება აღინიშნოს, რომ რომანში საომარი ეპიზოდები და სურათები ისტორიული სინამდვილის გადმოცემას შეიცავენ და თუ მომავალში როგორ უნდა იყოს ჩახშობილი ერთი ერის პოლიტიკაში მეზობლისადმი მტაცებლური ლტოლვები, ამის გადაწყვეტას ავტორი სიმბოლურად ცდილობს რომანის სიუჟეტის ორ პლანში გაშლილ ქართველი მწერლის — მეომრისა და სომეხი ქალიშვილის უიღბლო სიყვარულის მორიგებით. მაგრამ რამდენადაა შესაძლებელი რეალურად გადაწყდეს საბედისწერო კონფლიქტი ასეთი ცალკეული ეპიზოდით, ეს ისევ მომავლის გონიერი პოლიტიკის საკითხია, ხალხების დამოკიდებულება კი ორივე ქვეყნის ცხოვრებაში ფაქტიურად ურთიერთის კეთილმეზობლური ინტერესების სამართლიან გაგებას ეყრდნობა. ამ გაგებით, რომანის პათოსი და ავტორისეული ტენდენცია მკვეთრად ვლინდება მთავარი გმირის, ქართველი მწერლის სიტყვებში, რითაც თავდება მისი პირველი წიგნი: „დიაღ, ბედმა დიდი მოვალეობა დამაკისრა, ერთის ბუნებით ორ ღმერთს ვემსახურო: ეროვნების დაცვასა და საერთაშორისო ძმობის განმტკიცებას, წითელს და ეროვნულ დროშას და მე ამას შევძლებ. მძიმეა ჯვარი

ჩემი, ოჰ, მაცხოვარო, შენს ჯვარზე კიდევ უფრო მძიმე, და მე მას მაინც გოლგოთაზე ავიტან!“.

სამწუხაროდ, ვერც ამ რომანს ეღირსა მთლიანად გამოქვეყნება და დღემდე უცნობია საზოგადოებისათვის გარდა რამდენიმე თავისა, რომელიც იბეჭდებოდა „თეატრი და ცხოვრებაში“ ლადო გუდიაშვილის ილუსტრაციებით (1919, №№ 1—14 და 1920, № 2, 3, 4).

ასევე არა ერთი მოთხრობა, პოემა, პიესა თუ ნარკვევია გაფანტული ძველ გაზეთებსა და გამოცემებში, რომელნიც ღირსნი იყვნენ შესწავლილი და შეფასებულიყვნენ მათი მაშინდელი მნიშვნელობითა და ასპექტით მაინც, რამდენადაც თქმა არ უნდა, დიადი მომავლისათვის მებრძოლ, ეროვნული აღორძინებისა და ჰუმანიზმის იდეალებით გამსჭვალულ მის გმირებს დღევანდელობისთვისაც არ დაუკარგავთ შემეცნებითი მნიშვნელობა ქართული ხასიათების ჩამოყალიბება-ევოლუციური თვალსაზრისით.

არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ ცხრაასხუთი წლის რევოლუციის დამარცხების შემდგომ, რასაც შავი რეაქციის თარეში მოჰყვა, თითქმის 1917 წლამდე მისი ყურადღება როგორც პუბლიცისტი მოღვაწისა, გამახვილებული იყო უმთავრესად გამთავისუფლებელი მოძრაობის თემატიკაზე, კერძოდ საგამომცემლო-სარედაქციო მუშაობაზე, რამაც მნიშვნელოვნად დაჩრდილა მისი საკუთარი შემოქმედებითი სახე. მისი მხატვრული აღღო 1917—20 წლებსა და 1923 წლის შემდგომ ხელახალის ენერგიით უბრუნდება თანადროული სინამდვილისა და ქართული ისტორიული ცხოვრების მისთვის საინტერესო თემებსა და მოტივებს.

ამრიგად, 1910 წლიდან 1917 წლამდე მის ყურადღებას უპირატესად საჟურნალო-სარედაქციო პრაქტიკული საქმიანობა ამოსწურავდა, რასაც ქვემოთ სპეციალურად შევეხები. 1917 წლიდან ყველაზე მეტად მაინც პიესებზე მუშაობდა — „სოფლის მიტინგზე“ (1917), „ქორწილი“ (1918), „ზამთრის პირზე“ (1919), „ნამუსიანი ხალხი“, „ალების ცეკვა“, „მზის ამოსვლამდე“, „მზე ჩაესვენა“ (1920), „წითელი მოყვრები“ (1921).

მაგრამ იოსებ იმედაშვილს უფრო მეტი დარჩა დაუბეჭდავი, რის შესახებაც 1941 წლის იანვრის დღიურებში ერთხელ მაინც სევდიანად შეუნიშნავს — მთელი ღამეები ფიქრები მაწამებენ — რა ბევრი ვიშრომე და რა უკვალოთ ვქრები... უმეტესობა ჩემი ნაწერებისა თავის დროზე არ დაებეჭდე წიგნებად... ახლა კი ვინ დამაბეჭდვინებს, როცა როგორც ვატყობ წინასწარ შედგენილი სიით იბეჭდებიან სასურველი ავტორებიო... მის დაუბეჭდავ თხზულებებში უნდა ჩავთვალოთ — რომანები „ბედუკუღმართი“, „დაშხამულნი“, ციხის მოთხრობები „ციხის კედლებში“, „სარჩობელის წინ“, „საზღვარზე“, „უენო ზარი“.

სამ მოქმედებიანი დრამა „ჩემი სჯული სიყვარულია“ (1926), პიესები — „გზა უვალზე“, „ცეცხლის რკალში“, პოემები — „რკინის კარი“ მეფე ერეკლეს თემაზე (1938), „პირიმზე“. წერილების კრებული ხელოვნებაზე „მშვენიერება და ჰეშმარიტება“, საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები „უკვდავთა ხსოვნას“, „სახალხო ლექტორის საუბრები“, ღირსსახსოვარი სიტყვების კრებული „განთიადის წინ“, რეცენზიების კრებული. ყოველივე ამასთან ერთად, მას დარჩა თარგმანები—მათ შორის დ'ანუნციოს „იორიოს ასული“, რომელიც ალ. წუწუნავამ დადგა, სუნდუკიანის „პეპო“ და „თავისუფლება და სიყვარული“.

უკანასკნელი ხანების მის მხატვრულ თხზულებათაგან აღსანიშნავია თვითმპყრობელობის უსამართლობასთან ბრძოლის თემაზე ხუთმოქმედებიანი დრამა „იოსებ ლაღიაშვილი“ (1929), რომლის დადგმას ახმეტელი ამზადებდა. აგრეთვე ხუთმოქმედებიანი პიესა ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის ცხოვრება-შემოქმედების თემაზე. „კოსტა“ წარმატებით იდგმებოდა ცხინვალის თეატრის სცენაზე (1937). პოემები „მზეთამზე“ (1926) და „მშვენიერა“ (1921). პირველი ქართული პედაგოგიური რომანი „ციბრუტა“ ახალგაზრდობის ეთიკურ-ესთეტიკური აღზრდის თემაზე, რომელიც 1940 წელს დაიბეჭდა და შეიძლება ითქვას აკლდა ჩვენ მწერლობას. „ციბრუტამ“ საკმაო ინტერესი გამოიწვია ახალი ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბების პრინციპების განსახიერებით. მასში დაპირისპირებულია ძველი და ახალი სკოლა, ძველი და ახალი გაგება ისეთი ცნებებისა, როგორიცაა კაცთმოყვარეობა, სიყვარული, მეგობრობა, საზოგადოებრივი მოვალეობა, ნიჭიერება. ახალი ძნელ ბრძოლაში სძლევს ძველს და იმარჯვებს. თხზულების მთავარ გმირს, — ახალ ადამიანს ციბრუტას სკოლასთან ერთად ზრდის საზოგადოება და იგი თავისი მხრით კეთილმყოფელ გავლენას ახდენს საკუთარი მშობლების განწმენდა-ამაღლებაზედაც.

მარჯანიშვილის დაბრუნება საქართველოში. მსახიობთა ყრილობა

სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობა 1914 წელს ეროვნული იდეოლოგიის მინიშნებით ჩატარდა, რაც მნიშვნელოვნად იყო იმპულსირებული იმითაც, რომ თეატრალურ მუშაკებთან ერთად საერთოდ ქართული კულტურის, უმეტესად კი გამოჩენილი მწერლებიც მონაწილეობდნენ. რევოლუციის შემდგომ 1924 წლის მსახიობთა ყრილობას კი შესამჩნევად სპეციფიური თეატრალური ხასიათი ჰქონდა, ვიწროდ პროფესიონალურ საკითხებზე პაექრობით. 1914

წლიდან 1924 წლამდე ქართული სცენის მსახიობთა შემადგენლობა შესამჩნევად გადახალისდა ახალი თაობის მოსვლით და ამასთან ერთად, ლიტერატურასა და დრამატურგიაში იდეოლოგიურმა ძვრებმა გამოიწვიეს რეპერტუარის გადახალისება.

„თეატრი და ცხოვრება“ იყო რა უპარტიო ორგანო, როგორც უკვე აღინიშნა, ყოველთვის დამოუკიდებელ პოზიციაზე იდგა საერთოდ ხელოვნების, მწერლობისა და დრამატურგიისადმი, თეატრის დანიშნულების, მისი თემებისა და მოტივების იდეოლოგიური საკითხების გადაწყვეტაში. მისი მუდმივი ყურადღების საგანი იყო ხალასი ნიჭიერება, ხელოვნების უანგარო სამსახური, რომლის ნიმუშს მისთვის წარმოადგენდა ქართული თეატრის იმ თაობის მოღვაწეობა, რომელიც 1910 წლიდან დაწყებული უკანასკნელ ხანებამდე რევოლუციის შემდეგაც ემსახურებოდა სცენას. ამდენადვე გასაგებია, რომ თავისი არსებობის ხუთმეტი წლის განმავლობაში იოსებ იმედაშვილი ყოველკვირეულ მეთაურებსა, სპეციალურ მიმოხილვებსა, წერილებსა თუ მოგონებებში ყველაზე მეტად გულითად ყურადღებას ვასო აბაშიძის, ნატო გაბუნია-ცაგარელის, ვალერიან შალიკაშვილის, კოტე ყიფიანის, კოტე მესხის, ვლადიმერ მესხიშვილის, ვალერიან გუნიას, ნიკო გოცირიძის, ნუცა ჩხეიძის გახსენებასა და დახასიათებას უძღვნიდა.

ამდენადვე ქართული თეატრის მუშაობას იგი ეგებებოდა როგორც „ქართველი ერისა და ხალხის საერთო ოჯახს, დიდ ტაძარს, წმიდა სამლოცველოს, სადაც ხშირად მაღალ ხელოვნურ წარმოდგენასთან, თავისთავადობითი ნიჭით ანთებულ ცეცხლთან ერთად მუდამ გაუჭრობლად გიზგიზებდა მოქალაქობის, საზოგადოებრიობისა და ეროვნობა-ხალხოსნობის ზოგადი კოცონი“ (მელპომენე და თემიდა, 1924, III, № 4).

ამიტომაც იყო, რომ „თეატრი და ცხოვრებას“ მეთაური (იქვე) დაურიდებელი საყვედურით შეხვდა რუსთაველის აკადემიურ თეატრში სენსაციურ გამოსვლას, რაც ახალგაზრდა მსახიობთა ერთმა ჯგუფმა „ქართველ არტისტთა კორპორაცია „დურუჯის“ სახელით მოაწყო. 1924 წლის 29 იანვარს „ინტერესთა თამაშის“ წარმოდგენის დროს, მეორე მოქმედების შუა ადგილას, პიესის ერთმა მოქმედმა პირმა შეაჩერა პიესის მსვლელობა, გაშალა ქაღალდი და წაიკითხა ნაბეჭდი ტექსტი, რომლის მაგვარი პარტერშიაც გადმოყარეს და რითაც საზოგადოებას ემცნო თეატრში განსაკუთრებული ჯგუფის ჩამოყალიბება დაპირისპირებული თეატრის ძველ შემადგენლობასთან. თეატრის ძველ მსახიობთ მათ უწოდეს „თეატრის ვირთხები“, „ბებერი კამეჩები“, „ტომრები“ და აღთქვეს ქართული თეატრის „შლამიან ჭაობიდან ამოყვანა“, „ქეთროვანთაგან განწმენდა“. ასე მოიხსენი-

ეს ისინი, „რომელთაც ქართულ თეატრს საძირკველი ჩაუყარეს, მადლიანი ძუძუ აწოვეს, მთელი ოცდაათი-ორმოცი წელიწადი თავის ზურგით, ძარღვებით, გულით და სულით დღემდე მოიტანეს... რომელთაც რუსეთის თვითმპყრობელ მეფეთა — ალექსანდრე-ნიკოლოზის ჟანდარმერიის შავი რეაქციის დროს ქართველი ხალხის, საქართველოს პროლეტარიატის გრძნობა-გონება ცხოვრების ახალ მიზნისაკენ მიმართეს, — უკეთესის მერმისისათვის საბრძოლველად დარაზმეს...“

„დურუჯის“ ასეთმა გამოსვლამ დიდი მღელვარება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში, რასაც ჟურნალის იმავე ნომერში იოსებ იმედაშვილმა სპეციალური წერილი მიუძღვნა „რა დავარქვათ“. მისი სიტყვით, „დურუჯის“ გამოსვლაში აუგადაა მოხსენიებული ქართული თეატრის მოღვაწეთა მთელი ის თაობა, რომელსაც თავის დროზე ამშვენებდნენ — ვასო აბაშიძე, საფაროვ-აბაშიძისა, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, კოტე მესხი, ბაბო ავალიშვილი, ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი, ეფემია მესხი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ქეთო ანდრონიკაშვილი, ნინო ჩხეიძე, რომელთაც თავისი სახელი სამშობლოს სცენისადმი უანგარო სამსახურით თვითონვე გაიუკვდავეს... მათვე მიეკუთვნებიან მეორე თაობის მსახიობნი — შალვა დადიანი, ალ. იმედაშვილი, ტასო აბაშიძე, ვასო ბალანჩივაძე, ელო ანდრონიკაშვილი და სხვები, ყველა ისინი, რომელნიც „სამშობლო ენასა და ქართველობას ინახავდნენ... ხალხისნურ იდეებს აღვივებდნენ“.

ყველა ესენი „დურუჯის“ მანიფესტის მიხედვით თითქოს მეშჩანურ სულისკვეთებით სულდგმულნი, უსახონი და უპრობლემონი, საქართველოში თეატრალური დილეტანტიზმის დამამყარებელნი, თითქოს მოკლებულნი იყვნენ საკუთარ ეროვნულ „მეობას“ და მათ უპირისპირდება „დურუჯი“ საკუთარის კულტურით, ქართული რასის რიტმით, მეტყველებით, ტემპერამენტით და ემოციით.

„დურუჯის მანიფესტს იოსებ იმედაშვილმა „ღია კარში ბრახუნი“ უწოდა, რამდენადაც ამ ჯგუფის მოწოდების გარეშეც, ქართული თეატრი მათ დროს სწორედ ეროვნული, პროგრესული იდეოლოგიის, ხელოვნების განმტკიცებისათვის იღვწოდა. ამ ხანის ქართული თეატრის მუშაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რეჟისორის როლის შესამჩნევი ზრდა, რაც საგრძნობი გახდა კოტე მარჯანიშვილის დაბრუნებით ქართულ თეატრში და რომელსაც დიდი ზეიმით შეხვდა მთელი საქართველო. მან „ცხვრის წყაროს“ პირველივე წარმოდგენით სასწაულებრივი გარდატეხა მოახდინა ქართული თეატრის ცხოვრებაში. მისი სახით, ქართულ თეატრს „ჯადოქარი, სცენის მესაიდუმლე მიმზიდველი ანდამატი მოევლინა, მაცოცხლებელი წყარო ქართველი მსახიობის აქამდე მოდუნებულს, დაფარულს და ღრმად ჩა-

შარხულ გენიას. მან ჯადოსნური კვერთხით გააპო გული მსახიობისა და გამოცოცხლებულმა ნაკადმა გააპოხიერა გრძნობა, მოძრაობა, თვალის იერი, ხმის ბგერა ჩვენი მსახიობისა და ჩქარა შეაქმნევინა „ცხვრის წყაროსთან“ ერთად „მზის დაბნელება საქართველოში“, „ლურჯი ობობა“, „გაყრა“, „მშვენიერი ელენე“, „ინტერესთა თამაში“, „გმირი“. მან დაუდგრომელი ხელით გააბა ქსელი ეროვნულ საუნჯეთა და საკაცობრიო შემოქმედებათა შორის... მან ხელახლა აღმოაჩინა ქართველი მსახიობის ნიჭი და უნარი“ (კოტე მარჯანიშვილი, 1923, 16 XII, № 2).

„თითქოს განგებ, ქართულ თეატრს, მის უაღრეს გაჭირვებისა და ტკივილების დროს ბედმა მოუვლინა დიდი ხნით სამშობლოდან გადახვეწილი და სუსხიან ჩრდილოეთში დავაჟკაცებული და სახელგანთქმული ხელოვანი, რომელმაც მტკიცედ აიღო თავის ხელში ქართული თეატრის სადავე და გაბედული მოქმედებით ერთბაშად გამოიყვანა იგი თეატრალური ხელოვნების შარაგზაზე და ეს ჯადოქარი ოსტატი, ეს ლეგენდარული მხსნელი — შესსია არის კოტე მარჯანიშვილი, რომელშიაც თავმოყრილია ქართული რასის უკეთილშობილესი თვისებები. მარჯანიშვილმა დააღღვია ჩვენში გაბატონებული თეატრალური ტრადიცია და რუტინა და ქართული თეატრი მსოფლიო თეატრების გზაზე დააყენა“ (თეატრი წარსულის და მომავლის, 1924, 16, I, № 2).

ქართული თეატრის ასეთი წინსვლის პირობებში რაღა მლაშიან ჭაობსა და რუტინაზე შეიძლებოდა ბაასი?

„დურუჯის“ გამოყოფა ქართული თეატრალური საზოგადოებისა და მსახიობთა მთლიანი ყრილობისაგან უფრო ნათლად და ფორმალურადაც გამომჟღავნდა იმავე წლის 12 ივნისს დაწყებულ და მთელ კვირას მიმდინარე „სრულიად საქართველოს ქართველ მსახიობთა კავშირის ყრილობაზე“. „დურუჯის“ შექმნის და მის გამომწვევ მიზეზების ახსნა-განმარტებებმა და საერთო კამათმა იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ამ საკითხის გარშემო ყრილობა ორ ნაწილად გაიყო. ერთის მხრივ იყვნენ ეგრეთ წოდებული ძველი დამსახურებული მსახიობნი, მეორეს მხრივ კორპორაცია „დურუჯი“ მთელი შემადგენლობით და დრამატიული სტუდიის ახლად კურსდამთავრებული ახალგაზრდობა.

რეჟისორ ახმეტელის პირით „დურუჯმა“ განაცხადა, რომ ვინაიდან შეიქმნა ისეთი პირობები, რომ ჩვენი ერთად ყოფნა, ერთად მუშაობა ყოველად შეუძლებლად მიგვაჩნია, ჩვენი გზა დისციპლინისა და მიმართულების მხრივ სულ სხვადასხვანაირია, ჩვენ გავდივართ ამ კავშირიდან და ვაარსებთ ახალ მსახიობთა კავშირსაო. ახალგაზრდა სტუ-

დიელებმაც განაცხადეს, რომ ძველებთან მუშაობა არ შეუძლიათ და დარბაზი დასტოვეს.

მსახიობთა ახალი კავშირის კრება იმავე დღეს სარკის დიდ დარბაზში ჩატარდა ახმეტელის თავმჯდომარეობით. ახალ მსახიობთა კავშირის საპატიო წევრად აირჩიეს კოტე მარჯანიშვილი. ახალ კავშირის საბჭოში არჩეული იყვნენ აკაკი ფალავა თავმჯდომარედ, ვიაჩესლავ ჯიქია, აკაკი ვასაძე, პ. მურღულია, ვერიკო ანჯაფარიძე, პ. კანდელაკი.

ძველ კავშირში ყრილობამ „დურუჯის“ შესახებ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „ყრილობა ეგებება რა ყოველგვარ პროგრესულ ჯგუფს, ან კორპორაციას სიხარულით, რომელიც სათეატრო ცხოვრებაში განახლებას შეიტანს, იმავე დროს აღიარებს, რომ არსებული კორპორაცია „დურუჯი“ თავისი გამოსვლით და მანიფესტით ყოვლად მიუღებელია და აღმაშფოთებელი, ჰგმობს მათ მანიფესტსა და გამოსვლას“. ეს რეზოლუცია მიღებულია ერთხმად, ერთის გარდა, რომელმაც თავი შეიკავა. „დურუჯის“ კორპორაცია ამ რეზოლუციის შედგენამდე გავიდა, — გაჰყვა 21 კაცი, დარჩა 112. მსახიობთა კავშირმა და ახალ მსახიობთა კავშირმა ქონება გაიყვეს (სრულიად საქართველოს ქართველ მსახიობთა კავშირის ყრილობა, 1924, 10 ივლისი, № 13).

იოსებ იმედაშვილს სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირის სახელით შემდგარ ქართველ მსახიობთა ოჯახის ორ ბანაკად გაყოფა საზარალოდ მიაჩნდა და მოუწოდებდა გაერთიანებას, ერთი ფრონტის შექმნას. „დაე, აქ იყოს სხვადასხვა სკოლა, სხვადასხვა მიმდინარეობა, ე. წ. ძიებანი, ყველა ამას საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს და მფარველობაც გაეწიოს, იგი საჭიროა, მაგრამ განმგებლობა კი ერთი უნდა იყოსო“ (იქვე, სადღეისო). მისი აზრით, სრულიად საქართველოს მსახიობთა ყრილობაზე „ძველი“ და „ახალი“ კი არ დაეტაკა ურთიერთს, არამედ სახე და სული, ფორმა და იდეურობა ფორმასთან ერთად დაუპირისპირდა ერთმანეთს. პირველს მეთაურობს „დურუჯი“, მეორეს მთელი ქართული თეატრი, და ზოგადის სახელით პირადი ჟინით, პიროვნული აღტკინებით, ფეხქვეშ სთელავენ სწორედ ამ ზოგადს, საქვეყნოს... ამის გამო უნიჭიერესნი ძალნი დასის გარეთ რჩებიან... უნდა მოხდეს თვითგანწმენდა — საჭიროა ქართული მელპომენის მსახიობთა ერთ ოჯახში გაერთიანება, ნიჭიერ ძალთა შემოკრებაო“ (თვითგანწმენდა, 1924, 22, VI, № 12).

მსახიობთა კავშირის ორ ბანაკად გაყოფასთან დაკავშირებით, მსახიობთა კორპორაცია „ჯეირანის“ პრეზიდიუმმა, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა მსახიობთა ყრილობის მუშაობაში, წერილით მიმართა „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქციას: „ჯეირანის“ პრეზიდიუმი ვერცერთი მხარეს ვერ მიეკედლება, რადგან საქართველოს სინამდვი-

ლეში (გარდა რუსთაველის და ქუთაისის თეატრებისა) ყველა ადგილობრივი და პროვინციის თეატრი-აუდიტორიები უაღრესად მუშურ-ხალხურია და თავისი ყოფით ვერ გაჰყვება ვერც აკადემიურობას, ვერც ძიებას თეატრალურ ფორმების დარგში" (1924, 15 VII, № 14).

„თეატრი და ცხოვრებას" უკანასკნელი ნომერი

საბჭოთა წყობილების დამკვიდრების პერიოდში, როდესაც საქართველოში ყოველგვარი გამოცემის კერძო წამოწყება სახელმწიფო ინიციატივამ შეცვალა, ახალი მასობრივი პრესის ხანა დაიწყო. ეს უპირველესად იმას ნიშნავდა, რომ სიტყვის, წიგნის, გაზეთის, ჟურნალის ბეჭდვა-გავრცელებისათვის პიროვნული თავდადება, კერძო ინიციატივის, შრომისა და რესურსების პირადი მსხვერპლი საჭირო აღარ იყო და „თეატრი და ცხოვრებას" იმ წესით გამოცემაც ერთგვარად ანაქრონული ხდებოდა. ახალი სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური პირობების გარემოცვაში ჟურნალი ბუნებრივადაც უნდა შეცვლილიყო როგორც შედგენილობითა და შინაარსით, აგრეთვე მისი გამოცემის ორგანიზაციით. ერთი სიტყვით, კულტურის ყოველი სფერო მით უმეტეს ბეჭდვის საქმეში თანდათან სახელმწიფო მეურვეობის ხელში გადადიოდა და თუკი რომელიმე ლიტერატურული ორგანო მაინც იარსებებდა, ის სახელმწიფო ხარჯზე უნდა გადასულიყო და დაქვემდებარებოდა რომელიმე შესაბამის ოფიციალურ დაწესებულებას.

ამრიგად, ახალი დროების თაობა მოვიდა თავისი ინტერესებითა და გემოვნებით და ძველი დამსახურებული მოღვაწისა და რედაქტორისათვის მაშინ ისეთი გულითადი და ოფიციალური მადლობა არ უთქვამთ, რომ მის კერძო, 15 წლის ხნოვანობის ამაგდარ ჟურნალს „თეატრი და ცხოვრებას" თავისი სახე და შინაარსი შეენარჩუნებინა, მით უმეტეს რომ იმ დროს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში ეს ჟურნალი როგორც პერიოდული ორგანო ერთადერთი იყო, როგორც უპარტიო თავისუფალი გამოცემა.

ჩვენი ჟურნალის არსებობისათვის ობიექტურად ისიც გახდა თავისთავად ხელისშემშლელი, რომ „თეატრი და ცხოვრებას" საკუთარი ეკონომიკური ბაზა მოეშალა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჟურნალს მანამდე საკუთარ ასოთამწყობ საამქროში ვაწყობდით, ფიზიკურად ჩვენ თვითონ ვმუშაობდით, ასე რომ სასტამბო საქმეში შრომის ხარჯები შემცირებული გვქონდა. ამისათვის დასაბეჭდად გამზადებული ანაწყობი გასწორებული გვერდები რედაქციასთან ახლო მდებარე სტამბაში მიგვქონდა. ეს ასოთ ასაწყობი საამქრო გაუქმდა. ამაზე

გაზ. „ტრიბუნა“ შემდეგნაირად იუწყებოდა: „ახალი ამბები: როგორც გვაცნობეს „თეატრი და ცხოვრების“ და „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ ასოთ საწყობი, რომელიც ამ ორი თვის წინად პოლიგრაფ. განყ. განკარგულებით დაიბეჭდა, ა. წ. ენკენისთვის 7 გახსნეს და წაიღეს სხვადასხვა ჯურა ასო და სასტამბო მასალა-იარაღები. მასთან ერთად წაღებულია სვეტებად აწყობილი, უქაღალდობის გამო დაუბეჭდავი იოსებ იმედაშვილის რომანის „განახლებული სიცოცხლის“ გაგრძელება. ამგვარად „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემის საქმეს მოესპო ყოველივე სახსარი. მისი რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა და ამ ჟამად წევს თავის ბინაზე პრიუტის ქ. № 29“ (გაზ. „ტრიბუნა“, 1921, 15 სექტემბერი, № 22, გვ. 2).

ეს დრო მამაჩემის ირგვლივ არასასიამოვნო ხმების გავრცელებით ცუდ ატმოსფეროს უქმნიდა მის ნორმალურ მუშაობას. ასე მაგ., 1922 წლის 30 აპრილს გაზ. „ტრიბუნა“ (№ 204) იუწყებოდა: „როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყეთ, საქართველოს მოქალაქენი ვლასა მგელაძე და ყოფილი რედაქტორი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებასი“ იოსებ იმედაშვილი ბერებად შესულან კონსტანტინეპოლის ქართველთა ერთ მონასტერშიო“. ეს ცნობა თუ მონაჭორი იყო, თავისთავად ეს სიცრუე ნამდვილად იმას მაინც ნიშნავდა, რომ ამ დროს, 1921—22 წლებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით, პოლიტიკური გარდამავალი პირობების ვითარებაში „თეატრი და ცხოვრებას“ გამოცემა შეწყვეტილი იყო. მაგრამ ეს იყო დროებითი შეფერხება, ისევე როგორც 1911—13 წლებშიც ჟურნალის გამოცემა რომ შეჩერებულა იოსებ იმედაშვილის დაპატიმრების გამო. მისი ბეჭდვა მამას ციხიდან განთავისუფლებისთანავე 1914 წლიდან იმავე სახით განახლდა.

ასევე 1921 წელს შეწყვეტილი ჟურნალის გამოცემა 1923 წლიდან მაინც განახლდა, რის შემდეგაც კიდევ სამი წელი იარსება და შეიძლება ითქვას ამ ხანის ჟურნალები თავისი შინაარსით დროის მოვლენათა სიმაღლეზე იდგნენ და შესაფერად ასახავდნენ ქართული კულტურული ცხოვრების შინაარსს, თეატრის აღმავლობას, საერთოდაც გარდამავალი პერიოდის ძიებებსა და სიახლეებს ხელოვნებაში, რომლითაც ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კრიტიკული აზრის განვითარებაშიც ახალი ეტაპი იწყებოდა ახალი პრობლემების დასმითა და მათი გადაწყვეტის სტილით, რაც ქართული კულტურის ყოველ დარგში ახალი თაობის გამოსვლას მოჰყვა.

სამწუხაროდ ჟურნალის შინაარსის თანდათანი დახვეწის, მისი ლიტერატურული კრიტიკის, რეცენზიების ენისა და სტილის გაუმჯობესების დროს, ისევ მოუგვარებელი რჩებოდა „თეატრი და ცხოვრებას“ ფინანსიურ-ეკონომიური უზრუნველყოფის საქმე. მთავარი დაბრკო-

ლება მაინც ის იყო, რომ მისი სისტემატური გამოცემა ასოთამწყობი მოწყობილობის მოშლით მეტად გაძნელდა, რადგან ჟურნალის მასალის აწყობა მთლიანად ნაჭირავებ სტამბისათვის უნდა ყოფილიყო მინდობილი, რომლის გადასახადი, განსაკუთრებით მუშა ხელის სიძვირის გამო მეტად ადიდებდა ხარჯებს, რაც ჩვენს ყოველგვარ შესაძლებლობებს აღემატებოდა. ასეთ პირობებში ყოველი ახალი ნომრის გამოშვება მხოლოდ ზრდიდა რედაქციის ვალებს. და მამაჩემმა, მიუხედავად დიდი შრომისა, სტამბებსა და გამომცემლობებში მოპოვებული ნდობისა, ვეღარ გაუძლო ხარჯებს და სულიერი და ფიზიკური დაძაბულობის მეტად მძიმე ტვირთს, რასაც მარტო ეწეოდა. ამიტომ თუ მანამდე „თეატრი და ცხოვრებას“ გამოცემის ორჯერ შეფერხებას დროებითი ხასიათი ჰქონდა, ეხლა მისი არსებობა მრავალმხრივი საფრთხის წინაშე იდგა.

ამრიგად, „თეატრი და ცხოვრებას“ არსებობაში 1926 წლის მარტის 16 ნომერი უკანასკნელი გამოშვება აღმოჩნდა და ეს ჟურნალი — საერთო სათვალავით 372 ნომერი, სიმბოლურიც გამოდგა შინაარსის გარდა იმ მხრივაც, რომ ძირითადად თეატრალური საკითხებია განხილული, რითაც შინაარსობრივადაც ამართლებს სახელწოდებას და დანიშნულებას. მის ყდაზე კოტე მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის ერთობლივი სურათია, იქვე კომპ. მელ. ბალანჩივაძის პორტრეტი „თამარ ცბიერის“ დადგმის გამო. ჟურნალის უკანასკნელი ნომერი იწყება იოსებ იმედაშვილის წერილით — „მზეთა-მზე“, მისი აკადემიურ თეატრში დადგმის გამო, რომელშიაც ეს დადგმა ქართული თეატრის დიდ მიღწევად არის მიჩნეული მსახიობის კულტურისა თუ რეჟისორული გააზრების თვალსაზრისით. მეექვსე გვერდზე საინფორმაციო წერილი „მეიერხოლდის სახელობის თეატრი“. ალ. ჯაფარიძის ინტერვიუ „შალვა დადიანთან მოსკოვში“ (გვ. 7). დამსახურებული მსახიობის ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილე. გაკვრით მოსკოვის ქართულ დრამატიულ სტუდიაზე (გვ. 9). კაიუს პელის ნარკვევი „ქართულ კინოსთვის“ (გვ. 9—10). იოსებ არიმათიელის „ქართული ოპერა“ (გვ. 12—13). ი. ზაქარიაშვილის „ტფ. სამუსიკო სასწავლებლის დამაარსებელი ხ. ი. სავანელის შესახებ (გვ. 13). ქრონიკა—ევროპის თეატრებში. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამავე ნომერში მოთავსებული იყო ტერენტი გრანელისა და გობრონ აგარელის ლექსები, როდიონ ქორქიას მოთხრობა „სიმართლის ამბავი“, შოთა გაგუას წერილი „პროლეტარული ხელოვნების ძირითადი სიძნელენი“. გრ. ნათაძის პიესა „პირიმზისაკენ“ ნაწყვეტი.

როგორც აქედანაც ჩანს, „თეატრი და ცხოვრებას“ უკანასკნელი ნომერი შედგენილობით, მასალის შერჩევა-დალაგებითა და მრავალფეროვნებით შეიძლება მის მიერ შემუშავებული ჟურნალის ტიპის

სანიმუშოდ ჩაითვალოს, რაც შემდეგ ამ ფორმით აღარ განმეორებულა. მისი თავისებურებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ იოსებ იმედაშვილს ჟურნალის თანამშრომლებთან მეტად ახლო გულითადი დამოკიდებულება ჰქონდა და ჟურნალს ყოველთვის მომზიდველს ხდიდა ერთი რომელიმე თვალსაჩინო პუბლიკაცია მაინც. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ ჟურნალის გამოცემა და მისი მომზადების სიძნელეთა გადალახვა იმედაშვილის მოთხოვნილებად იყო გადაქცეული და გასაგებია, რომ იგი კიდევ ცდილობდა მისი გამოცემის განახლებას. ამისათვის თითქოს ხელსაყრელი შემთხვევაც აღმოჩნდა.

ეს იყო ჟურნალისათვის ის მოულოდნელობა, რომ იმაღე ხანებში თბილისში ჩამოსულს სტალინს უკითხავს იოსებ იმედაშვილის მდგომარეობა და მიუთითებია — თუ რამე ითხოვოს, ხელი შეუწყვეთო. მართლაც, მამაჩემი ცეკაში დაიბარეს და ჰკითხეს — რა გჭირდებათ, რაში დაგეხმაროთო? მამაჩემს სხვა არაფრის თხოვნა არ შეეძლო — ისევ თავისი ჟურნალის აღდგენა და ლექსიკონების გამოცემა უთხოვია, რის შედეგიც იყო 1928 წელს მისი „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მესამე გამოცემა. რაც შეეხება „თეატრი და ცხოვრებას“ აღდგენას, იგი აღარ განახლებულა, ისევე როგორც საქართველოში აღარც ერთი კერძო პერიოდული ჟურნალი არ გამოცემულა.

„თეატრი და ცხოვრებას“ შემდეგ

1926 წელს „თეატრი და ცხოვრებას“ გამოცემის შეწყვეტამ მკვეთრად შეცვალა მამაჩემის ცხოვრების წესრიგი, მისი დამოკიდებულება ადამიანებთან, საზოგადოებასთან, ოჯახთან, წიგნებზე მუშაობასთან. ჟურნალის დახურვამდე სახლში მამაჩემის ნახვა ხშირად გვენატრებოდა, რადგან მთელ დღეს — დილიდან დაწყებული გვიან ღამემდე შინ მოსასვლელად ვერ იცლიდა, რის გამოც უჭმელიც რჩებოდა ხოლმე. კვირიდან კვირამდე მისი სამუშაო არა თავდებოდა — ეს იყო სარედაქციო მუშაობა — ყოველი ახალი ჟურნალის გამოსაცემად მომზადება, საჟურნალო მასალის სასტამბოდ რედაქტირებასთან ერთად მთელი ანაწყობის კორექტურის სწორება, ავტორებთან ურთიერთობა, ჟურნალისათვის მასალის შესაგროვებლად სამუშაოს მიცემა მხატვრებისათვის, ცინკოგრაფიაში საჭირო კლიშეების შეკვეთა, სტამბაში ყოველდღიური ყოფნა ჟურნალის აწყობა-ბეჭდვის სამეთვალყუროდ. ყოველივე ამასთან ერთად, როგორც ჟურნალის რედაქტორი, მუდმივ კურსში უნდა ყოფილიყო თუ რა ხდებოდა თეატრების სცენებზე, მით უმეტეს პრემიერებზე პირადი დასწრებით, რამდენადაც ძირითადად რეცენზიები თვითონვე უნდა დაეწერა და სხვა-

დასხვა კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობაშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო. ერთი სიტყვით, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მთელ დღე-ღამეს სხვათა ნაწერების რედაქტირებას ანდომებდა, და თან, ჟურნალის მეთაურის გარდა, ყოველ ნომერში სხვადასხვა ფსევდონიმით რამდენიმე წერილსაც ბეჭდავდა.

ასეთი დაძაბული მუშაობისაგან მთლიანად განთავისუფლების შემდეგ მამაჩემმა კერძო ცხოვრების — ჩვენი ოჯახისთვისაც მოიცალა და როგორც მამას შვილები უფრო დაუახლოვდით. მღელვარე და მოუსვენებელი საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან ჩამოცილებულს, უკვე აღარ ეჩქარებოდა, დრო ჰქონდა თავის თავზედაც ეზრუნა და ისიც ცხადია, რომ ასეთი განტვირთვა უმეღავათო მუშაობისაგან პირადად მისთვის, როგორც მწერლისათვის, ობიექტურად სასარგებლო უნდა ყოფილიყო. უკვე შეეძლო ნაწერებზე გულდამშვიდებით ემუშავა, შვილებისადმიც მანამდე მიჩქმალული სიყვარული და ყოველდღიური მზრუნველობა გამოემჟღავნებინა, თაისთვისაც მოევლო, დასვენებაზედაც ეფიქრა. ამდენადვე ისიც შეგვეძლო ხოლმე, რომ ოქტომბრის მთელი თვე ჩვენ მამა-პაპეულ ვენახში გაგვეტარებინა, წალმით გადახურულ ქოხში, საიდანაც იერის ჭალასა და გაღმა უჯარმა-იალნოს მთას გადავცქეროდით ხოლმე, ყველა იმ ადგილებს, რომელნიც მას მამასახლისობისას ყოველშემთხვევაში ცხენით ჰქონდა არა ერთხელ შემოვლილი გარეკახეთის ერთობის მოძრაობის ამბებთან დაკავშირებით. საღამოობით კი ხაშმის ადგილ-ადგილ ჩამომსხდარ გლეხებს გამოელაპარაკებოდა ხოლმე სოფლის ავკარგობაზე.

სოფელში ყოფნა მამაჩემს თავაუღებელი წიგნური მუშაობის შემდეგ დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, ისე, რომ ქალაქში დაბრუნებული უფრო მეტი ენერგიით თავის ხელნაწერებზე იწყებდა მუშაობას.

მაგრამ ის დიდი ცვლილება, რაც მის ცხოვრებაში გარეშე საქმეებისაგან ასეთმა მოცლილობამ მოიტანა, მას შემდეგ, რაც თუ მანამდე ბევრი რამე ეკითხებოდა, ახლა კი თითქოს ხმის გამცემი არავინ ჰყავდა, ესეც ერთგვარად მძიმე გამოდგა მისთვის ისე, რომ როგორც ქალაქში, ისევე სოფლად ყოფნის დროს მას მაინც ყოველთვის აკლდა, ასე ვთქვათ, თავისი ადგილი საზოგადოებაში. ჟურნალის ოპერატიულ სარედაქციო საქმიანობას შეჩვეულს ფაქტიურად ბევრი საზრუნავი მოაკლდა, მანამდე ბევრ კულტურულ დაწესებულებათა მუშაობასთან იყო დაკავშირებული, — ფართო საზოგადოებასთან, უამისობა კი ერთბაშად გაუჭირდა, იმიტომაც, რომ სულითა და ხეულით ჯაფაში იყო გამოზრდილი, უსაქმურობას კი ვერ იტანდა და გული ისევ დაძაბული შრომისაკენ მიუწევდა. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ მამაჩემი ამ დროს ჯერ კიდევ 49 წლისა იყო და ენერგიით სავსეს საშუშაოს წყურვილი არ გამონელებოდა.

სამაგიეროდ, ერთბაშად მოსულმა თავისუფალმა დრომ იმის საშუალება მისცა და სათანადო განწყობაც შეუქმნა, რომ თავისი განვლილი ცხოვრება-მოღვაწეობისათვის ღრმად ჩაეხედნა, რამაც კარგად აგრძნობინა, რომ ჟურნალის სარედაქციო-საგამომცემლო მუშაობას მისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი ენერგიის ყველაზე ძვირფასი დრო წაეღო. ამ მხრივ ერთგვარი გამოსავალი, თუმცა დაგვიანებული, იმაში ჰპოვა, რომ სისტემატური მუშაობა დაიწყო თავისი გამოუქვეყნებელი ნაშრომების რედაქტირებასა და საკუთარი არქივის მოწესრიგებაზე. სახლში ამ ინტენსიურმა მუშაობამ მას ისიც ნათლად დაანახა, რომ მართლაც ბევრი დრო ჰქონოდა დაკარგული სხვათა პატრონობაში, საკუთარი თავი და მწერლობა გამორჩენოდა. ერთი სიტყვით, საზოგადოებრივმა, პოლიტიკურ-პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ, უმთავრესად ჟურნალის რედაქტორობამ და საგამომცემლო საქმიანობამ საგრძნობლად ჩაჰკლა მისი პირადი შემოქმედი ინდივიდუალობა და თავის თავს ჩამოარჩინა. ამიტომაც იყო, რომ როგორც საკუთარი ხმის მწერალი, საშინელი მოუცლელობისაგან თავისივე შემოქმედებით შესაძლებლობებს თუ ერთგვარად ჩამორჩა, ამის ერთი შედეგი ისიცაა, რომ ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ჯეროვნად უცნობია იმედაშვილის ავტორობა არა ერთი მხატვრული ნაწარმოების — რომანის, პოემის, პიესის თუ კრიტიკული ნარკვევისა, რომელნიც სათანადოდ ვერ გახმიანდნენ და დარჩნენ დამსახურებული ყურადღების გარეშე.

ამ მხრივ კარგად შენიშნა იოსებ გრიშაშვილმა, რომ „იოსებ იმედაშვილის ხალხური ნიჭი და ენერგია შეისრუტა ხელოვნების სხვადასხვა დარგმა". ამიტომაც იყო, რომ შალვა დადიანის შენიშვნითაც, იმედაშვილს ჰქონდა ბელეტრისტიკა, დრამატურგიული ნაწარმოებნიც, ლექსებიც, მაგრამ ის დაუვიწყარია როგორც ჟურნალისტი და განსაკუთრებით როგორც რედაქტორი „თეატრი და ცხოვრებისა". მანვე ისიც საგულისხმოდ შენიშნა, რომ „თუმცა იოსებ იმედაშვილს უმაღლესი განათლება არა ჰქონდა მიღებული, მაგრამ თავისი შრომითა და გარჯილობით თვითონ შეჰქმნა თავისი თავი და ამაღლდა მწერლის ხარისხამდეო".

მსგავსი დახასიათებანი რომ იწერებოდა, როგორც აღვნიშნე, მამაჩემი ჯერ 50 წლისაც არ იყო, მაგრამ მისთვის როგორც XIX—XX საუკუნეთა მიჯნის მოღვაწისათვის დიდ გარდაქმნა-გადაფასებათა დრო იყო მოსული და მისი თაობის გარშემო ერთგვარი გაუცხოვების რკალი იყო შექმნილი. ახალი საზოგადოებრივი წყობილების პირობებში, ახალ სოციალურ-იდეოლოგიურ ძვრებთან დაკავშირებით თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესიც მიმდინარეობდა და იგი მზად არ იყო თუნდაც ფსიქოლოგიურად მთლიანობაში გაეზიარებინა

ახალი ადამიანების მიმართების სტილი, ცხოვრება-მოღვაწეობის უჩვეულო გაგება, ძველ კულტურასთან, ხელოვნებასთან და ისტორიასთან მათი ნეგატიური დამოკიდებულება.

შესაძლოა ამიტომაც მამაჩემის დროებამ ისე განვლო, რომ მან ვერა და ვერ გამოსცა საკუთარი ძირითადი ნაშრომები მაინც, რაც ერთადერთ მიზანს შეადგენდა მისი ცხოვრების დასასრულისათვის. ამას თვითონაც უკვე გრძნობდა, რომ ვეღარაფერს ვეღარ ასწრებდა ამ ხელშეუწყობელ დროებაში, რაზედაც დღიურებში ხშირადაც ჩიოდა,— სხვათა წიგნებს ვბეჭდავდი, სხვების საშველად ვიჯირვებდი და ჩემი საკუთარი ნაწერები ვერ გამოვეცი. მაგრამ არც მერე ეშველა მის საქმეს. მისი გარდაცვალების შემდეგაც, ჯერჯერობით იმედაშვილის ნაწერების გამოცემა მისი შვილებისა თუ შვილიშვილებისათვის ისევ ოცნებად რჩება. მისი ნაწერებიდან 1978 წელს, რომ იტყვიან, რის ვაივაგლახით ძლივს მოხერხდა 440 გვერდიან მოგონებათა ერთი წიგნის გამოცემა, სიკვდილიდან 26 წლის შემდეგ, ისიც ნაძალადევად შემცირებული და ალაგ-ალაგაც უშნოდ შეკრეჭილი. ამრიგად, დიდი ნაწილი მისი საინტერესო მოგონებებისა ისევ გამოსაცემია, ისევე როგორც ბევრი სხვა რამეც, რის შესახებაც პრესაშიც არა ერთხელ დაწერილა და „ჩემი ცხოვრების წიგნი“ მხოლოდ მის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს.

1930 წელს ჩატარებული, გაუგებარი და მავნებლური ე. წ. „მწერალთა გადახალისების“ კამპანიის ზეგავლენით იმედაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი ერთგვარი ტაბუს პირობებში, იგი მაინც ჩაება ლიტერატურული წრეების მუშაობაში და მოუხშირა სახალხო ლექციების კითხვას ლიტერატურულ წრეებსა, კლუბებსა თუ საქართველოს დაბა-სოფლებში თემებზე: „ცხოვრება და ხელოვნება“, „ჩვენი სამშობლო“, „თანამედროვეობის საკითხები“.

რასაკვირველია იმ ხანებში მისთვის მთავარი მაინც საკუთარი ლიტერატურული საქმიანობა იყო — მონოგრაფიული ნარკვევებისა და ლექსიკონების რედაქტირება და მოგონებების წერა მისი დროის ცნობილ ქართველ მწერალთა შესახებ, რომლებთანაც მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა, აგრეთვე განვლილი რევოლუციური წარსულის ეპიზოდების გახსენება, თუ ისეთ სასიქადულო პირებთან სამახსოვრო შეხვედრები, როგორიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ზაქარია ჭიჭინაძე, ეგნატე ნინოშვილი, მაქსიმ გორკი, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი, ავეტიქ ისააკიანი, ჰოლა ლომთათიძე და სხვანი მრავალნი. მოგონებათა წიგნის მთლიანი შედგენილობის გასათვალისწინებლად მეტი არ იქნება აქვე აღინიშნოს, თუ რა დაიბეჭდა 1978 წლის გამოცემაში და კიდევ რა არის დასაბეჭდი. „ჩემი ცხოვრების წიგნს“ წინასიტყვაობის სახით უძღვის კობა

იმედაშვილის ნარკვევი „დიდი ნათელი“. შინაარსი: 1. ყმაწვილობის წლები. 2. პირველი ნაბიჯები. 3. ისტორიული კედლები. 4. მუშათა თეატრი. 5. გარე კახეთის ერთობა. 6. სასოფლო თეატრი. 7. „თეატრი და ცხოვრება“. 8. ილია ჭავჭავაძე. 9. აკაკი წერეთელი. 10. ვაჟა-ფშაველა. 11. იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისათვის. 12 ეგნატე ნინოშვილისა და მაქსიმ გორკის გახსენება. 13. ზაქარია ჭიჭინაძე. 14. შეხვედრები გ. ნ. სუნდუკიანთან. 15. ჭოლა ლომთათიძე. 16. ლადო კეცხოველი. 17. ოვანეს თუმანიანი. 18. იროდიონ ევდოშვილი. 19. მოქალაქე-რაინდი, პოეტი გ. ქუჩიშვილი. 20. დ. ერისთავის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო. 21. ვასო აბაშიძე. 22. ნატო გაბუნია-ცაგარლისა. 23. ვალერიან შალიკაშვილი. 24. კოტე ყიფიანი. 25. ნიკო (ნიკუშა) სულხანიშვილი. 26. ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი. 27. ზაქარია ჭიჭინაძის სამოვარი.

1948 წლის 16 მარტს მამაჩემის მიერ შედგენილ მოგონებათა გამოკვეთის გეგმაში, რომელიც 108 სათაურისაგან შესდგებოდა, მოგონებებს ენაცვლება ნარკვევი, პორტრეტი, ბიოგრაფიული ექსკურსი, რაც XIX—XX საუკუნის ქართული მწერლობისა და კულტურის, საერთოდაც ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულის სურათ' ბევრი საინტერესო ცნობით და საჭირო დახასიათებით ავსებს.

ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის შევსება-რედაქტირებისა და მოგონებათა წერის პარალელურად, მამაჩემი მუშაობდა მწერალთა და ქართული კულტურის სხვა მოღვაწეთა შესახებ სპეციალურ ნარკვევებზე, რომელთაგან ერთი 1929 წელს ცალკე წიგნადაც ჰქონდა გამოცემული სახელწოდებით „ლადო აღნიაშვილი, ცხოვრება-მოღვაწეობა“. ამ ნაშრომში თუმცა მოკლედ, მაგრამ საგულისხმოდ არის გაშუქებული ლადო აღნიაშვილის თავდადებული მოღვაწეობა ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროში, რომელმაც პირველად 1883 წელს გამოსცა ქართული დაწყებითი სკოლებისათვის რუსული ენის შესასწავლი სახელმძღვანელო „პირველი ნაბიჯი“. აგრეთვე ქართული ანბანის წიგნაკები შემკული სურათებითა და ლექსებით, დააარსა ქართული წიგნების გამომცემლობის ამხანაგობა, რამდენჯერმე მოაწყო ქართული სიმღერა-გალობის კონცერტი, თეატრალური სურათების „ფერიების“ დადგმა, ხელი შეუწყო საყმაწვილო ჟურნალის „ნობათის“ გამოცემას, შეკრიბა ზეპირსიტყვიერების მასალები და დასტამბა ქართული ზღაპრები და იგავ-არაკები ცალკე წიგნიბად, როგორც აღნიშნეთ, იმოგზაურა ფერეიდანში და გამოსცა წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ (1896), დააარსა ქართული ალებ-მიცემობის ამხანაგობა „შუამავალი“.

მსგავსი ნარკვევი იოსებ იმედაშვილმა დაწერა ივანე როსტომაშვილზე და დასაბეჭდად გადასცა პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომლის

გამოცემას ვერ მოესწრო და მისი მემკვიდრენი დღემდე ველოდებით ინსტიტუტიდან რაიმე ცნობას, თუ რას უპირებენ ამ ნაშრომს. მანამდე კი, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ამ დაუბეჭდავ ნაშრომს არა იშვიათად იყენებენ ზოგჯერ თუ მკრთალი მითითებით, უფრო მეტად კი ყოველგვარი მითითების გარეშეც.

მწერალთა კავშირის რიგების გადახალისება

1927—1936 წლების მსოფლიო თუ შინაგანი მშვიდობიანი პოლიტიკური ურთიერთობის დრო ხელს უწყობდა წუნარ ლიტერატურულ მუშაობას, ხალხი ნორმალურ შრომასა და ცხოვრებას დაუბრუნდა. ახალი ცხოვრების თემატიკა მწერლობასა და ხელოვნებაში თავის გამოხატულებას ჰპოვებდა, რასთანაც დაკავშირებით ხშირად იმართებოდა ლიტერატურული პაექრობანი პოეზიის, პროზის, მხატვრობისა თუ კრიტიკული აზროვნების საკითხებზე. გასაგებია, რომ მწვავე შეხლა-შემოხლაც იყო, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ თეორიის სფეროში არა რჩებოდა.

არის თუ არა ფიროსმანი მართლაც დიდი მოვლენა, თუ თავისი მნიშვნელობით არა სცილდება ჩვეულებრივი პრიმიტიობის გამოელენას, როგორც ამას ვ. კოტეტიშვილი ამტკიცებდა? არის თუ არა სიყვარული პროლეტარული პოეზიის თემა? ან მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ერთ ქამათში საპასუხოდ დასმული კონტრშეკითხვა — ბურჟუაზიული თუ პროლეტარული მხატვრობის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს სურათი, რომელზედაც დახატულია ზღვის პეიზაჟი ნავითა და რამდენიმე ადამიანის ფიგურით?..

ასეთ დისპუტებს მამაჩემი თვალყურს ადევნებდა და მაგასვე საკითხების განხილვაში აქტიურადაც მონაწილეობდა. იგი ძლიერ აღაშფოთა 1931 წლის ჟურნ. „მნათობში“ (№ 1—2) უპასუხისმგებლოდ უდიერმა გამოხდომებმა ჩვენი ისტორიული მეცნიერებისა და მწერლობის ავტორიტეტების შეფასებაში. — ვ. ვაშაყმაძე უსაფუძვლოდ უკიჟინებს ივანე ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიული ბედის განვითარების დადგენაში ეროვნული ტენდენციის გამოხატულებასაო. ქართული მწერლობის საკითხების განხილვა-მიმოხილვაში მცდარია შ. რადიანის კრიტიკული მიდგომაო. ამ ბრალდებათა წამოყენება დამაჯეჭებელი ტონით საერთოდ ჩვენი ინტელიგენციისადმი მკაცრი დამოკიდებულების დასაწყისს მოასწავებდა. მართლაც, იმავე წელს თვითონ მამაჩემმა სხვა მწერლებთან ერთად „მწერალთა გადახალისებასთან“ დაკავშირებით დიდი უკეთურება გადაიტანა. საკითხი თითქოს მწერალთა შემოქმედებითი მუშაობისა თუ საყოფაცხოვრებო პირობების

გაუმჯობესებას უნდა შეხებოდა, რასაც სპეციალური დისპუტი მიეძღვნა. მაგრამ მისმა ორგანიზატორებმა, მხოლოდ პროვოკაციების მოწყობასა და უსაფუძვლო ცილისწამებათა გავრცელებაში რომ ამჟღავნებდნენ ნიჭიერებას, ეს დისპუტი მწერალთა პრესტიჟის შესარცხვენად, მათი ერთმანეთზე გადაკიდებისა და ქართველი მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა დასარბევად გამოიყენეს. მათ ქართველ მწერლებში აღმოაჩინეს რეაქციონური და წვრილბურჟუაზიული მწერლების ფენა და საჭიროდ ცნეს მწერალთა რიგებიდან გამოუსწორებელი, აშკარა რეაქციონური და შოვინისტი მწერლების, მისი პასიური წევრებისა თუ მწერალთა ორგანიზაციასთან თითქოს მიტმასნილ არა მწერალ ინტელიგენტების გამორიცხვა. ამ მიზნით, მათ მიერ შექმნილმა წმენდის ჩამტარებელმა კომისიამ გასარიცხავად განწირულ მწერლებად სწორედ სამაგალითო მოღვაწე მწერლები შეარჩიეს, რომელნიც სამ კატეგორიად გამოჰყვეს: პირველი კატეგორიით როგორც რეაქციონერები და შოვინისტები გაირიცხნენ — პავლე ინგოროყვა, კონსტ. გამსახურდია, შალვა (თაგუნა) შარაშიძე, იოსებ იმედაშვილი. მეორე კატეგორიით — ხარიტონ ვარდოშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ბიძინა აბულაძე, ცვარ-ნამი, იროდიონ სონღული, სიო ჭანტურიშვილი, არ. ჯაჯანაშვილი, სიმონ ქვარიანი, თედორე კიკვიძე, ივანე ელიაშვილი, კოკი აბაშიძე, ნიკო კეცხოველი. მესამე კატეგორიით — მიხ. საყვარელიძე, სიმონ ჯანაშია, მიხეილ აბრამიშვილი (მწერალთა ფედერაციის რიგების გადახალისება, გაზ. „კომუნისტი", 1931, 9 VI, № 131, გვ. 3).

ამრიგად, უკიდურესი შოვინისტი და რეაქციონერი უწოდეს იოსებ იმედაშვილს, რომელიც ქართველ მწერალთა შორის ალბათ ყველაზე თანმიმდევრულად ქადაგებდა და ანხორციელებდა კავკასიის ხალხებს შორის ძმობა-მეგობრობას. მას ახლო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა სომხებთან, თათრებთან, ოსებთან, რუსებთან, მათ შორის გ. სუნდუკიანთან, ო. თუმანიანთან, ა. ისააკიანთან. ამ დაახლოებას ხელს უწყობდა ისიც, რომ როგორც უკვე აღვნიშნე მან ბავშვობიდანვე კარგად იცოდა სომხურ-თათრული ენები. ასევე აღსანიშნავია, რომ ადრიდანვე თბილისის დეპოს მუშებში პროპაგანდისტობის დროს, ახლო მეგობრობა აკავშირებდა მიხეილ კალინინთან, შემდგომ კი მაქსიმ გორკისთან, რომლის შედეგი ისიც იყო, რომ 1902 წელს პირველმა გამოსცა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა დამწყები მწერლის პეშკოვის — მაქსიმ გორკის მოთხრობები გაბედული წინასიტყვაობით.

ქართული კულტურის დამსახურებული მოღვაწეების მწერალთა კავშირიდან უსამართლო გარიცხვის კამპანია სწორედ მაშინ ჩატარდა, როდესაც საერთოდ ძველი კულტურის უარყოფასთან დაკავშირებით უფროსი თაობის მწერალთა დევნა მიმდინარეობდა. ეს იყო ოცდა-

ათიან წლებში წარსულის ყოველგვარი კულტურული მემკვიდრეობის ხელაღებით უარყოფის დროს ილიასაც რომ დაუწყეს დევნა, ხმის ამომღები არავინ აღმოჩნდა და ქართველი კლასიკოსების მდევნელთა ჯგუფს საჯაროდ მხოლოდ მამაჩემი გამოეკამათა, რითაც მაშინ საფრთხეში იგდებდა თავს. თურმე საქართველოში კიდევ არსებობდნენ სხვა ბერბიჭაშვილებიც, რომელთაც ხელი არ აუკანკალდებოდათ ილიას ხელმეორედ მოსაკლავად და აკი ისეთი დროც დადგა, რომ მისი იდეოლოგიის მიმდევრებს არა ნაკლებად შავი დღე დააყენეს.

ილია ჭავჭავაძის, როგორც მწერლისა და პიროვნების წინააღმდეგ წამოწყებული მოძრაობა ამ ყალბი შეხედულების გამოხატულება იყო, თითქოს ახალი პროლეტარული კულტურის შესაქმნელად ზედმეტი ყოფილიყოს ყოველივე ძველი და მათ შორის აღიარებული კლასიკოსებიც, რასაც მოჰყვა საქართველოში თვით რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას ლანძღვა-უარყოფა-აკრძალვის ცდაც. მათი მტკიცებით, ქართული მწერლობის ეს მშვენებანი ფეოდალური იდეოლოგიის გამომხატველნი იყვნენ, რომელნიც მჩაგვრელი კლასის კულტურას ჰქმნიდნენ. გასაგებია, რომ ამ კლასიკოსთა შთაგონების ბალიკებით მიმავალი მწერალნი, თუ მათი დამცველნი რეაქციონერებად მონათლეს.

ეროვნული კულტურის ჭეშმარიტ მსახურთა წინააღმდეგ ეს ანომალური გამოხდომა რუსეთში პუშკინის, დოსტოევსკის, ტოლსტოის, გორკის და სხვათა მიმართ მსგავსად ჩატარებული კამპანიის მიბაძვა იყო. ამ კამპანიის მესვეურთ ეგონათ, რომ ძველი კულტურა ფეოდალებისა და ბურჟუაზიის საკუთრებას წარმოადგენდა და ის პროლეტარიატს არ ესაჭიროებოდა. ამის მიხედვით, ახალმა კულტურტრეგერებმა მოინდომეს გამომცემლობა „ქართული წიგნის“ გაუქმებაც კი და მის ხელმძღვანელს ნიკო ნიკოლაძეს დავა დაუწყეს იმის გამო, რომ პავლე ინგოროყვას რედაქციით ილია ჭავჭავაძის ათტომეულის გამოცემას შეუდგა. სწორედ ამ დროს აღიმაღლა ხმა იმედაშვილმა ილიას დევნის წინააღმდეგ და კრებას მოუწოდა პირიქით გაფართოებულიყო ქართველ კლასიკოსთა გამოცემის გეგმები.

განა სჭირდება დასაბუთება იმას, რომ ქართული წიგნის გამოცემის საქმეში როგორ დიდი წვლილი მიუძღვის საგამომცემლო საზოგადოებას „ქართულ წიგნს“, რომლის გამგეობის თავმჯდომარე იყო ნიკო ნიკოლაძე. ეს გამომცემლობა უმთავრესად ქართული მწერლობის კლასიკოსთა თხზულებებს ბეჭდავდა. მის ისტორიაში საგულისხმოა თბილისის მასწავლებლის სახლში ჩატარებული კრება გ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით, რომლის შესახებაც საყურადღებო მოგონება დაგვიტოვა იოსებ იმედაშვილმა, ამ საზოგადოების მუდმივმა წევრმა:

„მოხსენება სახელგამის მაშინდელმა დირექტორმა წაიკითხა, რომელმაც „ქართულ წიგნს“ ბევრი რამ უსაფუძვლოდ უსაყვედურა და განსაკუთრებულ ცოდვად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა ჩაუთვალა, იმ ილიასი, რომელიც ქართველი მკითხველის გულსა და სულს ჯერ კიდევ დიდხანს გაუწევს სამსახურს. აღმოჩნდა ისეთი „ბრძენიც“, რომელმაც მომხსენებელს ილიას ლანძღვაში კვერი დაუკრა: ვისთვისაა საჭირო ილია ჭავჭავაძის და სხვა ასეთი დრომოჭმული წიგნების ბეჭდვა და ათასობით გავრცელება? მხოლოდ აჭარაში და გურიაში ილიას შვიდასი ტომი გაუვრცელებიათო, — ისეთი წუხილით აღნიშნა მან, თითქოს დიდი დანაშაული ჩაუდენიათო....

მთელი ქართველი ინტელიგენციის ყვავილი აქ შეკრებილიყო, მათ შორის ბევრი ცნობილი ორატორი, ლიტერატორი, ხელოვნებათმცოდნე. — ნუთუ ხმას არავინ ამოიღებს და პასუხს არ გასცემს? — გავიფიქრე, მაგრამ ყველა დუმდა, დრო იყო ასეთი... უკან მიბრუნებულს მომესმა — აქეთ, ტრიბუნისაკენ მობრძანდითო. — თითონ ყურულაშვილი მიხმობდა... იმავე დროს გვერდით მჯდომმა ქეით დევდარიანმა ხელი მკრა — „გადი, გადიო“!..

თითქმის ძალით გამიყვანეს... ყველა ხმაგაკმენდილი შემომცქეროდა... თითქოს ფეხქვეშ ნაკვერჩხლები მეწყო და ცეცხლზე ვიხრაკებოდი... ძლივს დავიწყე — მე ვლაპარაკობ, როგორც „ქართული წიგნის“ საზოგადოების წევრი. „ქართულ წიგნს“ ბევრი რამ უსაყვედურეს, ყველაფერს ვერ შევეხები... მის გამომცემლობას არავითარი სახელმწიფო დოტაცია არ ეძლევა და ცდილობს ისეთი წიგნების გამოცემას, რომელნიც მკითხველისათვის საჭირო და სასარგებლო იქნებიან და ჩქარაც გასაღდებიან... ამ მხრივ ილიას წიგნის გავრცელება თავისთავად ბევრის მეტყველია-მეთქი. კამათში გამოსულმა თანამომხსენებელმა განაცხადა, — ხედავთ რა აშკარად იცავენ რეაქციონერ ილია ჭავჭავაძეს? აი, ვინ ბრძანდება იმედაშვილი... მაგრამ ჩვენ ჩქარა შანთით ამოვწვავთ ყველა ჯურის რეაქციონერებს — იმედაშვილებსა და სხვა მსგავსთო...

კამათი გამწვავდა, დიდი ღრიანცელი და ორომტრიალი მოჰყვა და მისი საბოლოო შედეგი ის იყო, რომ წინასწარ განზრახული გეგმის მიხედვით მწერალთა კავშირის გადახალისების „საბაბით ცოტა ხნის შემდეგ მწერალთა კავშირიდან გამომრიცხეს, როგორც გამოუსწორებელი რეაქციონერი, უკიდურესი შოვინისტი და ნაციონალისტი“.

როგორც ჩანს მწერალთა დარბევა კამპანიურად მზადდებოდა და იმავე ხანებში მოხდა ისიც, რომ მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პორტრეტები ჩამოხსნეს, როგორც ვითომ რეაქციონერი თავადისა და გენერლისა. იოსებ იმედაშვილს იქნებ რეაქციონერობად ისიც ჩაუთვალეს, რომ

ამ უკეთურების შემხედვარემ იქვე საჯაროდ განაცხადა — ილიას მეორედ ჰკლავთო? აქ მოითხოვენ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ასწავლო სახელმძღვანელოებიდან ამოღებას, ასევე გამომცემლობა „ქართულ წიგნში“ ილიას თხზულებათა გამოცემის შეწყვეტას, მაგრამ ყოველივე ამის გამო მომავალი თაობების წინაშე პასუხს ვინ აგებსო?!.

აქვე აღსანიშნავია, რომ როდესაც იოსებ იმედაშვილს ილიას დევნისა და მწერალთა კავშირიდან ასე უსაფუძვლო და უსამართლო გარიცხვის გამო პროტესტით მიუმართავს მწერალთა კავშირის სამდივნოსათვის, — მისმა წარმომადგენელმა სანდრო ეულმა მითხრა: — „ბა, თვალებში ხომ არ გაკოცებდნენ... როგორ შეიძლება, ამ რეაქციონერი თავადიშვილის აშკარა დაცვაო...“

ამაზედ იოსებ იმედაშვილს უთქვამს — ალბათ, სხვადასხვანაირად გვესმის რეაქციონერობა და ილიას დიდი დამსახურება... ამბობ ილია თავადიშვილი იყოო. ლევ ტოლსტოიც გრაფი იყო.

— ლევ ტოლსტოი სხვაა, ილია ჭავჭავაძე სხვაა... ამაზე ჩვენ ვერ მოვრიგდებითო...

— და ვერც მოვრიგდით, — ასე ამთავრებს თავის მოგონებას იოსებ იმედაშვილი.

ამ თაობის ინტელიგენცია, რომელიც მამაჩემსავით იყო შთაგონებული ილია ჭავჭავაძის აზრებითა და პიროვნებით, თავის მოღვაწეობაში ძირითადად მისივე დასახული ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეებით იღვწოდა. ეს იყო ჩვენი ცხოვრების ყოველი სარბიელი — განათლების სფერო, მწერლობა, გამომცემლობა. პრესა, თეატრი თუ სხვა რამ კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობა, რომელსაც კი უპირველეს საკითხად ეროვნული იდეოლოგიის სამსახური მიაჩნდა. აქედანვე გასაგებია, რომ ამ თაობის არცერთ წარმომადგენელს არ შეეძლო ილიას იდეური მემკვიდრეობისათვის გვერდი აევლო. თურმე საჭირო იყო დიდი მსხვერპლი იმის ცხადსაყოფად, რომ ილიასთან ბრძოლა იყო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა და ვინც საბოლოოდ ვერ მოასწრო ეროვნული გადაგვარება და ნაციონალური თვითშეგნების უნარს არ არის მოკლებული, მათ შორის ისინიც, რომელნიც პირადად ებრძოდნენ ილიას, საბოლოოდ მათაც დაინახეს და აღიარეს, რომ ჩვენ სასტიკ საუკუნეში ქართული კულტურის გადარჩენის, ქართველი ერის ფიზიკური გადაშენებისაგან ხსნის ერთადერთი გზა ილიას გზა იყო. ისტორიის ობიექტურმა დინებამაც თავისთავად დაგვანახა, რომ ამ თვალსაზრისით 1907, 1931, 1948 წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ძაფები, რომელნიც შინაგანი იდეოლოგიური ბრძოლის გამოხატულებას შე-

იცავდნენ, საბოლოოდ ლოგიკურ მსჯავრში შეაერთა სწორედ ილიას პიროვნებასთან ქართველი ერის ერთსულოვანი დამოკიდებულების შეგნებამ. ილიას აზროვნებამ საბოლოოდ გაიმარჯვა საქართველოში და წარსულს ჩაბარდა ქართველი ხალხის იდეოლოგიურ-კულტურული და პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ორიენტაციის გაორების, ეროვნული ენერგიის დანაწევრების, ერის შუაზე გახლეჩვის საბედისწერო მდგომარეობა, რომელიც ქართველობას ერთიანად მოქმედების მიზანსა და ძალას ართმევდა. ეს იყო ჩვენი არსებობის დიდი სასიცოცხლო პრობლემა — ერის შეკავშირება, რომლის გარეშე სხვა ყოველი ნაბიჯი მხოლოდ დაღუპვისაკენ მიგვაქანებდა.

თუ ბერბიჭაშვილის ტიპის სამარცხვინო კაცთა ლანდი ჩვენ ისტორიას სხვადასხვა სახით მუდმივად თან დაჰყვება, პროგრესი მაინც არის — 1907 წელს მოჰკლეს ილია, ოცდაათიან წლებში შეჰბედეს იდეოლოგიური მოსპობაც, 1941 წელს მის მკვლელს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, რაც იმას ნიშნავდა რომ სიკვდილი მიესაჯა ყველა მათ, რომელნიც ცდილობდნენ უნიადაგო ლაყბობით ქართველი ხალხის თვალში გაეშავებინათ ილია ჭავჭავაძე. ვინც ილიას შუბლი ბერდენკასათვის გაიმეტა, მისთვის საქართველოში არავინ და არაფერი იქნებოდა დასანანი.

ქართველ მწერალთა რიგების ასე უაზროდ დადანაშაულების, ე. წ. „გადახალისების“ მღაღადებელი უსაფუძვლობა და ბოროტება თავისთავადაც იმით დამტკიცდა, რომ ჩქარა ილიას პორტრეტი ისევ თავის ადგილზე ჩამოჰკიდეს, გარიცხული მწერალნი თავის უფლებებში მაინც აღადგინეს და კუთვნილი პატივი დაუბრუნეს. რასაკვირველია ამ გაუგებრობათა გამო ყველამ პასუხი აგო. მწერალთა დარბევის ორგანიზატორები, რომელთაც სინამდვილეში ნაკლებად აინტერესებდათ ქართველი ხალხისა თუ მისი მწერლობის კეთილდღეობა, სწორედ იმისი ქართული მწერლობისა და კულტურის მსახურთა სახელით ხელს ჰყოფდნენ მწერალთა ოჯახის ყველაზე მეტად პოპულარულ, დამსახურებულ წარმომადგენლებს. ცდილობდნენ რა ყოველგვარი ცილისწამებით ჩვენი მწერლობის საუკეთესო ძალების მოშორებას, უნდოდათ მათ მაგივრად სათავეში მოქცეოდნენ მწერალთა კავშირს და ქართველი ინტელიგენციისათვის ეხელმძღვანელათ.

მწერალთა კავშირიდან გარიცხვას, იოსებ იმედაშვილი როგორც ამ კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, განიცდიდა მისდამი, თუ სხვა გარიცხული მწერლებისადმი უფრო მეტად უმადურობის გამოხატულებას, ვიდრე ჩვეულებრივ სასჯელს. იგი ხომ ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს იღვწოდა ქართული მწერლობის, თეატრის, პრესის, კულტურის ამაღლებისათვის და ამ მოღვაწეობის სამაგიეროდ შეჩვეული

იყო დაუმსახურებელ სასჯელს. ის თავის დროზე არ შეუშინებია ცარისტული მთავრობისაგან დევნას, დაპატიმრებას, ციხეს, მით უმეტეს არც ახლა შეაშინებდა ეროვნული კულტურის შელახვის გამო ხმის ამოღებისათვის მოსალოდნელი პასუხისგება.

ძველად ყოველგვარი ძალმომრეობის გასაჭირთა გადატანა იმის შეგნებით, რომ იგი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დიადი ბრძოლის მონაწილე იყო, დანაშაულსაც და სასჯელსაც ერთნაირად საამაყოს ხდიდა. ახლა რევოლუციის გამარჯვების ნახევარი საუკუნის შემდეგ საბრძოლველი თითქოს არავისთან და აღარაფერი იყო და როგორ უნდა გაგებულიყო ეს დევნა, რისთვის იყო საჭირო არ არსებულ დანაშაულობათა გამოგონება, ეს ინსინუაციები, რომელნიც ქართული მწერლობის განვითარება-დაცვის სახელით ხორციელდებოდა? ვისთვის რა სარგებლობა მოჰქონდა გარდა იმისა, რომ ჩვენ სინამდვილეში განგებ ხელოვნურად შექმნილი სიძნელეებითა და წინააღმდეგობებით შიშის, უნდობლობის მძიმე ატმოსფეროს ჰქმნიდა. ყოველივე ამ ღონისძიებათა შესახებ ნამდვილ მწერლებს არაფერს ეკითხებოდნენ და აქ სწორედ ეს არის ყველაზე სამწუხარო, ბოლომდე გაუგებარი და ძნელად ასატანი, როგორც იმედაშვილის, აგრეთვე სხვა მწერლებისათვის, რომელნიც შეჩვენებისათვის სხვადასხვა მოტივებით იყვნენ განწირულნი.

მაგრამ მწერლობისა და მწერლების დევნა მხოლოდ თვით მწერალთა კავშირის მასშტაბით არ იყო შემოფარგლული. მისი უფრო ალმაშფოთებელი, აშკარად მავნე და სისულელემდე მისული გამოვლინების მაგალითი ისევ ილია ჭავჭავაძის აკრძალვას უკავშირდება. 1924 წლის ივლის-აგვისტოში მამაჩემს კახეთში (თელავი, გურჯაანი, ველისციხე, სიღნაღი, ყვარელი) მოხსენებანი წაუკითხავს თემაზე: „დემოკრატია და ხელოვნება“ და ყვარელში მისულს შეუნიშნავს, რომ კლუბად გადაკეთებულ ილიასეულ მარანში, სადაც მოხსენება უნდა წაკითხულიყო, კედლებზე სურათებს შორის ილიას სურათი არა ყოფილა. — ჩემი გაოცება რომ გამოვთქვიო, ტუჩზე ხელმიდებით ჩაჰჩურჩულეს — ილიას ნუ ახსენებთ, თორემაო... „საშინელმა ფიქრებმა წამიღო... როგორ, კახეთში, ილიას სამშობლო სოფელში მივიდე, მის მარანში მოხსენებით გამოვიდე და ილია არ ვახსენო?.. შავ ფიქრებში ვიყავი ჩაფლული... ხალხით გაჭედილ დარბაზისაკენ გავემართე, ავანსცენაზე ფეხი მძიმე-მძიმედ ავედგი და თან დავიწყე — მოწიწებით ვადგამ ფეხს იმ მიწას, რომელზედაც ერთ დროს ჩვენი სამშობლოს დიდი ჭირისუფალი დაიარებოდა... ეს ვთქვი თუ არა, მთელი ხალხი ფეხზე წამოიშალა და იქუხა „დიდება ილიასო!“. მეც კრიჭა გამეხსნა — დიდება ილიას მეთქი და შევუდექი მოხსენებას...“

„უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მეოთხე გამოცემის მომზადება

ამავე ხანებში მამაჩემი გატაცებით მუშაობდა „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მეოთხე გამოცემის რედაქტირებაზე. ამ წიგნის პირველი 1904 წლის გამოცემა, რომლის შესახებ ზემოთ უკვე აღნიშნული მქონდა (გვ. 34—39), თავის დროზე ჩქარა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და საჭირო გახდა მისი მეორე 1918 და მესამე 1928 წლის გამოცემათა განხორციელება, რამდენადაც იმედაშვილისეულ ლექსიკონზე დიდად გაიზარდა მკითხველთა მოთხოვნილება, რაც თავისთავად მის დიდ წარმატებას მოწმობს.

ამრიგად, არ გამართლდა „ზანგის“ (გრ. რცხილაძის) ნაჩქარევად გამოთქმული შეფასება იმედაშვილის ლექსიკონისა, რომელსაც თითქოს არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო ქართველი მკითხველისათვის. პირიქით, სინამდვილემ დამარწმუნებლად დაადასტურა იმედაშვილის ლექსიკონის საჭიროება და რცხილაძის აშკარად მცდარი, უსაფუძვლო და უპატიო რეცენზიის ტენდენციურობა, რომელიც არცერთ პუნქტში არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და რაც შემდგომად თვით რცხილაძემ მოინანია.

გასაგებია, რომ ყოველი ახალი გამოცემა ივსებოდა ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით, რამდენადაც ქართულ ენაში ყოველდღიურად იჭრებოდა უცხო სიტყვათა ახალი ნაკადი და საჭირო ხდებოდა დაინტერესებულ მკითხველთათვის მათი სწორი ახსნა-განმარტების მიწოდება, რაზაც ხელს უწყობდა აგრეთვე ლექსიკონისათვის დართული „უცხო ანდაზები და წინადადებანი“.

ლექსიკონის მომდევნო შესწორებულ გამოცემებში მისი ძირითადი აგებულება და მიზანი არ შეცვლილა, ოდნავ იცვლებოდა მხოლოდ შედგენილობა, იხვეწებოდა განმარტებათა შინაარსი და სტილი ახალ დამატებით მნიშვნელობათა გათვალისწინებაში. ლექსიკონის ღირსებას წარმოადგენდა მისი რამდენიმედ ენციკლოპედიური განხრა. ძირითადად ამ ფორმით ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია ემსახურება ლექსიკონი ქართული სალიტერატურო მეტყველების, სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და პრესის ენას.

1918 წლის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი მკითხველებს იმის შესახებაც აცნობებდა, რომ ამ წიგნის გამოცემა 1910 წელს ჰქონდა განზრახული, მაგრამ დაპატიმრებამ შემიშალა ხელი, 1914 წელს ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი ომის პირობებში საერთო სიძვირისა და მუშა ხელის უშოვნელობის გამო ბეჭდვა გაძნელდა, რამაც გამოცემა დააგვიანაო. მეორე გამოცემაში „ბევრი ისეთი სიტყვა შემოვიტანე, ქართულ მწერლობაში ნახმარი, რომლებიც სხვა ლექსიკო-

ნებში არაა შესული, ანუ თუ შესულია, მოკლედ და ცალმხრივად ახსნილი". ამავე წინასიტყვაობაში ავტორი იმასაც იტყობინებოდა, რომ გამოსაცემად მომზადებული მაქვს „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი" ანბანური და ჟამთრიგობის წესით შედგენილი, ქრისტეს უწინარეს მესამე საუკუნიდან ჩვენს დრომდეო".

მესამე 1928 წლის გამოცემაში შენიშნავდა, რომ „ჩემი ლექსიკონის მხმარებელი უმთავრესად იყო სამშობლო ენაზე თვითგანვითარების მიმდევარი ქართველი მკითხველი, თვითნასწავლი მუშა, გლეხკაცობა და ნაწილი მოსწავლე თაობისა. ამიტომ ამ ლექსიკონის პირველი და მეორე გამოცემანი თავისი შინაარსითა და სიტყვათა განმარტების წესით, უმეტეს შემთხვევაში, მკითხველის დონესა და მოთხოვნილებასთან იყო შეფარდებული, ბევრი სიტყვა გაბალხურებული, გამდაბიურებული მქონდა მრავალმეტყველებით, ზოგ შემთხვევაში სააგიტაციო მიზნით განმარტებული. ამ ჟამად კი საქართველო სწავლა-განათლების დაწესებულებათა ქსელით დაიფარა, საძირკველი ეყრება მეცნიერულ, ფილოსოფიურ და ლიტერატურულ თვითშემოქმედებას და ყოველგვარი ღირებულების გადაფასება ხდება. რა თქმა უნდა, ჩემი ლექსიკონიც ამ მეცნიერულ-ლიტერატურულ მუშაობასთან და შემოქმედებით მოთხოვნილებასთან შეფარდებით უნდა დამუშავებულიყო და მასში მრავალი ცვლილებები მომხდარიყო, როგორც შინაარსის, ისე დალაგების წესშიც.

ეს გამოცემა ბევრი ახალი ტერმინით შეივსო, დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საზოგადოებრივ მეცნიერებათა ტერმინოლოგიას — სოციოლოგიას, ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას, ხელოვნებათა დარგებს, აგრეთვე ტექნიკასა და სხ. ლექსიკონს ბოლოს დართული აქვს შევსებული სახით „უცხო ანდაზა-თქმები". ჩემი დიდი ხნის განზრახვა „შესანიშნავ ადამიანთა ლექსიკონის" გამოცემის შესახებ ოდნავ შესრულებულია ამ გამოცემაში ზოგიერთი გამოჩენილი პირის შესახებ მოკლე ცნობათა შემოტანით.

მაგრამ ოცდაშვიდათასიანი სიტყვის შემცველი ლექსიკონის შესწორება-შევსებაზე ხანგრძლივი ათწლიანი დაძაბული შრომა უკვე საყოველთაო აღიარების მიუხედავად, თითქოს საკმარისი არ აღმოჩნდა. რომ ეს წიგნი დაბეჭდილიყოს, რასაც მერე ავტორი მთელი ოცი წლის განმავლობაში ამაოდ ელოდა და ტენდენციური რეცენზიის საპასუხოდ, რომელიც აშკარად უსაფუძვლო შენიშვნებს შეიცავდა, იძულებული იყო არა ერთი ერცელი და დოკუმენტურად დასაბუთებული ახსნა-განმარტება წარედგინა სათანადო საგამომცემლო-სამეცნიერო დაწესებულებებში ლექსიკონის შედგენილობა-აგებულების, შინაარსისა და განმარტებათა ფორმა-ზომის შესახებ.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონის" ახალი გამოცემისათვის შესწორე-

ბულ ტექსტში ავტორი ძირითადად იმ მოსაზრებას იცავდა, რომ მეტყველება და სიტყვა მუდმივ განვითარებას განიცდის, რომ ესა თუ ის სიტყვა შესაძლოა შეიცვალოს, ან მასში მოთავსებული შინაარსის მხრივ, ან კიდევ ფორმის მხრივ, იგულისხმება განმარტებათა დაზუსტებისა თუ ტრანსკრიფციის მართებულებით, მორფოლოგიური, ეტიმოლოგიური თუ სემანტიკური ცვლილებებით, რომელთაც სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების აუცილებლობა იწვევს და არა კაბინეტურად მოაზროვნე პიროვნების თავისებური სურვილი, ხელოვნურად მოინდომოს რომელიმე ენობრივი რეფორმის განხორციელება. ავტორს ესა თუ ის განმარტება თუ სიტყვა ლექსიკონში ისეთი ფორმით შეჰქონდა, როგორც ის შეეფერებოდა არსებულ მდგომარეობას, რადგან ბუნებრივი განვითარების შედეგად ამა თუ იმ სიტყვის განმარტება შინაარსით ან დიდდებოდა, ან მცირდებოდა, გარკვეულ ეტაპზე სამოქალაქო უფლებას მოიპოვებდა თუ ჰკარგავდა, ე. ი. სიტყვა ფუნქციას იცვლიდა, ხმარებიდან გამოდიოდა, რაც საჭიროს ხდიდა ძველ მნიშვნელობასთან ერთად ახალი გაგების ასახვას, ზოგჯერაც სათანადო ილუსტრაციის გათვალისწინებით.

ავტორი იმედოვნებდა, რომ მისი ლექსიკონის მეოთხე გამოცემა ჩვენს საზოგადოებას იმ ხანად უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ოდესმე მოუტანია. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ისეთი ავტორიტეტული რეცენზენტი, როგორიც იყო „ელხის“ უფროსი მეცნიერი მუშაკი გ. წერეთელი ამ წიგნს „საჭირო და საყურადღებო ლექსიკონს“ უწოდებდა და მიაჩნდა, რომ მისი გამოცემა სასურველი იყო“ (1935, 2 II).

რეცენზენტების იმ შენიშვნას, რომ იმედაშვილის ლექსიკონს ენციკლოპედიური ხასიათი აქვს, რომ იგი შეიცავს არა მხოლოდ უცხო სიტყვათა განმარტებას, არამედ მსოფლიო ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების სხვადასხვა დარგის, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეებისა თუ ლიტერატურულ თხზულებათა და მათ პერსონაჟთა სახელებს, რაც ამ შემთხვევაში ნაკლად არის მიჩნეული, ავტორი არ ეთანხმებოდა, რამდენადაც ისეთი სახელები და სიტყვები, როგორიცაა — დიოგენი. სოკრატე, საფო, სავონაროლა, შექსპირი, შილერი, გოეთე, ჰაინე, ბაირონი, პუშკინი, გორკი, გრაჯხი, ლასალი, ვერომველი, ლამარკი, ლამბერტი, მანონ-ლესკო, სალიერი, ჩაილდ-ჰაროლდი, შაჰ-ნამე, დამოკლეს მახვილი, გომინდანი, და სხვა მისთანა სიტყვათა განმარტებას გარკვეული სარგებლობა მოუტანია მოსწავლე ახალგაზრდობისა თუ თვითგანვითარებას დაწაფულთათვის, რამდენადაც ამ საჭიროებისათვის ქართულად არა გვქონდა სათანადო სპეციალური ენციკლოპედიები და სახელმძღვანელოები, რომელთა მაგიერობას ხშირად ეს ლექსიკონი ეწეოდა. სწორედ ეს იყო იმედაშვილის

ლექსიკონის სასარგებლო თავისებურებაც, რაც იმაში გამოიხატა, რომ შეტანილი იყო მსგავსი შინაარსის საჭირო სიტყვები იმ რაოდენობითა და განმარტებათა იმ მოცულობით, როგორც ეს საზოგადოების კულტურულ მოთხოვნილებას შეესაბამებოდა.

ამ მხრივ თვით ლექსიკონის ავტორს 1928 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ის საჭირო შენიშვნაც ჰქონდა გამოთქმული, რომ ეს ლექსიკონი ოდნავ სცილდება ვიწრო სპეციალურ „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ საზღვარს იმ მიზნით, რომ თანამედროვე ქართველ მკითხველს კვალდაკვალ მიჰყვეს კითხვის დროს ყოველ აღძრულ საკითხის გარკვევაში. ამდენად ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ზოგიერთმა თანამედროვე რეცენზენტმა ლექსიკონის ისეთი სიტყვებით შევსებაც მოითხოვა, რომელთა განმარტებასაც არა ნაკლებად ენციკლოპედიური ხასიათი ექნებოდათ.

ავტორი არ იზიარებდა იმ შენიშვნასაც, რომ ლექსიკონიდან ამოღებულიყო კულტურის ზემოთ დასახელებულ მოღვაწეთა მსგავსი პიროვნებანი და სიტყვები და მათ მაგიერ შეტანილიყო მაგ., ლიფი, ვაფლი, ვაქსი, ვიზიტი, ზალა, ლაქია, კინტო, პოდიეზდი, სიურთუკი და სხვა მისთ., რომელნიც რატომღაც ქართველი მკითხველისათვის თითქოს უფრო საჭირონი ყოფილიყვნენ.

რეცენზენტები არა იშვიათად ერთიმეორის საპირისპირო შენიშვნებსა და რჩევებს გამოსთქვამდნენ — ის რაც ერთს ღირსებად მიაჩნდა, სხვას ნაკლად ეჩვენებოდა და პირიქით. ეს თავისთავად იმასაც ნიშნავდა, რომ ავტორს ლექსიკონში მისი რამდენიმე გამოცემის მომზადებაზე დიდი ხნიდანვე სარედაქციო მუშაობაში საკუთრად შემუშავებული და ყოველმხრივად შემოწმებული შედგენილობა-განმარტებათა ფორმა და სტილი ჰქონდა დადგენილი, რის გამოც ამ წიგნმა საერთო აღიარება ჰპოვა ჩვენ მკითხველ საზოგადოებაში უდაო ღირსებებითა და შესამჩნევი სარგებლობაც მოუტანა მოსწავლე ახალგაზრდობას.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ლექსიკონის 1928 წლის მესამე გამოცემას ერთმა რედაქტორმა თავისი ტენდენციური რედაქტორული კვალი იმით დაატყო, რამაც სხვა რედაქტორთა და რეცენზენტთა საყვედური გამოიწვია: რატომ იმ შედგენილობა-განმარტებებით არ გამოიცა ლექსიკონი, როგორიც მეორე გამოცემას ახასიათებდაო. იქ სიტყვები უფრო მკაფიოდ, გასაგებად და ვრცლად იყო ახსნილიო. ერთი სიტყვით, ზოგი ლაკონიურ განმარტებებს მოითხოვდა, ზოგი გავრცობილს და ამ შემთხვევაში ცხადია ავტორის თვალსაზრისს უნდა მიჰკუთვნებოდა პრიორიტეტი.

მსგავს შენიშვნებში რომელიმე არსებითი მნიშვნელობისაც რომ ყოფილიყო, ის თავისთავადაც სწორდებოდა ავტორის ყოველდღიურ

მუშაობა-დახვეწა-შედარებით და თუ ამ წიგნის მეოთხე გამოცემა ავტორმა ოცი წლის დაუცხრომელი ცდის მიუხედავად მაინც ვერ განახორციელა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვდილის გამო ვერ მოასწრო, ისევე როგორც ბევრი სხვა ნაშრომისაც. ამაში უშუალო ბრალი იმათ ედებათ, რომელნიც თავისი თანამდებობა-ღირსების შეუფერებლად მოიქცნენ და საგამომცემლო-სამეცნიერო დაწესებულებებში თავისი ყოფნა იოსებ იმედაშვილის მიმართ ცოტა იქნება რომ ვთქვათ, ტენდენციურად გამოიყენეს. მათ მისი ლექსიკონის გამოცემის შეჩერებას, საზოგადოების თვალში მისი ჭეშმარიტი ღირსება-მნიშვნელობის დამცირებას თუ სხვა საშუალებას იმ მიზნით მიმართეს, რომ, როგორც შემდგომ გამოირკვა, სხვა მსგავსი ლექსიკონი გამოეცათ. იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ საერთო ძალებით დღეისთვისაც ინარჩუნებს სამაგიდო წიგნის მნიშვნელობას და იგი ელის მეოთხე ახალ გამოცემას მისი ავტორის სიკვდილის შემდეგ მაინც.

„ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“

იმედაშვილის ცხოვრებისა და ლიტერატურული საქმიანობის ყველაზე დიდი საზრუნავი იყო „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“, რომელზედაც ცხრაასიანი წლებიდან დაიწყო მუშაობა და რასაც ნახევარ საუკუნეზე მეტი მოანდომა. ეს მრავალტომიანი, ხუთიათასამდე გვერდს შემცველი ნაშრომი, ფარნაოზ მეფიდან დაწყებული ჩვენ დრომდე, შეიცავს ქართული კულტურის, მეცნიერების, საზოგადოებრივი ცხოვრების, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი, თუ მეურნეობის ყოველ დარგში მოღვაწის ბიოგრაფია-დახასიათებას სრული ბიბლიოგრაფიით. და ეს ნაშრომი დღემდე ელის გამოცემას, თუმცა ხელნაწერის სახითაც ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში საკმაოდ პოპულარული გახდა თავისი უნიკალური მასალებით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის ისტორიის ნაკლებად ცნობილი მოვლენებისა და მოღვაწეთა შესახებ. ფაქტი ის არის, რომ არა იშვიათად სამეცნიერო დაწესებულებანი თუ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები მოგვმართავდნენ ხოლმე თხოვნით ამ დაუბეჭდავი ნაშრომიდან ესა თუ ის ცნობა და თარიღი მიგვეწოდებინა, რაკი სხვა წყარო არ ეშოვებოდათ და ჩვენ ვასრულებდით ხოლმე იმ პირობით, თუ სათანადოდ იქნებოდა მოხსენიებული, რომ ეს მასალა ამოღებულია იმედაშვილის ლექსიკონიდან.

„ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონს“ ჩვენ მეცნიერთა და მწერალთა არა ერთ რეცენზიაში მაღალი შეფასება ჰქონდა მიღებული, როგორც მეტად სასარგებლო და აუცილებლად საჭირო წიგნს. იოსებ

გრიშაშვილმა „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“ შეაფასა როგორც საყურადღებო ნაშრომი, რომელშიაც ისეთი ნიუანსებია, ისეთი უცნობი სახელები და მასალაა, რაც სხვა წყაროებში არ მოიპოვება. აქ თავმოყრილია ისეთი მასალა, რომელიც გამოადგება ყველა დარგის მეცნიერ მუშაკს. ეს წიგნი ყველასათვის ყოველდღიურ სახმარ სამაგიდო წიგნად უნდა გადაიქცეს“.

ცნობილი მკვლევარის, ლევან ასათიანის აზრით, „იოსებ იმედაშვილს მართლაც დიდი და დასაფასებელი შრომა ჩაუტარებია ლექსიკონის შესადგენად. ლექსიკონში შეტანილია თითქმის ყველა, ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე. ბიოგრაფიული ცნობები ძალიან სრულად (ზოგჯერ გადაჭარბებული სისრულითაც) არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით დასაფასებელია ბიბლიოგრაფიული ნაწილი ლექსიკონში წარმოდგენილი მასალისა. ეს ბიბლიოგრაფია მდიდარ წყაროს წარმოადგენს ყველა დაინტერესებული პირისათვის, რომელიც მიზნად დაისახავს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების უფრო ღრმად და დეტალურად შესწავლას. ეს ნაშრომი საყურადღებო შენაძენად უნდა ჩაითვალოს ქართულ ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში. მისი გამოცემა მიმაჩნია აუცილებელ საჭიროებად. იგი სამაგიდო, ყოველდღიურ სახმარებელ წიგნად გახდება არა მარტო მკვლევარ-სპეციალისტებისა, რედაქციებისა, გამომცემლებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, არამედ ფართო მკითხველ საზოგადოებისათვის“.

ლავრენტი კალანდაძის დასკვნით, „იოსებ იმედაშვილის მიერ შედგენილი „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“ დიდძალ ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიულ მასალას შეიცავს, არსებითად წარმოადგენს ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიასაც და ამ შრომის გამოცემა ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეა“.

„ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ აგებულებისა და შინაარსის საკითხებზე საუბარში გასახსენებელია მისი ავტორის იოსებ იმედაშვილის 1950 წლის 11 თებერვლის ჩანაწერი მოკლე განმარტებით მისი დაბეჭდვის შესაძლებლობისა და საბოლოო შედგენილობის განსაზღვრის პრინციპებზე, რაც საფუძვლად უნდა დასდებოდა მისი გამოცემის განხორციელებას:

„სახალხო წიგნების გამოცემას რომ შეეუდექი თავიდანვე სურვილი დამებადა ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის — მწერლობის, მეცნიერების, მხატვრობის, მუსიკის, ხუროთმოძღვრების, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და მეურნეობის ყველა დარგის მოღვაწეთა და მუშაკთა შესახებ ისეთი საცნობარო წიგნი დამეწერა, რაც მკითხველს საშუალებას მისცემდა მის-

თვის საინტერესო მოღვაწის ბიოგრაფია მოკლედ გაეცნო, სათანადო დახასიათებითა და ბიბლიოგრაფიული წყაროების მითითებით.

ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაიბადა ჩემი „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“, რომელიც შეიცავს სამ ათასამდე ბიოგრაფიას დაწერილს გარკვეული შემუშავებული გეგმით, აგებულებითა და შინაარსით. ბიოგრაფია სხვადასხვა მოცულობისაა მოღვაწის საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და მასშტაბის მიხედვით, მაგრამ ყველა მათგანის სტრუქტურა ერთნაირია — დაბადება-გარდაცვალების თარიღები, ადგილი, მოღვაწეობის პროფილი, სწავლა-აღზრდის პირობები, განათლების ცენზი, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის დრო და პირობები, მოღვაწეობის დახასიათება და მისი მნიშვნელობის ზოგადი განსაზღვრა. ყოველ ასეთ ბიოგრაფიას ერთვის ბიბლიოგრაფია და მასალის მითითება, რომლის საფუძველზედაც დაიწერა ბიოგრაფია.

წიგნის შედგენილობა ისეთია, რომ ის მუდმივად შეიძლება ივსებოდეს და სწორდებოდეს ახალი მასალების აღმოჩენის მიხედვით. სწორედ ამიტომ ამ 55 წლის განმავლობაში მისი რამდენჯერმე თავიდან ბოლომდე გადაკეთება-შევსება-შესწორება მომიხდა და ასეთი მომავალშიაც არა მხოლოდ მოსალოდნელია, აუცილებელიც.

ნახევარ საუკუნეზე მეტია ამ წიგნზე ვმუშაობ. მისი გამოცემა ჯერ კიდევ 1905 წლიდან მქონდა განზრახული (იხ. განცხადება ჩემი „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ ბოლოზე, 1904, 1918 წწ.)“. მართლაც ეს ნაშრომი ავტორის სიცოცხლეში რამდენჯერმე იყო განზრახული და მომზადებული დასაბეჭდად. 1918 წელს სპეციალურ მიმართვაში საზოგადოებისადმი „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის მასალის“ შეგროვების თაობაზე, იოსებ იმედაშვილი იუწყებოდა, რომ შემოდგომიდან იწყებდა ბეჭდვას, მაგრამ მაშინდელი გართულებული პოლიტიკური ვითარებისა და ომისშემდგომი კრიზისების პირობებში ვერ განხორციელდა, უმთავრესად უქაღალდობის გამო.

საბჭოთა პერიოდში „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ გამოცემა რამდენიმე საგამომცემლო ორგანიზაციამ დააპირა და ნაწილობრივი სამზადისიც ჩაატარა. მათ შორის უფრო რეალურად წიგნის პალატამ ხანგრძლივი მოლაპარაკების, რეცენზირებისა და კონსულტაციების შემდეგ იოსებ იმედაშვილს 1940 წლის 4 ივლისს წინასწარი ხელშეკრულება დაუდო მოსამზადებელი სარედაქციო სამუშაოს დასაწყებად საჭირო გარკვეული ცნობების შემცველი სიტყვანის შესადგენად, რომელშიაც ისიც იყო აღნიშნული, რომ წიგნის პალატა კისრულობს 1941 წლის თებერვლამდე ამ წიგნის გამოცემაზე სათანადო ხელშეკრულება დაუდოს.

იოსებ იმედაშვილმა დროულად და ზუსტად შეასრულა წინასწარი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და წიგნის პალატამ

1941 წლის 13 ივნისს „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ გამოცემაზე მის ავტორთან სათანადო ხელშეკრულება გააფორმა. იოსებ იმედაშვილი ჩქარობდა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი ტომის მასალა 70 ფორმის რაოდენობით რამდენიმე დღის შემდეგ ჩააბარა. თითქოს საბოლოოდ ყველაფერი გადაწყვეტილი და მომზადებული იყო ლექსიკონის ტექსტის ბაწყობად და აღარაფერს არ უნდა შეეშალა ხელი დიდი ხნის ნაოცნებარი გამოცემის განხორციელებისათვის, მაგრამ იმავე ივნისის თვის 22 რიცხვში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ მისი გამოცემა დააბრკოლა. თუ ჩვენ გვეგონა, რომ გამოცემის შეჩერება დროებითი იყო, პალატის მაშინდელი ხელმძღვანელობა აღარ შეეცადა თუნდაც ერთი ტომის გამოცემის საქმე ბოლომდის მიეყვანა, რამდენადაც ომის დაწყებას ხერხიან მიზეზად იყენებდა, რომ წიგნი არ გამოცემულიყო, ალბათ იმიტომ, რომ მათ გართულებული მდგომარეობა რატომღაც უფრო აწყობდათ. ეს აშკარა გახდა იმითაც, რომ გამომცემლობა ხელშეკრულების აშკარა დარღვევით იმედაშვილს მხოლოდ უძნელებდა ნორმალურ მუშაობას და მატერიალურადაც დააზარალა. იმაზე კი რაღა ითქვას, რომ წიგნის პალატასთან მამაჩემის დამოკიდებულება, რომლის მიზანი ლექსიკონის გამოცემა იყო, საბოლოოდ დამთავრდა. მისთვის მხოლოდ ძვირფასი დროის გაცდენით.

მსგავსად უიმედო გამოდგა ომის შემდეგ მამაჩემის ცდა „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ სახელგამში გამოცემისა. 1947—48 წლებში მრავალი მისვლა-მოსვლის და კონსულტაციების შედეგად თითქოს გადაწყდა და დაიგეგმა კიდეც მისი გამოცემა, მაგრამ სხვადასხვა მოულოდნელ დაბრკოლებათა გამო ხშირად საჭირო ხდებოდა ლექსიკონის გამოცემის საქმე ისევ თავიდან დაწყებულიყო, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ გამომცემლობათა ხელმძღვანელობისა და მისი მუშაკების შეცვლა ხელახლა საჭიროს ხდიდა რეცენზენტებისა და რედაქტორების მოწვევას, ლექსიკონის პერსონალიისა და მისი სტრუქტურის ახალ განსაზღვრა-დასაბუთებას.

სახელგამის მიერ ლექსიკონის დაბეჭდვის განზრახვაც ამაო გამოდგა და დასრულდა იმედაშვილისათვის უფრო მეტად საზარალო შედეგით. თუმცა ლექსიკონის გამოცემა გამომცემლობის მიზეზით შეჩერდა, იმედაშვილი იძულებული გახადეს მიღებული ჰონორარი უკან დაებრუნებინა დევალვაციის გამო გაათმაგებული ანგარიშით. კუთვნილი თანხა კი მეათედი მიეღო.

ამრიგად ორმოცი წლის განმავლობაში მამაჩემი ამაოდ ცდილობდა „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ დაბეჭდვას და იქნებ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მაინც ღირსებოდა განხორციელება იმ საქმეს, რომლისთვისაც იმასაც უნდა შეეწყო ხელი, რომ

საერთო აღორძინების ლოზუნგებით ბევრი რამ კეთდებოდა და საგამომცემლო საქმიანობაც ახალი პოლიგრაფიული ტექნიკით აღჭურვილი მეტ საშუალებას იძლეოდა მრავალფორმიანი წიგნების ბეჭდვისათვის. ამის იმედით, მამაჩემმა მერამდენედ, დიდის ცდით, ბევრი სიარულითა და მტკიცებებით იმასაც მიაღწია, რომ როგორც აღვნიშნე, ხელშეკრულებაც ჰქონდა დადებული წიგნის პალატასთან და სახელგამთან, რომელთაც საბოლოოდ მისთვის მხოლოდ იმედგაცრუებასთან ერთად მატერიალური ზარალიც მოჰქონდათ.

ბაშინდელი სახელგამის ხელში ამ წიგნის მერყეევი მდგომარეობა 1948 წლის 8 იანვარს მამაჩემს ასე ნაღვლიანად ესახებოდა: „ეჰ, არ ვიცი, ვეღირსები თუ არა ჩემი ლექსიკონის გამოცემასაო“. ოთხი დღის შემდეგ 12 იანვარს უფრო შეშფოთებული სწერდა: „საოცარი ისაა, რომ ჩემს რედაქტორებს ხელშეკრულებას უდებენ, ფულსაც აძლევენ, მე კი ჯერ არაფერს მაძლევენ. რაშია საქმე? გაცურებას ხომ არ მიპირებენო?..“

ეს იმისი შედეგი იყო, რომ სახელგამმაც, ისევე როგორც „წიგნის პალატამ“, იმედი გაუცრუა, რომ „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონს“ გამოცემა ეღირსებოდა. ამ შეეჯვებას საფუძველი, ჩანს, უკვე 1941—48 წლებშიც ჰქონდა, როდესაც ხანგრძლივი მოლაპარაკება ეწარმოებინა სახელგამის დირექტორთან ნ. კიკნაძესთან, ვისთვისაც პეტრე შარიას მითითება მიეცა, რომ იმედაშვილის ლექსიკონის გამოცემაზე ხელშეკრულება დადებულიყო. მაგრამ ნ. კიკნაძე ავტორს ყოველდღიურად ახალ-ახალ პირობებს უყენებდა და უკვე გადაჭრილ საკითხებს ხელახლა იხილავდა. მამაჩემი იმედს მაინც არა ჰკარგავდა, დღისით გამომცემლობაში იყო, ღამით შეუსვენებლად მუშაობდა. 1948 წლის 14 იანვარს წერდა: მთელი ღამე თითქმის არ მძინებია, ლექსიკონზე ფიქრმა დამადნო, გამოცემას არა ეშველა რა... 1948 წლის 5 თებერვალს წერდა: შავი ფიქრი გულს ჰიასავით მიღრღნის... ხელს მიშლიან... ჟურნალი მომისპეს... საჭირო და მოწონებულ „უცხო სიტყვათა ლექსიკონს“ არ მიბეჭდავენ, „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონს“ განგებ მიბრკოლებენ... რა გზას დავადგე...“.

1948, 6 თებერვალი — ვატყობ ყველანი ცდილობენ დამაბრკოლონ, ხელი შემიშალონ. ასევე უნდათ ლექსიკონის მეცნიერული ხასიათი მეტ-ისმეტად გააუბრალოვონ, ბიბლიოგრაფიული მხარე შეუმცირონ... ამდენი ხნის შრომა, ჩემი აზრით, საჭირო მეცნიერებისათვის ლამაზად შედგენილი, უნდათ შემიმცირონ...“

ეს უკვე წარსულია და ამ უკუღმართი დამოკიდებულებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მამაჩემი XIX საუკუნიდან მოსული მოღვაწე იყო და თავისი მორალის მიხედვით უღირს ადამიანებთან საქმიან დამოკიდებულებაში, რომელთაც დროებამ კულტურულ

დაწესებულებათა ხელმძღვანელობა დააკისრა, ხშირად მოტყუებული რჩებოდა. ამ დროისათვის მისი ლექსიკონი სახელგამს გამოსაცემად ჰქონია მიღებული და ამასთან დაკავშირებით 1950 წლის 22 ივლისს დაწერილი მისი განცხადებიდან ჩანს, რომ სასტამბოდ უკვე გადაბეჭდილი ჰქონია I ტომი (ა, ბ, გ), დაახლოებით 30 ფორმა, რომელიც საბიბლიოგრაფიო კომისიის მიერაც შემოწმებული ყოფილა. მიუხედავად ამისა, საქმე პრაქტიკულად მაინც წინ არ მიდიოდა და მამა მაინც განცხადებაში ყურადღებას იმას აქცევდა, რომ „წიგნის ბეჭდვას მალე უნდა შეუდგეთ, რომ ვიდრე პირში სული მიდგას, თვალყური ვადევნო, რათა შეცდომები არ გაიპაროსო...“ მაგრამ თითქოს უკვე დაწყებულ საქმეს აქაც ჩაფუშვა ელოდა, რაშიაც მამა ჩქარა დარწმუნდა და უკვე იმავე წლის 17 აგვისტოს თავის დღიურში აღუნიშნავს: „რა უნაყოფოდ მიდის ჩემი შრომა — ბევრს ვწერ, სხვა და სხვა დარგისას, ნაყოფი კი არა ჩანს... ახ, ბეჭდვის უფლება რომ მქონდეს, რა წავიწევდი წინ... როცა უფლება და სტამბა მქონდა, მაშინ ჩემს ნაწერებზე ნაკლებად ვფიქრობდი, ახლა ვინ გამიშვებს წინ!.. რა ბედოვლათად მოვიქეცი, რა რიგ ბნელდება ჩემი დღენი...“

ჩქარა დეკემბერიც მოვიდა და მამა იძულებული იყო დასანახი დაენახა — „როგორც ჩანს, მიმდინარე წელს ჩემი ვერც ერთი წიგნი ვერ დაიბეჭდება, ალბათ ფიქრობენ, რომ დიდხანს ვეღარ ვიცხოვრებ და ჩემს ნაშრომებს თუ არ გამოიყენებენ, სამაგიეროდ მაინც დაასამარებენო“. სამწუხაროდ ეს წინათგრძნობა თითქოს გამართლდა არა მხოლოდ ამ ლექსიკონის, არამედ სხვა თხზულებათა მიმართაც. ამის შემდეგ ასეთი წინათგრძნობის მოტივები უფრო მეტად ხშირდება და შიშშეპარული გულახდილობითაა გამოხატული მის ჩანაწერებში, რომელთა საგანი ლექსიკონები და მისი ბოლომდე დაუბეჭდავი რომანებია — „განახლებული სიცოცხლე“, „დაშხამულნი“ და „აახ-ვააახ“.

ყოველივე აქედან ცხადია, იოსებ იმედაშვილი კარგად გრძნობდა, რომ მისი ლექსიკონის გამოუცემლობის მთავარი დაბრკოლება მართლაც ხელნაწერის დიდი მოცულობა, ბეჭდვის სასტამბო ტექნიკურ-მატერიალური თუ ფინანსური სიძნელენი კი არ იყო, არამედ უმთავრესად წიგნის აგებულება-შედგენილობის, მისი პერსონალიის განსაზღვრის საკამათო პრობლემა. სამწუხაროდ გამომცემლობათა შემთხვევითი რედაქტორები ზოგჯერაც არ თაკილობდნენ თავისი ცოდნის მასშტაბითა და უსაფუძვლო სურვილებით ხელეყოთ ნახევარი საუკუნის განმავლობაში დამუშავებულ-დადგენილი ტექსტი. მათთვის შეუმჩნეველი რჩებოდა ის დიდი და ხანგრძლივი შრომის გამოცდილება, რაც ავტორმა ბეჯითი შრომის შედეგად დააგროვა, რომ ეს ლექსიკონი შეიცავს უნიკალურ ცნობებსა და მასალებს, რო-

შელნიც არც ერთ დაწესებულებას არ მოეპოვება და დღემდე უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის.

ყველაზე საკმათო ხდებოდა ამა თუ იმ მოღვაწის ცნების შინაარსია განსაზღვრა, რომელთა გაგებაშიც ავტორი არ იზიარებდა გამომცემლობის რედაქტორთაგან ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო შენიშვნებს, წინადადებებს და მოსაზრებებს, რამდენადაც იოსებ იმედაშვილს ყოველი მოღვაწის ბიოგრაფიის ასაგებად შემუშავებული ჰქონდა ეროვნული კულტურისა და ისტორიის თვალთახედვით დახასიათების საერთო მოდელი. „ეროვნული მოღვაწის“ გაგება, მის მიერ ჩამოყალიბებული ობიექტური თვალსაზრისით მასალის გაშუქებისათვის ეროვნული იდეოლოგიით, შინაარსით და სტილით. ამდენადვე ლექსიკონის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ბიო-ბიბლიოგრაფიული მასალა ყოველი პიროვნების დამსახურებისა და მნიშვნელობის შესაბამისად. ესაა მიჩნეული ობიექტურ პირობად, რომლის მიხედვით ესა თუ ის პიროვნება ჩაითვლება ეროვნულ, საზოგადოებრივ მოღვაწედ.

მთავარია ეროვნული კულტურის და საერთოდაც ეროვნული ისტორიის სარბიელზე მოღვაწეობის დადგენა, მნიშვნელობის განსაზღვრა ეროვნული სინამდვილის ასპექტით და არა რომელიმე დაწესებულების, თუ მისი დროებითი ხელმძღვანელის პიროვნული შეხედულებით, დროებითი პოლიტიკურ-სოციალური სიტუაციის მიხედვით. რასაც არაფერი ექნება საერთო ჩვენი ერის ინტერესებთან.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ იმედაშვილის ნაშრომის გაგებისათვის ასეთ შემთხვევით რედაქტორებსა და რეცენზენტებს ობიექტური კრიტერიუმი არ მოეპოვებოდათ, ამდენადვე ძველი, ახალი თუ თანამედროვე ქართველ მოღვაწეთა განსაზღვრა, ე. ი. მთლიანად ამ ლექსიკონის პერსონალიის ობიექტური დადგენა ჰკარგავდა შესამჩნევ საფუძველს, თუმცა აშკარა იყო, რომ XIX საუკუნეში რომელიმე დარგის მუშაკი თუ შეიძლება მოღვაწედ მივიჩნიოთ, იგივე საქმისა და რანგის პიროვნება XX საუკუნეში ეროვნულ მოღვაწეთა კატეგორიაში ვეღარ ჩაირიცხება. ეს იმიტომ, რომ ჩვენი დრო კულტურის, განათლებულობის მასობრიობით ხასიათდება და ამდენადვე გარკვეულ დარგებში მოღვაწეობა უკვე ჩვეულებრიობად იქცა და არა გამონაკლისად.

ლექსიკონის პერსონალიის განსაზღვრაში მოხდა ასეთი კურიოზიც: ამ ორმოცი წლის წინათ, როდესაც კიდევ ერთხელ ახილებოდა მისი გამოცემის საკითხი, სწორედ მისი პერსონალიის დადგენაში ვერ იყო მიღწეული საერთო პრინციპი, რის გამოც წიგნი ისევ შეჩერდა. გამომცემლობის ზოგი მუშაკი მოითხოვდა, რომ მოღვა-

წედ ჩათელილიყო და ლექსიკონში მოთავსებულიყო ყველა ის პიროვნება, ვისაც რაიმე საბაბით ორდენი ჰქონდა მიღებული. მათი მტკიცებით, რაკი მთავრობა პიროვნებას ორდენს აძლევს, ეს თითქოს იმას ნიშნავს, რომ იგი მოღვაწედ უნდა იყოს მიჩნეული. ამის მიხედვით, იმედაშვილს გადასცეს ორდენოსანთა ვრცელი სიები, რომ მათი ბიოგრაფიები მოემზადებინა თავის ლექსიკონში შესატანად.

ცხადია ყველაზე მეტი საყამათო ლექსიკონის იმ მოღვაწეთა განხილვა-დახასიათებაა, რომელთა სფერო შეფასების თვალსაზრისით იდეოლოგიის საკითხებს მოიცავს. ამიტომ გასაგებია, რომ ორმოცი წლის განმავლობაში თუ ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების თვალსაზრისები იცვლებოდა მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებათა მიხედვით, ლექსიკონში ისეთი სტაბილური ასპექტები და ფორმები უნდა შემუშავებულიყო, რომ ჩვენი სინამდვილის ყოველ ახალ მოსაბრუნს ლექსიკონში მინიმალური ცვლილებები გამოეწვია. ამასთან ერთად, ამ ტიპის ლექსიკონში ალბათ შეუძლებელიცაა, და არცაა სასურველი არა ჩანდეს მისი ავტორის იოსებ იმედაშვილის აზრის, განწყობილების, სტილის პიროვნული გამოხატულებაც, ლიტერატურული გემოვნების ნიშანი და მისი იდეოლოგიური საფუძველი მისთვის პრინციპულად ისე იყოს ჩამოყალიბებული, რომ ეროვნული კულტურის საგანი, მისი მნიშვნელობა და ინტერესები მხოლოდ ობიექტური ასპექტებით ისაზღვრებოდეს.

ამრიგად, ლექსიკონის დაბეჭდვისას მისი რედაქტირების საჭიროებაც რომ იყოს ცნობილი, სასურველი არ იქნება იმედაშვილს შეუსწორდეს აგებულების პრინციპიც, პერსონალიის შედგენილობაც, აზრიც, სტილიც. მათ გარეშე კი მას ხომ დაეკარგება ის თავისებურება, რაც ყოველ ნაშრომსა და წიგნს უნდა ახასიათებდეს, როგორც გარკვეული მსოფლმხედველობისა და სტილის მწერალს, და ამის უფლება კი უნდა შერჩეს პიროვნებას, რომელიც სამოცი წლის განმავლობაში ინტენსიურად იღვწოდა ქართული პრესისა და წიგნის სარბიელზე, ჰქონდა საკუთარი ჟურნალი და გაზეთი, „ივერიიდან“ მოყოლებული ბეჭდავდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, კრიტიკულ წერილებს და იყო ავტორი მრავალი წიგნის, მათ შორის ქართულ ენაზე პირველი „უცხო სიტყვათა ლექსიკონისა“.

ნახევარი საუკუნის წინათ დაწყებული „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“ დღევანდელობის თვალსაზრისით გადასინჯვას თუ საჭიროებს, თქმა არ უნდა შესწორებანი უმთავრესად ბიბლიოგრაფიულ საძიებელთა შევსებაში უნდა გამოიხატოს, აუცილებელ განმარტებებსა და შენიშვნებში, ახალი მასალის ჩამატებებში, რაც ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოიცა და პრაქტიკული საჭიროებით აუცილე-

ბელია მათი გათვალისწინება. თავისთავად ის ფაქტიც, რომ წიგნი შესაძლოა მისი ავტორის სიკვდილის შემდეგ ორმოცი წლის თავზე მაინც გამოიცეს, ალბათ შესაძლებელი გახდება ქართული კულტურისა და მეცნიერების შემდეგ დროინდელი მკითხველი ლექსიკონში გარკვეული ფორმით ჩასწორდეს, იმ წესრიგით, შედგენილობის პრინციპითა და ზომიერებით, როგორც ავტორს აქვს შემუშავებული. ამიტომ ყოველი შესწორება, შევსება, დამატება მისივე მასშტაბსა და სტილთან უნდა იყოს შეთანხმებული. ეს იყო მამაჩემის სურვილი, ანდერძი და ლექსიკონი თუკი დაიბეჭდა, ასეც უნდა განხორციელდეს.

ამრიგად, ყოველგვარი შენიშვნების მიუხედავად, „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონმა“ თითოეულ სტატიაში უნდა შეინარჩუნოს აგებულებისა და განმარტების ის თავისებურება, რომელიც მისმა ავტორმა ხანგრძლივი დამუშავების შედეგად შეიმუშავა. აქ საყურადღებო ისიც არის, რომ წიგნის, საკუთარი ყურნალ-გაზეთისა და გამომცემლის მჭვრეტი, მრავალ ჭირნახული მწერალი და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქტორი, სხვათა წიგნების გამომცემელი იოსებ იმედაშვილი თვითონ დარჩა გამოუცემელი, ვერა და ვერ ელირსა თვალით ენახა მთელი ცხოვრების განმავლობაში სათუთად ნაზარდი, მოვლილი და ნანატრი „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“, რომელსაც მან უმსხვერპლა მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია, საკუთარი მწერლური კარიერა, თან საკუთარი გამოცემანი განუხორციელებელ ოცნებად გადაექცა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ალბათ საქართველოში არ არის მეორე ასე საჭირო ნაშრომი, მაგრამ ასევე უსამართლოდ გამოუცემელი წიგნი, როგორიც იოსებ იმედაშვილის „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონია“.

ერთხელაც ლექსიკონის აგებულებასა, ხასიათსა და მოცულობაზე რედაქტორებთან კამათის შემდეგ სახლში დაბრუნებულს დღიურში ჩაუწერია: „ბევრს ვკამათობდით, მე კი გულში ვამბობდი — როგორც შესძის ეს წიგნი ისე შევადგინე და თუ ისე არ დაიბეჭდება, დავწვავ-მეთქი...“

„ჩემი ცხოვრების წიგნი“

თქმა არ უნდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ მამას უფრო სისტემატურად ემუშავა საკუთარ მოგონებებზე, რომლებშიაც ბევრი ჰქონდა სათქმელი, რაც მის დროს XIX—XX საუკუნეთა შესაყარზე ქართველი ხალხის სოციალურსა თუ კულტურულ ცხოვრებაში საინტერესო ხდებოდა და რისი მომსწრეც თვითონ იყო, მით უმეტეს, ხანგრძლივ ურთიერთობაში პირადად მეგობრობ-

და ჩვენი საზოგადოების გამოჩენილ მოღვაწეებს. ამიტომ ხშირად მიუთქვამს მისთვის და მიმტკიცებია, რომ თავისი დრო უმთავრესად მოგონებათა წერაში გაეტარებინა. როგორც ვიცი, სხვებსაც, ცალკეულ პიროვნებებსა თუ დაწესებულებებს სპეციალურად უთხოვიათ ჩვენი წარსულის ამა თუ იმ საძახსოვრო შემთხვევების, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენათა შესახებ ეწერა. ამისათვის უკვე დროც მეტი ჰქონდა, მით უმეტეს, რაც „თეატრი და ცხოვრებას“ გამოცემა შეწყდა და მამა ბუნებრივად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოსცილდა, უმთავრესად სახლში იმყოფებოდა და თავისი დაუბეჭდავი ნაწერების შევსება-შესწორებაზე მუშაობდა.

ამწუხაროდ, მოგონებათა წინასწარ ჩაფიქრებული შინაარსითა და გეგმით დაწერის საქმე მამამ ნაწილობრივ შეასრულა, უმთავრესად ცალკეულ ეპიზოდურ მოგონებათა სახითა თუ ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტების შექმნით, რომელთაც ამიტომ შესაძლოა სასურველი თანმიმდევრობა და მთლიანობა აკლდეთ. ახლა აშკარა გახდა, რომ მას არაფერში რომ არ უყვარდა საქმის გადადება და დაგვიანება, სწორედ თავის თავთან დაუგვიანდა, თავისთვის ვერ მოიცალა. ამ საბედისწერო დაგვიანებას იმით ვხსნი, რომ მამა არას გზით არ ელოდა ასე მოსწრაფებით სიკვდილს, კიდევ ხანგრძლივი მუშაობის განზრახვა და იმედი ჰქონდა და არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ ახლა ბევრი რამის თქმას და გამოქვეყნებას ვერიდები, იქნებ როდისმე შევავსო, თუ დრომ შემიწყო ხელიო...

ყოველ შემთხვევაში, ის რაც მაინც მოასწრო, დაწერა და ბეჭდურად გახდება ცნობილი, მისი მკითხველი დარწმუნდება, რომ მამაჩემმა ჰეშმარიტად შეასრულა ის პირობა, რაც სხვა შემუარიტ მწერალთ პირველ მოთხოვნილებად ასე ჩამოუყალიბა: „...მოგონებათა მომთხრობო, რაც გინახავს, გაგონია, ან გიგრძვნია, გულში ჩაგებეჭდია, ყოველივე დაწერე, ოღონდ ყოველთვის იყავ მართალი, გულწრფელი!.. სწორედ იმ ხერხით და გამოთქმებით, როგორც გონებამა და გულმა გიკარნახოს. ნუ მოერიდები ქვეყნის კრულვას, ვისიმეს რისხვას, ან გულში ნურც იმას გაივლებ, ეს რომ დავწერო, იქნებ ვინმეს ეწყინოსო...“

ითსებ იმედაშვილის მოგონებანი, რომელთაც იგი „ჩემი ცხოვრების წიგნს“ უწოდებს, თუ შას სრული შედგენილობით ეღირსა გამოქვეყნება, გულწრფელი უშუალობითა და საკუთრებით დაუძაბავი ტონით გულდადად გადმოსცემდა XIX—XX საუკუნეთა შესაყარის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ქართული ცხოვრებისა და კულტურის სინამდვილეზე, მის მთავარ მოვლენებსა და ადამიანებზე. რა ფიქრები და განზრახვები ამოძრავებდათ ქართველი ერის მოჭირნა-

ხულეთა ისეთ ღირსეულ პიროვნებებს, როგორიც იყვნენ ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობი, ნიკო ნიკოლაძე, მიხაკო წერეთელი და მისთ., რომელნიც ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლისათვის იღვწოდნენ. მაგრამ თუ ჩვენი ცხოვრებისა და მწერლობის ეს საკითხები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მონოგრაფიულად შესწავლება. მისგან განსხვავებით იოსებ იმედაშვილის მოგონებანი საინტერესონი არიან თუნდაც იმ მხრივ, რომ თავისი დროის სინამდვილეს ზოგჯერ ისეთი დეტალებითა და კუთხეებით გადმოგვცემს, რომელთაც სხვათა ნაწერებში ნაკლებად შევხვდებით. ეს უმთავრესად ეხება ქართველ იმ მოღვაწეთა პორტრეტებს, რომლებთანაც მას პირადი ურთიერთობა ჰქონდა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ ამბებს, რომელთა მონაწილე თვითონვე იყო.

აქედან ჩანს, რომ იოსებ იმედაშვილის მიზანი ქართული ცხოვრების გაშუქებაში იყო არა მხოლოდ საკუთარი თავგადასავლის აღწერა, არამედ ქართული სინამდვილის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პიროვნებათა უმეტესად იმ სიტუაციებში გახსენება, რომლებშიაც ქართველი ხალხის მისწრაფებისა და ხასიათის თავისებურებანი ვლინდებოდა. ამიტომ, თუ თავისი ცხოვრების წიგნს იოსებ იმედაშვილი საკუთარი ბავშვობის აღწერით იწყებდა, იმ დროითა და რიგით, როდესაც მან სოფელ ხაშმის ნათლისმცემლის მონასტრის კოშკის პატარა სენაკში დაბადებიდან დაწყებული გზა განვლო „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქტორობამდე, ეს გეგმა მაინც ბოლომდე თანაზომიერად ვერ მიიყვანა, რადგან მისი გულისყური ძირითადად საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენები იყო, თავისი პირადი ცხოვრება კი ჩვეულებრივობას წარმოადგენდა.

მისი ნარ-ეკლით მოფენილი ცხოვრება და დუხჭირი შრომა, მხოლოდ ქართველი ხალხისა და წიგნის სამსახურს შეწირული, იმედგაცრუებებითა და მშფოთვარე თავგადასავლებით საკმაოზე მეტი იყო ერთი პიროვნების ბიოგრაფიისათვის, რომელმაც თავისი დღენი ისე გაატარა, რომ არავითარ გაჭირვებას, არც ერთ ციხესა და მუქარას არ შეუშინებია, არავის და არაფრისადმი ქედი არ მოუხრია, თავის ძნელ ხვედრზე ერთხელ არ დაუჩივლია და არც პიროვნული ღირსება დაუმდაბლებია, რომ მის საფასურად საკუთარი კეთილდღეობის მიღწევას ცდილიყო. წყემსობიდან გამოსული კაცი ინტელიგენტი და წიგნების ავტორი რომ გახდა, მისი ცხოვრება ყოველთვის იმის მტკიცება იყო, რომ ჭეშმარიტი პიროვნება შეიძლება მხოლოდ თავის თავს ეყრდნობოდეს და ყოველთვის მართალი იყოს.

საზოგადოებაში ასეთი ყოფნა თუ წამებას უდრის, მისთვის ვინც თავის თავზე გადაიტანა ეროვნული ჩაგვრის, შეურაცხყოფის, ტანჯვისა და შეუპოვარ ბრძოლათა წლები, ღირსი იყო მისი ცხოვ-

რება ასახულიყო როგორც გმირული გზის გავლა, მაგრამ ყველაფერ ამას თავის მოგონებათა თემად ვერ აქცევდა, მით უმეტეს, რომ მის ბიოგრაფიაში ეს მღელვარების დრო შემდგომ ჟურნალის ტიკასა და მწიგნობრობაში გატარებულმა დროებამ დაფარა და ბოლო ხანის საზოგადოებრივ მეხსიერებას იგი შემორჩა როგორც კაბინეტში მომუშავე მშვიდობიანი მწერალი-რედაქტორი. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების საინტერესო ამბების აღწერაში იმედაშვილი თავის თავს ხშირად ჩრდილში სტოვებს, ძლიერ ცოტას, გაკვრით იხსენიებს! სავსებით არა ხასიათსაც, რომ მისი ორმხრივი დევნა პოლიციისა და გუშინდელი მეგობრებისაგან როგორ კავშირში იყო მის რევოლუციურ-პროგრესულ მოღვაწეობასთან ბარეკახეთის ერთობის მოძრაობის დროს... საბოლოოდ რატომ შეწირა თავი ქართული პრესის სამსახურს ცარისტული რუსეთის სასტიკი ცენზურის პირობებში? ამის შესახებ თვითონ მას უნდა ეთქვა, თუმცა იმედაშვილის ნოგონებათა პათოსი და მომხიბლაობა უომისოდაც დანაკლულებული არა ჩანს, რადგან მთელი ყურადღება და სიყვარული რევოლუციამდელი თაობის ნათელი წარსულის საქმეებსა და სახელებს მიაგო. დიდი ილიას, აკაკის, ვაჟას გვერდით ეს სითბო კარგად იგრძნობა სხვადასხვა კუთხით მოსაგონარ და სადიდებელ მოღვაწეთა მიმართაც ზაქარია ჭიჭინაძისაგან დაწყებული ლადო კეცხოველის, ჭოლა ლომთათიძის, იროდიონ ევდოშვილის თუ სხვათა ნათელ სახელებამდე.

ბევრი მათგანი უშუალო განცდის შთაბეჭდილებითაა დამაჯერებლად გაცოცხლებული, როგორც მაგალითად ზაქარია ჭიჭინაძის უველგან მყოფი ფიგურა, რომელსაც სიყვარულსა და პატივს არც სიცოცხლეში აკლებდა, მით უმეტეს მოხუცებულობისას, როდესაც მართლა სჭირდებოდა მას ძველი მეგობრისაგან ყოველდღიური მოვლა-პატრონობა. ასევეა საგრძნობი ჭოლა ლომთათიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ტრაგიზმით აღბეჭდილ დღეთა მოგონებანი, ნიკო სულხანიშვილის უბედურად დასრულებული სიცოცხლისა და დაკარგულ-გაქურდული მისი მადლიანი ნიჭის გამოტირება.

სამწუხაროდ ითსება იმედაშვილის მოგონებათა მხოლოდ ნაწილი ეღირსა პუბლიკაციას და კიდევ ბევრია მის ნაწერებში ქართული კულტურის მოღვაწეთა შესახებ ნაამბობი, რომელიც შეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლებად ცნობილი მოვლენების შესახებ.

მათი გაცნობა მნიშვნელოვნად შეავსებდა ქართული ცხოვრების განსაცდელებით აღსავსე რევოლუციის წინა დროის სინამდვილის წარმოდგენას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა დიმიტრი ყიფიანის რუსეთში გადასახლებასთან დაკავშირებით ზაქა-

რია ჯიჯინაძის ნაამბობი. რომელიც ჩაწერილია მამაჩემის მიერ 1930 წლის 8 იელისს. მისი უნიკალური ხასიათის გამო ტექსტი მომყავს ყოველგვარი შესწორების გარეშე მთლიანად:

„დიმიტრი ყიფიანი ქვიშხეთიდან მცხეთას ჩამოიყვანეს რუსეთში გასაგზავნად. ეს ამბავი მე წინადვე მქონდა შეტყობილი, წიგნები წავიღე და სადგურზე გავშალე ვითომდა სავაჭროდ. მატარებელი რომ გაჩერდა, წიგნები ავიღე და დიმიტრის ვაგონისაკენ გავწიე. წინ ყანდარმი გადამეღობა: „ნილზიაო“. მე უთხარი, წიგნებია, იქნება ყიდდის მეთქი. „რა წიგნებიაო?“ მე უთხარი, ყველა დაცენზურებულია მეთქი... „ნება დართულიაო?“ — რაკი დაცენზურებულია, ნება დართულიც იქნება მეთქი... საცოდავს, არ ესმოდა ცენზურა.

მე ავედი ვაგონში დიმიტრისთან და მისთვის წინადვე დამზადებული წიგნები გადავეცი, თანაც ანტონ ფურცელაძის სალამი, რომელიც უთვლიდა:

— დიმიტრი. ყველანი გითანაგრძნობთ, სულით და გულით შენთანა ვართ, მაგრამ დუნდუკოვ-კორსაკოვი ყველას თვალს გაფაციცებით გვადევნებს და ამიტომ ვეღარ მოგეკარეთო... ამავე დროს გადავეცი ილია ჭავჭავაძის მოკითხვა.

დიმიტრიმ დიდი მადლობა გადამიხადა წიგნებისა და ნახვისათვის, შემდეგ მითხრა: მე რუსეთიდან გამოგიგზავნი ჩემ მიერ ნათარგმნ მიტჩელის „ზეციურ მნათობებს“, დასაბეჭდად ფულსაც და გამოეცი, იქნებ ხალხში გავიდესო.

— ძლიერ კარგი იქნება მეთქი! უეჭველად დავბეჭდავ, რადგან მეც მომწონს მეთქი.

— როგორ, განა წაგიკითხავსო?!

— დიახ, ჟურნალში წავიკითხე მეთქი!..

— ძლიერ სასიამოვნოაო! ახლა უკვე შესწორებული მაქვს და უეჭველად გამოგიგზავნიო!..

მატარებლიდან გამოვიდა, იქვე ფოსტაში მიიყვანეს, სადაც საგანგებო საფოსტო ეტლი ელოდა.

ამ დროს სანახავად ჩამოსულიყვნენ შვილები — კონსტანტინე და მეუღლე მისი ნინო, ნიკოლოზი, აგრეთვე ქალი ლიოლა და ანტონ ლორთქიფანიძე, მეუღლე მისი.

დიმიტრისთან ერთად რუსეთს მიემგზავრებოდა მხატვარი გიგო გაბაშვილი.

როცა დიმიტრიმ გაიცნო და გამოელაპარაკა, გიგომ რუსულად დაუწყო ლაპარაკი.

— როგორ, გაბაშვილი ბრძანდები და ქართული კი არ იციო?

— რა ვქნა, რუსეთში აღვიზარდეო...

ჩემი მისვლა ისე იამა, ისე გამხიარულდა, რომ დიმიტრი არასოდეს ის მხიარული არ მინახავს. კიდევ მადლობა გადამიხადა.

— გმადლობ, რომ მნახეო, დიდად გამამხიარულეო. მერე კოტეს (თავის შვილს) მიუბრუნდა და უთხრა:

— კოტე! ზაქარია სადილად არ გაუშვათო... და არც გამომიშვეს.

ჩემთვისაც ეს დღე დაუვიწყარი იყო. ამ დღეს რუსეთს იგზავნებოდა ქართველი ერის დიდი მოამაგე. რამდენიმე ხნის შემდეგ დიმიტრი რუსთაგან თავგაჩეხილი ჩამოასვენეს საქართველოში".

ჩვენი სახლი მთაწმინდაზე

მთაწმინდა ღარიბების უბანი იყო, როგორც დასახლებით, მისავალი გზებით, მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობით, აგრეთვე ცხოვრების პირობებით. გასაბჭოებამდე მთაწმინდას არა ჰქონდა რაიმე კეთილმოწყობა, წყალი, ელექტროსინათლე, ტელეფონი, — მაშინ მხოლოდ მდიდრების პრივილეგია იყო, მით უმეტეს, რომ ელექტროსადგურები კერძო პირთა საკუთრებას წარმოადგენდა და საკმაოდ ძვირობდა. რაც შეეხება ტრანსპორტს, — მთაწმინდელებს ფეხით უნდა ევლოთ.

ფაეტონი მეტად ძვირი იყო და თან აღმართიანი ქუჩები ეტლებით მგზავრობას სახიფათოდ ხდიდა. ნურც ის ეგონებათ თანამედროვე მკითხველებს, რომ ტრამვაი მაინც ღარიბებისათვის ხელმისაწვდომად იაფი ყოფილიყოს, — ისიც ძვირი იყო, რადგან ერთი შაური ღირდა ოქროთი და ყოველდღიურად ღარიბის ოჯახს არ შეეძლო რამდენიმე შაური ტრამვაიზე დაეხარჯა, თუკი ორი-სამი მოწაფე სკოლაში დაუდიოდა. ეს ჩემ თავზედაც კარგად მაქვს გამოცდილი, რადგან ყოველდღიურად სკოლაში წასასვლელად ორი შაური მჭირდებოდა, — სათავადაზნაურო გიმნაზია მაშინ ვაკეში იყო, ეხლანდელ უნივერსიტეტის შენობაში. მამაჩემს ექვსი შვილი ვყავდით, და მათი ტრამვაის ფულით მთელი ოჯახის სადილი გაკეთდებოდა.

რაღა უნდა ითქვას კურიოზული არქიტექტურით აგებულ შენობებზე ვიწრო სარკმლებით, ხვეული კიბეებით, ჩახლართული დერეფნებითა და კარებით, რომელნიც ამასთან ერთად, მოკლებულნი იყვნენ ელემენტალური საჭიროების სათავსოებს, რაც თავისთავად აძნელებდა სათანადო სისუფთავის დაცვას. ყოველივე ამიტომ მთაწმინდაზე გასაქირავებელი ბინები საკმაოდ იაფი იყო, სწორქუჩებიან სახლების ბინებთან შედარებით და, შესაძლოა უფრო ამიტო-

მაც. მთაწმინდაზე ჩვეულებრივი წვრილი მესაქმეობის ხალხი ცხოვრობდა — ხელოსნები, დურგლები, კალატოზები, მეპურეები. მზარეულები, მეთევზეები, თულუხჩები, თერძები, მექუდეები, მეწუღეები, დალაქები, მკერავები, მეწვრილმანეები და სხვ. მისთანები.

მიუხედავად მოუწყობლობისა და მრავალგვარ უხერხულობებისა, მთაწმინდა მაინც იზიდავდა შემოქმედების ხალხსაც სწორედ თავისი სოფლური მაგვარი უბნური ცხოვრებით, სიმყუდროვით, რადგან, თუმცა, როგორც ქალაქის ცენტრთან სიახლოვეს გაშენებული ჩანდა, მაგრამ თავისი აღმართ-ჩაღმართიანი ქუჩებით ძნელად მისაყვლებოდა და ერთგვარადაც ქალაქური ცხოვრებისაგან გარიყული იყო. ალბათ ამიტომაც აქ სხვადასხვა დროს მცირე შემოსავლიანი მუშა-მოსამსახურენი ცხოვრობდნენ და მათთან ერთად საზოგადოების ღოლვაწენიც — მწერლები, პოეტები, მხატვრები, არტისტები, მუსიკოსები, კომპოზიტორები, მასწავლებლები, სტუდენტები, და არაიშვიათად კონსპირატიული მიზნით პოლიტიკური მოღვაწენიც: იაკობ გოგებაშვილი, ირ. ევდოშვილი, შალვა დადიანი, ბეგლარ აბოსპირელი, ვახტანგ და ლადო კოტეტიშვილები, ნიკო ლორთქიფანიძე, კოტე მესხი, სილიბისტრო რემონიძე-თავართქილაძე, ლეო ქიაჩელი, გიორგი ქუჩიშვილი, ანდრია ყარაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, იოსებ იმედაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, ლევან ასათიანი, ბაბილინა (ხოსიტაშვილი), აფხაიძე, გიორგი შინატეხელი, ზაქარია ჭიჭინაძე, ნოე ჩხიკვაძე, ბოლო ხანებში კი სიმონ ჩიქოვანი, დავით გაჩეჩილაძე, ტერენტი გრანელი, გრიგოლ ცეცხლაძე, ვარლამ ჟურული, შალვა კვასხვაძე, შალვა დოლაქიძე, ნინო თარიშვილი, ელიზბარ ზედგინიძე, შალვა ჭიდაშელი და ზოგი სხვაც, დროგამოშვებით იოსებ ნონეშვილი.

როგორც უკვე აღინიშნა, მამაჩემი ჭაბუკობიდანვე მთაწმინდას იყო შეკედლებული, ჯერ ზაქარია ჭიჭინაძის სახლთან ახლოს წყაროსუბანში, შემდეგ კი, როდესაც დაოჯახდა კოტე მესხის ქუჩას (ყოფ. პრიუტის) სიკვდილამდე აღარ მოშორებია და ვეღარც წარმოიდგენდა სხვა ქუჩაზე ცხოვრებას.

მამაჩემის საზოგადოებრივმა საქმიანობამ ჩვენ ოჯახს პიროვნულად ბევრი მწერალი, კულტურის მოღვაწე თუ სხვადასხვა დაწესებულების მუშაკი დააკავშირა. ამის გამო ჩვენ ბინაზე ხშირი იყო სტუმრიანობა რედაქციების, თეატრების, გამომცემლობების თანამშრომლებისა. მწერლებთან და მხატვრებთან ერთად არა იშვიათად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გლეხები, განსაკუთრებით ხაშმიდან თუ წერაქვიდან ათასგვარი წვრილმან-მსხვილმანი საქმეებითა და თხოვნებით თავს იყრიდნენ ხოლმე. უფრო ხშირად

ჩვენს ბინაში სადილად, ღამის სათევად, თუ რაიმეზე სათათბიროდ ყოფილან — ზაქარია ჭიჭინაძე, ვაჟა-ფშაველა, შალვა დადიანი, ალ. წუწუნავა, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, იროდიონ ევდოშვილი, ნოე ჩხიკვაძე, ია ეკალაძე, გიორგი ქუჩიშვილი, შიო მღვიმელი, მიხეილ ჯავახიშვილი, ალ. ოგანეზაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ტერენტი გრანელი, ძმანი ჯაფარიძენი, ძმანი ძიძიგურები, ჰაზირა და სხვანი.

ზოგიერთი მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე ჩვენ ბინას თვეობითა და წლობითაც ყოფილა შემოკედლებული და მუდმივი სტუმრიანობის გამო ჩვენ ოჯახში წესად იქცა, რომ შემთხვევით შემოსწრებულისათვის სადილის ერთი კერძი შენახულიყო, რადგან ჩვენ ღარიბულ, უპრეტენზიო ტაბლასთან შიმშილის ჩასაქრობად იმედით გაბოშურებული ვინმე რაიმე მიზეზით მშიერად დარჩენილი, სახლში რომ მოგვაკითხავდა, ასეთ დროს იმაზე ცუდი რაღა იქნებოდა, რომ მთაწმინდის აღმართზე ამოსული გაწბილებულიყო და ჩვენგანაც წმიერი გაბრუნებულიყო. ეს ჩვენი დედისაგან ნასწავლი ძველი ჩვეულების გადმონაშთია, რომ ამჟამადაც, თუმცა შიმშილის დროის ფსიქოზი დიდი ხანია გავიდა, ამ წესს ჩვენ ოჯახში მაინც ვიცავთ.

ოჯახში სტუმრად მოსულის მიღება-გამასპინძლება თუ სადმე შეხვედრილისათვის შესაძლებელი დახმარების აღმოჩენის მოვალეობის გრძნობა მამაჩემს ბავშვობიდანვე ღრმად ჰქონდა ჩანერგილი, რაც მას თავისი მამისაგან შეუთვისებია ბორჩალოში ხრამის პირად ცხოვრების დროიდან. ამდენად ცდებოდნენ ისინი, რომელნიც მამაჩემს ზოგჯერაც უსაყვედურებდნენ ხოლმე — მეტისმეტი თავმდაბლობა-თავაზიანობაც არ ვარგა, ყველას თავს ნუ უყადრებ, ვინ რაში გამოგადგება, ისე მოიქეციო. რა იცოდნენ მათ, რომ მამაჩემისათვის ყველასადმი პატივისცა და ღირსების მიგება პოზიტიური და ანგარებიანი საქციელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მით უმეტეს იგი არასოდეს არ ელოდა სიკეთის ანაზღაურებას. ამიტომ იყო, რომ ჩვენი კულტურის მოღვაწენი, რომელნიც მას ახლო იცნობდნენ, ერთნაირად იყვნენ გაოცებულნი და მოჯადოებულნი მისი სიყვარულითა და სიკეთით სავსე გულით, ჭეშმარიტი ადამიანურობით, დაუზარებლობითა და დაუნანებლობით.

არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბევრნიც ხედავდნენ და არ იშურებდნენ იმედაშვილის დახასიათებაში განუსაზღვრელი სიყვარული და პატივისცემა გამოეხატათ. მარიამ საფაროვა-აბაშიძის დახასიათებით „თვითონ ღარიბი იოსები ყურმახვილი დარაჯი და მესაიდუმლე იყო ყველა გაჭირვებული მოღვაწისა. იგი და მისი ჟურნალი ხელს უწყობდა ჩვენს თეატრს და მსახიობებს მაშინაც კი, როდესაც, რაიმე მიზეზით, მისი საქმე ფერხდებოდა; ვინმე ავად

გაგეიხდებოდა, თუ მოგვიკვდებოდა, თვით გაჭირვებული მატერიალურად, მაშინვე ჩვენთან გაჩნდებოდა, გაგვამხნევებდა სიტყვით, სწერდა და უთითებდა ხალხს ჩვენ გაჭირვებას, ამხელდა საზოგადოებას, აყვედრიდა გულცივობას“ (1925, № 12).

ცნობილი რეჟისორი ალ. წუწუნავა იგონებდა: „1919 წელს რუსეთიდან თბილისში რომ ჩამოვედი, არ ვიცოდი რა გზას დავდგომოდი, უფულო, უბინაო და უპატრონო ავადმყოფს სადმე ქუჩაში უნდა გამეთია ღამე... ქალაქში ბევრი ვიარე... ვერავინ შემატყო გაჭირვება და იმედი რომ გადამიწყდა, იოსებ იმედაშვილი შემხვდა, ბაგრად დამიჭირა ხელი, ძალით წამიყვანა სახლში, მაყახშმა, ლოგინი გამიშალა და მომასვენაო“. ეს მოგონება ასე თავდება: „თბილისში რომ ქუჩაში უნდა დავრჩენილიყავი ავადმყოფი და იოსებ იმედაშვილმა მიპატრონა, არასოდეს არ დამავიწყდება, სანამ ცოცხალი ვარ. დღესაც ამ შემთხვევას მწვავედ განვიცდი, იმ დღეს ბევრი ნაცნობი ვნახე, ბევრსაც ვუამბე ჩემი თავგადასავალი მგზავრობაში, მაგრამ არავის უფიქრია, ეკითხა — სად დავბინავდი, ან იქნება დახმარება მინდოდა. იოსები კი მიხვდა, რადგან ძალზე გულისხმიერი იყო“.

მწერალთა თუ სხვა საზოგადო მოღვაწეთა სტუმრობა ჩვენ ოჯახში რასაკვირველია ყოველთვის საინტერესო ხდებოდა იმ ხანების ქართული ყოფა-ცხოვრების საგულისხმო მოვლენების, უმთავრესად ლიტერატურის, ხელოვნების, თეატრის და საერთოდაც ჩვენი კულტურის სხვადასხვა საკითხებზე გულითადი საუბრებით, რომელთაც მე და ჩემი და-ძმებიც ხშირად ვესწრებოდით ხოლმე. მათგან ზოგი რამ ასახულია მამაჩემის მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში წარმოებულ დღიურებში, რომელნიც ლიტერატურული ამბების გარეშეც მნიშვნელოვანი არიან იმ დროისათვის დამახასიათებელი ყოველდღიურობის წვრილმანებითაც. რომელთა გაცნობა, იმედი მაქვს, საბოლოოდ, ისევ ლიტერატურული ცხოვრების გაშუქებას შეუწყობს ხელს.

ყველაზე მკაფიოდ მახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის ხშირი ყოფნა ჩვენ ბინაზე, ზემოთ ნახსენებ მის პატარა მოგონებაში ყურადღებას იქცევს იმის აღნიშვნა, რომ „1903 წლიდან მე და იოსები ბედმა რამდენჯერმე შეგვახვედრაო, 1910 წელს მეტეხის ციხეშიც შევხვდით, რის შემდეგ უცხოეთში გადავიხვეწე და 1923 წელს ისევ შევხვდითო“. თქმა არ უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ცხოვრების თვალსაზრისით მათ შეხვედრაში სწორედ ეს საქმიანი საუბარი იყო, როდესაც ძველმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ მიხეილ ჯავახიშვილი 15 წლის წინად მინებებულ მწერლობას უნდა დაბრუნებოდა და ინტენსიური მუშაობით აენაზღაურებინა ლი-

ტერატურისათვის უქმად დაკარგული დრო. „თეატრი და ცხოვრებას“ 1924 წლის 2 მარტის ნომერში (№ 6) უკვე აღნიშნული იყო: „მწერალ მ. ადამაშვილის ბეჭდვას მოკლე ხანში შეუდგებიან. ჯერჯერობით დაიბეჭდება ორი ტომი. პირველ ტომში მოთავსდება „ჩანჩურა“, „უპატრონო“, „მეჩექმე გაბო“, „თავდავიწყება“, „კურკას ქორწილი“, „ხალხის სამართალი“, „ეშმაკის ქვა“ (ყველა ესენი დაწერილია 1903—1908) და „ტყის კაცი“ (დაწერილია 1923 წ.). მეორე ტომში „კვაჭი კვაჭანტირაძე, მისი ცხოვრება და თავგადასავალი (სულ ხუთმეტიოდე მოთხრობა). მოთხრობები დასურათებული იქნება ჩვენი ცნობილი მხატვრების მიერ“.

ჟურნალის მომდევნო ნომერში კი (9 მარტი, № 7) რედაქტორი ჩ. ადამაშვილს მიეგება 20 წლის საბეწერლო მოღვაწეობასთან დაკავშირებით და საინტერესო ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად აღნიშნა მისი ფსევდონიმები (მ. ა-ლი, ალი, მალი, ადლი, მადლი) და თუმცა გაკვრით, მწერლის საკმაოდ მახვილი და პრინციპული დახასიათება მოგვცა: „მ. ადამაშვილმა დასწერა ათიოდე მოთხრობა. იმავ დროს საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც გაჰყვა, რამაც იძულებად გაიტაცა, რომ ბელეტრისტობას თავი დაანება. შარშან შემოდგომაზე, სწორედ 15 წლის დუმილის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა სიტყვაკაზმულ ლიტერატურას და რამდენიმე თვეში დასწერა ხუთმეტიოდე მოთხრობა საერთო სათაურით „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და „ტყის კაცი“. ლიტერატურაში მიხ. ადამაშვილი ჩაითვლება რეალისტურ სკოლის მიმდევრად. თავის მასწავლებლად მიაჩნია მოპასანი, ფლობერი, ჩეხოვი და სხვ.“.

აქვე აღსანიშნავია, რომ მ. ჯავახიშვილის ცხოვრება-შემოქმედებაში ბევრი კითხვა რჩება პასუხგაუცემელი, რაც ვერ შესძლო ვერც თვითონ მწერალმა და ვერც მასთან ახლო მდგომმა იოსებ იმედაშვილმა, რომელსაც შეეძლო უფრო მეტი ეთქვა თუნდაც იმის შესახებ, თუ რითი უნდა ახსნილიყო ჯავახიშვილის შემოქმედებაში ხშირი პაუზები. მისი ფათერაკებით სავსე ბიოგრაფია კარგად გვიჩვენებს, რომ ამაში მხოლოდ თვითონ მწერალი არაა დამნაშავე, მას სომ გამუდმებით ხშირად ავი ბედი სდევნიდა, რამაც ადრევე მოუსწრაფა სიცოცხლე შემოქმედებითი სრულყოფის ხანში მყოფს, ისე რომ, იმის თქმაც ვერ მოასწრო, რის თქმასაც აპირებდა და რის თქმაც შეეძლო.

ამრიგად, ჯავახიშვილი ლიტერატურას ადამაშვილის გვარით მოევლინა, როგორც მცირე ფორმის მოთხრობათა ავტორი „კვაჭი კვაჭანტირაძის“ თავგადასავლის ეპიზოდებზე, რომლის ერთი ნიმუში „კვაჭი კაფე შანტანში“ „თეატრი და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა (1924, 9, III, № 7, გვ. 5—6). ეს იყო ერთგვარი შესავალი, რომ მიხეილ ჯა-

ვახტანგ ჯავახიშვილი ჩქარა გამოჩენილიყო თავისი ნამდვილი შემოქმედებითი ნიჭით — „ჯაყოს ხიზნების“, „თეთრი საყელოს“, „არსენა მარაბდელის“ ავტორად, რომელთა შინაარსის, თემების, მხატვრული სტრუქტურის, ენისა და სტილის საკითხებზე ხშირად იმართებოდა ხოლმე ჩვენ შინაზე ხანგრძლივი საუბრები. შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ თვითონ ავტორის აღიარებით, „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ გაჭირვება აწერინებდა, ყოველკვირეული შემოსავლის მოლოდინი, რის გამოც რომანის სიუჟეტი ეპიზოდების თანდათანი და შემთხვევითი დახვავება-გააზრების საფუძველზე იკვრებოდა, ისე რომ, ნაწარმოები თავიდანვე ამ ფორმითა და ზომით არცა ყოფილა განზრახული.

„კვაჭი კვაჭანტირაძე“ ცალკე წიგნად რომ გამოვიდა, მაშინ სტუდენტი ვიყავი და ბატონ მიხეილს რამდენჯერმე შევეცამათე ზოგიერთი სახისა და ეპიზოდის საჭიროებაზე. ჩემი მტკიცებით, ზოგიერთი მათგანი ცნობილი იყო მსოფლიო სათავგადასავლო ლიტერატურაში და ქართულად გამეორება ორიგინალობას დაუკარგავს თქვენს წიგნს-ჰეთქი. ამაზე რომანის ავტორმა ასე მიპასუხა — მსოფლიოს ლიტერატურაში ცნობილი ეპიზოდების, მოტივებისა თუ სახეების გამოყენება ორიგინალობას არავის ართმევს, მთავარია მათი გამოყენების თავისებურება, რაშიაც შემოქმედის ორიგინალობა მჟღავნდებაო. აქვე შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ მაშინ ჩვენ საზოგადოებაში „კვაჭის“ სილრმე არა ყოფილა გაგებული და იგი არც გამხდარა სერიოზული განსჯის საგანი, ისე რომ, ამ რომანს ახლაც პატივს უქნის მიხეილ ჯავახიშვილის სახელი და ავტორობა.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და კრიტიკოსმა ბიკტორ თევზაიამ კვაჭი კვაჭანტირაძის გამო საინტერესოდ შენიშნა, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძე ქართველი ერის ერთი პატარა ჯგუფის წარმომადგენელია. ამ ჯგუფს ის საკუთებით გამოხატავს. ბატონმა ჯავახიშვილმა მეორე ეტიუდი „კავკასიონის“ უკანასკნელ ნომერში მოათავსა, იქ მისი ტყის კაცები, ასე ვთქვათ, უფრო ინტერნაციონალურია. ის შეიძლება დაბეჭდილიყო სომხურად, უკრაინულად, რუსულად — ამით არაფერი დააკლდებოდა. „დაზღვევა“ კი ქართულ მიწა-წყალზედ არის აღმოცენებული. შეიძლება მკითხველმა იკითხოს: რევოლუციონურია, თუ კონტრ-რევოლუციონური ეს ეტიუდი? (აქ ლაპარაკია „კვაჭის“ ერთ ნაწყვეტზე). მე კატეგორიულად უპასუხებ: არც ერთი და არც მეორე. „კვაჭი კვაჭანტირაძე ფოტოგრაფიული სურათია, პორტრეტია ერთი წყება ადამიანებისა. სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ეს სურათი თავის ფარულ აგენტებს რომ დაურიგოს და კვაჭანტირაძის დაპატიმრება მოითხოვოს, საქართველოს დაბა-სოფლებში რამოდენიმე ათეულ პირებს დააპატიმრებენ, ისე გვანან ეს პირები ერთმანეთს“ (ქართული ლიტერატურა, 1924, 22 ივნისი, № 12).

მიხეილ ჯავახიშვილის 256 გვერდიანი მოთხრობების პირველი ტომის გამოცემის გამო იოსებ იმედაშვილი ი. წინამძღვარის ფსევდონიმით წერდა: „ძლივს ყინული გალხვა. ქართულ წიგნის ბაზარს თანდისთან ემატება მხატვრული ნაწარმოებები. ერთი ასეთი კრებულთაგანია „კვაჭი კვაჭანტირაძის“ უბადლო შემქმნელის მიხეილ ჯავახიშვილი-ადამაშვილის მოთხრობები, 1 ტ. (ივ. ვარაზაშვილისა და აკ. სვანიშვილის გამოცემა, ივ. გომართელის კრიტიკული წერილით). წიგნში მოთავსებული ყოველი მოთხრობა მკითხველს სიამეს მოჰფენს თავისი უბრალოება-სრმარტივით და ცხოველ სურათოვნობით. აქ გადაშლილია ბედკრულ-დავიწყებულ ადამიანთა სულის ვითარება, ყოფა-ცხოვრება, ჩვენი ცხოვრების ცინამდვილე, — ისეთი ლაზათიანი ენით, გულწრფელი გრძნობით, რომ ჩვენს სიტყვამრავალ, ხოლო გრძნობაგამოფიტულ მწიგნობრულ ხანაში მისი წაკითხვით სიამით ამოისუნთქავთ.

წიგნი იგი ყოველი გემოიანი მკითხველის საწიგნობელს უნდა აშკობდეს. სასურველია ქართველმა მკითხველმა ამავე ავტორის შემდეგი ტომებიც დროით იხილოს“ (1924, 1 ივნისი, № 11).

იოსებ იმედაშვილმა ასეთივე მაღალი შეფასებით აუწყა საზოგადოებას ბიბლიოგრაფიულ წერილში მიხეილ ჯავახიშვილის 1926 წელს გამოცემულ მოთხრობათა კრებულების „ორი განაჩენი“ და „პატარა დედაკაცის“ შესახებ: „საქართველოში არც ერთ მწერალს არ ჰქონია ასეთი ბედი. ის პატივისცემა, რომელიც ბეჭდვის შესაძლებლობამ მიუტანა მიხეილ ჯავახიშვილს, საოცარი და საკვირველია ქართულ მწერლის ბედისთვის. მცირე ხნის განმავლობაში მან გამოუშვა ხუთი წიგნი (იგულისხმება, რომ იგინი სასწრაფოდ იყიდება, რადგან ერთი მეორეს მოსდევს). აქედან შესამჩნევია ქართული წიგნის ბაზარი მას რაოდენ ალაგს უთმობს. მისი უკანასკნელი მოთხრობები ავტორის სათანადო გარკვეულობას მოწმობს ლიტერატურის საგნების შექმნაში. ეს ასანიშნია, როგორც თემის აღებასა და გაშლაში, ისე მის გაფორმებაში ლიტერატურულ სახეობებითა და განსაკუთრებულ ესთეტიურობით მოცემაში. თემები თანამედროვეა (იდეოლოგიით) და დიდის ხალისით იკითხება.

ისე როგორც მისი სხვა ნაწერები, ესეც საკმაო მოძრავი სიუჟეტებითაა წარმოდგენილი. მას აქვს თავისი ხერხები საგნის სტილისტურად გადმოცემის და იგი ყოფის რეალური ასახვის მიზნებით განისაზღვრება. სტილის ძიებით იგი ჩამორჩენილია და საესებით იღებს უკვე არსებულს. მისი საერთო საზრისი საგნის გაგების: საგნები არა ნამდვილი სახეებით, არამედ უნამდვილესით. მისი დეტალური შტრიხების დამახასიათებლობით. ამ მხრივ ქართული პროზის სტილისტიკაში პირველად მან წამოაყენა ხერხი: საგნის ორი ჰეშმარიტე-

ბით გაგების. საგანთან უძლიერესად მისვლის. საგნის მეორე მხარის ასახვის.

წიგნი გამოცემულია არა შესანიშნავ ქაღალდით, რაიც მისი გამოცემის კულტურას აშდაბლებს. ყდა ლადო გუდიაშვილის. აქ ხაზულობის მკვეთრი გაგებაა. საგნის ასახვა ნაკვეთებით. ეს ჰქმნის განსაკუთრებულ სტილს, რაიც მთლიანად მხატვრობის გაგებას სულ განსხვავებით აყენებს ყველა მიმართულებისაგან". (1926, მარტი. № 16, გვ. 16—17). მართლაც, ამ მოთხრობებით მიხეილ ჯავახიშვილს ქართულ მწერლობაში უკვე ჰქონდა დამკვიდრებული დიდი ოსტატის სახელი, მაგრამ მას უფრო დიდი დიდება ელოდა.

თქმა არ უნდა, მაშინ ჩვენი მართლაც დიდი გატაცებისა და კამათის საგანი იყო „თეთრი საყელოს" და „ჯაყოს ხიზნების" მოტივები. ისიც გასახსენებელია, რომ მამაჩემის ინიციატივით იმავე ხანებში რამდენჯერმე გაიმართა ჯაყოს განსამართლება, ნაფიცი ვექილებით. ბრალმდებლით, დამნაშავისა და დაზარალებულის თეიმურაზის გამოსვლითაც, რამაც მაშინ დიდი ინტერესი გამოიწვია და საერთო მოწონებაც დაიმსახურა.

„ჯაყოს ხიზნებით" მამაჩემი ძლიერ იყო გახარებული და მეტად აღფრთოვანებული წერილიც მიუძღვნა: „ჯაყოს ხიზნები" — ახალი თარიღი (1925, 17 მაისი, № 11, გვ. 13). აქაც პირველი სიტყვა თქვა მაჩაჩემმა განა იმიტომ, რომ მიხეილი მისი ძველი მეგობარი იყო, მაღალი შეფასება ამ წერილში „ჯაყოს ხიზნებმა" თავისი მეტად დროული მოვლინებითაც დაიმსახურა, რომლის ღრმა და დიდი აზრი შეუცდომლად გამოიცნო იმედაშვილმა და ესეც სიმბოლურია, რამდენადაც ჯავახიშვილის პირველი კრიტიკოსიც ხომ მამაჩემი ყოფილიყო. ეს შეფასება, რომელიც თითქმის 50 წლის წინად დაიწერა, დღესაც ინარჩუნებს მოქნილობას თავისი გულწრფელობით, სიცხადით, სიმართლით:

„ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ჩვენს სიტყვა-კაზმულ სამწერლო აზროვნებას ნათელი ზოლი გაეკვლო. ეს არის მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები". გადამეტებაში ნუ ჩამომერთმევა: ეს ფაქტია და ისეთი ფაქტი, რომელმაც ახალი თარიღი დაუსვა ჩვენს ახალ მწერლობას. შეიქმნა ახალი რომანი. რომლის გვარი, ჩვენი რაობის ახე სინამდვილით და იგავარაკულად ამსახველი არ გვეგულება.

თუ გსურთ თანადროულობა განიცადოთ, შეიგრძნოთ ჩვენის ცხოვრების სიგრძე-განი, თუ გსურთ თითოეულ აღწერილ გმირის სახით მხოლოდ მისი კერძო, საკუთარი ყოფა-ცხოვრება კი არ წარმოიდგინოთ, არამედ მთელი ჩვენი ერის აჟკარგი, ვაება, — გადაფურცლეთ „ჯაყოს ხიზნები", ჩაუკვირდით მის დედააზრს...

ერთის შეხედვით შეგზარავთ ისეთი უქნაროობა, მოდუნება, რო-

მელიც რომანის გმირს თეიმურაზს გამოაჩნდება, და იტყვით: ქართველი ინტელიგენტი მაგისთანა დაჩიავებული არ არის, — თუ არის, — მაგის წინააღმდეგი გმირებიც მოგვეპოვებაო, იქნებ მარგოც უარჰყოთ: ქართველ ქალის სინამდვილეს უხვევსო, — ქართველი ქალი უფრო გამტანია და ამტანიო, — იტყვით...

„ჯაყოს ხიზნები“ ეს არის უუმახვილესი ნესტარი, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ-ეკონომიურ, საზოგადოებრივ-ფიზიოლოგიურ და ფსიქო-ფილოსოფიურ რაობის დიდის ხნის წყლულს მიზანში მოხვდა... გადმოითხვარა ბაყალი, გამოჩნდა სენის მიზეზი, შეგვზარა, მაგრამ შევებითაც ამოვისუნთქეთ: რაკი სენს მივაგენით, განკურნებაც ადვილია...“

ამ დამაჯერებელ ანალიზს იმით ამთავრებს წერილის ავტორი, რომ „რომანი დარჩება როგორც ჩვენი დროის სწორუპოვარი ძეგლი“ და თუ ისეთნიც გამოვლენ, რომელნიც რომანს ჩხრეკას დაუწყებენ — ეს ასე არ არისო, — მათ რომანში აღწერილი გმირების მიღმა გადაიხედონ... სპკითხის არსს ჩახვდნენ“...

როგორც მომავალმა გვიჩვენა იმედაშვილი სავსებით სწორი გამოდგა „ჯაყოს ხიზნების“ დიდი მნიშვნელობის განსაზღვრაში, და იმაშიაც, რომ მან წინასწარ გასცა პასუხი ყველა სახის წუწია კრიტიკოსებს, რომელთაც რომანის ქვეტექსტის გაგების უნარი არ აღმოაჩნდებათ, „ჯაყოს ხიზნებს“ წაიკითხავენ როგორც ღალატის თემაზე აგებული ცოლ-ქმრული კონფლიქტის ამბავს და სავსებით შეუმჩნეველი დარჩებათ მისი ღრმა ეროვნული მნიშვნელობის დედააზრი.

მაშინდელ „მთაწმინდის საუბრებიდან“ მეხსიერებაში განსაკუთრებით აღმებეჭდა მიხეილ ჯავახიშვილის დაბეჯითებული ბაასი ერთი რომანის დაწერის თაობაზე, რაზედაც მისი სიტყვით განსაკუთრებული მონდომებით მუშაობდა. კერძოდ მახსოვს მისი ასეთი გამოთქმაც — ისეთ რომანს ვწერ, რაზედაც მაღლიერი დამრჩება ქართველი ერი და რითაც ჩვენს დანაშაულს მის წინაშე გამოვისყიდიო. რომელი რომანი ჰქონდა მხედველობაში და რა დანაშაულის გამოსყიდვას აპირებდა მის მიერვე შექებული ჩვენთვის უცნობი რომანით? არა მგონია ეს „არსენა მარაბდელი“ ყოფილიყოს, მისი განზრახვა ქართული ცხოვრების უფრო დიდი პლანის ტრაგიზმით საჭსე თხზულებას გულისხმობდა და ვფიქრობ, რომ ეს განზრახვა შესრულებული უნდა ჰქონოდა, რამდენადაც ამაზე ლაპარაკი „არსენა მარაბდელზე“ დაწერას უსწრებდა და ჩანს გამოქვეყნება ვეღარ მოასწრო. მაგრამ სად არის მისი ხელნაწერი, — იქნებ საბოლოოდ დაკარგული არ არის?

რაც შეეხება დანაშაულის გამოსყიდვას, ამ დანაშაულში თქმა

არ უნდა ჯავახიშვილი გულისხმობდა 15 წლის განმავლობაში მწერლის კალმის მტკიცებას, სამშობლოს გარეთ მთელ მსოფლიოს გზებზე ხეტიალში ამდენი ხნის გაცდენას.

ჯავახიშვილთან, პირადად მე, უფრო სისტემატური საუბრები „თეთრი საყელოს“ მოტივების ირგვლივ მქონდა და ღირს ამასთან დაკავშირებით იმის გახსენებაც, თუ რამ დამაახლოვა და გამაბედინა მასთან თავისუფლად შელაპარაკება, იმის გარეშეც, რომ ჩვენი ოჯახის წევრები ყველანი კარგად ვიცნობდით მას, როგორც მამაჩემის დიდი ხნითგან თანშეზრდილ, ჭირსა და ლხინში გამოცდილ ახლო ნეგობარს. მეპატიოს, რომ ეს ამბავი ჩემ ბიოგრაფიას უკავშირდება.

1925 წელს ჩემი უნივერსიტეტში შესვლის დრო რომ დადგა, მამაჩემისა და ყველა ახლობლის გასაკვირველად უნივერსიტეტში შესვლაზე უარი განვაცხადე, რაც მით უფრო იყო მოულოდნელი, რომ ვიდრე საშუალოს დავამთავრებდი, მოუთმენარ ოცნებებში ველოდი უმაღლესი განათლების მიღებას. ჩემი ეს ახირება მსოფლიოში გახმაურებული რუსოს ტრაქტატის შედეგი იყო თემაზე: „მეცნიერებათა და ხელოვნებათა განვითარებამ რას შეუწყო ხელი — ზნეობათა განწმედას თუ დაცემულობას“, რომელშიაც მან საფრანგეთის დიჟონის აკადემიის მიერ 1749 წელს გამოცხადებულ კონკურსზე უარყოფითად უპასუხა და პირველი პრემია დაიმსახურა. მე გავიმსჭვალე რუსოს თანამედროვე ცივილიზაციის, მეცნიერებათა და ხელოვნებათა პროგრესის კრიტიკული შეფასებით, კულტურის, განათლების მავნებლობის იდეით და პირველყოფილ ნატურალურ მეურნეობაში დაბრუნების იდეალებით, რაც პრაქტიკულად ისე გავიგე, რომ კულტურას აღარ უნდა ვზიარებოდი, უმაღლესი განათლება არ მიმეღო, მთაში გავხიზნებულიყავი, ბუნების იდილიას შევრთოდი.

ამ ამბით შეშფოთებულ მამაჩემს მიხეილ ჯავახიშვილისათვის შეუჩივლია — გაიოზი უარს ამბობს უნივერსიტეტში შესვლაზე, ეს უყო რუსოს კითხვამ, არ ვიცი ამ საქმეს რა ვუშველო, დრო მიდისო... ბატონ მიხეილს დაუმშვიდებია — ახალგაზრდული გატაცებაა, ანას მე მოვაგვარებო და სწორედ ამის გამო იყო, რომ ჯავახიშვილმა ჩვენთან საგანგებო სიარული გააბშირა და მე კი მაშინ მათი მოლაპარაკების შესახებ არაფერი ვიცოდი.

რამდენიმე ცხარე კამათის დღე გადავიტანე. მე ჩემსას ვიმეორებდი — თავი უნდა დავაღწიო თანამედროვე ცხოვრების წესრიგს, სადაც მეცნიერებანი და ხელოვნებანი ვითარდებიან, მაგრამ ადამიანები უარესდებიან, ტექნიკა წინ მიდის, მორალი ეცემა. უნდა განვთავისუფლდე საზოგადოებრივი ინსტიტუტების მეთვალყურე-

ობისაგან. იძულებითი მზრუნველობის გარეშე უნდა ვიცხოვრო, უპრეტენზიო ადამიანების, ცხოველებისა და უტყვი ბუნების — ხეებისა და წყაროების გარემოცვაში, სადაც არ იქნება დიდი შენობები, მოკირწყლული ქუჩები, ასფალტი, ელექტრონი, აპარატები, მანქანები, არაფერი არ იქნება დათვლილი და აწონილი, სავაჭროები, ფული, არ იქნებიან ბუხჰალტრები, მილიციონერები, არ იქნება ინდუსტრიალური ხმაური და მოწამლული ჰაერი, ადამიანებისა და მანქანების გაგიჟებული მოძრაობა.

ბატონი მიხეილი თავისი დარბაისლური ქართულით შეუდგა ჩემი ქაოსური იდეალებისაგან განთავისუფლებას და ჩვენი კამათი უნივერსიტეტში შესვლა არ შესვლის თაობაზე შეიძლება ითქვას ერთ-ერთი ასეთი დიალოგით დამთავრდა:

— ვთქვათ, მთაში გადასახლდი, ბუნებაში იცხოვრებ, აღარც წიგნს წაიკითხავ, გაზეთსაც არ ჩახედავ? იმაზე იფიქრებ თუ არა რა ხდება შენ მშობლიურ ქალაქში, რა არის ახალი და საინტერესო ჩვენ ლიტერატურაში?

— როგორ არა, ჩემ საყვარელ წიგნებს თან წავიღებ, გაზეთს ყოველდღე წავიკითხავ, რაც ქვეყანაზე ხდება ყველაფრის კურსში ვიქნები...

— ესე იგი, შენ გინდა ცივილიზირებულ ცხოვრებას გაექცე, იმავე დროს კი მისი კულტურის ასლი თან წაიღო? ეს ხომ იგივეა! ინტელექტუალურად კულტურას ვერ მოწყდები.

ამ კამათმა უფრო დაგვაახლოვა და განა შეიძლებოდა მიხეილ ჯავახიშვილის ტკბილ ქართულს, მისი ცხოვრებისეული სიბრძნის შეგონებებს ჩემზე საჭირო გავლენა არ მოეხდინა? — მე უნივერსიტეტში შევედი და როგორც კარგა ხნის შემდეგ მამაჩემმა გამანდო, ჯავახიშვილს მისთვის ეთქვა — თქვენთან სიარულით დრო არ დამიკარგავს — ორი საქმე გავაკეთე — გაიოზიც მოვარჯულე და „თეთრი საყელოც“ მასთან საუბრებმა დამაწერინაო.

ლექციებს გატაცებით ვისმენდი, მით უმეტეს, რომ მაშინ ლექციებს უნივერსიტეტის პირველი თაობის რჩეული პროფესორები გვიკითხავდნენ — ივ. ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი, გიორგი ჩუბინაშვილი, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, სერგი დანელია, სიმონ ხუნდაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, შემდგომ მოსე გოგიბერიძე, ვარლამ თოფურია, ალიოშა წერეთელი, მიხეილ ზანდუკელი.

მიხეილ ჯავახიშვილი არც ამის შემდეგ მაქცევდა ნაკლებ ყურადღებას, როდესაც კი ეწვეოდა ჩვენს ბინასა თუ რედაქციას. ყმაწვილო, აბა ჩქარა, კითხვებს მომახლიდა — როგორ მიდის საქმე — რას ისმენ, რას ფიქრობ, რაჯ აკეთებო? ერთ-ერთი საუბრის

დროს შეკითხვაზე — აბა რას მეტყვი ახალსაო, — ლანჩონის ფრანგული ლიტერატურის ისტორიას ვკითხულობ-მეთქი. ამ ავტორით ძლიერ დაინტერესდა და მეორე დღესვე წასაკითხად მივუტანე. მაგრამ შეხვედრა-ბაასებში ჩემთან თუ სხვებთან ბევრჯერ შემიმჩნევია, რომ რომელიმე გამოთქმითა თუ სიტყვით დაინტერესებული მაშინვე უბის წიგნაკს მოიმარჯვებდა, მოსაუბრეს შეაჩერებდა და მისთვის საყურადღებო ადგილს ჩაიწერდა ხოლმე.

ამ ხანების ჩვენი დაახლოების სამახსოვროდ შემთხვევით ორიგინალურად ნაწერი ერთი პატარა 1925 წლის 30 ოქტომბრის თარიღიანი ბარათი შემორჩენილა, რომლის ერთ მხარეს მამაჩემის წერილია ბატონ მიხეილთან, მეორე მხარეს მიხეილის პასუხი. ამ ორმხრივი ბარათის თავისებურება ისიც არის, რომ იგი მათ მიერ ბორჩალოში ბავშვობიდანვე შეთვისებულ თათრულ ენაზეა ნაწერი. მამაჩემი წერს ბატონ მიხეილს — ჩემ შვილს კაიუს პელი რომ ქვია და აქებენ, კარგ გზაზე დააყენეო. შემდეგი სტრიქონები უფულობაზე ჩივილს ეხება. ბატონი მიხეილიც იმავე სტილში უპასუხებს — რამდენს ვწერ, ფული მაინც არა მაქვს. რა დროება დადგა—ვალი ბევრია, ფული არ არის, ვნახოთ რა იქნებაო.

იმედაშვილი: „უმუთლი ყარდაშ მუხო. ყოვლაე ას ოღლუმა, ბუნუნ გიათრანა, — კაიუს პელი დეალარ. თაზჩიდი. 1) ონუზ ია ზულუღო ოხიარსინ, იოლა ყოი. 2) ბოიუნ, ის საბახ ონ-ბეშ (10—15) მანათ ვერ მინან. აინინ ონბეშინდან ვერამამ (ვირასდან მოთრა ჯალამ). ნაჩაღლიცა ბოიუნ იათლიმ. ბაჯამა სიალამ. ჯანთ საღოლსუნ, უსუფ-ეფენდი.

მუხო სამაიადამ ჯავახ-ოღლანა დუშსუნ.

ჯავახიშვილი „ოზიუმ ჰარ გიუნ გიაზიე რამ 5 მან. ჩოხ ჩათინ გიუნლარ გელდი მანნან ოთურ. ბორჯიმ ჩოხ., ფულიმ იოხ. გიორახ. აგარ თავტიმ, ვერა რამ. სალამ. მ. ჯავახ-ოღლი“.

ერთხელაც ჯავახიშვილის ახლო ნათესავზე ბაგრატ ბურნაძეზე ჩამოვარდა ლაპარაკი, რომელიც ორ წერაქველ ქართველთან ერთად. ქვემოწერაქვის გზაზე 1920 წელს მოღალატურად მოჰკლეს შულავრელმა სომხებმა. ეს ბაგრატა ახოვანი, გლეხურად ლოკდენილი, მეტად გამჭრიახი და სასიამოვნო მოსაუბრე იყო. ქალაქში რომ ჩამოვიდოდა, ყოველთვის ჯავახიშვილის შემდეგ ჩვენ ოჯახსაც აუცილებლად მოინახულებდა ხოლმე. მის მოკვლას ძლიერ განვიცდიდით. მიხეილმა თქვა — არსენა მარაბდელს რომ ვწერდი, თვალწინ სულ ეს ბაგრატა მედგაო. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ ბაგრატ ბურნაძე იყო ჯავახიშვილის სახეთა შთაგონების წყარო, არამედ წერაქვის და საერთოდაც ბორჩალოს, ყოფილი საბარათიანოს დაბა-სოფლებიც, რომელთა მოსახლეობაც ძლიერ აჭრელდა

სომხების, ბერძნების, გერმანელების, თათრების, ქურთების, თათრების დასახლებათა მოძრავლებით, მათი ერთგვარი გამობატულება ჯავახიშვილის რომანებისა და მოთხრობების გმირთა ხასიათებს, მოტივებსა თუ ლექსიკაშიაც შესამჩნევად იგრძნობა.

ბოლოს, მიხეილ ჯავახიშვილის წერილობაში შესვლის პირველი ნაბიჯების გათვალისწინებაში ღირსია არ დაიკარგოს პირად საუბარში ჩემთან მამაჩემის ერთი მოგონების გახსენებაც: — მიხეილ ჯავახიშვილმა წერილობა პიესების წერით დაიწყო, დრამატურგობა ეგონა თავისი მოწოდება და ერთხელ ხუთმოქმედებიანი ტრაგედია მომიტანა, რომელშიაც ოცამდე პერსონაჟი კვდებოდაო... პიესა რომ წავიკითხე, გავუჯავრდი, ხელნაწერი მისივე თვალწინ დავფხრიწე და ვუთხარი — ეს შენი საქმე არ არის, ამისთვის მზად არა ხარ მეთქი და მოთხრობის წერა ვურჩიეო. ამ რჩევის შედეგი იყო სწორედ „ჩანჩურას“ დაწერაც, რამაც დასაბამი მისცა მის ნამდვილ მწერლობას.

ეს მოგონება იმას მოჰყვა, რომ მეტად დამაინტერესა ჯავახიშვილისა და მამაჩემის ღრმა პატივისცემითა და ნდობით გამსჭვალულმა მეგობრობამ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც დიდმა მწერალმა არა ერთხელ აღიარა მისი კეთილმყოფელი როლი მწერლად ჩამოყალიბებაში — იმედაშვილი ჩემი ქართულის ნათლიაა, მან დამაყენა მწერლობის გზაზეო. ეს მას გამოუხატნია აგრეთვე მამაჩემისათვის ძღვნილ საკუთარ თხზულებათა გამოცემების წარწერებშიც.

მამაჩემთან და „თეატრი ცხოვრებასთან“ — ჩვენ ბინასა თუ რედაქციასთან, ასევე ახლოს ჟურნალის თანამშრომელთაგან იოსები გრიშაშვილი იდგა. ეს ორი იოსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემაში. 1910 წლიდან დაწყებული თითქოს „თეატრი და ცხოვრებაცა“ და იოსებ გრიშაშვილიც ერთმანეთის მიყოლებით გაიზარდნენ და დავაკაცდნენ. თუ გრიშაშვილი ქალაქში იყო, ყოველდღე ჩვენ რედაქციაში უნდა შემოსულიყო, იგულისხმება, რომ მისი ახალი ლექსებიც პირველად „თეატრი და ცხოვრებაში“ იბეჭდებოდა. მათი თავშეყრის ადგილი უმთავრესად „სოროპანის“ სტამბა იყო, სადაც მამაჩემის რედაქცია ბინადრობდა.

მათ ერთმანეთი ბევრი რამით ჰყავდათ სამეგობროდ გამოცდილი, ამდენადვე გასაგებია, რომ ერთხელაც მამაჩემი ასე სწერდა გრიშაშვილს: „ძმაო ჩოსო! იცი თუ არა, თვალში რომ ჩამივარდე, ხელს არ მოვისვამ. იცი თუ არა, რომ ქართველ მწერალთა შორის ჩემთვის მუდამ სათაყვანო იყავ, ხარ და იქნები მარადის... ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ პურ-მარილის ძმა-კაცები ვიყვნეთ (ჩვენ ერთად პურიც არ გვიჭამნია), ან რაიმე პირადს გამოველოდე შენ-

გან. — არა და არა! შენ ჩემთვის და საერთოდ ყველა შეგნებული ქართველისა და ყველა ქვეყნისათვის ძვირფასი ხარ შენის ვინაობით: არა რაისაგან სახელოვანთ სახელოვანი. სასარგებლოზე სასარგებლო შეიქენ პოეზიის ქურაში გამობრძმედილი, სიტყვის დიდი ოსტატი, მწიგნობარი და შესანიშნავი მეცნიერი-მკვლევარი".

გრიშაშვილის დაუზარელი მუშაობის უნარით აღტაცებულს მამაჩენს 1947 წლის 29 მაისს ასე ჩაუწერია: „ი. გრიშაშვილი იდეალი უნდა იყოს ყველა მწიგნობარი მწერლისათვისაო".

სამაგიერო ქათინაურებს არც გრიშაშვილი აკლებდა თავის სეხნიას: 1940 წლის 26 სექტემბერს იგი იოსებ იმედაშვილს წერდა: „სულ ციბრუტივით ტრიალებ ქართული ლიტერატურის სარბიელზე, ნეტავი შენი ენერგია მომცა... დაუზარელი და დაუბერებელი ხარ... მე კი ცოტას წავიმუშავებ თუ არა, — სულ საფეთქლები ამტკივა ხოლმე... იცოცხლე და იდღეგრძელე ჩემო იოსებ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ... რასა იქს შენი „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი?.. გბეჭდავთ?"...

ამ ლექსიკონზე მათ ხშირად ჰქონდათ ხოლმე ბაასი, მით უმეტეს, რომ როგორც ზემოთაც აღვნიშნე, გრიშაშვილმა ოფიციალური რეცენზიაც დაწერა მის შესახებ, რომელშიაც იგი საჭირო სამაგიდო წიგნად მოიხსენია და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა მის გამოცემას. ერთხელაც ასეთი საუბრის დროს მამაჩემს გრიშაშვილისათვის უკითხავს:

— როგორ ფიქრობ, რა მეთოდი სჯობია ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის შედგენაში?

— საკუთარი გემო, აი ჩემი საზომი! კაცს როგორც მოეწონება, ისე უნდა დასწეროს, ოღონდ მოსაწყენი არ იყოსო...

*

შესამჩნევი უცნაურობითა და პრეტენზიულობით გამოირჩეოდა ჩვენი სახლის მემუდმივე და მეგობარი პოეტი ტერენტი გრანელი, რომლისადმი მამაჩემი განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა, როგორც პოეტისა და ადამიანისადმი და ყოველთვის კითხულობდა მის მდგომარეობას, როდესაც კი თვალთაგან მოგვეფარებოდა ხოლმე. ტერენტი გრანელის უცნაური ცხოვრების შესახებ ცალკე ნარკვევში მაქვს აღნიშნული და აქ მოკლედ ვიტყვი, რომ ნამდვილად ბოჰემური ცხოვრებისათვის თვითგანწირული ეს უბინაო და უოჯახო პოეტი ჩვენ ბინაზე თვეობით ცხოვრობდა ხოლმე. უსაზღვრო მელანქოლიით სავსე, გულჩვილი და კეთილი იყო, თან მეტად ამპარტავანი, ისე, რომ, თავის უკიდურეს სილარიბე-დაგლახა-

ეებასაც ვერ გრძნობდა. რაკი პოეტისათვის ყველაფერი ნებადართულიაო. საზოგადოებაში ახირებული ქცევებით რაიმე უხერხულობას შემამთხვევდა ხოლმე, რაც არ შეეფერებოდა მის სახელს. ამის გამო, თუმცა გულითადად ემეგობრობდით, ხშირადაც ჩხუბი მოგვდიოდა. მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, რომ მისი უცნაურობანი განსაკუთრებული სულიერი დაავადების წყალობა იყო, რამაც იგი ადრეულ ხიაში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ჩვენ ოჯახთან დამეგობრება ტერენტი გრანელმა გამოხატა მამაჩემისადმი მიძღვნილ ლექსში „იოსებ იმედაშვილი“ (1927 წელი, 3 ნოემბერი):

ჩემი წამება მხოლოდ ეს იყო
და მომავალზე შენ იოცნებე,
ქართველ მწერლების ძვირფას ლექსიკონს
დაფიქრებული სწერს იოსები.
და მე ცოცხალი სიკვდილს განვიცდი,
ფოთოლმა იგრძნო რხევა სიოსი,
ყველას ვაწუხებ, რა ექნა არ ვიცი,
მიმზერს შალიკო და გაიოზი.
ნელა ცემს გული მგზავრი სამარის,
და ისევ მესმის ღამის ჩრდილები,
და ძვირფასია ქეთო, თამარი
ეს იოსების ქალიშვილები.
ქრება სიცოცხლე როგორც ზღაპარი,
ჩნდება ღრუბლები ისე დაშლილი,
და გახდა ჩემი თავშესაფარი
სახლი იოსებ იმედაშვილის.
ჩემი წამება მხოლოდ ეს იყო,
და მომავალზე შენ იოცნებე.
ქართველ მწერლების ძვირფას ლექსიკონს
დაფიქრებული სწერს იოსები...

მთაწმინდაზე ჩვენ სახლში გატარებული ცხოვრება მომსვლელ-წამსვლელებით, მწერლობისა და ხელოვნების მოღვაწეთა შეხვედრებს სამახსოვრო საუბრებით მრავალმხრივადაა საინტერესო, რაც მხოლოდ მცირედით შემეძლო წარმომედგინა, რადგან მასალა ბევრია მამაჩემის დღიურებით, მოგონებებით, მიმოწერით თუ ასევე მრავალგვარი ოფიციალური დოკუმენტებით და სხვადასხვა სახის თხზულებათა დედნებით, რომელნიც მამაჩემის არქივში ინახება, რის ნიმუშებზეც ქვემოთ ცალკე ვისაუბრებ.

ახლა კი მამაჩემის სულყარულით სავსე გულის უცნაურობათაგან იმიც მოსაგონარია, რომ თუმცა ექვსი შვილი ვყავდით, რაც თავი მახსოვს ჩვენ ოჯახში მუდმივად სხვათა შვილებიც იზრდებოდნენ — ზოგი ნათესავი, ნათლული, თუ ვინმე ობლად დარჩენილი. მისი

მიზანი იყო რაც შეეძლო მეტი ვინმე აღეზარდა და კაცი გამოეყვანა. ამას ხელს უწყობდა ის, რომ მას ბუნებრივად შეეძლო სხვათა შვილები ისე გულით ჰყვარებოდა. როგორც საკუთარი. ეს იყო მისი თითქოს თანდაყოლილი თვისება და წადილი, ამიტომ მათზე მონდომებით ზრუნავდა და ზოგჯერ უფრო მეტადაც, ვიდრე ჩვენზე. იმ მოტივით, რომ ჩვენ სახლში სხვას თავი დაჩაგრული არ ეგონოს. მას, როგორც ქალაქში, აგრეთვე სოფლებში ბლომად ჰყვანდნენ ნათლულები, რომელთაგანაც აღსაზრდელად ჩამოიყვანდა ხოლმე რომელიმეს, რომ სახარგებლო გზაზე დაეყენებინა და კარგ ქართველად დასრულებულიყო.

მამაჩემის ნათლულთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაფარეულელი შოთა ხოლუაშვილი, რომელიც ჩემ უმცროს ძმასთან ფარნაოზთან ერთად ჩვენ ოჯახში იზრდებოდა, ისე რომ მამაჩემის მეშვიდე შვილად ირაცხებოდა და პატარაობისას შოთა და ფარნაოზი ერთ ლოგინშიც იწვნენ ხოლმე. ასეთი სიახლოვითა და სიამტკბილობით გაზრდის კეთილი შედეგი ის იყო, რომ შოთა ხოლუაშვილმა ჰაბუკობა-დავაჟკაცებაში გაამართლა თავისი ნათლიის ნდობა და მოლოდინი, გაჰყვა მის მიერ მითითებულ გზას, მისივე ხელშეწყობით სამხატვრო აკადემია დაამთავრა, საქართველოში ცნობილი გახდა ნიჭიერებით და დამსახურებული მხატვრის წოდებაც მიიღო. ამაზე მეტი ჯილდო მამაჩემის ოჯახისათვის სხვა არცა ყოფილა სანატრელი.

თვითონ ჩვენ, მამაჩემის საკუთარი შვილები? — ვართ თუ არა მისი ღირსეული შთამომავლობა? ამაზე მეძნელება რაიმეს თქმა, ჩვენი ბავშვობა ომების, ზარბაზნების ქუხილის, შიმშილისა და მუდმივი გაჭირვების განცდაში გავიდა და თუ ჩვენ მშობლებს როგორც შეჰფეროდათ, ისეთი ვერაფერი შევქმენით, ეს ჩვენი წარსულის სასტიკ სინამდვილეს ეპატიოს. მამაჩემი თავიდანვე შრომას გვაჩვევდა და თუ ოდესმე ვაჯავრებდით ჩვენი სიზარმაცით, დროის უქმად დაკარგვით, ამაზე ღირს გავიხსენო, რომ ერთხელ მე და ჩემმა ძმამ შალვამ რედაქციაში მისვლა დავაგვიანეთ, რაზედაც მამამ ისე ძლიერ შეგვაჩვენა, რომ ოქ მყოფმა ზაქარია ჭიჭინაძემ, როგორც მოხუცებს ჩვევიათ, ტირილი დაიწყო და მამაჩემს საყვედურით მიმართა — რასა შვრები, უმადური ყოფილხარ, ასეთი კარგი შვილები გყავს, სალანძღავად რატომ იმეტებ, რამდენს გეხმარებიან მუშაობაში, მაშ მე რა ვქნა, ჩემი გამხმარი თავის მეტი არავინ არა მყავს...

ნამდვილი სიყვარული მამაჩემმა თავისი შვილიშვილებისადმი მოხუცებულობაში უფრო გამოამჟღავნა, როდესაც უკვე საამისო დროც საკმაო ჰქონდა, რადგან ოფიციალური საქმეებისაგან თავისუფალი

იყო. მთლიანად მისი შთამომავლობა — შვილთაშვილები და მათი შვილები ორმოცს აღწევს, რომელთა შორის ყოფნით თავს ბედნიერად გრძნობდა. მიუხედავად იმისა ასეთი მამისა და პაპის ღირსნი ისინი იყვნენ თუ არა. აქედან ისიც ჩანს, რომ მას არც დრო და არც ენერგია უნდა ჰყოფნოდა თავისი ყველა ნაწერისა თუ შვილისა და შვილთაშვილისათვის ისე მოეცლო, როგორც ეწადა... ჩვენი დრო მამაჩემისათვის ყოველთვის უდროო დრო იყო, მაგრამ არა იმ გაგებით, თითქოს დროება არ ეარგოდა თავისი მუდმივი კრიზისებით, სოციალურ-პოლიტიკური დაუდგრომლობა-გარდაქმნებით, არამედ იმ მხრივ, რომ ბევრ წვრილმანზე ეხარჯებოდა დრო, რის გამოც ნამდვილი საქმისათვის დრო არა ჰყოფნიდა, ყოველთვის უდროოდ იყო, სასარგებლო დრო აკლდა და ეს იყო მისთვის ყველაზე დიდი სადარდებელი — განზრახულს ვერ ასწრებდა.

იოსებ იმედაშვილის არქივში

იოსებ იმედაშვილი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იღვწოდა, დაკავშირებული იყო კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების წარმომადგენლებთან და მათთან მჭიდრო საქმიან ურთიერთობაში დიდძალი სარედაქციო მასალა დაუგროვდა. 1910—26 წლების დროინდელი ქართული მწერლობის, თეატრის, საერთოდაც ქართული კულტურისა და მეცნიერების მუშაკთაგან თითქმის არავინ დარჩენილა, რომ იოსებ იმედაშვილისათვის რაიმე თხზულება თუ კერძო ხასიათის წერილი არ გამოეგზავნოს. ესენია ნარკვევები ქართული თუ მსოფლიო კულტურის, ხელოვნებისა და მწერლობის საკითხებზე, მოგონებანი, ლექსები, მოთხრობები, კრიტიკული წერილები, რეცენზიები, პიესები, იშვიათი ფოტოსურათები. მათში ბევრი მეტად საინტერესო ფურცელი მოიპოვება ქართულთან ერთად კავკასიის თუ რუსეთის სხვა ხალხების კულტურის შესახებ, რომელნიც სხვა წყაროებით არ არიან ცნობილი.

სამწუხაროდ, ჩვენი ბინა რამდენჯერმე იყო გაჩხრეკილი, გაქურდული — 1903 წელს მამაჩემის პირველი პატიმრობის დროს, 1910 წელს მეორე პატიმრობისას, როდესაც პოლიციამ დიდძალი წიგნი და ხელნაწერი წაიღო. 1915 წელს ქართული თეატრის დაწყებთან ერთად „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქციაც დაიწვა, სადაც მთელ მის არქივთან ერთად აკაკისა და ვაჟას ხელნაწერებიც განადგურდა. 1921 წელს რედაქციამ კონფისკაცია განიცადა, 1938 და 1948 წლებში ცნობილი წყალდიდობის დროს ჩვენი ბინის ქვედა სართულში წიგნთსაცავი მთლიანად წაილეკა.

მოგონებაში აკაკის შესახებ მამაჩემი აღნიშნავდა, რომ დიდმა პოეტმა სოფლიდან მას რამდენიმე წერილი მოსწერა. „რომელთაც ძვირფას განძად ვინახავდი, მაგრამ ნიადაგ დარბევამ თითქმის აღარაფერი შემარჩინაო. აკაკის ნაწერები, ზოგი დაბეჭდილი და ზოგი დაუბეჭდავი, აგრეთვე გადარჩენილი კერძო წერილები რედაქციაში მქონდა. ქართული თეატრის კანტორაში, რომელთა დიდი ნაწილი დამენთქა ან გამეფანტა თეატრის დაწვის დროსაო“.

დაწვას გადარჩენილი ორი წერილი, რომელიც აკაკის გაგზავნილი ჰქონდა 1910 წლის ზაფხულს, მამაჩემმა აკაკისადმი მიძღვნილ „თეტრი და ცხოვრებაში“ 1915 წელს გამოაქვეყნა (8 მარტი, № 10). მათი დიდი მნიშვნელობის გამო მოვყავს მთლიანად:

„ბატონო რედაქტორო! (თვალი დაუდგა სიბერეს, სახელი ეეღარ გავიხსენე და მიტომ გწერ რედაქტორობით). როცა მოიცალო, გადაეცი სხვა რედაქტორებსა, როგორც ქართულ, ისე რუსულ გაზეთებისასა, რომ გამოწერა არ შემიძლია და ეგებო ისე გამომიგზავნონ გაზეთები მაგ თქვენი ადრესით საჩხერეში. ახალი ხომ არა არის რა ტფილისში გარდა სიცხისა? აქ ძალიან გრილა, მაგრამ საქმელზე ვარ მწყრალად, რადგანაც ყოლიფერი, შეშაც კი, საყიდელი მაქვს და ჩემი მამული ჩამორთმეული სხვებს უჭირავთ ხელში. ეს იუბილემ შემძინა!..

თუ ნახო გომართელი მომიკითხე, შენი მარად აკაკი“.

აკაკის ეს წერილი მის ისეთ უკიდურეს სიღარიბეს გვამცნობს, რომ გაზეთების გამოწერის საშუალებასაც ყოფილა მოკლებული და მეორე წერილიც როგორც შინაარსიდან ჩანს, სიმწარედაფარულ ხუმრობაში არსებითად ისევ მის გაჭირვებას მოწმობს:

„ძმაო იოსებ! შენი გაზეთის ნომრები სადაც ჩემი სცენები იყო, ახლა მივიღე და გმადლობ, სხვები კი არ მიგზავნიან გარდა გოთუასი. „დროება“ რომ არ მომდის არ მიკვირს, მაგრამ „მათრახი“ მაინც რად ენანებათ ჩემთვის? შენი მოყვარული აკაკი“.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მამაჩემს ხშირად სწერდნენ წერილებს უცხოეთში მყოფი ქართველები არა მხოლოდ ჟურნალის თანამშრომლები, სარედაქციო საკითხებზე, არამედ ქართული კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენიც სხვადასხვა წინადადებით. ასეთი შინაარსის უამრავ წერილთაგან საჭიროდ მიმაჩნია სანიმუშოდ ისეთი დოკუმენტების ციტირება, რომელთაც ეხლაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და საინტერესო ცნობებს შეიცავენ ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. ასეთ მნიშვნელოვან მასალებს მიეკუთვნება აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის წერილი გამოგზავნილი ოდესიდან მამაჩემთან 1917 წლის 30 ნოემბერს:

„ძვირფასო ამხანაგო! მოგმართავთ თქვენ როგორც ნაცნობ ქართველ საზოგადო მოღვაწეს და გთხოვთ დახმარება გამიწიოთ შემდეგ საზოგადო საქმეში.

ამასთან ერთად გიგზავნი ხელნაწერს უნივერსიტეტის ძირითადი პრინციპებისა და ქართულ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. რაც მიზანი მაქვს დასახული, თქვენ გაიგებთ ამ ხელნაწერის მოკლე შესავალიდან. მე მსურს, რომ ეს ხელნაწერი დაიბეჭდოს რაც შეიძლება მალე, ვინაიდან ქართული უნივერსიტეტის დაარსება გადაწყვეტილია ახლო მომავალში. ამისათვის თუ შესაძლებელია დაბეჭდედ იგი თქვენ ჟურნალის „თეატრი და ცხოვრებას“ ახლო მომავალ ნომერში. ეს გზა ყველაზე უკეთესად მიმაჩნია, რადგან ამ შემთხვევაში საზოგადოების უფრო მეტი წილი გაეცნობა მისს შინაარსს. თუ ეს მოხერხდა, მაშინ ისარგებლეთ დამზადებულ ასოთ-აწყობით და დაბეჭდინეთ ცალკე წიგნაკად 200 ცალი. რაც ზედმეტი ხარჯი ამას დასჭირდება, მე გადავიხდი. რა დანიშნულება უნდა მიეცეს ამ 200 წიგნაკს, ამის შესახებ მოგელაპარაკებით, როცა თქვენგან პასუხს მივიღებ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებთ თქვენ ჟურნალში დაბეჭდვას, მაშინ გთხოვთ მიშოვნოთ ვინმე გამომცემელი. თანახმა ვარ ყველა პირობებზე. კარგი იქნება მხოლოდ, რომ 50—100 ცალი დამითმოს უფასოთ.

გარდა ამისა, დიდად დამამადლებთ თუ, რომ ორივე შემთხვევაში კორექტურას თქვენ ითავებთ. ეს ჩემი პირველი თხზულებაა ქართულ ენაზე და რასაკვირველია გრამმატიკა უნდა კოპლობდეს. შეასწორეთ ისე, როგორც გენებოთ. ეს მე ქართული ენის გაკვეთილად გამომადგება.

ამ მომართვის წერის დროს მე თვალწინ მიდგია თქვენი სახე. მაგრამ არა მგონია, რომ მე თქვენ მოგაგონდეთ. იყო ერთი ვინმე სემინარიელი, თქვენი წიგნის სავაჭროში ხშირი სტუმარი. უკანასკნელათ მე მახსოვხართ 1905 წ., როცა თქვენ კოტე ანდრონიკაშვილს გააცანით ჩემი თავი და ამით შემიყვანეთ სოც. დემ. პარტიაში.

1906 წელს გავემგზავრე პეტროგრადის უნივერსიტეტში სასწავლებლად. ამის შემდგომ ორ წელიწადში ერთხელ და ისიც რამდენიმე დღით ან საათით მიხდებოდა თბილისში ყოფნა. ამით აიხსნება ჩვენი შემდეგში ერთმანეთის უნახაობა.

პეტროგრადის უნივერსიტეტის გათავების შემდგომ დამანარჩუნეს უნივერსიტეტში სამეცნიერო მოღვაწეობისთვინ მოსამზადებლად. 1915 წლამდე ვმუშაობდი ამ უნივერსიტეტში. ამ წელს კი გადაველ ოდესსის უნივერსიტეტში, სადაც ვითვლები ფიზიოლოგიის კათედრის უფროსს ასისტენტათ და პრივატ-დოცენტათ.

დიდად პატივისცემით ი ვ ა ნ ე ბ ე რ ი ტ ა შ ვ ი ლ ი“.

ჟურნალის მუდმივ თანამშრომლებს შორის რედაქციასთან ერთერთი ახლოს იდგა მაშინ დამწყები მხატვარი ლადო გუდიაშვილი, რომელიც ხშირად ასურათებდა ხოლმე მოთხრობებს და მამაჩემიც მისდამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. იგი მრავალმხრივად იყო დავალებული მამიჩემისაგან და გასაგებია, რომ თვითონაც ვალდებულად თვლიდა თავს თავისი კეთილისმყოფელი რედაქტორისათვის ყოველთვის ეცნობებინა ხოლმე საკუთარი მუშაობის შესახებ. ერთ ასეთ ბარათს წარმოადგენს 1920 წლის 8 ნოემბერს პარიზიდან გამოგზავნილი წერილი, რომელიც იმდენს საინტერესოს შეიცავს, რომ მისი ტექსტი სრულად მომყავს:

„სალამი ძვირფას და დაუღალავ იოსებს! გისურვებთ უპირველესად ჯანსაღობას და მერე თქვენს მიზნის წინ მსელელობას. იცოდეთ იოსებ, რომ თქვენი ამდენი მუშაობა უამაგოდ არ ჩაიელის და მეც მწამს და მწამდა თქვენი ნაყოფი-

ერი მეშაობა. მე ვერ წარმომიდგენია ერთი რამ — ამოდენა საქართველოში, ამოდონა სიცოცხლით სავსე ხალხში ვერ გამოგვიჩენია უსაოი და გამბედაობა, რომ უფრო ფართედ და შეუშინებლად დაეწყოთ მეშაობა გამომცემლობაში და საზოგადოდ ჟურნალ-გაზეთების გამოცემაში. რატომ ვიძახი ამას. აქ პარიზში იმდენი ჟურნალ-გაზეთები გამოდის, რომ საზღვარი არა აქვს. ზოგი გაზეთი დღეში სამჯერ გამოდის და არც კი რჩებათ გაუყიდავი და ამის შემდეგ ჩვენში კი ერთი ჟურნალი გამოდის და ისიც იოსებ იმედაშვილის ენერგიით და ძალიან კარგია ჩვენთვის, მაგრამ რომ მომაგონდება ხოლმე საქართველოში მხოლოდ ერთი ჟურნალი გამოდის, რომელიც ემსახურება ხელოვნებას, ეს სიმძიმე და უენერგიობა არ არის საპატიებელი, მეტადრე ჩვენს დროში. არა უშავს იოსებ, იმუშავე და დრო დაგიფასებს ამას. მაშ გაუმარჯოს ერთად ერთს ხელოვნების მსახურს ჟურნალს „თეატრი და ცხოვრებაა" და მის დაუღალავს რედაქტორს იოსებ იმედაშვილს.

აბა პარიზის შესახებ ვერაფერს მოგწერ, რადგან ჯერ იმდენად არა ვარ გაცნობილი მის ცხოვრებას და კარგად რომ შევეჩვევი მოგწერ დაწვრილებით ყველაფერს.

ახლა თუ გეინტერესება ჩემს შესახებ ვგონებ რომ კარგად მიდის საქმე. პირველად მივიღე მოსაწვილეობა პარიზის სალონში, სადაც ჩემი ოთხი სურათი არის გამოფენილი. იმავე დღეს გახსნისა ფრანგულ ჟურნალებში და გაზეთებში ჩემზე დაწერეს კრიტიკა, მომდის ჟურნალებიდან წერილები, სადაც მწერენ, რომ გაუგზავნო ჩემი ბიოგრაფია, უკვე დაწერილი ჩემზე კრიტიკა, სურათების რეპროდუქციები, ჩემი შეხედულება მხატვრობაზე და ბევრი სხვა. აი ასე, ყოველ დღე. უფრო მნიშვნელოვანი არის ის, რომ ისპანეთის გამოჩენილმა მხატვარმა სახელად იგნაციო სულოაგამ იყიდა სალონში ჩემი ერთი სურათი ქალაქ მადრიდის მუზეუმისათვის. ამითი მე მეხსნება გზა შემდეგ მუშაობაში. ერთი სურათი ერთმა იხგლისელმა ხელოვნების მცოდნემ იყიდა. მერე მიმიწვიეს საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც გაიხსნება ჟენევაში, საცა გავგზავნე სამი სურათი.

ფრანგებს ჩხები მოსდით, როდისაც გამოფენაზე ჩემ სურათებს ხედავენ. უმეტესნი აქებენ. იყო შემთხვევა ჩემ სურათების წინ გამოფენაზე ბევრი აყალმაყალი და ჩხუბები. ეს მე მგონია კარგია. დეე იყვირონ და მე კი ჩემსას გავაკეთებ. მე მგონია, რომ თუ ბედმა გამიღიმა ძალიან კარგად წავა საქმე. იცოდე იოსებ, რომ მე შენი თანამშრომელი ვიყავი და ეხლაც ვარ. აბა სხვა რა მოგწერო, ცმუშაობ გაქანებული, მინდა რომ როგორმე თუ გადასწრობა არა, დავეწიო მაინც ამ ჩვენ საყვარელ ხელოვნებას.

აბა მშვიდობით, გისურვებ ნაყოფიერს მუშაობას, სალამი თქვენს რედაქციას.

ლადო გუდიაშვილი

ჯერ გიგზავნი ორს ტუშით ნახატებს.

1. ლიუქსემბურგის ბაღში.
2. პარიზის ყავახანაში.

და თუ მოეახერხე კიდევ ვამოგიგზავნი. აგრეთვე მინდოდა ჟურნალების გამოგზავნა, მაგრამ ხო იცით როგორ ძნელია, თუ მოეახერხე გამოვგზავნი.

ძალიან გამეხარდება თუ ორიოდე სიტყვას გაიმეტებ ჩემთვის.

იმედი მაქვს. ლ. გ.".

ლადო გუდიაშვილმა ნაყოფიერად ითანამშრომლა „თეატრი და ცხოვრებაში" როგორც მხატვარმა და აქვე აღსანიშნავია, რომ მან საგანგებო მოგონება უძღვნა იოსებ იმედაშვილს, რაც აგრეთვე

მცირეოდენი ცვლილებებით შეტანილია მის მოგონებათა წიგნში: (მოგონებათა წიგნი, 1979, გვ. 68—69).

მსგავსი წერილები, აგრეთვე მოგონებანი თუ სხვა მასალები არა იშვიათად შეიცავენ იოსებ იმედაშვილის დახასიათებას, როგორც საზოგადოებრივ მოღვაწისა, ამასთანავე თანამედროვეებთან დამოკიდებულებასა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ მხრივ ყველაზე ადრეულ დოკუმენტს წარმოადგენს ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერი, რომელიც სხვადასხვა რედაქციით რამდენჯერმე იყო გამოთქმული ისტორიული ნარკვევისათვის, „საქართველოს მუშა-ხელოსანთა და გლეხთა ცხოვრების მასალები“:

„იოსებ იმედაშვილის დაუცხრომელი მოღვაწეობის შესახებ გრძელი წიგნი დაიწერება... იგი ორიგინალური თვისების ადამიანია. მის გულსა და სულში ღრმადაა ჩანერგილი საქართველოს სიყვარული, ქართველი ერის ამაღლება, გამრავლება და კულტურული წინსვლა. საქართველოს გულისათვის იგი დასთმობს ყველაფერს, შვილებს, ბევრ სხვასაც და თვით თავის თავსაც. ამ თავდადებულ ქართველს, დიდ მამულიშვილს მხოლოდ საქართველოს სიყვარული, ქართველი ერისა და ოჯახის გამრავლება, მისი აყვავება აღორძინება უნდა“.

თავის ცხოვრების დასასრულსაც, იმის გარდა, რომ ზაქარია ჭიჭინაძე, თუ ჩვენთან სახლში მთაწმინდაზე ვერ ამოვიდოდა, იოსებ იმედაშვილს ხშირად წერილებს წერდა. როგორც შემდგომ გამოირკვა, როდესაც „თეატრი და ცხოვრებას“ გამოცემა ერთხანს უსახსრობისა და დაბალიანების გამო შეფერხდა, ზაქარია ჭიჭინაძეს შემდეგი წერილი გაუგზავნია ფილიპე მახარაძისათვის:

„ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო ფილა! იოსებ იმედაშვილს შენც იცნობ და მეც. იგი არის პროგრესისტი და მასთან თავის მშრომელი ქვეყნის უაღრესი მოყვარე. იგი ყოველთვის სდარაჯობდა ქართველი მეშისა და გლეხის დაცემულ ცხოვრებას თავისი კალმითა და შრომით. ოთხი წელიწადი მეტეხშიაც იყო. სხვა დროსაც არ აკმარეს მას დევნა... ცენზურის კომიტეტიდან, ჟანდარმერიისაგან, მონარქიული მთავრობისაგან, დევნა სხვათაგან. ამ კაცმა დაბეჭდა სხვათა შორის ერთი შენი წიგნი, მანვე დიდად იმუშავა შენს კაუცკის წიგნზე ციხეში, იგია ერთი დამაარსებელი სახალხო თეატრისა ამ 33 წლის წინად, იგია შემდგენელი „უცხო სიტყვათა ლექსიკონისა“, რომელშიაც მან პირველად დაბეჭდა ვრცლად „კომუნისტური მანიფესტი“. უკანასკნელი 15 წელიწადი უძღვებოდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“, რომელიც განსაკუთრებით მშრომელ ხალხს ემსახურებოდა, რისთვისაც ვალები წამოედო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი კვლავ აპირებს თავისებურ სამწიგნობრო მუშაობას.

ასეთი კაცის შრომის დავიწყება არ შეიძლება. თუ ხათრი გაქვს, ჩვენი ქვეყნის სიკეთე გსურს, ამ კაცს გამოუნახე დახმარება, რომ ვალები გაისტუმროს და თავისი ჟურნალის გამოცემა განაახლოს. მას არაფერი დახმარება არა აქვს, მისი შეგირდები პენსიასაც იღებენ და ამას გროშიც არ ეძლევა. ფილია! თუ ხათრი გაქვს და კაცი ხარ ნუ დაივიწყებ ამ ქართველ მუშაკს, შენ იცი და შენმა ჭკვა-გონებამ როგორ უპატრონებ ამ ეროვნულ მუშაკს. იმედია

ჩემს დავალებას არ დაივიწყებ. ამის გულისათვის შენთან თორმეტი კაცი მოდიოდა, მათ მაგიერ მე მოვედი და გთხოვ იზრუნო, რომ ასეთი შრომის მოყვარე კაცი არ იქნეს დაჩაგრული.

თქვენი პატივისმცემელი ზაქ. ჭიჭინაძე.
1925, 25 ოქტ. თბილისი
(ივ. მაჩაბლის ფონდი, № 1139346. VIII ა 1).

ძველ მოღვაწეთაგან ყურადღებას იქცევს ისიდორე რამიშვილის წერილები ტვერის გუბერნიის ქალაქ კამანიდან ივანო სარაჯიშვილის სიკვდილთან დაკავშირებით 1924 წლის 13 დეკემბრის თარიღით:

„ჩემო იოსებ! მოგიკითხავ სიყვარულით როგორც შენ პირადად, ისე იმათაც ვისაც კეთილად მოვაგონდები. მე, როგორც ხედავ, ცოცხალი ვარ და მრცხვენია ჩემი სიცოცხლის გამო. კარგები იხოცებიან და ჩემისთანა გამოუსადეგარი და ჟამ მოქმული კაცი ისევ დავდივარ ამ ქვეყანაზე. დამძიმებით კი ვერ ვამძიმებ მიწას, რადგანაც ხორცი ძვლებზე სულ შემომეცალა. მიწას ისინი ამძიმებენ ახლა, ვისაც ძვლებზე სქელ-სქელი ხორცი ეზრდება... მაქ იყო გამოგზავნილი ჩემი მოგონება ერთი რვეული, მინდოდა შენ გაგეშინჯა. იქნება რამე ამოგეღო იქიდან, თუ დაინახავ საჭიროდ და შენი აზრი და რჩევა მომესმინა. მაგრამ არ ვიცი, მოგიტანეს თუ არა და წაიკითხე, რა სთქვი?

იქნება გამოგიგზავნო ზოგიერთი ნაწილი მოგონებათა აქედან და გასინჯო, შემდეგ მოათავსე ჟურნალში. გმადლობ ჟურნალისათვის. იყავი კარგად. შენი ისიდორე".

იმავე თარიღით მოიპოვება წერილის გაგრძელება სხვა ფურცლებზეც:

„ჩემამდისაც მოაღწია ქართველი ხალხის გლოვისა და გოდების ხმამ. კიდევ სიკვდილი, კიდევ ძაძა, კიდევ ცრემლები უბედური ერის უერთებ ჩემს გლოვას და ღრმა მწუხარებას მშობელი ერის გლოვას მისი საუკეთესო შვილის, მისი პირისა და ღხინის გალობით გამომხატველის დიდი მომღერალის ივანე სარაჯიშვილის უდროოთ დაკარგვის გამო".

უფრო ადრე იმავე წლის 5 თებერვალს მოუწერია:

„ძმაო იოსებ! მოგიკითხავ სიყვარულით. სანიმუშოდ გიგზავნი ჩემ მოგონებათა დასაწყისს, იმდენად დასაბეჭდად კი არა, — ამის იმედი არა მაქვს, რომ ის ამისი ღირსი გამოდგეს, არამედ მინდა ვიცოდე შენი აზრი და რჩევა-დარიგება მომეც. ეს ფრიად საჭიროა ჩემთვის, რადგანაც მე წერაში გაუვარჯიშებელი კაცი ვარ და შენ კი უკვე გამოცდილი ჟურნალისტი ხარ.

იქნება მოგონებასთან არავითარი კავშირი არა აქვს იმ გეგმას, რომელიც მე დავისახე წერისათვის. კარგი იყო რომ ახლოს მწერალი კაცი მყავდეს. მე ვილაპარაკო და მან რედაქცია უყოს, კალაპოტში ჩამოასხას ჩემი უთავბოლო აზრები.

ჩემი გეგმა ასეთია. სურების ხეობის ადგილმდებარეობა და მისი მოკლე ისტორია. რასაკვირველია არა ჩემ პიროვნებასთან დაკავშირებით, არამედ ისე საზოგადოდ. თუ ეს არ იქნება ინტერეს მოკლებული. ბატონყმობა, რამდენადაც მახსოვს და გამიგონია და ყაჩაღი ალმასხანა ბედინიშვილი... შენ გიამბე მის შესახებ თუ გახსოვს. ჩვენი ოჯახი. ირინე. დარეჯანი და ტასია. მათი ბედიც

გაგაცანი. თუ გახსოვს ჩემი სწავლაში მიბარება ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. ეგნატე, სილიბისტრო და მაშინდელი ფიზიონომია სასწავლებლისა. სასულიერო სემინარია. სილიბისტრომ რექტორს სცემა. ის გადაასახლეს. რექტორის მკვლელობის ორგანიზატორი. გოლა ჩიტაძე. მე ნაროდნიკი და სოფლად გადავიწყება. ჩემი გასოციალდემოკრატება და შემდეგი დრო.

გადახედე ამ ფურცლებს, რომლებსაც შენ გიგზავნი და თუ დასაბეჭდად გამოდგეს მთლიანად ან ნაწილობრივ დაბეჭდე. გაუკეთე რედაქცია და შესწორება სტილში, რომ უფრო გაალამაზო და გააშალაშინო. თუ დასაბეჭდად არ გამოდგეს, შენ მაინც ნუ დაიზარებ შენი აზრი გამოგზავნო, რითაც დიდად ვიქნები დავალებული. თუ ჩემი გვარისა და სახელის მოწერა უხერხულად დაინახო, მოაწერე რაც გინდა და ან ნურაფერს ნუ მოაწერ, თუმცა ამის დამალვაც შეუძლებელი ხდება თვით შინაარსის გამო. ერთი სიტყვით რაც გინდა ისე ქმენი.

მე ძალიან დავბერდი და ხალისი და ენერგიაც მაკლდება. მომენატრა ჩემი ქვეყანა... შენი ჟურნალის უკანასკნელი ნომერი არ მიმიღია. გაკოცებ. შენი ისიდორე რამიშვილი.

ბ. ს.

1 თებერვალი, 1925 წელი ქალაქი კამანი. ტვერის გუბერნია.

რუსულად მთხოვენ ჩემ მოგონებათ და ჯილდოსაც მპირდებიან, მარა არ ვთანხმდები. ის. რამ.“,

მეტად საყურადღებოა თეატრის ისეთი მოღვაწის, ცნობილი მსახიობისა და დრამატურგის წერილი, როგორიც იყო ვალერიან შალიკაშვილი, მიწერილი ბაქოდან 1916 წლის 26 ოქტომბერს: „ძმაო იოსებ! კიდევ რეცენზიებზე! პროვინციის რეცენზენტებს ისე აქვთ წარმოდგენილი, რომ ჩვენი, პროფესიონალი არტისტების ლანძღვა არ შეიძლება, რადგან „ისინი ყველა როლებს კარგად ასრულებენ“ და სცენის მოყვარე კი უსათუოდ უნდა გალანძღოს, რადგან იგი დაბალ ღობეთ მიაჩნია. ეს შემცდარი აზრია. თუ ვისმეს მოეთხოვება, — ეს ჩვენ — პროფესიონალებს, რადგან ამაში სასყიდელს ვიღებთ და მეტი მოვალეობა გვაწევს, მაშასადამე, როცა ჩვენს თამაშს კრიტიკას უკეთებენ, უნდა ტყავი გაგვაძრონ, არ დაგვზოგონ. სცენის მოყვარე — კი სულ სხვაა... იგი ნაზია, სათუთი; მისი თავმოყვარეობა ავადმყოფობამდის გამახვილებულია და ჩვენც გვმართებს ამ ნაზ არსებას მოვექცეთ ნაზათ და არა ტლანქათ. სცენის მოყვარე მუშაობს უანგაროთ, გულწრფელად... იგი მხოლოდ იდეით არის გატაცებული, მას ამოქმედებს საქმის სიყვარული. მთელ თავისუფალ დროს, იმის მაგივრად, რომ სამსახურში დაღლილ-დაქანცული სახლში წავიდეს, დაისვენოს, ან სადმე გაისეირნოს, თეატრში წავიდეს, იგი ანდომებს თეატრს, მიდის რეპეტიციაზე და ეძლევა რეჟისორის სრულს განკარგულებაში... რეჟისორიც ათასნაირად შემოატრიალებს, უყვირის, ლანძღავს, მაგრამ იგი ითმენს ხმა ამოუღებლივ, ითმენს საქმის სიყვარულით. შენ არ ვიცი როგორ ფიქრობ და მე კი მგონია, რომ სცენის მოყვარის მოღვაწეობა

ჩვენს მოღვაწეობაზე მაღლა სდგას. მათი მოღვაწეობა წმინდა მოღვაწეობაა... მე მინდა ვსთქვა **святая деятельность**.

როცა სცენის მოყვარის თამაშს ვარჩევთ, სასტიკის საზომით არ უნდა მიუდგეთ მას: მე ის კი არ მინდა ვსთქვა, ყველა სცენის მოყვარე უსათუოდ აქონ, არა! ნაკლი შენიშნონ, მაგრამ ძალიან ფრთხილად და ლმობიერად. არც ის სცენისმოყვარენი მყვანან სახეში, რომელნიც სოფელში მართავენ ხოლმე წარმოდგენებს, რომ სცენაზე იტლინკაონ და მერე შემოსავალი დუქნებში ხარჯონ. მე ბნედველობაში მყვანან ისეთი სცენის მოყვარენი, როგორიც არიან აქ ჰიათურაში და ეხლა ხაშურშიაც დაარსდა. ადამიანი, ანუ რომელიმე წრე 10—12 წელიწადი სისტემატურად მუშაობს უსასყიდლოთ, ამ მუშაობისათვის მადლობის მაგივრად ლანძღავენ და მიწასთან ასწორებენ, იგი მაინც გულს არ იტეხს და განაგრძობს მუშაობას, — დამეთანხმე აქ რაღაცა საიდუმლო უნდა იფარებოდეს. მათი ფსიქიკა სხვებისაგან უნდა განირჩეოდეს. ჩვენც მოვალენი ვართ ამისთანა ხალხს სიფრთხილით მოვეკიდეთ. ისინი ჩვენ არაფერს არა გვთხოვენ. გვაძლევენ იმდენს, რამდენიც შეუძლიანთ. ჩვენ-კი ზედმეტსა ვთხოვთ, და როცა არ შეუძლია ზედმეტის მოცემა — ვლანძღავთ.

მეტი ლმობიერება სცენის მოყვარისადმი! მოსთხოვეთ, მაგრამ სიფრთხილით, ნუ გალანძღავთ! რჩევა მიეცით ძმური, შეგობრული. ამით გავამხნევებთ და ენერგიას შევმატებთ. რომ ნახო სცენის მოყვარე, როცა თავის ლანძღვას წაიკითხავს გაზეთში, რანაირად ნოეშვება და მოიხვარჩლება, მაშინ დამეთანხმებით, რომ მე მართალი ვარ.

მაშ ასე, სოსოჯან! მეტი ლმობიერება და მეტი სიფრთხილე. მერწმუნე, ეს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ჩვენ საყვარელ საქმეს. ვიდრე ლანძღვა და მათრახები. მოიწერე, შენი საქმეები როგორ მიდის. აქაური საქმეები ძალიან კარგად მიდის! ყოველ წარმოდგენაზე ხალხით სავსეა თეატრი. მე თუმცა ძალზე ავადა ვარ, მაგრამ ჯერჯერობით არ დამიყრია ფარხმალი და ვმუშაობ. მაშ ასე, შენი ვალიკო შალიკაშვილი".

რევოლუციამდე კარგად ცნობილი არტისტი, რეცენზენტი, შემდეგ კი კრიტიკოსი და კულტურის ისტორიკოსი თამარ გოგოლაშვილი-პაპავა (ავტორი წიგნებისა „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში" და „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი"), რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ჰამბურგში, სისტემატურად გზავნიდა „თეატრი და ცხოვრებაში" დასაბეჭდად კრიტიკულ შენიშვნებსა და მიმოხილვებს საზღვარგარეთის თეატრალური ცხოვრების შესახებ. 1925 წლის

8 მარტის თარიღით იოსებ იმედაშვილთან გამოგზავნილ კერძო წერილში იწერებოდა“:

„...მე შევუდექი საჭირო მასალების დაგროვებას იმ საკითხისათვის, რაც დიდი ხანია მაინტერესებდა. ეს არის ქალის როლი დღეის ხელოვნებაში. უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ ქალის როლი ამეღო თანამედროვე ისტორიაში, მეცნიერებაში, პოლიტიკაში, ხელოვნებაში, მაგრამ ეს ძალიან დიდ და ხანგრძლივ მუშაობას და დროს მოითხოვს და ასეთი მასალის გამოქვეყნება ტექნიკურადაც ძნელია. ამიტომ გავჩერდი პირველზე. ჩემთვის უფრო სასურველი იქნებოდა — ჯერ ქართველი ქალის როლი გამერკვია ჩვენს ხელოვნებაში, მაგრამ საუბედუროდ საამისო მასალა ამჟამად არა მაქვს, და იძულებული ვარ იქიდან დავიწყო, რისაც ამჟამად მასალა მაქვს. ეს შრომა არ იქნება ერთი მთლიანი გამორკვევა... ეს იქნება უფრო კარგათ რომ ვსთქვათ — ხელოვნების დარგში ღირსშესანიშნავ ქალთა პორტრეტები (მათი მოკლე ბიოგრაფია, შრომის უმთავრესი მოტივები, როლი თანადროულ ხელოვნებაში და სხვა).

ეს პორტრეტები იქნებიან ამოკრებილნი მე-XIV საუკუნის მიწურულიდან დღევანდლამდე. ესეც დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ მე შევეცდები მარტო უმთავრესზე და უფრო დამახასიათებელზე შევჩერდე. ვფიქრობ, რომ ასეთი შრომა ჩვენებურ მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება. ეს თემა ძალიან მკრთალადაა ჩვენში მიტოვებული, რაც სამართლიანი არ უნდა იყოს. ქართველმა ქალმა უნდა იცოდეს, რომ მას წინ მიუძღვის მთელი გალერეა ევროპის შესანიშნავ ქალთა, რომელთა მოღვაწეობას თანამედროვე კაცობრიობა გვერდს ვერ აუხვევს. ეს აამაღლებს ჩვენს ქალს და გაამხნევებს მის თავგანწირულ მუშაობას მშობლიურ ხელოვნებისათვის. რასაკვირველია მე ვერ შევძლებ ამ საკითხის შესაფერისად გაშუქებას, მაგრამ ცოტა რამეც რო გაკეთდეს, ესეც ზედმეტი არ იქნება...“.

როგორც წერილიდან ჩანს ქ-ნ თ. გოგოლაშვილის განზრახვით ეს ნაშრომი ცალკე წერილების სახით ჯერ „თეატრი და ცხოვრებაში“ უნდა დაბეჭდილიყო და შემდეგ წიგნადაც გამოცემულიყო. ეს განზრახვა მაშინ ვერ განხორციელდა, მით უმეტეს, რომ ჩვენი ჟურნალის გამოცემა შეწყდა. მაგრამ მისთვის ევროპის ბიბლიოთეკებში ხანგრძლივმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. საბოლოოდ ბუენოს აირესში დამკვიდრების შემდეგ, თამარ გოგოლაშვილმა ზემოთ აღნიშნული წიგნები დაბეჭდა, რომლებშიაც მისი თემა ჩამოყალიბდა საქართველოს ისტორიაში ქართველ ქალთა პოლიტიკური და კულტურული როლის საკითხების გამოკვლევებში, დამუშავებული უმთავრესად უცხო წყაროების მიხედვით.

არქივში უფრო ბევრია პოეზიის, პროზის, კრიტიკის, თეატრის შე-

სახები მასალა. რომელშიაც ყურადღებას იქცევენ პოეტებისა და მწერლების კერძო წერილები რედაქტორისადმი. მაშინ დამწყებ პოეტთაგან აღსანიშნავია გალაკტიონ ტაბიძის პატარა ბარათი: „ძვირფასო იოსებ! სამი თვის განმავლობაში ჟურნალი მომდიოდა... მადლობელი ვარ! გთხოვთ შეწყვიტოთ გზავნა. ამჟამად გიგზავნით ორ ლექსს ჩამოსვლით კი როგორც მსურდა თბილისში ვერ ჩამოვდივარ! ბედმა უბრალო სოფლის მასწავლებლობა მარგუნა წილად... საძაგელი რამ... სოფლიდან ხალხურ ლექსებს გამოგიგზავნით, თუ მოვახერხე. მშვიდობით.

მარადის თქვენი პატივისმცემელი გალაკტიონ ტაბიძე. 1910, 26, VII“.

ექვსი წლის შემდეგ კი 1916 წლის აგვისტოს უკვე ავტორი ლექსებისა „მესაფლავე“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „ატმის ყვავილები“. „მერი“ მამაჩემს წერდა: „ძვირფასო იოსებ! პატარა სათხოვარი მაქვს — იმედია შეისრულებ. მე მივემგზავრები ქალ. მოსკოვს. წერა-კითხვის საზოგადოებას გამოვუგზავნე განცხადება: თუ სტიპენდია არ მომცეს, არ ვიცი როგორ იქნება იქ ჩემი ცხოვრება. ძვირფასო იოსებ! შეახსენე მანდ საზოგადოების წევრებს, აუხსენი, რომ მე ღირსი ვარ სტიპენდიის და იქნებ მეშველოს როგორმე. რამდენი ხანია არაფერი არ გამიკეთებია, რადგან მოუწყობელი ვარ. მაგრამ მოსკოვში კარგად ვიმეცადინებ თუ ძალიან არ გამიჭირდა ცხოვრება. მაშ ველი დახმარებას გამგეობის წევრებთან... რომელიმე მეგობართან ნაცნობი გეყოლებათ იმათ შორის.

მარადის და მარადის თქვენი პატივისმცემელი გალაკტიონ ტაბიძე“.

უკეთეს მდგომარეობაში არ იყო ალექსანდრე აბაშელი, რომელიც 1916 წლის 6 ივლისს მამაჩემს წერდა: „ჩემო იოსებ!.. მე ვერა ვარ კარგად მოწყობილი. ბინა კარგი მაქვს, მაგრამ ფული გამომელია უცებ და რა ვქნა არ ვიცი. კვერცხს და რძეს თავი გავანებე, მაგრამ სადილს ხომ ვერ გადავეჩვევი? მე ამას ისე გწერ, როგორც ჩემს კაი მეგობარს, მაგრამ არ დამკლა, ჟურნალში არაფერი დაწერო ჩემი ხელმოკლეობის შესახებ. მე მეყოფა რაც დამცირება ავიტანე. საზოგადოებასაც ეყოფა რაც თავი შეიწუხა. სამწუხარო და სატირალი ბევრი აქვს უჩემოთაც. სხვათა შორის ამას კიდევ იმიტომ გწერ, რომ შენი საყვედური ავიცდინო, — ლექსს რატომ არ მიგზავნიო. ერთი ლექსის გამოგზავნა ჯდება სამი შაური, სამ შაურად სამ კვერცხს ვიყიდი და ერთ დილას გამიხალისებს. გამომიგზავნე ორი-სამი ორშაურიანი ფოსტის მარკა და ამდენივე ლექსს გამოგიგზავნი. ლექსები ბევრი დავამზადე. არასდროს არ მიმუშავნია ასე ნაყოფიერად, როგორც ახლა. მშიერი კაცი თურმე უფრო მუშაობს. ყოველდღე ვსწერ და ძლიერ კმაყოფილიც ვარ მუშაობის.

სალამი ნაცნობებს. შენი საშა“.

ტიციან ტაბიძის წერილები ყოველთვის ხასიათდებოდა საქმიანი შინაარსით და ლაკონიზმით: „ქ. მოსკოვი, 21, III. 14 წ. ღრმად პატივცემულო ბატონო იოსებ! გიგზავნით ორ ლექსს პოლიუს ვერლენიდან გადმოთარგმნილს. თარგმნილია ორიგინალიდან და შედარებული რუსულ თარგმანებთან... მომიხარია გაგეხმაუროთ და დიდი ხნის უნახავს გიძღვნათ სალამი.

თუ დაგჭირდებით მიმსახურეთ რითაც გინდათ. მასალებს მოგაწოდებთ ხელოვნებაზე ნათარგმნს, რასაც ისურვებთ... მანდ თეატრის მუშაკთა კრება უნდა მოიწვიონ მგონი: ამის შესახებ, როცა გავეცნობი მასალებს, ვინახულებ ალ. სუმბათაშვილს (Южин), მის ნააზრევს შევოგითვლით. გამომიგზავნეთ ჟურნალი. საფასურს გამოგიგზავნით.

თქვენი მარადის პატივისმცემელი ტიტე ტაბიძე".

გიორგი ლეონიძე როგორც პატარძეულელი პოეტი ჩქარა დაუახლოვდა ხაშმელ რედაქტორს და 1915 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა „თეატრი და ცხოვრებაში", რის გამოც ხშირად უგზავნიდა ხოლმე დასაბეჭდად ლექსებს, რეცენზიებს თუ სხვადასხვა საკითხებზე წერილებს: მე პატარძეულელი ვარ... აქეთაც ის ომის მიერ შიყენებული უბედურებაა, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში, თუმცა აქეთაც გამოისმის მინდვრებში და ვენახებში სიმღერა სასოიანი ცხოვრებასთან ბრძოლისა... გიგზავნით ამ ლექსებს და დაბეჭდავთ თუ არ დაბეჭდავთ ამ ლექსებს — პასუხი გრ. მეგრელიშვილს გადაეცით, რადგან ის წერილობით მაცნობებს, ხოლო თუ დაიბეჭდება — კორექტურის გასწორება ჩემ მაგივრათ სთხოვეთ იმავე გრიშას...

ს. პატარძეული, 1915 წ. 13 აპრილი. გ. ლ."

იმავე ხანებში უნდა იყოს გაგზავნილი უთარიღო წერილი, რაც სტილითა და ხასიათით კარგად ჩანს;

„დიდად პატივცემულო ჩემ მიერ ბ-ნო იოსებ! ვერ წარმოიდგენთ იმ აღფრთოვანებას, რომელიც გამოიწვია თქვენ მიერ გამოგზავნილმა ჟურნალმა ჩემ გულში, მართლაც და აბა წარმოიდგინეთ უინტელიგენციო (აქ ჯერ ინტელიგენცია არ მოსულა) სოფელში სხვა რა გასართობია, რით გაართო თავი თუ არ ჩემ მიერ საყვარელ წიგნებით? და ეს ერთი ამ წიგნთაგანი აღმოჩნდა თქვენი ჟურნალი, რომელმაც დაარსებიდანვე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზედ და რომელიც თქვენგან დიდი მადლობით მივიღე...

ამ დღეებში დავწერე პოემა „სუმბული", რომელიც ეხლა ხელთა მაქვს და ვასწორებ. ენკენისთვეში ჩამოვდივარ და თუ აღგილი გექნებათ თქვენ დამიბეჭდეთ, თუ არა და „სახალხოში" წაიღებ...

გ. ლეონიძე".

რევოლუციამდელი ათიანი წლების ქართული თეატრის რეპერტუარისა და მისი მოქმედი დასის შემადგენლობაზე ცნობილი რეჟისორი ალ. წუწუნავა იოსებ იმედაშვილს მოსკოვიდან გამოგზავნილ პატარა ბარათში ბევრს საინტერესოს ატყობინებდა: „მაპატიე იოსებ, რომ ასეთ ქაღალდზე გწერ... რაც შეეხება ჩემს პლანებს, ეხლა ვერაფერს მოგწერ, რადგან მაგას კარგად დასვენებული თავი და ნერვები უნდა, თორემ ეხლანდელსავით რამე სისულელეს მოგწერ და არ ივარგებს. მართალი გითხრა ძალიან მეძნელება ქართულად წერა და ამას გარდა ეხლა არა მაქვს დრო, რომ გადავწერო და გავასწორო. ასე მიიღე, ვიცი ჩემი ნაწერის წაკითხვა გაგიჭირდება, მარა შენ ამაზე უარესიც წაგიკითხავს როგორც რიგია.

იოსებ! ძალიან გთხოვ თუ არ გაგიჭირდება შენი თეატრალური ჟურნალი მომაწოდო თეატრის ადრესზე: Москва. Худож. театр Ал. Цуцунава. ასე. გარდა ამისა ჩვენ წრეში სამეცადინოდ პიესები მჭირია „Отроки надо ставить“ თუ შეგიძლიან „მეფე ლირი“ შექსპირის, რამიშვილს მითხოვეთ „შეშლილები“ სამეცადინოდ, ძალიან კარგი არის იბსენის „Северные богатыри“ ქართულად, „ჩრდილოეთის გმირნი“, შექსპირის „რიჩარდ III“, „მაკბეტი“, „იულიოს კეისარი“. ესენი როგორც მე ისე სამეცადინოდ მჭირია... იბსენის შტოკმანი, და Привидения, თარგმანი ია ეკალაძის როგორც მახსოვს. კომედია-ვოდევილები რამე ორიგინალური. „ცხოვრების სარკე“ ურიელ აკოსტა რომ არის. ამის გამოგზავნა კარგა ფულები დაჯდება და თუ მოახერხო ჩამოითხოვე კაპეიკობით. შილერის „ავაზაკები“ და „დონ კარლოს“, მეტერლინკის „მონნა ვანა“, და თუ რამე იყოს მისი კიდევ მოსახმარი. გორკის „ნა დნე“, ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ ივერიის დამატებაში იყო. თუ ძმა ხარ ეს უკანასკნელი უსათუოდ გვიშოვნე. გაუფტმანის „ავადმყოფი ხალხი“ და თუ კიდევ რამეს მიუმატებ შენი აზრით კარგი იქნება... ამ პიესებს ისე ჩაგაბარებთ, როგორც მივიღებთ, იმედია გვენდობით...

მომიკითხე მარო, ვასო, კოტე მესხი. ამ უკანასკნელს გადაეცი — რა გვიქენი აგი: შალიკაშვილი ისე გააღმერთე სუმბათაშვილთან, რომ იმის მეტს ველარავის ხედავსთქვა, ასე რომ თვითონ რეკომენდაციის მიმცემიც კი დაავიწყდა ალ. ივანიჩს თქვა...

პავლე დადვაძის თარგმნილი „სალომეას“ ერთი ნამცეცი წავიკითხე, იქნება ისიც გამომიგზავნო. აბა შენ იცი თუ არ დამივიწყებ და წერილს მოიწერ.

გთხოვ იფიქრო ხანდახან ჩემზე...

იყავი კარგად და თუ არ მოვკვდი გნახავ გაზაფხულზედ.

შენი ალ. წ უ წ უ ნ ა ვ ა.

მოსკოვი 26 დეკემბერი (1910)

უცხოელთაგან გამოგზავნილ წერილთა შორის სამახსოვროა 1904 წლის 25 ოქტომბრის თარიღით იოსებ იმედაშვილისადმი მარჯორი უორდროპის ბარათი:

„მოწყალეო ხელმწიფევ! ბოდიშს ვიხდი რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო აქამდის ვერ მოგწერეთ წერილი. მივიღე თქვენი ფრიად საყურადღებო თხზულება და გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენი საჩუქრისთვის. ქართულ წიგნს ყოველთვის ვიღებ სიამოვნებით და უმეტესად როდესაც მწერალი კეთილ ინებებს ხელის მოწერას. კიდევ მადლობას მოგახსენებთ.

თქვენი პატივისმცემელი მარჯორი უორდროპის ასული“.

1924 წლის 31 ოქტომბერს იოსებ იმედაშვილისათვის მიწერილი ერცელი წერილი ქართული ცხოვრების ერთ საჭირბოროტო საკითხზე ასე იწყება:

ქართველი ახალგაზრდობის საყურადღებოდ

„გადაავლეთ თვალი საქართველოს და უსათუოდ შეამჩნევთ ჩემს და ბევრისათვის მიზანშეწონილს, ნამდვილად კი უკუღმართ მოძრაობას... ვისაც კი რაიმე სწავლა მიუღია, ან ხელის მოწერა უსწავლია — ქალი და კაცი ყველანი ქალაქებისაკენ მიეშურებიან... სოფელში გული არ უდგებათ და ქალაქის ქუჩებზე მშიერი კუჭით წანწალს რჩეობენ... ამათ რომ ჰკითხოთ, რატომ სოფელში არ დარჩით და თქვენს ოჯახში მუშაობას ხელი არ მოჰკიდეთო — გიპასუხებენ: სოფლის მუშაობას შეჩვეული არა ვართ, სოფლიდან ნასწავლთ სდევნიან, ანდა რაც გვისწავლია, სოფელში ისიც დაგვიწყებიაო“... ავტორი იხილავს მთელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიურ მდგომარეობას და ათავებს ქართველობის დამოძღვრებით: „ვურჩევ ორივე სქესის ქართველ ახალგაზრდობას ოცნებებს და ფუქსავატობას თავი გაანებოს და ხელი მოჰკიდოს სოფლის მეურნეობას... მერწმუნეთ — უმუშევართა ბირჟაში ხეტიალს აჯობებს...“

ამ წერილში აღნიშნული ჩვენი ცხოვრების იმ მრავალმხრივად სავალალო და აშკარად სახიფათო მდგომარეობის აღნიშვნა, რომ ქართველი ახალგაზრდობა სოფლისაგან ქალაქისაკენ ილტვის და უფრო ფუქსავატობაში ატარებს დროს, მართლაც დროულად იყო შენიშნული, რაც უკვე ეროვნულ უბედურებად გადაგვექცა. მაგრამ მისდამი წერილებში იმედიანი განწყობილებაც იხატებოდა ხოლმე.

* *

იმედაშვილი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულ ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკთა შორის ყურადღებისა და პატივისცემის ღირსად არა მხოლოდ ცნობილ პოეტებს, მწერლებს, დრამატურგებს, მხატვრებს თუ მუსიკოსებს თვლიდა. მას საერთოდაც ყოველი ქართველი ადამიანი თავისი ავკარგით აინტერესებდა როგორც პიროვნება და ყველასთან უცბად ამყარებდა ხოლმე კეთილ ნაცნობობა-მეგობრობას. რედაქციაში მოსულ ახლად გაცნობილ დამწყებ ავტორთა შორის, ვისაც რამე ჰქონდა დასაბეჭდად მოტანილი, — თუ ახალგაზრდა იყო, მაგრამ შემოქმედებითი შთაგონება აკლდა, ერთბაშად მაინც გულს არ გაუტეხდა, უფრო უკეთესის დასაწერად იმედს დაუსახავდა. თუ ხანში იყო შესული, — გაამხნევებდა, ეცდებოდა, რომ უფრო შესაფერი გზა მოენახა მოღვაწეობისა. ნამდვილი ნიჭის გამოჩენა კი მისი დიდი სიხარული და ზეიმი იყო.

ამ თვალსაზრისით, ქართული კულტურის — პრესის, წიგნის, მწერლობის, თეატრის საქმეთა მოგონებაში ეჭვი არ არის ბევრი აღმოჩნდება უნიკალურად საინტერესო, ადამიანებსა და მოვლენებზე უშუალო გულწრფელობით აღბეჭდილი აზრები და დახასიათებანი. მათი მთლიანად გამომზეურება იქნებ მომავალში განხორციელდეს... უმრავლეს ჩანაწერთაგან სანიმუშოდ ზოგიერთს გავეცნოთ.

ჩვენში ისეთი განსაკუთრებული პოეტური ხვედრის მქონე პიროვნების შესახებ, რომლის კარიერაც მართლაც გამონაკლისი იყო საქართველოში მაშინ როდესაც თვით ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი და სხვები ათ წელზე მეტ ხანს ელოდნენ დიდ პოეტურ აღიარებას, როგორც ცნობილია ანა კალანდაძე გამოჩენისთანავე, პირველი ლექსის წაკითხვისთანავე იქცა პოპულარულ პოეტად, რომლის მოვლინებაში საოცარი ისიც იყო, რომ ჯერ არც იყო დაბეჭდილი და მთელ საქართველოში მის ლექსებს ხელნაწერების სახით სულმოუთქმელად კითხულობდნენ თუ ზეპირად ამბობდნენ. ანა კალანდაძეზე პირველი გაგონება მამაჩემს 1946 წლის 27 მაისს დღიურში ასე ჩაუწერია — „სახელგამის დირექტორთან ნიკო კიკნაძესთან ვიყავი ლექსიკონის დაბეჭდვის თაობაზე, სწორედ ამ დროს შემოვიდნენ ალ. აბაშელი და აკ. შანიძე, — აბაშელმა ძლიერ აქო 25 მაისს მწერალთა კავშირში გამოსული ახალგაზრდა მგოსანი ქალი ანა კალანდაძე (22 წლისა, V კურსის სტუდენტი, ობოლი). აბაშელს მიულოცნია — შენის გამოჩენით ჩვენს პოეზიას ცა გაეხსნაო, მთელ აუდიტორიას მოსწონებია შემთხვევით გამოჩენილი გოგონა. თურმე მამიდამისი, პედაგოგი, მისულა დ. ბენაშვილთან — ძმისწული გადამერია, სულ ლექსებს სწერავს, ორ-სამ მეგობარს უკითხავს, გასინჯე

და თუ „უქრის“, ლექსების ჯღაბნაზე ხელი აიღოსო. დ. ბეხაშვილი შეჰპირებია, მაგრამ როცა ლექსების კითხვა დაუწყია, აღტაცებულს გ. ნატროშვილთან გაუგზავნია.

მასალებით თავმობეზრებულს გ. ნატროშვილს რეეული იქვე მიუშალია და უთქვამს, შემდეგი ორშაბათის შემდეგ კვირას მოდიო. წასულა ქალი. მუშაობის დასასრულს ხელნაწერები მიულაგებია, შემთხვევით გადაუშლია ახალმოტანილი რეეული, წაუკითხავს ერთი, ორი, სამი, აღტაცებით შესულა ს. ჩიქოვანთან — უდავო ნიჭიაო. ს. ჩიქოვანს ჩაუთვალიერებია, — სად არის ქალიო. წავიდაო. უძებნიათ, ვერ უპოვიათ.

ძლივს სამი დღის შემდეგ მოძებნეს და უთხრეს — შაბათს უნდა წაიკითხოო და ამ წაკითხვით ყველაზე არაჩვეულებრივი ფუროორი მოუხდენია. ერთხმად გადაწყდა — მწერალთა კავშირში მიღება, 1000 მანეთი გამოუწერეს და ერთ წიგნად უნდა გამოსცენ.

გამოჩნდა ტალანტი... ეს კი არ მიკვირს, საკვირველი ის იქნებოდა, რომ არ გამოჩენილიყო...“

დღეს კარგადაა ცნობილი ანა კალანდაძის არაჩვეულებრივი პოეტური წარმატების შესახებ საქართველოში. მამაჩემის დღიურში, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მთაწმინდაზე ჩვენ სახლში მისი პირველი მოსვლა ასეა აღნიშნული:

„ანა კალანდაძე გაიოზმა შემოიყვანა ჩემთან 1947 წ. იანვრის 28. პატარა, შავგერემანი, ოდნავ მოხრილი, სადა, მოკრძალე. — ხომ არ გვებუტები, ვინ გაწყენინა? — შეეკითხე. გაიღიმა. ჩვენთან ისადილა, გვკონდა: ლორი, ლობიო, მჭადი, ვაშლი. გაიოზმა წიგნები ათხოვა.

წაგვიკითხა ლექსები „ომარ ხაიამ“, „უდრეკ იყო დედოფალი“ და სხვ.

განსაკუთრებული კილოთი კითხულობს, მძიმედ, ყოველ სიტყვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, თითქოს ყოველი სიტყვის წარმოთქმით სურათი—სახე იხატება. იშვიათი, ახალი რითმები აქვს. ლექსიკა სრულიად ახალი, ნუგბარია. ყველაზე დიდი და საამო შთაბეჭდილება დასტოვა...

ანა კალანდაძის უეცარმა გამოჩენამ ძლიერ გაახარა ძველი რედაქტორი... მისი პოეზიის თემებზე და მოტივებზე, ორიგინალური სტილის თავისებურებებზე, მის მდიდარ ლექსიკასა და სახეების მოულოდნელობაზე ლაპარაკს ვეღარ ვათავებდით ხოლმე... საერთოდაც მაშინ კალანდაძის ლექსი მთელ საქართველოში ისმოდა.

მსგავსი სიხარული ბოლო ხანების ახალგაზრდა პოეტებს შორის ლადო ასათიანმა და იოსებ ნონეშვილმა მომანიჭა, რომლის არსებობა ჯერ კიდევ არავინ იცოდა, როდესაც ნონეშვილი თავისი დაუბეჭდავი ლექსებით ჩვენ ოჯახში დაიარებოდა და მამაჩემი თავიდანვე დიდი იმედით შეჰყურებდა. ამიტომ ანა კალანდაძის შეფასებაში

ძისი იშვიათი ნიჭის და დამსახურებული აღიარების ანალოგიას ვეებდით და ლადო ასათიანსაც რომ ვახსენებდით, ანა კალანდაძე მაინც განმარტოებულად გვეჩვენებოდა ქართული ენის ღრმა გრძნობით, ლაღი მეტყველებით, ძალდაუტანებელი ბუნებრივი რიტმით და არტისტიზმით.

რამდენი დრო იყო გასული 1897 წლიდან (როდესაც იოსებ იმედაშვილი პირადად ვაჟა-ფშაველას ზეპირმეტყველებაში ისმენდა ახლად დაწერილ პოემებს „ბახტრიონსა“ თუ „ჰაოს და ქართლოსს“) იმ დრომდე, ვიდრე ქართულ პოეზიაში გალაკტიონ ტაბიძე დიდი პოეტის სახელს დაიმკვიდრებდა, რომლის შემდეგაც თითქოს ძნელი ჩანდა ქართული პოეტური სიტყვა კიდევ ისე განათებულიყო, რომ აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის მომსწრე რედაქტორის გაოცება გამოეწვია. მაგრამ ამ დღესაც მოესწრო მამაჩემი და ახარებდა პოეტების ის ახალი თაობა, რომელიც ასცდა შესაძლო ეპიგონიზმის ტყვეობას „სიმბოლიზმთან“ დამოკიდებულებაში და ქართული ლექსის კულტურას ენის, სახეების, ტექნიკის, ესთეტიზმის საკუთარი კვალი დაატყო.

იოსებ იმედაშვილისა და მისი „თეატრი და ცხოვრების“ არქივში მსგავსად საინტერესო არა ერთი და ორი ფურცელია გადასაშლელი წარსულის მოსაგონებლად...

იოსებ იმედაშვილის მეუღლე-მეგობარი ანა ჟურული

ცხოვრების ათასგვარ ჭირვარამის გადატანას მამაჩემს უადვილებდა მისი ერთგული მეუღლე და მეგობარი, კეთილ ანგელოზად მოვლენილი დედაჩემი — ანა ნიკოლოზის ასული ჟურული. იგი იყო ქართველი აზნაურისშვილი სოფელ ლარგვისიდან, რომელშიც მას ცხრა შვილი უბოძა. იშვიათად ბედნიერი იყო მათი შეხვედრა და თუმცა უფრო მეტად სიღარიბე-გასაჭირსა, პოლიციურ დევნასა და პოლიტიკური ტერორის მუქარაში გაატარეს ცხოვრება, მაგრამ ერი სავსე იყო ურთიერთ ერთგულების სიხარულით, შეუნელებელი სიყვარულით, თანაგრძნობითა და პატივისცემით. ამიტომ იყო, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დიად ბრძოლაში ჩაბმულნი, ნათელი მომავლის რწმენით ყოველგვარ გასაჭირში ერთმანეთს ამხნევებდნენ, სულით არ ეცემოდნენ, ქედს არ იხრიდნენ სასტიკი ბედისა და შემზარავი სინამდვილის წინაშე, სიამაყით ეგებებოდნენ ცხოვრების ყოველგვარ უკუღმართ გამოცდებს და ბედნიერების გრძნობა არასდროს არა სტოვებდათ.

ეს შესამჩნევია მათ მიმოწერაშიც, როდესაც იმედაშვილი 1910—1914 წლებში მეტეხის ციხეში იმყოფებოდა.

თავის ადრეულ ჩანაწერებში დედაჩემს თავისი სევდიანი ხვედრის ფხიზელი განსჯის ასეთი სტრიქონებიც მოეპოვება: „თავიდანვე იოსებმა ვალად დამდო, რომ მასთან ერთად მეტარებინა ჯვარი წამებისა და ტანჯვისა, არასოდეს მიფიქრია გავქცეოდი ამ ტანჯვას“. „სრულიად არ ვფიქრობდი მე ახალგაზრდა, რომ ოდესმე შევხვდებოდი ასეთ უცნაურ კაცს, ასეთი ენერგიის მქონეს, ასეთ გაუტეხარს, როგორიც იყო იოსები. ბევრი დაცინვა, ცილისწამება, ლანძღვა-გინება აუტანია და ერთხელაც წარბი არ შეუხრია... იგი არ შეუშინდა ნიკოლოზის მთავრობას და როდესაც ასამართლებდნენ, ოთხი წლის კატორღა გადაუწყვიტეს, მაშინ წამოდგა და უთხრა მოსამართლეებს, რომ სანამდის პირში სული მიდგას და ძარღვებში სისხლი, მანამდე თქვენი მტერი და სისხლის მსმელი ვიქნებიო... მე ჩემის სამი პატარა შვილებით იქ ვიდექი, ყურს ვუგდებდი ამ სიტყვებს და ამიტომ უფრო შემიყვარდა იგი, თავი დავდე მისთვის და ყოველთვის ჭირსა და ლხინში არ მოვცილებივარ...“

ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და ჩვენი ოჯახის მეგობარი ზაქარია ჭიჭინაძე დედაჩემის შესახებ წერდა: „ანა ნიკოლოზის ასული იმედაშვილისა თავისი დროის კვალად არის შესანიშნავი ადამიანი ქართველი დედაკაცის ცხოვრების ისტორიაში... ეს საყურადღებო, სათნო, ორიგინალური ქალი მისაბაძი იყო ჩვენი გადაგვარების და გადარუსების დროს... იოსებ იმედაშვილს თუ რამ გაუკეთებია თავის ცხოვრებაში, ის ყველა ამაების გაკეთებას ვერ შესძლებდა და ვერ მოახერხებდა, რომ გვერდში არ ჰყოლოდა ისეთი ადამიანი, როგორიც იყო ანა ყურული... ამ პატიოსანი და სახსოვარი პიროვნების უამისოდ თვითონ ვერაფერს გააკეთებდა. იგი იყო იოსების მარჯვენა ხელი და უმსუბუქებდა ყოველ ტვირთს და ავიწყებდა მას ოჯახის დიდ სიდუხჭირეს და ამხნევებდა... ეს მაღალი სულისკვეთებისა და დიდი ბუნების ადამიანი იოსებს მალამოდ ედებოდა, გზას უნათებდა და უადვილებდა გაჭირვებულ ცხოვრებას...“

მართლაც, დედა ყოველთვის მამაჩემის გვერდით იმყოფებოდა მის ყოველ საქმიანობაში და მასთან ერთად გადაიტანა ყოველი განსაცდელი და გაჭირვება — მამაჩემის ორი დაპატიმრება, ორჯერვე ბინის ჩხრეკა, ორჯერ თავდასხმა მოსაკლავად, ჟურნალის რამდენჯერმე შეჩერება, უილაჯობის გამო შვილების პრიუტში მიბარება, დავალიანებაში სახლის დაკარგვა, გაჭირვების გამო სოფელში მამულის გაყიდვა, იმაზე რაღა ითქვას, რომ ხშირად უსახსროდ დარჩენილი ვაინაჩობით ზრდიდა ბავშვებს და შიმშილის საშინელი წლები მუდმივ ელემენტალურ გაჭირვებაში უნდა გაეტარებინა, რის გამოც დედა

იძულებული იყო ორი შვილი — თამარი და გაიოზი უპატრონო ბავშვთა პრიუტში მიებარებინა, რაც უფრო იმითაც იყო გამოწვეული, რომ ჩვენი საცხოვრებელი სახლი — დედაჩემის ნამზითვი, ბანკის ვალის გადაუხდელობის გამო ჩვენდა საბარალოდ გაიყიდა, უბინაოდ დავრჩით და ღამეს მეზობლის აივანზე ვათენებდით.

ნაზი ფიზიკური აგებულების, სამაგიეროდ სულიერი ენერგიით უხვად დაჯილდოებული, სიკეთით სავსე დედაჩემი, ჩვენ ოჯახზე ბედისწერით მოვლენილ დარტყმებს გმირულად იტანდა, ჩუმად თავისთვის აცრემლდებოდა, მაგრამ მამაჩემს მწუხარე სახეს არ აჩვენებდა, მხოლოდ მშვიდი ღიმილით დაენახვებოდა — უარესსაც გავუძლებთო, — ვარამს გულში ჩაიკლავდა და მამას საყვედურებით გულს არ გაუტეხავდა. ეს მაშინაც კი, როდესაც მამაჩემი თვითონ დედაჩემისავე მონაყოლით „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემით ისე იყო გატაცებული, რომ ყველაფერს მას ახმარდა, ოჯახის კუთვნილ უკანასკნელ პურის ფულსაც დაბეჭდილი ჟურნალის გამოხსნას ანდომებდა და თუ ამ დროს ბავშვები მშიერ-ტიტველნი იყვნენ, ამას თითქოს ვეღარა ხედავდაო. ამასთან დაკავშირებით, დედაჩემი იმასაც იგონებდა: „1910 წელს იოსები რომ დაიჭირეს და ღამე მიჰყავდათ, ხუთი შაური დაგვიტოვა მე და მაშინ სამი შვილის პატრონს, მეოთხეზე კი ფეხმძიმედ ვიყავი და სახლიც დაკარგე უფულობითაო“.

მამაჩემს მუდმივად ქარიშხლიან ცხოვრებაში დედაჩემი მართლაც ბოლომდე უდრტვინველად შეეწირა მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ჯანით, ქონებით და არასოდეს არ უნანია, რადგან თვითონაც გატაცებით თანაუგრძნობდა და ხელს უწყობდა რევოლუციურ საქმიანობაში, მის ყოველგვარ საერთო სახალხო კულტურულ ღონისძიებაში — მწერლობას, პრესას, თეატრალურ მოღვაწეობასა თუ ლექსიკოლოგიურ მუშაობას, ყოველივე იმას, რასაც მამაჩემი მთელი ცხოვრების განმავლობაში ემსახურებოდა.

ისე გამოდიოდა, რომ დედაჩემს ყოველი ახალი გაჭირვება უფრო უმატებდა ენერგიას, სამოქმედოდ აამოძრავებდა. ეს გამოჩნდა მამაჩემის ციხეში ყოფნის დროს, როდესაც ობლად დავრჩით ყოველგვარ სახსარს მოკლებულნი, აგრეთვე მსოფლიო ომის საერთო კრიზისების დროს, როდესაც ცხოვრება შეძლებულთაც უჭირდათ, ჩვენ დიდ ოჯახს კი მხოლოდ პატიოსანი, ე. ი. მუდამ ღარიბული პური უნდა ეჭამა, რის გამოც ყოველთვის გაჭირვებას განვიცდიდით და რაზედაც დედაჩემი არ დაიჩივლებდა ხოლმე, რომ მამაჩემი არ შეწუხებულიყო. ყოველი ასეთი გაჭირვების დროს ჩვენ ნათესავებს დედის მხრით ის მოაგონდებოდათ ხოლმე, რომ პაპა ჩემი ტახტის აზნაური ნიკო ჟურული მამაჩემს როგორც გლეხს და რევოლუციონერს თავის ქალიშვილს არ აძლევდა, — იმედაშვილი საქმის კაცი არა ყოფილა...

მწერალი და რევოლუციონერი ოჯახს ვერ შეინახავს... მაგის დასაღუპი შვილი მე არა მყავსო... სხვაგან ეძებოს თავისი შესაფერიო და სხვა მისთ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა ვთქვა, თუ მამაჩემმა თავის ამ გაჭირვებას როგორ უშველა და რა ღონეს მიმართა, რომ გაჯიუტებულ სასიმამროზე ემოქმედნა და ჟურულის ქალიშვილი შეერთო. ერთ დღეს 16 წლის დედაჩემი ფოტოგრაფთან წაიყვანა, მასთან ერთად სადარბაზო სურათი გადაიღო და უარზე დამდგარ სასიმამროს გაუგზავნა — ამ სურათიდან ხომ ჩანს, რომ ანა ჟურული ჩემია და ახლა როგორც გენებოთ ისე მოიქეციითო... ჟურულისათვის ნათესავებსა და შეგობრებს უთქვამთ — ერთმანეთი ჰყვარებიათ, სურათი გადაუღიათ, საქმე გაუთავებიათ, ამ საქმის შეშლა აღარ შეიძლებაო... ჟურულსაც მეტი რა გზა ჰქონდა, დაყაბულდა. პაპაჩემმა აზნაურობით თავი მაინც გამოიდო და დედაჩემს მზითვად მთაწმინდაზე ორსართულიანი სახლი მისცა, მასთან ერთად შვიდასი თუმანი ოქროთი მუდმივი შემოსავლის წყაროდ და დიდი ქორწილიც გადაუხადა, იმ რომ, ძველი მთაწმინდელები უკანასკნელ ხანებამდე იგონებდნენ ხოლმე, რომ ასეთი დიდებული და უხვი ქორწილი მთაწმინდაზე მეორე არა ყოფილაო.

დედაჩემის ამ მზითევმა დიდი როლი შეასრულა მამაჩემის საგამომცემლო საქმიანობაში. ამ ფულით იყო, რომ მამას ბუკინისტური მაღაზიაც არსებობდა, მისი იაფი წიგნის გამომცემლობაც, რაშიაც მისი მიზანი ფულის მოგება არ იყო. ისინი ერთმანეთს ყოველთვის უგებდნენ, ღირსეულად აფასებდნენ და ერთგულად მეგობრობდნენ, რაც კარგად გამოჩნდა იმ დიდი გასაჭირის დროს, მამაჩემის ციხეში ოთხ წელიწადს ყოფნამ ჩვენ ოჯახს რომ დაატეხა. ოთხი მცირეწლოვანი ბავშვით ხელში მარტოდ დარჩენილი 26 წლის დედაჩემი თავის უაღრესად უმწეო ყოფნას არასოდეს არ აგრძნობინებდა პატიმრობით ისედაც დასჯილ მამაჩემს და ყოველთვის გამამხნევებელ სასიამოვნო წერილებს სწერდა: „უნდა მოითმინო ყველაფერი, აი, მე მიყურე ამ სუსტ არსებას, რამოდენა ტანჯვა-მწუხარება გადავიტანე — ეს მხოლოდ ქმრისა და შვილებისათვის, შენც ეგრე გმართებს, უნდა აიტანო სუყველაფერი, რომ კვლავ განთავისუფლდე და გაგვახარო... ოღონდ შენ მყვანდე კარგად, ჯანსაღად და არაფერს არ ვიდარდებ, ყოველივე გაჭირვებას ავიტან... სულ მალე გაირბენს ცხრა თვე, რომ ვერც კი გაიგო... საცა ბევრი მოვითმინეთ, იქ ცოტაც იყოს, ოღონდ შენ კარგად იყავი და მე მუდამ კარგად ვიქნები... შენ რომ ყოჩაღად გხედავ, მეც მაშინ ვცოცხლდები... რა კარგი იქნება, რომ ამ წერილის მაგივრათ მე გავჩნდე შენთან“...

რაოდენი სიხარული იქნებოდა მეტებში პატიმრად მყოფისათ-

ვის ერთ წერილში იმის მიწერაც, რომ „პრიუტში მყოფმა გაიოზმა და თამარმა გიცვნეს, კვირას მჭონდა შენი სურათი ყელზე გაკეთებული და ბევრი ჰკოცნეს...“ მამაჩემიც სამაგიეროს უხდიდა. მეტეხიდან 1912 წლის 22 ივლისს გამოგზავნილ წერილში: „მარად საგონებელო, ...ალბათ თავს არ უვლი, გაკნაჭებულხარ... ვზივარ ჩემ საკანში და ემუშაობ... საუკეთესო ოთახია, მზის გული, ჩემი ფანჯარა მტკვარს გადასცქერის და ბაღებს, აბანოებს, მთელ ხარფუხს, ორთაჭალასა და ბოტანიკურ ბაღს, აგრეთვე ძველი ციხის ნარიყალას ნანგრევებს... მართლა შესანიშნავია ჩემი საკანი, ბევრი ცნობილი პირი მჯდარა ამ საკანში... საუკუნოდ შენი იოსები“.

ასეთი სათუთი ჭართულით სიამტკბილობა ჩემ მშობლებს შორის არც მამაჩემის ციხიდან გამოსვლის შემდეგაც შენელებულა. ისინი ერთმანეთს გასაჭირზე ჩივილით გულს არ უტეხდნენ, ცდილობდნენ ჩუმად გადაეტანათ ყოველგვარი გაჭირვება.

გასაგებია, რომ თბილისში მთაწმინდასა და მეტეხის კედლებს შორის ასეთი ტკბილქართული მიწერ-მოწერის დროს დედაჩემი მართლაც დიდ უბედურებას უძლებდა — უსახსრობის გამო ბანკის ვალში საკუთარი მზითვის სახლი გაუყიდეს და ბავშვებიანად, ცის ქვეშ დარჩენილი, ღამის სათევად მეზობლის აივანს აფარებდა თავს, იმიტომ რომ პატარა ოთახის დაქირავებას სამი მანეთი უნდოდა, მას კი პურის ფულიც არა ჰქონდა, ვიდრე მამაჩემი ციხის სტამბაში კორექტორად მუშაობას დაიწყებდა, რომ თვეში ერთი თუმანი მაინც ეგზავნა ჩვენ გამოსაკვებად. სწორედ ამ გასაჭირის დროს იყო, რომ დედაჩემმა ნათესავების დაჟინებული რჩევით ორი ბავშვი უპატრონოთა „პრიუტში“ მიაბარა. „მე კი სამი თვის ბავშვით ხელში ვიტანჯებოდი, რადგან წუთისოფელმა ასეთი მწარე ბედი მარგუნაო“. სამი თვის ბავშვში აქ იგულისხმება ქეთევანი, შალვა ამ დროს 8—9 წლის იყო, „პრიუტში“ მიბარებული ბავშვები კი — გაიოზი 5 წლის და თამარი 3 წლისა იქნებოდა.

ამ ტანჯვა-წვალებაში დედაჩემის ერთადერთი ბედნიერება ალბათ მაინც ის იყო, რომ 42 წლის ასაკში 1927 წლის 5 მაისს გარდაცვლილმა თავისიანების სიკვდილის მწუხარება არ განიცადა, თუმცა სასტიკ 1917 წლის შიმშილ-სიცივეში ჩემი რამდენიმე თვის ჩვილი ძმის დაღუპვა მაინც გადაიტანა, რომელიც ნამდვილად სიცივის მსხვერპლი გახდა. ჩვენი მდევარი ხელმოკლეობის გამო უშეშოდ რომ დავრჩით, მით უმეტეს მკაცრი შიმშილის პირობებში, როდესაც თუ მოზრდილები ყოველგვარი ხარისხის საჭმელს იტანდნენ, ჩვილ ბავშვებს ნაშიმშილევი დედის რძეც აკლდათ, სპეციალური საკვები კი არ იშოვებოდა.

• •

ძრავალგვარ გასაჭირს შეჩვეული მამაჩემისათვის დედაჩემის უდროო გარდაცვალება 1927 წელს ისეთი თავზარდაცემა გამოდგა, რომ წონასწორობადაკარგულს სიცოცხლეზე ხელის აღებაც გადაუწყვეტია, მისი ჩანაწერი მოგონებიდან შევიტყეთ: „ჩემი ანო რომ გარდამეცვალა, მტკვარში გადავარდნას ვაპირებდი, თურმე ზურგს უკან ალ. მაისურაძე მომდევდა, გადამარჩინა... შემდეგ სახლში ჩავიკეტე, ამითი შვილების სიყვარული მოვიპოვე, განსაკუთრებით ქეთომ გამოიდო თავი, რადგან დანარჩენთ ყველას თავისი ოჯახი ჰქონდათ. ქეთო არა თხოვდებოდა. ერთხელ მეგობრებმა მითხრეს — ახალგაზრდა ქალიშვილია, ცოდოში ნუ ჩადგები, მეორე ცოლი მოიყვანე, რომ შენი ქეთო გათხოვდეს, თურმე ამბობს — მე რომ გავთხოვდე, მამას ვინ მოუვლისო...“

ეს საკითხი თავისთავად ისე გადაწყდა, რომ არც ერთმა არ უღალატა მეორეს, არც მამამ შეირთო მეორე ცოლი და არც ქეთო გათხოვდა... რასაკვირველია, ეს გადაწყვეტა სხვა მოტივებმაც განსაზღვრეს — მამას შემდგომ ჩანაწერებში 1931 წლის 19 ივნისს ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „ჩემი მრავალწამებული ანოს გარდა განა სხვას ვისმეს შეუძლიან სულში ჩამწვდეს, მეგობრობა გამიწიოს... საწყალი, რარიგ ეწამა ჩემთვის და შვილებისათვის და მე განა უფლება მაქვს მას შემდეგ გული ჩემი ვინმეს გავუზიარო?.. მისი აჩრდილი ხომ მოსვენებას არ მომცემს?.. მაგრამ მან თავისი გულკეთილობით რომ მომიტევოს კიდეც, თავისი მეტოქეს ფეხი დამილოცოს, შვილები? შვილები, რაღას იტყვიან, რომ არცა თქვან, რას იფიქრებენ?..“

ჩვენ ოჯახში არსებული ურთიერთობით სხვა გამოსავალი არც იყო და ეს მაშინაც საგრძნობი იყო მამასთვის, როდესაც მან გაიგო, რომ დედაჩემის გადარჩენას აღარაფერი ეშველებოდა და უნატრია: „ნეტავი ჩემი სიცოცხლის შეწირვით შეიძლებოდეს ჩემი ანოს გამობრუნება, ვაი, რომ არაო...“

5 მაისის საკრალური დღე

იოსებ იმედაშვილი ხანში არ იყო შესული, რომ ახალგაზრდობაშივე გარეგნულად ღრმა მოხუცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ალბათ იმიტომ, რომ ნაადრევად გაჭაღარავებული ყოველთვის ცნობილი იყო დიდი თეთრი წვერითა და თმით. ამიტომაც ეგონათ კიდეც, თითქოს მეტად ხანდაზმული გარდაცვლილიყვეს, თუმცა მხოლოდ 76 წელიწადი იცოცხლა. ამისათვის სათქმელია ისიც, რომ ადრე — ოცდაათ

წლიდანვე გაჭაღარავება ჩვენი მოდგმისათვის დამახასიათებელი უ-
ფილა და ეს მისმა შვილებმა და შვილიშვილებმაც გამოსცადეს. მიუ-
ხედავად ამისა, მამაჩემი ფიზიკურად მეტად ჯანსაღი იყო, გაჭირვების
უდრტვინველად ამტანი, ავად არასოდეს არა ყოფილა.

თავიდანვე სპარტანული აღზრდა. ფუფუნებას შეუჩვეველი ჰაბუ-
კობა, სამაგალითო ჯანმრთელობა, ყოველთვის მხნე, ხალისიანი გან-
წყობა მას ხელს უწყობდა ცხოვრების ჭირ-ვარამის გადატანას, ყო-
ველგვარ სიძნელეში წონასწორობის შენარჩუნებას. ამიტომ იყო,
რომ ხშირად ნახევრად უსმელ-უჭმელი და უძილო მხნეობას მაინც
არა ჰკარგავდა, არავითარ გასაჭირსა და ხიფათს არ უშინდებოდა.
ყოველთვის დაუზარელი, ყველაფერში გამბედავი და უშიშარი იყო.
საქმის გადადება არ იცოდა და უყვარდა შეუძლებელის გაკეთება,
დაბრკოლებათა გადალახვა.

რაც თავი მახსოვს ყოველდღიურად გათენებისას ვარჯიშობდა,
სახლში ყველაზე გვიან იძინებდა და ყველაზე ადრე დგებოდა. ვახშამს
არასოდეს არა ჭამდა, საერთოდაც მეტად ზომიერად იკვებებოდა და
არასოდეს არა ღალატობდა ქართული ანდაზის ბრძნულ შეგონებას —
მუცელს მოაჭორებ ქორია, მოაღორებ ღორიაო, რასაც ხშირად გაგვა-
ხსენებდა ხოლმე. მანქანაში ჯდომა არ უყვარდა, ერიდებოდა, მეტად
მარდი სიარული იცოდა, ისე, რომ შორ მანძილსა თუ აღმართებზე
შვილები გვერდით ვეღარ მივდევდით ხოლმე. მის ასეთ ფიზიკურ გამ-
ძლეობას შეეფერებოდა ასეთივე გასაოცარი სულიერი სიმტკიცე.
უტყუარი ალღოს უნარით იგი ჩქარა ერკვეოდა ხოლმე ყოველგვარ
სიტუაციაში, არ იბნეოდა მოულოდნელად დამტყდარ რაიმე უბედუ-
რებაში და უცბად აგნებდა ყველაზე უკეთეს გამოსავალს. ამიტომაც
თავისი ჯანმრთელობის იმედით იგი ას წლამდის სიცოცხლეს ეპირე-
ბოდა და თავისი გაუტეხელი ჯანით, უდრეკი სულითა და უბერებე-
ლი გონებით მართლაც შესძლებდა, რომ საბედისწერო უკურნებელი
ენის — სიბერის გათეთრების წინააღმდეგ არ გამხდარიყო.

ყოველგვარ განსაცდელთან გაჯიუტებულმა მამაჩემი დედაჩემის
დაკარგვის შემდეგ, იმის შემდეგაც, რაც „თეატრი და ცხოვრება“ და-
კარგა და ცოცხალ, ჩვეულ საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოშორდა,
ერთგვარად უსაქმურობის განცდამ შეაწუხა, თუმცა სახლში თავის
ნაწერებზე დაძაბული მუშაობა არ შეუწყვეტია. მაგრამ ჩვენ ამ მო-
სალოდნელი საშიშროების შესახებ არაფერი ვიცოდით. მან ერთბაშად
იგრძნო მარტოობაც, თუმცა ექვსი შვილი ვეხვიენით, რადგან მანამდე
საერთო ყურადღებას გრძნობდა, ეხლა კი თავის თავთან დარჩენამ
უფრო მწვავედ ჩააფიქრა უდედაჩემოდ დაცარიელებულ სახლზე...
და ასეთ დეპრესიაში დიდი ჯანმრთელობა ვეღარაფერს შველოდა,
მამა ჯერ 50 წლისა იყო და უკვე ცხოვრებისაგან დაღლილობა იგრძ-

ნო, ამიტომაც 1931 წელს თქვა — მძიმეა ცხოვრება, მაინც უნდა ვიცხოვროთო... ცხოვრების სევდა შემოაწვა. «დასვენება კი ძლიერ მინდა, ნუთუ ეს დასვენება მხოლოდ სამარეში შემიძლიანო?» — კითხულობდა შეშფოთებული და ისევ მაინც თავისი ნაწერების გამოცემაზე შეეკვეთებული ფიქრობდა: „ოჰ, როგორ უნაყოფოდ და უშედეგოდ ქრება ჩემი სიცოცხლეო“. ამას ფიქრობდა 1931 წელს და 1948 წლის 16 აგვისტოსაც აღუნიშნავს: „ეჭვი მიპყრობს, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე და ცხოვრება უნაყოფოდ, უსარგებლოდ განვლე, ნაწერები თავის დროზე ვერ გამოვეცი, როცა სხვებისას ვბეჭდავდიო“ და ამ შოთქმას რამდენიმე დღის შემდეგ უმატებდა: „ნუთუ სიკვდილის მეტი არაფერი მიხსნის ამ ჯოჯოხეთურ სატანჯველისაგანაო?“

მაგრამ ეს იყო ემოციები, მის განწყობილებაში შავბნელი ფიქრების დაბუდება, არსებობის უაზრობაზე დაეჭვების შემოტევა, როდესაც მისთვის განვლილი უფრო შინაარსიანი და მდიდარი ჩანდა, ვიდრე აწმყო თუ დაბინდული მომავალი. მაგრამ ამ დროსაც ფიზიკური ჯანმრთელობა ისევ სამაგალითო ჰქონდა, ისევ შეეძლო დღე-ღამ თავჩაღუნული მუშაობა, ხალისიანი და შეუპოვარი გუნებით ეჯიბრებოდა თავის ჯანს. გამუდმებით მუშაობდა ისევ „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ შევსებაზე, თავის მოგონებებზე, რომ უცებ 1951 წლის მიწურულიდან დღიდათვე ლოგინში წოლას შეუხშირა და მუშაობასაც. მის თვის და მისი ოჯახისათვის ეს უკვე იყო ავის მომასწავებელი. რაღაც ბოლოღუნელი განსაცდელი. ამრიგად მამაჩემი ერთბელ გახდა ავად და მის თვის ლოგინში ეს პირველი ჩაწოლა საბედისწერო გამოდგა, ი ე, რომ სასიკეთოდ აღარ გამობრუნებულა. დღითიდღე უფრო ცუდად ხდებოდა, ყოველგვარ ხალისს ჰკარგავდა, საჭმელს აღარ ეკარებოდა და უბედურება უკვე ის იყო, რომ რა სტკიოდა, რა იყო მისი ავადმყოფობა, რა უნდა გვემკურნალა, არაფერი ვიცოდით. ძლიერი უმადობა, საერთო სისუსტე და დაღლილობის გრძნობა თითქოს ცუდს არაფერს მოასწავებდა და პირველ ხანებში სხვადასხვა ავადმყოფობა გვეგონა და რაც არ უნდა აღმოჩენილიყო, მამაჩემს ყველაფრის გადამტანი ბუნებითი ჯანმრთელობის დიდი იმედი გქონდა.

მაგრამ ცნობილ ექიმთა კონსილიუმის (დიდებულიძე, კანდელაკი) ზუსტმა დიაგნოზმა ყოველგვარი ცუდის მოლოდინს გადაჭარბა... ჩვენ გამოსაცნობად არც ისეთი ვერაგული და მოურჩენელი სნეულება გვეგონა, რომელსაც სისხლის გათეთრება ჰქვია, სხვანაირად სისხლის კიბო — მიელოზი, რომელიც ისე უცერად შეეპარა მამაჩემის ორგანიზმს, რომ თუ საიდან შეუვარდა ეს უბედურება ვერაფერი გავუგეთ. რა უნდა გვეღონა? ყოველდღიური ნემსების კეთება და სისხლის გადასხმა მხოლოდ დროებით ეფექტს იძლეოდა, რასაც არ-

სებითი გაუმჯობესება არ მოსდევდა. ჩანდა, რომ ეს მუხანათური სატკივარი მამაჩემს ბოლოს მოუღებდა და მის ჯანში მაგრად იკიდებდა ფეხს. ამის შესახებ გოგლა ლეონიძეს რომ შევჩივლე, მითხრა — ვერაფერს უშველით, ჩემი ძმაც მაგით მომიკვდაო, მაგის წამალი არ არსებობსო.

ჩვენ ყველანი სახლში ჩუმად ვტიროდით ჩვენს მომავალ უბედურებას, მამას კი მხიარულად ვეჩვენებოდით ხოლმე. მან ცხადია თვითონაც არ იცოდა არაფერი თავზე დატეხილი უკურნებელი სენის შესახებ და მხოლოდ ის უკვირდა, რომ ფეხზე ვერა დგებოდა. და ხშირად კითხულობდა — ამდენ ნემსებს რატომ მიკეთებთო? ამ ავადმყოფობაში მამას ყველაზე მეტად უსაქმობა აწუხებდა, წოლას ვერ იტანდა და იმასაც ჩიოდა, რომ დილის ვარჯიშებს ვეღარ ასრულებდა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხავდა და უკანასკნელ დღეებამდე ჩქარა ადგომასაც ეპირებოდა. თავისი ჯანის იმედი ჰქონდა, სულით არ ეცემოდა, აღსასრულს არ ელოდა — ჯერ ბევრი სამუშაო მაქვს გასაკეთებელიო, მუშაობის გეგმებს ადგენდა, თავისი ნაწერების დაბეჭდვისათვის ემზადებოდა... ასე იყო სიკვდილის წუთამდე ადგომას მონატრული, მაგრამ მან არ იცოდა, რომ მიელოზი დაემართა, რის განაც არავითარი საშველი არ არის და ვეღარც მისი მაგარი გული უშველიდა რამეს.

იმ ხანად ჩვენს ოჯახში ხშირად მყოფ ცნობილ ექიმებს დიდებულიძესა და კანდელაკს განსაკუთრებით ვთხოვე ჩემთვის დაუფარავად ეთქვათ მამიჩემის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ. ასე მიპასუხეს — რაკი სინამდვილის გაგება გსურთ, ამ მძიმე მდგომარეობას კეთილი გამოსავალი არა აქვს, იცოდეთ, რომ მამათქვენი ამ ავადმყოფობას ვერ გადაიტანს, სხვა რამეთი არ მოკვდებაო. რაკი ასე გადაწყვეტილი აღმოჩნდა მამიჩემის დაავადების ბოლო, მეტი გზა არ იყო ამ მკაცრ განაჩენს უნდა შევრიგებოდი და ერთადერთ მიზნად დავისახე მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გადაჭარბებული მკურნალობით, მით უმეტეს ნემსებით არ ჩაგვემწარებინა.

მაგრამ მამიჩემის მკურნალობის რეჟიმში ჩვენ ოჯახთან დაკავშირებული ბევრი ახლობელი ნაცნობ-მეგობარი იღებდა მონაწილეობას და თავისებურად ცდილობდა ავადმყოფისთვის რაიმე ეშველა. სინამდვილეში მათი ზრუნვა ბოროტებად მოგვევლინა. იმ დროს თბილისში სწრაფი მკურნალობის მცოდნეს სახელი გაუვარდა შუა ხნის ქალს ვინმე მოისწრაფიშვილს, რომელიც სხვადასხვა სამკურნალო საშუალებათა გადიდებული დოზებით ცდილობდა ყოველგვარი ავადმყოფობის მორჩენას. სამწუხაროდ მან მამაჩემზედაც სცადა თავისი მეთოდი და მგონია, სწორედ ამით უფრო დაჩქარდა მისი სამწუხარო გამოსავალიც. როგორც შემდეგ გავიგეთ, მოისწრაფიშვილმა მკურნა-

ლობის ასეთივე მეთოდით ნაადრევად იმსხვერპლა აგრეთვე მოსე თოიძეც.

რასაკვირველია დღე ისე არ გავიდოდა, რომ ჩვენთან ავადმყოფის სანახავად ვინმე არ მოსულიყო, რასაც აღარა ვკრძალავდით, რამდენადაც თვითონ მამა ახლობელ ნაცნობ-მეგობრებთან მასლაათს არ ერიდებოდა და ერთგვარად ეტანებოდა კიდეც. მისი ხნოვანობის ახლობლები ძირითადად უკვე წასული იყვნენ. ძველთაგან მამას სანახავად ყველაზე ხშირად მოდიოდნენ მხატვარი მოსე თოიძე, ჰაიდარ აბაშიძე, გუგული ბუხნიკაშვილი, გიგო ზაზიაშვილი, ტურა მაისურაძე, ერთი-ორჯერ შალვა დადიანი, აკად. ალ. ნათიშვილი, მიტროფანე ლაღიძე, სამნი ძმანი ჯაფარიძენი, სერგი გერსამია, სპარტაკ ბაღაშვილი, რომელთაც მამა სიამოვნებით ებაასებოდა ხოლმე. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მამასთვის ძველი მეგობრისა და თანასოფლელის აკადემიკოს ალ. ნათიშვილის მოსვლა, რომელიც იმ ხანებში პოპულარული გახდა იმითაც, რომ დანიშნული იყო აკად. ივანე ბერიტაშვილის მაგივრად ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე. ეს ის დრო იყო, როდესაც სამეცნიერო დაწესებულებათა ძველ ხელმძღვანელებს ხსნიდნენ, მათ შორის ივ. ჯავახიშვილს, დიმ. უზნაძეს, შ. ნუცუბიძეს, სერგი დანელიას და სხვებს. მეგობრებს ბევრი ჰქონდათ სალაპარაკო და მოსაგონარი. ნათიშვილმა უთხრა მამაჩემს — დიდ უხერხულობას განვიცდიდი ივანე ბერიტაშვილის ადგილზე რომ მნიშნავდნენ, უარზე ვიყავი, როგორ უნდა ვუხელმძღვანელო მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს? მით უმეტეს ამ საგანზე მითქმა-მოთქმა არა თავდებოდა და ეხლაც გრძელდება? მეტი გზა არ იყო, გავხდი დირექტორი და იძულებული ვიყავი თანამშრომელთა საერთო კრებაზე ასეთი განცხადება გამეკეთებინა: — მე ჩემი თავი ღირსად არ მიმაჩნია აკად. ივ. ბერიტაშვილის მაგიერობა გავწიო ასეთი სახელმოხვეჭილი ინსტიტუტის ხელმძღვანელობაში, მე მეეჭვება, რომ ჩემი ცოდნა კმაროდეს ამ თანამდებობის შესრულებისათვის, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ თქვენც გქონდეთ უფლება ეჭვი შეიტანოთ ჩემ ცოდნასა და ეჭვით მიყუროთ მე და ჩემ დირექტორობას.

მამა კარგ გუნებაზე დადგა, ძალიან მოუწონა ეს განცხადება — ბრძნულად გადაგიწყვეტიაო და ბევრიც იცინეს. რასაკვირველია თავისი ახალგაზრდობაც გაიხსენეს, ხაშმზე გატარებული ამბებით, როდესაც ორივენი სოფლის სცენაზე წარმოდგენებსა დგამდნენ ხოლმე.

უკანასკნელ დღეებში მამა ინახულა გოგლა ლეონიძემ შოთა ძიძიგურთან ერთად. ავადმყოფის გასამხნევებლად უჩვეულოდ სამხიარულო განწყობილება შეჰქმნეს... ბოლოს არა მნახველთა მოსვლით, არამედ მკურნალობით, სისხლის ხშირი გადასხმით, ნემსებით, წოლით

მამაჩემი მაინც შესამჩნევად დაიღალა. გამოჯანმრთელებაზე იმედი გაუკრთვდა, თავის ყოფაში ეჭვი შეუვიდა და უკვე ხვდებოდა, რომ გარდუვალობასთან იდგა... ისიც აფიქრებდა, რომ თავისი შრომების გამოცემას ვეღარ ეღირსებოდა... რაკი ლიტერატურული მემკვიდრეობის ჯავრი შეუჩნდა, განზრახულს ვეღარ ასწრებდა, დარიგება დაგვიწყო, რაც გამომშვიდობებასაც ნიშნავდა...

ასეთ განწირულებაში მაინც არასოდეს არ გვინახავს მამაჩვენი მობუზული, თავის თავზე მომდურავი, არასოდეს ნანობდა თავის დროს, საზოგადოებაში თავის ადგილს, პირად ყოფას. გასაჭირში ბევრჯერ იყო, მაგრამ არასოდეს უთხოვია — მიშველეთო... არც ამ დღეებში წამოცდენია, რომ შიშის გრძნობა დაუფლებოდეს. ყოველთვის სხვების მშველელი და გამამხნევებელი, ახლაც ჩვენ გვამხნევებდა, მაგრამ თვითონ იყო გასაჭირში და ეს უკანასკნელი გაჭირვება რომ იყო, თვითონაც იგრძნო, თუმცა მალავდა თავის განსაცდელს. ისიც ჩანდა, რომ განვლილი ცხოვრების მოვლენებს, წასასვლელად მომზადებული კაცის თვალით დაუწყო გახსენება და თავის შეფასებაში ერთგვარი ნიჰილიზმი დაეუფლა. თითქოს თავის მოღვაწეობაში ვერაფერს ვეღარ ხედავდა ღირსეულად მოსაგონარს, სამადლობელს, ალბათ იმიტომაც, რომ ჩვეულებრივადაც თავის თავისადმი უაღრესად მომთხოვნი იყო, არასოდეს არ იყო კმაყოფილი თავის თავით.

ასე მთავრდებოდა მამაჩემის სიცოცხლე — ბევრი რამის გაკეთებას ეპირებოდა და უფრო მეტი რჩებოდა მომავლის საზრუნავად უმთავრესად ეროვნული პოლიტიკის სფეროში. მისი მუდმივი ოცნება და ქადაგებაც ეს იყო — ყოველგვარი პარტიულობისა და წოდების გარეშე ქართველი ხალხის გაერთიანება ერთი იდეითა და მიზნით — საქართველოს ისტორიულ საზღვრებში აღდგენით, ქართველი მოსახლეობის გამრავლებით. ამის მთავარ ღონისძიებად მიაჩნდა ქართველობის მიბრუნება სოფლისაკენ, რომლის პირობებშიც მისი რწმენით უფრო ჯანსაღი ადამიანი გაიზრდებოდა და აღსდგებოდა ქართული მრავალშვილიანი ოჯახი. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული შემოსავალი უმთავრესად ქართული სოფლისა და ქართული ოჯახის აღდგენას უნდა მოხმარდესო. ყოველი დაბადებული ქართველისათვის უნდა დაწესებულიყო რეალური აღზრდის საჭირო ხარჯის გაცემა. მას სწამდა ქართველი ხალხის დაწინაურება — მსოფლიოს ერთა შორის ქართველი ერი თავისი შესაძლებლობით ღირსეულ ადგილს მოიპოვებსო...

ამისათვის უნდა გავთავისუფლდეთ ბურანისაგან, სხვების იმედს მოვეხსნათ, საკუთარ წყლულთა უცნობნი, სხვათა მკვდართა აღდგენაზე ვფიქრობთ... ჩვენმა ხალხმაც უნდა იცნოს თავისი სატკივარი, თავის თავს უმკურნალოსო („ჯერ თავო და თავო", 1917, № 42).

ამ დიადი მიზნისათვის კი ყოველი ქართველი კაცი უნდა მომზადებულიყო — გონებით, სულით, გულით, რომ ლოზუნგების გარეშე მზად ყოფილიყო სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავის გასაწირად, იმის მიუხედავად მუშა იყო, გლეხი თუ ინტელიგენტი. ამის მაგალითს თვითონვე წარმოადგენდა: საზოგადო მოღვაწეობასა თუ პირად ურთიერთობაში სამაგალითოდ გულისხმიერი, გულთბილი, საშართლიანი, სხვების მანუგეშებელი. გაჭირვებულს უყურადღებოდ არ დატოვებდა, გული ყოველთვის საცსე ჰქონდა სიყვარულითა და სიკეთით და მტრისთვისაც არ ენანებოდა თბილი სიტყვა და მადლიანი საქმე. მან არ იცოდა მტრობა და თუ მას ბევრმა უმტრო, თვითონ არავისათვის სამაგიერო მტრობითვე არ გადაუხდია. ეს არა ერთხელ დაუმტკიცებია, როგორც სოფლად მუშაობის დროს, აგრეთვე ქალაქად ლიტერატურულ-თეატრალურ მოღვაწეობაში. პირიქით, როდესაც საბაბი ჰქონდა და შეეძლო კიდეც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული მტერი დაესაჯა, მან პირიქით, არა ერთხელ გამოიდო თავი მის საშველად.

ამდენ ნაშრომ ადამიანს, კეთილ საქმეებით სავსეს, მრავალმხრივად გარჯილს და ბევრისათვის უანგაროდ მოამაგეს, არავითარი ორდენი და მედალი არ მიუღია. მისი უანგარო შრომის ერთადერთი ჯილდო უმწიკვლო ადამიანის სახელის აღიარება იყო, რაც მან არა მხოლოდ ენერგიული, ერთგული და დაუზარელი შრომით დაიმ! ახურა, უფრო მეტად წესიერი მოქალაქეობით. პირად დამოკიდებულებაში კაცური კაცობით, მორალური სიწმინდით. საქმიანი პატრიოტიზმით. ერთხელაც შეჰკითხვიან — რაიმე ჯილდო გაქვთ თუ არაო, რაზედაც უპასუხია: საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის გარდა არაფერი... მართლაც ყოველგვარ ორდენებსა და მედლებზე, მისთვის, ყველაზე ძვირფასი იყო სიყვარული და პატივი, რაც ყოველგვარი პროტექციისა და ოფიციალობის გარეშე თვითონ ხალხის გულში უხვად ჰქონდა მოპოვებული.

მაგრამ აქაც უნდა აღსდგეს სიმართლე — იგი სხვებისთვის სამაგალითო იყო არა მხოლოდ მშვიდობიან შრომაში, არამედ საომარ ბრძოლაშიც. ფრონტზე მოხალისე ჯარისკაცად წასულს სახიფათო დავალების შესრულებაში თავგანწირვისა და მამაცობის გამოჩენისათვის გიორგის ჯვარი ჰქონდა მიღებული.

ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და მას სასაყვედურო და დასამდურებელი არაფერი დარჩენია... სიკვდილის სარეცელზე მწოლიარე მამაჩემთან დრო და დრო საუბრებში დღეები დაძაბულად იწურებოდა და აქ მოხდა ერთი საოცრებაც — მამაჩვენმა ორი კვირით აღრე გარდაცვალებამდე გამოგვიცხადა — 5 მაისს მივატან, მანამდის გავ-

ძლებ, არ დაგტოვებთო.. ეს იყო დედაჩემის გარდაცვალების (1927 წლის 5 მაისის) დღე...

აპრილი რომ დადგა მამაჩემმა 5 მაისს დაჟინებით დაუწყო ლოდინი, ყოველდღე კითხულობდა რა რიცხვიაო, ამიტომ მაისის მოახლოებას ვუმალავდით, სულ აპრილს ვეუბნებოდით...

2 მაისი იყო, ვიღაც მნახველს მამაჩემისათვის თავისებური გამხნევება დაეწყო, ეგონა ამით ვასიამოვნებო და ეთქვა — ბატონო იოსებ! უკვე გამოზაფხულდა, აჰა, 2 მაისია, ჩქარა წამოდგებით, კარგად იქნებითო...

— ორი მაისიაო? — თქვა ფარული აღელვებით მამამ, — კიდევ სამი დღე დამრჩენიაო (და ბავშვებმა რომ თავისი წლების ჩვენება იციან, თითებით ისე გვიჩვენა სამი თითი)...

იმ დღის შემდეგ ამ საკრალური 5 მაისის დღის მოსვლას საათობრივ ელოდა. დადგა 5 მაისის დღეც... დილიდანვე შვილებს დაგვიძახა, ყველანი ლოგინთან ახლოს მიგვისვა და ისევ თავისი ნაწერების გამოცემასა და ხაშმის ამბებზე დაგვიწყო ლაპარაკი — სოფელი არ მიატოვოთო... ერთმანეთს გაუფრთხილდითო... გული არ გაიტეხოთო...

ეს იყო გამოთხოვება, ასეთი მასლაათით ჩვენ დამშვიდებას ცდილობდა, ვეცოდებოდით თუ საკუთარ მღელვარებას ფარავდა? სახეზე უჩვეულო დაძაბულობა ემჩნეოდა, საღამოს 9 საათამდე აზრიანად გვესაუბრებოდა. სუნთქვა გაძნელებულს ხელოვნური სუნთქვა შეავშველეთ. ბალიში მე მეჭირა და საგრძნობი გახდა, რომ ეს უკვე დასასრულის წუთები იყო... გაძნელებულ სუნთქვებსა, მომავლის განზრახვებზე წყვეტილ გამოთქმებსა თუ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე მსჯელობებში მიატანა მამაჩემმა საღამოს 11 საათამდე.

განა შეიძლება ბოლომდე მიუხვდეთ სიკვდილის პირას მდგომი ადამიანის უკანასკნელი განწყობილების, ფიქრებისა და სურვილების ლოგიკას? მას თითქოს ზოგჯერაც ავიწყდება, რომ მისი ცხოვრების უკანასკნელი საღამოა, სიცოცხლისათვის დარჩენილ წუთებში უკანასკნელად გვესაუბრება...

როგორ ავხსნათ რომ თავისი ნაშრომების გამოცემის გეგმებზე მსჯელობასთან ერთად, თუ იმის ვარაუდთან, — ჩემი სიკვდილის შემდეგ შვილებმა როგორ უნდა იცხოვრონო, თავისი გონების წუთიერ გამონათებაში მერამდენედ ნატრობდა სამშობლო სოფლის ნახვას — როდესაც ავდგები ხაშმზე წავიდეთ, კორძიანისაკენ გავიაროთ, ჩვენი ვენახიდან ივრის ჭალას გადავხედოთ, ხაშმელ გლეხებში ჩავჯდე, გულიანად დაველაპარაკოო...

მამაჩემს ბოლო წუთებამდე არ დაუკარგავს საღი გონება და მეხსიერება...

აგონიის დაწყებამდე ისე საქმიანად და ლოგიკურად მსჯელობდა ჩვენი ოჯახის მომავალზე, შვილებისა და შვილიშვილების ცხოვრების მოწყობისა, თუ საკუთარი ნაწერების მოვლა-პუბლიკაციის საკითხებზე, თითქოს მას, რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენთან განშორება არ ელოდა... უკანასკნელ წამებში ისე შემოგვცქეროდა, თითქოს ობლობისათვის ვეცოდებოდით.

მან შესამჩნევი სიმშვიდით შეწყვიტა სუნთქვა იქნებ ამიტომაც, რომ მისი სიკვდილით ნაკლებად დავტანჯულიყავით. დედაჩემის ხსენებასა, ხაშმის ზმანებებსა, „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ დაბეჭდვის პერსპექტივებზე შეეშვებულ ნატვრაში მოესწრაფა მართალი სიცოცხლე სხვებისადმი სიკეთითა და სიყვარულით გულანთებულს. უკანასკნელ ამოსუნთქვებს მაინც დედაჩემს—ანოს—სახელი ამოაყოლა — „ანო, მოვდივარო“ და მართლაც, როგორც ადრეევე ჰქონდა გამიზნული — ჩვენთვის საკრალურ 5 მაისს, ღამის 11 საათზე გარდაიცვალა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წ ი ნ ა თ ქ მ ა 3
კაწარეთ-ხაშმის სიძველეთა შორის . . . 7
ზაქარია იმედაშვილის ოჯახის ვადახვეწა საბარათიანოში 13
თბილისში—სწავლა-განათლების გზაზე. ზაქარია ჰიპნინაძესთან დამეგობრება 16
გამათავისუფლებელ მოძრაობაში 21
მუშათა თეატრების დაარსება 23
სახალხო წიგნის გამოცემანი . 28
პირველი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ ქართულ ენაზე 36
იოსებ იმედაშვილის პირველი პატიმრობა 43
პრესისა და მწერლობის გზაზე . . 47
სატირული რომანი „თაეგადასავალი ერთი პიროვნებისა“ 53
იზიძის რევოლუციური პოეზია . . 56
იოსებ იმედაშვილი „გარეკახეთის ერთობის“ მოძრაობის სათავეში 61
იერის ხეობის გლეხთა საპროტესტო დელეგაცია მეფისნაცვალთან 66
კონფლიქტი ეროვნული საკითხის გამო 74
თავდასხმა იმედაშვილის მოსაკლავად 84
ისევ თბილისში დაბრუნება . 95
ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ დაარსება 98
თეატრალური შენიშვნები და რეცენზიები 103
ეროვნული თეატრისა და ოპერისათვის . 123
„თეატრი და ცხოვრების“ 1910 წლის ოქტომბრის არგამოსული № 40 129
იოსებ იმედაშვილის გასამართლება სამხედრო ტრიბუნალის მიერ 130
მეტეხის ციხეში 140
„თეატრი და ცხოვრების“ ციხის შემდეგ . . 149
სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა 155
ქართული თეატრის დაწვა . . 158
დიდი გარდაცვალებანი . . 164
ჰოლა ლომთათიძის გარდაცვალებაზე . . 169
„თეატრი და ცხოვრება“ და ქართველი საზოგადოება 174
სუბსიდიისა და ჰონორარის გარეშე . 192
ეროვნული აზრისა და სიტყვის ძიებაში 198
აჭარა და ეროვნული კონსოლიდაცია 204
აფხაზთა დელეგაცია თბილისში 212
ფერეიდანის ქართველებზე 214
ქართული მიწებისა და ოჯახის აღსადგენად 219
„ქართველო, ნუ ღვრი ქართველის სისხლს“ 227
სისხლისა და შიმშილის ფსიქოზში 231
ქართული უნივერსიტეტის დაარსება 239
დამოუკიდებლობის ძიებაში 246
„ხალხის ერთობა“ — „ხალხის თავისუფლება“ 258
რევოლუციის შეძლებამ 261

მარკანიშვილის დაბრუნება საქართველოში და მსახიობთა ყრილობა 264
„თეატრი და ცხოვრების“ უკანასკნელი ნომერი 269
„თეატრი და ცხოვრების“ შემდეგ 272
მწერალთა კავშირის რიგების გადახალისება 277
„უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მეოთხე გამოცემის მომზადება 284
„ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“ 288
„ჩემი ცხოვრების წიგნი“ 296
ჩვენი სახლი მთაწმინდაზე 301
ოსებ იმედაშვილის არქივში 317
იოსებ იმედაშვილის მეუღლე-მეგობარი ანა ჟურული 332
5 მაისის საკრალური დღე 337